# ცისკარი

www.opentext.ge/tsiskari

სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი

1-2 | 2004





ედმონდ-გაბრიელ კალანდაძე. გამზრდელი ბებიის პორტრეტი, 1954 წ.

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

www.opentext.ge/tsiskari

1-2 | 2004

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბაღათერ არაბული
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი — მთ. რედაქტორის მოადგილე
მიხო მოსულიშვილი

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ.: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

პოეზია, პროზა

3. შოთა იათაშვილი. ლექსები
6. ლალი ბრეგვაძე–კახიანი. ვეშაპები მღერიან. მოთხრობა
19. რამაზ გიგაური. ლექსები
24. ნოდარ კობერიძე. ორი გოლგოთა. მოთხრობა
34. ხათუნა წულაძე. ლექსები
39. თეა ქარდავა. ლექსები
41. აკაკი დაუშვილი. ტყავის ქურთუკი. მოთხრობა
43. დავით ახლოური. ლექსები
46. ელვარდ ძიძიგური. ჩანახატები
48. თამაზ ბერუჩაშვილი. ლექსები
51. დალილა ბედიანიძე. ძაღლების დედოფალი. მინირომანი

დრამატურგია

64. ნინო ბასილია. საიმედოობის თეორია

ახალი თარგმანები

81. ალექსანდრს ჩაკსი. ლექსები. ლატვიურიდან თარგმნა რენე კალანდიამ
87. მილორად პავიჩი. უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში. რომანი. თარგმნეს ელზა და გიორგი მეტრეველებმა

მწერალი და დრო

123. მიხო მოსულიშვილი. უფლის აგარკი (ესე ქართველთა მასობრივ სიმბოლოზე)

ჩვენი თანამედროვე

126. ედმონდ-გაბრიელ კალანდაძე. გასრესილი ძვირფასი ქვები

მისი სულის ანარეკლი

129. დათა გულუა. ლექსები. წერილი მეგობრებს

წერილები

136. გიორგი კანკავა. ილიას „ეროვნული პროგრამა“ და ჩვენ
143. ნათია ნოზაძე. სამყარო ახალი რაკურსით
145. ვანო იმერლიშვილი. ქართველი ქალები
147. ზოია ცხადაია. თაობის ბედისწერა

ანეკდოტები ზოგიერთებისთვის

150. ნიკოლაი ფილიპოვსკი. ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“. თარგმნა ე. მეტრეველმა

გარეკანის პირველ გვერდზე:
ედმონდ-გაბრიელ კალანდაძე — „ვერა“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



## შოთა იათაშვილი

### ციკლიდან "Memento"

#### სული ამოიწურა

გაზაფხულდა მწუხარედ,
ბედი დაღმა მიცურავს,
გული ელის წუხანდელს,
სული ამოიწურა.

ჩვენი ბაღის ალუბალს
არ ატყვია კვირტები,
არ იქნება ცვლილება
არც ტანჯვით, არც კირთებით.

მაღლა ზეცა, მქუხარე,
დაბლა ქოხი, მიწური,
გული დარჩა ქურუხი,
სული ამოიწურა.

#### დუნე მონატრებებით

დაზამთრდება ტყუილად,
დუნე თოვლი წამოვა,
დუნე მოძრაობებით
დავდგამ სახლში სამოვარს.

ჩაი გულს ვერ გაათბობს,
დროს თოვლი ვერ გაყინავს,
აღმოჩნდება უეცრად
სიყვარული გარყვნილი.

უსასრულო სევდაში,
იმედების ხაფანგში,
დუნე მონატრებებით
მოვინატრებ გაზაფხულს.

ისიც მოვა და მოჰფენს
ტყუილ სითბოს დუნიას,
სიცოცხლეც და სიკვდილიც
უსაშველოდ დუნეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თმების რხევით, წარსულით

ეს დღეც დაიკარგება,
ახალს ვილა მინებებს,
ნეტა, როდის იქნება
დრო მშვენიერს მინებდეს.

სამი ქალი კაფეში,
თმების რხევით, წარსულით,
მთვარე ისევ სრულია,
მთვარე ისევ ცას უვლის.

და დღეც დაიკარგება
ისე, როგორც მონეტა,
სამი ქალი - ფეტიში
ვილას მოენატრება.

ვილა იდარდიანებს
მათ ძველ პერიპეტიას,
როცა ყველა მინებდა
სულის დაღლილ ხეტიალს.

## ერთადერთი საშველი

სიხარული ირიბი
არი თურმე რა ნელი,
პოეზიის ყარიბმა,
მე, ტერენტი გრანელიმ,

ლაჟვარდებით მოცულმა
გული გამოვიწურე,

მას მერე ვიწერები
და ჩემს დებზე ვლოცულობ:

ზოზია და მაშოა
ერთადერთი საშველი,
პოეზიით ცხოვრება
ცუდი სათამაშოა.

## ციკლიდან „ი.ა."

## სულის გადაქანება

კუპლეტები პარიზზე,
პოეტთა ქაქანება.
აჩვენებდა თარაზო
სულის გადაქანებას.

ფიგურები ფრინავდნენ
მარცხენა დაცერებით,

დაიღალნენ თვალები
ბოდლერების ცქერებით.

დაგვამშვიდა როდესაც
შავი თუთის გრილობმა,
არვის გახსენებია,
მარჯვენა დახრილობა.

## მუდამ ორნამენტია

სიყვარულმა ფოფინამ
გული დამათოფინა,
სიზმარები მანახა,

მათქმევინა, ტრფობაში
ის, რაც ორზე მეტია,
მუდამ ორნამენტია.

როგორც ცვარი რიჟრაჟზე,
ლაჟვარდებში აქროლდა
ჯავრი ჩამონაქროლი, -

(ვარდმა მიწა,
მიწამ მზე),
მზემ უფალი მოფინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიოგრაფია

უარი თქვა სიყვარულზე,
ბორიალზე,
მარცხნივ ვარცხნა
დედოფალა როიალზე.

აგვისტომდე აგვირისტა
სალამური,
ჟამი იყო ნებიერი,
საამური.

შემოდგომა რომ მოვიდა,
დაიმღერა,
ვარცხნილი თმა დედოფალას დააცალა
ღერა-ღერა.

აგვისტოდან აგვისტომდე აგვირისტა,
ლარნაკებში ჩაალაგა გვირილები,
მარჯვნივ მარჯანს მიუჩინა ალაგი,
მარცხნივ ვერცხლი შეალაგა.
გაიხადა სალამური,
საიდუმლო ცივ ლოგინში ჩაიტანა,
სიზმრად ნახა:
ნაოჭებით დაღარვოდა ტანი.

## ციკლიდან „ბოლო"

### ბოლო მეთევზე

კლდეზე გამჯაჭვეს, როგორც პრომეთე,
და მერე დიდხანს მიკორტნეს ღვიძლი,
ვიყავი ღმერთის ბოლო მეთევზეც,
და დიდ ხმაურში გამომეღვიძა.

ვიღაც უწყალოდ სჭედავდა ლითონს,
გავბედე, ზეცას ხელი შევახე,
ცოტაც და ჩემს ამ კადნიერ თითებს
გოლგოთის პირველ ლურსმანს შევახევ.

### ბოლო მელექსე

ადამ და ევას ცოდვა
ეშმამ სამყაროს მოდვა.
მე კი გავმღერი ლექსებს,
განა არ არი ბოდვა?

სამოთხის ბაღის სურნელს
დევნის სმოგი და სპლინი,
ნაღვლიანია ზურნა,
გველი აგრძელებს სლიპინს.

უკვე მოიცვა გოდვამ
ადამიანთა მოდგმა.
მე კი გავმღერი ლექსებს,
განა არ არი ბოდვა?

*მეთოთხმეტე გასალები*

**ზომიერება**



პორუჩიკი ოპუიჩი სადღაც გაზაფხულის დამდეგს გამოჯანმრთელდა. ყოველთვის ჯერ კიდევ ვერ არჩევდა ერთმანეთისგან ცხადსა და სიზმარს, მაგრამ უკვე იცოდა, რა ჰქვია. თავის ფიქრებს ისე იჭერდა, როგორც ბუზებს, - თითქმის ყოველთვის წარუმატებლად. ხშირად ისინი ხელიდან უსხლტებოდა. და თუ მაინც ახერხებდა რომელიმეს დაჭერას, მაშინ ხელისგულზე ან მკვდარი ფიქრი შერჩებოდა, ან იგი, დასახიჩრებული, გაფრენას ცდილობდა. პორუჩიკმა შენიშნა, რომ მკერდზე, სადაც დაჭრილი იყო, ნაიარევი დარჩენოდა, ზედ კი პატარა, კუდის მსგავსი წითური თმის ბღუჯა ამოზრდოდა.

აქვე მან აღმოაჩინა მოსამსახურე, რომელიც მამამისს გამოეგზავნა, და ძველი ქისა, რატომღაც ცარიელი. იქიდან გამქრალიყო ერთადერთი ძვირფასი ნივთი, რომელიც სოფრონის მუდამ თან დაჰქონდა — სამაჯური, რომელიც დედამ „მომავალი დანიშნულისთვის" მისცა. მსახურს ამგვარ ნივთზე არაფერი სმენოდა, თუმცაღა იხსენებდა ვიღაც გოგოს, რომელიც ავადმყოფ პორუჩიკს უვლიდა.

- შესაძლოა, ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც მამათქვენი გიგზავნით, რათა იარა განგიკურნონ, ისე გაგილოკონ, თითქოს ძაღლები იყვნენ, ბოდიშს გიხდით ამ გამოთქმისთვის.

ოპუიჩმა ჰკითხა, ის გოგონა სად დაიკარგაო, მაგრამ მსახურმა უპასუხა, რომ ამის თაობაზე არაფერი იცის, რადგან იმ დღიდან, რაც თვითონ აქ ჩამოვიდა, გოგონა აღარ გამოჩენილა. პორუჩიკმა ხელი ჩაიქნია და შინიდან გავიდა. მოსამსახურეს წინასწარ გამოკითხა, რა ჰქვია ქალაქს, რომელშიც იმყოფებიან.

- ზემუნი, - უპასუხა იმან გაკვირვებით.

ქუჩაში ოპუიჩმა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში პირველად ხელთათმანები გაიკეთა და ხელში რაღაც მაგარი მოხვდა. ეს იყო ბეჭედი, რომელიც თვალით არასოდეს ენახა. მამაკაცის ბეჭედი ტვიფარით — დაასკვნა ახალგაზრდა ოპუიჩმა. მან ბეჭედი ხელთათმანის ზემოდან წამოიცვა და ქუჩას თვალი მოავლო — ქალის წითურთმიან თავს ეძებდა. იმ დღეს არ გაუმართლა, მაგრამ უკვე მეორე დილას თავის სახლთან ახლოს შენიშნა ქალიშვილი, რომლის წითური ნაწნავებიმზეზე ისე ბრწყინავდა, თითქოს სპილენძის მავთულისგან დაეწნათ. თითებზე სამკაულების ნაცვლად ოქროსა და ვერცხლის ძალიან ძვირფასი სათითეები ეკეთა, კისერზე კი მძივის ნაცვლად პაწაწუნა, ვერცხლით ამოქარგული ფეხსაცმელი ეკიდა.

„შეუძლებელია!" — წამოიყვირა გუნებაში სოფრონიმ და ქალიშვილს ფეხდაფეხ აედევნა.

გოგონა დუნაისთან მივიდა, ცალ ფეხზე გაიხადა და, როცა სინჯავდა, წყალი ცივია თუ არაო, ერთი წამით აღმოჩნდა ერთდროულად წყალშიც და ხმელეთზე მდგომი, მერე უკან მიბრუნდა, საფეხურები აირბინა და გაუჩინარდა კარს მიღმა, რომელიც ოთხი ნალით იყო შემკული. ნალები დრუნჩებით ისე მიემართათ ერთმანეთისკენ, თითქოს ორი ცხენის ფეხების ნაკვალევი იყო, ერთმანეთის პირდაპირ რომ მდგარან. მეორე დღეს გოგონა კვლავ დაინახა. იგი იმ შენობის აივანზე იჯდა, რომლის პირდაპირაც სოფრონი ცხოვრობდა, და მისკენ და გამვლელებისკენ ზურგშექცეული იწნავდა, იშლიდა და ისევ იწნავდა თავის წითურ თმას. პორუჩიკი გაოცდა, როცა მის ხელზე საკუთარი სამაჯური შენიშნა. ახლაღა დააკვირდა გოგონას ყურადღებით. მოეწონა მისი ტერფები, ვიწრო, გრძელი თითებით, და გაიფიქრა: „ამას... მაგარი... უნდა ჰქონდეს". და აივნის ქვეშ გაიარ-გამოიარა, მაგრამ მაშინვე შინ დაბრუნდა, თან გოგონაზე ფიქრს განაგრძობდა. ქალი კვლავ თავის ადგილზე რჩებოდა და ახლა, მოწყენილი, ღვინოს ოქროს თასიდან ვერცხლისაში და ისევ უკან ასხამდა. ერთ თასზე თვალგაშტერებული, ისე, რომ მეორეს ვერ ამჩნევდა, იგი ჩაფიქრებული იჯდა აივნის მოაჯირში ფეხგაკვეხებული.

„მისი ხელი მიჩვენებს, რომ ორი შვილი ეყოლება, - გაიფიქრა ოპუიჩმა. — იმის მიხედვით, როგორ იხდენს კაბას, ცხადია, ეს ქალი ქმარს გაეყრება; იმით კი, როგორ იკეთებს თმას, შეიძლება მიხვდე, რომ 48 წლისა მოკვდება. როგორც მუსიკოსები ფიქრობენ ყურებით, ისე ეს ძუძუებით ფიქრობს," - დაასკვნა ახალგაზრდა ოპუიჩმა და გოგონას მიმართა:

- ჩემი სამაჯური მოგიპარავს. აი, ხელზე გიკეთია!

მან მზერა მიაპყრო და კაცმა იგრძნო, გოგონას მთელ სხეულს როგორ აუვიდა ატმის სუნი, ნაწნავი კი, თითქოს გველიაო, ამ გამოხედვის გავლენით ნელ-ნელა ზემოთ აეპრიხა.

- მაგის თქმა ყველას შეუძლია. დამიმტკიცე.

- მე ვიცი, რა აწერია სამაჯურს. ზედ ამოტვიფრულია: ***„მე ვარ ავგაროზი. თუ ჩემს ძალას ამოწურავ, შენს სამსახურს ვეღარ შევძლებ. თუ მოახერხებ, ისევ შემავსო, კვლავ სასარგებლო გავხდები. მაგრამ გაითვალისწინე, ავგაროზი შენ თუ ვერ გეხმარება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის სხვებსაც ვერ დაეხმარება..."*** აი, რა აწერია ჩემს სამაჯურს. ახლა შენი აღარ მშურს! მისი დაბრუნება მოგიწევს, ოღონდ სამაჯური წაგაკვნეტს იმ ხელს, რომელზეც გიკეთია! თუ მოიხსნი, უხელოდ დარჩები.

პასუხად გოგონამ აივნიდან გადაიკისკისა:

- მაშინ არ მოვიხსნი. მე და შენ, უბრალოდ, ნივთებს გავცვლით.

- რაში გამიცვლი?

- შენ ამტკიცებ, რომ სამაჯური მოგპარე, მე კი შემიძლია, გითხრა, რომ შენ ჩემი ბეჭედი მოიპარე. აი, თითზე გიკეთია. ბეჭედი ანაბეჭდით, რომლითაც ჩიბუხს ტენიან. მაგაზეც რაღაც წერია, შიგნით, წრეზე.

პორუჩიკმა ბეჭედს დახედა და ჩუმად ამოიკითხა წარწერა: ***„გახსოვდე! ბეჭედი — ეს უბიწობაა, რომელიც აღდგება. თუ დამკარგავ..."*** და აქ გაიგონა, ხმამაღლა როგორ ალაპარაკდა გოგონა აივნიდან:

***- გახსოვდე! ბეჭედი — ეს უბიწობაა, რომელიც აღდგება. თუ დამკარგავ, დაკარგავ რაღაც უფრო მეტს. ველი შენს თითს, როგორც საქმროს.***

კაცი შეკრთა. მან იგრძნო გულის ქვეშ პატარა შიმშილი, რომელიც ისე გოდებდა, როგორც პატარა ტკივილი, და მკვდრები მიწის სიღრმეში, ქუჩის ქვაფენილის ქვეშ, რომლებიც ქვებს შორის ამოსული ბალახის ფესვებს ნიწკნიდნენ. თმა ყალყზე დაუდგა და ქალს ჰკითხა:

- ვინ ხარ შენ?

- მე მესამე ფეხსაცმელი ვარ, - უპასუხა მან და სადარბაზოს ოთხი ნალით მორთული კარით ბინაში გაუჩინარდა.

ორი საღამო ეწამებოდა ახალგაზრდა ოპუიჩი ბეჭდის გამო, მესამე დღეს კი იმ ოთხნალიანი კარისკენ გაემართა და ზედ მამაკაცური ჯვარი გამოსახა. დილით გოგონამ მსახური გამოგზავნა, რათა გაეგო, რას ნიშნავს ეს ჯვარი.

- ეს რა — მუქარაა?

- არა, მუქარა არ არის. პირიქით, ეს ნიშნავს, რომ მე ამ კარს აქეთ აღარ მეცხოვრება.

მომდევნო დილით გოგომ ცარცი აიღო და კარის შიგნითა მხარეს ქალის ჯვარი დახატა, საღამოჟამს კი კარი ისე შეაღო, რომ სოფრონის ამ ნიშნის დანახვა შეძლებოდა. და მან ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითანაგრძნოს, გაიზიაროს ჩემი გულისტკივილი. ის კი მეუბნება, რომ არ ღირს ამაზე ფიქრი, რომ უარესიც შეიძლება მოხდეს. ადამიანი ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, ნერვიულობით რას შეცვლი და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

შხაპი მივიღეთ, დაბლა ჩავედით საუზმეზე.

სასადილოს კორპუსის შესასვლელთან რიგი დაეყენებინათ. შევიცადეთ, ჩია კაცის გვერდით ჩამოვსხედით ლიმონისფრად შეღებილ გრძელ სკამზე, მაგნოლიის ქვეშ რომ იდგა. კაცს ცალი თვალი გამოთეთრებოდა. ერთ ხელში ქიშმიშიანი ერთჯერადი ცელოფნის პარკი ეკავა, მეორეთი ქარვისფერ მარცვლებს იღებდა და პირში იყრიდა.

— ხომ არ ინებებთ? — შემოგვთავაზა მაშინვე, — არ მოგერიდოთ, მიირთვით.

თავაზიანი უარი ვუთხარით. მან ჭამა შეწყვიტა და ძველი ნაცნობივით გვითხრა:

— ამას მზესუმზირას ნაცვლად გეახლებით. ვნერვიულობ. რა დაგიმალოთ და, მართლა ვნერვიულობ. მეგონა დავისვენებდი, აქ კი ლამის ღვთის რისხვა გველოდება, რომ წარმოვიდგენ...

გაოცებული შევცქეროდით.

— ახლები ხართ? — ისე საგანგებოდ ჩაგვეკითხა, თითქოს, ვაი, თქვენს პატრონსო, გვეუბნებოდა.

— კი, დღეს ჩამოვედით, — მივუგე მოუთმენლად, — რა ხდება?

კაცმა თვალები უცნაურად აატრიალა, გამიკვირდა, თეთრი თვალიც რომ დაემორჩილა, მერე ნიკოს შეჩივლა:

— ტორნადოს ელიან.

ნიკო ყურადღებით უსმენდა, მაგრამ, რადგან ნათქვამზე რეაქცია არ ჰქონდა, კაცმა ისევ განაგრძო:

— ადგილობრივ მაუწყებლობას გადმოუცია, რომ ტორნადოა მოსალოდნელი. ხომ გესმით, ეს რას ნიშნავს! — აშკარად სურდა, ჩვენთვისაც გადმოედო მღელვარება. — არადა, ძლივს გადავწყვიტე წამოსვლა, შევაკოწიწე ცოტაოდენი ფული... ჩამოვედი დიდის ამბით. ახლა კატასტროფის მოლოდინში უნდა ვიყო. რას გაიგებ, როდის დაგვატყდება. შეიძლება, ნახევარი ზღვა ცაში აიტანოს და ერთბაშად ზედ დაგვანარცხოს.

ნიკომ თავი დახარა, მიწას ჩააცქერდა. გავოცდი, რომ არ დაამშვიდა. მაგრამ, იმდენად ვერ იტანდა წუწუნს, საჭიროდ არ ჩათვალა რაიმეს თქმა. ხელი წამატანა მკლავზე, მანიშნა, წავიდეთო.

— ისე, ზომების მიღებას ცდილობენ, — მოგვაძახა ხმაწევით, როცა უკვე წამოვდექით. შევიცადეთ, ვათქმევინეთ, — თავშესაფარს თხრიან. მსურველებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ აქციაში. ეს ხომ მათი თავდაცვისთვისაა. მე ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს. ამიტომ ფული გადავიხადე. მოკლედ, გაიგებთ, ალბათ, გეტყვიან.

მადლობის ნიშნად თავი დავუკარით. მან გაგვიღიმა, ერთმანეთზე დაცილებული კბილები გამოუჩნდა.

გაძეძგილი აღმოჩნდა პანსიონატი. ვეება სასადილო გადაჭედილი იყო. ჩვენძ დასავლეთით, კუთხის ფანჯარასთან მიგვიჩინეს ადგილი, საიდანაც მაგნოლიისა და ფიჭვის ხეებით დაბურულ პეიზაჟს პატარა შადრევანიც ამშვენებდა. ეს სილამაზე ძვირფას საჩუქრად უნდა ჩაგვეთვალა, რომელიც უკვე ჩვენი იყო.

მე და ნიკო ერთმანეთის მოპირდაპირედ ვისხედით მაგიდასთან, ორთავეს გვერდით კი ცარიელი სკამები იდგა. მერე და მერე გავიგეთ, რომ ჩემი მეზობელი, ცოტა უცნაური ტიპი, რომლის სახელი არ ვიცოდით (არც შეკითხვის სურვილი გაგვიჩენია) და ევა შევარქვით, გვიან მობრძანდებოდა საჭმელად. ნიკოსი კი — ქალიშვილთან და სიძესთან ერთად, რესტორნებში მიირთმევდა. აშკარად, ახალ ქართველთა ფენას ეკუთვნოდა. ერთადერთხელ ვნახეთ, წითური, დაჭორფლილი ქალი იყო. მხოლოდ საზამთროს ნაჭერს შეექცა. მობილური ტელეფონის თემით იყო გატაცებული. გვირჩია, აუცილებლად შეიძინეთ „მაგთი", მობილურის გარეშე წარმოუდგენელია ყოფნაო. ოჯახში ყველას სათითაოდა გვაქვს, კმაყოფილები ვართო. ევაც აჰყვა. უცხვირპირო ევა, რომელიც, გამარჯობის გარდა, თითქმის არაფერს ლაპარაკობდა, მობილური ტელეფონის მნიშვნელობაზე კარგად აჭიკჭიკდა. ჩვენ ის ერთ ფსიქოლოგ ქალს მივამსგავსეთ, ტელევიზიით რამდენჯერმე რომ გვყავდა ნანახი. მას პირში ცუდი პროთეზი ჰქონდა, გამუდმებით იშველიებდა გამოთქმას „ჩაკეტილი სივრცე". ევას ვკითხეთ კიდეც, მაგრამ გვიპასუხა, ტელევიზიასთან არანაირი კავშირი არა მაქვს, და საერთოდ, არ მიყვარს მოაზროვნე ქალებიო. ამან ჩვენზე უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. ცოტა არ იყოს, ვინანეთ უშუალობის გამო. ქალი ტიპიური შინაბერას შთაბეჭდილებას ტოვებდა, თანაც ინფანტილურის.

— ტორნადოზე რა იცით-მეთქი? — ვკითხე ერთხელ ვახშმობისას.

— ტორნადო... — გაიმეორა თავისთვის. — ჰო, ტორნადო... — დაფიქრდა, — ელიან. იქნებაო. ოღონდ არ იციან, როდის.

მისი ინფანტილიზმის წყალობით, თავად, რასაკვირველია, არ ითვლებოდა ამ მოლოდინში. ეს ყველაფერი მას არ ეხებოდა, ტორნადო ჩვენ, მის გარდა, ყველას გვემუქრებოდა. რაღაც ბოლოკაბა შევიძინე აქაო, მაჩვენა, შავ ფონზე ბარდღანა ყვავილები რომ ეყარა. აი, სულ ეს იყო, რაც ევაზე ვიცოდით. და კიდევ, მოგვიანებით ვიღაცამ თქვა სანაპიროზე, ეს ქალი სულ მარტო დადის და კარგად ცურავსო. ჩვენი ევა ჰყავდა მხედველობაში.

ხმაურით გაბეზრებული დამსვენებლები ერთმანეთს ამხნევებდნენ, სექტემბერი დაწყებულია, ორიოდ დღეც და დამშვიდდება აქაურობა, კერძო დამსვენებლები თითქმის გაიკრიფნენ, კაფე-რესტორნებს მუშტრები შემოაკლდებათ, დაწყნარდებიან და ჩვენც გვეშველებაო. ეს რაა, აგვისტოში გენახათ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდაო. აფსუს, ადრე აქ დახურული ზონა იყო, ჩიტი ვერ შემოფრინდებოდა ვერც ეზოში, ვერც პლაჟზე, განსაკუთრებულად პრივილეგიური ხალხი ისვენებდა — ცეკას ნომენკლატურაო.

მართლაც ნელ-ნელა დამშვიდა გარემო. აქაიქაღა თუ გაისმოდა მუსიკა-კაკოფონია, შეიძლებოდა ატანა. გლისერები კი კვლავ შეუსვენებლივ დაზუზუნებდნენ, ფულის კეთებით ჟინატანილნი, აქაფებდნენ, აფორიაქებდნენ ზღვას, მოხალისე გოგო-ბიჭებით დახუნძლულნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათარეშობდნენ ნაპირის გასწვრივ და მოსვენებას არ აძლევდნენ მობანავეებს.

ნიკოს იტალიური ენის კონსპექტები თან წამოეღო, დროს არ აცდენდა, მეც მირჩევდა, იმეცადინეო. სახელმწიფოს პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, ხალხი ინგლისურ ენას მიეძალა, ჩვენ კი იტალიური ავიჩემეთ. იტალიური და წყალში ყვინთვა იყო ნიკოს გატაცება. ჩაყვინთავდა და ჩემი მემართებოდა, ვიდრე ისევ ამოცურდებოდა სადღაც შორს იმ ადგილიდან, სადაც ველოდი. ნუ მანერვიულებ-მეთქი, ვეხვეწებოდი, მოეშვი მაგ ყვინთვას, იცურე ადამიანურად, დამასვენე! ხუმრობდა, თავისუფლებას მიზღუდავო, ახლა ჩვენში დემოკრატიაა გამოცხადებული, უფლება არა გაქვს, ქმარს თავისუფლება წაართვაო. თანაც მემორჩილებოდა, ვეცოდებოდი.

ნაპირზე ხალხი შეთხელდა. მაინც ჭირდა სუფთა ალაგის პოვნა, რომ დაწოლილიყავი ქვიშაზე და მზეს მიფიცხებოდი. ზედ თავზე გადაგივლიდნენ სურსათითა თუ უსაფრთხოების ქილეტ-რგოლებით მოვაჭრენი. რაღას არ ყიდდნენ აქ — მოხარშულ სიმინდს, სხვა ყოველგვარ ხილს, ნაყინს. გაჰყვიროდნენ, როგორც მეტროს მატარებელში. ძალით გაყიდინებდნენ ფუნთუშებს თუ ფალსიფიცირებულ ფახლავას. დაჰქონდათ ხელით სატარებელ საყინულეში ჩაციებული სასმელები. სულ იმის შიშში ვიყავი, ფეხი არ დაგვადგან, ტანსაცმელი არ გადაგვითელონ-მეთქი. მეწვრილმანე ვაჭრები ყველგან ერთნაირად თავხედები არიან, ერთნაირად მოძალადეები.

ზედ პლაჟზე დაბრძანდებოდნენ ცხენებზე ამხედრებული ადგილობრივი ყმაწვილები, გასეირნების მსურველებს ეძებდნენ; ამ გზით ცოტაოდენ ფულს შოულობდნენ, პლაჟს კი გვარიანად აბინძურებდნენ ცხენის ფუნით. ჩალის სომბრეროიანი კაციც ყოველდღე აკურატულად ჩამოივლიდა, ხელში რაღაც ქვითრებით, არავის გამოტოვებდა, ყველასგან მოითხოვდა, ოცი თეთრი გადაიხადეთ დასუფთავებისოო. არც მე ვიზარებდი, ერთი და იგივეს ვუმეორებდი, ჩვენ ჩამოსვლისთანავე ხუთი ლარი გადაგვახდევინეს დასუფთავებისა, მეტი აღარ გვეკუთვნის-მეთქი. ნიკოს ეცინებოდა, ცოდვაა, რაღაც გადაუხადეო.

რის დასუფთავება, ყოველ ნაბიჯზე ეყარა კოკა-კოლას ცარიელი ბოთლები, სიმინდის ნაქურჩები, ნაღინჭლები, ნაყინის ფერად-ფერადი ქაღალდები და სხვა ნაგავი. ასეთი ზღვა ცხოვრებაში არ მენახა. აჭარის მშვენიერი ქალაქის პლაჟი ლამის კაპერნაუმს დამსგავსებოდა. ან რა იყო გასაკვირი. საკურორტო ქალაქიც ერთი პატარა ნაფლეთი იყო მთელი ჩემი ამღვრეული სამშობლოსი, კაპიტალიზმზე გადასვლას რომ ლამობდა, ჩვილი ბავშვივით აბოგინებული, ღობე-ყორეს აწყდებოდა; აღარც წყალი იყო, აღარც ღვინო. სოციალიზმისგან თავდაღწეულს კაპიტალიზმამდე ჯერ ვერ მოეხერხებინა მისვლა. ქვეყანა დერეფნად გამოცხადდა. მთელი იმედები ტრანზიტზე იყო, კერძოდ, იმ მილსადენზე, რომელიც ბაქოდან მოდიოდა ჩვენზე გავლით და ჯეიჰანში ჩაზიდავდა კასპიის ნავთობს. მილსადენზე ლაპარაკმა გააბეზრა ხალხი, რომელიც დაეღალა ცრუდაპირებებს და აღარაფრის სჯეროდა. ჩვენ ჩვენი დაგვემართა, უკან გაირჭონ ეგ მილიო. ხალხს შიოდა, ამიტომ დღევანდელი კვერცხი ერჩია.

დღე დღეს მისდევდა. ვცურავდით, ვშავდებოდით, ვთამაშობდით ბადმინტონს, წონაში ვიკლებდით. პანსიონატში დამსვენებელთა რიგი მოდიოდა, რიგი მიდიოდა. განსაკუთრებულ ინტერესს არავის მიმართ ვამჟღავნებდით, მაგრამ ხან ვინ გამოგველაპარაკებოდა, ხან ვინ. ვიძენდით ახალ-ახალ ნაცნობებს, მათთან მხოლოდ მისალმებით ამოიწურებოდა ჩვენი ურთიერთობა.

მეზობელ ოთახში ხნიერი ცოლ-ქმარი დაბინავდა. მოსვლისთანავე გამოგველაპარაკნენ თავიანთი ვერანდიდან. ქმარი დერმატოლოგი გახლდათ, ცოლი — სკლეროზმორეული წყნარი ქალბატონი. დერმატოლოგი პროფესორად გაგვეცნო. ცნობისმოყვარე ადამიანი აღმოჩნდა. იმავდღეს დაედგინა, რა კატეგორიის ხალხი ისვენებდა პანსიონატში. თურმე ერთი პარლამენტარიც ყოფილა ქალიშვილითა და დაცვით. ლუქსში ცხოვრობს, იშვიათად ჩნდება, სასადილოშიც კი არ შედისო.

— ის ქალი თუ ნახეთ, თევზის ქერცლიანი? — გვკითხა დერმატოლოგმა, როდესაც შემთხვევით გადავეყარეთ სანაპიროს პარაპეტთან, სადაც ჩამავალი მზის საცქერლად შევჩერდით.

დუმილით ვუპასუხეთ, ყურადღება დასალიერისკენ გვქონდა მიპყრობილი. ის კი განაგრძობდა:

— იშვიათი დაავადებაა, ჩვენთან განუკურნებლად ითვლება, რადგან არ ვიცით გამომწვევი მიზეზი. — მისი პროფესიული ინტერესი უფრო პროფესიულ ამბიციას ჰგავდა. ინერტული გულგრილობით გვიხსნიდა: — ამას, ჩემო კეთილებო, მედიცინის ენაზე ვულგარული იხტიოზი ჰქვია. კანი შრება, ხის ქერქივით უხეშდება.

მხოლოდ ვუსმენდით, არ ჩავრთულვართ საუბარში. მზის ჩასვლას ვუცქერდით. ისე ჩადიოდა, იფიქრებდი, თავად ღმერთი შემომლიმისო.

მთელს ქვეყანაში ფეხმოკიდებული პანიკა ყველგან თავისებურად გვწვდებოდა, რადგან ამტუტებულ დროში თავის გადარჩენაზე ზრუნვა იდგა წინა პლანზე. ვინც როგორ ახერხებდა, ვისაც როგორ ესმოდა, ვინც რამდენის ნებას აძლევდა თავს. კუნჭულიც არსად დარჩა გაძარცული სულის შესაფარებლად. უიმედობა... ქაოსი... ვინც გაუძლებდა, ის გადარჩებოდა.

გადარჩენაში ნიკო მეხმარებოდა თავისი შესაშური ოპტიმიზმით. თომა ნუ ხარ, ღმერთს მიენდე, განთავისუფლდი ყოველგვარი შიშისგან, ნურაფერზე ფიქრობ, ეცადე, დაისვენოო. იშოვნი, უთუოდ იშოვნი სამსახურს. ყველაფერი კარგად იქნებაო. სიტყვებს თითქმის ზომბირების ძალა ეძლეოდა. სიტყვები მიზანს აღწევდა. მართობდა ნიკო, არ მტოვებდა ჩემს საფიქრალთან. მიამბობდა სამხედრო ხელოვნებაზე, აღმოსავლური მედიცინის სასწაულებზე. ხშირად ვსაუბრობდით პლატონის ფილოსოფიაზე, სახელმწიფოს მოწყობის მისეულ მოდელზე. აგრეთვე, მამა ალექსანდრ მენზე, ამ საოცარი მოაზროვნის კიდევ მეტად საოცარ ბედზე. თემურ ბაბლუანს ვიხსენებდით, უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით, რომ ის მართლა იყო ქართველი ფელინი, ოღონდ უასპარეზო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შიშმა მაინც შემოაღწია ჩემში და მოსვენება წამართვა. ეს ასე მოხდა:

გადავწყვიტეთ, დილაბინდზე გვებანავა ხოლმე, ვიდრე ზღვა სპეტაკია, ფეხშეუდგამი. ცუდი აზრი არ იყო, მაგრამ დამეზარა ადგომა. ნიკომ იძალა, ნუ ზარმაცობ, აბა, ცოცხლად, ერთი-ორჯერ გაგიჭირდება, შემდეგ შეეჩვევი და მეც მაჯობებო. ადე, ძილში არაფერი ყრიაო.

დერეფანში გამოსულებმა მოპირდაპირე კარის წინ ფეხმორთხმული ბიჭუნა დავინახეთ. ვიდრე ნიკო გასაღებს აჩხაკუნებდა, ბიჭუნას მივუახლოვდი. ეძინა, ოღონდ ფხიზლად. მაშინვე ასწია თავი, შემომხედა პანია მხეცივით ყველაფრისთვის მზადმყოფი თვალებით, თან მყისიერად იცილებდა ძილბურანს. მერე ისევ დახარა თავი, იატაკზე რაღაცას ჩააშტერდა. გრძელსახელოიანი შინდისფერი მაისური ეცვა, გადახოტრილი თავი ნეონის შუქზე ფერფლისფრად უბზინავდა. ნიკოც მოვიდა, იატაკს ერთად დავუწყეთ ცქერა, მაგრამ, სიტყვა არც ერთს რომ არ აღმოგვაჩნდა, ბიჭუნა შეგვეშველა, დაბლიდან ბავშვური ანცობით ამოგვხედა საბოლოოდ გამოფხიზლებულმა, ხელები გაშალა და არხეინად გამოგვიცხადა:

— ყოფა ვუტირე! აი, აქაა! — იატაკზე მკვდარ მორიელს დაუმიზნა საჩვენებელი თითი. — ეშმაკუნა! უნდა დავეკბინე. მე კი დავასწარი და მოვკალი. — ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაძვრინა, გაშალა, მორიელს წააფარა, მერე მოხერხებულად ამოაგუნდავა მგესლავი მსხვერპლიანად. — უნდა დავმარხო, — გვითხრა მთელი სერიოზულობით, — გათენებას ველოდებოდი. — წამოდგა, მოგუნდავებული ცხვირსახოცი ისევ შარვლის ჯიბეში ჩაიჩურთა.

ძლივს მოვიფიქრე, მეკითხა, სად ნახე ეს მორიელი-მეთქი?

— აქ ბლომად არიან, — ამიხსნა მშვიდად, — ვინ აღარ პოულობს. ამას სპირტში ჩასადებად არ მივცემ, ბევრი აქვთ ისედაც, თავადაც მოვუვლი.

— სად ცხოვრობ? — დაინტერესდა ნიკო.

ბიჭუნამ ცერათითი ზურგსუკან, კარისკენ გაბზიკა.

— მეზობლები ვყოფილვართ, — ნიკომ მხარზე მოუთათუნა ხელი, — შენი სახელი, მეზობელო?

— მანუჩარი, — თქვა მან. მერე მიბრუნდა, უკანა ჩასასვლელი კიბისკენ გაუყვა დერეფანს.

ჩვენც ჩვენი გზით გავწიეთ, მაგრამ ვაი იმ ბანაობას.

— მორიელებიღა გვაკლდა! — დავიჩივლე, — ტორნადო არ კმაროდა, ახლა კიდევ ეს მორიელები!..

— კაი, ერთი, — ნიკომ ხელი გადამხვია, — როცა გეშინია, ყოველ ნაბიჯზე გისაფრდება შიში.

მდუმარედ ჩავიარეთ კიბეები, მოკლეზე გადავჭერით უკაცრიელი ეზო და, პლაჟის სილიან ზოლს რომ დავუყევით, მიუსაფრობა ვიგრძენი. თითქოს ზღვისკენ კი არა, ფატალური სასჯელისკენ მივიწევდი. რა მიხვედრა უნდოდა, ეს შემაწუხებელი განცდა პირდაპირ უკავშირდებოდა ეს-ესაა ნანახ ბიჭუნას. სულ პატარა იყო და უკვე დაკაცებული.

სიბნელეში ცურვა არაა სასიამოვნო-მეთქი, ვუთხარი ნიკოს, როცა უკან ვბრუნდებოდით. ჰოო, დამეთანხმა, ბნელში თანაზიარება ჭირს, როცა წყალს ვერ ხედავ, გგონია, ერთი და იგივე ადგილზე ცურავ, როგორც მორევში, პერსპექტივის სიხარული არ არსებობს. სწორედ ესაა სიბნელის თვისება.

ასეთი საუბარი ნიშნავდა, რომ უარი უნდა გვეთქვა ჩვენს გეგმაზე. ასეც მოხდა.

ბიჭუნა კი თავისი მორიელით ბევრ კითხვას მიჩენდა. მაინტერესებდა ნიკოს აზრი და ერთხელ შევეკითხე, მანუჩარზე რას ფიქრობ, ისეთ დროს ბავშვს გარეთ რა უნდოდა-მეთქი? მანაც კითხვითვე მომიგო:

— გგონია, ორდინარული ბედის ბავშვი იქნება?

მორიელების ამბავი კი იმ ჭაღარათმიანმა, შავოსანმა ქალმაც დაადასტურა, ზღვისპირა ბულვარისა და პანსიონატის გამმიჯნავ დაბალ გალავანთან, ერთსა და იმავე სკამზე რომ ვხედავდი ხოლმე. წინვის გამხმარი ნემსების დაწვნით იქცევდა თავს. კიო, ოთახებში ხშირად პოულობენ მორიელებსო. თურმე ისინი კომუნისტების დროს იატაკზე დაგებულ, ამჟამად უკვე გაზინტლული ქეჩების ქვეშ ბუდობდნენ და, როცა მოესურვებოდათ, მაშინ გამობრძანდებოდნენ.

ნიკო მამედებდა, ესენი შავი მორიელებია, ნესტს ეტანებიან, თითქმის არ იკბინებიანო. იმედიც ამას ერქვა. მე კი წამდაუწუმ მეჩვენებოდა, რომ საწოლში რაღაც დაცოცავდა. გამუდმებით ტანსაცმლის ფერთხვაში ვიყავი, ყოველცისმარე ვანიავებდი ლოგინს, რაც ნიკოს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. აქეთ-იქით აქნევდა თავს, უსიტყვოდ მიმანიშნებდა, არ მეგონა, ასეთი მშიშარა თუ იყავიო.

ეკლესიას მივაგენით. პატარა, კოხტა საყდარი იყო, ცენტრალური ქუჩისპირას აეგოთ. გავიხარეთ. წირვის დროს მოგვიწია შესვლა. ჩანთაში სანთლები მოვძებნე. ნამდვილი, თაფლის სანთლები მუდამ მიდევს ჩანთაში. ფიჭის მწარმოებლებისგან ვყიდულობ საბითუმო ფასად, მერე ვაკურთხებინებ და კარგა ხანს მყოფნის, თორემ ეკლესიაში ნაყიდი ჭვარტლდება, თან შანდალზეც ვერ მიაკრავ, უმალ ძირს ჩამოცვივა.

ის იყო, ღვთისმშობლის ხატისკენ გზის გაკვლევას შევუდექით, წინ სტიქაროსანი ბიჭი გადამიდგა.

— ასე არ იქნება! — მომმართა მკაცრად, — აი, იქ იყიდე თავსაფარი, — შესასვლელთან ჩაჩხერილ სავაჭრო ჯიხურზე მიმითითა.

არ ვიცოდი, რა მეთქვა. კისერზე დავაშტერდი — ფორთოხლისფერი სტიქარი წვირეთი ჰქონდა გაპოხილი. შემეცოდა, ღმერთმა შეუნდოს-მეთქი. ის კი არ მომეშვა.

— ნუ ჩერდები აქ თავშიშველი! გადი, იყიდე და ისე შემოდი!

ჩემი სანთელი ნიკოს გადავეცი, ესეც დაანთემეთქი, გაღიზიანებულმა დავტოვე საყდარი, გარეთ დაველოდე. როცა გამოვიდა, სიცილით იგუდებოდა. თავგადასავლები არ გელევა, მაგრამ ეს მართლა მეტისმეტი იყო, ასეთზე პროგნოზსაც ვერ გააკეთებო.

— კი, კი, თავსაფარი უშველის ჩვენს უბედურებას!.. — ვბუზღუნებდი გზაში, — თავსაფრის გარდა არაფერი გვაკლია.

— დაივიწყე, ნუღარ ფიქრობ მაგაზე, — დამიყვავა ნიკომ.

მართლაც დავივიწყე, რადგან პანსიონატში მისულებმა მატარებელში გაცნობილი ჟურნალისტი ქალი დავინახეთ. აგურით ნაგები კორპუსის წინა ეზოში იდგა, მთლად გარუჯული, სახიან-თმიანად; შემოტკეცილი თეთრი შარვალი ეცვა, ორთავ ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭირა ფანტას ბოთლი, დაგემოვნებით წრუპავდა. ჯერ გვეგონა, ჩვენ გვესტუმრა, მაგრამ მერე გავიგეთ, მისიით იყო მოსული.

— სიუჟეტი მინდა გავაკეთო, — აგვიხსნა მას შემდეგ, რაც ერთმანეთი მოვიკითხეთ.

— ადგილობრივი ტელემაუწყებლობისთვის მუშაობთ? — ჰკითხა ნიკომ.

— კი, ამჯერად ასე გამოვიდა. აქ ერთი უძველესი პროფესიის ქალს მივაგენი. ვნახოთ, რა გამოვა. ზეგ გავა ეთერში, საღამოს, საინფორმაციო პროგრამის შემდეგ, ნახეთ აუცილებლად.

ყველაფერი ნათელი იყო. ესენი ხომ „სკანდალურ" მასალას ეძებენ. ასეთია თანამედროვე ჟურნალისტიკის სტილი.

ვცდილობდი, მეტი დრო გარეთ გაგვეტარებინა. თვალი მეჭირა პირველი სართულის ფოიეში მდგარ მაგიდა-ჭადრაკზე, ვეება ფიგურები რომ ელაგა ზედ და გამუდმებით დაკავებული იყო. შავ ფიგურებს მეფე აკლდა. კიბეზე ავლა-ჩამოვლისას ვხედავდი, რომ მეფის ნაცვლად ხან ლუდის ბოთლი მონაწილეობდა ბრძოლაში, ხან სიგარეტის კოლოფი, ხან კრიალოსანი და სხვა რამ ნივთი, მოკლედ, რაც შავებით მოთამაშეს ხელთ აღმოაჩნდებოდა. მე, პირადად, მეფის მაგივრობას პატარა საფულე მიწევდა ხოლმე, რომელიც თან დამქონდა.

ნიკოს ვერასდროს ვუგებდი ჭადრაკს, მაგრამ ვცდილობდი, ღირსეული მოწინააღმდეგე ვყოფილიყავი. ესეც რაღაცას ნიშნავდა.

ვსეირნობდით მთავარი კორპუსის უკანა მხარეს მიმდებარე ფიჭვნარის პარკში, სადაც კოხტა ბილიკებს ორმხრივ გასდევდა დაფნის ბუჩქების ცოცხალი კედლები. წიწვნარ ხეთა შორის ალაგ-ალაგ მსხალი და ხურმაც ერია. თავის დროზე აქ ცნობილი მეოთხე სამმართველოს დაქვემდებარებული ნომენკლატურული პერსონები ნებივრობდნენ. ისევ იგრძნობოდა ძველი მზრუნველობის კვალი, რაც შეგახსენებდა, რომ კომუნისტებს ეხერხებოდათ საკუთარი თავის პატივისცემა. ჩაკეტილ ზონებში სათავისოდ ჰქონდათ შეფუთული ასეთი მიკროსამოთხეები.

პარკი ქალაქის მხრიდან დაცული იყო ტანმაღალი ლერწმის ხშირი ტყით. და ჩვენ შეგვეძლო, კომუნისტების ჯიბრზე (რომელთა დიდ ნაწილს კვლავ გავლენიანი სავარძლები ეჭირა) ახლა მაინც გვესუნთქა ჟანგბადით მდიდარი გრილი ჰაერით, რამდენიც მოგვესურვებოდა, ვიდრე არ მოგვბეზრდებოდა. დამსვენებლები მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ ამ იდილიურ ადგილს, მათ უფრო ზღვის მხარე იზიდავდა. შუადღისას ეზოს ინტერიერში გაბნეულ ფანჩატურებში გროვდებოდნენ, თამაშობდნენ ლოტოსა თუ კარტს, ერთმანეთში უკვე შეთამამებულნი მართავდნენ დისკუსიებს. მათი შემხედვარე იფიქრებდი, ტორნადოს შიშით არიან შეპყრობილნი, ოღონდ მის მოახლოებაზე არ იფიქრონ, ყველაფერზე ილაყბებენო. ბზირად, ლამის ჩხუბამდე მისულნი, ხმამაღლა აკრიტიკებდნენ პარლამენტს, ამაში ერთსულოვანნი იყვნენ, ხულიგანთა თავშეყრის, ცემა-ტყეპისა და ანგარიშსწორების ორგანოდ მოიხსენიებდნენ. რა ეშველება ხალხსო, სწუხდნენ, ქვეყნის ბედ-იღბალი ძაფზე ჰკიდია, მარტო საგარეო პოლიტიკა რას გვიშველის, ტყუილში როდემდე შეიძლება ვიცხოვროთ, თუ ადამიანისადმი პატივისცემა არ გაჩნდა, წასულია საქმეო. აგერაა საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენელი, შევეკითხოთ, ქვეყანა, სადაც კანონი არ მუშაობს, არის თუ არა სახელმწიფო? როდემდე შეიძლება ასე გაგრძელება? საით მივყავართ მთავრობას, რას გვიპირებენ, წინ რა გველისო? მსგავსი უამრავი კითხვა სეტყვასავით მოცვიოდა, პასუხს ითხოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლისგან. ის კი მოპრუწავდა პატარა პირს, ჩაფიქრდებოდა ერთი ჩაფიქრება, მერე იტყოდა ავტორიტეტულ სიტყვას:

— ისევ გიმეორებთ, ცოტაც უნდა მოვითმინოთ, ერთბაშად სოფელი არ აშენებულა. — სიმშვიდის მომხრე იყო, გულის პრობლემები ჰქონდა. ზღვის ჰაერის საყლაპავად გახლდათ ჩამობრძანებული და ზედმეტი ემოციები სრულებით არ სჭირდებოდა. ახალგაზრდა ლამაზმანი ახლდა თან, ერთად ცხოვრობდნენ პრესტიჟულ ნომერში. ჩემი ექიმია, ოღონდ კარგად არ მივლისო, ხუმრობდა. დღისით კუბოკრული ნაჭრის გოლფი ეცვა, ჯერ კიდევ ბიჭობდა. დგომა იცოდა ხელმიჭერილი ხან ელენთაზე, ხან ღვიძლზე, თითქოს რეიკს იკეთებდა. საჭირო კაცი ეთქმოდა, პურ-მარილზე ეპატიჟებოდნენ. ჩავლისას იქვე, პანსიონატის გადაღმა, ბარის ქანდარაზე ვხედავდით ხშირად. შამპანურიან ფუჟერს აგვიწევდა ხოლმე, ასე გამოხატავდა ჩემთან ძველი ნაცნობობისადმი პატივისცემას.

ფიჭვნარი პარკის ლარივით სწორ, ერთმანეთში გაბმულ ბილიკებზე სეირნობისას გადავეყარეთ ეულ, ძალზე ტანმორჩილ ქალს. მზის შავი სათვალე ეკეთა, უცნაურად ეცვა და გრძელი, მხრებზე დაფენილი ჩალისფერი პარიკი ეკეთა. თავდახრილმა ჩაგვიარა, არც შემოგვხედა, სხვა ბილიკისკენ გადაუხვია და სიმწვანეში მიეფარა თვალს.

— ესეც მორიელებს ემალება, ალბათ, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— იცი, ვინაა? — ჩურჩულით თქვა ნიკომ, — თევზისქერცლიანი, გარეთ ასეთი ფორმით დადის, სასადილოში კი სხვაგვარად გამოიყურება.

— შენ რა იცი-მეთქი?

— როგორ, თვალები ხომ მაქვს. ჰოდა, ვიყენებ. შენ კი, იცი, რას გირჩევ? ნუ ფიქრობ, აქ მაინც ნუ ფიქრობ მორიელებზე. გაიხსენე ჯოვანი-ლორენცო და ცუდი ყველაფერი დაგავიწყდება.

ჯოვანი-ლორენცო ჩვენი იტალიურის მასწავლებელი იყო. გენიალური ტიპი, რომელიც თავისი არსებობით უსიტყვოდ გიმტკიცებდა, რომ ადამიანმა, ყველაფრისდა მიუხედავად, არ უნდა დაკარგოს ღირსების გრძნობა; რომ, რაც გინდა მოხდეს, ცხოვრებას მაინც აქვს აზრი. ეს იკითხებოდა მის წარმოთქმულ ყოველ ფრაზაში, თუნდაც ისეთ ჩვეულებრივსა და პროზაულშიც, როცა სიმკაცრეგარეული ხუმრობით გვეტყოდა: ბატონებო, გიყვარდეთ კონჯუნტივო! ანდა: პატივი ეცით პასატო რემოტოს. დამიჯერეთ.

ჯოვანი-ლორენცოს მხოლოდ გახსენებაც კი დადებითი მუხტით გვავსებდა. მასთან შეხვედრა პატარა დღესასწაულს ჰგავდა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას თავისი საყვარელი ფრაზა გვაჩუქა სამუდამოდ: chi va con zoppo, impara zoppicare — რაც ჩვენს ენაზე ასე ჟღერს: ვინც კოჭლთან დადის, კოჭლობას სწავლობს.

ფიჭვნარის პარკის წყალობით, ფრაგმენტულად მაინც შეიძლება საერთო აურზაურისგან

გამონაპირება და სულის მოთქმა. ჩვენც ვსარგებლობთ, ხელიდან არ ვუშვებთ შანსს.

მეზობელ ბიჭუნას გამუდმებით დავეძებდი ყველგან, სასადილოშიც ფარულად ვათვალიერებდი მაგიდებს, მაგრამ ამაოდ. ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ერთბაშად წამოშენილი თავსხმა წვიმის შემდეგ ისევ მოკამკამდა ცა, ნანვიმარის კვალიც აღარსად დარჩა, თუ არ ჩავთვლით, რომ ზღვამ ფირუზისფერი დაკარგა და აჭრილ-აჩეხილი მოჯირითობდა ნაპირისკენ, ჩვენ პლაჟს მივაშურეთ. შეზლონგები დავდგით პირსთან ისეთ მანძილზე, რომ ტალღის თხელი კუდი ფეხებამდე მოცოცავდა, ქაფადქცეული მალევე იწრიტებოდა იქვე, სველ ქვიშაში. ნიკომ თავისი ჰობი გაიხსენა, კოხტად მომრგვალებული ციცრის კვერცხისოდენა ფერადი ქვები მოიძია და ჟონგლიორობას შეუდგა. მართლა კარგად გამოსდიოდა. მზემოკიდებულ მხრებზე უკვე სპილენძისფერი გადაჰკრავდა. ვხედავდი, მის მოხდენილ, ალნაგ სხეულს აქეთ-იქიდან როგორ ატანდნენ მზერას და, დიახაც, მსიამოვნებდა. ჯეელობაში პათოლოგიურად ეჭვიანი ვიყავი. პარადოქსია. მაშინ არც მე მაკლდა სილამაზე, როცა უიღბლოდ დასრულებული პირველი ქორწინების შემდეგაც არ მანებივრებდა ბედი. ახლა, ფაქტიურად, ჩემს თავს არ ვგავარ; წონაში მომატებულს აღარც მიმზიდველობა გამაჩნია, სული კი დამიმშვიდდა. ნიკოს გვერდით კომფორტს ვგრძნობ, თავისუფალი ვარ კომპლექსებისგან. ხოლო ირგვლივ რამდენი ვნება დუღს. უმუხრუჭო დრო ტკივილებს ამრავლებს. ცუდად გაგებული თავისუფლება ბევრ გაუგებრობას, ეგოიზმს ბადებს. რენტგენზე გამუქება რომ მოხერხდეს, ადამიანთა კავშირებისგან ტკივილთა ჭაობს მიიღებ. ცრემლი... ცრემლი... რამდენი ურთიერთობის ბოლოა იგი, რამდენი სიყვარულის დასასრული. ერიჰა! რა აღარ მიტრიალებს თავში, რა სენტიმენტალობის ჭირი შემეყარა, რას მივედ-მოვედები.

აქამდე რით ვერ შევამჩნიე, ნიკოს შორიახლო მანუჩარი დგას. გაშეშებული, გაფაციცებით შესცქერის მისი ხელებიდან შადრევანივით ატყორცნილ ფერადფერადი ქვების კასკადს — აღმა-დაღმა უწყვეტ სრბოლას დამორჩილებულს. კინაღამ ხმამაღლა დავიძახე ბიჭის სახელი. აღტაცებას ვერ მალავს, სახეზე ახატია ყველაფერი. წელზემოთ შიშველს მუხლზე გადაჭრილი ჯინსის შარვალი აცვია. ფეხები გაუფარჩხავს, მზერით მისდევს ნიკოს ხელებით მართულ ქვათა ნახევარრკალური რადიუსებით ფრენას. აქსელერატს ჰგავს, მაინც არ იქნება შვიდ წელზე მეტისა. ნიკომ თვალი ჩაუკრა და ისიც გათამამდა, უფრო ახლო მიდგა მასთან. მალე უკან დაბრუნებულ ყველა ქვას ცალ ხელში იგროვებს ნიკო, ბიჭს გამომცდელად ეკითხება:

— მოგწონს?

თავს უქნევს, ხოო, თან სთხოვს, აბა კიდეო. ისევ იწყებს წყლისგან ლამაზად გათლილი ქვების აშადრევნებას. შენც შეგიძლია ისწავლოო, აგულიანებს ბავშვს. როგორო, გაოცება და სურვილი ერთმანეთში ირევა. ვარჯიშის ამბავია, მეტი არაფერი, — უიოლებს ნიკო. კვლავ ხელისგულზე აგროვებს ჩამოცვენილ ქვებს. — ჯერ ერთით უნდა დაიწყო, უცქირე, აი, ასე. ერთი ხელიდან მეორეში ისვრი, მერე იქიდან აქეთ. ნებისყოფა ჭირდება, და დროც. როცა ამას აითვისებ, მეორე ქვას ჩართავ, მორიგეობით უშვებ მაღლა. აჩვენებს, ნახე, როგორ ფრენენ, შენ მხოლოდ ეხმარები, მერე მესამეს უმატებ და ასე შემდეგ.

— ნებისყოფა არა მაქვს, — ამბობს ბიჭი.

— ოჰო, საკუთარი თავისადმი კრიტიკული მიდგომა ნიშნავს, რომ ნაკლს დაძლევ...

ყურადღებით უსმენს ბიჭი, კიდევ რაღაცის თქმას ელოდება. ნიკოც არ აყოვნებს.

— რატომ არსად ჩანდი?

— არ ვიყავი აქ. მწვანე კონცხზე დაგვპატიჟეს. დედას ხან სად ეპატიჟებიან, ხან სად. — ამას სრული კმაყოფილებით ამბობდა.

— დედა აქ არის?

თითქოს მოუთმენლად ელოდა შეკითხვას, მანუჩარმა მაშინვე ცისკენ ალაპყრო თავი, ჩვენი მზერაც გაიყოლა გლისერზე ბაგირით გამობმულ ვეება, ჭრელი პარაშუტისკენ, დიდ სიმაღლეზე რომ მოფრინავდა პირსის გასწვრივ და ნარინჯისფერ სამაშველო ჟილეტიან მოხალისეს ანავარდებდა.

— აი, დედაჩემი. ფრინავს.

— გულადი დედა გყოლია, — გაეცინა ნიკოს.

მეტი აღარაფერი უთქვამთ, რადგან პარაშუტმა სიმაღლე დაკარგა და ერთბაშად შექანდა წყლისკენ. ეს ნიშნავდა, რომ მალე დაეშვებოდა. ბიჭუნაც დედისკენ გაეშურა. მირბოდა ქვიშაზე, ხელებს მიიქნევდა, დაუზოგავად ხარჯავდა ენერგიას.

გლისერების ზუზუნს როგორღაც შეეჩვია ყური, ძალიან აღარ მაღიზიანებდა, ეს იმის მაჩვენებელი იყო, ცოტა დამიწყნარდა ნერვები. ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც საინტერესოდ ვატარებდეთ დროს, მაგრამ ერთი დღე მეორეს მაინც არა ჰგავს. ფეხის ხმას ავყევით, რამდენჯერმე რესტორან-ბარს ვესტუმრეთ, სადაც უკვე შეიძლებოდა რია-რიას გარეშე, შენს გემოზე დაჯდომა, თონეში გამომცხვარი ხაჭაპურით, სამარკო შავი ღვინითა და ხილის ნაყინით თავის შექცევა, თორემ მართლა ყელში ამოვიდა ამდენი კატლეტი.

გემბანივით მოწყობილ ბარ-რესტორნიდან გასცქერი ზღვას, უერთდები მის გამჭვირვალე სილურჯეს, კვლავ და კვლავ ივსები იმ პირველყოფილი სიწმინდის შეგრძნებით, მიუხედავად ყველაფრისა, სულში იმედის ჩაძირული მეჩეჩებიდან მაინც რომ ჟონავს ცხოველ სხივად, მაინც არ გტოვებს სასტიკ ისტორიულ რეალობაშიც კი.

ზღვისმხრივა ღია კედლის აწეული ტენტები ისეთ განწყობას ქმნის, თითქოს წყალზე ტივტივებ. წარმოსახვითი ნელი რწევა მაცდუნებლად გიხმობს ჰორიზონტისკენ. სავსე ხარ ზღვის სურნელით, გამოუთქმელი სიხარული შეგპარვია ისე, რომ თავად გიკვირს. ჰოდა, აღარც მედარდება, მთელი ფული, რომლითაც ნიკოსთვის ზამთრის თბილი ქურთუკი და კიდევ რაღაც წვრილმანი უნდა მეყიდა, გამოიხარჯა. მთავარია, საგზურებზე სამ-სამი დღე დავამატებინეთ და უკვე გადახდილი გვაქვს (ეს ის დღეებია, სოციალური პროგრამის განმახორციელებლებმა თავიდანვე რომ ჩამოგვაჭრეს ადგილზევე). მაინც დაგვრჩა იმდენი, ხილისთვის გვეყოფა და მატარებლის ბილეთებისთვის. სადაც გინდა წახვიდე, გზა ბოლოს უკან გაბრუნებს, შინისკენ, შენს ნავსაყუდელში. სხვაგან ყველგან სტუმრადა ხარ, ყველგან მირაჟია, დროებითი, ხანმოკლე.

ურევს ამინდი, ჭირვეულობს. იქუფრება ერთბაშად, ნიაღვრდება და მალევე იდარებს.

წვიმიან საღამოს გავიცანით მირანდა — ის პატარა ქალი, ზღაპრული პარკის ბილიკებზე შეხვედრისას ზედაც რომ არ გვიყურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი კორპუსის მეორე სართულთა შემაერთებელი ხიდ-გადასასვლელის ქვეშ თავშეფარებულნი ვისხედით სკამზე მე და ნიკო, გავცქეროდით, როგორ ფეხად ჩამოდიოდა ცა. ისე ხმაურობდა წვიმა, ისეთი შიშინით შხაპუნობდა დანომრილ წიწვოვან ხეთა ტევრში, თითქოს ბუნებას ენა ამოედგა და ბეჯითად ყვებოდა რაღაცას.

– აი, ამას შეიძლება მოჰყვეს ტორნადო! – მოგვიგდო სიტყვა ჩქარი ნაბიჯით ჩავლილმა კაცმა, რომელიც ჩამოსვლისთანავე გაციებულიყო, გამუდმებით ჩაფუთული, ჩიოდა, ზღვაში ფეხი ვერ შევდგიო. – ისე დაბეჯითებით გვაუწყა, გვერდით მჯდომ ასთმიან ქალს ფერი დაეკარგა. თანმხლებ გოგონას მოუხდა მისი გამხნევება.

მირანდა კი მოვიდა და შორიახლო დადგა. ნიკომ ადგილი დაუთმო. შარვალი ეცვა, პატარა ბიჭს ჰგავდა. თავი მუსიკოს ევგენიძესავით ჰქონდა გაკრული.

– გემრიელად წვიმს, – თქვა მან.

მივტრიალდი, გავუღიმე და მის აზრს ასე გამოვუცხადე სოლიდარობა. ასთმიანმა ქალმა შეწუხებული მზერა ესროლა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მირანდას დამდუღრულივით ჰქონდა სახე, გატყავებული და წითელი. ვიწრო თვალები საგანგებოდ ჩაკერებულს მიუგავდა ანთებამორეულ ქუთუთოებში. ხელები, ასევე არაბუნებრივად წითელი, სახსრებამობურთული, ზედმეტად გრძელფრჩხილებიანი თითებით რომ იქცევდა ყურადღებას, მუხლებზე დაეწყო და გაჭიმული გასცქეროდა წვიმას. სხეულის სხვა ყველა ნაწილს ტანსაცმელი უფარავდა.

უხერხულობა ვიგრძენი მისი საბრალო იერის გამო, გავიფიქრე, ასე არ უნდა დავკვირვებოდი-მეთქი. მაგრამ გვიანი იყო და ყველაფერი იმით გამოვასწორე, ვკითხე: გიყვართ წვიმა? თავი დამიქნია, თვალში გამიყარა თვალი და შემძვრელი გულახდილობით მითხრა:

– ძალიან. სიგრილეში სუნთქვა მიადვილდება. მე ხომ ჩვეულებრივი ადამიანი არა ვარ, ისეთი, როგორც თქვენ ყველანი. – სახელო წაიწია და მკლავი მიჩვენა.

– ეს რა არის? – ვერ დავფარე გაოცება, როცა კანის მაგიერ რაღაც უხეში მუტაციური ტყავით დაფარულ მის მკლავს დავყურებდი.

– ასეთი დავიბადე, – ამიხსნა მან; ნიკოსაც უჩვენა, რომელიც ახლო მოდგა, უსიტყვოდ მონაწილეობდა ჩვენს დიალოგში.

არ ვიცოდით, რა გვეთქვა და გავჩუმდით. მერე ნიკოს შევთავაზე, დაჯექი-მეთქი, რადგან ასთმიანი ქალი და გოგონა წავიდნენ. სანამ ნიკო სკამს უკნიდან შემოუვლიდა და მეორე ბოლოსკენ ჩამოჯდებოდა, მირანდამ ყურში მიჩურჩულა:

– თქვენი მეუღლე ექიმია?

არა-მეთქი, თავი გავაქნიე.

– მე კი დარწმუნებული ვიყავი... პროფესორს ჰგავს. – ხმაში სინანული ეტყობოდა, რატომღაც, ჩურჩულს აღარ თვლიდა საჭიროდ.

ვუთხარი, სამხედრო ოფიცერია, უკვე თადარიგში გავიდა-მეთქი.

ნიკომ გაოცებით შემომხედა, მსაყვედურობდა, მაინცდამაინც მე რად ამირჩიე საუბრის თემადო.

– როგორც კი ჩამოხვედით, მაშინვე მოგაქციეთ ყურადღება, – აგრძელებდა მირანდა, – მართლა მსიამოვნებს თქვენი ცქერა. ასეთ ცოლქმრობაზე ღირს ოცნება. – ბოლო სიტყვები თავისთვის ჩაიდუდუნა.

მერე ვისხედით ჩუმად. უცებ ჩემთვის აღმოვაჩინე, რომ მირანდა, მთლიანობაში, ძალიან ჩამოჰგავდა იოკოს – ლეგენდარული ჯონ ლენონის საყვარელ მეუღლეს, რამაც მის მიმართ თანაგრძნობის განცდა გამიძლიერა. ამასობაში წვიმა თანდათან კარგავდა ძალას, აღარ ხმაურობდა, რბილად ელვრებოდა ზღვასა და ხმელეთს. ისეთი სიმშვიდე მოჰქონდა, ისეთი წონასწორობა, როცა შესაძლებლად თვლი, სამივე დრო – წარსული, აწმყო და მომავალი – საერთო სიბრტყეზე ჩარიგდეს და ურთიერთს მორგებული, ერთმანეთში ჩასხდეს. ყველაფერი ძალზე სუბიექტურია, მაგრამ მჭიდროდ გადანასკვული უხილავი საბელით, ჯადოსნურად რომ შლის ზღვარს რეალობასა და ოცნებას შორის.

ადამიანის ცხოვრებაში დგება პერიოდი, როცა ოცნება ლამის ხელობად გადაიქცევა. მე ვიტყოდი, რომ ოცნების უფლება განგების საჩუქარია. ანუ ესაა თავისებური ნიჭი პირობითი რეალობის შესაქმნელად, პირობით სიხარულებთან საზიარებლად. მერედა განა ეს ფარული, გასაიდუმლოებული სიხარულები არ გვექცევა ხოლმე ნამდვილზე ნამდვილ დღესასწაულებად, ვერაფრით რომ ვერ შევლევივართ, არაფერზე რომ არ გავცვლით? ხშირად ეს ნალოლიავები ტყუილია მთელი ჩვენი შემდგომ ნაგროვებ სიმართლეთა გადამწონი, სტრესებითა და ტკივილებით სავსე დღეების დამამარცხებელი. ოცნება ისეთი განძია, თუ დაკარგე, დალუპული ხარ.

წარსულში ჩემს ოცნებებს მოკრძალებული ეთქმოდა. მინდოდა, მქონოდა ბუხარი. მსურდა, გვერდით მყოლოდა ჩემზე შეყვარებული, ერთგული ქმარი. შინ ბილიარდის მაგიდა და, კიდევ, მსხმოიარე ლიმონის ხე დიდ ქოთანში. რა, განა ბევრს ვითხოვდი? ოცნებათაგან, ვინც მიცნობს, მიხვდება, რომელი ამიხდა.

მაგრამ ახლა, ამ წვიმიან საღამოს, რომ ავდგე და ახალგაცნობილ მირანდას, რომელსაც თევზის ქერცლის ქვეშ ჩვეულებრივი ადამიანური გული აქვს, ვუთხრა, მე, წესით, ბილბაოს მერის ცოლი უნდა ვიყო, მაგრამ ბედი შეტრიალდა-მეთქი, დაიჯერებს? არადა, ხომ სიმართლეა, რომ ეს ჩემმა მედიუმმა დაქალმა მიწინასწარმეტყველა. იგი ვანგასთან შედიოდა კონტაქტში ალფა დონეზე და ერთ-ერთი ასეთი საუბრისას ინფორმაცია მიიღო, რომ მე გავთხოვდებოდი ბილბაოს მერზე, ვინმე სეირან შანეტიზე, რომელიც ამავე დროს იყო მწერალი. მას შემდეგ დაქალი მადამ შანეტის მეძახდა. ჩვენ ამით ძალიან ვერთობოდით. ახალგაზრდობაში ყველაფერი დასაშვებად მიგაჩნია. მეც დავუჯერე მედიუმს, იქამდე, რომ ერთხელ, სიზმრადაც ვნახე ის ვირტუალური საქმრო. მითხრა, შანეტი ვარო. კაფანდარა, შავი კაცი იყო, უსახური. სულ არ ჰგავდა ნაოცნებარს. სიზმარი თქვი და, უაზრო მოლოდინისგან კი გამათავისუფლა.

ვახშმობისას მირანდა დავინახე. მარტო იჯდა ჩვენს უკანა მხარეს, სულ ბოლოში, საგანგებოდ განცალკევებულ მაგიდასთან. ხელი ამიწია, შინაურულად.

ვახშმის შემდეგ მანუჩარმა მოგვიკაკუნა. შემოვიპატიჟე. ცოტა კიდეც გამიკვირდა, უარი რომ არა თქვა შემოსვლაზე. ნიკოს ეძებდა თვალებით. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, როგორც ტოლმა ტოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვარჯიში ხომ არ გადაწყვიტე? — ჰკითხა ნიკომ.

არაო, იუარა, არა მაქვს მაგისი თავი. ერთ საათში დედაჩემი იქნება ტელევიზორში და გაგაგებინეთო.

ნიკომ მას ბომბორა ყვითელი მსხალი მიაწოდა.

მე კი ინტერესით ვკითხე:

— დედა რა პროფესიისაა?

დაბნეულად შემომხედა. მსხალი ერთი ხელიდან მეორეში გადააგორა.

— სად მუშაობს? რას აკეთებს-მეთქი, — დავუკონკრეტე.

მხრები აიჩეჩა, არ ვიციო, ისე, კარგი სამსახურია, ფულს ბლომად უხდიანო. მსხლისთვის მადლობა გადაიხადა და წავიდა.

მე და ნიკო ერთმანეთს შევაცქერდით.

— ნაღდად ჩვენი ჟურნალისტის ნამუშევარია, — დაბეჯითებით თქვა ნიკომ, — თანაც ბავშმა საგანგებოდ შეგვატყობინა. უნდა ვნახოთ.

გარეთ გავედით, რომ მოგვეძებნა ადგილი, სადაც ტელევიზორის ცქერა შეგვეძლებოდა. ფოიეში კი იდგა ტელევიზორი, მაგრამ კაცი და ქალი იქ სიგარეტს აბოლებდა და მე ვინამლებოდი. ნიკო თუ წაატანდა ხოლმე თვალს ეკრანს, ისიც გავლით.

კიბეზე მირანდა შეგვხვდა. ვკითხეთ, სად შეიძლებოდა მშვიდად ტელევიზორთან ჯდომა. მაგას მე მოვაგვარებო. ეზოს გადაღმა კოტეჯები რომაა, სულ ლუქსებია, ყველაში დგას ტელევიზორი. ერთ ოჯახს ვიცნობ, თქვენსავით ცოლი და ქმარია. გაეხარდებათ კიდეცო. ეზოში დამელოდეთ, ნომერში ავალ წუთით, მალევე დავბრუნდები და წავიდეთო. კონტაქტური ადამიანი ჩანდა, ფიზიკური ნაკლი სულაც არ ზღუდავდა ურთიერთობაში.

მართლაც მალე მოვიდა თეთრებში გამოწყობილი, თავზე პარიკდადებული. წამობრძანდითო, თითქოს საკუთარ სახლში გვიწვევდა, სანაპიროს ბულვარით წაგვიყვანა კოტეჯებისკენ.

ნიკო ყოყმანობდა, უხერხულია, უცხო ხალხს შინ როგორ შევეჭრათ, იქნებ სხვა რამ მოვიფიქროთო. მაგრამ მირანდამ დაგვამშვიდა, გვითხრა, ვერც წარმოიდგენთ, მე როგორი თავმოყვარე ვარ, მენდეთ, ძალიან გთხოვთო, დაგვანამუსა. რაღა დაგვრჩენოდა, დავყევით.

ბულვარი გადატვირთული იყო მოსეირნეებით. გამოფენილიყვნენ მორთულ-მოპრანჭულნი, საზეიმოდ განწყობილნი. ჰორიზონტს ჩამალული მზის ათინათიც აღარსად შერჩენოდა, ნიავი ცინცხალ ჰაერს გვაფრქვევდა, მთელი ფილტვებით უნდა გესუნთქა, ბოლომდე. დაბლა კი, სანაპიროს ბეტონის კედლის კიდე-კიდე, ადამიანთა ნახელავი — ნაგვის ჭრელაჭრულა გამოფენა — ისეთ დისონანსს აჩენდა, რომ იქით აღარც ვიყურებოდით.

მასპინძლებს ბულვარზევე გადავეყარეთ მოსეირნეებს შორის. აი, ისინიცო, გაიხარა მირანდამ. ცოლქმარი მას თბილად შეეგება, მოიკითხეს ერთმანეთი. მე და ნიკო განზე გავდექით. ისინი კი ცოტა ხანს ხმადაბლა საუბრობდნენ. მირანდა მალე მოვიდა, გასაღები გვიჩვენა, ჩვენს განკარგულებაშია კოტეჯიო.

შესასვლელი კარი რომ გააღო მირანდამ და შინ შეგვიძღვა, მივხვდი, შინაურად ითვლებოდა აქ. ტელევიზორი ჩართო. მაცივრიდან გამაგრილებელი სასმელები და შოკოლადის კოლოფი გამოიღო, ჭიქებიც ადვილად მოიძია. დიასახლისმა დამავალა გაგიმასპინძლდეთო. მიზნის განსახორციელებლად უკეთეს ადგილს მართლა ვერ ვინატრებდით. მალე ჩამობნელდებოდა, შუქიც ჩართო მირანდამ. გვერდით მომიჯდა, ალაპარაკდა:

— მიყვარს ახალი ადამიანების გაცნობა. — საუბრისას იგი ხელებს იშველიებდა. როცა უსმენდი, თან მისი ხელებისთვის უნდა გეცქირა. — ველოდები, ერთხელაც იქნება, ვინმე ისეთს გავიცნობ, ინფორმაციას მომაწოდებს ჩემი დაავადების შესახებ, რაღაც გზას მიჩვენებს.

პარიკზე უცნაური სუნამო ჰქონდა ნაპკურები. შევწუხდი, დისკომფორტი შემექმნა. მოვიმიზეზე, ტელევიზორს პირდაპირ მინდა ვუცქირო-მეთქი და ნიკოსკენ გადავჯექი. ახალ ამბებს გადმოსცემდნენ, მაგრამ ვერ ვისმენდით, რადგან მირანდამ ჯიბიდან ამოლაგებული ფერადი ფოტოები კარტივით გაშალა მაგიდაზე, სათითაოდ გვაწვდიდა, გვთხოვდა, დაგვეთვალიერებინა. ფოტოები, სადაც იგი შავი ბიკინითა და აზღუდით იყო გადაღებული, გასაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ენაჩავარდნილები დავჩერებოდით მოშავო ქერცლით დაფარულ მის სუსტ სხეულს, სხვადასხვა რაკურსით დეტალ-დეტალ აღნუსხულს, თვით ფეხისგულების ჩათვლით, და არ ვიცოდით, რა გვეთქვა. არც იყო საჭირო. მირანდა თავად ამბობდა ყველაფერს, გვათავისუფლებდა დუმილის უხერხულობისგან.

— სახეც და ხელებიც ასეთსავე მდგომარეობაში მაქვს, ოღონდ დამარბილებელ მალამოს ვისვამ, თვეში ერთხელ კი, როცა ამოიბერება კანი, გრძელი ნემსით შევდივარ, ზემოთ ვწევ და ვიტყავებ. საშინლად მტკივნეულია. რომ ნახოთ, თოთო ხორციდან როგორ მოჟონავს სისხლი, შეგეცოდებით.

მეცოდებოდა, მაგრამ როგორღაც დავიღალე. ამასობაში დასრულდა ახალი ამბები. ნიკოსი არ ვიცი, მე კი ინტერესით ვიყავი შეპყრობილი, რა სიუჟეტი მოამზადა ჩვენმა ჟურნალისტმა. ვნახოთ, იქნებ გააქარწყლოს ფოტოების ნახვით მიღებული კოშმარული შთაბეჭდილება.

— იწყება, უკვე იწყება, — ვთქვი ისე საგანგებოდ, რომ მირანდამ მაშინვე ააგროვა ფოტოები, კვლავ ჯიბეში ჩაიწყო.

ყურადღება ტელევიზორისკენ მივმართეთ. გამოჩნდა ნაცნობი ჟურნალისტი. პატარა მრგვალ მაგიდასთან იჯდა რაღაც გამჭვირვალე თეჯირის მარჯვენა მხარეს. თეჯირს მიღმა კი ახალგაზრდა ქალის სილუეტი მოჩანდა. ინკოგნიტოს კეფაზე აეგროვებინა თმა. ლამაზი, თხელი პროფილი ჰქონდა, ისეთი პოზა დაეჭირა, თითქოს ფოტოაპარატის გაჩხაკუნებასღა ელოდა. ჟურნალისტი ღელავდა. ეს ჩანდა მის გარეგნობაზეც და პირველივე წინადადებიდანაც, მაყურებელს რომ მიმართავდა, შეფარულად ბოდიშობდა, სიტუაციას აგუებდა. იმის მიხვედრას რაღა უნდოდა, რომ ეკრანზე მანუჩარის დედა იყო — გულადი, ლაღი ქალბატონი, ჭრელი პარაშუტით მონავარდე.

ჟურნალისტმა მოსალმება-მობოდიშება დაასრულა, მიბრუნდა, ინკოგნიტოს მიმართა:

— აქეთ ხომ არ ისურვებდით დაჯდომას, მაყურებლის პირისპირ?

ოდნავ დაყოვნებული პასუხი მიიღო:

— ვნახოთ, ჯერ ასე მირჩევნია.

— კეთილი. — თქვა ჟურნალისტმა, — უკვე აღარ ღელავდა, — გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე გახლავართ პროფესიონალი მეძავი, — დამაჯერებელი ხმა ჰქონდა, მოგუდული, ოდნავ ნაღვლიანი, სიგარეტისგან ჩაბოხებული.

— ამ შემთხვევაში რას ნიშნავს სიტყვა „პროფესიონალი"? ქვეყანაში არ არსებობს კანონი პროსტიტუციის შესახებ, რაც ლეგალიზებურს გახდიდა ხსენებულ პროფესიას.

— ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვმუშაობთ ორგანიზებულად. ამისთვის არ გვჭირდება კანონი. გვყავს პატრონი, რომელიც პასუხისმგებელია ჩვენზე. ის აგვარებს ტექნიკურ საკითხებს და ყველა სხვა პრობლემას.

— ის ვინაა, ეგრეთ წოდებული „მამაშა"?

— დიახ.

— კერძოდ, რას გიგვარებთ?

— ჩვენ ყველას გვაქვს მობილური ტელეფონი. გვიკავშირდება, გვიგზავნის მანქანას, გვაწვდის ინფორმაციას კლიენტზე, თუ როდის და რა სახის მომსახურება სურს. როცა ჯგუფურ სექსს უკვეთავენ, მაშინ რამდენიმე ერთად მივდივართ. თანხის რაოდენობასაც „მამაშა" განსაზღვრავს.

— მთლიანი რაოდენობიდან რამდენია თქვენი?

— ორმოცი პროცენტი.

— გაკმაყოფილებთ ასეთი წილი?

— კი, სოლიდური თანხა გამოდის. იქ კიდევ სამედიცინო მომსახურება, ფაქტიურად, უფასოდ. ჩვენ ხომ სხვებივით ქუჩაში არ ვდგავართ. ელიტარული მეძავები ვართ.

— ეს როგორ გავიგოთ? კასტებად იყოფით?

— რასაკვირველია. ჩვენ გავლენიან პიროვნებებთან გვაქვს საქმე, როგორც ადგილობრივ, ისე სტუმრად ჩამოსულებთან.

— რისკი? ეს საქმიანობა რისკთან არაა დაკავშირებული?

— რისკი ნაკლებია, პოლიცია გვიცავს.

— როგორ გიცავთ?

— ყევლანაირად. ვინმემ შეურაცხყოფა რომ არ მოგვაყენოს.

ჟურნალისტი უხერხულად იშმუშნება. წამიერად დუმს, თითქოს აღარ იცის, რითი განაგრძოს, მაგრამ მალევე ახერხებს მობილიზებას:

— თუ შეიძლება, გვიამბეთ, როგორ მიხვედით ამ მდგომარეობამდე. ადრე რას საქმიანობდით?

— ცოტა ხნით ფრანგულს ვასწავლიდი სკოლაში. გავთხოვდი, ბავშვი შემეძინა. ქმარი — უმუშევარი, მეც თითქმის ხელფასს ვერ ვიღებდი, ან პედაგოგის ხელფასი რაა... სხვები თურქეთში მიდიოდნენ სამუშაოს საძებნელად. მეც გადავწყვიტე... ბავშვი მეუღლესა და დედას დავუტოვე. დასაქმებას შეგვპირდნენ. მინდოდა, ოჯახი ფეხზე დამეყენებინა. ბოლოს გაყიდულები აღმოვჩნდით. ოთხნი ვიყავით და ოთხივე ტრეფიკინგის მსხვერპლი...

ნიკო გაღიზიანებული წამოდგა. გვეყოფა, ყველაფერი გასაგებიაო. კარგად მესმოდა მისი. დაუსრულებლად მართლა არ შეიძლება ღია ჭრილობების ცქერა. ესეც არ იყოს, სხვისი უბედურების სპექტაკლივით აღქმაც არ იყო ეთიკური. ამიტომაც მთხოვდა, წავიდეთო. დასჯილებივით ვიყავით. ამდენი უარყოფითი ემოცია... სხვა რომ არაფერი, მანუჩარი გვეცოდებოდა. სულელი. გაიგო, დედა ტელევიზიით გამოდისო და მოგვახარა.

მადლობა გადავუხადეთ მირანდას, მოვუბოდიშეთ, რომ ვტოვებდით. მას გასაღები უნდა ჩაებარებინა პატრონისთვის, თან გადაცემასაც ბოლომდე ნახავდა. უკანმიუხედავად გავეცალეთ სტუმართმოყვარე კოტეჯს, თითქოს ის ყოფილიყო დამნაშავე ყველაფერში, რაც კი ქვეყანაზე სისაწყლე და სივაგლახე ტრიალებდა. ჩაბინდული ბულვარი განტვირთულიყო. მდუმარედ დავადექით გზას. ზღვა დგაფუნობდა. მის სუნთქვა-ქოშინს ნელ-ნელა გამოვყავდით შთაბეჭდილებათა შემაღონებელი ზემოქმედებისგან, გვეხმარებოდა, დავცილებოდით სხვათა უბედურებას, რომელთანაც ჩვენი, რაც გინდა მძაფრი, ემოციური მუხტის შეერთება ვერაფერს შეცვლიდა. ვერ გაამყარებდა დასაღუპად გამეტებული ბედის ბზარშემდგარ ლიბო-სადგარს, რომლის გამოც დაუსრულებლად შეიძლება იწუხო.

ბოლომდე მდუმარედ ვიარეთ, სიტყვაწარხოცილი. საკუთარ თავს შერჩენილი დუმილი იქნებ თავისებური პროტესტიც იყო ადამიანური უსუსურობის გამო, ამაოებაზე ფიქრის მიზეზს რომ არ გილევს.

ნომერში დაბრუნებისას ვერ მოვითმინე, ნიკოს შევეკითხე, მაინც რა ჰქონდა მიზნად გადაცემის ავტორს-მეთქი?

— რაც გინდა ჰქონოდა, ასე პრობლემა არ გადაიჭრება, უბედურების ტირაჟირება არაა კარგი, მით უფრო, როცა ყველას ყველაფერი მშვენივრად მოეხსენება.

გამთენიისას გაავდრდა. ვერანდის მოაჯირზე გამეტებით აშხაპუნებდა წვიმა. ზღვა გრუხუნებდა, ზღვა თავის ბუნებას ერთგულებდა. თუ ამინდის ჭირვეულობით იმსჯელებდი, ტორნადოს შიში რეალური გარდაუვალობით იმოსებოდა. მხოლოდ ერთმა, განგებამ თუ იცოდა საშიშროების ხარისხი. ისიც მადარდებდა, რომ მოლოდინის ჩვევადქცეული არხეინობა ღია ხვრელებს უჩენდა ჩვენს უსაფრთხოებას. არავინ მოსულა, არ შემოუთავაზებია თავშესაფრის სამუშაოებში მონაწილეობა, რაც მიანიშნებდა, რომ თავდაცვის რაღაც სუროგატთან გვქონდა საქმე. ისე, აღარც ღირდა ამაზე განგაში, დასვენების ვადა საცაა ამოგვეწურებოდა. მანამ კი უნდა გველოცა, ამ რამდენიმე დღეს მშვიდობიანად ჩაევლო.

დილით მეზობელ ვერანდაზე დერმატოლოგი ხმაურობდა. ნიკო გამოელაპარაკა. არ ვიცი, რა უთხრეს ერთმანეთს. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყე დერმატოლოგის მეუღლისგან, რომ ოთახის შეცვლას ითხოვდნენ, რადგან მეორე მხარის მეზობლებს ძალიან შეეწუხებინათ.

— ცისფერები არიან, — ჩურჩულით მითხრა ქალმა, — მთელი ღამე არ დაგვაძინეს. სხვა დროსაც ყოფილა მსგავსი, მაგრამ წუხელ ნამეტანი ქნეს.

ერთი ყმაწვილი თურმე ეჭვიანობის სცენას მართავდა, მეორე ერთგულებას ეფიცებოდა ტირილით, ზლუქუნ-ზლუქუნით. თავს მოვიკლავ, თუ არ დამიჯერებ, მზე და მთვარე შენზე ამომდის, შენს გარდა არავინ მინდაო.

— ასეთი არაფერი გამიგია! — წუხდა ქალი, — უთუოდ რაღაც უბედურება დატრიალდება! — სიფრიფანა ხელისმტევანს მკერდზე იდებდა, თითებით იზლუჯავდა გულისპირს, ზედ წვრილ-წვრილი სოკოები რომ ჰქონდა მოჩითულ-მოფანტული.

— ეს რომელი ბიჭებია, ამერიკულდროშიანი პირსახოცები რომ აქვთ გადმოფენილი?

ქალმა თავი დააქნია, კიო, ფერდაკარგული თვალებით მრავალმნიშვნელოვნად შემომაშტერდა, ასე შემომჩიოდა, დავიღუპეთ, სინდის-ნამუსი საბოლოოდ დაიკარგაო.

მთელი დღე რიგი იდგა ჭადრაკის მაგიდასთან. ავდრის ბრალი იყო. ახალგაზრდებსაც კი გასჩენოდათ თამაშის სურვილი. სასადილოსკენ მიმავალ გზისპირა გაზონებში ნელი ცახცახი ასტეხოდათ დაცვარულ ვარდებს და ყოველ ჩავლაზე სურნელფრქვევით მიგაცილებდა.

ვახშამს ვამთავრებდით, მირანდა რომ მოვიდა ჩვენს მაგიდასთან. სათხოვარი მაქვს, გეხვეწებით, უარი არ მითხრათო. ერთი საღამო თქვენს გვერდით მინდა გავატარო, აქვე ახლო, კარგი რესტორანი ვიცი, სოლიდური ხალხი იკრიბება, მუსიკაც ცოცხალი შესრულებითააო. მოკლედ, გვეპატიჟებოდა. თუ პატივს დამდებთ და მიკადრებთ, ძალიან გამეხარდებაო. დროც დაგვინიშნა და შეხვედრის ადგილიც.

ნიკომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ცოდვას სად წავუვიდეთ, მაგას რესტორანში ფული დავახარჯვინოთ. ჩვენ რომ შეგვეძლოს დაპატიჟება, სხვა საქმეაო. ვუმტკიცებდი, უხერხულია, რას იფიქრებს, ზეიმი უნდა მოიწყოს, აქვს თუ არა შესაძლებლობა, თავად უკეთ არ იცის-მეთქი? მაშინ მარტო წადიო. იმას ჩვენ ასე ერთად მოვეწონდით, ჩვენს ანსამბლში სურდა შემოღწევა, ჩვენს ჰარმონიაში თავშეფარება. რასაკვირველია, ნიკოსაც ესმოდა ეს, მაგრამ კაცური ღირსება ბოჭავდა. იმდენი ვეჩიჩინე, ადამიანს სიხარული სწყურია, ამის მაგიერ, შეიძლება გული ვატკინოთ დაუმსახურებლად-მეთქი, რომ დავითანხმე.

რესტორანი სავსე დაგვხვდა. მაგრამ მირანდას ადრიანად დაეჭირა თადარიგი, მაგიდა გაჩახჩახებული დარბაზის განაპირას, ზღვის მხარეს დაეჯავშნა, სადაც თავისუფლად სუნთქვა შეიძლებოდა. ისეთი პურ-მარილი გაშალა, მართლა უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ნიკო არ ტყუოდა, უარზე რომ იდგა, მაგრამ უკვე გვიანი იყო და ჩვენც შევუერთდით საერთო ზეიმს. ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ყველას თანაბრად უხმობდა ამ ზეიმზე. თავდავიწყებით მღეროდნენ, მარტო მათ მოსასმენად ღირდა მოსვლა. მუსიკა კეთილმოსურნეობის უხილავ ქსელს აბამდა უამრავ სტუმარს შორის, შინაურულ ატმოსფეროს ქმნიდა. ესტრადის წინ საგანგებო ადგილი ვეღარ იტევდა ცეკვის მსურველებს. ზოგი, ჟინს აყოლილი, ადგილზევე როკავდა მაგიდებს შორის. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები, ხვითგადამსკდარნი, ნახევრად შიშველნი, მთელი კურორტიდან რომ მოგროვილიყვნენ თავდავიწყების ამ პატარა კუნძულზე, ნამდვილი შოუდქცეული საღამოს გასატარებლად. მოცეკვავეთა შორის ჩემი ნაცნობი გოგოც ერია — ოდესღაც სამხედრო გამომცემლობაში ერთად ვმუშაობდით. ისეთი კომპიუტერისტი იყო, ყოველ სიტყვაში რამდენიმე შეცდომის დაშვებას ახერხებდა. პარტნიორი ვერ ეშოვნა, დაქალთან ერთად ცეკვავდა ეგზალტირებულთა ტალღაში ჩართული.

მირანდა გამხიარულდა, ხელებს მაღლა იშვერდა, აქეთ-იქით არწევდა მუსიკის რიტმზე. შიგადაშიგ გვთხოვდა, მიირთვით, რატომ არაფერს ჭამთო. ვიღაც დაგვადგა მერე ფოტოაპარატით. ცას ეწია მირანდა, მისი დაბარებული ფოტოგრაფი აღმოჩნდა. ისეთი სამპაკუ ჰქონდა, თავდაყირა დამდგარი გეგონებოდა. სამი კადრი გადაგვიღო და წავიდა.

— მადლობელი ვარ, რომ არ გამანბილეთ, — კმაყოფილებით გვითხრა მირანდამ, ვშიშობდი, იქნებ მარტო ყოფნა გერჩიათ. კარგად ვიცი თქვენი ურთიერთობის ფასი.

მცირედი ჩაფიქრების შემდეგ კი ისეთი რამ გაგვიმხილა, კინაღამ დავიჯერე, აქ სწორედ ამის სათქმელად მოგვიწვია. უბრალოდ დაიწყო, თითქოს შეწყვეტილ ამბავს აგრძელებსო.

— მეც მქონდა სიყვარული, თანაც დიდი სიყვარული. ბავშვობიდან, სკოლის მერხიდან, ურთმანეთოდ ვერ წარმოგვედგინა. მაგრამ მისი მშობლები წავიდნენ წინააღმდეგი. უკრძალავდნენ ჩემთან შეხვედრას. ხომ გასაგებია, რატომ. მათ ჩვეულებრივი ადამიანი უნდოდათ შვილისთვის. მე ხომ ჩვეულებრივი არ ვიყავი. ღმერთმა გაჩენიდანვე გამომარჩია ყველასგან. მან კი, ჩემმა შეყვარებულმა, იმდენი იდარდა, დაჭლექდა. სკოლა ახალი დამთავრებული გვქონდა, რომ გარდაიცვალა. მას შემდეგ ცრემლი არ შემშრობია. ჩემი მარტო დარჩენის ყოველი წუთი მასთან ყოფნას ნიშნავს. აჰა, ორმოც წელს მივატანე ასე ვაივაგლახით.
— ღვინით სავსე ჭიქა აიღო, მოსვა, ეს მექანიკური პაუზა ძალის მოკრებაში დაეხმარა. ჩენი როლი კი საბოლოოდ გაირკვა. მსმენელად აგვირჩია. თან გვთავაზობდა, — მიირთვით, თან მიირთვით, ნუ გეხათრებათ, ვიცი, რასაც ფიქრობთ, მაგრამ სულ ტყუილად, წამოსვლისას ერთმა სპონსორმა დამაფინანსა, ფულის შოვნაზე ოფლი არ დამიღვრია. მე, ბატონო, დიახაც, უნდა მწყალობდნენ. ჩემნაირი ბევრი ხომ არაა. ოჯახსაც ვარგე, მშობლებს შეშა მოვუმარაგე საზამთროდ. დანარჩენი თანხა თან წამოვიღე, დასვენების დრო ჩემს გემოზე მინდა გავატარო. მოწყენა სახლშიც მეყოფა.

მდუმარედ ვუსმენდით. ის კი მოხერხებულად იყენებდა ჩვენს ყურადღებას, ამაყობდა თავისი მდგომარეობით. ნაკლი პოზიტიური კუთხით მოეტრიალებინა, ლამის ამპარტავნობამდე, ამბიციურობამდე აეყვანა. გაბმული მონოლოგით საკუთარ ბედისწერაში მოგზაურობა განეზრახა და ჩვენ თანამგზავრებად აგვირჩია. ძალზედ შესაბრალისი იყო. უცებ გავიფიქრე, რომ ასევე საბრალოა ნებისმიერი ადამიანი მთელს დუნიაზედ — გალაღებულიც და ბეჩავიც, ამ ჭუჭყიანი სანაპიროს მხიარული რესტორნიდან დაწყებული, ვიდრე ქვეყნიერების დასასრულამდე, სადაც არავინ, ერთმა მათგანმაც არ იცის, საიდან მოვიდა ან სად წავა ბოლოს ამდენი დავიდარაბის, ამდენი ადამიანური ლხინისა და ჭირის გადამტანი ცოდვილ მიწაზე — ამ მარადიული სასოწარკვეთის წალკოტში, სადაც ყველა შენ დაგეძებს, უფალო. ყველას სურს, შენს მოწყალე კალთამდე მოიტანოს თავისი დაღლილი სულის ნისლიანი ბილიკი. შენდობა მიეც ადამიანს, უფალო, რადგან ცხოვრება მისი სხვა არაფერია, თუ არა თავის გადარჩენაზე ზრუნვა. გადაარჩინე, გადაარჩინე ადამიანი, უფალო, შექმნილი შენს ხატად და მსგავსად, რომელიც ცოდვით დაეცა. ჰოდა, ისმინე ხმა ცოდვილთა გულების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვბეზრდა ჩვენი მასპინძლის მსმენელის როლში ყოფნა, პირადად მე ველარც ვუგდებდი ყურს. გავხედე უკვე ზომაზე მეტად ეგზალტირებულ დარბაზს. ძნელად გაარკვევდი, ხალხი სასმელს დაეთრო თუ მუსიკას. ერთ მაგიდასთან მანუჩარი შევამჩნიე. თავზე დასდგომოდა ახალგაზრდა ქალს და რაღაცას ემუდარებოდა. ქალი შეზარხოშებული ჩანდა, სიგარეტს შიგ პირში უბოლებდა თანამეინახე მამაკაცს, მზერამიბჯენით შეჰღიმოდა.

— ნახე, ვინაა! — ბიჭზე ვანიშნე ნიკოს.

— იმ ქალის ბავშვია, ტელევიზორში რომ ვნახეთ, — აგვიხსნა მირანდამ, — ერთად არიან.

მირანდამ ყველაფერი იცოდა. შემეშინდა, არ დაეწყო მოყოლა გადაცემის იმ ნაწილისა, ჩვენ რომ მივატოვეთ. მაგრამ შევცდი, არც უფიქრია. ამის გამო გულში ათას მადლობას ვამბობდი. მანუჩარის დედა კი ლამაზი ქალი იყო, რაც მართალია, მართალია. შვილი მსუბუქი ხელისკვრით მოიცილა, რაღაცაზე თანხმობა მისცა და მანაც კუნტრუშით მიაშურა გასასვლელს.

ვისხედით ერთხანს, გავყურებდით ზედმეტი მოლხენით გადაღლილ ხალხს, მეხსიერება ჯიუტად იმეორებდა სამპაკუ ფოტოგრაფის ფიზიონომიას, რომელსაც მირანდამ სათავისოდ გააცოცხლებინა ეს საღამო, რათა თავის წარსულში ჩაეკრა ექსპონატივით. „მას წარსულით შეუძლია ტკბობა“. „წარსული მართლაც საიმედო დროა“. „აწმყო მიდის, წარსული კი ერთ ადგილას დგას“. „ვერავინ წაგართმევს წარსულს“. „წარსული ფასდაუდებელი განძია“. „წარსული...“ „წარსული...“ ჩემი ფიქრებია ეს. საკუთარ თავთან ვერთობი.

რესტორანში დიდხანს აღარ დავრჩენილვართ. მირანდას მადლობა გადავუხადეთ. ეტყობოდა, საღამოთი კმაყოფილი დარჩა. გარეთ ცა მოწმენდილი შეგვეგება. ვარსკვლავები ციკციკებდნენ აქა-იქა. მოსეირნეები გვხვდებოდნენ გზადაგზა, უმალ კი მათი ფეხის ხმები, გრილი ასფალტი ზომიერი ჭახანით რომ ისხლეტდა. უკნიდან კი მოგვდევდა რესტორნის მუსიკა, რომელსაც მალე დავივიწყებდით.

დილით ადრიანად მივაშურეთ ზღვას, რადგან საუზმის დამთავრებისთანავე ვაგზალზე ვაპირებდით წასვლას. წინასწარ უნდა შეგვეძინა მატარებლის ბილეთები. პანსიონატში ქალი იყო ამ საქმეზე განპირობებული, პეპელას ეძახდნენ. ყველა მას კითხულობდა. ისმოდა სულ ერთი და იგივე პასუხი — მალე მოვაო, ახლახან აქ იყოო, ბილეთებზე თუა წასულიო, ალბათ, საცაა გამოჩნდებაო, მოვა, აბა რას იზამსო და რაღაც ამისი მსგავსი. პეპელა ატყუებდა, ანერვიულებდა დამსვენებლებს. სად მქონდა მისი ნერვები. ვარჩიე, თავადვე დაგვეჭირა ბილეთების თადარიგი. სამარშრუტო მიკროავტობუსით გადავიქროლეთ ქალაქის გრძელი, ცენტრალური ქუჩა. ვაგზლის სალაროსთან მოზრდილი რიგის კუდს შევუერთდით და ლოდინისთვის განვეწყვეთ. ვხედავ, ვიღაც სამხედროფორმიანი კაცი მოდის ნიკოსთან, სახე უბრწყინავს მის დანახვაზე, ხელს უწვდის და ეუბნება:

— გამარჯობა, ბატონო პოლკოვნიკო. როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ. თქვენ როგორ... — თავაზიან ღიმილს აგებებს ნიკო, როგორც სჩვევია, ოდნავი ქედწადრეკით, როცა თავისი სიმაღლიდან სხვის ადამიანურ ღირსებას უსვამს ხაზს.

— სამოქალაქო ტანსაცმელიც გიხდებათ, ბატონო პოლკოვნიკო, — მის ნათქვამში ისეთი მოკრძალებაა, აშკარად ახარებს ეს შეხვედრა.

ვიფიქრე, კაცებმა, ჯობს, თავისთვის ისაუბრონმეთქი. ჰოდა, გარეთ გავდივარ. ღია ბაქანზე არავინაა, მტრედები დაგოგმანობენ მხოლოდ. არ ფრთხებიან, აინუნშიც არ მაგდებენ, ზედ ფეხებთან მიტრიალებენ. კარგი განცდაა. ერთხანს მათ შორის მიმოვდივარ. მერე ისევ მოსაცდელში ვბრუნდები. რიგის შორიახლო ვდგები. ისევ საუბრობენ. კაცი ამბობს:

— კაზაკებთან მშვენივრად ვგრძნობ თავს. კარგი პირობებია. თუ მოისურვებთ, სიამოვნებით მიგიღებენ. თქვენი კვალიფიკაციით გენერლობა ეგრევე განაღდებული გაქვთ. იფიქრეთ, აბა!

— არა, — გადაჭრით ამბობს ნიკო, ნელა გააქნევს თავს აქეთ-იქით, — ეგ საჩემო საქმე არაა.

— ვიცი, ვიცი, — მოიბოდიშებსავით კაცი, — ჰო, თქვენნაირი პატრიოტისთვის. — ტუჩებს წელავს უცნაურად, ჩაფიქრდება, — თქვენი გაშვება ჯერ როგორ შეიძლებოდა. ისეთები მუშაობენ, ფუჰ... თქმაც არ მინდა.

— მე ხომ საკუთარი სურვილით წავედი.

— კი, გასაგებია. მაინც არ უნდა გაეშვით. თან იმ ორდენზეც როგორ განაცხადეთ უარი! — გაოცებას ვერ მალავს, თვალები უფართოვდება. — იგი ღირსების ორდენს გულისხმობს, რომლის მიღების უფლება, ნიკოს აზრით, არც ერთ ქართველ ოფიცერს არ ჰქონდა, ვიდრე აფხაზეთი დასაბრუნებელია.

ისევ ბაქანზე გავდივარ. რიგი ნელა მიიწევს წინ და მტრედებთან ყოფნას ვამჯობინებ, უწყინარ ზურგებმოხატულ-მოხავერდებულ მშვიდობის დესპანებთან — სულიწმიდასავით რომ მოფენოდნენ იქაურობას.

უკან დაბრუნებისას, სამარშრუტო ტაქსში ვკითხე ნიკოს, ის კაცი ვინ იყო-მეთქი? ოფიცერიაო, მოკლედ მომიჭრა, ცოლ-შვილის წასაყვანად ჩამოსულა.

პანსიონატში საშინელი ამბავი დაგვხვდა. პარაშუტიდან ქალი ჩამოვარდნილა და დაღუპულა. ყველანი სანიტარულ კორპუსთან მოგროვილიყვნენ. ჩვენც მაშინვე იქით გავეშურეთ. შენობის წინ სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა. თავშეყრილნი მდუმარედ შესცქეროდნენ კორპუსში შესასვლელი კარის ღიობს, სადაც არავის უშვებდნენ. დროდადრო მთავარი ექიმი გამოიხედავდა. კარგი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა საერთოდ, ყურადღებიანი იყო, ბიუროკრატიზმისგან თავისუფალი. სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლს მოუხმო თვალებით. ისიც შევიდა. ცოტა ხანში უკანვე დაბრუნდა. კარის ღიობში ფრაგმენტულად მოჩანდა, როგორ ფუთფუთებდა თეთრხალათიანი მედპერსონალი.

სიკვდილი თვალით არ ჩანდა, მაგრამ იგი, ასე მოფარებული, მთავარი ექიმის გაფითრებისა და ჩუმი განგაშის მიზეზად ქცეული, შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა, აფორიაქებდა პანსიონატის მშვიდ ცხოვრებას, ჩურჩულ-ოხვრად, გაოგნებულ დუმილად თუ სიკვდილთან შეხვედრის გახევებულ ლოდინად რომ გარდასახულიყო. აქა-იქ თუ ისროდა ვინმე ორიოდ ფრაზას, ისიც მოზომილს და განზოგადებულს. გავიგონე, რომ თქვეს: ეჰ, რომ იცოდე, სად წამოგეწევაო; ყველა სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ უაზრო სიკვდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამეტანიაო; დღევანდელ დუხჭირ ყოფაში რამდენი ნატრობს სიკვდილს, მაგრამ ის სულ სხვას ირჩევსო; და რაღაც ასეთები, რასაც აღარ ვუსმენდი, ოღონდ აშკარად ვგრძნობდი სიკვდილის წინაშე გამოუთქმელ კრძალვას. რამდენად პარადოქსადაც უნდა ჩანდეს, შინაურულად ლაპარაკობდნენ მასზე, როგორც კარგა ხნის შემოჩვეულ სტუმარზე, რომლის წინაშეც დასაბამიდან დადგენილა ნებაყოფლობითი ვალდებულებები — გამოხატული ყურადღებასა და პატივისცემაში. ვინ იცის, ამ განცდას იქნებ საყოველთაო გარდაუვალი ხვედრის მომენტი ბადებდა და არა მხოლოდ შეუცნობლისა და ძლიერის წინაშე მორჩილება.

დაიძახეს, გთხოვთ, ყველამ უკან დაიხიოთ, გზა დაცალეთო. საკაცე გამოჰქონდათ, ზედ თეთრი ზეწარი ეფარა, რომელიც მოძრაობაში ცალ მხარეს ოდნავ დაცურებულიყო და ქალის სალუქი, ჯერ ისევ ნორჩი მხრისთავი გაეშიშვლებინა. საკაცეს მთავარი ექიმი გამოჰყვა. თეთრხალათიანებიც გარეთ გამოეფინენ. მერე დავინახე მანუჩარი — ნაცემივით აწურული, გაცრეცილი, ჩვენს მასაჟისტს მოჰყავდა ხელგადახვეული. მივხვდი, ბიჭი ბოლომდე გაემეტებინა ბედისწერას. შვილო, შვილო, მიატირა ვიღაცამ თანაგრძნობით. უბედურების სიმძაფრის ბარომეტრი მართლაც რომ მეხდატეხილი ბავშვის მზერა იყო, საკაცის მოძრაობას მიდევნებული, სავსე დაუჯერებლობის ტანჯვით.

საკაცე მანქანაში შეაცურეს, ვიღაც თეთრხალათიანი კაციც შეჰყვა. სართულის დიასახლისმა ჩანთები მოიტანა და ცხედრის გვერდით ჩაალაგა. ესეც შენი დასვენებაო, წასცდა ვიღაცას. მაშინვე სხვა ხმაც წაება: დაეტიე მიწაზე, რა ფრენა აგიტყდა, გასკდა გული საცოდაობითო. ისიც იკითხა ერთმა, ხომ იცით, ეგ ვინ არისო. მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, არ მიეცა ჭორაობის ასპარეზი.

მანუჩარი მძღოლსა და სასწრაფოს ექიმს შუა დასვეს. კიდე ერთიც მიუჯდათ. გვიან ვიცანი, მათი წუხანდელი თანამეინახე კაცი იყო. მანქანამ ნელი სვლით ჩაიარა. როცა ირგვლივ მოვატარე უნებლიე მზერა, მივხვდი, მისმა საბურავებმა ქვიშით მოპირკეთებული სავალი გზის შრიალთან ერთად ამ ხალხის არაერთგვაროვანი, ჭრელ-ჭრელი მოსაზრებებიც წაიღო.

ნიკო, რომელიც აქამდე ვერსად შევნიშნე, გვერდით მედგა. თვალები დაღლოდა ნერვიულობით.

გული მწყდებოდა, რომ ვერ ვანუგეშეთ მანუჩარი, ჭირში ვერანაირად შევეხიდეთ. მისამართი მაინც ვიცოდეთ-მეთქი, დავიჩივლე, სუფრას რომ ვუსხედით სადილზე. ლუკმა არც ერთს არ გადაგვდიოდა. ნიკოს იმედი ჰქონდა, რომ მისამართს პანსიონატის ადმინისტრაციაში გავიგებდით.

სურვილი გამიჩნდა, ნიკოს ოდესმე ეამბნა ბიჭისთვის, თავადაც როგორ დაობლდა შვიდი წლის ასაკში. მისი გერმანელი დედა — ტევტონ ბარონთა შთამომავალი, მუცლის ტიფს ემსხვერპლა. ეამბნა ისეთი განცდით, როგორც მე მითხრა ერთხელ, მთელი ცხოვრება უეცრად გამქრალი დედისკენ უკან თავმიბრუნებულმა გამოვიარეო. მერე, დედინაცვლის ვირტუოზული მოხერხებულობის წყალობით, ძმასთან ერთად როგორ ჩააბარეს ინტერნატში, რომელიც უპატრონო ბავშვთა სახლის ფუნქციას ასრულებდა და კვირაობით მამის მოტანილ კამფეტებს როგორ ჩამოურიგებდა ამხანაგებს — ბედისგან უფრო დაჩაგრულთ იმ იმედით, მამა ისევ მომიტანსო, ეს იმედი როგორ ეხმარებოდა, უმსუბუქებდა ლოდინს მამასთან შემდეგ შეხვედრამდე. მსურდა, სცოდნოდა ბიჭს, რომ ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ბავშვობაც გამოცდაა სამომავლო კაცობისთვის.

იმ სატელევიზო გადაცემას კი გაოგნებამდე მივყავდი. რა ერქვა ამას, ნუთუ საქვეყნოდ ნათქვამი აღსარება? ტორნადო, ჩემის გაგებით, ფაქტობრივად, უკვე თავსდატეხილი იყო. და, საერთოდაც, ნებისმიერ დროს შეიძლება ელოდო მას, ვიდრე ცხოვრება ბრძანებით კილოში გელაპარაკება, ვიდრე არწივის ფრთებზე მეოცნებეს იხვად ყოფნას გაიძულებს. ჩვენ ვერ ვიქცევით გმირებად, თუკი არ მოგვეპყრობიან, როგორც გმირებს. და ვერც ადამიანად ყოფნის აღმაფრენა დაგეუფლება, როცა იცი, დრომ დასაღუპად გაგწირა.

უფალო იესო, თავმდაბალო და მორჩილო, ძლიერებაო უძლურთაო, ტაძარო სიყვარულისა, შენ ხომ ფეხები დაბანე მოწაფეებს, თუმც იცოდი, ერთი იმათგანი გაგყიდიდა. წყალობა მოეც, უფალო, სამშობლოს ჩემსას, სადაც აირია კეთილისა და ბოროტის გაგება, სადაც მამონას მეუფებაა, ყოველივე ერთმანეთშია აღუფხული. კაპიტალიზმი შემობრძანდა, ველური და სასტიკი. არც დაუკაკუნებია, ისე შემოგლიჯა კარი ნაბიჭვარივით ფსიქიკადარღვეულმა, უსახურმა და გულგრილმა. რამდენმა წერა-კითხვის უცოდინარმა აზზიკა ცხვირი, რამდენი თაღლითი აღზევდა. მეც შემინდე, კეთილო იესო, თუ მძულს და ვწყევლი ბოლომდე ჩამოუყალიბებელ, ველურობისა და მტაცებლობის, ფულის ტომრადქცეულთა ასპარეზად გამხდარ დროს — ჩემი ქვეყნის პატიოსან ადამიანთა დამცირებისთვის, წიგნიერთა უსასოობისთვის, მშიერი ბავშვების კოშმარული სიზმრებისთვის, მოხუცთა სამათხოვროდ გაწვდილი ძვალტყავა ხელებისთვის. მზად ვარ, მივატოვო ოჯახი, გავიქცე არა უკეთეს, მოწესრიგებულ კაპიტალიზმში, არა უცხო კეთილდღეობაში, არამედ ყველაზე ხალხმრავალ მოედანზე და ცისა და მიწის გასაგონად ვიკივლო: ჩამაშენეთ! სამშობლოს გადამრჩენელი ტაძრის კედელში ჩამაშენეთ! შემწირეთ ჩემი ხალხის აღდგომისთვის აგებულ სალოცავს.

სულიერი ამბოხი გამიძლიერა უცნობი ქალბატონის ენითგამოუთქმელმა სევდამ. მას შიგ ზღვაში შევხვდი გვიან საღამოს. დამსვენებლები ვახშმად გაკრეფილიყვნენ. როცა მორკალულ ნაპირს გავადევნე მზერა, კამკამა, ხავერდოვან წყალში მხოლოდ ის იდგა, ერთ ადგილას, გაუნძრევლად. თავზემოთ თოლია დასტრიალებდა, დაფრენდა კამარაშეკვრით, თანაბარ რადიუსებზე. ქალს მლოცველივით აეშვირა მისკენ ხელები.

ცარიელი, ყვითლადგადასარკული ზღვის მაგიური სიმშვიდით წვეული შთაბეჭდილება რამდენიმე სიტყვით გავუზიარე ნიკოს და, როცა მან ყვინთვაყვინთვით სიღრმისკენ გასწია, მე ქალისკენ გავცურე. შორიახლო შევჩერდი, გამომხედა თუ არა, საღამო მშვიდობისა ვუსურვე. მისალმებითვე მიპასუხა, ნაცნობივით გამიღიმა. ცოტა ხანს ერთად ავცქეროდით თოლიას, მაგრამ ის გაფრინდა. საუბარი დავიწყეთ. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ზღვისადმი სამადლობელში. აღფრთოვანებით აღვნიშნავდით, რომ შესანიშნავი წყალი იყო. რომ ასეთ ზღვას იშვიათად თუ ნახავდა კაცი. ამ საღამოს დავიწყება კი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკ

უძლებელია, მთელი ცხოვრება გვემახსოვრებოდა. წყალი თითქოს გესაუბრებაო, თქვა მშვიდი ხმით. სადაური ბრძანდებით-მეთქი? სოხუმიდანო. ამ ლამის საკრალურადქცეულმა სიტყვამ ყველაფერი შეცვალა. ქალი ერთი იმ სამასიათასთაგანი იყო, საკუთარი კერიდან აყრილთ, ხელისუფლების ბედოვლათობის გამო, უსამანო ვაება რომ ხვდათ ბედად. აღარ ვიცოდი, რითი გამეგრძელებინა და უფრო ახლო მივცურდი თანაგრძნობის ნიშნად. მინდოდა, ხელით შევხებოდი, თითქოს ასე უფრო გამოვხატავდი, რომ ვიზიარებდი მის ხვაშიადს, მაგრამ შემეხათრა. ეფერებოდა წყალს – მკლავებს ნელა უშვებდა შიგ, განივად აცურებდა, მერე ისევ ზემოთ ამოჰქონდა. ერთსა და იმავე მოძრაობას იმეორებდა.

სანამ შინ არ დაბრუნდებით, ყველანი ლტოლვილები ვიქნებით, მთელი ქვეყანა-მეთქი. ეს სიტყვა არ მიყვარს, ვერ ვიტან, ლტოლვილებად რომ მოგვიხსენიებენო. მოვუბოდიშე, მართალი ბრძანდებით, ხომ მაინც თქვენს სამშობლოში ხართ-მეთქი. მერე მისი სახლის შესახებ ვკითხე, თუ იცოდა რამე. კიო, დგას, ორსართულიანი სახლია, არ გადაუწვამთ, აფხაზები ცხოვრობენ შიგო. ისე ამოიოხრა, ზღვის წიალს შეაჟრჟოლებდა.

– ყველაზე მეტად ჩემი შვილების პატარაობის ფოტოები მენანება, – თქვა ჩაფიქრებით, – ამას ხომ ველარაფრით აღადგენ.

მუსიკათმცოდნე იყო, თინა ერქვა, ოჯახით თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში შეხიზნული. მეუღლისთვის გულის „შუნტირება" გაეკეთებინათ თურქეთში. ოპერაციიდან პირდაპირ აქ ჩამოეყვანა. გვერდიდან არ ვცილდები, მაგრამ ახლა ცოტა დრო მოვიხელთე, უფრო სწორად, თავად მთხოვა, წადი, იბანავეო. კარგად მესმოდა, ზღვა ქალატონ თინასთვის რასაც ნიშნავდა. ღირსეული ადამიანი ჩანდა, საკუთარ ურვაში ჩაკირული, ფესვმოკვეცილი, მაგრამ მაინც მყარად მდგარი. აშკარად იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც ადამიანური სითბოს გაცემა შეეძლო. ამიტომაც ვერ მოვცილდი იოლად, ვიდრე ნიკო იქამდე არ მოცურდა, რომ ხმა მოეწვდინა ჩემთვის. დამშვიდობებამდე მოვასწარი, ის თოლია მოვაგონე, თავზე უცნაურად რომ დასტრიალებდა.

– ჰო, ცოტა ვესაუბრე. ვინ იცის, აფხაზეთიდან იყო გადმოფრენილი, ვიფიქრე, იქნებ ქართულის მოსმენა მოენატრა-მეთქი. – ეს მთელი სერიოზულობით თქვა.

ცოტაც და ავტირდებოდი. ხელის დაქნევით გამოვემშვიდობე. მანაც ასევე მიპასუხა.

ნომერში დაბრუნებული ძალაუნებურად ვფიქრობდი ახალგაცნობილზე. ვიცოდი, ძებნას დამიწყებდა. ვინანე, რად არ ვუთხარი, რომ ჩემი დრო ამოიწურა და უკვე მივდიოდი. გვიანობამდე არ დამეძინა. ათასნაირად წარმოვიდგენდი იმ ორსართულიან სახლს, ფოტოსურათებს, რომლებშიც მისი შვილების ბავშვობა ჩარჩა და ეშმაკმა უწყოდა, ვისმა ხელმა გაანადგურა. ეს ჩვენი ბოლო ღამე იყო პანსიონატში. მეორე დღეს, საუზმის შემდეგ, მე და ნიკო შინ მივემგზავრებოდით. ღამით ისევ გაავდრდა. აბორგდა ზღვა, თითქოს საგანგებოდ, რომ მასთან განშორებით ნაკლებად დაგვწყვეტოდა გული.

დილითაც წვიმდა. მოიწყინა პანსიონატმა. სასადილოში უხალისო ზუზუნი დამდგარიყო. ვეება მოსაცდელ დარბაზში გეგონებოდა თავი. გარეთ გასვლას არავინ ჩქარობდა, ისხდნენ, ერთმანეთში საუბრობდნენ.

საუზმე არ დაგვესრულებინა, რომ სასადილოს მომსახურე პერსონალმა მოგვაკითხა გამოსაშმვიდობებლად. გვთხოვეს, კიდევ ჩამობრძანდით, გაგვიხარდებაო. მერე მოვიდა მირანდა, დადგა აწურული, მშვიდობის გზა გვისურვა. მოწყენილი ჩანდა, ჩაწითლებული ქუთუთოები თითქოს ერთმანეთზე ეკვროდა. დერმატოლოგმა და მისმა ცოლმაც არ დაგვტოვეს უყურადღებოდ, ჩვენც მალე წავალთ, რამდენიმე დღეშიო. იცი რა? – უთხრა დერმატოლოგმა ნიკოს. – ვნატრობ, ერთი კანის დაავადება ბოლომდე განმაკურნინა, თუნდაც ერთიო. ჭაღარა ქალმა, რომელიც წიწვის ხმელი ნემსებით ქსოვდა ხოლმე, თავისი ნახელავი სუვენირი მოგვართვა სახსოვრად. რაღაც დეკორატიული წრე იყო, სპირალურად დახვეული, აკურატულობით, გულმოდგინედ ნაქსოვი.

ტაქსი ჭიშკართან მოგვაკითხავდა. დრო იმდენი გვრჩებოდა, ნომრიდან ბარგი ჩამოგვეტანა და დათქმულ ადგილას მივსულიყავით. ნიკო, რომელიც დაწინაურდა, უცებ შედგა, დარბაზის შუაგულისკენ გაიხედა, მარჯვენა ხელი აღმართა და ვიღაცას გასძახა:

– თბილისიდან მზეს გამოგიგზავნით!

რასაკვირველია, ეს დამშვიდობებას ნიშნავდა, იყო კეთილი სურვილები თბილი დღეებისა და სიხარულების. ამ სურვილთა ადრესატი ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდომი ქალბატონი აღმოჩნდა. მაშინვე ვიცანი. პროფესიონალი მსახიობი არ ეთქმოდა, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობისდროინდელ ორიოდ ფილმში გადაღებამ ნამდვილი ვარსკვლავის იმიჯი შეუქმნა. ახლაც, ასაკოვანსაც, კვლავ ამკობდა თვალისმომტაცი ხიბლი. ლამაზი სახე ღიმილმა გადაუმზიანა. მეამა მისი ხილვა, ახლობელივით დავუქნიე თავი.

გარეთ რომ გავედით, ნიკოს შევეკითხე:

– იცნობდი?

– არა, საიდან! – მიპასუხა გულწრფელად.

რაღა მეთქმოდა. ერთადერთი გზა დამიტოვა, არ უნდა გამეშვა შანსი. მაშინ მე შევძელი და ავმაღლდი ვიწრო მეშჩანურ-მესაკუთრულ ცნობიერებაზე. გავიმარჯვე, ვაჯობე ჩემს თავს. ამასთან, მოვახერხე ყველაზე მნიშვნელოვანი – ამ გამარჯვების სიამაყით ტკბობა, რაც დამეხმარა, მყის მათ სიბრტყეზე აღმოვჩენილიყავი, საიდანაც უკვე მიადვილდებოდა, დამენახა ჭეშმარიტების გაუყალბებელი სურათი: ორი მშვენიერი ადამიანის – ქალისა და კაცის – ერთმანეთისადმი თაყვანი, რისი უფლებაც ღვთისგანაა დადგენილი. და კიდევ, ეს იყო სილამაზეთა თანხმიერება, ერთმანეთის ფარდი და ღირსი სრულყოფილების წუთიერი შეხვედრა, სახილველადაც წარმტაცი, ასე ბუნებრივად, ადამიანური ღირსების სიმაღლეზე. შეხვედრა ხანმოკლე, როგორც ცისარტყელას გამოჩენა, ან ფანჯრიდან დანახული კოპწია ყვავილი, როცა მატარებელი სწრაფად ჩაუქროლებს რომელიღაც სადგურისპირა წალკოტს, სადაც შესაძლოა, აღარასოდეს მოხვდე. ის კი, გზად შემოფეთებული სილამაზე, მყისიერად რომ გაჯადოებს, იქნებ მთელი ცხოვრების მანძილზეც გაგყვეს და გითბობდეს გულს. აი, ასეთი თვისება აქვს მშვენიერებას.

ვეშაპები კი, დაადგინეს, რომ ერთსა და იმავე სიმღერას მღერიან. მხოლოდ მამრი მღერის, ასე მოუხმობს მღერის, როცა სიყვარული სწყურდება და სიცოცხლის განახლების დაუოკებელი სურვილი იპყრობს.

*2003 წ. ივლისი*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რამაზ გიგაური

### ლექსო, შენ საქართველო ხარ...

*„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო...“*
მიხა ხელაშვილი

ლექსო, მთები ხარ, მდელო ხარ,
მწვანე ბალახით მდიდარი,
ლექსო, შენ საქართველო ხარ —
ქართველთა დასაფიცარი...
ლექსო, უშბა ხარ, შხარა ხარ
და მყინვარწვერი მაღალი,
არწივის ხმა ხარ მყივანი,
ჯიხვის რქის რქაზე ჯახანი!
ლექსო, ვაჟა ხარ, აკაკი,
რუსთაველი და ილია...
ლექსო, ის გზა ხარ, აქამდე
რაც ბრძოლით გამოგვივლია.
გორგასალი ხარ, დავითი,
გვირგვინოსანი თამარი...
(არ მიწერიხარ ძალითი,
ლექსო, ნაღდი ხარ, ალალი).
ლექსო, პაატას თავი ხარ
და ქეთევანის სხეული...
სამასი არაგველი ხარ
ზვარაკად გადარჩეული.
დიდი დიდგორის ომი ხარ,
მარტყოფი ხარ და მარაბდა,
ლექსო, ხოგაის მინდი ხარ,
ვეფხის და მოყმის ბალადა.
საინგილო ხარ, ტაო ხარ
და აფხაზეთი — მესამე,
მეოთხე — სამაჩაბლო ხარ,
რაღა ვთქვა, შენი კვნესამე?!
ლექსო, მთები ხარ, მდელო ხარ,
წინაპრის კუბოს ფიცარი,
ლექსო, შენ საქართველო ხარ —
ქართველთა დასაფიცარი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

უკრავს დაფი და ბობღანი,
ჩემს პორტრეტს ხატავს ნიკალა,
მიწიდან მე ამოგბღავი,
ზღაპრიდან – ხარი-წიქარა.
არც ჰანგი მინდა, არც ტილო,
თუ კი შენ არა ხმაურობ...
სადამდე უნდა მატირო,
ჩემო ლამაზო მამულო.

## გაგას ცხენი

მზე დაბლა იწევდა
თავში ხელს იცემდა
და ხმით დასტიროდა გაგას,
ლურჯა ჭიხვინებდა,
აღარ იძინებდა,
ღრღნიდა გაშმაგებით ლაგამს.
გაგა ხომ მოეკლათ,
მარჯვენაც მოეჭრათ –
ქისტებს თან წაეღოთ ხელი,

დედა დასტიროდა,
ცოლი დასტიროდა,
ტორით მიწას თხრიდა ცხენი...
ცოდვით ქვაც ბღაოდა,
მისთვის ვის ცალოდა,
დილით ჩააკითხეს ბაგას...
დარდს ცრემლი გაეშრო,
ცხენს თავი დაეხრჩო –
ლურჯაც გაჰყოლოდა გაგას!..

## თოთიას დარდი

უკვე მოქსოვა ღამემ სუდარა,
ჭოტი მთვარესთან ურცხვად აფრინდა,
ქარმა წაიღო შენი მუდარა
და ტანსაცმელი შემოგაფლითა.
ფეხქვეშ გაგიქრა გზა და მანძილი,
დარდმა მოგხარა ცხენის ნალივით,
მოვიდა დილა ჩამოძენძილი,
გწყევლა და გწყევლა ბოშა ქალივით.
აყმუვლდა სული – მგელი ტოტია,
გაქრა იღბალი და გაცვდა ფანდი,
გადაღმით ლექსებს წერდა თოთია
და ხურჯინივით ეკიდა დარდი...

## გაწყვეტილი სიმები

***ბეთქილ შამფრიანს, რატი ნინუას,
გოგიტა არაბულს...***

ეჰეი, პოეზიაში ჩამწვარო ბიჭებო,
ლექსმა გული რომ დაგინაცრათ...
წუხელ სიზმარში გნახეთ, მართლა გნახეთ –
გუდანის მადლმა!
მოდიოდით და საქართველო მოგქონდათ მხრებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სონეტი

*გრიგოლ რობაქიძეს*

კრიალოსნები (ეკბატანის) – ქარვის, გიშერის,
მიზგითზე მთვარე გაყურსული, რაღაც საშიში,
ყავახანასთან მარჩიელი დგას ფეხშიშველი
და ნარგილეში იზმორება მთვრალი ჰაშიში.
ცეცხლის ბორბალში ერთურთს კლავენ ღრიანკალები,
ჰოი, ჰამადან, სისხლდამწვარო აქემენიდო,
სარებზე უხვად ჩამოგიცვამს თავისქალები...
იქნება, სჯობდეს, რომ გნახო და არ გაგერიდო.
გააჩხრიალე ბარემ, ერთი, ეგ კამათელი,
ვისტასპას ძეო, რატომ ღელავ, ძოწით მოსილი?!
იქნებ, აღარ გაქვს არავისთვის არრა სათქმელი
და დაწანწალებ ქუჩა-ქუჩა ბარბაროსივით...
ჰოი, ეკბატან, ეს ვიცოდე, როგორ გაგიძელ
ერთმა ყარიბმა, მზის მძებნელმა ირუბაქიძემ?!

●

მომწყინდა ცეკვა და როკვა
(გულს მკვდარ შვილივით დავყურებ),
სევდას მარილად ავლოკავ
და აღარ გავიზაფხულებ.
არ მინდა, სიყრმეს ვფიცავარ,
მუსიკის თეთრი ფერები,
უმკვდრო საფლავის მიწა ვარ
და გთხოვ, ნუ მომეფერები.

იქით მიდექი, მაცილო,
წინ საქმე მიდევს საშური,
რად ცდილობ, რომ გამაცინო –
გული მაქვს გადახარშული.
წუხელ ზარივით დავრეკე
მთვარე – ცის თეთრი საყურე,
სევდას მარილად ავლოკავ
და კიდევ გავიზაფხულებ...

## გველეთის მთვარე

სხვას სხვა უყვარდეს, სხვამ სხვა ინატროს,
ყველამ თავისი ადიდოს მხარე,
მე შენ დაგეძებ, საით ბინადრობ,
ჩემო ლამაზო გველეთის მთვარევ.
განა ხევსურებს ტყუილად უთქვამთ:
„შამახკარითო ბრძოლისა ზარებს“,
მე შენით ვბრძოლობ, მე შენით ვსუნთქავ,
ჩემო ლამაზო გველეთის მთვარევ.
გუშინ ავბორგდი, მტერი ავქენი,
გააფთრებული ვაჭრიდი მკლავებს,
სად დამეკარგე, ძლივს მოგაგენი,
შენ დამამშვიდე, გველეთის მთვარევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქავზე მიკრული მკლავები

თუ მტრისა ვალი დავიდე,
მეორე დღესვე გადვუხდი,
დაწყნარდი, სისხლო, დაწყნარდი,
ნეტავ, რაისთვის ადუღდი.
გული აბორგდა, აზვავდა,
უცხოობს, არაქაურობს,
დადექი, გულო, დადექი,
ნეტავ, რაისთვის ხმაურობ.

მებრძვის ცხოვრება ტიალი,
ხიფათს არ ამარიდებსა,
ქავზე მიკრული მკლავები
ჩემკენ იშვერენ თითებსა:
„ცოტაც აცადე ცხოვრებას,
აგავსებინებს საფლავსა,
ან ვინმე მკვლელად გადგაქცევს,
ან თვითონ ვინმე მაგკლავსა...“

●

წუხელ მესიზმრა ომები,
სისხლის რუები დიოდა,
მოკლული მუცალის ლანდი
გორიდან ჩამამკიოდა.
იქით მკვდარ ეგდო ზვიადა,
აქეთ ჯოყოლა დაჭრილი,
ხოლო მზე სისხლით მოსვრილი
მთებსშუა იყო გაჩრილი.
მკვდარსა კორტნიდა ყორანი,
სისხლით გამძღარი ყიოდა,
რაზიკათ ლუკაის ლანდი
ფერდობზედ ჩამოდიოდა...

## არცა ხმალი მაქვს

არცა ხმალი მაქვს, არც ფარი,
არცა წინაპრის სამკლავე,
ალბათ, მამივა ჩემი დრო
და ზვარაკივით დამკლავენ...
არავის გავახსენდები,
მთაში მიტირებს ბერდედა,
(ვინმემ ხმა გამეცთ და მერე
სატყვიეთ გამიმეტეთა).

და მერე თუნდაც ჩამქოლეთ,
არ ვჩივი, ესეც ბედია,
ჩემი მწუხარე ლექსები
სიმწრისგან აბღავლდებიან.
არცა ხმალი მაქვს, არც ფარი,
არცა წინაპრის სამკლავე,
ალბათ, მამივა ჩემი დრო
და ზვარაკივით დამკლავენ...

## მცხეთას ვცხოვრობდი

*"დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,*
*რატომ კარგი აგიგია..."*
ხალხური

მცხეთას ვცხოვრობდი, მტკვარს ვხვრეპდი
და დევი მყავდა მსახურად,
მივლიდა ნონა მხევალი,
წვერს იღებავდა გლახუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამზე გულში მიკრავდა –
მეფერებოდა ცალხელას,
მე ხელი არად მინდოდა,
იმას კი თვალის ახელა...

## მეგობრებს

დღეს დავრჩი მე თქვენს იმედად,
არ გავიტეხე ხმიადი,
სადა ხარ, ჩემო იმედავ?!
სადა ხარ, ჩემო ზვიადი?!
გზაზე ვაგდივარ ლოდივით,
ჩემს ტანზე ხანჯლებს ლესავენ...
გადავიღალე ლოდინით,
გამოჩნდით, თქვენი კვნესამე.

●

### *ნიკო სამადაშვილს*

გადაიხარა შენი სამშვილდე,
მაგრამ არ გინდა, ეშმაკს მინებდე,
სული ვერაფრით ვერ დაამშვიდე,
გული ვერაფრით დააიმედე.
გდევდა აჩრდილი რძისფერ ქაოსის,
გზა იყო... გზაზე ხევი და თხრილი,
კვნესოდა ჯვარი სასაფლაოსი
და მზე ყვიროდა თვალებდათხრილი.
უღვთოდ გაძენძე შენი იღბალი –
თმაგაწეწილი დასდევდი ლანდებს,
რა ვქნა, ვერ ვხვდები, თუ ვინ იყავი,
მიწას ფეხებში რომ გაებლანდე.
მიდი, იცინე, ჩემო ჯავარო,
ჩემო ნიკო და ჩემო ნიკოლა,
მიდი, იცინე, არის ალალი,
ცხოვრება არის: არა იყო რა.
მიდი, იცინე, სიცილი გიჯობს,
დღე რას დაგაკლებს, დღე ბედსაპყარი,
„ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი..."
გადახრილია შენი სამშვილდე,
მაგრამ არ გინდა, ეშმაკს მინებდე...
სული ვერაფრით ვერ დაამშვიდე,
გული ვერაფრით დააიმედე.

●

დარდისგან შეწუხებული
მწარედ ჩავბღავი ქარაფებს,
ეს უსაშველო ტკივილი
ძილშიაც მალაპარაკებს.
ცაში ზარივით წკრიალებს
ჩემი ხვეწნა და მუდარა,
ალბათ, დამრისხა ლომისამ,
ალბათ, გამწირა გუდანმა...
დრო კი ახალ დარდს მპირდება,
დრო აშარი და არჯალი,
მგელის ეშვივით პრიალებს
ჩემი მოსისხლის ხანჯალი.
- დამკარი, ოღონდ იცოდე,
მე სიკვდილისაც არ მჯერა...
თუ მამკლავ, კავით მათრიე,
როგორც მუცალის მარჯვენა.



# ნოდარ კობერიძე

## ორი გოლგოთა

2002 წლის 31 დეკემბრის ყინვიან საღამოს პარიზში მწუხრი ეშვებოდა. პერ ლაშეზის სასაფლაოს მახლობლად მდებარე სენ-ჟერმენ დე შარონის მცირე ეკლესიიდან სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა მაღალი, წონოლა, გამხდარი მღვდელი და იქვე, სტენდალის ქუჩაზე, მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში აშენებულ კლასიციზმის გვიანი პერიოდის სამსართულიან შენობის მარჯვენა ფლიგელში შეაბიჯა.

მესამე სართულზე ერთი ოთახი მამიდისგან მემკვიდრეობით მიელო კათოლიკედ გადანათლულ, საქართველოში მართლმადიდებელ ქრისტიანს, ლაზური ფესვების მქონე ქართველს — დემეტრე-დიტო მოლენს. მოლენი ლაზურად აქეთურს ნიშნავს. ჰოდა, „აქეთა სამშობლოში“ (რომელსაც ათიოდე წლის წინათ აღედგინა თავისი კუთვნილი ადგილი რუკაზე, როგორც სახელმწიფო საქართველოს), დიტო-დემეტრე მოლენმა, არქეოლოგიის პროფესორმა, აშოტილი ტანის გამო მეგობრები დრაკონელს რომ ეძახდნენ (შემდგომ ეს სახელი ფსევდონიმადაც აიღო), ყველაფერი მიატოვა და პარიზში დაბრუნდა. დიახ, დაბრუნება ერქვა მის ჩამოსვლას, რადგანაც 1937 წლის პირველ იანვარს სწორედ აქ, პარიზში დაიბადა, ბოლშევიკებს ხელიდან დასხლტომილ ზია მოლენის ოჯახში. საქართველოში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაბრუნდნენ და მალე მწარედაც ინანეს. მართალია, 1949-ში „სოციალისტური სამშობლოსთვის არაკეთილსაიმედო პირებთან“ ერთად დედაბუდიანად ყაზახეთში არ უკრეს თავი (საფრანგეთის წინააღმდეგობის ფრონტის სტალინისადმი მოწერილმა ბარათმა გადაარჩინა). მაგრამ, რად გინდა, ზია მოლენს, პალეონტოლოგიის პროფესორს, მსოფლიოს არქეოლოგიური კონგრესის წევრს, სამსახური ჯერ ხომ არ აღირსეს, აკადემიაში ქანცი რომ გასძვრა სირბილით, ლაბორატორიაში, ისიც ნახევარ განაკვეთზე, მხოლოდ მაშინ გააფორმეს. ზია მოლენმა წყენა ისე გადაყლაპა, რომ ეს ფაქტი არც ერთი ჟესტით არ გაუპროტესტებია, პირიქით, იხტიბარს არ იტეხდა, თუმცაღა, ნამდვილად არ მოელოდა სამშობლოში ასეთ დახვედრას, მაგრამ პირზე კლიტე დაიდო და დადუმდა...

დემეტრე მოლენმა ოთახში შესვლისთანავე ჯვარი მოიხსნა, ეამბორა, ღვთისმშობლის ხატთან დაასვენა, ტანზე გამოიცვალა, ბუხარი აანთო, პატარა სკამზე ჩამოჯდა და ცეცხლს მიაშტერდა.

„ხვალ სამოცდაექვსი წლისა ვხდები, - ჩაილაპარაკასავით, - გოლგოთის ორმაგი მარყუჟი?!“

თავი ნერვულად გადაიქნია, მზერა კარადის თავზე შემოდებული მოზრდილი ყუთისკენ გაექცა (საქართველოდან რომ მოდიოდა, პირველ რიგში ეს ყუთი შეფუთა); წამოდგა, ადვილად შეწვდა, ციმციმ ჩამოიღო, ტახტის წინ დადგა, მტვერს სული შეუბერა, ფრთხილად გახსნა - ფერად-ფერადი ნაძვის ხის სათამაშოები ცეცხლის ალზე იაგუნდივით აელვარდნენ.

თბილმა, სევდიანმა ღიმილმა გადაუარა. თვალწინ მთელი თავისი ცხოვრება დაუდგა. აქ ყველა სათამაშოს თავისი წარსული, თავისი ისტორია, თავისი ამბავი ჰქონდა. ძველ ჩინელებს ერთი უცნაური წყევლა ჰქონიათ — საინტერესო დროს გეცხოვროსო. ამ სიტყვებით დაწყევლიდნენ იმას, ვისი ცხოვრებაც ორომტრიალად სურდათ ქცეულიყო. ჰოდა, ამ ორომტრიალის ჩუმ მოწმედ მყოფთ ახლა ყუთში, ფერად-ფერადად დაევანებინათ. დღესაც თვალნათლივ ახსოვდა, დიდედამ საშობაო ნაძვის ხის გაწყობისას რომ ჩასჩურჩულა: „დიტო, დაიმახსოვრე, ვიდრე ახალ სათამაშოს ნაძვის ხეზე ჩამოკიდებ, საიდუმლოდ ჩაუთქვი ოცნება და აუცილებლად აგისრულდება“. დღეს ერთ ყუთში თავმოყრილ ოცნებათა ნამსხვრევები განაბულნი ელოდნენ ნებართვას, რათა წარსულის ვნებებზე მოეთხროთ.

წუხელ დიდედა ესიზმრა — ცრემლჩამდგარი ეუბნებოდა: „ჩემო დიტუნი, ჩემო ბიჭო, დაგჩაგრა, არა, ცხოვრებამ, დაგჩაგრა!“ მერე ჯიბიდან ნაძვის ხის ბურთულა ამოიღო, ოცნებასავით ცისფერი ბურთულა, ხელში ჩაუდო, გაქრა.

შემკრთალმა გაილვიძა, ხელისგულების მხურვალებამ შეაკრთო. საათს დახედა, დილის ხუთის ნახევარი სრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულდებოდა. დაძინება სცადა, მაგრამ ძილი სენის თუ მტკვრის დინებას თან გაეყოლებინა. აფორიაქებულს, ფიქრს ვინა ჩივის, აზრიც კი ვერ დაეწყო წესიერად.

როგორც იქნა, გათენდა.

ეკლესიაში უჩვეულოდ ადრე მივიდა, კარი გააღებინა, ლამის შუადღემდე განმარტოებით ილოცა, შუადღისას პირენეის ქუჩას დაუყვა, ნაციონალურ მოედანზე საშობაოდ მორთულ მაღაზიაში ცისფერი ბურთულა შეიძინა, სათუთად ჩაიდო ჯიბეში და ეკლესიაში აბრუნდა.

თვალი პალტოსკენ გაექცა; არა, არ დავიწყნია მისი აქ ყოფნა (არაცნობიერად ბურთულას სულიერ სუბსტანციას ანიჭებდა), მაგრამ გუმანი ეუბნებოდა, ჯერ ადრე იყო.

ყუთის ბოლოში საგულდაგულოდ შეფუთული პატარა, ხელოვნური ნაძვის ხე ამოიღო, სწრაფად გამართა, ფანჯრის მიმდებარე პატარა მაგიდაზე დადგა, ყუთი ჩამოაჩოჩა. ტახტის კიდეზე ჩამოჯდა თუ არა, თვალში მოხვდა წითელი ბურთი — ბატისფეხურად 1950 რომ ეწერა. ამოიღო, შეათვალიერა, გაიხსენა, ეს წარწერა 24 დეკემბერს მამასთან ერთად ზეთის თეთრი საღებავით რომ გააკეთა და დიდის სისათუთით ჩამოკიდა.

მაშინ რა იცოდა, რომ მისი ოჯახისთვის ერთი ყველაზე უბედური წელი დგებოდა, არადა, მოუთმენლად ელოდა, ხუმრობა საქმე იყო, პირველ იანვარს ცამეტი წელი უსრულდებოდა.

დეკემბრის ოცდახუთში ზია მოლენს შეატყობინეს, შტატების შემცირების გამო სამსახურიდან ითხოვდნენ. როგორი დათრგუნვილი მობრუნდა იმ დღეს. კვირის ბოლომდე სახლიდან არ გასულა, ოჯახის წევრებს თვალს ისე არიდებდა, თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინოს. წლისთავზე დედამ გაუმხილა — მეუღლეს გაუნდვია მისთვის — დილით რომ მეღვიძება, ვხედავ, ყველა სადღაც მიიჩქარის, მე კი, ამხელა კაცი, ნაცარქექიასავით სახლში ვრჩები, ლამის არის, სირცხვილით დავიწვაო.

„მისი სიტყვების დედააზრს გვიან ჩავწვდი. ეს მაშინ მოხდა, როცა მეც გამომაბურძაყეს სამსახურიდან. მამა კი, რომელიც, საერთოდ, „ღირსების ზეიმი" იყო, ხაფანგში გაბმულივით წრიალებდა. ოცდათერთმეტ დეკემბერს დილითვე მოიკაზმა — ცოტას გავივლიო, დაგვიბარა და წავიდა... — ამოიოხრა. — რომ დაღამდა და მამა არ ჩანდა, გული გადამიქანდა, დედაც ადგილს ვერ პოულობდა. ყოველ გაფაჩუნებაზე კარს ვაწყდებოდით. ყველანი, ავისმომასწავლებლად გატრუნულნი, ღმერთს ვევედრებოდით, მალე გაგვეგო ნანატრი ჩქამი.

ათი საათი იქნებოდა, როცა ვილაც უცნობმა დედა გაიხმო. ფერწასული შემობრუნდა, ცდილობდა, თავს მორეოდა, ჩემს უფროს დას, ქეთევანს დაუძახა, რაღაც უჩურჩულა.

ქეთევანის თვალებში ადიდებულ ცრემლებს რომ ვკიდე თვალი, მივხვდი, საახალწლოდ მეკვლედ ოჯახში უბედურება შემოდიოდა... მამას მანქანა დასჯახებოდა და სულთამბრძოლი საავადმყოფოში ემშვიდობებოდა სიცოცხლეს. იმ შემოდგომაზე ორმოცდაშვიდი შეუსრულდა".

მოლენი „ათას ცხრაას ორმოცდაათს" კიდევ ერთხელ ჩააკვირდა, გაახსენდა, მაშინ ჩაუთქვა: „ღმერთო, მამიკო კარგად მიმყოფეო (ოჯახში უკვე ჩურჩულებდნენ, რომ სახალწლოდ შეიძლება ზია მოლენი უმუშევარი დარჩენილიყო).

ამოიოხრა, ბურთს ხელი მოუჭირა, შემოეფშვნა, უსიამო შეგრძნებამ მოიცვა. საზეიმო ბურთულის ნაშთი ნაძვის ხეზე ჩამოკიდა.

„არადა, 1946 წლის დამდეგს მამის ნაჩუქარ სათამაშოს რომ ჩავუთქვი, ღმერთო, თბილისში დაგვაბრუნემეთქი, როგორ აგვიხდა. აგერ, ისიც, 1944-ის გვერდზე ისვენებს". ათას ცხრაას ორმოცდაექვსი სათუთად ჩამოაკონწიალა. მაიმუნი, 1944 რომ ეწერა გულზე, ღიმილით შეათამაშა. ეს სწორედ ის მაიმუნი იყო, დიდედამ რომ აჩუქა სურვილთა აღსრულების საიდუმლოსთან ერთად. რა იცოდა მაშინ, რომ იგი მისი ცხოვრების მემატიანედ იქცეოდა. „მაიმუნს" კენწეროსთან მიუჩინა ადგილი. გაუღიმა და გაახსენდა, იმ შორეულ „მაიმუნის" წელს მთელი საფრანგეთი იმის იმედით სულდგმულობდა, რომ ავადსახსენებელ ფაშისტებს ამჯერად მაინც სამუდამოდ მოიშორებდნენ. თავისუფალი პარიზი ჩაუთქვა, რადგანაც იცოდა, თუ ნანატრი აუხდებოდა, იმ ზღაპრადთქმულ საქართველოში დაბრუნების ჯერიც მალე დადგებოდა.

დაბრუნებაზე ხომ ლამის ყოველდღე ბჭობდნენ, ერთადერთი მოწინააღმდეგე დიდედა იყო, რომელსაც ხანდახან ფრანგზე გათხოვილი უშვილო მამიდა აუბამდა ხოლმე მხარს. დიდედა ფაშისტებს კომუნისტების ნაირსახეობად თვლიდა და ავისმომასწავლებლად წინასწარმეტყველებდა, რომ იქ ოკუპაციაზე უარეს დღეში აღმოჩნდებოდნენ და 1924 წელს დახვრეტილ მეუღლეზე ნაკლები ბედი არ ელოდათ. ის მხოლოდ დახვრიტეს, თქვენ კი ცხოვრების უფლებას მოგპარავენო, - ამბობდა ხოლმე გაალმასებული. რა თქმა უნდა, არ უჯერებდნენ, რადგანაც სწამდათ, საბჭოთა კავშირი, რომელმაც ომის წლებში ამდენი უბედურება გადაიტანა, ვეღარ დარჩებოდა ბოროტების საშოდ. სჯეროდათ, რომ იქ ბევრ რამეს გადააფასებდნენ და სამშობლომონატრებულ უდანაშაულო ემიგრანტთა თაობას, თაობას, რომელიც უცხო ქვეყანაში იშვა და გაიზარდა, ხელგაშლილი შეხვდებოდნენ.

თურმე როგორ ცდებოდნენ. ამაში უმალ დარწმუნდნენ, როცა საზღვარგარეთის პასპორტები უცერემონიოდ ჩამოართვეს, დავითაშვილის ქუჩაზე, ეგრეთ წოდებულ იტალიურ ეზოში, ოთახ-ნახევრიანი ბინა გამოუყვეს და მეზობელიც მეთვალყურედ მიუჩინეს, თუმცა ის ძალზე უნიჭოდ ცდილობდა ამის დაფარვას.

მაშინ კი, 1944 წლის დამდეგს, სტენდალის ქუჩაზე, აგერ, ოცი წლის განმავლობაში თავშეფარებული მოლენების ოჯახი ხვალინდელ დღეს დიდის იმედით ეგებებოდა.

დემეტრე მოლენი მაშინ შვიდი წლისა იყო, მაგრამ უძლიერესმა განცდებმა მუდმივად დაიკავეს ადგილი პატარა ბიჭის მეხსიერებათა სკივრში.

აგვისტოს დამდეგიდან პარიზი თითქმის ყოველდღე ელოდა თავის გმირებს: მოკავშირეებსა და დე გოლის რაინდებს. წინააღმდეგობის ფრონტი აჯანყებისთვის ემზადებოდა, მაგრამ ელვასავით გავრცელებულმა ხმამ — გერმანელებს ქალაქი დაუნაღმავთ და შეიძლება ააფეთქონო, დაზაფრა პარიზელები. ირგვლივ გამეფებულ სიძულვილს ოკუპანტები ისე დაეთრგუნა, ქუჩაში გამოსვლასაც ერიდებოდნენ. სასტუმრო „მორისში" გამოკეტილი გენერალი ფონ ჰოლტინგი უკვე მზად იყო, შეესრულებინა ჰიტლერის ბრძანება „პარიზის ყველაზე უმოწყალოდ დანგრევის შესახებ," მაგრამ 19 აგვისტოს, როცა პარიზი აჯანყდა, დაიბნა.

მოლენის ოჯახი, მართალია, პარიზის აღმოსავლეთ ნაწილში, თითქმის გარეუბანში ცხოვრობდა და ხიფათიც ნაკლებად ელოდა, მაგრამ კარგად ესმოდათ, ეს სულაც არ იძლეოდა გვერდზე გადგომის უფლებას. ცხრამეტში დილით გაუჩინარებული ზია მოლენის შესახებ, ოჯახმა თითქმის მთელი ხუთი დღე არაფერი იცოდა. ავტომატების ჯერისა და ტყვიამფრქვევების კაკანით მიხვდებოდნენ ხოლმე, ბრძოლა გრძელდებოდა. ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წამს გამარჯვების რწმენა მატულობდა. მოკავშირეთა თვითმფრინავები, „კეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერიებივით" დღე-ღამ რომ მორიგეობდნენ პარიზის თავზე, იმედს რეალურ საფუძველს უქმნიდნენ. 24 აგვისტოს ხმა გავარდა ვიმარჯვებთო და მთელი პარიზი ქუჩას მოეფინა. ოცდახუთში, გამთენიას, ომარ ბრედლის არმიათა ჯგუფის მეორე ფრანგული ჯავშანსატანკო დივიზია სახელგანთქმულ გენერალ ლეკლერკის წინამძღოლობით მშობლიურ დედაქალაქში შემოვიდა. ზია მოლენიც ოცდახუთშივე, დღის მეორე ნახევარში გამოჩნდა და მთელი ოჯახი ელისეს მინდვრებისკენ ლამის ჩორთით გაარბენინა.

იქ კი გამარჯვებას ზეიმობდა, თავისუფლების ზარხოშით აღტკინებული პარიზი. „მარადიული დღესასწაული" მკვდრეთით აღმდგარიყო.

დემეტრე მოლენი სიამაყით შეჰყურებდა მამის დაღლილ, გაუპარსავ სახეს და ხელს მალულად მისი პისტოლეტის კაბურას უთათუნებდა. ერთი რამეც ჩარჩა გონებაში; გამარჯვებული ფრანგები ზოგიერთ თანამემამულეს ჯგროდ დასდევდნენ, მოიგდებდნენ თუ არა უკვე ჩვრადქცეულ კაცებს, წიხლებით თელავდნენ, ქალებს კი თმას სვასტიკის ფორმისებურად კრეჭდნენ.

პატარა დემეტრე მოლენმა მამა ქამარზე ჩამოქაჩა და დაბნეულმა ჰკითხა — რაშია საქმეო?

- ესენი, შვილო, კოლაბორაციონისტები არიან! — ზიზღით უპასუხა ზიამ.

- რას ნიშნავს მამა, „კოლაბორაციონისტი?" — შეუბრუნა კითხვა.

- რაას? — გაწელა სიტყვა ზია მოლენმა, - რას და როცა შენი თანამემამულე მტერთან თანამშრომლობს.

- მაშ, მოღალატეები ყოფილან, - სხაპასხუპით წარმოთქვა პატარა მოლენმა.

- უფრო მზაკვრები. კარგად დაიხსომე, მოღალატე ერთს გიღალატებს და ან დაიღუპები, ან გადარჩები, კოლაბორაციონისტი კი მტერს შენი ქვეყნის სამუდამო დამონებაში გეგმაზომიერად, ბეჯითი გარჯით ეხმარება. სამაგიეროდ, ოცდაათი ვერცხლი ულევადა აქვთ.

- საზიზღრები! — ჩაიდუდუნა დიტო მოლენმა.

- ჰო, საზიზღრები, - უთხრა უფროსმა დამ, ქეთევანმა, და ლოყაზე მაგრად აკოცა.

მაშინდელი დიალოგი ეკრანის ტიტრებივით ამოუტივტივდა თავში და ხმამაღლა წარმოთქვა:

- საქართველოში ჩვენც რომ ქართველ კოლაბორაციონისტებს ფრანგებივით მაინც მოვქცეოდით, არ დაგვემართებოდა ის, რაც დაგვემართა. ჩვენ კი რა გავაკეთეთ, ნარი ვუგლიჯეთ, რომ ხელისუფლებაში უპრობლემოდ მობრუნებულიყვნენ. ღირსები ვართ ყველაფრის, ღირსები!

საკუთარმა ხმამ შეაკრთო. სარკეში თავის გამოსახულება შეათვალიერა და ჩაინაღვლა.

- გაუტი, ჩემო ნიკორავ, გაუტი.

ჰოროსკოპით ხარი დემეტრე მოლენი ხშირად იმხნევებდა თავს ამ შეძახილით, ხოლო მოძალებული მელანქოლიისგან თავის დასაღწევად ხომ ეს შეძახილი შვების ტოლფასი იყო.

ისე კი, მელანქოლიისკენ დაბადებიდან ჰქონდა მიდრეკილება. 1937 წლის პირველ იანვარს პარიზის სენ ლაზარის საავადმყოფოში დაიბადა, არქეოლოგიის პრივატ-დოცენტ ზია მოლენის ოჯახში. მეორე შვილი და პირველი ვაჟი იყო. ეს ფაქტი ქართველმა ემიგრანტებმა, მართალია, თოფის სროლით ვერა, მაგრამ დოლის ბაგაბუგით აღნიშნეს. არც ერთი მეზობელი არ დავიწყნიათ და გაოცებულ ფრანგებს სულ თითის წვერებზე შემდგარნი ეცეკვებოდნენ.

მოგვიანებით, პარიზში დაბადება საბჭოეთში ბოროტ „ხუმრობად" ექცა, რამაც ლამის მისი სიცოცხლეც კი შეიწირა...

1956 — იმ წელს ნაძვის ხე არ მოურთავთ, არადა, ქეთევანის მოთხოვნით მამის სიკვდილის შემდეგაც წელი არ ჩაუგდიათ, ორმოცდათექვსმეტის დამდეგს კი თავად დემეტრემ იუკადრისა (ცხრამეტი წელი უსრულდებოდა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს და ხომ უხერხული იყო უკვე ნაძვის ხესთან „ცელქობა!") და ტრადიციაც პირველად დაირღვა.

მარტის პირველ დღეებში კომაში მყოფმა საქართველომ გონს მოსვლა დაიწყო. დემონსტრაციათა ეპიცენტრად, რა თქმა უნდა, თბილისი იქცა. პროტესტის საბაბად ხრუშჩოვის მიერ სტალინის კრიტიკა იქცა, რომელშიც ქართველებმა რუსთა „დერჟავის" მორიგი იერიში დაინახეს, სინამდვილეში მიზეზთა მიზეზი უფრო ღრმად იყო საძიებელი, რომლის ფესვები 1921 წელს საქართველოს ოკუპაციაში იდო, თუმცაღა არც სტალინის ქართველობა თამაშობდა უკანასკნელ როლს.

კალიგულა ამბობდა: ვძულდეთ, ოღონდ ეშინოდეთო. ეს სენტენცია კომუნისტებმა კატეხიზმოდ გაიხადეს და მათი ცინიზმი იქამდეც მივიდა, რომ დაბეჩავებულ ხალხს დირექტივით ჯალათთა სიყვარულიც დაავალეს, რომელიც ყოველ შესაფერ მომენტში დიდის აღტაცებით უნდა გამოეხატა.

დემეტრე მოლენი თავიდანვე სკეპტიკურად ძეხვდა სტალინის სახელით აგორებულ ტალღას, მაგრამ ქეთევანის აქტიურმა პოზიციამ (ქეთევანი იმ წელს ოცდასამისა ხდებოდა), აიძულა, ქუჩაში გამოსულიყო. ეს კია, ფრთხილობდა, იცოდა, ნაემიგრანტალს ამ ქვეყანაში არავინ დაინდობდა და, სხვას თუ ათს მიუსჯიდნენ, მისთვის და მისთანებისთვის მასრაში ტყვია მარად განაბული იყო და მომენტს ელოდა. ეს აქსიომა სულ ახსოვდა და პოეტად შობილ დაიკოს კუდდაკუდ დასდევდა. ქეთევანს ჟანა დარკის ალი მოსდებოდა. შემართული დღეში რამდენჯერმე გამოდიოდა სიტყვით სტალინის ძეგლთან გამართულ გაუთავებელ მიტინგზე და, თუ დააკვირდებოდით, შეიძლება, მასში დიდი სეხნიის თავგაწირული აჩრდილიც დაგელანდათ.

ქვეყანაში ვისაც სიფხიზლის გრძნობა არ დაეკარგა, მთელი ტანით გრძნობდა, ახლოვდებოდა დიდი კატასტროფა. მათ შორის იყო ცხრამეტი წლის დემეტრე მოლენი; საუბედუროდ, მათ შორის არ იყო ოცდასამი წლის ქეთევან მოლენი.

ქვეყანა ყალყზე იდგა, მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, ხალხი უფრო შეშლილ რემას ჰგავდა, ვიდრე გონიერ ადამიანთა მიზანმიმართულ გაერთიანებას, ეს რემა კი ურთიერთგამომრიცხავი ლოზუნგებით ჯოჯოხეთისკენ მიემართებოდა.

1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდგომ ქართველებმა პირველად აიმაღლეს ხმა, რამაც გააცოფა მხეცი და გალურსული აშკარად ნახტომისთვის მოემზადა.

სულ რამდენიმე თვეში საქართველოს „გამოცდილება" „წარმატებით" გამოიყენეს ბუდაპეშტის ქუჩებში, ოღონდ მანამდე თბილისში უდა დაღვრილიყო სისხლი.

ცხრა მარტს, დილით, ღამენათევ დემეტრეს სიცხე მისცა და თავი ველარ ასწია. ქეთევანსაც აციებდა, ყელიც სტკიოდა, მაგრამ ვის მოუსმინა, დიტოს შარფი კისერზე საგულდაგულოდ შემოიხვია და დილიდანვე ქუჩაში გაიჭრა. უმცროსი მოლენი მთელი დღე რადიოს უსმენდა. საღამოს ცხრა საათისთვის რადიო დადუმდა. ცუდად ენიშნათ ეს ამბავი. დუმილი ავისმომასწავებელ გოდებასავით რეკდა ზარს. დემეტრემ ჩაცმა დააპირა, მაგრამ დედამ ზიას დანატოვარი საველე ბებუთი შემართა და მთელი სიმტკიცით განუცხადა:

- როგორც კი კარის ზღურბლს გადასცდები, წამს ჩავიცემ გულშიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ საათში კომუნისტებმა რუსთაველიდან მოყოლებული მშრალი ხიდის ჩათვლით, სტალინის მონუმენტამდე, ცოდვის კალო გალეწეს. ტყვიამფრქვევების ლენტამ ავტომატთა ჯერის აკომპანიმენტით კავშირგაბმულობის სახლიდან რომ დაიწყო უიარაღო ხალხის მოცელვა, მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე ჩაჰყვა. დავითაშვილის აღმართზეც კარგად ისმოდა სროლის ხმა. ჭიშკრებთან შეკრებილი ხალხი გარინდული უსმენდა ჯალათთა მიერ დადგმულ კაკაფონიას. მალე სახედაკარგული, პანიკამოცული ხალხიც ამოვარდა ყვირილით — დაგვხოცეს, ტანკებით გადაგვიარეს ამათი დედაო.

დემეტრე მოლენს რეტი დაესხა, წამს პალტო შემოიცვა, ქუჩაში გაიჭრა. გაიაზრა, რომ ცენტრალური გზით შეიძლება არც გაეშვათ და შემოვლით, ჭონქაძის ქუჩიდან გადაწყვიტა, რუსთაველის პროსპექტს მიახლოებოდა. პროსპექტს, სადაც თავისი საფიცარი და ეგულებოდა, ის კი, უკვე ნახევარი საათი იქნებოდა, რუსის ხიშტზე აგებული უსულოდ ეგდო ალექსანდრეს ბაღის მისადგომებთან.

გამოქცეული ხალხი უყვიროდა, ზევით არ წახვიდე, მოგკლავენო, მაგრამ, ქეთევანს არაფერი დაემართოსო, აღარაფერი ესმოდა.

მთაწმინდის პლატოს მისადგომებთან, უკვე მარჯვნივ უნდა ჩაეხვია, რომ პროჟექტორის შუქმა მოსჭრა თვალი. ვიღაცამ დაუძახა:

- ეი, აყლაყუდ, მოდი აქ!

აყლაყუდა რომ მის მეტი არავინ იქნებოდა, უცბად მიხვდა. ტანში გასცრა, ნელი ნაბიჯით გაემართა პროჟექტორისკენ და, ვიდრე კინაღამ არ შეეჯახა, ვერ შეამჩნია რუსი მეავტომატეებით შემორტყმული მილიციის კაპიტანი.

- სად მიეთრევი, რომ მიეთრევი! — უღრიალა კაპიტანმა.

დამფრთხალმა მოლენმა რაღაც წამში თვალი გაუსწორა მილიციის კაპიტანს და, ჰოი, საოცრებავ — თვალები უბრძანებდნენ: დროზე, სახლში მოუსვიო.

- არა, მე ისე... - წამოილუღლუღა.

- ისე კი არა, - კაპიტანმა ერთი გაუტყლაშუნა და მთელი ძალით უბიძგა დაღმართისკენ.

დიმიტრი მოლენი მიხვდა, კაპიტანი არ ერჩოდა, უცბად შემობრუნდა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა.

მეზობლებით გარშემორტყმულმა დედამ რომ დაინახა, ერთი ამოიკვნესა და ჩაეხუტა.

მთელი ღამე ფანჯარას არ მოსცილებია დედა-შვილი. ტელეფონი დილიდან დაედუმებინათ. ქუჩაშიც კანტიკუნტადღა თუ გამოჩნდებოდა ვინმე, ისინიც მონადირისგან თავდაღწეული ნადირებივით უცხო ხალხს ევედრებოდნენ თავშესაფარს და არ იყო ოჯახი, რომელსაც უარი ეთქვას მათთვის.

რიჟრაჟი იპარებოდა, სიცხისგან გათანგული პალტოიანი რომ მიწვა. უცბად დედის კივილმა შესძრა:

- ქეთევან, შვილო, ქეთევან...

იმ ამბის მაცნე ვინ იყო, დღესაც არ იცოდა დემეტრე მოლენმა.

კარის ზღურბლთან ჩაკეცილ დედას ჩაეხუტა. თავზარდაცემული მეზობლებიც შემოცვივდნენ.

- ის დღე დაიწვას, როცა ჩვენ აქ დავბრუნდით, ის დღე დაიწვას, - მოთქვამდა დედა.

ქუჩაში ანგარიშმიუცემლად გამოვიდა. ცენტრისკენ დაეშვა, მაჩაბლის ქუჩის კუთხეში ვიღაცებმა ხელები გადაუგრიხეს და, გონზე მოსვლაც არ აცალეს, ისე შეაგდეს მანქანაში.

უშიშროების იზოლატორის ერთ დიდ გადაჭედილ საკანში რამდენ ხანს აყურყუტეს, არც იცოდა. მაღალი სიცხისგან ძლივსღა უწევდა კონტროლს საკუთარ ქმედებას. ციებაშეყრილივით აკანკალებდა. ვიღაცამ ხელი გამოსდო, ოთახში შეიყვანა, სადაც რამდენიმე კაცის სილუეტი გაარჩია.

„გვარი," — შემოესმა.

„მოლენი," — იგრძნო, თვალთ უბნელდებოდა.

„სახელი!"

„დემეტრე."

„დაბადების წელი, ადგილი."

„პარიზი..."

„რაა? — შეაწყვეტინა ვიღაცამ. — რაებს ბოდავ, ბიჭო, დაბადების ადგილი-მეთქი?"

„პარიზი," — პასუხს ინსტინქტი იძლეოდა.

„ვის იგდებ, შენი..." — ეს იყო ბოლო სიტყვა, რაც გაიგო. გარტყმისთანავე გრძნობა დაკარგა. ამან და ზედდართულმა ფილტვების ანთებამ გადაარჩინა. მერე მოუყვნენ: გამომძიებელმა, როცა გაიგო, მართლა პარიზში იყო დაბადებული და თავს არ იგდებდა (ალბათ, იმასააც იფიქრებდა: სიცხისგან გათანგული შეიძლება შემომაკვდესო, ქვეყანა მთხოვნელიც ჩარეულა ამ ამბავში), დედის ძმის თავდებით (რომელიც მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი იყო) გაანთავისუფლა.

ქეთევანის ცხედარი „არამიანცის" საავადმყოფოდან დალუქული კუბოთი პირდაპირ კუკიის სასაფლაოზე უშიშროების სამსახურის წარმომდაგენლის მეთვალყურეობით გადაასვენეს. იქ მაინც იმარჯვა დედამ, კუბოს დალურსმული სახურავი ააგლეჯინა და საკუთარ სისხლში გაპოხიერებულ ცხედარს ჩაეკრა. პირველ სექტემბერს კი, საღამო ხანს, დედამ უთხრა — რაღაც შეუძლოდა ვარ და წამოვწვებიო. წამოწვა და უხმოდ გაემგზავრა სამუდამო სასუფეველში თავის ქეთევანთან.

„სულ მარტო დავრჩი," — ეს იყო პირველი, რაც გაიფიქრა.

სამძიმარზე მილეთის ხალხი მოვიდა. მოდიოდნენ ჩაკლული სულები, უსამძიმრებდნენ და თან თავიანთ ტუსაღადქცეულ ცხოვრებასაც დასტიროდნენ. მღვდელიც ლამის კონსპირაციულად მოიყვანეს (იყო საშიშროება, რომ ამისთვის უნივერსიტეტიდან გარიცხავდნენ). მთელი დღეები გაშტერებული იდგა.

შაბათს დაასაფლავეს ქალბატონი თეკლა. ქელეხიც ღირსეულად ჩატარდა. ბალხს დაშლა არ უნდოდა, მარტოობისთვის ენანებოდათ დემეტრე მოლენი. უკვე ღამის თორმეტი იქნებოდა, ბიძას და ბიძაშვილებს რომ დაემშვიდობა (თავს იკლავდნენ ან ჩვენთან წამოდი, ან ჩვენ დავრჩებით შენთანო, მაგრამ არაფრით არ ქნა). კარი რომ მოიხურა, შვება იგრძნო, არნახული შვება და მიხვდა — დამდგარიყო ჭეშმარიტი გლოვის დრო...

დემეტრე მოლენმა ამოიორხა, სამუშაო მაგიდიდან ის სურათი გადმოიღო — მამა, დედა, ქეთევანი და თვითონ რომ იყვნენ გადაღებულნი. კარგად ახსოვდა — რუსთაველზე, ფოტოგრაფ ყვანიასთან ქეთევანის უნივერსიტეტში მოწყობის დღეს გადაიღეს. რა გახარებულნი იყვნენ! „თურმე ყველაზე დიდი ბედნიერება ერთად ყოფნა ყოფილა," — გაუელვა. ტუჩი შეიკეცა, მუშტი მოკუმა, ღრმად ჩაისუნთქა. ნელ-ნელა შეუდგა ყუთში სათამაშოების გადალაგებას. მზერა წითელ დროშაზე შეაჩერა — 1958 რომ ეწერა.

„გუშინდელივით მახსოვს, ვირთხის წელი დგებოდა და მეც გამალებით „ვთხრიდი," „ვთხრიდი", რათა სადმე შუქი გამოჩენილიყო".

სახეზე ახლა მოგონებათა ტკბილმა სიამემ ფოტოფირივით გამჟღავნება დაიწყო.

ნინოს ორმოცდაჩვიდმეტის ოქტომბერში შეხვდა. პალეობიოლოგიის ინსტიტუტიდან დარეკეს, საუკეთესო ნაშრომთა ერთტომეული გამოდის და ბატონ ზია მოლენის შრომები იქნებ მოგვაწოდოთო. ბედის ირონიაა, აბა რა: შვიდი წლის წინ იქიდან გამოაგდეს, ახლა კი მის ნაშრომებს „ეპატიჟებოდნენ" დიდის პატივით. მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძალიან გაუხარდა. ნიაღვრის დამრეცი ქუჩა ლამის აირბინა, ნაშრომზე უთხრეს ლაბორატორიაში დატოვეო, კარი შეაღო და ნინოც იქ დახვდა.

როგორ ამბობდა რუზველტი ცოლზე — იგი ჩემი თვალები და ჩემი ყურებიაო. — ნინოს გაცნობამ დასასრული მისცა მის მარტოსულობას. ნინო მისი ნაწილი გახდა. „გამყინვარებაში გეიზერი რომ ამოიფრქვევა და გაყინულს ხელებს გაგითბობს, ისე მოხდა ყველაფერი," — თვალი ნინოს ფანქრით შესრულებული პორტრეტისკენ გააპარა. თავისი დახატული იყო და ამით ამაყობდა კიდეც. წამოდგა, ღვინო გამოიტანა, გახსნა, ბოკალი წითლად შეიღება.

იმ დღემდე აჩრდილივით დადიოდა, ყველაში ჩასაფრებულს ხედავდა, სულ ღალატი ელანდებოდა. მეგობრებსაც ჩამოშორდა, უნივერსიტეტიდან საბუთები სასულიერო სემინარიაში გადაიტანა, შიმშილისგან დასუსტებული ჭლექის კარს მაგრად უკაკუნებდა. ეული იმ ზღურბლისკენ მიექანებოდა, რომლის იქეთა მხარეს არდაბრუნება ჰქვია.

ნინო უნივერსიტეტში ბიოლოგიურზე სწავლობდა, თან მამამისის განყოფილებაში მუშაობდა ლაბორანტად.

შეუყვარდათ, როგორც უყვარდებათ საერთოდ ადამიანებს ერთმანეთი — ერთი ნახვითაც და ორი ნახვითაც. ასეთი სიყვარულისთვის მეგობრობა თითქოს უცხო ხილია, მაგრამ აქაც აჯობეს აფროდიტეს და ერთ მთლიანობად იქცნენ.

არ იყო დღე, ერთმანეთს არ შეხვედროდნენ, საღამოს დაღლილნი სიზმრებთან ისეთ უცნაურ რამეებს აბარებდნენ, რომ ძილშიც არ წყდებოდა ბედნიერების სიმფონია.

ახლით შობა ახლოვდებოდა და როგორღაც ოჯახურ ტრადიციაზე უამბო ნინოს. ქალს თვალები გაუნათდა, თუმცა არაფერი უთქვამს, მაგრამ 24 დეკემბერს, საღამოს ცხრა საათისთვის სახლში გამოეცხადა. დემეტრე მოლენი სახტად დარჩა, გულის ბაგაბუგმა ის საიდუმლო ამცნო, ასეთ სიტუაციაში ყველას რომ განუცდია და რომელზეც ხმამაღლა არავინ არასდროს ლაპარაკობს.

ნინომ პალტოდან წითელი დროშა ამოიღო, დემეტრეს გაუწოდა და უთხრა ერთად დავკიდოთო, რაც სურვილის ერთად ჩატქმასაც ნიშნავდა.

დემეტრე მოლენი უცბად გაღებულმა ფანჯარამ გამოიყვანა ზმანებიდან. ახლაღა მიხვდა, მრავალი წლის წინ მომხდარ უტკბილეს ზღაპარს ახლიდან ყვებოდა.

ნინოს მამას ეომა, ტყვედაც ყოფილა, მაინც ჩამოუღწევია საქართველოში; ორმოცდაცხრაში დააპატიმრეს, როგორც სამშობლოს მოღალატე (კომუნისტურმა რეჟიმმა ტყვეობა, როგორც ყველას, მასაც ღალატად ჩაუთვალა), ოცდახუთი წელი მიუსაჯეს. პატიმრობიდან ორმოცდათექვსმეტის ბოლოს დაბრუნდა. ნინო არმაზ მირიანაშვილის უმცროსი ქალიშვილი, უკვე დაქალებული დახვდა. ბატონი არმაზ მირიანაშვილი უკვე სამოცდახუთისა შესრულებულიყო და ნაბოლარა ნინოს აღზრდაში რომ დიდი წვლილი ვერ შეიტანა, ამან რაღაც განსაკუთრებული მოკრძალებით განმსჭვალა ქალიშვილისადმი.

იმ შორეულ ორმოცდაჩვიდმეტის 24 დეკემბერს ნაძვის ხესთან რაც ჩაუთქვეს, ერთ საათში გამჟღავნდა — ნინო სახლში აღარ წასულა.

„ღამის ორზე, როცა კარზე მორიდებული კაკუნი შემომესმა, მივხვდი, ვინც იქნებოდა..."

არ შემცდარა დემეტრე მოლენი, ზღურბლთან არმაზ მირიანაშვილი იდგა. ერთთავად ნერვულ თრთოლას აეტანა.

„მობრძანდით-მეთქი, რომ ვუთხარი მაშინ, გაღიმება კი ვცადე, მაგრამ არავინ უწყის, სახეზე რა გამომეხატა.

თავისი ქალიშვილი საწოლის მაგივრად მაგიდასთან რომ შენიშნა, აშკარად შვებით ამოისუნთქა, ფერზეც მოვიდა.

-რას მიპირებთ, შვილო? — ნინოს მავედრებელი მზერა ესროლა.

ნინოს ცრემლები წასკდა, მამას ჩაეხუტა:

-მაპატიე, მამა, მაპატიე, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო.

არმაზ მირიანაშვილმა ჯიბის ოქროს საათი ამოიღო, დახედა. თქვა:

-სამის თხუთმეტი წუთია. სამწუხაროა, რომ ბედმა ზია მოლენს არ შემახვედრა. ყვებიან, სანიმუშო ვაჟკაცი იყოო, მჯერა, შენც ასეთი იქნები. გაგიმარჯოთ.

ბოკალი ბოლომდე გამოსცალა, წამოდგა და გავიდა, საათი კი დატოვა.

საათი მოისინჯა, ჯიბიდან ამოიღო, დახედა — „ორ საათში ახალი წელია და მეც... - ჩაფიქრდა. — ორმოცდახუთი წელი გასულა, ორმოცდახუთი".

დემეტრე მოლენმა უნივერსიტეტში დაბრუნება გადაწყვიტა. მთელი სანათესაო დაეხმარა და მარტში საღამოს ფაკულტეტზე ლექციებზეც მივიდა. სემინარიაში მაინც აღარ დაედგომებოდა, რადგან ერთ დღესაც უშიშროების ოფიცერმა პირდაპირ სვეტიცხოვლის ეზოში მოურიდებლად, ვითომდა საკუთარ ოფისში ყოფილიყოს, აგენტობა შესთავაზა, თან გააფრთხილა — შენი ბიოგრაფიის კაცი სხვაგვარად აქ ვერ დარჩება და, თუ არ დათანხმდები, სამი წლით ჯარში გიკრავთ თავსო. მოვიფიქრებო, უთხრა და იმ დღიდან მცხეთაში მეტი აღარავის დაულანდავს დემეტრე მოლენი.

„ნოემბრის დასაწყისში შედგა ეს დიალოგი. ნინო რომ მოვიყვანე, უფრო გააქტიურდნენ. ერთ დღესაც ქუჩაში რომ ამეტორღიალა ის დამპალი, ამომასხა, სადარბაზოში შევათრიე, კინაღამ მივახრჩე. შედეგმაც არ დააყოვნა, ნინოს მამა პენსიაზე დაითხოვეს, მე კი ჯარში მიკრეს თავი და, რომ არა ტუბერკულოზის ნიშნები, ახლა, ვინ იცის, სად ვიქნებოდი ჩაფლული, - ჩაიბურტყუნა, სარკეში მალულად შეათვალიერა თავი, - „შანხაიში" ყარაულად დავიწყე მუშაობა, ღამე ნინოც მაკითხავდა და ჭუკჭუკითა და ოცნებით ვდარაჯობდით ობიექტს, სადაც ერთი-ორი მილეწილი ტრაქტორის გარდა საყარაულო არაფერი იყო და, რომ არა შიზოფრენული საბჭოთა სისტემა (სხვისი ცხოვრების ქურდებს ხომ სულ ქურდობა ელანდებოდათ), ასეთ აბსურდულ შტატს ვინ შექმნიდა?!

ჩვენ კი ვოცნებობდით. საერთოდ, ოცნებებმა საბჭოეთში მთელი თაობების მესაფლავეობა იკისრეს. ოცნებებში ჩაძირულებმა, სიცოცხლე რომ მიიპარებოდა, ვერც შენიშნეს და, როცა წასვლის დრო მოვიდა, მაშინღა შემოირტყეს თავში ხელი. — ბოლო ფრაზა ქადაგებასავით წაუკითხა თავს, - სამსახურში უსაქმურობისგან კალამსაც მოვკიდე ხელი. სულხან-საბაზე დავწერე წერილი, არ დამიბეჭდეს, თუმცაღა მრავალი წლის შემდეგ დემეტრე დრაკონელის ფსევდონიმით დისიდენტურ ჟურნალში მაინც გამოვაქვეყნე, გამოვაქვეყნე და სამსახურიდანაც გამომაბურძაყეს, მანამდე კი ისეთი ღრმა სანგარი ამოვთხარე, ისეთი ღრმა, რომ ლამის ქვეყანას დავავიწყე ჩემი არსებობა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქვემო ქართლის ექსპედიციაში არქეოლოგად მოვეწყვე და ხშირად მიწევდა სათაყვანებელი სულხან-საბას ტანძიაში ყოფნა... „ტანძია ქცის ხეობა, მაშავერას კალმახები..." — დემეტრე მოლენს ნოსტალგია მოეძალა. — მაშინ შევუდექი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების შესწავლას, რომელიც შემდგომ ჩემი უჩინარი მოძღვარი გახდა! — საწერ მაგიდასთან კედელზე გაკრულ დიდი ქართველის სურათს თვალი გაუსწორა, - გმადლობთ, მოძღვარო, რომ არასოდეს მიგიტოვებივარ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალთახედვის არეში დრაკონი მოხვდა, კუდზე 1964 ეწერა. იმ ახალი წლის ღამეს პატარა ნესტანი ნაძვის ხეზე შოკოლადის ბუტაფორიას მოექიდა და თავზე დაიმხო. ნინო კონსტანტინეზე იყო ფეხმძიმედ და ბავშვის ღრიალზე ისე დაფრთხა, რომ კინაღამ მუცელი მოეშალა. მერე კი, იცოცხლე, იცინეს. იმ წელს თბილისის „დინამო" ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ეს არნახული გამარჯვება ზეიმად იქცა, რადგანაც საბჭოთა იმპერიაში ფეხბურთი ეროვნული თვითგამოხატვის ერთადერთი ლეგალური საშუალება იყო. მოკლედ 1964 — ბედნიერი წელი იყო დემეტრე მოლენის ცხოვრებაში.

„და, საერთოდ, ისე მოვერგე სანგარს, - ღიმილი მოეძალა, მართლა ბედნიერი მეთქმოდა. დისერტაციაც დავიცავი, სამოცდარვაში ზიაც მეყოლა, „მოწესრიგებულ ზეიმს," — ქართულ სუფრას არ ვაკლდებოდი, დოქტორის ხარისხს პროფესორის წოდებაც მივუმატე, ვისმენდი ბრეჟნევზე ანეკდოტებს, ვჭორაობდი, თან არასოდეს მავიწყდებოდა, რომელ ქვეყნაში ვცხოვრობდი, ამიტომ ესეც მიკვირდა და მახარებდა. სხვებივით არც მე დაგიდევდით „მოპარულ წლებს," და მაინც ნინოს მეტს არავის ვენდობოდი. სხვა არც მჭირდებოდა, რადგანაც კარგად ვიცოდი, სუკის სარდაფებში ახალ „გამოცდას" ველარ გავუძლებდი. ნინო ჩემთვის იმ ნათელის ტოლფასი იყო, თხუთმეტი საუკუნით ადრე მისმა დიდმა წინამორბედმა — წმინდა ნინომ საქართველოს ცაზე რომ ააკაშკაშა. — თვალი კვლავ ნინოს სურათისკენ გაექცა. შენიშნა, უღიმოდა ქალი. ხშირად ხდებოდა ასე, ამიტომ არ გაკვირვებია.

დრაკონი დაკიდა.

ძაღლი შეათვალიერა, პირით საჩუქრების კალათის ბუტფაორია რომ ეჭირა, მთელ ტანზე კი გამჭოლ ათას ცხრაას სამოცდაათს წაიკითხავდა კაცი.

„ამ წელს ჩემი ცხოვრების გოლგოთის პირველი ოცდაცამეტი გასრულდა. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ მეორე... - იმედგაცრუებაში აზელილი წყენა გამოეხატა, „ძაღლს" სულ ქვედა ტოტზე მიუჩინა ადგილი — მაინც ცერბერთა მოდგმისა ხარ იდარაჯეო, ჩაიბურტყუნა გაგულისებულმა.

თვალში ნაბლისფერი ცხენი მოხვდა, რომელსაც უნაგირის მაგივრად 1978 ამშვენებდა. ყუთიდან ამოიღო, შეათვალიერა.

„საქართველოში ჩამომდგარ დიდ ღამეს თითქოს დასასრული არ ეწერა, მაგრამ 1978-ში, ცხენის წელს, ისეთი მათრახი გადაგვიჭირეს, სხვა არაფერი დაგვრჩენოდა, გარდა იმისა, რომ გაგვეჭენებინა ბედაური, რომლის შეჩერება მერე უკვე ველარავინ შეძლო.

აპრილი ახლოვდება, აფორიაქებული ვარ, - უკვე, ალბათ, მეათასედ მაინც დაიწყო საქმის საკუთარ თავთან გარჩევა. „სანგრებშიც" ჩოჩქოლი ატყდა. ხმა გავარდა, რუსებს კონსტიტუციაში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის გაუქმება სურთო. ერში კოლექტიურმა მეხსიერებამ გაღვიძება დაიწყო, იმ კოლექტიურმა მეხსიერებამ, რომლის ანალებში ფარნავაზის, მირიანის, აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალეს, დიდგორის, ბასიანის, შამქორის, ასპინძის, კრწანისის, დემეტრე თავდადებულის, მღვდელი ზოსიმეს, წამებული ქეთევანის, შოთას, ილიას, კოჯორთან დაღუპულთა სისხლი ჩქეფდა. სადღაც გაქრა ქართული გულარხეინობა (რომელიც თვითშენახვის ერთგვარ ინსტინქტს წარმოადგენდა), მოჩვენებითი იდილიაც ნისლივით გაიფანტა.

ქეთევანს, რომელიც მთელი არსით ჩემს დაღუპულ დაიკოს განასახიერებდა (მამაჩემის კატეგორიული მოთხოვნით აკრძალული გვქონდა ჩემი დისთვის ქეთინოს დაძახება, მერე, მეც რომ შვილი შემეძინა და ქეთევანი დავარქვი, ასეთივე კატეგორიულობით გავაგრძელე მამის ტრადიცია), ცხრამეტი შეუსრულდა, ნესტანს — ჩვიდმეტი, კონსტანტინეს — თოთხმეტი, ზიას (მმაჩის ბიუროში ზიას არაფრით მარქმევინებდნენ, მაგრამ მოვახერხე ჩაწყობა) — თორმეტი. ვცხოვრობდით, უფრო სწორად, ვარსებობდით ჩვენთვის, წყნარად. რაც მთავარი იყო, ნინო გვერდში მედგა, მისი დიდი ქალობის წყალობით შიშიც დავთრგუნე (ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო და ადრე არათუ ვამბობდი, ფრანგული ვიციმეთქი, დავიწყებასაც ვცდილობდი), წელშიც გავიმართე (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გაგებით). წარსულის დავიწყებასაც შევეცადე და ნინოსთან ერთად ერთი კარგი პატრიარქალური ოჯახი შევქმენი. ეჭვიანობა? ეჭვიანობა რას მიქვია და, საერთოდ, ჩემი ნინოს შინაგანი ძალა მთელი მსოფლიოს არმიებს ერთად აღებულს უდრიდა, არადა რას წარმოვიდგენდი..." — ნინოს სურათს ისევ გაუსწორა თვალი — ისიც ეთანხმებოდა.

პირველი ბიძგი მიწისძვრასავით მოულოდნელად მოხდა. მარტი ახალი დამდგარი იყო, დემეტრე მოლენი სამეცნიერო ნარკვევზე მუშაობდა, ნინო ზიას ამეცადინებდა, უცბად ქეთევანი შემოიჭრა, თვალი უკმაყოფილოდ მოავლო საქმით გართულ ოჯახის წევრებს და ჯიქურ წამოიწყო:

- ასე გასუსულნი რას უზიხართ, არ მოგბეზრდათ მონობა, ვერა ხედავთ, ენასაც გვართმევენ.

იმ წუთებში, ქეთევანმა საყვედურებით რომ აავსო ოჯახი, დემეტრე მოლენს ენაზე მოადგა სიტყვები — ჩვენ რა შეგვიძლიაო, მაგრამ მხარზე ნინოს ხელის შეხებამ მიახვედრა, საკმარისი იყო, ეს ეთქვა — შვილების თვალში მისი ავტორიტეტი სამუდამოდ გაცამტვერდებოდა. რა ექნა, აღარ იცოდა. განვლილმა წლებმა სიბრძნე შემატა, ამას წარსულის გამოცდილებაც დაუმატეთ და თითქოს მოვლენათა გააზრებაში ბადალი არ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ახლა დაიბნა, ისე დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა, რა დაეპირისპირებინა ახალგაზრდული მაქსიმალიზმისთვის. თანაც ინსტიტუტის სწავლულ-მდივნად ახალი დანიშნული იყო და თანამდებობაც არ ემეტებოდა. გამოსავალი არ ჩანდა. მიხვდა, არჩევანის გაკეთება მოუწევდა. მაშინ დემეტრე მოლენში პირველად იფეთქა ოქროს საწმისის დამცველის სულმა და ჟანგშეპარული ბორკილები, ამირანივით მოინდომა, დაექნია.

მთელი საღამო ოჯახი ბჭობდა, მეორე დღეს დემეტრე მოლენმა სამსახურში სხდომა მოიწვია და მთელი სიგრძე-სიგანით (ეს გამოთქმა უყვარდათ იმ დროს თანამდებობის პირებს) დააყენა საკითხი ქართული ენის დაცვის შესახებ. ჰოი, საოცრებავ, თითქმის მთელმა ინსტიტუტმა მოაწერა ხელი საპროტესტო წერილს. მათი მხრიდან იმ დროში ეს არანაკლები გმირობა იყო, ვიდრე ბრძოლის ველზე თავგანწირვა. მხოლოდ პარტბიუროს მდივანი და სპეცნაწილი გადგნენ გვერდზე და თავის კანტურით ცუდი დღე უწინასწარმეტყველეს (სხვათა შორის, ამ ადამიანებს ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც არ დაუკარგავთ სოლიდური თანამდებობები), მაგრამ ლაგამის ამოდება უკვე გვიანი აღმოჩნდა.

14 აპრილს საქართველოს მთელი ახალგაზრდობა ქუჩას მოეფინა. კაბინეტში მარტოდ დარჩენილმა დემეტრე მოლენმა აღტაცების ცრემლი გადაყლაპა, კარი გამოიკეტა, ქაშვეთის ეკლესიაში დინჯი ნაბიჯით შევიდა. გაოცება არ დაუფარავს, როცა დაინახა, ღვთისმსახურები ისე იქცეოდნენ, თითქოს ქვეყნად არაფერი ხდებოდა. ხმა არ გაუღია. სანთლები იყიდა, პროტესტანტების შორიახლო დადგა. შუადღე მოტანებულს, უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესი საბჭოს სესიამ ქართულ ენას კვლავ სახელმწიფო ენის სტატუსი რომ მიანიჭა, ტაქსი გააჩერა, კუკიის სასაფლაოზე ავიდა, ქეთევანს სანთლები აუნთო და ჩურჩულით უთხრა — დღეს ერთად გავიმარჯვეთო.

„გარდასული წლები, გარდასული," — დემეტრე მოლენმა სიმამრის ნაჩუქარ საათს დახედა, ახალ წლამდე საათნახევარი რჩებოდა.

ყუთში გარინდული სათამაშოები თავის ჯერს ელოდნენ.

1983 — ამოარჩია.

„ამ დროს უკვე ხშირად ვბეჭდავდი დისიდენტურ გამოცემებში წერილებს. სწავლულ მდივნობას სამოცდათვრამეტის მოვლენების შემდეგ მალევე დავემშვიდობე. ნინო საუკუნეს მიტანებულ საბეჭდ მანქანაზე მიწყობდა სტატიებს და მეც ვუბერავდი. ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგ მოსული „კაგებეშნიკის", ანდროპოვის ხელისუფლებამ სუკის გამომძიებელი კი „გამომიგზავნა", მაგრამ გენერალური მდივანი მალე მიიცვალა და გადავრჩი. ოჯახშიც ბევრი რამ შეიცვალა: ქეთევანი ასპირანტურას ამთავრებდა, ნესტანი ბოლო კურსზე გამითხოვდა, კონსტანტინე ქეთევანივით მეამბოხე იყო, ზია ხასიათით მე ჩამომგავდა, ჩუმ-ჩუმად მოთხრობებს წერდა.

გორბაჩოვის „გარდაქმნამ" საზღვარგარეთ გასვლის საშუალება მომცა. მართალია, ეს საზღვარგარეთი ჩაუშესკუს რუმინეთი იყო, მაგრამ მაინც საზღვარგარეთი ეთქმოდა. ქალაქ იასში, ბესიკის საფლავთან ქართველთა ბედზე ფიქრისას, ანთიმოზ ივერიელისა და სულხან-საბას ანტონ კათალიკოსის ცხოვრება გავიხსენე და უაპელაციოდ, საბოლოოდ დავასკვენი — საქართველო არჩევანის გაკეთებაში შეცდა. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ სიმართლის გაგება უმრავლესობას არ უნდოდა. ბიბლიაში ხომ სწერია: და შენ გაიგებ სიმართლეს და სიმართლე გაგხდის შენ თავისუფალს! სამწუხაროდ, ჩვენ მზად არ აღმოვჩნდით დიდი ისტორიული სიმართლის აღსაქმელად და ამიტომ ჩამოგვენგრა ქვეყანა თავზე. თავისუფლებაზე დაფეხმძიმებულ ერს მუცელი მოუშალეს და ლამის ბერწად გამოაცხადეს," — საათმა მოცარტის რეკვიემის ჩანიკნიკებით ამცნო, თერთმეტი გახდაო.

„უნდა ვიჩქარო, - უთხრა თავს, - ახალ წლამდე ყველაფრის თქმა უნდა მოვასწრო".

ბოკალიდან ყლუპი მოსვა. ნაძვის ხეს ნათურები შემოახვია, ააციმციმა. ფანჯარასთან მივიდა, უკაცრიელ ქუჩას გადახედა და თვალწინ დაუდგა 1989 წლის აპრილში ხალხით გადაჭედილი რუსთაველი. სათამაშოთა ყუთს მიუბრუნდა, პითონი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლად დაკლაკნილიყო.

„აი, თურმე ვისი წელი ყოფილა, - ხმამაღლა წარმოთქვა და ასევე გააგრძელა, - ამ წელს, აღმოსავლური ჰოროსკოპით, სიბრძნე, გამჭრიახობა და ნებელობა ფასობს. გაბედულებას შეუძლია, გადატრიალებაც მოახდინოს. მიზანი ფასს იდებს.

1989-ს, მთელი ოჯახი ტრადიციულად ერთად შევხვდით. ოცდაათს მიღწეული ჯერ ისევ გაუთხოვარი ქეთევანიც არსად წავიდა (დავით აღმაშენებლზე ან ნიანია ბაკურიანზე ნაკლებს როოგორ გავყვებიო — აცხადებდა უზომოდ პრეტენზიული), ნესტანიც მესტუმრა ქმარშვილით. თორმეტის შემდეგ ყველა გაიკრიფა, მე და ნინომ იმ ღამეს დიდხანს, დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენ განვლილ ცხოვრებაზე, გამთენიას კი ჩამეხუტა, თან მიჩურჩულა — არ დაგავიწყდეს სიზმრებთან დანაბარებიო".

აპრილის პირველ რიცხვებში ქვეყანა კვლავ ათუხთუხდა. მთავრობის სასახლის სვეტზე თვალი რომ ჰკიდა ლოზუნგს — ძირს კომუნისტური დიქტატურა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო, მოლენს აღელვებისგან ყელში რაღაც გაეხერგა, სიხარულის ცრემლები ახრჩობდა. სახლიც დაცარიელდა. ამავე დროს, მიხვდა, რომ ძველი გარემო, ის გარემო, რომელსაც ესოდენ ელოლიავებოდა, აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

დემონსტრაცია დემონსტრაციას სცვლიდა, მომიტინგე — მომიტინგეს, ყველაფერი ორგანიზებულად ხდებოდა. მილიონიან ქალაქში ლამის მთლიანაო მოისპო კრიმინალური დანაშაული. საოცარ თბილ დღეებს ქართველთა გულებიც გაეთბო და, მიუხედავად მოშიმშილეთა მდგომარეობის გაუარესებისა (სასწრაფო დახმარების მანქანას ყოველ საათში გადაჰყავდა გულწასულები სტაციონარში), მაინც ამაღლებული განწყობა სუფევდა. საბჭოთა იმპერიაში ასეთი სილაქი კომუნისტებისთვის ჯერ არავის ეთავაზებინა. ირგვლივ სიამაყე მეუფებდა.

ხალხი სახლში, ფაქტობრივად აღარც შედიოდა, საგამოფენო დარბაზთან უსინათლოები ჩონგურზე ჰეროიკულ სიმღერებს მღეროდნენ, ღამით კი იყო ერთი ცეკვა-თამაში. მაგრამ რვა აპრილს, როცა პირველი საათისთვის რუსთაველზე ტანკებმა ჩაიგრიხინეს და კომუნისტთა აქტივის კრებამ ხელისუფლებას მიტინგის დაშლის მოთხოვნით მიმართა, დემეტრე მოლენმა უკვე ზუსტად იცოდა, გახელებულ ნადირს სისხლი მოსწყურებოდა.

საღამოს თერთმეტი იქნებოდა, როცა ნინოს უთხრა, რაღაც, წნევა მაქვს და, იქნებ, სახლში წავიდეთო. ზიას დაუბარეს შინ ვიქნებითო და სთხოვეს, კონსტანტინე და ქეთევანი მოეძებნა. ზია და კონსტანტინე მალევე გამოჩნდნენ. ბიჭებმა რადიო „თავისუფლება" დაიჭირეს და, როცა დიქტორმა გამოაცხადა, თბილისს ტანკებმა და საარმიო ნაწილებმა ალყა შემოარტყესო, ნინო თავის ცხოვრებაში პირველად რაღაცნაირად აცქმუტდა, მოსვენება დაკარგა. ღამის ორი საათი იქნებოდა, ქურთუკი შემოიცვა და დაიბარა: თქვენ ფეხი არ მოიცვალოთ, წავალ, ქეთევანს მოვძებნიო. თქვა და გავიდა. დემეტრე მოლენი რატომ არ გაჰყვა, პასუხი დღესაც არ იცოდა, იქნებ, იმიტომ, რომ რაღაც არაცნობიერი ბოჭავდა, კაცური ინსტინქტიც მუშაობდა — ვიღაცამ ხომ უნდა დაიცვას ოჯახიო.

საწოლზე მისვენებულმა ჩათვლიმა.

„ჩოჩქოლმა გამომაფხიზლა ელდანაკრავივით წამოვვარდი, რა მოხდა-მეთქი შევძახე.

„არ ვიცი, მგონი, მიტინგი დაარბიეს. რაღაც ცუდი ამბავია, კონსტანტინეც წავიდა. შინ იყავი, მეც მალე მოვალ," — ზიას პასუხისთვის არ დაუცდია, ქუჩაში ისე გაიჭრა.

სახლში რა გამაჩერებდა. ქუჩაში გამოვედი თუ არა, ორმოცდათექვსმეტის მარტის დილა დამიდგა თვალწინ. გულმა რეჩხი მიყო. მერიამდე თითქმის სირბილით ჩავედი. იქ დაფეთებული ხალხი ირეოდა. ნაცნობს ვკიდე თვალი. კითხვაც არ დამაცადა, შეშლილი სახით მომაძახა: „რაღაც მომწამვლელი გაზი გაუშვეს, მერე საველე ნიჩბებით დაგვერივნენ, ტანკებითა და ბეტეერებით გადაგვთელეს. უამრავი ხალხია დაღუპული". შევტორტმანდი, კედელს მივეყრდენი. ქეთევანის მეგობრები შევნიშნე. — ნუ გეშინიათ, დემეტრე ბიძია, ქეთევანი კარგადააო, - მომაძახეს. შვებით ამოვისუნთქე. ნინოზე კი საერთოდ არ მიფიქრია, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ნინოს რაიმე შეიძლებოდა მოსვლოდა. ვიფიქრე, სახლში ავალ, ჩვენებს გზაში არ ავცდე-მეთქი. სახლიდან ასიოდე მეტრის მოშორებით მეზობელი შემეგება, აქოშინებული მომეჭრა.

- ბატონო დემეტრე, ქეთევანმა დარეკა, ნინო მოწამლულა და „არამიანცში", გადაუყვანიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ცოცხალია? — მივაძახე, პასუხს აღარ დაველოდებივარ, პირი ისევ ქუჩისკენ ვიბრუნე.

მანქანის გაჩერების პრობლემა იმ ღამეს არ იყო. საავადმყოფოში მივიჭერი. მიმღებში სრული ქაოსი სუფევდა. დერეფანი სავსე იყო, დაჭრილებითა და გაზით მოგუდულებით. ბორიალი დავიწყე. უცბად მზერა თავჩაქინდრულ ქეთევანს წააწყდა. მასთან მივიჭერი. უაზრო თვალებით შემომხედა და საკაცეზე მიმანიშნა. ზეწარი გადარეულმა გადავხადე. პირველად შევცბი, ვერ ვიცანი — ხუთვისგან სახე გაშავებოდა, მარჯვენა ხელი სისხლში ჰქონდა მოსვრილი. ამ დროს სახეშეშლილი კონსტანტინეც გამოჩნდა და უცბად გავცივდი. რა ძალამ ამაყვანინა თავი ხელში, ახლაც არ ვიცი.

- მანქანა, მანქანა, სასწრაფოდ უნდა წავიყვანოთ. — მთელი ხმით ვიყვირე.

ვერავის ვხედავდი, ვეღარავის ვარჩევდი. პატანატომი ხელის კვრით მოვიშორე, კონსტანტინემ, მგონი, ჩასცხო კიდეც და ჩემი ნინო, ჩემი სიცოცხლე, სახლში წავიყვანე…"

ეკლესიის ზარებმა გამოაფხიზლა. თორმეტის ნახევარი ხდებაო, - გაიფიქრა, ნინოს სურათს ეამბორა, აციმციმებულ ნაძვის ხეს ავი მზერა ესროლა.

„ნინოს დასაფლავების შემდეგ მარტო არ მტოვებდნენ და სახლი ნელ-ნელა პოლიტიკურ კლუბად გადაიქცა, - განყვეტილ ფიქრს მიუბრუნდა დემეტრე მოლენი, - ოთხმოცდაცხრა წლის აპრილის ამბებს საფრანგეთის ოთხმოცდაცხრა წლის ამბებს ადარებდნენ, სიამაყით ივსებოდნენ, ის კი ავიწყდებოდათ, თუ რამდენი უბედურება მოუტანა, საფრანგეთს ზუსტად ორი საუკუნის წინ მომხდარმა გამოსვლებმა. ვინმე მეტყვის, მედალიონს ორი მხარე აქვსო, მაგრამ ვუპასუხებდი: რატომ? ხომ შეიძლება, მედალიონს ორივე მხარე ერთნაირი ჰქონდეს და ამაში არაფერი იქნება გასაკვირი, რადგანაც ცხოვრების სტიქიონს თუ გონივრად ნაგები ციტადელით არ დახვდი, ისეთ ორომტრიალში ჩაგითრევს, რომ იქიდან თავის დაღწევა, იქნებ, ვეღარც შეძლო. ეჰ, გავფილოსოფოსდი, ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცისგან მეტი რა უნდა მოითხოვო, ან უნდა გავლოთებულიყავი ან… ჰმ, მე მეორე გზა ავირჩიე".

ორმოცდათორმეტი წლის დემეტრე მოლენმა პირადი ცხოვრება დამთავრებულად გამოაცხადა. ახლა მხოლოდ პოლიტიკა აინტერესებდა, პოლიტიკით ცხოვრობდა…

საქართველოში, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო იკვეთებოდა სამოქალაქო ომის ავი აჩრდილი. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანა ორად გაიყო, ამიტომ რა გასაკვირია, რომ დემეტრე მოლენის ოჯახიც გახლეჩილიყო, მითუმეტეს, მთავარი მომწესრიგებელი, ნინო აღარ ჰყავდათ. ქეთევანი, ყველას ამრეზით რომ უყურებდა (მაგაზე იტყოდნენ — აქე და ერიდეო), ტელევიზიის წამყვანი ჟურნალისტიდან ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. კონსტანტინემ პრეზიდენტის გვერდზე დგომა არჩია, ნესტანიც კონსტანტინეს მიემხრო, მხოლოდ ზია იდგა გვერდზე და ამ დაპირისპირებას რაღაც ზიზღითაც უყურებდა.

დაპირისპირებამ თანამგზავრად ნელ-ნელა ისეთი სიძულვილი აიყოლა, რომ დემეტრე მოლენი მიხვდა, მხოლოდ ეკლესიის თავგანწირული ძალისხმევა თუ გადაარჩენდათ. ეკლესია კი რატომღაც დუმდა.

ნათქვამია, ომის დროს ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინო, რომ შერიგებისას ხელის ჩამორთმევისა შეგრცხვესო. საქართველოში არათუ სჩადიოდნენ საძრახის საქციელს, არამედ სხვასაც აქეზებდნენ. ქეთევანსა და კონსტანტინეს შორის უთანხმოებამ ისეთი ფორმები მიიღო, აღარც კი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ხოლო, როცა ქეთევანმა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართული აქციის ორგანიზატორობა იკისრა და ტელევიზიის დაბლოკვაშიც მეწინავედ წარმოჩინდა, კონსტანტინემ მუქარით შეუთვალა: მოვალთ მანდ და სუყველას თმებით გითრევთო.

პირველ ხანებში დემეტრე მოლენი ცდილობდა, მედიატორის როლი ეთამაშა, მაგრამ აშკარად გრძნობდა, აქაც მარცხდებოდა.

„სასწრაფოდ დემოკრატია!" — იძახოდა ქეთევანი.

„ჯერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და მერე დემოკრატია!" — იბღვირებოდა კონსტანტინე.

ერთ დღესაც სამთავრობო კანცელარიიდან დარეკეს — პრეზიდენტს უნდოდა დემეტრე მოლენთან შეხვედრა.

„1991 წლის დეკემბრის დასაწყისი. რუსთაველის პროსპექტი კვლავ გადაჭედილია, ოღონდ ამჯერად ქართველები გამხდარან ერთმანეთის მოსისხარი მტრები. ადამიანთა — ბრბო აშკარად მსხვერპლს ეძებს. ჩიტაძის ქუჩიდან მთავრობის სახლის ეზოში მოვხვდი. ამ დროს მიტინგზე სიტყვით ზვიად გამსახურდია გამოდიოდა. მიყვარდა ზვიადი. მამაჩემი და მამამისი მეგობრობდნენ კიდეც, შვილსაც დიდი კონსტანტინეს პატივსაცემად დავარქვი ეს სახელი. კაი დრო იყო გასული, ერთმანეთს აღარ შევხვედროდით, ამიტომ რაღაცნაირად ვნერვიულობდი კიდეც. ზვიადის სიტყვა ოვაციაში გადაიზარდა. „როგორ უყვარს ხალხს პრეზიდენტი", - ჩემს გვერდით მდგომმა ქალბატონმა ჩაილაპარაკა. მყის ნაპოლეონის პასუხი გამახსენდა. ერთხელ ასეთივე ოვაციის შემდეგ ზუსტად ეს სიტყვები რომ უთხრეს, იმპერატორმა ჩაიღიმა და უპასუხა: სწორედ ეგ ხალხი იქნება, ერთხელაც გილიოტინაზე ასეთივე ტაშისკვრით რომ გამაცილებსო". გუმანი მკარნახობდა, ზვიადსაც ასეთივე ბედი ელოდა.

აი, კიდეც გამოჩნდა თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული. თვალი რომ გავუსწორე, მის მზერაში იმხელა სასოწარკვეთა დავინახე, მივხვდი, მანაც იცოდა, განწირული იყო. გადამეხვია, — საქმე მაქვს, ოღონდ დღეს გადავდოთ დიალოგიო. კარგი-მეთქი და წამოვედი. მერე აღარ მინახავს. რუსთაველს ავყევი, სასტუმრო „თბილისიდან" იმელის შენობამდე ქუჩის საჭეთმპყრობელი ოპოზიცია იყო. მთავარი მოქმედი პირები კი არსად ჩანდნენ, რა ენაღვლებოდათ, ნარი ხომ იგლიჯებოდა.

პუტჩი რომ დაიწყო, კონსტანტინე პარლამენტის შენობას იცავდა, ქეთევანი უნივერსიტეტის ეზოში მიტინგზე სიტყვით გამოდიოდა, მე კი საპატრიარქოს მივაშურე. პატრიარქი იმ დროს ერთადერთი კაცი იყო, ვისაც იმ საგიჟეთის შეჩერება ხელეწიფებოდა. კარგად მიცნობდა, ვფიქრობდი, აუდიენცია არ გამიჭირდებოდა, მაგრამ, ჩემდა მოულოდნელად, მითხრეს შეუძლოდ არის და არავის ღებულობსო. დავიბენი: რა დროს ავადმყოფობაა-მეთქი, სულ რომ უძლური იყოს, ვალდებულია, თუნდაც საკაცით გამოვიდეს და შუაში ჩადგეს, სხვაგვარად ცოდვის კალო გაილეწება-მეთქი. თანაშემწემ მხრები აიჩეჩა და შებრუნდა. ახლაც მჯერა, პატრიარქი მოატყუეს, შეცდომაში შეიყვანეს, მაგრამ ეს შეცდომა ძვირად დაგვიჯდა. გაგანია სამოქალაქო ომის დროს დასავლეთ საქართველოში პატრიარქის გადახაზული სურათები რომ დავინახე, მიწა გამსკდომოდა და ქვესკნელში ჩავვარდნილიყავი, მერჩივნა. ოცდათერთმეტ დეკემბერს კი, როცა დაპირისპირება გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, ბედმა მუხთალმა ისეთი დარტყმა მომიმზადა, რომლის შემდეგ ჩემს ხორციელ არსებობას საერთოდ აზრი დაეკარგა.

ქაშვეთის ეკლესიის ეზოდან ნასროლმა ტყვიამ კონსტანტინე შეიწირა.

ხარივით ვბღაოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვერი მას შემდეგ აღარ გამიპარსავს. უმეტეს დროს დედის, მამის, ქეთევანის, კონსტანტინეს საფლავებთან ვატარებდი და იქ მყოფი ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ გაახალგაზრდავდა სასაფლაო. ქვეყანა საკუთარ დაკრძალვას მოსეირეს ლოჟიდან უცქეროდა.

გარშემო უსაგნო, მდაბალი ნიჰილიზმი ხარხარებდა.

შობა ღამეს სიზმარში ვნახე — სულხან-საბა ორბელიანს სვეტიცხოვლის ეზოში წვერით ათრევდნენ.

გალვიძებული სიმწრის ოფლში ვცურავდი. ნიშანდობლივმა სიზმარმა მოსვენება დამიკარგა. რა მიხვედრა უნდოდა — სიზმარში სულხან-საბა საქართველოს განსახიერებდა და საქართველოს ათრევდა მტერი. მოსვენება დამეკარგა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, მართალი ვიყავი. თავის დროზე რომ სულხან-საბას გადადგმული ნაბიჯი დიდ ისტორიულ პარამეტრის ჭრილში აგვერწყა (ხომ ცნობილია — დიდი განხეთქილება საქრისტიანოში უფრო პოლიტიკური ბატალიების გამო მოხდა, ვიდრე ალმსარებლობისა, მითუმეტეს, კიდევ ხუთასი წელი ხომ ქართული ეკლესია ამ განხეთქილებას არა სცნობდა), ბევრ უბედურებას გადავრჩებოდით, მათ შორის სამ უმთავრეს ფაქტორს გამოვყოფდი. პირველი — თურქეთი და ირანი ისეთი გაავებით აღარ დაგვიწყებდნენ ბრძოლას, რადგანაც მათ კარგად ესმოდათ, რომ მთავარი საფრთხე მართლმადიდებლად გადანათლული და, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, სკვითისთავიანი და მონღოლისთვალიანი გამყინვარებიდან ელოდათ და არა შორეული ევროპისგან. კათოლიკური საქართველო ბრწყინვალედ შეასრულებდა ბუფერის როლს, ეს კი ყველას აძლევდა ხელს. მეორე — ერთმორწმუნეობის საბაბით ველარ გააუქმებდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას და საქართველოს პატრიარქს ეგზარქოსით ვერავინ ჩაანაცვლებდნენ. ამ უკანასკნელთ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ — გაექროთ საქრისტიანოს წიაღიდან ქართული ეკლესია. მათი უგუნურება (ხომ გაგიგიათ, უგუნური რომ ამაღლდება, მრჩევლად სულმდაბალს დაისვამსო), იქამდისაც კი მივიდა, რომ საქრისტიანო წიაღისთვის ყოვლად გაუგონარი რამ ჩაიდინეს — დაწყევლეს ქართველი ერი! მაშ, რატომ გვიკვირს, რომ ზუსტად ამ ქვეყანაში შეიქმნა ყველაზე კაციჭამია ბოროტების იმპერია, რომელმაც ეკლესიები ტუალეტებად გადააქცია. და ბოლოს, მესამე — ერთმორწმუნეობის გაყალბებული დროშა გახდა რუსთათვის საფუძველი, მოეწადინებინათ ჩვენი ასიმილაცია და, თუ ბალტიისპირეთი სწორედ რელიგიურმა ფაქტორმა იხსნა, ჩვენთვის ეს ფაქტორი კინაღამ დამღუპველი აღმოჩნდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ავადმყოფობის სიმპტომები, რომელსაც ჩვენს გარდა (თვით რუსებიც კი) ყველა ამჩნევდა.

სიზმარმა ჩამაგონა — საჭირო იყო მაგალითი, მაგალითი, რათა ნიჰილიზმისა და უზნეობის კუპრში ამოთხვრილ ქვეყანას განწმენდაზე ეფიქრა. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რაც მეტი იქნება (ნებისმიერი ფორმით განხორციელებული) სამოციქულო თვითგვემა, მით უფრო ადრე მოვისხამთ ნათელს, თორემ მჩხიბავებისა და ფსიქიკურად დაავადებულთა მიერ ნაწინასწარმეტყველევი ვითომდა ტანჯვაში გამოწრთობილი გადარჩენა არასოდეს მოვა და ამ ცრუ გულთმისანთა წახალისება მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს.

ვატიკანის ნუნს აუდიენცია ვთხოვე.

რომში გამგზავრების წინ დიდი პრესკონფერენცია მოვაწყვე, მაგრამ, რასაც მოველოდი, ის რეზონანსი ვერ მივიღე. არც გამკვირვებია. ჩემს ქვეყანაში უფლის მაგივრად ხომ „კერპი“ დაესვათ ტახტზე. ამიტომაც მოთმინებით აღვიჭურვე.

ქეთევანსაც დავურეკე, საღამოს გელოდები-მეთქი. ხმაში მერყეობა შევამჩნიე, აშკარად პირს მარიდებდა. ბოლოს დამთანხმდა. საღამოს ათი იქნებოდა, როცა მოვიდა და გამომცდელი მზერა მომაპყრო. ეტყობა, ფიქრობდა, ახლა თუ დამიწყო იწილო-ბიწილო, ნახავს, რა ბასტიონებს აღვუმართავო.

- რას შვრებით, აგვარებთ საქმეებს?

გადატრიალების შემდეგ ქეთევანი სახელმწიფო საბჭოში მუშაობდა.

- დიახაც, სულ მალე არჩევნებსაც ჩავატარებთ, დემოკრატიულ საკანონმდებლო ბაზასაც შევქმნით და ყველაფერი რიგზე იქნება.

მისმა ასეთმა დაჯერებულობამ გამაღიზიანა.

- იცი, ძველ საბერძნეთში იყო ასეთი ფილოსოფოსი ჰერაკლიტე ჰეფესტო, - ჩამეღიმა, ვიგრძენი, ყველა კარტი ჩემს ხელთ იყო, - ერთხელაც ათენელებმა სთხოვეს კარგი კანონები დაგვიწერეო, რაზედაც ფილოსოფოსმა გაცხარებით უპასუხა: რა შავ ქვად გინდათ კანონები, როცა ქვეყანას არამზადები მართავენო.

შევნიშნე, ქეთევანი ძლივს თრგუნავდა გაცხარებას.

- მაგისთვის მომიყვანე?!

- არც უმაგისობაა, - „უხიაკი,“ — გავიფიქრე.

- მაშინ წავედი, მეჩქარება.

- დაჯექი და კეთილი ინებე, უპასუხო ჩემს შეკითხვებს, - ხმას ავუწიე.

- გისმენ! — დამიბრიალა თვალები.

- რატომ ხარ ასეთი უვარგისი?

- ზედმეტი მოგდის, ზედმეტი, - აფეთქდა, - შენ და შენი გარემოცვა მთელი ცხოვრება სნობები იყავით და ახლა ვერ აგიტანიათ, სხვას ნამდვილი სისხლსავსე ცხოვრებით რომ უნდა ცხოვრება. რატომ გეშინიათ ყველაფრის? რატომ გეცემათ თავზარი ჩვენს რევოლუციურ, თამამ იდეებზე, რატომ? თქვენი ევოლუცია რომ უსასრულოდ გაიტყლარჭა, როგორ ვერა ხვდებით. მაგრამ რას მიხვდებით არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებულნი...

- ხმა გაიკმინდე, ხმა გაიკმინდე, - უცბად ავფეთქდი, - ვინაა „სნობი!“ ჩვენ? ვისაც წელიწადში სამჯერ გვხვრეტდნენ და მაინც ზნეობას ვინარჩუნებდით. ერთი ცხრა აპრილი შეგხვდათ ცხოვრებაში და ლამის გადაგვჭამოთ, ჩვენ ის ცხრა აპრილი ყოველდღე გვქონდა. ბაბუაშენი, ზნეობრიობის ნიმუში, ისე ჩავიდა საფლავში, ერთხელაც ვერ მოხარეს წელში. მე და დედაშენი სანგარში იმიტომ ვიყავით გატრუნულები, რომ ქვეყნისთვის მომავალი არ დაგვეკარგა, მითუმეტეს, იმ ატმოსფეროში, სადაც დაბეზღება ცხოვრების წესი იყო. შენ იცი, რომ ჩვენ ჩვენი დუმილით პროტესტის ახალ ფორმას ვქმნიდით და ეს ფორმა უფრო ძნელი განსახორციელებელი იყო, ვიდრე უჭკუო ამბოხი?! კომუნისტებმა მთელი ცხოვრება მომპარეს, მაგრამ ვერ დამამცირეს, ვერ გამაბოროტეს, ნიჰილიზმის ჭაობში ვერ ჩამითრიეს. რომ იქაჩები, რას იქაჩები! აბა, მოხვედრილიყავით სუკ-ის სარდაფებში, განავლის ჭამას რომ დაგაწყებინებდნენ, შეიძლება, ისეთი რამეები მოგეროშათ, გამომძიებელს ყურები დაეხშო და ეხვეწნა, - გეყოფა, გეყოფა ხალხის ჩაშვებაო. გმირობაზე ლაპარაკი ადვილია, მითუმეტეს, თუ ასპარეზი გაქვს ფართო, მაგრამ, აბა, მაშინ იყავი გმირი, როცა ერთ ვიწრო, ჩაბნელებულ ხვრელში ხელებგაკოჭილი გდიხარ?! აბა, მაშინ შეინარჩუნე მხნეობა, მაშინ არ წაიკვნესო, მაშინ არ წაიკნავლო. დიახ, ვართ არასრულფასოვნები, მაგრამ ეშმაკთან ხელშეკრულება არასოდეს გაგვიფორმებია. ეს კარგად დაიმახსოვრე და მეორედ არ გაბედო, ასე მელაპარაკო. არ გაბედო!

ქეთევანი გაშეშებული იჯდა. ასეთი გაცეცხლებული არასოდეს ვენახე. სამზარეულოში გავედი, „ვალიდოლს“ მოვიძიებ-მეთქი, რომ შემოვბრუნდი, აღარ დამხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოსვლის წინა დღეს, რა თქმა უნდა, სასაფლაოზე ავედი. მშობლები, ქეთევანი, ნინო, კონსტანტინე — აქ ყველა ერთად განისვენებდნენ.

ლაპარაკი მწყუროდა მათთან, მაგრამ ყელში გახეგილმა ცრემლებმა ამის უნარი წამართვეს. მდუმარედ ვიჯექი და ვესაუბრებოდი. ხმა შემომესმა, მოვიხედე. ნესტანი და ზია მოდიოდნენ, თან ჩემი ბაბუკოები, ჩემი შვილიშვილები მოჰყვებოდნენ.

- თქვენ საიდან?

- აბა, სხვაგან სად იქნებოდი, - ნესტანი მომეხვია, - ჩემო დიდო მამიკო.

- ბაბუკა, ბაბუკა, წელს ნაძვის ხეს რომ დავდგამ, აუცილებლად ჩავუთქვამ, რომ მალე ჩამოხვიდე — პატარა დემეტრეს სიტყვამ გამაქვავა.

დაღამებამდე იქ დავყავით.

ზიამ და ნესტანმა გამაცილეს. ჯერ იტალიაში ბერად აღვიკვეცე, სამი სრული წელი დავყავი იქ და მხოლოდ შემდეგ გამომამწესეს აქეთ მღვდლად.

ცხოვრებაში თუ რამე გამახალისებდა, აღარ მეგონა, მაგრამ პარიზმა და პარიზში განაბულმა ბავშვობის მოგონებებმა სულს იმედი შთაბერეს.

პარიზში ერთი ადგილი მაქვს ამორჩემებული — ძალიან მიყვარს ლუვრის ფასადზე აღმართული კარდინალ რიშელიეს ძეგლის ჭვრეტა: საფრანგეთის დიდ კარდინალსა და სულხან-საბას შორის ბევრ საერთოს ვპოულობ — ორივე ერთ ეპოქაში მოღვაწეობდა; ორივე მეფის აღმზრდელი იყო; ორივემ პირადი ცხოვრება ქვეყნის კეთილდღეობას შესწირა ზვარაკად; ორივეს სდევნიდნენ, მაგრამ მათ გარეშე მაინც ვერ სძლებდნენ; ორივეს გონიერება საარაკო იყო; ორივემ წარუშლელი კვალი დატოვა — ოღონდ რიშელიეს თუ მაინც დაუფასდა ამაგი, ფანატიკოსმა კლერიკალებმა სულხან-საბა სვეტიცხოვლის ეზოში წვერით ითრიეს — შე კათოლიკე ბეროო. ქვეყანა იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ საბას გაკათოლიკება — ეს ის მსხვერპლშეწირვა იყო, სრულიად საქართველოსთვის ხსნის გზას რომ მიანიშნებდა. „სამშობლო პატივს მიაგებს დიდ ადამიანებს,“ ეს წარწერა პარიზის პანთეონის შესასვლელს ამშვენებს, საქართველოს გამრუდებულმა ისტორიამ კი მთელი მსოფლიო მორწყა მამულიშვილთა მიტოვებული პანთეონებით“.

ოთახი ატყორცნილი ფეიერვერკების შუქმა თეატრის სცენასავით ააფერადა. საათმა თორმეტი ჩამორეკა. დემეტრემ აივნის კარი ბოლომდე გამოაღო, ახალი წელი შემოუშვა. სარკეში საკუთარი გამოსახულება შეათვალიერა, რომელიც მაშხალათა შუქზე ათასფრად იცვლებოდა. სარკეს მიუახლოვდა, შექსპირის ლირის ფრაზით ორეულს მიმართა:

„ერთი მითხარით, შემომხედეთ, ვინ ვარ მე,
ლირი ამგვარად დადის განა, ასე აზროვნებს?!"

ორეულმა უპასუხა:

„ლირის აჩრდილი!"

პასუხმა შეაკრთო და დათრგუნა. თავის ცხოვრებასავით მოურთველ ნაძვის ხეს მიუახლოვდა, ყუთში ჩაიხედა, სათამაშოებად ქცეულ წლებს მოეწყინათ. ალექსანდრე მაკედონელის ანდერძი გაახსენდა: „ხელებგაშლილი დამასაფლავეთ, ხელებგაშლილი — მთელმა ქვეყანამ რომ დაინახოს, რა მიმაქვს ამ ქვეყნიდან,“ — დაუბარებია დიდ მხედართმთავარს. „ჩემი ცხოვრება კი ხელებგასაშლელადაც არ გამოდგება და ამ ყუთში თავისუფლად ეტევა,“ — გულჩაწყვეტა იგრძნო დემეტრე მოლენმა. დღეისთვის ნაყიდი ცისფერი ბურთულა გაახსენდა, პალტოს ჯიბეში რომ ჩარჩენოდა, ამოღება გადაიფიქრა — ოცნებაგაძარცულს ჩასათქმელი აღარაფერი დარჩენოდა. სევდიანი მზერით გაულიმა ხეზე ჩამოკონწიალებულ გარდასულ წლებს, წამოდგა, წვერი გრძელი თითებით ჩამოივარცხნა. პირში სინანულის მწკლატე გემო იგრძნო, მოეშვა.

ბოლო წლებში ბევრი იმოგზაურა — ათენში აკროპოლისზე ყოფნისას წარმოსახვამ ძველ საბერძნეთში გადაისროლა. წარმოიდგინა თუ რა დღეში იქნებოდნენ სპარსელებთან ბრძოლის შედეგების აკროპოლისზე მომლოდინე ათენელები, პარალელურად ნარიყალადან კრწანისის ომის მოთვალთვალე თბილისელთა სახეებიც „გაარჩია,“ სპარსელებთან ქართველ გმირთა თავგანწირვას გულისფანცქალით რომ დასცქეროდნენ და ამ პარალელმა ერთი საერთო დაანახა, - არც ერთს ღირსება არ დაუკარგავს და ეს იყო მთავარი.

კვიპროსში ქართველთა მიერ აგებულ ტაძარში ფეხით ავიდა; გააოცა პორტუგალიის ეკლესიებში შენირულმა სიმდიდრემ; აპოკალიფსური ნგრევის წინ გატრუნული ბელგრადიც იხილა, კიდევ ბევრგან იყო, მაგრამ ამაოების შეგრძნება ვერსად მოიშორა. მხოლოდ ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე პოულობდა სიმშვიდეს. ნესტანი და ზია ხშირად ურეკავდნენ, მათ ხმაში ფარული საყვედურიც ისმოდა, ქეთევანი კი ერთხელაც არ გამოხმაურებია. არადა, მოენატრა, მოენატრა, ყველა მოენატრა. აქამდე ამის უფლებას თავს არ აძლევდა, მაგრამ დღეს მოეშვა. ყველაზე უფრო ნინოს საფლავზე ასვლა მოუნდა. ტახტზე ჩამომჯდარი, ერთხანს გაირინდა, რას ფიქრობდა? არაფერსაც არ ფიქრობდა, უფრო ნანობდა, ბოლო დროს იმაშიც ეჭვი ეპარებოდა, სწორად მოიქცა თუ არა, აქეთ რომ გადმოიხვეწა? დღემდე ამაზე დუმილს არჩევდა, დღეს კი, 2003 წლის პირველ იანვარს თავს ჰკითხა:

„საერთოდ, რაიმე შედეგი მოიტანა ჩემმა სახეცვლილებამ?! არავითარი, არავითარი, არავითარი!"

თავის გამხნევება სცადა, მოაგონდა, ნინო, როგორც კი ყურებჩამოყრილს დაინახავდა, გალაკტიონის სტრიქონებს შეახსენებდა:

***„სიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და ტყვია დაიხალე...“***

ახლაც სცადა მისი გამეორება, მაგრამ ნინოს გარეშე ამ გრძნეულ სიტყვებს ძალა დაკარგვოდა. კარადასთან მივიდა, გალაკტიონის წიგნი მოძებნა, გადმოიღო, გადაშლა ვერ მოასწრო, სურათი გადმოვარდა. დაიხარა და აიღო. ნინო და ქეთევანი იყვნენ გადაღებული. სათვალე გაიკეთა, თარიღის სანახავად შემოაბრუნა. ქეთევანის ხელი იცნო „იყო და არა იყო რა...“. ნაეწერა თავნება ქალიშვილს. თითქოსდა შიგნეული ჩაუთუთქესო — ამხელა კაცი ორად მოიხარა. სურათის ბოლოს ნინოს მინაწერიც გაარჩია: „ქეთევანი თერთმეტი წლისა გახდა — 1970 წლის 8 თებერვალი“.

უცბად გაახსენდა, რომ სულ რაღაც ნახევარი საათის წინ სამოცდაექვსი შეუსრულდა. გული დაესერა. ხმამაღლა უთხრა თავს:

„ორჯერ მომიწია გოლგოთის გზის გავლა“, ორჯერ. — მერე ფიქრად გააგრძელა, - უფალმაც კი ვერ გაიმეტა იესო იმ გოლგოთის ორჯერ გასავლელად, ცხოვრების სამოცდაექვსი რომ ჰქვია, რადგანაც იცოდა — მეორე გზა ბევრად უფრო მტანჯველი იქნებოდა და, ვინ იცის, მაშინ კიდევ შეძლებდა მხსნელი თქმას: მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან...

გაიაზრა — მკრეხელობდა. მდგომარეობის ტრაგიზმმა შეძრა. ჯვარცმას მიუახლოვდა, უცბად შენიშნა, კედელზე სხეულის ანარეკლი მეორე ჯვარცმად გარდმოსახულიყო. შიშმა მოიცვა, ყოვლისამომცველმა შიშმა. შემობრუნდა, ბურუსში გარკვევით გაარჩია გოლგოთის გზად მესამედ გამდგარი დემეტრე მოლენი.

სახეზე ხელები აიფარა, მიხვდა — არ იყო საშველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხათუნა წულაძე

### დავწეროთ ლექსი...

დავწეროთ ლექსი
დიდ ტკივილზე, დიდ სიხარულზე,
ქარიშხლიან მოგონებებზე,
ძველსა და ახალ ცხოვრებაზე,
ცოდვასა და უმწიკვლობაზე,
ჩატეხილ ხიდზე, ჩატეხილ ხიდზე, ჩატეხილ ხიდზე!

დავწეროთ ლექსი
თუ როგორ გვიყვარს, როგორა გვძულს,
როგორ ვიბრძვით, როგორ ვარსებობთ.

დავწეროთ ლექსი
ენიგმებზე, მისტერიებზე,
ჯადოქრებზე, კუდიანებზე,
ფურიებსა და ფერიებზე,
ბოროტებაზე, სიკეთეზე,
გმირობასა და სილაჩრეზე,
მომხდურ-დამხვდურზე,
სტუმარ-მასპინძელზე,
მათხოვარსა და ხელმწიფეზე,
სიზმრის ახდენაზე, სიზმრის ახდენაზე, სიზმრის ახდენაზე.

დავწეროთ ლექსი
ძალადობაზე, დაღვრილ სისხლზე,
შხამიან სისხლზე, ჩვენვე რომ გვახრჩობს.
ძირს მინოტავრი! ძირს მინოტავრი! ძირს მინოტავრი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავწეროთ ლექსი,
რათა გავხსნათ თავი და ბოლო
რათა ცხოვრების ლაბირინთში დაკარგულმა
უმწეო სულმა
გზა გაიკვალოს...

დავწეროთ ლექსი,
სულ პატარა, პატარა ლექსი,
ცხოვრების კარში რომ შეგვიძლევს
ჯადო სიტყვებით:
სიმ-სიმ გაიღე! სიმ-სიმ გაიღე! სიმ-სიმ გაიღე!

●

ხმაურისგან ისვენებს თვალი –
მიჩვეული მყვირალა ფერებს.
წითელ-ყვითელ საბურველში
კვდება ფოთოლი
და
სიჩუმის სიმფონია ისადგურებს
გულის კუნჭულში.
როდის და სად –
იყინება დახშულ გუგებში.
გაცოცხლების უვადო შანსით
სისხლი კვლავ ბორგავს.
წითელ-ყვითელ საბურველში
კვდება ფოთოლი
გაოცებით... გარდაცვალების.

●

სიცოცხლე ჩემი...
თავსმოხვეული ბურუსის ჩუმი თანმხლები,
მოჩვენებათა ფერხულს აჩაღებს
შმაგი ფიქრები –
სიცოცხლე ჩემი...
წყვდიადის იქით შეაღებს სარკმელს
მთვარის შუქით განათებულ
ვიწრო ბილიკზე.
არ ვიცი საით, სად მიმიყვანს
მთვარეულის საშიში ალღო.
სიცოცხლე ჩემი...
დაისადგურებს შენს თვალებში,
როგორც დემონი,
შუაღამისას ამოსული კაშკაშა მზე,
ცის საჩუქარი.
სიცოცხლე ჩემი...
სიბნელეში დაწერილი
თეთრი ლექსები...

●

როცა ლექსს ვერ ვწერ,
მაინც ვფიქრობ,
როგორ გამოვთქვა ჩემი აზრები,
სიონაგონის მეწამული ფერივით
რომ გადაფაროს, შთანთქას სხვა ფერი.
როცა ვუყურებ ბრიყვულ სახეებს
და არ ვიცი, სად დავემალო საკუთარ
ჩრდილს,
მე აღარ მინდა ლექსის წერა.
ალყაშემორტყმულს არ მასვენებს
მეწამული ფერის ხატება.
ვინ გამიმზადებს ლოტოსის საჯდომს
განმარტოებით ცის კიდეზე,

ლექსი რომ ვწერო.
ჩემი გულის მესაიდუმლე მფრთხალი ქურდივით
მიიმალება წყვდიადის ჩქერში
და დამიტოვებს პროზაულ ფიქრებს
ერთგულებაზე.
ხმაურიან ბალ-მასკარადებს გარიდებული
ცრემლებსაც ვახრჩობ,
ფიქრით კი ისევ ვეპოტინები ზეციურ
ტატნობს.
თითქოსდა მიპყრობს მეწამული ფერის ხატება:
ვინ გამიმზადებს ლოტოსის საჯდომს
განმარტოებით ცის კიდეზე,
ლექსი რომ ვწერო.

●

მე შემიძლია,
არ ვიტანჯო,
არც გავიხარო.
მე შემიძლია, არ ვთქვა და
არც ვთქვა.
შენთან არყოფნა და
არც ყოფნა.
არ ვიტირო და
არც ვიცინო.
არ დაგრთო ნება,
არც დაგრთო ნება.
ჩურჩულით, ყვირილით
არ გიხმო,
არც გიხმო.
მე შემიძლია, არ შევასრულო:
გიყვარდეს!
გძულდეს!
იცოცხლე!
მოკვდი!
მე შემიძლია, ყველაფერი,
ყველაფერი
შევასრულო არას ფარგლებში.

●

მოდი, დავარქვათ
საგნებს თავისი სახელები
და
სახელებს თავის საგნები.
ეიფელი კოშკია განა?
ალპები – მთები?
და მანასე – შენ?
არა!
კოშკია ეიფელი,
მთები – ალპები
და შენ – მანასე.
ანდა...
კოშკია განა ეიფელი?
მთები – ალპები?
და – შენ მანასე?
არა!
ეიფელია კოშკი,
ალპები – მთები
და მანასე – შენ.
ანდა...
ჩემო მანასე –
მოდი, დავარქვათ
საგნებს თავისი სახელები
და სახელებს თავის საგნები.
ხან ისე და ხან ასე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დღევანდელი დღე ხვალინდელი დღის
მოლოდინია.
საბრალო დღე! – უსახური და უფერული -
მსხვერპლად შევწირე მეორე დღეს.
ვაითუ ისიც, - უსახური და უფერული -
მომდევნო დღის მსხვერპლი შეიქნეს.
მე ისე ხშირად მიწევს ამ რიტუალის
ჩატარება,
რომ მეშინია,
მსხვერპლშემწირავი ქურუმიდან
ჯალათად არ ვიქცე.

## მსახიობი

სარკე და ჩემი ორეული.
თვალებში ცრემლი,
სინანულით, ისეთი სინანულით...
რატომ მაწვალებ?
ჩემი სახე არაფერს ამბობს,
არც ცრემლებს იწმენდს.
მე ასე მსურს!
ნუ მეკითხები: - ასე მარტო, სრულიად მარტო?
მე ასე მსურს!
სარკე და ჩემი ორეული.
სურვილი დადნა.
სადა ვარ მე.

●

სხვის სიზმრებში ვმონაწილეობ
მიწვეული მსახიობივით:
ვინ როგორ მხედავს,
რა როლს ვთამაშობ,
მიყვებიან და თავს ვერა ვცნობ.
მართლა ასე კარგად ვთამაშობ?

●

დღეს გაზაფხულის პირველი დღეა,
იმედით სავსე!
მზის სხივს მიგზავნის სხვანაირად,
გულს ამიძგერებს სხვანაირად,
გამიტაცებს მჩქეფარე ზვირთში,
გამაგიჟებს, ისე დამღლის, თავბრუს
დამახვევს,
მერე ჩუმად მიმაძინებს, გამეპარება,
ძილ-ბურანში მაცდური ხმით მომიბოდიშებს.
გამეღვიძება?
... დღეს გაზაფხულის პირველი დღეა,
იმედით სავსე!

## თავისუფლება

შუაგზაზე გაჩერებული
წინ ვიხედები და
მგონია,
შორსაა დასასრული.
არაფერია საჩქარო, მოსასწრები.
სიკვდილი კი არ მომდევს,
მშვიდად მელოდება.
როცა დაიღლები,
როცა მოგბეზრდება,
როცა კი მინატრებ,
მე არ გიღალატებ.
თეთრი ალებით ეკვრება სუნთქვა
უსახო სევდას.
მახრჩობელა ქრიზანთემები
თავისი ნაზი მარწუხებით
ეჭდობა ყელს და
სურნელს ახშობს.
ღრიალებს ფიქრი,
ბობოქრობს სისხლი,
აწყდება ძარღვებს:
აიშვი!
მიდი!

●

გადამავიწყდა სურნელი ნუშის,
ტყის ფერები...
სისველე ტუჩზე შემდნარი ფიფქის,
ზღვის გემო...
სიშორე ფსკერზე ჩაძირულ თვალის,
ჩემი რომ იყო...
მუჭში ვინახავ შემოდგომის ხრაშუნა ფოთლებს,
გაზაფხულის უხნეო დღეებს.
ვეღარ ვილხენ, ვეღარ ვნადიმობ
რომაელთა მსგავსი სიშმაგით.
გადამავიწყდა...
იქნებ, არც იყო...

●

ლექსი დავწერე...
ბნელ ოთახში...
მდუმარებით აივსო სივრცე.
ორსული ქალივით დაგატარებ
ჩემი სხეულით და ჩემი სულით,
სავსე ვარ შენით,
ლექსი დავწერე...
სამშობიარო ტკივილებით დაკრუნჩხული
სულის საშო
წამით გაყუჩდა.
მდუმარებით აივსო სივრცე,
მდუმარებით აივსო სივრცე,
ბნელ ოთახში...
სავსე ვარ შენით...
ლექსი დავწერე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თეა ქარდავა

●

დუმილი...
წყურვილი...
სურვილი
თქმის...

●

უფლება — აყრილი...
ფარხმალი — დაყრილი...
მეზობელგაყრილი
ვემოყვრით ვის?!..

●

ანცები —
კაცები
ქაცვებით
ბელში
ბჭობენ,
გმობენ,
ხმობენ,
უჭერენ
ერთმანეთს
ყელში;
ვერაფერს
უჯერებ,
ვერც
გაექცევი...
არადა,
დაიქცევა?!
არადა,
წაიქცევა?!
არადა,
მტვრად იქცევა...
და
როგორ იქცევა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



●

გვარი,
კილო,
ქცევა,
სერია
აგვერია!!!
რა ფერია?!
ყოველი...
რატომაა
სოველი?
ხმა...
ხდება
რა?
ახდება

ზღაპარი...
რა არი?
სხვა...
ყოფნა ასე...
- ვეძებთ ხავსს,
- ვამყარებთ იმედს
რაზე?
ვისა აქვს დრო?
ფიქრის...
ქარავანი მიდის
საშოვარზე ხომ!..
ყველა!!.
ბ ნ ე ლ ა!..

●

დღეს აირია, დაირია,
გადაირია
სოფელი წუთის...
არდარია, ავდარია, ქარია
და ყველას უჭირს...
მზეს დაეკარგა ჩინი თვალის,
დაბნელდა თითქოს,
უღელი გახდა სატარებელი ქალის,
კაცი ბუხართან (თათებს) ითბობს...
სინდის-ნამუსი აგვერია,
დაკარგა ფასი...
სხვათა სენები დაგვერია,

ჭირია რასის!
და სოფელი ეს
ბაზრად ვაქციეთ.
(ვგავართ კი ერს?!)
....... გავაქციეთ...
მრავალი შორს...
დავაქციეთ
და თოვს
საქართველოში
სიღატაკის თოვლს...
ყველას რაღაცას სთხოვს...

●

წეროები მიფრინავენ შორს,
სადღაც წიწილა მიაქვს ქორს
და კიდევ სადღაც ნაცარს ქექავს
ნაცარქექია...
ან წითელქუდას ელოდება
ქოხში ბებია;
გინდა, არ გინდა,
წავა და თან წაიღებს
ამ უფაქიზეს გრძნობებს,
ფერებს და არ დაგიდევს...

როგორ ძნელია
ხელის დაქნევა...
აღარ გელიან –
და გენატრება...
თოჯინები და ხმაურები,
აურები და ზაურები,
და უკვე არა ხარ ბავშვი,
და ცხოვრების წვიმა და ქარში,
გახვიდე, დროა!
ბავშვობა წავა და აღარ მოვა!

●

ოღონდაც შიგნით
დარჩეს და იყოს,
სადღაც კისკისი ისმოდეს
შორით,
ნაცარქექია თითქოს
აქ იყო;

ხანაც წიწილებს მიათრევს ქორი...
მერე კონკია უფლისწულს ხვდება...
გაიმართება ჩხიკვების ლხინი,
დიდობა ხშირად ბავშვობა ხდება...
და წლები მიდის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აკაკი დაუშვილი

## ტყავის ქურთუკი



ბიჭს ტყავის მოდური ქურთუკი ეცვა. ო, როგორ მინდოდა, ქუჩიდან გადაეხვია, მაგრამ ის ჯიქურ ჩვენკენ წამოვიდა და კვლავ დაიწყო მრავალჯერ გათამაშებული სცენა, რომელიც ზიზღს მგვრიდა, მაგრამ იძულებული ვხდებოდი, ამგვარი სცენების მონაწილე გავმხდარიყავი.

- ძმაკაც, ერთი აქ მოდი! — თქვა სკოლის რკინის ჭიშკარზე ცალი ხელით მიყრდნობილმა დიტომ.

ქურთუკიანი შედგა და მშვიდად შეგვათვალიერა. გამიკვირდა, ასეთ დროს შიშისგან სუნთქვა ეკვრით, რადგან ხვდებიან, ყველაფერი ცუდად დამთავრდება, ის კი თამამად გვიყურებდა.

- რა გქვია? — აგდებულად ჰკითხა დათომ.

- გეგა.

- რომელ უბნელი ხარ? — თემომ სიგარეტს მოუკიდა.

- მთაწმინდელი.

- რომელ ქუჩაზე ცხოვრობ? — ჩაეკითხა ზურა.

- არსენაზე.

- კახას იცნობ? ლანცეტას? — დაკითხვა დიტომ განაგრძო.

- არა, არ ვიცნობ.

- კურტკა გაიხადე და აქედან აითესე! — დაემუქრა თემო.

გეგამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

ოცდახუთი წლის წინანდელ ამბავს გიყვებით, რომლის გახსენებაც მუდამ სულს მიშფოთებს.

ჩვენ ხუთნი ვიყავით: დიტო, ზურა, დათო, თემო და მე. ერთ ქუჩაზე გაზრდილი ბიჭები. იმ ასაკისანი, ცხოვრებაში თავის დასამკვიდრებლად ზოგჯერ მიუღებელ ხერხებსაც რომ არ თაკილობ. იმხანად თანატოლებისგან გამორჩევის საუკეთესო საშუალება უცხოური „შმოტკებით" სიარული იყო. ბევრად უფრო მაგარი ბიჭი იყავი, ჩასაცმელს თუ ვინმეს გახდიდი. ჩვენ საამისოდ კარგი ადგილი გვქონდა შერჩეული. საღამოობით სკოლაში აღარავინ იყო და, თუ მსხვერპლს ქუჩიდან ეზოში შეიყვანდი, არათუ საჭირო ნივთს გააძრობდი, დამატებითი სიამოვნებისთვის ლაზათიანადაც შემოულაწუნებდი.

შმოტკებზე არ ვგიჟდებოდი, არიფების დაჩაგვრა კი არაკაცურ საქციელად მიმაჩდა. სამწუხაროდ, ბიჭები ბურთს ძველებური ხალისით აღარ დასდევდნენ, სასმელსაც სვამდნენ, თამბაქოში „ბალახს" ოსტატურად უკეთებდნენ და გოგონებზე უხამსად ლაპარაკობდნენ, მოკლედ, ქუჩურ ცხოვრებას აწვებოდნენ და მეც ჩემდაუნებურად სისასტიკესა და ძალადობაში ვმონაწილეობდი.

ჩვენს შორის მხოლოდ თემო იყო ბუნებით დაუნდობელი — ბადალი არ ჰყავდა კატებისა და ძაღლების წამებაში. ვერაფრით ამეხსნა, რატომ სიამოვნებდათ ჩემს მეგობრებს თანატოლების ცემა, აბუჩად აგდება. ნუთუ მაგარი ბიჭობის სურვილმა გახადა ასეთი აგრესიულები? ბევრჯერ უსამართლოდ მოვქცეულვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ძმაკაცს არ ეღალატება. მინდოდა, ჩემი განცდები მეგობრებისთვის გამენდო, ისინი კი გატაცებით არჩევდნენ შავი სამყაროს ჩახლართულ საქმეებს. ეს მოსაწყენი ლაპარაკი ჩემთვის აუტანელი ხდებოდა, არადა, სხვა გზა არ იყო, უნდა მესმინა, რადგან მეგობრებს ზურგს ვერ ვაქცევდი.

იმ დღეს აკაციის ხესთან ვიდექით. ლაყბობით დაღლილი თემო და დათო სახლის კედელთან ჩაცუცქულიყვნენ. დიტო შარვლის ჯიბეში ნაპოვნ მზესუმზირის მარცვლებს გულმოდგინედ არჩევდა. ზურას შეყვითლებული ფოთლის ყუნწი გაეჩარა პირში. ოქტომბერი იდგა. საკმაოდ ციოდა. წინა დღით სათავგადასავლო წიგნის კითხვა დავიწყე და ერთი სული მქონდა, როდის გავაგრძელებდი. ბიჭებთან კი წიგნს ვერ ვახსენებ, დამცინებენ.

თემო ზლაზვნით წამოდგა, ჯინსის შარვალი მუხლთან ჩაიბერტყა და თქვა:

- წავიდეთ, ვინმე შევაყენოთ!

- წავიდეთ! — ზურამ პირიდან ფოთოლი გადმოაგდო და გაანიტა.

- ფეხბურთი ვითამაშოთ, სანაძლეოზე, - ვცდილობ, მეგობრებს განზრახვა შევაცვლევინო.

- მოიცა, რა!.. — თქვა დიტომ. მისგან მიკვირს. ერთხანს ფეხბურთზე დადიოდა, კარგადაც თამაშობდა.

სკოლისკენ მიმავალ აღმართს ავუყევით. ნაწვიმარი ქვაფენილი ფოთლებითაა სავსე და ფეხი ცურავს. დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია. სკოლის ამოსახვევში საშუალო სიმაღლის ბიჭი გამოჩნდა, ტყავის ქურთუკი ეცვა.

- შენი სიმაღლისაა. მაგარ კურტკას დაირტყამ! — ღიმილით მითხრა დიტომ.

- დათოსაც კარგად ექნება, - ვიუარე მე.

- კარგი რა, სულ ეგრე იცი, - დამანამუსა დათომ.

გეგა სკოლის ეზოში უშიშრად შემოვიდა.

- ვა, რა მაგარი ბიჭია, ტო! — დამცინავად თქვა ზურამ.

ზურა ჩვენს შორის ყველაზე მაღალი და ჯანიანი იყო, მსხვერპლს პირველად ყოველთვის ის უტევდა. ეს მისთვის არავის დაუვალებია, უბრალოდ, სიმაღლის გამო თავს ვალდებულად თვლიდა, ასე მოქცეულიყო.

- ბიჭო, გინდა, ვაფშე შიშველი გაგიშვა? — დაემუქრა თემო.

მინდოდა, გეგა ცემას მაინც გადამერჩინა და საკმაოდ უხეშად ვუთხარი:

- კურტკა გაიხადე!

გეგამ ისე უშიშრად შემომხედა, მივხვდი, ისე მეტად ამაყი და გულადი იყო საიმისოდ, რომ ქურთუკი ნებით გაეხადა.

- მამაჩემის სახსოვარია! — მკაცრად თქვა გეგამ.

- სახსოვარი? — დათო გაოცდა.

- ჰო.

- მამაშენი ვინ არის? — ეს ზურაა.

-აღარ მყავს, - გეგამ თავი დახარა.

- რო დაგვინახე, რატომ არ გაიქეცი? — დაინტერესდა დიტო.

- არც მამაჩემი გაიქცეოდა, - ამაყად თქვა გეგამ.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

- შევეშვათ, - ვთქვი მე.

- შევეშვათ, - დამეთანხმა დიტო.

ყველაფერი თემომ გააფუჭა.

- სიაფანდობს! — გამომწვევად ჩაისისინა, ბიჭთან მივიდა, ხელი ქურთუკში ჩაავლო და გახდა დაუპირა.

გეგამ მკერდზე ძლიერად უბიძგა, თემო უკან-უკან წაბარბაცდა და შეურაცხყოფილმა იყვირა:

- დავქოთოთ ეს ახვარი!

ზურამ კვლავ ყველას დაასწრო და გეგას ხელი მოუქნია. ის ჩაცუცქდა, დარტყმა აიცდინა, მერე ზამბარასავით აიმართა და ზურას ყბაში კაი მაგარი აჭამა. წამიერად გაჩენილი ლმობიერება სისასტიკემ შეცვალა და დიტო, დათო, თემო და მე ბიჭს ერთდროულად მივესიეთ. ძალები სამარცხვინოდ არათანაბარი იყო და ხელებს ყასიდად, უფრო მეგობრების დასანახავად ვიქნევდი. გეგამ დათოს აქნეულ ფეხში სტაცა ხელი, ზევით აუკრა და ცალ ფეხზე დარჩენილი მიწაზე დაანარცხა. დიტოს წიხლს ვერაფერი მოუხერხა, ფერდში მოხვდა და ტკივილისგან წელში მოიკუნტა. ახლა კი თემომ კისერში ხელი გამეტებით დაჰკრა, ძირს დავარდნილს მკერდზე მუხლებით დააწვა, სახეში მუშტი ჩასცხო, ქურთუკი გახადა და გადმომიგდო:

- შენია!

ქურთუკი დავიჭირე და გეგას გავხედე. მიწაზე წამომჯდარი დამცინავი თვალებით მიყურებდა. უცებ გვერდზე შებრუნდა და მთელი ძალით მოქნეული ფეხი თემოს წვივის ძვალში აჯახა. თემოს საყრდენი გამოეცალა, ფეხები ჰაერში აიშვირა, მიწაზე გაიშხლართა და თავი ქვას დაჰკრა.

- ვაიმე! — იღრიალა თემომ.

გეგამ დაბნეულობით ისარგებლა, ქურთუკი ხელიდან გამომგლიჯა და ნიკაპში მუშტი მატკაკა. აზრზე რომ მოვედი, გაშმაგებული მეგობრები ძირს დავარდნილ გეგას წიხლებს დაუზოგავად ურტყამდნენ. დათომ ქურთუკი ისევ შემომაჩეჩა. პირქვე დავარდნილმა გეგამ ხელისგულები მიწას დააბჯინა, თავი წამოსწია, ზიზღით შემოგვხედა და ქვედა ტუჩი სიმწრით ჩაიკვნიტა.

შინ მისული სხვენში ავიპარე და ქურთუკი ძველი გაზეთებით სავსე ხის ყუთში დავმალე, მეგობრებს კი მოვატყუე, ბიძაშვილი მესტუმრა, ქურთუკი ძალიან მოეწონა და უარი ველარ ვუთხარი-მეთქი.

მალე ჩამოთოვა და რამდენიმე დღით ცხოვრება გახალისდა. ისე კი ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. დათოს ძალიან უნდოდა ზამთრის მოდური ქურქი და ვიღაც ბიჭს ადვილად გავხადეთ, საწყალს წინააღმდეგობის გაწევის სურვილიც კი არ გასჩენია.

გაზაფხულდა. გეგა არ ჩანდა, რაც ძალიან მიკვირდა. ასეთი გულადი ბიჭი მამის სახსოვრის დაბრუნებას აუცილებლად შეეცდებოდა. სასკოლო არდადეგებიც დაიწყო. ერთი წელიც და სკოლას დავამთავრებ, ცხოვრებაც, ალბათ, სხვანაირად გაგრძელდება. მაგრამ როგორ? უბნის განაბებს დავუახლოვდით და აწი მათი სურვილებიც უნდა გაგვეთვალისწინებინა. მარიონეტად ყოფნა აუტანელი გახდა და გადავწყვიტე, მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით მეცხოვრა. ამ ნაბიჯის გადასადგმელად საჭირო იყო რაღაც საყრდენი და ეს საყრდენი გეგა და სხვენში გადამალული ქურთუკი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ შევხვედროდი და ყველაფერი ამეხსნა, აუცილებლად გამიგებდა და ის ზიზღიანი მზერა თანაგრძნობითა და პატივებით შეიცვლებოდა.

ქუჩა, სადაც გეგა ცხოვრობდა, ადვილად გავიხსენე. სხვენიდან ჩამოტანილი ქურთუკი სპორტულ ჩანთაში ჩავდე და არსენას ქუჩაზე ავედი. ქუჩა რიყის ქვითაა მოკირწყლული. რკინის ალაყაფის წინ ქვიშა ეყარა და ბიჭები თამაშობდნენ. მათკენ წავედი:

- ბიჭებო, გეგას იცნობთ?

- აგერ, იმ სახლში ცხოვრობდა.

- ცხოვრობდა?

- გეგა შარშან მოკლეს.

- მოკლეს?!

- ჰო, იჩხუბა და მუცელში რაღაც გაუსკდა.

ცხოვრებაში პირველად შევიგრძენი ნამდვილი გაოგნება. ბავშვების სიტყვებიდან ისღა გავიგე, რომ გეგა მაგარი ბიჭი იყო, არც დედას და არც მილიციას არ უთხრა, სად იჩხუბა და ვისთან იჩხუბა.

სულამორთმეულივით მივდიოდი და ვგრძნობდი, ზურგს უკან როგორ იმსხვრეოდა ქვეყნიერება. მეგობრებს პირში მივახლი, რომ მკვლელები და ნაძირალები ვართ. გზაჯვარედინთან გავჩერდი. შუქნიშანზე ფერები მხიარულად მონაცვლეობენ. უსულო საგანიც კი ჩემს დამორჩილებას ცდილობს. სპორტული ჩანთიდან ტყავის ქურთუკი ამოვიღე, აკაციის ტოტზე დავკიდე და გზაჯვარედინი წითელ შუქნიშანზე გადავკვეთე.



ბაბუა სოლომონ კალანდაძის პორტრეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დავით ახლოური

## სოფლის მონატრება

მოდიო – სოფლიდან მეძახის ბავშვობა...
მივდივარ, თვალებზე კიაფობს ცრემლი
(აქ, ალბათ, ვიღაცას მე ისევ ვახსოვარ,
აქ, ალბათ, ვიღაცა მე ისევ მელის).

მივდივარ, ჩემს სევდას არა აქვს ნაპირი,
დღეს, ალბათ, ბიჭებთან უგონოდ დავლევ
და მერე დავკოცნი ჟუჟუნა აპრილის
ატმის ყვავილებით ჩახატულ თვალებს...

## მატარებელში

შენ ახლა, ალბათ ღვთისმშობელს და იესოს ხედავ...
შენი ეგ სახე, ცით მოვლენილ უფალს მაგონებს.
გზად ფიანდაზად დაგებული ჩრდილები ხეთა,
ღვთის საუფლოში მიაცილებს თითქოს ვაგონებს.

გზად აღმართია, იებია და ლელიანი,
ხალხს კი, ხალხს ისევ ,,უღმერთობა‘‘ ადარდიანებს.
მე დავემხობი შენს წინაშე თვალცრემლიანი,
რომ მოსვლა ღვთისა ვაგრძნობინო ადამიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

გაქრა, გაფრინდა ჩვენი ბავშვობა,
გაქრა, გაფრინდა ღობის ჩიტივით,
მე შენში ვხედავ დროის სახსოვარს
და აღარც მახსოვს შენი ტიტინი,

ახლა სხვაგვარი ქრიან ქარები,
დღეს სხვა გზებს ვეძებ და სხვა იმედებს...
მე მიყვარს მხოლოდ შენი თვალები
და შენი ტანის თბილი სინედლე.

•

ძველი ოცნება დამრჩა უცვლელი,
ვერ მივაღწიე ტაძრის კარებთან...
ჩამოეხია ერთი ფურცელიც
ჩემი ცხოვრების ყვითელ კალენდარს.

ჩამოეხია ერთი ფურცელიც...
ქრება იმედი ქალის ფიცივით
და დღემდე რჩება ისევ უცვლელი
კაცის ბჭობა და ღმერთის სიცილი.

## მგზავრობა მთიულეთში

გზად მიგვაცილებს სამრეკლოს ზარი,
ვკეცავთ ბილიკებს, ვკეცავთ მთა-გორებს,
ავტობუსი კი ყოველი მგზავრით
მე ჩემს პატარა ოჯახს მაგონებს.

თანაც დღეს ყველას ღიმილი ახლავს...
შენ ხატავ, მე ვარ გართული წერით
და შენი ეშხით მატარებს ახლა
ჩემი ოჯახის ყოველი წევრი.

## ოკამი

მზე ახლა ვაზზე შემორჩენილ დილის ნამს ლოკავს,
მე კი ყველაფერს დღეს აპრილის თვალებით ვუმზერ;
როგორ უხდება ტყემლის თეთრი მანდილი ოკამს,
როგორ მინდა, რომ საუკუნე დავარქვა წუთებს...

აქ დავიბადე, აქ დაირწა ჩემი აკვანი,
აქ დავუღლივარ მეგობრებთან ფეხბურთის თამაშს,
აქ ვატარებდი საყვარელ ქალს ხელში აყვანილს
და ბავშვობაშიც აქ ვეძებდი ნესტანს და თამარს...

ამიტომაც მე მისი ნახვა ყველგან მწყურია,
მის სილამაზეს, მის სიტურფეს ვერაფერს ვადრი,
მიყვარს კახეთი, მიყვარს რაჭა, მიყვარს გურია,
მაგრამ რა ვქნა, თუ გულთან უფრო ახლოა ქართლი.

რა ვქნა, თუ აქ მზე ვაზის ნამსაც სხვა ეშხით ლოკავს,
თუ აქ ყველაფერს დღეს აპრილის თვალებით ვუმზერ...
როგორ უხდება ტყემლის თეთრი მანდილი ოკამს,
როგორ მინდა, რომ საუკუნე დავარქვა წუთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წითელი თავშალი

როდემდე ომი, როდემდე დავა,
იმ დღეს პატარა ოსმა გოგონამ
ტირილით მითხრა: „მე შენი და ვარ"
და გული დამწვა ცრემლმა ობოლმა...

ამ ცრემლმა მერე გასული წლები
გადამავიწყა ძმობის ნაშალთან
და მომეჩვენა დაყრილი ხმლები
ოსი დობილის წითელ თავშალთან.

## საყვარელ ქალს

*ხალხურ კილოზე*

მჭირდები, როგორც ჰაერი,
მჭირდები, როგორც წყალი,
მჭირდები, როგორც იმედის
ფერმკრთალი ნაპერწკალი.
მჭირდები, როგორც ნუგეში,
როგორც საგზალი ხვალის,
მჭირდები, როგორც რწმენა და
სინათლე ორთავ თვალის,
მჭირდები, როგორც ნიავი,
მჭირდები, როგორც ქარი,
მაგრამ ყველაზე მეტად კი
მჭირდები, როგორც ქალი.



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე — გულისგასახეთქი სიძველე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელგარდ მიმიგური

## ბაჩი

ბაჩი ჩემი ძროხის სახელია. მე და ბაჩი ერთად ვიზრდებოდით. ბაჩიმ ტანი აიყარა, მეც ავიყარე ტანი... ძალიან, ძალიან მიყვარს ჩემი ბაჩი, ჩემი უშობელი, ან რა ტანადია იგი, მოწითალო ფერის, სწორედ ისეთი, ზოოლოგიის სახელმძღვანელოში რომ ხატია, რომლის ქვეშ ასეთი წარწერაა გაკეთებული — ველის წითელი ძროხა. დიახ, ბაჩი ძროხა გახდა, კარგადაც იწველება, მშვენებაა ოჯახის. მისი შვილი მოზვერია, დედის ნამსგავსი, მოწითალო ფერის. რომ დაკუნტრუშებს, სიხარულს მატებს ეზოს. მე მასზე ვგიჟდები, მიყვარს და იმიტომ. ვის არ შეუყვარდება იგი. ისეთი ლამაზია და მოხდენილი, გინდა სულ უცქირო, დატკბე მისი ცქერით.

ვერ ვიგონებ, საიდან მოგვევლინა ბაჩი, ან ვინ შეარქვა ასეთი სახელი. დიდი ხნის ამბავია ეს, ომი იყო, დიდი ომი.

ქვეყანას უჭირდა. დიდ ომს დიდი მოუსავლიანობაც ერთვისო რომ იტყვიან, ასეც მოხდა. იმ წელს გვალვები დაიჭირა, გახმა ყველაფერი, ჩვენთან, დასავლეთში, საირიგაციო სისტემა არ არსებობს, ყანები არ ირწყვება და გვალვიან ამინდში მოსავალი საიდან მოვა. ის კი არა, ჩალაც უსუსურია, დაგვალული. საქონლის საკვებიც ჭირს.

დიდი ოჯახი გვქონდა. სადილად ათი კაცი ჯდებოდა მაინც. ბავშვები ექვსნი ვიყავით, მე, ყველაზე უმცროსი, განებივრებული ვყავდით, თოჯინასავით მეთამაშებოდა და მეფერებოდა ყველა. ბებია, მამის დედა, ჩვენთან ცხოვრობდა, დედ-მამაც ხომ იყო და ერთი ვინმე მუდამ სტუმრობდა ჩვენსას, და აი შენი ათი სული, ათი მჭამელი.

მიკვირს, როგორ უძლვებოდა ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახს მამაჩემი. კი, სახლში ყველა შრომობდა, რაღაცას აკეთებდა, მაგრამ გვალვას ხომ ვერაფერი შველოდა...

იმ წელს გაუსაძლისი გახდა ჩვენი ცხოვრება, სიმინდი არ იყო, ომი მძვინვარებდა, ვის ეცალა შენთვის, მამა ახალი დაბრუნებული იყო ფრონტიდან, დაინვალიდებული, სვანეთში იბრძოდა მამა, ბეჩოს გადასასვლელის მიდამოებში. მთებში ჩარჩნენ თურმე მეომრები, დიდმა თოვლმა მოუსწროთ, გზები ჩაიკეტა. ბევრი თოვლში ჩაიხრჩო, გაიგუდა, როგორც ერთი ჩვენი მეზობელი ცანავა, ბევრს გერმანელი სნაიპერების ტყვიამ მოუღო ბოლო, ცოტამ ჩამოაღწია მთის ძირამდე.

ამას გვიყვებოდა მამა. ის ყოველთვის მართალს ამბობდა, არასოდეს იტყუებოდა. ასე გაგვზარდა შვილებიც. ზოგჯერ ვიტყვი ხოლმე, ტყუილი არასოდეს მიქთვამსმეთქი, არ სჯერათ, ნუ დაიჯერებენ. მე ხომ ვიცი, რომ ეს ასეა. შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ ტყუილი არასოდეს მითქვამს. თუ რაიმე მოვიტყუე, იმ წუთშივე გამეცინება და ვიტყვი, ახლა მოვიტყუე-მეთქი.

იმას ვყვებოდი, მიკვირს მამა როგორ უძლვებოდამეთქი ასეთ დიდ ოჯახს, მით უმეტეს მოუსავლიანობის წლებში.

საქონელი გვყავდა, სამი ძროხა გვეწველებოდა. ძალიან რომ გაგვიჭირდა, ერთი ძროხა გაყიდა მამამ, მაგრამ აღებული ფულით ნაყიდი სიმინდი მალე შემოგველია. დერი დადგა მეორე ძროხის გაყიდვისა...

ვიღაცამ მოიტანა ამბავი, აჭარაში, ქობულეთში, კარგი მეწველი ძროხა კარგად ფასობსო. მამამ გადაწყვიტა ოჯახის მშვენება ბაჩის გაყიდვა. ამას დედაჩემისა და ბებიას ვაი-ვიში მოჰყვა, მაგრამ მამის გადაწყვეტილებას წინ ვინ დაუდგებოდა. მეორე ძროხა უკვე ხანშია შესული და იგი ქობულეთამდე ვერც კი ჩააღწევსო, უთქვამს მამას. ბაჩი კი სრულიად ახალგაზრდა იყო, კარგადაც იწველებოდა, თანაც ღონიერი იყო, ავ თვალს არ დაენახავებოდა.

ყური რომ მოვკარ, ბაჩი უნდა გაიყიდოსო, მოვრთე ღრიალი, ვერავინ დამამშვიდა. ბებია და დედა მეფერებოდნენ, მაგრამ მეც ვხედავდი, ისინი ჩუმად რომ იცრემლებოდნენ. არაა აქ გასაკვირი არაფერი. მის მიერ ნაზარდ-ნალოლიავები საქონელი, მითუმეტეს ძროხა, ოჯახს რომ უყვარდეს, ეს სრულიად ნორმალური გაგება. აქ სიყვარული საერთოდ აპოგეამდეა აყვანილი.

ბაჩი ღამით წაეყვანათ მამას და ჩემს უფროს ძმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთას. რომ გავიღვიძე და ბაჩი ვერ დავინახე, ისევ მოვ-რთე ღრიალი, მთელი დღე ვტიროდი.

ჩვენი სოფლიდან აბაშამდე თოთხმეტი კილომეტრია, იქიდან ქობულეთამდე ხომ დიდი მანძილია. ჩვენებს მოკლე გზით უვლიათ, ბაჩი მორჩილად მიუყვებოდათ თურმე, რიონიც ადვილად გადაულახავთ. გვალვები იდგა და რიონში წყალი დამცრობილიყო.

ქობულეთში მესამე დღეს ჩაუღწევიათ. ბაჩი კარგ ფასად გაყიდულა და მამა-შვილი, ნაყიდებით დატვირთულნი, მშვიდობით მობრუნდნენ სახლში.

მამა ძალიან მიყვარდა, ალბათ იმიტომ, რომ მუდამ მეფერებოდა და, არასოდეს არ მიწყრებოდა. ის რომ დავინახე, გავიქეცი და კისერზე ჩამოვეკონწიალე, დავუწყე კოცნა. ბაჩი არც მომგონებია. საჩუქარი რომ გადმომაყარა, მთლად გადავირიე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როცა ნამგზავრებმა მოისვენეს, ეზოში გავვარდი და ბავშვებს შევერიე, თანაც გავიძახოდი, აი ნახეთ, მამამ რა საჩუქრები მომიტანა-მეთქი, ვახარბებდი თანატოლებს, როგორც ეს სჩვევია ყველა ბავშვს...

ერთმა კვირამ განვლო, ჩვენი ოჯახი თანდათანობით ეჩვეოდა ბაჩის გარეშე ცხოვრებას, გვიმძიმდა, მაგრამ რა უნდა გვექნა, სხვა შარა რომ არ იყო!

მერვე დღეც მიიწურა თითქმის, მზის ჩასვლას არაფერი აკლდა და დახეთ საოცრებას, ჩვენი ბაჩი ჭიშკარს მოადგა, ერთი დაიღმუვლა, - მმმუო, ჭიშკარზეც დააპირა გადმოხტომა, მაგრამ ვერ შეძლო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოხდებოდა ჩვენს ოჯახში, ყველანი წამოვცვივდით და სირბილით გავექანეთ ბაჩისაკენ. ყველას მე გავუსწარ, ვეცი კუტკარს, გავაღე იგი და კისერზე შევახტი ბაჩის. ვტიროდი მე და იცრემლებოდა ბაჩიც, მას, მგზავრობით დამაშვრალს, ცრემლები ჩამოსდიოდა თვალთაგან, ეს საოცრება იყო, ნამდვილი საოცრება... ბაჩთან ერთად მთელი ოჯახი იცრემლებოდა.

შეიძლება მავანმა თქვას, რა მოხდა მაინცდამაინც ისეთიო, ბოლოს და ბოლოს ძროხა მობრუნდა თავის პირველ სამყოფელში და ამან რატომ გადარია ოჯახიო, მაგრამ არა, ნამდვილად მოხდა დიდი ამბავი, ბაჩიმ, ჩვენმა საყვარელმა ბაჩიმ დაგვიმტკიცა თავისი დიდი სიყვარული, უფრო ნათლად და გასაგებად ნეტავ რომელ სულიერს შეეძლო ასე მოემოქმედა!..

ბაჩის მობრუნებით ოჯახი სიხარულმა მოიცვა, მაგრამ ეს სიხარული დიდხანს ხომ არ გაგრძელდებოდა. მამამ თქვა, ოჯახს მისამართი დავუტოვეო მე და ისინი ორ-სამ დღეში მოგვადგებიანო აქ, თუ ეს ასე არ მოხდა, იძულებული გავხდები იქით მივგაროო ძროხა. ამაზე არავის არაფერი არ უთქვამს ოჯახში, არც მე. რასაკვირველია, ძროხა პატრონს უნდა ჩაბარებოდა.

მგზავრობით გალახულ ბაჩის ჩვენ მოვუარეთ, მე მის ირგვლივ ვტრიალებდი მუდამდღე, ვურჩევდი საკვებს, ვასუფთავებდი, ვვარცხნიდი სამუნელით...

მამის ნათქვამი გამართლდა. ახალმა პატრონმა ჩამოაკითხა ბაჩის და იგი... წაიყვანა, ჩვენ კი ხელმეორედ დაგვწყვიტა გული...

## ჩანახატი

შორს, მთის ძირას, უშველებელმა ლოდმა მოადინა ბრაგვანი. თოფმომარჯვებულმა ბერდიამ უმალ მზერა ზემოთ სტყორცნა და რომ ვერაფერი შეამჩნია, გაირინდა, დაელოდა; ლოდი შვეულად გადმოვარდნილი ჩანდა, რადგანაც მას კლდის სხვა ნატეხები არ წამოუტანია თან. გაუკვირდა მონადირეს, იმ ქიმზე დათვი ვერ აბობღდებოდა, ადამიანზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია და, ნეტავ რა სულიერმა დასძრაო კლდის ეს ვეება ნაგლეჯი იქიდან. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, მალე არწივი აფრინდა იმ ადგილიდან. მთის გულზვიადმა მეუფემ გეზი ზემოთ აიღო, ყველაზე მაღალი მთის ქიმები ქვემოთ მოიტოვა, ერთი უშველებელი ირაო შემოჰკრა და უეცრად გაუჩინარდა.

ბერდია ისევ იმავე ადგილზე იდგა, ფეხი არ მოუცვლია, სჩამნდა, იგი მეტად დაეტყვევებინა მთის მეუფის გაელვებას და მონატრებული მისი განმეორებითი ხილვისა, თავი იქითკენ შეებრუნებინა, საითკენაც გაფრინდა მთის ეს მშვენება... არა, არწივი არ გამოჩენილა, საფიქრალია, მასაც გაუკვირდა ფეხქვეშიდან საყრდენის გამოცლა და, ალბათ განაწყენებულმა, თავი ანება იქაურობას; ბერდია კი არ მოსცილებია თავის პირვანდელ ადგილს, ჯიუტად იდგა რაღაცის მომლოდინე და აი, დაჰხეთ საოცრებას, ზუსტად იმ ქიმზე, საიდანაც ლოდის გადმოვარდნას გულისხმობდა ბერდია, ასე, წლინახევრის ჯიხვი გადმოდგა. მონადირემ მანქანური სისწრაფით მოიმარჯვა თავისი გაპრიალებული ზაუერი და დაუმიზნა. ჯიხვი, ჯერ ისევ გამოუცდელი, ბერდიას მისჩერებოდა და თითქოს ეკითხებოდა, ხომ მოგეწონეო ძალიან, და თავს აქეთ-იქით აქანავებდა ნიშნად თავმოწონებისა და ახალგაზრდული ანცობისა.

ბერდიას ჩახმახზე გამოედო თითი, მაგრამ გამოკვრას აყოვნებდა, თვალები კი ისე ფართოდ გაეღო, თითქოს ეკითხებოდა: „რამ გაგაჩინაო ასე კოხტა და ლამაზი"... ცთუნებას ვერ გაუძლო მონადირემ, თუმცა მისი ცდუნება ახლა სულ სხვა იყო, მონადირის ჟინი აქ სიბრალულს დაეჩრდილა....... გასროლა მაინც მოხდა, რომელმაც შესძრა იქაურობა... ბერდიას ზაუერი დაბლა დაეშვა და ღიმილიანი თვალებით დასჩერებოდა მას... ჯიხვი კი, მახვილი თვალი შეამჩნევდა, როგორ მიჰქროდა ქარაფებიდან ქარაფებისაკენ...

საღამოს ოჯახი თვალანთებული უსმენდა მონადირე მამას... ყველამ შვებით ამოისუნთქა, უფროსი ქალიშვილი ძიძია კი თვალცრემლიანი ჩაეკონა საყვარელ მამას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამაზ ბერუჩაშვილი

## წიგნიდან – „დიდი შუადღე“

●

მენატრებოდა ლურჯი ზეცა და
ვერსად იპოვნა სულმა სიწყნარე,
ღრუბლებში ფრენას დიდხანს ვეცადე,
ძლივს დავეტიე ცოდვილ მიწაზე.
ღამეებისგან ისე ვეწამე,
ვერ მივეახელ ნათელს დილისას,
სანამდე უფლის ღიმილს ვუცადე,
ვეღარ ვეღირსე კაცის ღიმილსაც,
ვეღარ ავმაღლდი შვიდფერ ზეცამდე,
ერთი მოკვდავის ბედით ვიცხოვრე, -
ერთხელ რომ თქვენთან მოსვლა მეწადა,
მხოლოდ იმიტომ ღირდა სიცოცხლე!

## „რომ ვერ შევძელი წასვლა მიწიდან...“

მე ყოველივე თქვენთვის მინდოდა,
ის, რაც ოდესღაც ჩემი მეგონა,
მტოვებდა ბედი და გამირბოდა,
ვით გაურბიან გზაზე კეთროვანს.
შორს, მზეჩამვალ ქუჩებს ფარავდა
ნისლი, უჟმური და შემზარავი,
როცა თანდათან დაპატარავდა
ცის ბილიკი და მზემდე სავალი,
მე ყოველივე თქვენთვის მეწადა
ქარიც და ქარის მოთქმა-ბუზღუნიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როცა ფეხქვეშ გამომეცალა
მიწა და დავრჩი ცას მილურსმული,
უცხო ვიყავი, ფეხქვეშ მიმძიმდა
მიწა, რომელიც ვეღარ ვიწამე, -
- „რომ ვერ შევძელი წასვლა მიწიდან",
- მხოლოდ იმიტომ დავრჩი მიწაზე!

●

სიკეთისაგან ბოროტის ძლევის
რჩება საწუთრო, რაც იყო ძველად,
სულ მალე ერთი ცოცხალი ცრემლი
დანაწილდება უთვალავ ცრემლად,
მოყვასთა შენთა და შვილთა შენთვის
დატოვე რამე სიკეთის ნიშნად,
რამეთუ სულაც არ არის ერთი...
- წყალს გაჰყვები თუ დარჩები ქვიშად...

## შემთხვევითობა

...რომ არ გამეღო ოთახის კარი,
რომ არ მეხილა ღიმილი მისი,
არ მოსულიყო ლამაზი ქალი
ან მოლოდინი მქონოდა სხვისი,
დავრჩენილიყავ იმ დილით სახლში
ან წავსულიყავ ძალიან ადრე,
იქ, სადაც იმ დღეს რატომღაც მაშინ
არავითარი არ მქონდა საქმე,

არ ჩავყოლოდე ჩემ ნაცნობ ფერდობს
ჩვეულებრივი ნაბიჯით ჩქარით,
რომ მივსულიყავ ადგილზე, ღმერთო,
ადრე ან გვიან, სულ ერთი წამით,
რომ ყოფილიყო სულ სხვა დღე კვირის,
რომ არ გამეღო ოთახის კარი,
რომ ვერ გამეგო ნაბიჯი ფრთხილი,
რომ არ მეხილა ლამაზი ქალი...

●

მივყვები დღეებს, როგორც ბილიკებს,
მაგრამ არ ვიცი, ვივლი საითკენ,
ამდენი ხანი ვერ შეგირიგე,
ჩემი ტკივილი ვერც შენ გაიგე.
მერე დადგება გაის-მერმისი
და სიკვდილამდე მემახსოვრება,
რომ დავამტკიცო – ზოგიერთისთვის
არარსებული ჩემი ცხოვრება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ქარი ჩამოყრილ ფოთლებად ფანტავს
სიხარულს, იმედს, რაც მწამს და რაც მსურს,
მტოვებს წარსული და მიდის სადღაც,
ვტოვებ აწმყოს და მივყვები წარსულს.
უკვე მძიმდება შუადღის ცრემლი
და ემატება ნაღველი სტრიქონს,
ჩამავალი მზე განთიადს ელის,
დამცხრალი მთვარე დაეძებს სითბოს,
ფერისცვალება შემოდის ჩემში,
მოაქვს დუმილი ფოთლის და ჩიტის
თივის სურნელით, წვიმების თქეშით,
ნისლიან მთებით, გალუმპულ მინდვრით,
სადღაც შრიალი წვიმის და თოვლის,
ტკბილ მოგონებებს აწვიმს და ათოვს,
- მტოვებს აწმყო და იჩქარის შორით,
ვტოვებ მყოფადს და... მივყვები აწმყოს...

●

ის იდგა ჩემ წინ ცრემლივით წმინდა
(წვიმაში მოცარტს უკრავენ სადღაც)
და კვიპაროსებს მოჰქონდათ ციდან
მიუწვდომელი სურვილის განცდა.
იყო ფერები ტკივილის მსგავსი,
იყო გოლგოთა და იყო ცრემლი,
გაზაფხულივით ის იყო ნაზი,
ოცნებასავით ის იყო თეთრი.
მე ყოველივე მეწადა მწყურვალს –
მისი გულიც და იმ გულის ფეთქვაც,
ვიდექი ქარში, ვიდექი ჩუმად
და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა,
ვიცოდი მხოლოდ, მიმზერდა ქალი,
უკანასკნელად, ვიცოდი ისიც,
სინანულივით ის იყო მკრთალი,
ის იყო სხვა და ის იყო სხვისი,
მიტოვებული ტიროდა წვიმა,
ქარს მივყვებოდი წვიმაში სადღაც
და კვიპაროსებს მოჰქონდათ ციდან
მიუწვდომელი სურვილის განცდა...

## ფოთოლი

ხის ტოტს ფოთოლი მოსწყდა და მიჰქრის,
ქვითინი მისი არავის ესმის
და სადღაც, დიდი ხეების იქით,
ყვითელ ბალახზე დაეცა კვნესით,
შეშურდა ბედი გამხმარ ფოთლების
და დაიშალა ნაწილ-ნაწილად,
დამძიმებული მიწა ცოდვებით
ერთი ფოთოლით უფრო დამძიმდა!
იცის, არავინ არ შეიცოდებს,
უკანასკნელად თრთის და ინთება,
ცვივა ფოთოლი, - სიკვდილ-სიცოცხლის
ულამაზესი ჭეშმარიტება...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დალილა ბედიანიძე

## ძაღლების დედოფალი

**ირონიულ-ფანტასტიკური კატიოსანი მინირომანი**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი უშვილო ცოლ-ქმარი. ცხოვრობდნენ ტკბილად ქალაქის განაპირას ტყეში და ღმერთს ყოველდღე ევედრებოდნენ, მათთვის შვილი მიეცა. ღმერთმა შეისმინა მათი ვედრება და ერთ მშვენიერ დღეს ანგელოზი გამოუგზავნა, რომელმაც ერთი ვაშლი მისცა მოხუცებს, თან დაარიგა — ეს ვაშლი ორად გაჭერით, ორივემ შეჭამეთ და შვილი გეყოლებათო. ცოლ-ქმარი ასეც მოიქცა და ცხრა თვის თავზე გოგონა შეეძინათ. ბავშვის დაბადების ღამეს მის მშობლებს ჭერიდან რაღაც ხმაური შეესმათ. დააყურადეს და მიხვდნენ, ესენი ბედისმწერლები არიანო. სამნი იყვნენ. ერთმა თქვა, გაიზარდოს გოგონა სილამაზით მზის მსგავსი, მისი ბადალი არ დადიოდეს ქვეყანაზეო. მეორემ თქვა, ქსოვის ნიჭი ჰქონდეს, თავს ქსოვით ირჩენდესო. მესამემ თქვა, ხელმწიფის შვილმა შეირთოს ცოლადო. ეს თქვეს და ბედის მწერლები გაფრინდნენ. იმ ღამეს ბავშვის დედას სიზმარში ღვთის ანგელოზი გამოეცხადა და ამცნო, ბავშვს ქერა მია უნდა დაარქვათ სახელად, იგი ბოროტი ჯადოქრის შავი მიას მოწინააღმდეგე იქნება და შავი მიას ჯადო მას ვერაფერს დააკლებსო. ვინ წლით იზრდებოდა, ქერა მია კი დღით. სამი თვისა სამი წლისას ჰგავდა, სამი წლისა კი ათი წლისას. ის-ის იყო, თხუთმეტი წელი შეუსრულდა და მისმა დედ-მამამაც მიაბარა სული უფალს. დარჩა მარტო მშობლებისეულ სახლში. ამხანაგები და ნათესავები არ ჰყავდა, რადგან განმარტოებით იზრდებოდა. გაიზარდა მართლაც ლამაზი, ისეთი ლამაზი, რომ მზეს ეუბნებოდა, შენ ჩადი, მე ამოვალო.

ქერა მიას სახლი მარადიულ სიმწვანეში იდგა. მის ირგვლივ მუდამ ზაფხული იყო, ყინვა-ქარიშხლები არ ეკარებოდა. თუ მოწვიმდა, ისიც ისე, რომ არემარე მოერწყა და ჰაერი გაწმენდილიყო, მზე პირს იბანდა ხოლმე. მია თხუთმეტი წლისა ისე შესრულდა, ქალაქში არ იყო ნამყოფი. ხალიჩებს ქსოვდა, მერე ის ხალიჩები მამამისს მიჰქონდა ბაზარში, ყიდდა და სურსათ-სანოვაგეს, ტანსაცმელს, ოჯახისთვის საჭირო რამერუმეს ყიდულობდა. ხალიჩები კარგ ფასად იყიდებოდა, ცხოვრება არ უჭირდათ. მშობლების სიკვდილის შემდეგ ქერა მია ერთხანს მათი დატოვილი მარაგით ირჩენდა თავს, მაგრამ, როცა ყველაფერი გამოელია, გადაწყვიტა, ქალაქში წასულიყო და ბაზრობაზე თვითონ გაეყიდა ხალიჩა. თქვა და ჰქმნა. ქალაქში კი ამ დროისათვის აი, რა ამბები მოხდა: ჯადოქარმა შავმა მიამ გრძნეულებით შეკრა მთელი ქალაქი და თავის ჯარისკატებს ჩააბარა. მისი მსახური შავი კატები არხეინად დაპარპაშებდნენ ქუჩებში და, ვისაც ნახავდნენ, ყველას ამუნჯებდნენ. მოხდა დიდი კატატრიალება, ქალაქში მარადიულმა ზამთარმა დაისადგურა. იქაურობა სავსე იყო ნაირნაირი შავი კატებით. ისინი ადამიანებივით იყვნენ გამოწყობილი და ადამიანებივით იქცეოდნენ, რადგან ერთ დროს ადამიანები იყვნენ და მხოლოდ შავი მიას გრძნეულებით იქცნენ კატებად. მათ სძულდათ თითოეული ადამიანი და ყოველივე ადამიანური. ვის არ ნახავდით აქ: კაბელა კატას, რომელსაც კაბა ეცვა, ქურთუკელას, ჯინსელას, პალტოელას, გალმელა კატას, აღმართელას, დაღმართელას, ქუჩელას, ბაზრელას... ქალაქის მთავარ მოედანზე დაკიდული რადიოდან გაისმოდა კატების გადაცემები, ანუ კატაცემები. დროდადრო მათ სიმღერა „მიავ, მიავ, ჩემო ფისუნიავ!" ენაცვლებოდა. კატებს მწერლებიც ჰყავდათ — პოეტესა კატესა და პროზაიკოსი კატისა. კატესას ეკუთვნოდა კატებში ცნობილი ლექსი, ანუ კატლექსი „რა კარგია კატაობა, აბა, ოპა, ოპა, ოპა!" ერთი სიტყვით, ქალაქში კატრიარქატი სუფევდა. ბაზრობაზე გამყიდველებიც და მყიდველებიც კატები იყვნენ. კატებს ძალიან უყვარდათ ფერად-ფერად ხალიჩებზე კოტრიალი. მათ ძალიან მოეწონათ ქერა მიას მოქსოვილი ხალიჩა, რომელიც ორმა კაბელა კატამ იყიდა ათასი კატის ფულად და მაშინვე შავ მიას მიურბენინა, რომელიც ხელმწიფის სასახლეში ტახტზე იჯდა და თავისი შავი საქმეებისგან ისვენებდა. ქერა მიამ აღებული ფულით სურსათ-სანოვაგე და ძაფები იყიდა და შინისკენ გაბრუნდა. გაკვირვებული კი იყო, რომ ყველგან კატები დახვდნენ, მაგრამ ამბავი ვერავის ჰკითხა, მთელ ქალაქში ადამიანი არ ჭაჭანებდა, არც ნამდვილი კატა. ქერა მიას სილამაზე კატებს არ გამოჰპარვიათ. მისთვის არაფერი უვნიათ, მაგრამ, როცა შინისკენ წავიდა, ერთი ჯარისკატა აედევნა, სულ ცუნცულით სდია, გაიგო მისი ადგილსამყოფელი და შავ მიას მიუტანა ამბავი.

-მაშ, ძალიან ლამაზია? — ჰკითხა მას შავმა მიამ.

-მიავ, ძალიან ლამაზია! — მიუკნავლა ჯარისკატამ.

შავმა მიამ ჯარისკატას მადლობა უთხრა და გაუშვა, თვითონ კი სარკე ამოიღო და ჩაიხედა. სხვათა შორის, კმაყოფილი დარჩა და ამაყად ჰკითხა სარკეს:

-აბა, სარკევ, მითხარი, ჩემზე ლამაზი არის ვინმე ქვეყნად?

-შენც ლამაზი, მეც ლამაზი, ქერა მია კი ასლამაზი! — უპასუხა სარკემ.

შავი მია ბოღმისაგან კიდევ უფრო გაშავდა და დაიქადნა:

-მე მაგას ვუჩვენებ სილამაზეს! ნახოს, თუ არ გავაკატა-

ვო და დავიმონო. ერთი მივუსიო ჩემი კატები!

ქერა მია ის-ის იყო შინ მივიდა და დასასვენებლად ხის ძირას ჩამოჯდა ეზოში, სახლის წინ, რომ მის ჭიშკარს შვიდი ახალგაზრდა მიადგა.

-მასპინძელო! — დაიძახეს ერთხმად.

ქერა მიამ ჭიშკარი გააღო და სტუმრები ეზოში შეიპატიჟა.

-მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა! ვინ ბრძანდებით, კეთილო ხალხო?

-ოჯახის უფროსი სად ბრძანდება? — იკითხეს მათ.

-ამ ოჯახის უფროსი მე ვარ, - უპასუხა ქერა მიამ. — ქერა მიას მეძახიან. მარტო ვცხოვრობ, ჩემი მოხუცი მშობლები ცოცხლები აღარ არიან.

-შავი მია რა არის შენი?

-შავი მია ჩემი მტერი და ბოროტი ჯადოქარია.

-მაშ, გეტყვი ჩვენს ამბავს, - წინ წამოდგა ერთი ახალგაზრდა, რომელიც ტოლებში გამოირჩეოდა თავისი სილამაზით და ახოვანებით — მე ხელმწიფის შვილი ვარ, ესენი ჩემი ამხანაგები არიან. შავი მია დაერია ჩემს ოჯახს, ჩემი მშობლები კატებად აქცია, დაიმონა, მე და ჩემი ამხანაგები კი დავემალეთ მას და ქალაქიდან გამოვიქეცით. აქვე, ტყეში ვიმალებოდით. ქალაქში ახლა კატრიარქატია და იქ ვერ დავბრუნდებით. თუ შეგიძლია, ცოტა ხნით შეგვიფარე. სამაგიერო პატივისცემა ჩვენზე იყოს. ერთხელ ჩვენი დროც მოვა. ახლა მთელი ქალაქი გაუკატიურებულია. პატიოსნება კატიოსნებამ შეცვალა.

-აკი გითხარით, სტუმარი ღვთისაა! ღმერთმა ამისთვის შემქმნა, რომ კეთილი საქმეები ვაკეთო. რამდენ ხანსაც გენებოთ, დარჩით. შავი მიას ჯადო ვერ მომერევა და ვერც ჩემს სახლ-კარს შეეხება, - მოკრძალებით უთხრა ქერა მიამ. — მე თვითონ ვიყავი დღეს ქალაქში და ყველაფერი ენახე. აი, თურმე რაშია საქმე.

-მე ბენჯი მქვია, - გაეცნო ხელმწიფის შვილი, - ქალაქში კი ახლა ყველამ შეიცვალა სახელი, ყველა კატატრიალდა. მამაჩემის პირველმა ვეზირმა, მაგალითად, ძაღლაო კატა დაირქვა და ახლა შავი მიას პირველი მოადგილეა. ძალიან საშიშ ცხოველად იქცა — ძაღლია თუ კატა, ვერ გაიგებ.

-ამ დღეებში კიდევ წავალ ქალაქში და ყველაფერს დაწვრილებით გავიგებ, - თქვა ქერა მიამ, - დღეს კი დავისვენოთ, ყველა დაღლილი ვართ. ჩემს სახლში საფრთხე არ გემუქრებათ.

-მაინც საჭიროა დარაჯობა, - ამოიოხრა ბენჯიმ, - კატები მოგვაგნებენ და შემოგვესევიან. შავ მიას უამრავი ჯარისკატა ჰყავს, რომლებიც ყველგან დაძვრებიან და, ალბათ, აქაც მოვლენ. მე კართან დავიძინებ, ფრთხილი ძილი ვიცი და არაფერი გამომეპარება.

შავი მია გუნებაზე ვერ ბრძანდებოდა. ერთი ფინჯანი კატაბალახა მიირთვა და ძაღლაო კატას უხმო სათათბიროდ. ძაღლაო კატა შემოვიდა, შავ მიას თაყვანი სცა და მის წინ ჩაცუცქდა.

-ხვალისთვის ყველაფერი მზად არის? — ჰკითხა შავმა მიამ.

-დიახ, ამხანაგო შავო მია!

-ყველამ იცის, რომ ხვალ კატისკუდობას ვდღესასწაულობთ?

-მოსაწვევი კნავილები ყველას გავუგზავნეთ, ჩვენმა ერთგულმა კატებმა ყველა სახლს მიუკნავლეს.

-ადამიანები კიდევ არიან ქალაქში?

-ალბათ, არიან, მაგრამ გარეთ არ გამოდიან.

-რას ჭამენ, რას სვამენ, რით თბებიან?

-ალბათ, მარაგი აქვთ. გაუთავდებათ და გამოვლენ.

-მე ვიცი ერთი ადამიანი ქერა მია, რომელიც დღეს ქალაქში იყო. ქალაქგარეთ ტყეში ცხოვრობს, პატარა სახლში. რა იცი ქერა მიაზე?

-ქერა მიას ჯადო არ ეკარება, ამხანაგო შავო მია! იგი ღვთის ნათლულია და მისი სახლი აუღებელია.

-ქერა მია ჩემი მტერია, - ამოიოხრა შავმა მიამ, - ხელმწიფის შვილი და მისი ამხანაგები შეიკედლა.

-ასეთ ძლიერ მტერთან ახლოს ყოფნა სჯობია, - ურჩია ძაღლაო კატამ.

-მეც ასე ვფიქრობ. ამიტომ ხვალ ადამიანის სახით ვეჩვენები და კეთილ დედოფალს ვითამაშებ. როგორ ფიქრობ, ამხანაგო ძაღლაო კატა, სიკეთე უფრო ძლიერია თუ ბოროტება?

-რასაკვირველია, ბოროტება!

-მაშ, მოვერევი ქერა მიას?

-ცდა ბედის მონახევრეა, ცდით ყველა საქმე აღსრულდება. ვცადოთ!

-ადამიანები უფრო ძლიერია თუ ჩვენ?

-ადამიანები ხომ გავაუკატიურეთ!

-კიდევ ბევრნი არიან, არ მოისვენებენ, კატრიარქატს დაამხობენ.

-დაამხობენ და ჩვენც შევიცვლით სახეს დროის შესაბამისად. მე ხომ ვიყავი ადამიანი, ახლა ძაღლაო კატა ვარ და, თუ კატრიარქატს ტურობას შევუნაცვლებთ, მერე დიქტატურა ვიქნები. მმართველობის ფორმა რომ მოძველდება, მერე ახალ რამერუმეებს მოვიფიქრებთ. ადამიანები ხშირხშირად უნდა შევანჯღრიოთ და შევავიწროვოთ, რომ მორჩილებაში ვიყოლიოთ. ხან ვიკატავებთ, ხან ვიტურტურებთ, მერე კი ცხოვრება თვითონ გვიჩვენებს, რა ვქნათ.

-ბევრი, ძალიან ბევრია ხელმწიფის ერთგული.

-ხელმწიფე და დედოფალი მთლად გამოკატავდნენ და ჩვენი მონები არიან.

-მაგრამ მათი საქმე ხომ დარჩა!

-ამხანაგო შავო მია! მე მგონია, ხელმწიფის შვილმა თქვენზე რომ იქორწინოს, ამით ჩვენი ხელისუფლებისთვის სასარგებლო ნაბიჯს გადავდგამთ და ხელმწიფის ერთგულებს შემოვირიგებთ.

-ჭკვიანური აზრია! — მოეწონა შავ მიას, - თუ არადა, ხელმწიფის შვილს შავ ძაღლად გადავაქცევ, ძაღლუმადური ცხოვრება ექნება, ბოლოს კი ჩაძაღლდება.

-თუ ძაღლად აქცევთ, მე მაინც მოვნახავ მასთან საერთო ენას. ძაღლობაც ჩავატაროთ?

-ახლა მთლად ნუ ამაძაღლებ და ნუ გადამრევ. ჯერჯერობით ძაღლობის ჩატარებაზე ფიქრი ნაადრევია, მაგრამ ხელმწიფის შვილი ყველას არ ჰგავს, კატად რომ ვაქციო. კატებში გავა და კატებს აგვიჯანყებს. იგი გამორჩეულია და ამ გამორჩეულობით მარტო იქნება, მარტოხელას კი იოლად დავიმორჩილებთ. უთვალყურეთ ქერა მიას სახლს, გაგზავნეთ ჯარისკატები, მათი ყოველი ამოსუნთქვა უნდა ვიცოდეთ. ჯერჯერობით ხელი არ ვახლოთ, ვნახოთ, იქნებ გადმოვიბიროთ. გული მიგრძნობს, ქერა მია მოვა ხვალინდელ კატისკუდობაზე და გავიცნობ. ის ხომ კეთილია! ზრახვა არა აქვს და ვერაფერს დამაკლებს.

-როგორც მიბრძანებთ, ამხანაგო შავო მია! ახლა კი დაგტოვებთ. ხვალისათვის მოსვენება გჭირდებათ.

ძაღლაო კატა გამოვიდა თუ არა, მაშინვე ასი ჯარისკატა გაგზავნა ქერა მიას სახლისკენ. ჯარისკატები სახლს ირგვლივ შემოერტყნენ, ღობეზე აძვრნენ და გაიტრუნენ. სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ქერა მიას და მის სტუმრებს ღრმა ძილით ეძინათ. ბენჯის დაესიზმრა, ქერა მია თეთრ საქორწინო კაბაში თავზე გვირგვინით მის გვერდით იდგა. მოულოდნელად ძლიერმა ქარმა დაქროლა და ქერა მია ბუმბულივით წაიღო. ბენჯიმ ხელი გაიწოდა მისკენ, გამოეკიდა, მაგრამ თითქოს უცნაურმა სიმძიმემ შეიპყრო — მიწას ვერ ასცილდა. მოულოდნელად მის ფეხქვეშ მიწა გაიპო და შავმა უფსკრულმა დააღო პირი. ცოტაც და ბენჯი უფსკრულში ამოყოფდა თავს, მაგრამ ქერა მია ფარფატით თავზე დაადგა, ხელი გამოუწოდა და ცაში აიყვანა. ცაზე მზე ამობრწყინდა და ისინი მზისკენ გაფრინდნენ. ბენჯიმ ძირს გადმოიხედა, დაინახა თავისი ამხანაგები უფსკრულის პირას და ხელი დაუქნია. ისინიც ერთიმეორის მიყოლებით აფრინდნენ. „ახლა ჩვენ ყველა ვარსკვლავებად ვიქცევით" — უთხრა ქერა მიამ. — „მერე მზესთან ერთად ვარსკვლავები შეიძლება?" — გაუკვირდა ბენჯის. „სიზმარში ყველაფერი შეიძლება", - უთხრა ქერა მიამ. „მაშ, ეს სიზმარია?" — ხმამაღლა წამოიყვირა ბენჯიმ და გამოეღვიძა. ხმაურზე ქერა მიასაც გაეღვიძა და შეშინებული წამოხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-რა მოხდა? — იკითხა ათრთოლებულმა.

-ნუ გეშინია! — უპასუხა ბენჯიმ. — სიზმარი ენახე.

-ცუდი სიზმარი? ცუდს გიგრძნობს გული?

-მერე მოგიყვები, ახლა კი სახლს უნდა შემოვუარო, - თქვა ბენჯიმ და გარეთ გავიდა. ქერა მიაც მიჰყვა. ნახეს, ჯარისკატების ალყაში იყვნენ. კატების თვალები სიბნელეში ნაკვერჩხლებივით ელავდნენ და ხარბად მიშტერებოდნენ ქერა მიას სახლს.

-ალყაში ვართ! — უთხრა ბენჯიმ ქერა მიას, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა არემარეს — კატები შემოგვესივნენ.

დასამალი აღარაფერი იყო და ჯარისკატებმა ერთხმად ამოიღნავლეს, ღობეს მიაწყდნენ და ეზოში ჩახტომა სცადეს, მაგრამ უხილავმა ძალამ ისინი ძირს დასცა. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

-ვერაფერს გვავნებენ. შინ შევიდეთ! — უთხრა ქერა მიამ ბენჯის.

ბენჯის ამხანაგებს უკვე ეღვიძათ და ყველაფერი გაეგოთ.

-საქმე იმაშია, - თქვა ბენჯიმ, - რომ ჩვენ ნადირობით ვირჩენთ თავს. ხვალ დილით ტყეში რომ გავალთ, ეს კატები მოსვენებას არ მოგვცემენ, ალბათ, გამოგვეკიდებიან და იქ კი იოლია ჩვენი დაჭერა. რომ არ ვინადიროთ, რა ვჭამოთ?

-რა ნადირებს ხოცავთ? — იკითხა ქერა მიამ.

-მხოლოდ გარეულ ტახებს, რომლებიც ადამიანებს ვნებენ.

-იარაღი ხომ გვაქვს, - თქვეს ბენჯის ამხანაგებმა, - იქნებ, დაგვეხოცა ეს კატები? ალბათ, ხვალიდან უფრო მეტი შემოგვესევა.

-სისხლს სისხლი მოჰყვება, - არ დაეთანხმა ქერა მია. — იქნებ, დავლაპარაკებოდით, რას ითხოვენ ჩვენგან? მე დაველაპარაკები.

ქერა მიამ ჭიშკარი გაალო და კატებს მიმართა:

-რა გინდათ, კატებო, რისთვის მოსულხართ?

კატებმა მისი ხმა რომ გაიგეს, ჭიშკართან მოგროვდნენ, უკანა თათებზე შედგნენ, წინა თათები გულზე დაიკრიფეს და ქერა მიას თაყვანი სცეს. წინ წამოდგა ჯარისკატა კატა რაქტა და ქერა მიას აუწყა:

-ხვალ ქალაქში დიდი დღესასწაული გვაქვს — კატისკუდობა და შავი მია გთხოვთ, გვეწვიოთ თქვენს ამხანაგებთან ერთად.

-აქ ვინ გამოგაგზავნათ?

-ძაღლაო კატამ. ის არის ჩვენი უფროსი.

-რით დავიმსახურე ასეთი პატივი? — ჩაეძია ქერა მია.

-ჩვენ — კატები ადამიანების მეგობრები ვართ. თქვენ ხომ ადამიანი ბრძანდებით! მოდით, ვიმეგობროთ და ვიაროთ ერთმანეთთან. ერთმანეთის ჭირი და ლხინი გავიზიაროთ! — მიუგო კატა რაქტამ. — ჩვენ ცნობილი კატები მოვედით თქვენთან. აგერ გვყავს კატა ლოგი, ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი; კატა შე — კატების კულტურის ატაშე; კატა მონა — მისი მოადგილე; კატა ფონია — ჩვენი კომპოზიტორი; კატა ურა — ჩვენი მეტაშე და სხვანი და სხვანი. ყველა ჩვენ-ჩვენს საქმეს ვემსახურებით, მაგრამ, როდესაც ქალაქს გაუჭირდა, მის დამცველთა რიგებში ჩავდექით და ჯარისკატებად დავეწერეთ. თქვენი მობრძანებით კატივს დაგვდებთ. სხვა ადამიანებიც გაიგებენ, რომ ადამიანი გვესტუმრა, ისინიც მოვლენ და საყოველთაო ზეიმს გავმართავთ.

-თუ პირობას მომცემთ, რომ არაფერს დაგვიშავებთ, გესტუმრებით — თქვა ქერა მიამ.

-კატიოსან სიტყვას გაძლევთ, თქვენი კატივისცემის გარდა არაფერი გვინდა, - მიუგო კატა რაქტამ, - ჩვენც გვაქვს ჩვენი კატიოსნება და სიამაყე. გეფიცებით შავ მიას და ჩვენს შავკატობას, უკმაყოფილო არ დარჩებით.

-მაშინ გეახლებით! ახლა კი დაიშალეთ. რა საჭიროა ჩვენს სახლს რომ შემოესიეთ? — უთხრა ქერა მიამ.

-გელოდებით! — ღრმა რევერანსი გააკეთა კატა რაქტამ.

-ურა! ურა! — ტაში დასცხო კატა ურამ, სხვა კატებიც აჰყვნენ, მერე შებრუნდნენ და ერთმანეთის მიყოლებით გაუჩინარდნენ სიბნელეში.

-ხვალ აუცილებლად წავალ კატისკუდობაზე, - უთხრა ქერა მიამ ბენჯის.

-რამე რომ გავნონ? — შეშფოთდა ბენჯი.

-ფიცით დაამტკიცეს, რომ არაფერს გვავნებენ. ერთი ვნახოთ, რა დღესასწაულია კატისკუდობა!

-ჩვენც წამოვალთ. სადაც შენ, იქ — ჩვენ! — უთხრა ბენჯიმ. — იქნებ, სხვა ადამიანებიც მოვიდნენ და ერთმანეთს მაინც ვნახავთ. რაც კატრიარქატი დამყარდა, ამ ქალაქს სულ გაუტყდა სახელი — სხვა ქალაქებიდან აღარავინ მოდის. ამბობენ, რომ ჩვენი ქალაქი ბანდიტების ქალაქია. მოსალოდნელია კიდევ ერთი გატატრიალება და დიქტატურა. ძაღლაო კატა ისეთი ოხრის ერთია, რომ ჯერ მამაჩემის პირველი ვეზირი იყო, ახლა შავი მიას პირველი მოადგილეა და, ტურობა თუ დაიწყება, იქნებ, თვით დიქტა ტურადაც მოგვევლინოს.

-მერე დიქტა ტურა ადამიანებისთვის სასიკეთოდ რას შეცვლის?

-სამწუხაროდ, არაფერს! შავი კატები ახლა ტურებად გადავლენ, აღარ იკნავლებენ და იტურტურებენ. ვინც ვერ შეძლებს გატურავებას, ალბათ, იმათ შავი მიას კანონი დასჯის. ასეთი რამ ადრეც მომხდარა ადამიანებს შორის. კატებმა ხომ ყველაფერი ადამიანებისგან ისწავლეს. შავი მია და ძაღლაო კატა ძალიან განათლებულები არიან, მათ კატა ლოგი ეხმარება, რომელმაც ადამიანების ისტორია კატოთეკაში შეინახა და სასტიკად აკლანჭა მისი წაკითხვა რიგითი კატებისთვის. კატები სრულ სიბნელესა და უმეცრებაში იმყოფებიან, შავი მიას ბრძანებებს კი ასრულებენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად, ვისაც რა მოეპრიანება, იმას აკეთებს. ძირითადად ქურდბაცაცობენ და ადამიანებს ნაშრომს პარავენ, მერე ერთმანეთს შავ მიასთან აბეზღებენ, ინტრიგებს ხლართავენ...

ბენჯი უცბად შეჩერდა, მთვარის შუქით განათებულ თმაგაშლილ ქერა მიას შეხედა და აღმოხდა:

-რა ლამაზი ხარ, მია!

-ლამაზი მე კი არა, შენ ხარ! — გაუღიმა ქერა მიამ.

-მია! გჯერა ერთი ნახვით შეყვარების?

-ახლა უკვე მჯერა! — ამოიოხრა ქერა მიამ.

-შენ გყვარებია ვინმე?

-არა, ჯერ არავინ.

-იცი, რა არის სიყვარული?

-მე არ ვიცი, სიყვარული რა არის, მაგრამ მინდა, რომ სულ გვერდით მყავდე, სულ გიყურო და გისმინო და უშენოდ არსად არასოდეს აღარ ვიყო. ეს სიყვარულია?

-მია! ცოლად გამომყვები?

-სად შენ და სად მე! შენ ხელმწიფის შვილი ხარ, ტახტის მემკვიდრე, ჩემი მშობლები კი უბრალო გლეხები იყვნენ. სასახლის კარისა და დედოფლობისა მე არაფერი გამეგება.

-შენზე ლამაზი და ჭკვიანი, შენზე კეთილშობილი მე დღემდე არავინ შემხვედრია. მითხარი, რაშია შენი ძალა, მია?

-ღვთის რწმენაში! — მიუგო ქერა მიამ ბენჯის და პირჯვარი გადაიწერა. — მადლობა ღმერთს, რომ ჩემთან გამოგაგზავნა და ჩემი მარტოობა დამთავრდა. ღვთის ნების გარეშე ხეს ფოთოლიც კი არ ჩამოვარდება.

ბენჯი ერთხანს მოხიბლული შეჰყურებდა ქერა მიას, მერე ორივე ხელით თავი აუწია, თვალებში ჩახედა და ფრთხილად, ფრთხილად აკოცა შუბლზე.

-ჩემო მფარველო ანგელოზო! — უთრხა ჩურჩულით, - გამომყევი ცოლად, გამომყევი!

-იყოს ნება ღვთისა და ნება შენი! — უპასუხა ქერა მიამაც ჩურჩულით, - შენ ქმარი და მე ცოლი.

მეორე დღეს ქერა მია დილიდანვე შეუდგა სადღესასწაულო სამზადისს. ბენჯი და მისი ამხანაგები ტყეში წავიდნენ სანადიროდ, ერთი გარეული ტახი მოკლეს, მიიტანეს შინ, გაატყავეს, შეწვეს და მოულხინეს. ქერა მიამ მათ დაბრუნებამდე იბანავა, თმა გაიშრო, ლამაზად დაიწნა, თავისი საუკეთესო თეთრი კაბა ამოიღო სკივრიდან და ჩაიცვა. ისედაც ლამაზი კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა. ნასადილევს ყველა ერთად გაუდგა გზას ქალაქისკენ. კატები რის კატები იქნებოდნენ, რომ ეს გამოეპარვოდათ. სასწრაფოდ ეახლა რამდენიმე ჯარისკატა შავ მიას და ძაღლაო კატას და მოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსენა, რომ ქერა მია და ხელმწიფის ვაჟი მეგობრებთან ერთად ქალაქის ცენტრს უახლოვდებოდნენ. შავმა მიამ სარკეში ჩაიხედა — შავი თმა, შავი თვალები, შავი ტუჩები, შავი ხელები, შავი კანი — ყველაფერი შავი ჰქონდა, სამოსიც შავი ეცვა და ქერა მიას მოქსოვილ ხალიჩაზე იჯდა. „როგორც შავი ყვავილი, ისე ვზივარ ხალიჩაზე", მოეფერა საკუთარ თავს, - „რა კარგი ვარ, რა კარგი! ჩემი შესაფერისი მხოლოდ ხელმწიფის შვილია". „ხელმწიფის შვილმა წუხელ ქერა მია შეირთო ცოლად!" — უთხრა სარკემ. „ქერა მია უფრო ლამაზია თუ მე?" — ჰკითხა სარკეს შავმა მიამ. „შენც ლამაზი, მეც ლამაზი, ქერა მია კი ასლამაზი!" — უპასუხა სარკემ. შავი მია გაბრაზდა, სარკეს შავი ტილო ჩამოაფარა და ძაღლაო კატას უხმო. ძაღლაო კატა მყისვე ეახლა და გულზე თათებდაკრეფილი შეკითხვით მიაჩერდა.

-მე მინდა, ქერა მიას და მის მეგობრებს ადამიანურად შევხვდეთ. მიიღე ადამიანის სახე და სთხოვე, როგორც საკატიო სტუმრები, პირადად მეწვივნენ! — უთხრა შავმა მიამ.

ძაღლაო კატა ცალ ფეხზე შემობზრიალდა, ერთი გაიზმორა და ადამიანის სახე მიიღო, მერე მოსასხამი შემოიხვია და საიდუმლო გვირაბით პირდაპირ ქალაქის მთავარ მოედანზე ამოჰყო თავი, სადაც ქერა მია და მისი მეგობრები იმყოფებოდნენ, მიესალმა მათ და განუცხადა:

-ამხანაგი შავი მია გთხოვთ, რომ ადამიანურ მიღებაზე ეწვიოთ. ჩვენც ხალხი ვართ და ჩვენც ვიცით სტუმრების მიღება. აბა, აქეთ წამობრძანდით! — და პირადად გაუძღვა სასახლისკენ. ქალაქში ბნელოდა და ციოდა, ყველა სახლიდან კვამლი ამოდიოდა, რადგან ყველას ბუხარი ენთო. დღესასწაულის აღსანიშნავად ქალაქის მოედნებზე კოცონები ბრიალებდნენ, რომელთა ირგვლივაც კუდიკუდგადაჭდობილი კატები კნაოდნენ და ფერხულს უვლიდნენ. კატავერნებში ჩამოსასხმელი კატაბალახას ნაყენი იყიდებოდა, რომელსაც ჯარისკატები ფეხდგომელა სვამდნენ. ქუჩები მორთული იყო გამოჩენილი კატების სურათებით და ლოზუნგებით — „დიდება მშრომელ კატებს!" „გაუმარჯოს შავ კატებს!", „კატებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" „ძირს მეფე!" და მისთანანი. ფრიალებდა შავი დროშები, რომლებზეც შავი მია და ძაღლაო კატა იყვნენ გამოსახული. ერთგან ხელმწიფის ძეგლი პიედესტალიდან ჩამოეგდოთ და კატები იქვე თხრიდნენ ორმოს, რათა დაემარხათ.

-რატომ მარხავენ? — გაუკვირდა ქერა მიას.

-იმიტომ, რომ საჭიროების შემთხვევაში ამოთხარონ! იქნებ, კიდევ მოვიდეს ადამიანობის დრო, - აუხსნა ძაღლაო კატამ. — ახლანდელ კატებს ერთი ბეწო ადამიანობა არა აქვთ, სულ გარეწრები და შინაწრები არიან, ყოველგვარ სიწმინდეს ბილწავენ, ფხაჭნიან, ბრჭყალავენ, ანგრევენ. ჩვენს გულებში ღრმად არის ჩამარხული ხელმწიფის სიყვარული და ოდესმე თავს იჩენს.

-ასე თუ ფიქრობთ, რატომ უღალატეთ მამაჩემს — შეეკითხა ბენჯი.

-მე არავისთვის მიღალატია. ხომ ხედავთ, ადამიანად დავრჩი, მაგრამ არავინ მერჩის. მამათქვენს და დედათქვენს ცოდვებმა უწია.

-რომელმა ცოდვებმა?

-დიდი პიროვნება დიდი ცოდვილია და პატარა პიროვნება — პატარა ცოდვილი. ხელმწიფე-დედოფლის განსჯა რა ჩემი საქმეა! — კრძალვით მიუგო ძაღლაო კატამ.

-თქვენ ძაღლაო კატა არ ბრძანდებით? — ჩაეძია ბენჯი.

-არა, მე ადამიანად დავრჩი, - იცრუა ძაღლაო კატამ.

-ხალხი სხვას ამბობს.

-რომელი ხალხი? სად არის ხალხი? ხალხმა რა იცის? ისე მიიფანტ-მოიფანტნენ, კაციშვილი არ ჭაჭანებს ქალაქში. კატისშვილებს დარჩა ყველაფერი. ხალხს რომ რამე შეძლებოდა, ხელმწიფეს უშველიდნენ.

ბენჯიმ ტუჩი მოიკვნიტა, ლაპარაკში არ აჰყვა ძაღლაო კატას.

შავი მია ადამიანების მისაღებად საგანგებოდ გამოეწყო დედოფლის საყოველდღეო ჭრელ კაბაში, რომ სტუმრებს სადა და უბრალო მშრომელ ადამიანად სჩვენებოდა. თავზე გვირგვინი არ დაუდგამს, თმა შეიკრა და თავსაფრის ქვეშ დამალა, სახეზე გამათეთრებელი მალამო წაისვა, პირზე ღიმილი დაიკერა — წვრილ, წვეტიან კბილებს აელვარებდა და სასტუმრო ოთახში წინ და უკან მიდი-მოდიოდა. „მე მინდა, უბრალო პატარა გოგონა ვიყო, რომელსაც ერთი ჩვეულებრივი, თავისი შესაფერისი ბიჭი ეყვარება და ბედნიერი იქნება მასთან. აბა, რას ვაქნევ დიდების პიედესტალს! აგერ, რა ხანია, ტახტზე ვზივარ ძლევამოსილი, მაგრამ ჩემმა გულმა შვება არ იგრძნო!" - ფიქრობდა აღელვებული. ამ ფიქრებში იყო, რომ ძაღლაო კატამ სტუმრები მიჰგვარა. შავი მია ხელის ჩამორთმევით შეეგება ყველას. ქერა მიას ნახვამ თავზარი დასცა და გული სიავისგან აუდუღდა, თუმცა არ შეიმჩნია, ცბიერი ღიმილი აიკრა პირზე და კომპლიმენტიც კი უთხრა: „მართლაც ლამაზი გოგონა ყოფილხართ, ქერა მია! მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა!" მოკითხვისა და სალამქალამის შემდეგ შავმა მიამ უხმო მომღერალ შვიდკატას, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ დელი კატესი, დელი კატესა, კატა სტროფა, კატა ვასია, ფისა ფუსა, ფის უნია და ჩექმებიანი კატა. შვიდკატამ შეასრულა ჰიმნი „მიაუ-მშიაუ", რომლის ავტორიც იყო კომპოზიტორი კატა ფონია. შემდეგ ყველა მეორე დარბაზში გაიწვიეს, სადაც საგანგებო სუფრა იყო გაშლილი. შავი მია ქერა მიას გვერდით მიუჯდა და პირადად მასპინძლობდა.

-ჩვენ ერთი და იგივე ვართ, ორივეს მია გვქვია, - მიეფერა იგი ქერა მიას. — მოდი, ვიმეგობროთ! რა გვაქვს გასაყოფი? თქვენი ჩვენთან ყოფნა დიდი პატივია ჩვენთვის. ჩვენ ორივე ხომ კეთილი ნების მსახურნი ვართ! თუ რამე არ მოგეწონებათ, გვიბრძანეთ და ვეცდებით, გამოვასწოროთ. კატატრიალების შემდეგ ადამიანები აღარ გვეკარებიან, გვემალებიან. აბა, ვის რას ვუშავებთ? ჩემი კატები სარჩოს თვითონ შოულობენ და, რასაც იშოვიან, დაუნანებლად შემოაქვთ ხაზინაში. თავის რჩენა ხომ გვინდა? უწინ ადამიანები იყვნენ კატების პატრონები, ზრუნავდნენ მათზე, ახლა კი აბა, რა გამოვიდა? დავრჩით უპატრონოდ. გეფიცებით, მეცოდება უპატრონო კატები და ამიტომ ვიკისრე მათი პატრონობა. განა ცუდი პატრონი ვარ? აბა, ჰკითხეთ კატა მონას, რა ტკბილია მონობა — შენზე პატრონი ზრუნავს, შენ კი თავისუფალი შრომის უფლება გაქვს — რასაც დაგავალებენ, ის უნდა აკეთო. არაფერზე ფიქრი და დარდი არ გჭირდება.

-ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე კატა არა ვარ! — შეაწყვეტინა ქერა მიამ.

-ვიცი, ვიცი და ამიტომ გეფერებით ასე, ჩვენო ლამაზო, კეთილო ქერა მია! თქვენთან მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს, რომ ჩვენთან ახლოს იყოთ. ნუ გვკრავთ ხელს. დაე, ადამიანებმა დაიჯერონ, რომ ყველაფერი ისევ ისეა. კატები ჩვენ არაფერს გვიშლიან, პირიქით — გვაღიარებენ და გვემონებიან. ო, რა ამაყად დავდგები დღეს თქვენს გვერდით!

ქერა მიას მობეზრდა შავი მიას ლათაიები და წამოდგა. ბენჯი და მისი ამხანაგებიც აჰყვნენ.

-სად მიბრძანდებით? ჯერ პურობა არ დამთავრებულა! — გააპროტესტა შავმა მიამ და ქერა მია ისევ დასვა, - ახლა კატაბალახას ნაყენს შემოიტანენ და ყველამ უნდა მივირთვათ ჩვენი ქალაქის სადღეგრძელო.

შემოიტანეს კატაბალახას ნაყენი. შავი მია რის შავი მია იქნებოდა, რომ შემთხვევა ხელიდან გაეშვა და ვინმეს მოჯადოებას არ ცდილიყო. კატაბალახას ნაყენში მან უჩუმრად ჩაურია ათასგვარი ჯადო-ბალახეული და უხმოდ შეულოცა კიდევაც. მისი ანგარიშით, სტუმრები კატაბალახის ნაყენის დალევის შემდეგ უნდა დახოცილიყვნენ, მაგრამ ბენჯიმ და მისმა ამხანაგებმა კატაბალახას ნაყენი არ დალიეს. ქერა მიამ ცოტა დალია. დალია და დამჯდარს ჩამოეძინა.

-ჩემს საწოლ ოთახში გაიყვანეთ! — ბრძანა შავმა მიამ — ეტყობა, დაღლილია და ეძინოს. გაიღვიძებს და შემოგვიერთდება.

ბენჯიმ ქერა მია ხელში აიყვანა და საწოლ ოთახში გაიყვანა. მას უკან გაჰყვა ძაღლაო კატა და განზე იხმო.

-ამხანაგი შავი მიას სურვილია, რომ თქვენ იგი ცოლად შეირთოთ — ამით ქალაქის ძლიერებას და ერთიანობას შეუწყობთ ხელს. დაბრძანდით ტახტზე შავ მიასთან ერთად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხეინად მართეთ ქალაქი. სამაგიეროდ, იგი თქვენს მშობლებს ადამიანობას დაუბრუნებს.

-მე ცოლი უკვე მყავს, - მიუგო ხელმწიფის შვილმა ბენჯიმ. — ქერა მიაა ჩემი ცოლი და მომავალი დედოფალი. განა ყველა თქვენსავით მოღალატეა!

ძაღლაო კატა მოიღუშა:

-შავი მიას სურვილი უნდა აღსრულდეს. იგი უარს არ არის ჩვეული. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ და თქვენი ამხანაგები ძაღლებად იქცევით და მარტოობაში ძაღლმადურად აღმოგხდებათ სული. არ გიმალავთ — ეს ასე იქნება.

-ერთი გაბედეთ და ხელი გვახლეთ! — თავი ამაყად ასწია ბენჯიმ.

-სწორედ ის დროა, შავ მიას ხელი სთხოვოთ! — ურჩია ძაღლაო კატამ ბენჯის და შავი მიაც შემოვიდა. ხელში თავისი ჯადოსნური მათრახი ეჭირა. ძაღლაო კატამ შავ მიას რაღაცა ანიშნა, მან კი მათრახი მოიქნია და ბენჯის გადაჰკრა, თან შესძახა: შენამც ქცეულხარ შავ ძაღლადო. ქერა მიამ ამ დროს თვალი გაახილა და დაინახა, ბენჯი როგორ იქცა შავ ძაღლად. იგი წამოხტა და გასაქცევად მოემზადა.

-ვერსად ვერ წახვალ, შენც ძაღლად გაქცევ! — გადაელობა ქერა მიას შავი მია. უნდოდა, მათრახი გადაეკრა მისთვის და შელოცვა ეთქვა, მაგრამ მოულოდნელად რაღაც ძალამ კრიჭა შეუკრა და განზე გასწია. ქერა მიას წინ გზა ხსნილი იყო და ისიც გაიქცა. ბენჯი უკან გამოეკიდა. მისი ამხანაგები ხმაურზე გამოცვივდნენ და გაავებულ შავ მიას შერჩნენ ხელში, რომელმაც ისინი ერთ წამში ძაღლებად აქცია.

-წადი ახლა და მდიე, შე ძაღლების დედოფალო! — მიაძახა გაქცეულ ქერა მიას შავმა მიამ.

ქერა მიამ ირბინა, ირბინა და შინ მიირბინა. ბენჯი და მისი ამხანაგებიც მიჰყვნენ. ქერა მია დასასვენებლად ჩამოჯდა. ბენჯი მივიდა და თავი კალთაში ჩაუდო.

-რა გვიშველის, მია? — ჰკითხა თვალებით.

-შავი მიას მათრახი უნდა ჩავიგდოთ ხელში, ხელუკულმა უნდა გადმოგკრათ და გითხრათ, ადამიანი იყავ და ადამიანად იქეციო და გვეშველება, - ანუგეშა ქერა მიამ. — ღმერთი გვიშველის! ღმერთი მოწყალეა, ბენჯი!

შავი მია ჯავრისგან კიდევ უფრო გაშავდა და მოიწყინა, რომ კატისკუდობა თავის გემოზე ვერ იდღესასწაულა, ადამიანები ვერ აიყოლია და ვერ გამოიტყუა სამალავებიდან. კატაბალახათი მთვრალი კატები ქუჩებში დაქროდნენ და იქაურობას კნავილით იკლებდნენ. მერე თოვლი მოვიდა და კოცონები ჩააქრო. ქალაქში სიბნელე ჩამოწვა. შავი მიას საბრძანებელში ბუხარი ენთო და სანთლები საამოდ ლიცლიცებდნენ. ბოღმისგან გაბერილი შავი მია ვერ ისვენებდა. ადგა და თავის განუყრელ ძაღლაო კატას უხმო.

-ხომ ხედავ, კატრიარქატმა ვერ გაამართლა! — მიმართა მას შავმა მიამ, - იქნებ, ტურობაზე გადავსულიყავით და შენ დიქტა ტურად მოგვევლინო?

-ნება თქვენია, ამხანაგო მია! მე მზად გახლავართ დიქტა ტურობისთვის.

-მაშ, ხვალ დილიდანვე შევუდგეთ საქმეს. დილისთვის გამოვაცხადოთ, რომ კატაობა აკლანჭულია, დავიბაროთ ჩვენი გამორჩენილი კატები და გადავიყვანოთ ტურებად. აბა, ტურების ადგილები ჩამომითვალე! ამაზე ხომ ადრეც ვილაპარაკეთ და მოფიქრებული უნდა გქონდეს.

-დიახ, ამხანაგო შავო მია! — მიუგო ძაღლაო კატამ. — მე ვიქნები დიქტა ტურა, კიდევ გვეყოლება ასპირან ტურა, რეგისტრა ტურა, მაკულა ტურა, ფიზკულ ტურა, ასა ტურა, სისა ტურა, ლიტერა ტურა, დოქტურან ტურა, ფანჩა ტურა.

-როგორც ყოველთვის, აღტაცებული ვარ თქვენით, ამხანაგო დიქტა ტურა! — თავი დაუკრა შავმა მიამ და წასვლა ანიშნა. — ახლა კი უნდა დავისვენო. ხვალ მძიმე დღე გველის.

მეორე დღეს განთიადიდანვე მთელმა ქალაქმა ტურტური დაიწყო. ოფიციალურად გამოცხადდა დიქტა ტურას მმართველობა. შეიცვალა ფული — ადრე თუ კატის ფული იყო, ახლა ტურის ფული შემოიღეს. დედალკატების და მამალკატების სურათები ქალაქის მთავარ მოედანზე საგანგებოდ დაწვეს. მხატვრებმა სასწრაფოდ დახატეს დიქტა ტურას პორტრეტი და ქალაქის მნიშვნელოვან ადგილებში გამოაკრეს. ბევრმა კატამ არ იცოდა, რა ხდებოდა და კნავილით გამოვიდა ქუჩებში — აბა, ერთი მივუკნავლ-მოვუკნავლო ჩემისთანებს, იქნებ, რამე გავიგოო. ქალაქი კიდევ უფრო ჩაბნელდა, მთლად ტურისფერი გახდა. დაიწყო საერთო არეულობა. არავინ აღარ მუშაობდა, მთავარ მოედანზე იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ, ახლა როგორ ეცხოვრათ. ფულის გადასახურდავებელ ჯიხურებთან რიგები იდგა, რადგან კატის ფულად დილიდანვე აღარაფერი იყიდებოდა. ტურებად გადაყვანილმა კატებმა ყველაფერი წინა ღამესვე მოასწრეს და ახლა არხეინად უვლიდნენ დავლურს. განსაკუთრებით მხიარულობდნენ მაკულა ტურა და მინია ტურა. ისინი ბენჯის და მის ამხანაგებს დასცინოდნენ და გაჰკიოდნენ:

*„მაკულა და მინია*
*ჩვენ ვართ ორი ფინია..."*

მეტაშე კატა ურა სასწრაფოდ აჰყვა ფეხისხმას, გადაიცვა ტურულად, მთელ ქალაქს უვლიდა თავისი ამფსონებით და ყვიროდა: „ურა! ურა! გაუმარჯოს ტურას!" ხანდახან კი ჩაურთავდა — „დიდება დიქტა ტურას!"

შავმა მიამ ქალაქის მართვა მთლიანად დიქტა ტურას მიანდო. ბრძანა კატრიარქატის დავიწყება და ახალი, დიდი, ნათელი მომავლის შენება. აკრძალა ამინდის შესახებ ლაპარაკი — ვინც იტყოდა, ჩვენს ქალაქში მზე არ არისო, სიკვდილით სჯიდნენ, რადგან უმზეობაში ახალი ვითარება იგულისხმებოდა. ასევე სიკვდილით სჯიდნენ ახალი რეჟიმის თითოეულ მოწინააღმდეგეს, რომელნიც უბრალო ნამდვილი კატები აღმოჩნდნენ, ერთგულები ძაღლაო კატასი და შავი მიასი. მათ ვერ წარმოედგინათ კატრიარქატის გარეშე ცხოვრება და კატრიარქატი თავიანთ დიად მონაპოვრად მიაჩნდათ. ვერ წარმოედგინათ, შავმა მიამ და ძაღლაო კატამ თუ ინებეს და სახე იცვალეს. ეგონათ, რაღაც შეთქმულებააო, ბრჭყალები აილესეს და ქუჩებში ტურებთან შეკატებები დაიწყეს. მათ ჯარისკატები დაერივნენ, რომელთაც უკვე ტურის ფორმები ეცვათ და ჯარისტურები ეწოდებოდათ. მათ ხელმძღვანელობდა ახალი ტურა დას ტურა, რომელსაც სულით და გულით სძულდა ყველანაირი კატა და კატრიარქატის დროს სულ ტურტურებდა, მთელ თავის შეგინებულ სიცოცხლეს კატების ლანძღვას ახმარდა და როცა რამდენჯერმე ძაღლაო კატამ დაიჭირა, მისთვის არც დაუმალავს თავისი ზრახვა, რომ დიქტა ტურას მომხრე იყო. იგი ამასვე ამბობდა ადამიანობის დროსაც. სძულდა ყოველივე ადამიანური და ცდილობდა, ადამიანის ხსოვნა აღმოეფხვრა თავიანთი ისტორიიდან. დას ტურამ ძალიან გაიხარა, რადგან არაფერი ისეთ სიამოვნებას არ ანიჭებდა, როგორც ვინმეს დასჯა, განსაკუთრებით კი კატებისა. პირდაპირ შუა ქუჩაში აღმართა სახრჩობელები და დიქტა ტურას მოწინააღმდეგე კატები ჩამოკიდა. დას ტურა მეტად ცბიერი და მოხერხებული ტურა იყო. იგი ისეთი ორპირი იყო, რომ თვით ძაღლაო კატასაც კი ეშინოდა მასთან საუბრის. ლაპარაკში ყველას ყველაფერზე ეთანხმებოდა, აიყოლიებდა საუბარში, მერე კი ყველაფერს აუცილებლად დაფქვავდა ძაღლაო კატასთან შეხვედრისას. საოცარი ის იყო, რომ ყველა საუბარს ისე წარმართავდა, თვითონ მართალი გამოდიოდა. ასე მართალი გამოვიდა კატატრიალების ამბიდანაც. გალატაკებული, გაყინული ქალაქი კატატრიალების მსხვერპლად გამოაცხადა და მართალიც იყო — კატაბალახათი მთვრალი ვატები ხომ არ მუშაობდნენ და არაფერს ქმნიდნენ. ისინი მხოლოდ ვაჭრობდნენ და ცბიერობდნენ, ტაცება-პარვაში ატარებდნენ მთელ დღეებს. ყველაზე შესაბრალისი იყვნენ კატებადქცეული ადამიანები, სრულიად უმწეონი და უსუსურნი. ისინი კატა მონამ დაიმონა და ყველაზე მძიმე საქმე — ხორცის მოპოვება დაავალა, რაც, რასაკვირველია, ვერ შეძლეს და ერთიმეორის მიყოლებით შიმშილით და სიცივით იხოცებოდნენ.

დას ტურამ მოჯანყე კატებს იოლად გაუსწორა ანგარიში ჯარისტურების საშუალებით, მაგრამ არ ასვენებდა ადამიანებზე ფიქრი. ისინი იყვნენ, ქალაქში კი ისევ არც ერთი არ ჩანდა. კატა კიდევ მონახავდა ადამიანთან საერთოს, მაგრამ ტურას ადამიანებისა ყველაზე მეტად ეშინოდა. იფიქრა, იფიქრა დას ტურამ და გადაწყვიტა, მორიგი ცბიერება ჩაედი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა — რამდენიმე სიკვდილით დასასჯელად გამზადებული კატა გაათავისუფლა იმ პირობით, რომ ქერა მიას ამბავი გაეგო. გაგზავნა ქერა მიასკენ და ფარულად რამდენიმე ჯარისტურა გააყოლა.

ქერა მია ნაღვლიანი იჯდა და ხალიჩას ქსოვდა. ბენჯი და მისი ამხანაგები მის ფეხებთან იწვნენ. ამათ ჯერ არაფერი იცოდნენ ტურობის შესახებ.

-ნუ გეშინიათ, ბენჯი! — ამშვიდებდა ბენჯის და მის ამხანაგებს ქერა მია. — აი, გავყიდი ხალიჩას და საჭმელს ვიყიდი, მერე კი, იქნებ, შავ მიასთან მივიდე და ვთხოვო, რომ ადამიანის სახე დაგიბრუნოთ. აბა, რა დაგიშავებიათ მისთვის!

-მიავ! მიავ! — გაისმა უცბად ჭიშკართან კნავილი. ბენჯი გავიდა, კატის სუნი ეცა და რამდენჯერმე შეჰყეფა. კატები არ ცხრებოდნენ — მიავ, გამოდი მიავ! მიაუ! მიაუ!

-ასე არასდროს არ დაუძახიათ. ნეტავ, რა ნებავთ? — დაინტერესდა მია, საქსოვი განზე გადადო და ღობეს მიადგა.

-მიავ, კატრიარქატი დამთავრდა. ქალაქში ახლა ტურობაა, დიქტა ტურა დაიწყო, - ერთხმად მოახსენეს კატებმა. -ეგ რას ნიშნავს?

-ყველაზე მართალ და ერთგულ კატებს ხოცავენ. ჩვენც ძლივს გამოვასწარით, დას ტურამ გვიშველა. კატა და ადამიანი ხომ მეგობრები არიან, მოვალთ და შენთან ვიცხოვრებთ. ყველგან ტურები სხედან. სამართალი აღარ არის.

-კატებიც თქვენ ხართ და ტურებიც! დამეკარგეთ აქედან! — დაუცაცხანა ქერა მიამ, - მე თქვენ შინ ვერ შემოგიშვებთ.

-მიავ, მაშ, გვისმინე! — უთხრეს კატებმა — შენ ხომ ხალიჩას ქსოვ, ეცადე, ხალიჩაზე დიქტა ტურა გამოსახო, თორემ არ გაგეყიდება.

-დიქტა ტურა ვინ არის? — იკითხა ქერა მიამ.

-ყოფილი ძაღლაო კატა.

-მე ხალიჩაზე ყვავილებს და ხეებს გამოვსახავ. ძაღლაო კატას სახე არ მახსოვს.

-ძაღლაო კატა არის ჩვენი მარადიული გამარჯვების სიმბოლო, - არ ცხრებოდნენ კატები. — მან იცის, ჩვენ რა დღეში ვართ. მართალი კაცია, გამოსახე!

-თქვენს საქმეში ადამიანი ვერ ჩაერევა, - ხელი ჩაიქნია ქერა მიამ. — ჩემი საქმე კი ქსოვაა. კატები ან ტურები ხომ ვერ მოქსოვთ ხალიჩებს!

-მაშ, არ მოგვეშხრობით ადამიანები? — აკნავლდნენ კატები, - მაშ, დაგვხოცონ?

ქერა მიას ბევრი არ უფიქრია, კატებთან საუბარს თავი ანება და შინ შევიდა. კატებმა ერთხანს ქერა მიას ჭიშკართან იფხაჭუნეს, მერე კი კუდდაშვებულები გაშწკრივდნენ და ისე ეახლნენ დას ტურას, თან დაწვრილებით მოახსენეს ქერა მიასთან საუბარი.

-ადამიანი ეშმაკია! — თქვა დასტურამ.

-ქერა მიას ეშმაკობა არა აქვს, მისთვის ეშმაკობა არ მიუნიჭებიათ.ეშმაკობა შავ მიას აქვს. ქერა მია კი ღვთისნიერია.

-რა თქვენი საქმეა შავი მიას კრიტიკა! — დაუაცხავა კატებს დასტურამ და მიიხედ-მოიხედა, ვინმე უცხო ხომ არ გვისმენსო. — არ იცით, რომ შავი მიას შესახებ ტურტური აკრძალულია? ქერა მიას შესახებ კი — რამდენიც გენებოთ. რადგან ქერა მია დაგელაპარაკათ, თქვენ კიდევ გამოდგებით. ისევ კატებად შეგინახავთ შავი დღისთვის. ოღონდ მიწის ქვეშ უნდა იაროთ და არავინ არ გაიგოს, რომ კატებად დარჩით, - გააფრთხილა დას ტურამ. — როგორმე ქერა მიას უნდა შეეჩვიოთ და შეეპაროთ. ყველაფერი კი ჩვენს შორის დარჩეს. ქერა მია ხომ ადამიანია! კიდევ მიდით მასთან. აუცილებლად შეგიბრალებთ და დაგეხმარებათ.

-ბატონი ბრძანდებით! — მიუგეს კატებმა, სასწრაფოდ მოცოცხეს ქერა მიას სახლისკენ, სადაც ღობის ძირას ჩასხდნენ, სული განაბეს და ხელსაყრელ მომენტს დაელოდნენ.

ქერა მიამ ქსოვა მოათავა, ხალიჩა დაკეცა და ბაზრობაზე წასასვლელად მოემზადა. ძაღლები ირგვლივ შემოეხვივნენ და ასე ერთად დაიძრნენ ქალაქისკენ. სანამ ქერა მია ბაზარს მიაღწევდა, ჩასაფრებული კატები ფხაჭაფხუჭით მიცვივდნენ დას ტურასთან და აცნობეს, ქერა მია მოდისო. დას ტურა თავისი ჯარისტურებით ბაზრის შესასვლელთან დახვდა ქერა მიას.

-ამხანაგო! სად მიბრძანდებით და რა მიგაქვთ? — ჰკითხა თავაზიანად და ცივად.

-ბაზრობაზე მოვედი, ხალიჩა მაქვს გასაყიდი, - უპასუხა ქერა მიამ.

-კეთილი ინებეთ და ხალიჩა გვიჩვენეთ, რა არის ზედ გამოსახული.

ქერა მიამ ხალიჩა გაშალა. ზედ ყვავილები და ხეები იყო გამოსახული.

-ასეთი ხალიჩა ჩვენს ბაზრობაზე არ გასაღდება, არ გირჩევთ ამ გზით სიარულს, - უთხრა დას ტურამ. — თანამედროვეობას არ შეესაბამება. აი, ტურა რომ ამოგექსოვათ, კიდევ სხვა იქნებოდა. ხომ იცით, რომ ახლა ჩვენში დიქტა ტურაა! თქვენ რა, დიქტა ტურის წინააღმდეგი ბრძანდებით?

-მე ტურის ამოქსოვა არ ვიცი! — მიუგო ქერა მიამ.

-ვიცი, ვიცი თქვენი — ადამიანების ამბავი — მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. არ გნებავთ, ჩვენს თანამედროვეობას და განახლებულ ქალაქს ფეხი აუწყოთ. თქვენ იქნებ კატრიარქატის მომხრეც იყოთ?

-არა, კატრიარქატის მომხრე ნამდვილად არა ვარ.

-აბა, რის მომხრე ბრძანდებით?

-ადამიანების!

-მერე, სად არიან ადამიანები? თქვენ იცით, სად არიან ისინი? ქალაქში კაციშვილი არ ჭაჭანებს.

-იყვნენ, მაგრამ შავმა მიამ კატებად, ძაღლებად და ტურებად აქცია.

-ვის გულისხმობთ, მაგალითად?

-თუნდაც ჩემს ძაღლებს. ისინი გუშინ ადამიანები იყვნენ.

-აბა, აბა, ეგ ზღაპრები ჩემთან არ გაგივა. სად გაგონილა ადამიანის ძაღლად ქცევა? ჩვენ ადამიანებს პატივს ვცემთ და ვუფრთხილდებით. აი, თუნდაც თქვენ — გაწუხებთ ვინმე? თუ ვინმე რამეს გიშავებთ, ბრძანეთ და ჩვენ სათანადო პასუხს გავცემთ. თვით შავ მიამდე ვივლით.

-თქვენ იცნობთ შავ მიას?

-რასაკვირველია, ვიცნობ.

-შეგიძლიათ, მასთან შეხვედრა მომიხერხოთ?

-მერე, მე რა მერგება?

-აგერ, ამ ხალიჩას მოგართმევთ. სხვა არაფერი გამაჩნია.

-კი ბატონო, იყოს ხალიჩა. თქვენ აქ დამელოდეთ, მე კი წავალ სასახლეში და შავ მიასთან აუდიენციას მოგიხერხებთ. მერწმუნეთ, არა მხოლოდ კატაა ადამიანის მეგობარი, არა მხოლოდ ძაღლი, არამედ — ტურაც, მაგრამ ჩვენ არ გვაფასებენ. დიდხანს არ გალოდინებთ, ახლავე მოვალ, მანამდე კი, ვინმემ რამე რომ არ გავნოთ, აგერ ჯარისტურებს გიტოვებთ დამცველებად.

ქერა მია ბაზრის შესასვლელთან დადგა, ირგვლივ თავისი ძაღლები შემოეხვივნენ. მოშორებით კი ჯარისტურები ტურტურებდნენ.

დას ტურამ სწრაფად იარა და თვალის დახამხამებაში მიადგა დიქტა ტურას.

-ვინ არის? — იკითხა დიქტა ტურამ, სანამ კარს გააღებდა.

-გააღე, გააღე, ძაღლაო კატა, მე ვარ! — მიუკივლა დას ტურამ.

დიქტა ტურამ კარი გაუღო.

-კაცო, რაღა დროს კატაობაა? რატომ დიქტა ტურას არ მეძახი? — მიუგო ნაწყენმა. — ინტრიგანობას მაინც არ იშლი?

-მინავათი ვარ, უფროსო! — თავი დახარა დას ტურამ, - მაგრამ საჩუქრით და კარგი ამბით მოვედი.

-რა ამბით?

-ჯერ ეს ნახე! — და დას ტურამ ქერა მიას მოქსოვილი ხალიჩა გაუშალა.

-მდაა! ლამაზია! ქერა მიას ნახელავია?

-გახლავთ, ამხანაგო დიქტა ტურა.

-ბიჭო, მე რა შენი ამხანაგი ვარ! — გაწყრა დიქტა ტურა. — უბრალოდ მომმართე.

-რა დროს ეგ არის, ქერა მია ბაზრის შესასვლელთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელოდება თავისი ძაღლებით და შავ მიასთან აუდიენციას ითხოვს!

-მოვახსენებ შავ მიას. მე მგონი, მიიღებს.

-ასეც ვიცოდი. ხალიჩა თქვენი ფეშქაში იყოს, მე კი წავალ და ქერა მიას მოვიყვან.

სასახლე ბაზართან ახლოს იყო. დას ტურამ წამში მიჰგვარა ქერა მია და ძაღლები დიქტა ტურას.

-ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა ქერა მიას დიქტა ტურამ. — რა ცხოველი? - ქერა მიას მეძახიან, - მიუგო ქერა მიამ. — მე ცხოველი არა ვარ, ადამიანი ვარ.

-ძალიან კარგი! ჩვენ ადამიანებს დიდ პატივს ვცემთ. ესენი ვინ არიან? — მიუთითა ძაღლებზე.

-ესენი... ძაღლები არიან, ჩემი მეგობრები.

-ყველას გნებავთ შავი მიას ნახვა?

-დიახ, ჩვენ ერთადა ვართ.

დიქტა ტურა წინ გაუძღვა, მისაღებ დარბაზში გაიყვანა ყველა და ტახტზე გამოჭიმულ შავ მიას თავის დაკვრით მოახსენა:

-ამხანაგო შავო მია! ადამიანი ქერა მია გეახლათ საკუთარი ძაღლებით.

-აა, ქერა მია — ჩვენი ცნობილი ხალიჩების მქსოველი, კეთილი ადამიანი, ძაღლების დედოფალი, არა? ხომ არაფერი მეშლება? — თავი ოდნავ დაუკრა შავმა მიამ.

-ყველაფერი გცოდნიათ ჩემს შესახებ, - მიუგო ქერა მიამ, - ალბათ, ისიც იცით, რისთვის გეახელით.

-რა გაგჭირვებიათ, ჩვენო ქერა მია, რაშია საქმე? — ცბიერი ღიმილით ჩაეკითხა შავი მია.

-მინდოდა, მეთხოვა, რომ ჩემი ძაღლები, რომლებიც გუშინ ადამიანები იყვნენ და თქვენ ძაღლებად აქციეთ, ისევ ადამიანებად აქციოთ. უარს ნუ მეტყვით, თქვენ ეს შეგიძლიათ!

-მერედა, ვინ გითხრათ, რომ მე ვაქციე ისინი ძაღლებად? — გაიკვირვა შავმა მიამ. — მე პირიქით — ადამიანებს ვეძებ, რომ პატივი ვცე და ძაღლებად ადამიანებს როგორ ვაქცევდი? მე შემიძლია ძაღლები კატებად ვაქციო, ან — ტურებად, ან — ბატებად, ადამიანად ძაღლის ქცევა კი სად შემიძლია! მე ერთი საწყალი უმწეო არსება ვარ, მარტოხელა ადამიანი და რატომ მწამებთ ცილს?

-ჩვენ თქვენი სტუმრები ვიყავით კატისკუდობაზე და თქვენ მათრახის ერთი დაკვრით ძაღლებად აქციეთ ხელმწიფის შვილი და მისი ამხანაგები, - ამოიოხრა ქერა მიამ, - რა ეშველება ახლა ამ საქმეს?

-თქვენი აზრით, როგორ უნდა ვაქციო ისინი ადამიანებად?

-ჯადოსნური მათრახი უნდა გადაჰკრათ და წარმოთქვათ: ადამიანი იყავ და ისევ ადამიანად იქეცი!

-ყველაფერი გცოდნიათ, მაგრამ ჩემი მათრახი ძაღლს ადამიანად ვერ აქცევს, - იცრუა შავმა მიამ. — გნებავთ, ვირებად ან ხარებად გიქციოთ ეს ძაღლები? მუშა საქონელი გეყოლებათ. ადამიანებს უყვართ მუშა საქონელი.

-არა! არა! მხოლოდ ადამიანებად მინდა აქციოთ.

-ეგ არ შემიძლია! — უარის ნიშნად ხელები გაასავსავა შავმა მიამ. — სხვა ხომ არაფერი გნებავთ?

-არა, სხვა არაფერი.

ქერა მია და მისი ძაღლები დამწუხრებულები გამოვიდნენ შავი მიას დარბაზიდან. დიქტა ტურა მათ გამოჰყვა.

-ნუ სწუხხართ, ქალბატონო ქერა მია! — ამშვიდებდა აცრემლებულ ქერა მიას. — ამხანაგი შავი მია ტყუილს არ იკადრებს. იქნებ, სხვა რამ გიჭირთ? ბრძანეთ!

-რა ვქნა, რით ვარჩინო ჩემი მეგობრები. შიმშილით სიკვდილი გველის! — ატირდა ქერა მია.

-არა, ეგ არ მოხდება! — აღუთქვა დიქტა ტურამ — თქვენ ხომ ჩვენი გამოჩენილი მქსოველი ბრძანდებით. მოგვიქსოვეთ ხალიჩები, ჩვენ კი შევისყიდით, ოღონდ, რასაც გამოსახავთ, ჩვენს თანამედროვეობას უნდა შეესაბამებოდეს. მოგეხსენებათ, ახლა ტურების დროა. ასახეთ ტურების ყოველდღიური ცხოვრება, გმირობა — მოგეხსენებათ, პირსისხლიანი მტერი — კატები დავამარცხეთ... მართალია, ჯერ დღესასწაულებისთვის არ გვცალია, მაგრამ სულ მალე ქალაქი სულს მოითქვამს, ჩვენთანაც დათბება, მოვიშორებთ მარადიულ ზამთარს, აყვავდება ჩვენი მოედნები და სკვერები, დაიდგმება გამოჩენილი ტურების ძეგლები, დაიბადებიან პატარა ტურები, იჭიკჭიკებენ ტურის მეგობარი ჩიტები... გვენდეთ, სულ მალე ჩვენი ქალაქი წალკოტს დაემსგავსება, უკმაყოფილოც არავინ გვეყოლება — ყველაფერი გაკეთდება თითოეული ტურის საკეთილდღეოდ. ჰო, მართლა — დას ტურა ამბობს, რომ თქვენ კატებს მფარველობთ. გულახდილად მითხარით, რაში გჭირდებიან მეამბოხე კატები? კატრიარქატი ხომ მოძველდა, როგორც მმართველობის ფორმა!

-მე კატებს არ ვმფარველობ. ისინი კი მომადგნენ, მაგრამ მათთვის კარი არ გამიღია, შინ არ შემიშვია, - იწყინა ქერა მიამ. — არც ვიცნობ არც ერთ კატას.

-გახსოვდეთ, კატების ქომაგობა ჩვენი კანონით ისჯება! — მოიღუშა დიქტა ტურა. — ახლა ერთპიროვნული მმართველობა გვაქვს. ჩვენ ყველა ჩვენი ქალაქის სიმშვიდეს და კეთილდღეობას ვემსახურებით. იმდენად თავმდაბლები ვართ, რომ ტურებს შორის თანამდებობებიც კი არ გაგვინაწილებია. ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს.

-მერე, ტურებს რა შეუძლიათ? — გაუკვირდა ქერა მიას.

-ყველაფერი, რაც კი ადამიანს შეუძლია, - ჩუმად უთხრა დიქტა ტურამ, - ისინი ხომ ჯადოსნური ტურები არიან — ჯერ ადამიანები იყვნენ, მერე — კატები... ადამიანის ყველა საქმე და ხელობა ეხერხებათ. მთავარია, კარგად უხელმძღვანელო და სწორად მისცე დავალებები, ყველაფერსაც კარგად გაართმევენ თავს. აბა, ახლა კარგად ბრძანდებოდეთ! ველით თქვენს ახალ ნამუშევრებს. დააკვირდით ტურების ცხოვრებას და ასახეთ თქვენს შემოქმედებაში. წაგებული არ დარჩებით.

ქერა მია და მისი ძაღლები ქუჩაში გამოვიდნენ. ქუჩა სავსე იყო ტურებით. საიდანღაც გამოჩნდნენ მაკულა ტურა და მინია ტურა, თათი თათს გადახვიეს და დაამღერეს: „მაკულა და მინია — ჩვენ ვართ ორი ფინია!"

-დაგვცინიან, ქერა მია! — გაბრაზდა ბენჯი.

-ყურადღებას ნუ მიაქცევ, ეგენი ხომ ადამიანები არ არიან! — დაამშვიდა ქერა მიამ.

იარეს, იარეს და მივიდნენ შინ. ქერა მიამ ფქვილის ნარჩენით ხმიადი გამოაცხო. თვითონაც ჭამა და ძაღლებსაც აჭამა. ქალაქში ყველაფერი გაძვირებული იყო და ტურის ფულზე იყიდებოდა. ტურის ფული კი ქერა მიას არ ჰქონდა.

ქერა მია მეორე დღეს დილიდანვე შეუდგა ახალი ხალიჩის ქსოვას. გადაწყვიტა, ხალიჩაზე დიქტა ტურა გამოესახა. ქსოვა, ქსოვა და მუშაობა სამ დღეში დაამთავრა. მის ხალიჩაზე დიქტა ტურას ადამიანის სახე ჰქონდა და კეთილად იღიმებოდა. სწორედ დროზე დაამთავრა, თორემ ფქვილის ნარჩენიც კი აღარ ჰქონდა, თვითონაც და მისი ძაღლებიც მშივრები იყვნენ. ძაღლები მზეს მიფიცხებულნი სახლის წინ იწვნენ და ეძინათ. მიამ ახალი ხალიჩა დაახვია, მხარზე მოიგდო და ქალაქისკენ გაუდგა გზას. ძაღლებიც აედევნენ. ბაზრის შესასვლელთან თვითონ დას ტურა შეხვდა.

-ადამიანს ვახლავარ! — მეგობრულად მიესალმა ქერა მიას.

-გამარჯობა, ბატონო დას ტურა! — მიესალმა ქერა მიაც.

-ხომ ვერ გვიჩვენებდით, რით გაგვახარებთ თქვენი ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

ქერა მიამ ნდობით გაუწოდა ხალიჩა. დას ტურამ გაშალა და თვალებმოჭუტული დააკვირდა.

-რა შესანიშნავი პორტრეტია! — შეჰკივლა აღფრთოვანებით. — აი, თქვენ უკვე დიქტა ტურა გამოსახეთ. შორს წახვალთ, ასე თუ განაგრძეთ, - ჩაიქირქილა მერე. — კარგად აგიღიათ ალღო ახალი ცხოვრებისთვის. აი, რას ნიშნავს ნიჭი! ნეტავ ვიცოდე, რა არის ადამიანის ნიჭი? სად შეიძლება ნიჭის შოვნა? აი, თქვენ როგორ გახდით ნიჭიერი?

-ასეთი დავიბადე! — მხრები აიჩეჩა ქერა მიამ, - ზოგს სიმღერის ნიჭი დაჰყვება ხოლმე, ზოგს — ცეკვის, ზოგს — მეცნიერების... მე ქსოვის ნიჭი დამყვა.

-მე კივილის ნიჭი მაქვს, - გაუმხილა დას ტურამ. — ღამღამობით ტყის პირას კივილი მიყვარს. ჩვენ, ტურებს საე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთოდ გვაქვს კივილის ნიჭი, მაგრამ ვინ გვიფასებს! ეს ხალიჩა ბაზრობაზე უნდა გაიტანოთ?

-დიახ! — უპასუხა ქერა მიამ.

-ერთი მიბრძანეთ, რამ გაიძულათ დიქტა ტურის გამოსახვა? განა არ სჯობდა, ჩემსავით რიგითი მშრომელი ტურა გამოგესახათ?

-რამ მაიძულა და შიმშილმა! — უპასუხა ქერა მიამ.

-მოდი, ასე მოვიქცეთ — ბაზრობაზე დროს ნუ დავკარგავთ, პირდაპირ დიქტა ტურასთან მივიდეთ და ეს ხალიჩა მივართვათ. ეამება და უხვად დაგასაჩუქრებთ. საჩუქრის მიღების შემდეგ მეც არ დამივიწყოთ!

დას ტურა წინ გაუძღვა, ქერა მია და ძაღლები მიჰყვნენ. ხალიჩა დას ტურას მიჰქონდა. ერთ წამში გაჩნდნენ სასახლესთან. კარის ტურამ დას ტურა იცნო და შეუშვა. ქერა მია და ძაღლები გარეთ დაელოდნენ. სულ მალე მათ დას ტურამ უხმო და დიქტა ტურასთან შეიყვანა.

-მე თავმდაბალი ტურა ვარ, - უთხრა ქერა მიას დიქტა ტურამ. — რამ გაფიქრებინათ ჩემი გამოსახვა?

-ასე თქვა, უფროსო, შიმშილმაო! — ჩაერია ლაპარაკში დას ტურა. — უნდა ეთქვა კი, რომ მშობლიური ქალაქის სიყვარულით მოიქცა ასე.

-მერე, რატომ არის მშიერი თქვენისთანა ნიჭიერი ადამიანი? — ნახევრად წაუყრუა დას ტურას დიქტა ტურამ. - განა ცოტა საქმე გვაქვს გასაკეთებელი? საქმეს კი ფულიც მოჰყვება.

-მე მხოლოდ ხალიჩების ქსოვა ვიცი, - მიუგო ქერა მიამ.

-გნებავთ, თქვენი ხელობა ასწავლოთ პატარა ტურებს?

-მასწავლებლობა არ მეხერხება.

-როგორ არ გეხერხებათ! გაიხსენეთ თქვენი მასწავლებლები!

-მასწავლებლები არ მყოლია, თვითონ დავიწყე ქსოვა.

-ესე იგი, მხოლოდ ხალიჩებს მოქსოვთ და ამით ირჩენთ თავს?

-რა ვქნა, სხვა არაფერი შემიძლია, - მიუგო ქერა მიამ. — მოგწონთ ჩემი ხალიჩა?

-რასაკვირველია, მოგვწონს! — ძალიან მოგვწონს. რაც უფრო მეტს მოქსოვთ, მით უკეთესი.

-მერე, სად წაიღებთ ამდენ ხალიჩას?

-მაგაზე ნუ იდარდებთ! ჩვენი სასახლე, კაფეები, ბარები, სხვადასხვა ორგანიზაციების კედლები და იატაკი სრულიად შიშველია. მოგვიტანეთ ხალიჩები, რამდენიც გენებოთ. სამას ტურის ფულად შევისყიდით თითოეულ მათგანს.

-ეს ხომ ძალიან ცოტაა! — შეწუხდა ქერა მია. — ეს მხოლოდ პურის ფულია. ძაფებიც ხომ უნდა ვიყიდო ხალიჩების საქსოვად.

-ვივაჭროთ? — მოიღუშა დიქტა ტურა.

-როგორ გეკადრებათ! — შერცხვა ქერა მიას.

-ჩვენი ქალაქი ამჟამად მეტად ღარიბია. ადამიანებმა და კატრიარქატმა საშინელი კრიზისი გამოიწვიეს, ტურობა კი სულ ახლახანს დაიწყო. მალე კრიზისი დამთავრდება და თითოეული ტურა თავისუფლად ამოისუნთქავს. აი, ინებეთ სამასი ტურის ფული, ჩვენ კი თქვენს ნამუშევარს სასახლის მთავარ აივანზე გამოვფენთ. დაე, ყველამ შეხედოს და დაინახოს, რა მშვენიერია დიქტა ტურა! — უთხრა ქერა მიას დას ტურამ. — იმედია, არც მე დამივიწყებთ და მეც ამსახავთ თქვენს შემოქმედებაში.

-როგორც მიბრძანებთ! — მიუგო ქერა მიამ და ფული გამოართვა.

-კი არ გიბრძანებთ, გირჩევთ! — ხმადაბლა შეჰკივლა დას ტურამ. - მეგობრულად გირჩევთ.

-მე მგონია, შავ მიას უნდა წარვუდგინო თქვენი ნამუშევარი, - თქვა დიქტა ტურამ. — თქვენ ნამდვილად შავი მიას ჯილდოს ღირსი ბრძანდებით.

შავი მია ქერა მიას ცბიერი ღიმილით შეეგება, ხელი ჩამოართვა და ხალიჩისკენ მიუთითა. ქერა მია დაჯდა. ძაღლები ირგვლივ შემოუსხდნენ.

-ამხანაგო შავო მიავ! — მიმართა დიქტა ტურამ, - ჩვენმა მშვენიერმა ამხანაგმა ხალიჩების მქსოველმა ქერა მიამ თავისი ახალი ნამუშევარი მოგვართვა, რომელიც გამოირჩევა მაღალმხატვრული დონით და მაღალი იდეურობით. აბა, შეხედეთ, რა მშვენიერია! — და ხალიჩა ფეხებთან გაუშალა. შავმა მიამ ხალიჩა ყურადღებით დაათვალიერა და მოწონების ნიშნად ქერა მიას გაუღიმა.

-ეს ხალიჩა დიქტა ტურის ძლიერების სიმბოლოა! ნამდვილად ღირსია ჩვენი ქერა მია, ათასი ტურის ფულით და ხელოვანთათვის დაწესებული უმაღლესი ჯილდოთი — პირველი ხარისხის შავი ქვით დავაჯილდოოთ. არის სხვა აზრი?

-ვაშა, ამხანაგებო! — შეჰკივლა დას ტურამ და ტაში შემოჰკრა. მას დიქტა ტურაც აჰყვა.

-ჯილდოს ტურის დროით თორმეტ საათზე გადმოგცემთ, მანამდე კი თავისუფალი ბრძანდებით! აბა, ჯერჯერობით! — კიდევ გაუღიმა ქერა მიას შავმა მიამ.

-ამხანაგო მია! — შეემუდარა ქერა მია შავ მიას, - იქნებ, ჩემს ძაღლებს ადამიანის სახე დაუბრუნოთ?

-რაც არ შემიძლია, არ შემიძლია, ჩემო კეთილო! — ხელები გაასავსავა შავმა მიამ. — მე ერთი უბრალო, ტანჯული ადამიანი ვარ, ხო ხედავთ, რომ მარტო არაფერს ვწყვეტ. ჩემზე არაფერი არ არის დამოკიდებული. გესმით რამე ჩემი მარტოობისა? განა მე კი არ მინდა, თბილი კერა და ოჯახი მქონდეს, მყავდეს ქმარი და შვილები, დედა და მამა, სამაგიეროდ კი რა ხდება ჩემს თავს? სულ საქმეები, საქმეები! ძილისთვისაც კი არ მცალია. ჩვენს ქალაქს ათასი მტერი ჰყავს, ჩვენს ხელისუფლებასაც ებრძვიან. ყოველდღიური ზრუნვაა საჭირო. თუ გნებავთ, თქვენს ძაღლებს დას ტურას მივცემთ და ჯარისტურებს დაეხმარებიან ქალაქის დაცვაში.

-არა, ძაღლები ჩემთან დარჩებიან, - თავი გააქნია უარის ნიშნად ქერა მიამ და წამოდგა — აბა, ჯერჯერობით!

-თორმეტ საათამდე ერთი საათია! — გამოაცილა ქერა მია და ძაღლები დას ტურამ. — ხომ არ ინებებდით, ქალაქში გაგვევლო, სანამ ჩვენი გამოჩენილი ტურები შეიკრიბებიან?

-არა, აქვე ჭიშკართან დავრჩებით! — მიუგო ქერამ მიამ.

-არ გვენდობით? — ეწყინა დას ტურას. — მე კი თქვენ დიდ პატივს გცემთ. რაც უნდა იყოს, ადამიანი ბრძანდებით. გნებავთ, მაწყენინოთ?

-კი მაგრამ, სად უნდა ვიაროთ ამ სიცივეში?

-ვიაროთ, ქალაქი დიდია, - მიუგო დას ტურამ და წინ გაუძღვა. ქერა მია და ძაღლები მიჰყვნენ. ქუჩები ჩაბნელებული იყო და ჭუჭყიანი, კვამლი არც ერთი სახლიდან არ ამოდიოდა. იდგა საშინელი სუნი — ტურის სუნი. სანაგვეებზე ბებერი ტურები იქექებოდნენ და საჭმელს ეძებდნენ. მაღაზიების წინ ტურები ირეოდნენ და ერთმანეთზე გადადიოდნენ. ისმოდა პატარა ტურების ჩხავილი. დას ტურა ერთ სარდაფთან შედგა.

-გნებავთ, კატაბალახა მიირთვათ? — შეთქმულივით ჰკითხა ქერა მიას.

-გმადლობთ, არ გეახლებით! — მიუგო ქერა მიამ.

-მაშ, რას მიირთმევთ?

-გმადლობთ! არაფერს!

-მთხოვეთ, მთხოვეთ. მე თქვენთვის გაუჩენელს გავაჩენ.

-ჩვენ ბევრნი ვართ — ძაღლებიც იანგარიშეთ!

-რა სალაპარაკოა! შემწვარი ქათამი გნებავთ?

მიაც და ძაღლებიც მშივრები იყვნენ. შემწვარი ქათამი მართლაც რომ მისწრება იქნებოდა მათთვის და ქერა მია დათანხმდა. სარდაფში სასიამოვნო სუნი და სითბო ტრიალებდა. კედლებზე ჩირაღდნები იყო მიმაგრებული და ჩრდილები თამაშობდნენ. ხალიჩებზე ტურები ისხდნენ და მოზრდილი კათხებით რაღაცას სვამდნენ. ისინი მთვრალები იყვნენ.

-რას სვამენ? — გაუკვირდა ქერა მიას.

-კატაბალახას ნაყენს! — ეშმაკურად უპასუხა დას ტურამ და თვალი ჩაუკრა.

-მერე, აკრძალული არ არის?

-კარგი ხალხისთვის ყველაფერი შეიძლება, - ხელი ჩაიქნია დას ტურამ.

ქერა მია და ძაღლები თავისუფალ ხალიჩაზე დასხდნენ. დას ტურას უნდოდა, ქერა მიას გვერდით მოსჯდომოდა, მაგრამ ბენჯიმ ისე შეხვდა, სასწრაფოდ განზე გადასკუპდა. მოვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ოფიციანტი ტურა, დას ტურას მიესალმა და ჰკითხა:

-რას მიირთმევთ?

-შემწვარ ქათმებს, - მიუგო დას ტურამ, - ერთი კათხა კატაბალახას ნაყენიც მოიტანეთ, დანარჩენი კი — წყალი.

სადილმა ჩუმად ჩაიარა. მოშიებული ქერა მია და ძაღლები საჭმელს უხმოდ შეექცეოდნენ. დას ტურამ ერთი კათხა კატაბალახას ნაყენი გადაჰკრა და ალაპარაკდა.

-თქვენ გგონიათ, რაიმე სიახლე მოხდა? — მიმართა ქერა მიას, - არა! მხოლოდ ცხოვრება გაძვირდა და გაჭირდა. სათავეში ახლა ტურები მოექცნენ, მაგრამ მმართველობის არსი იგივე დარჩა, ისევ შავი მია და ძაღლაო კატა სხედან. სხედან და სულ არ ადარდებთ რიგითი ტურების ბედი. თვითონ ხომ არ უჭირთ და რა ენაღვლებათ! აი, თქვენ, მაგალითად, ნიჭი გაქვთ. იმან რა ქნას, ვისაც ნიჭი არა აქვს, მოკვდეს? ცხოვრება ხომ უნდა?

-უნიჭო არსება არ არსებობს, - თქვა ქერა მიამ. — ყველას რაღაცის ნიჭი აქვს.

-როგორ არ არსებობს! აბა, ტურას რისი ნიჭი აქვს? ნიჭი არსებას აკეთილშობილებს, რაც უფრო ნიჭიერია პიროვნება, მით უფრო ნათელია, მით უფრო სანდოა. კატები, მაგალითად, ტურებზე ნიჭიერები იყვნენ — მათ ჰქონდათ სისუფთავე, კულტურა, მეცნიერება. ახლაც მახსოვს, რომ ჰქონდათ კატისკუდოლოგია, კნავილოლოგია, კატისტორია... დადიოდნენ კატაბატებით, კატაბუსებით... ჩვენი ტურები კი ყველგან ფეხით დაწანწალებენ — ძველი ყველაფერი მოსპეს, ახლის შექმნის თავი კი არა აქვთ. თქვენ გინახავთ კეთილების და კარგების კატალოგი?

-არა, არ მინახავს, - უპასუხა ქერა მიამ.

-კატა ლოგი ხომ გაგიგიათ? იმას ებარა კეთილების და კარგების ამბები, დაწყებული ადამიანებით — დამთავრებული ძაღლებით. იცით, რა საინტერესოა? გნებავთ, გიჩვენებთ?

-პოლიტიკით არ ვინტერესდები, - იუარა ქერა მიამ. - ხომ არ წავსულიყავით? ერთი საათი უკვე გავიდოდა.

-როგორც ინებებთ! — დას ტურა წამოდგა. — თუ ოდესმე დაინტერესდით, შეგიძლიათ, მომმართოთ. თქვენი მონამორჩილი. ოფიციანტ! — გასძახა მერე. — რაც გადასახდელია სახელმწიფო ანგარიშზე ჩაწერეთ! ბედნიერები ვართ, რომ ადამიანმა ჩვენთან ერთად ისადილა.

ერთხანს უბრად მიდიოდნენ.

-ქერა მია, რა ლამაზი ბრძანდებით! — გაუბედა მერე დას ტურამ. — მოხიბლული ვარ თქვენით! ასეთი ლამაზი და ნიჭიერი რატომ გულისსწორს არ აირჩევთ? არ მოგბეზრდათ ძაღლების საზოგადოება, მუდმივი მარტოობა?

-არა! — მოკლედ და მკაცრად მიუგო ქერა მიამ.

-საღამოობით, ალბათ, მოწყენილი ბრძანდებით, - თავისას არ იშლიდა დას ტურა. — რას იტყოდით, მე რომ გესტუმროთ ამ საღამოს? გაგართობდით, გაგამხიარულებდით. დღეს ხომ მნიშვნელოვანი დღე გაქვთ. მოვალ, ქათმებს მოგართმევთ, რაკი ასე გყვარებიათ. ნება მომეცით, ვიყო თქვენი კეთილისმყოფელი.

-შეიძლება, - დაიბნა ქერა მია. — შეიძლება! გვესტუმრეთ!

დას ტურამ ჩქარა იარა და ერთ წამში სასახლესთან გაჩნდნენ. ჯილდოს გადაცემა სარკეებიან დარბაზში იყო დანიშნული, სადაც უამრავ ტურას მოეყარა თავი. აქ იყვნენ გამოჩენილი ტურები: მაკულა ტურა და მინია ტურა, რეგისტრა ტურა, ასპირან ტურა, ასა ტურა, სისა ტურა, ლიტერა ტურა და სხვანი და სხვანი. ქერა მიას ისინი ტაშით და მოკლე-მოკლე შეკივლებებით შეეგებნენ, ხალიჩაზე წინ დასვეს, ძაღლებმა კი მის ფეხებთან მოიკეცეს. შემობრძანდნენ შავი მია, დიქტა ტურა და დას ტურა. საზოგადოება მათაც ოვაციებით შეხვდა. ტრიბუნაზე ქერა მიას ხალიჩა იყო გადაფენილი. როდესაც ოვაციები ჩაცხრა, სიტყვა აიღო დას ტურამ.

-ამხანაგო ტურებო! დღეს ბედნიერი დღე გვაქვს. ჩვენს შორის იმყოფება ადამიანი ქერა მია, რომელმაც თავისი ნაშრომი მიუძღვნა და მიართვა ჩვენს დიდ ბელადს დიქტა ტურას. ამ ნამუშევრისთვის ჩვენ მას მივანიჭეთ ათასი ტურის ფული და მაღალი ჯილდო — პირველი ხარისხის შავი ქვა, რომელსაც ჩვენი წინამძღოლი შავი მია საკუთარი ხელით გადასცემს ქერა მიას. გთხოვთ! — მიმართა შავ მიას, რომელსაც ცბიერი ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე.

-ჩვენო მია! — მიმართა ქერა მიას შავმა მიამ, - გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას. გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს და შრომით მიღწევებს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გთხოვთ, მიიღოთ ეს ჯილდო, როგორც სიმბოლო ადამიანის და ტურების ურყევი მეგობრობისა.

ქერა მია გაუბედავად მიუახლოვდა ტრიბუნას. შავმა მიამ გადასცა კონვერტში ჩაწყობილი ათასი ტურის ფული და საგანგებო კოლოფში ჩადებული შავი ქვა, თან ხელი ჩამოართვა და, ასე გასინჯეთ, გადაკოცნა კიდევაც.

„რა ლამაზია, ასე ბოროტი რომ არ იყოს", - გაიფიქრა ქერა მიამ. მან ჯილდოს მინიჭებისთვის მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და თავის ადგილს დაუბრუნდა. შემდეგ დიქტა ტურა და შავი მია დარბაზიდან გავიდნენ, ხოლო დას ტურა ქერა მიასთან დარჩა. ტურები ქერა მიას ხალიჩას შემოეხვივნენ დასათვალიერებლად.

-სად გაგონილა, ადამიანმა ტურები ხატოს! — მიმართა ულვაშის ცმაცუნით ქერა მიას მაკულა ტურამ, რომელსაც განუყრელი მინია ტურა უმშვენებდა გვერდს. — რა დრო დადგა! თქვენც გაიყიდეთ — თანაც სულ იაფად — ათას ტურის ფულად.

-მე კი არ მესმის, რისთვის დააჯილდოვეს! — დას ტურას მიუბრუნდა მინია ტურა. — დიქტა ტურას რამდენი პორტრეტი გვაქვს! აბა, ასეთი რა მოქსოვა?

-ეს მხოლოდ თქვენი აზრია! — მიუგო დას ტურამ.

-არა, ეს ხალხის აზრია, მინია ტურამ თათები გაიშვირა ტურებისკენ, რომელნიც ქერა მიას ხალიჩის წინ ირეოდნენ და ტურტურებდნენ.

-ნუ გშურთ! — გაწყრა დას ტურა.

-ვითომ რატომ არ უნდა მშურდეს? — ლაპარაკში ჩაერია ლიტერა ტურა. - აქ ნამდვილად რაღაცაშია საქმე, ალბათ, რაღაც გარიგება მოხდა, თორემ რიგით ტურას ვინ აღირსებდა ასეთ ჯილდოს?

-ადამიანის ნამუშევარს ტურები არ ვაკრიტიკებთ! — მიუგო დას ტურამ.

-ფეხებზე მკიდია ადამიანი! — ხმადაბლა შეჰკივლა ასპირან ტურამ. — ჩემი აზრით, ყოველი ადამიანი კატასავით უნდა ჩამოვკიდოთ. ადამიანებს ტურები არ უყვართ, არც ჩვენ უნდა ვცეთ მათ პატივი.

-ადამიანს ყველა უყვარს, - აღმოხდა ქერა მიას, - ყველა ღვთის შექმნილი ვართ, - და პირჯვარი გადაიწერა.

-ძირს ადამიანი! — ხმას აუწია მაკულა ტურამ და ქერა მიას კაბაზე ჭუჭყიანი თათი ჩამოუსვა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ქერა მიამ განზე გაწევა ვერ მოასწრო და კაბა დაესვარა.

-ძირს ადამიანი! — ერთხმად შეჰკივლეს ტურებმა და ქერა მია წრეში მოიქციეს. თვალები ნაკვერჩხლებივით უელავდათ და დრუნჩებიდან წუწნკლი სდიოდათ.

-გონს მოდით! რას სჩადიხართ! — დაუცაცხანა ტურებს დას ტურამ — აბა, რა დაგიშავათ ქერა მიამ?

-ამხანაგებო! ძალა ერთობაშია! ძირს წარსულის მავნე გადმონაშთები! — დაჰკივლა ასა ტურამ და სისა ტურაც აიყოლია. ძაღლებმა ღრენა დაიწყეს და ქერა მიას ირგვლივ შემოეხვივნენ.

-ეს თუ ჩვენი მოკეთეა, ძაღლები რისთვის მოუყვანია? გვატყუებენ, ძმებო! — აკივლდა რეგისტრა ტურა და მოულოდნელად დას ტურას გაჰკრა კბილი. — რატომ ემხრობი ადამიანს?

დას ტურას ჭრილობიდან სისხლი წამოუვიდა, ვერ მოითმინა და რეგისტრა ტურას ეცა ყელში. ისინი იატაკზე გაგორდნენ. ქერა მია დას ტურას გამოექომაგა, რეგისტრა ტურას ურტყამდა და იძახდა:

-გვიშველეთ, თავს გვესხმიან, გვიშველეთ!

ბენჯი და მისი მეგობრები რეგისტრა ტურას ყეფით ეცნენ და კბენა დაუწყეს. რეგისტრა ტურამ კივილით მოუსვა გასასვლელისკენ, დანარჩენი ტურებიც მიჰყვნენ.

-თქვენი დიდი მადლობელი ვარ! — ძლივს დადგა ფეხზე დას ტურა. — მთლად აიშვეს თავი. მე მაგათ ყველას სამა-

გალითოდ დავსჯი ადამიანის შეურაცხყოფისთვის. რა იციან ადამიანის ფასი! პირდაპირ მრცხვენია, რომ მეც ტურა ვარ და ეგენიც.

-ძალიან გტკივათ? — შეეცოდა ქერა მიას და ჭრილობაზე ხელი გადაუსვა.

-არაფერია! საღამომდე მომირჩება.

-ჩვენ წავალთ ახლა, - თქვა ქერა მიამ.

-გაგაცილებთ, თორემ ტურის კერძი გახდებით, - თავი გამოიდო დას ტურამ და მართალიც იყო. ტურები სასახლის წინ ჯგუფ-ჯგუფად ტურტურებდნენ.

-გაყიდულო, შე გაყიდულო! — მიაძახა ქერა მიას კოჭლმა მხატვარმა ტურამ კონ ტურამ, - მაშ, შენ ადამიანი ხარ?

მოულოდნელად საიდანღაც გაჩნდა დიქტა ტურა. ჯერ ძაღლივით დაიყეფა, მერე კატასავით დაიკნავლა, ბოლოს ტურასავით დაიკივლა და ტურებს მათრახით დაერია. ტურები ფაცხაფუცხით დაიშალნენ.

-არ შეგვჭამეს! თავი მოგვჭრეს ადამიანთან! დიდი ბოდიში, ამხანაგო ქერა მია! — მიმართა ქერა მიას დიქტა ტურამ, - მაგათ ადამიანის ენაზე არ უნდა ელაპარაკო.

ქერა მია და ძაღლები დას ტურამ სახლამდე მიაცილა. გზად ბაზარში შეიარეს, სასმელ-საჭმელი და ფერადი ძაფები იყიდეს. ყველაფერი ძალიან ძვირი იყო და ქერა მიას აღებული ფულიდან ბევრი აღარაფერი დარჩენია.

-საღამოს აუცილებლად გესტუმრებით! ხომ შეიძლება? — ჰკითხა დას ტურამ ქერა მიას, - თქვენი დაჯილდოება აღვნიშნოთ.

-კი ბატონო, მობრძანდით! — დაიმორცხვა ქერა მიამ, - მე და ჩემი მეგობრები ღარიბულად ვცხოვრობთ და არც კი ვიცი, რით გაგიმასპინძლდეთ.

-ნურაფერზე შეწუხდებით. ყველაფერს მე მოვიტან, - თათი გაუწოდა დას ტურამ და დაემშვიდობა, - აბა, საღამომდე!

ქერა მიამ სახლი კარგად დაალაგა. მაღალი ჯილდო, შავი ქვა, დიდ ოთახში გამოსაჩენ ადგილზე დადო, ცოტა თვალიც მოატყუა — დაღლილი იყო და მოსაღამოვდა კიდევაც. დას ტურას დიდხანს არ ულოდინებია. მზის ჩასვლისას ქერა მიას ჭიშკარს მიადგა. მიადგა, მაგრამ რა მიადგა — მთელი ამალა ახლდა თან: მაკულა ტურა და მინია ტურა, კიდევ — სამი ჯარისტურა და ხუთი კატა, რომელთაც მორცხვად დაეშვათ კუდები. ქერა მია შეცბა, ამდენი სტუმარი რომ დაინახა, ძაღლებმა ავად დაიღრინეს.

-თუ ქეიფია, ქეიფი იყოს! — შესძახა დას ტურამ. — ჩვენ ჩვენი სურსათ-სანოვაგით მოვედით, - და მთელ კამპანიას წინ გაუძღვა, - მიყვარს მეგობრებთან სტუმრად მისვლა!

ყველანი დიდ ოთახში შევიდნენ და მაგიდის ირგვლივ სკამებზე აცოცდნენ, მაგიდაზე კი შემწვარი ქათმები დაახვავეს.

-რა კარგად ცხოვრობთ! — შენიშნა მაკულა ტურამ. — მე და მინია ტურას თითო სორო გვაქვს და იქ ცოლ-შვილს ძლივს ვატევთ, თან ისე გვცივა, სიცივისგან გვაკივლებს. მზე, ყვავილები, სითბო... ყოველგვარი სიკეთე თქვენთვის გაუმეტებია ღმერთს.

-ასე თქვეს, ქერა მია დიქტა ტურას საყვარელია და იმან აუწყო ცხოვრებაო, - ჩაიფრუტუნა მინია ტურამ.

-ეს სახლი ჩემმა მშობლებმა ააშენეს, - ეწყინა ქერა მიას. — დიქტა ტურას კი თითქმის არ ვიცნობ.

-არ დაიწყოთ ისა და ესაო, - ამოიღო ხმა დასტურამ. — შემარგეთ ახლა ქეიფი. შეიშვნიეთ, რომ ადამიანთან იმყოფებით სტუმრად.

-ახლავე ღვინოს მოგართმევთ, - დატრიალდა ქერა მია. — მამაჩემის დაყენებულია. რამდენი ხანია, ქვევრისთვის ხელი არავის უხლია.

-ნუ შეწუხდებით! ჩვენ მხოლოდ კატაბალახას ნაყენს გეახლებით, - შეაჩერა დას ტურამ და დიდი ბოცა დადგა მაგიდაზე. — ოღონდ კათხები მოგვიტანეთ.

-აკრძალული ხილი გემრიელიაო, - ისევ ჩაიფრუტუნა მინია ტურამ. — აკრძალეს კატაბალახა და ვისთვის აკრძალეს? ჩუმ-ჩუმად ყველა სვამს, თვითონ ძაღლაო კატაც.

-ძაღლაო კატას დიქტა ტურა ჰქვია! — შეუსწორა მაკულა ტურამ.

-რა ტურა ეგ არის? არც ადამიანია, არც ძაღლი, არც კატა, არც ტურა. რა გახდა ასეთი? რა დროც უნდა იყოს, სულ თავშია.

-აბა, რას გიშლის! — შეუტია დას ტურამ.

-რაღას მიკეთებს? არც თქვენ მოგწონთ, მაგრამ შიში შეიქმს სიყვარულსაო. მასპინძელო, თქვენ რა აზრის ბრძანდებით დიქტა ტურაზე?

-კარგის მეტი რა მეთქმის!

-რასაკვირველია! დაგაჯილდოვათ და იმიტომ. თქვენ არ გინახავთ მისი სისხლიანი საქმიანობა — კატრიარქატის დროს ადამიანებს სპობდა შავ მიასთან ერთად და კატრიარქატის შემდეგ კი საკუთარ კატებს დაერია. აგერ, სუფრასთან გვისხედან ჩვენი ჩაგრული ძმები — კატები, დევნილები და მოკვეთილები. რა დააშავეს? მხოლოდ ის, რომ სახე არ იცვალეს და საკუთარ თავს არ უღალატეს.

-მე ვერაფერში ვერ ვერკვევი, - დაიბნა ქერა მია. — მე მხოლოდ ქსოვა ვიცი.

-და ისიც — არცთუ ისე კარგად, - ისევ ჩაიფრუტუნა მინია ტურამ.

-მე პრეტენზია არ მაქვს, - გაიღიმა ქერა მიამ.

-ეგ იმიტომ, რომ შენ ხარ რიგითი, რიგითობას შეგუებული. მეტისმეტად ნიჭიერი ადამიანები ყოველთვის ტრაგიკული ბედისანი არიან, ასე კარგად კი არ ცხოვრობენ! ვერც დიდხანს ცოცხლობენ. არც ლმაზები არიან. სჯობს, ქსოვას თავი დაანებო და გათხოვდე, ქმარ-შვილს მოუარო, შენ ხომ უკვე ორმოცი წლისა ხარ! — ვერ ისვენებდა მინია ტურა.

-მე მხოლოდ თხუთმეტი წლისა ვარ! — ეწყინა ქერა მიას.

-ასე თქვეს, რომ ორმოცი წლისა ხარ და კიდევ — ძაღლაო კატას საყვარელი, ჯადოქარი შავი მიას ამფსონი და მარჯვენა ხელი.

-ტყუილია! — თვალზე ცრემლი მოადგა ქერა მიას.

-ხალხი ტყუილს არ ამბობს და არც უსაფუძვლოდ ამბობს რაიმეს.

-მე არაფერი გამიგია, - თქვა დას ტურამ. — ქერა მიაზე არავინ არაფერს ლაპარაკობს. არ გავიგონო ახლა ზედმეტი სიტყვა.

-რომ ამბობენ, ადამიანი ასეთი და ისეთია, სამყაროს მბრძანებელიაო და ბევრი შეუძლიაო, რატომ ამბობენ? — განაგრძობდა მინია ტურა. - რა შეუძლია ახლა ქერა მიას ჩვენზე მეტი? საჭმელი ამას არა აქვს და სასმელი!

-სამაგიეროდ, შავი ქვის მფლობელია, - ახლა მაკულა ტურამ ჩაიფრუტუნა, - ვჭამო, თორემ დას ტურა შემჭამს, ისე მიყურებს.

-ეგ იმიტომ, რომ ქერა მია მოსწონს. თქვენს შორის რაღაც არის, - დას ტურას მიაჩერდა მაკულა ტურა. — ბარემ გაბედე და თქვი, რა არის თქვენს შორის?

-არაფერი! — ჩაიცინა დას ტურამ. — ქერა მია ვის არ მოეწონება! მეც მომწონს და პატივს ვცემ, როგორც ნიჭიერ არსებასა და ადამიანს.

-ადამიანი! ჰმ! რა პატივსაცემია ადამიანი! — წაისრიტინა მაკულა ტურამ. — მთავარი ტურაა! გაუმარჯოს ტურობას! ქერა მია, გაუმარჯოს თუ არ გაუმარჯოს ტურობას?

-გაუმარჯოს! — თქვა ქერა მიამ.

-ესე იგი, თქვენ დიქტა ტურას მომხრე ბრძანდებით? ამართლებთ დიქტა ტურას?

-ასე გამოდის! — გაეცინა ქერა მიას.

-ნუ ინტრიგანობთ! — აღელდა დას ტურა. — თქვენ აღარ გახსოვთ, რომ ადამიანები იყავით, მერე კატებად იქეცით და ახლა ტურები ხართ. ნეტავ, ვისზე ილებთ ხმას?

-ჩემი შენ გითხარიო! — ვალში არ დარჩნენ მაკულა ტურა და მინია ტურა.

მოტანილი ქათმები თვითონვე შესანსლეს და კატაბალახას ნაყენიც დააყოლეს. კარგად რომ გამოთვრნენ, მერე აკნავლდნენ და აკივლდნენ, ყურთასმენა წაიღეს. წასვლა არც გახსენებიათ. ქერა მიამ ჭრაქი აანთო, კედელთან მიჯდა და თვლემდა. დას ტურა გვერდით მიუჯდა:

-არ გეშინიათ, ამხელა სახლში მარტო რომ ცხოვრობთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

-არა! მიჩვეული ვარ! — უპასუხა ქერა მიამ. — ძაღლებიც ხომ მყავს!

-ძაღლი ადამიანს ვერ შეცვლის. თქვენთან ადამიანები არ დადიან?

-არა, დედაჩემის და მამაჩემის შემდეგ ადამიანი აღარ მინახავს.

-ძალიან კარგი, არც არიან საჭირო. ჩვენ ერთი ადამიანიც გვეყოფა. სიყვარულზე რა აზრი გაქვს, მია?

-მე უკვე გათხოვილი ვარ! — მკაცრად უპასუხა ქერა მიამ.

-ვინ არის თქვენი ქმარი?

-ბენჯი, ხელმწიფის შვილი.

-კი მაგრამ, ის ხომ ძაღლია! ნუთუ შეიძლება, ადამიანი ძაღლის ცოლი იყოს?

-როცა ცოლად გავყევი, ის და მისი მეგობრები ძაღლები არ იყვნენ. მე ადამიანს გავყევი ცოლად.

-ერთ დროს მეც ადამიანი ვიყავი, მაგრამ ის დრო წავიდა, მია. ახლა ტურობაა და ძალიან კარგს იზამთ, თუ ვინმე პატიოსან ტურას მისთხოვდებით.

-მაგალითად — ვის?

-თუნდაც მე!

-ბენჯი და მისი ამხანაგები მალე ისევ ადამიანებად იქცევიან. მე დაველოდები.

-მერე სხვა რამეს მოიფიქრებს შავი მია. თქვენ მას არ იცნობთ! ბენჯისთან ბედნიერება არ გიწერიათ.

ეს თქვა დას ტურამ, კუდი განზე გაშვირა, მარჯვენა თათი წინ გაიწოდა, უკანა თათებზე ჩაცუცქდა და ქერა მიას მიმართა:

-გამომყევით ცოლად, ქერა მია! აი, ჩემი თათი! მომეცით ხელი!

ბენჯიმ, რომელიც ქერა მიას ფეხებთან იყო ჩაცუცქული, ავად შეხედა დას ტურას და დაიღრინა. ღრენა რომ შეესმათ, დანარჩენი ძაღლებიც აიბურძგნენ და ღრენა დაიწყეს. დას ტურას ტურული სული კინაღამ გაეპარა შიშისგან. არაფრის ისე არ ეშინოდა, როგორც ძაღლების ღრენისა. მაშინვე კუდი ამოიძუა და კარისკენ იშვირა ფეხი. მაკულა ტურამ და მინია ტურამ რომ დაინახეს, დას ტურა გარბოდა, ერთი შეჰკივლეს და კარს ეცნენ. მათ კატებმაც მიბაძეს და ერთ წამში ქერა მიას სახლში უსიამოვნო სტუმრებიდან აღარავინ დარჩენილა. ქერა მიამ სახლი მიალაგ-მოალაგა და დასაძინებლად დაწვა. ბენჯი და მისი ამხანაგები, როგორც ყოველთვის, კართან მოეწყვნენ.

დას ტურას შიშმა მალე გაუარა, გონს მოეგო და, არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ დიქტა ტურას მიადგა. ისე იყო გულმოსული, სულ ულვაშებს აცმაცუნებდა.

-რას შეუწუხებიხარ, დას ტურა? — მთქნარებით ჰკითხა დიქტა ტურამ, რომელიც ხალიჩაზე წამოგორებულიყო და ფიქრობდა, დრო რომ შეიცვალოს, რა ვქნა, სულ დიქტა ტურა ხომ არ ვიქნებიო. „თუ ძაღლობა დაგვიყენა შავმა მიამ, რა მიჭირს — კატაო ძაღლას დავირქმევ და ვიძაღლავებ, თუ კატრიარქატი მობრუნდა, ეგეც ხომ არაფერი, მაგრამ, ადამიანობის დრო რომ დადგეს, რა ვქნა? ადამიანის სახე მე მაშინაც არ მქონდა, როცა ადამიანი ვიყავი. ადამიანები არ მაპატიებენ, რაც ჩავიდინე, კატასავით ჩამომკიდებენ", - ამას ფიქრობდა და გამოსავალი ვერ ეპოვნა. დას ტურას შესვლამ კიდევაც გაახარა, იქნებ რამე კარგი აზრი მომაწოდოსო.

-როგორ თუ რას შევუწუხებივარ! ან კი როგორა ვარ ცოცხალი მას შემდეგ, რაც მე გადავიტანე უფროსო! — სხაპასხუპით წააყარა დას ტურამ. — ადამიანი რომ მაინც ადამიანად რჩება და ორგულია, რაც უნდა დიდი პატივი სცეს ტურამ! საჩვენო პირი არ უჩანს ქერა მიას.

-რა იყო, რა მოხდა? — დაინტერესდა დიქტა ტურა.

-როგორ თუ რა მოხდა! ქერა მიასთან ვიყავით სტუმრად მე, მაკულა ტურა და მინია ტურა. გვინდოდა, მისი დაჯილდოება ალგვენიშნა. ვნახეთ და რა ვნახეთ! სულზე თითო ქათამი მოგვართვა, კატაბალახას ნაყენი მოგვიდულა, მოიწვია თავისი მეგობარი კატები, ლანძღა და აგინა ჩვენი მთავრობა — დღეგრძელობა მას — და ჩვენც — პატიოსანი, კეთილმოსურნე ტურები გვლანძღა და გვათრია. სულ კატებს აქებდა და კატრიარქატის სადღეგრძელოებს სვამდა, მერე კატაბალახათი გამოთვრა, დაგვერია და ცემა დაგვიწყო, მისი ძაღლები კი გვიღრენდნენ და საკბენად გვეტანებოდნენ. ძლივს გამოვასწარით. აი, სიკეთე როგორ დაგვიფასდა.

-კაცო, დას ტურა, სინამდვილეში რა მოხდა, ის მოყევი!

-არ გატყუებთ, უფროსო! — იხტიბარი არ გაიტეხა დას ტურამ, - თუ გნებავთ, მაკულა ტურას და მინია ტურას ჰკითხეთ. ქერა მიას სახლი ბუდეა და იქ კატატრიალება იგეგმება. შესაძლოა, ძაღლობის ჩატარებაც ნებავდეს. სულ ორგიებს აწყობს თავისი ძაღლებისთვის და კატებისთვის. სად მონახა ის ბოროტმოქმედი კატები, ჩვენ რომ ძლივს გადაგვირჩნენ. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ქერა მია ასეთი იქნებოდა?

-შენა, დამელოდე ერთ წამს, შავ მიას მოვახსენო ყველაფერი! — გამოცოცხლდა დიქტა ტურა და ხალიჩიდან წამოდგა, - შავი მია გვეტყვის, როგორ მოვექცეთ ქერა მიას. აფსუს, როგორ წყალში ჩაგვიყარა პატივისცემა!

შავი მია მოწყენილი იჯდა აგუზგუზებულ ბუხართან და თვლემდა. მის ქალაქში სიმშვიდე სუფევდა, მოსაჯადოებელი და დასასჯელი იმ დღეს არავინ ჰყავდა, ჯერჯერობით არავითარ ცვლილებას არ გეგმავდა.

-ამხანაგო მია! შეიძლება? — ხმადაბლა მიაკივლა დიქტა ტურამ და ოთახში შეიჭყიტა.

-შეიძლება, შეიძლება! — გამოერკვა შავი მია და დიქტა ტურა ოთახში შეიპატიჟა. — მობრძანდით! დაბრძანდით!

დიქტა ტურა შევიდა და შავი მიას წინ დაცუცქდა.

-აბა, რაშია საქმე? — ჩაეკითხა შავი მია.

-საქმე იმაშია, რომ ქერა მია თურმე ბოროტმოქმედ კატებთან მეგობრობს, მის სახლში დიდი შეთქმულება იგეგმება ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამორალურ ცხოვრებას ეწევა თავის ძაღლებთან და კატაბალახის ნაყენით ნებივრობს. ჩვენ რომ გვეგონა, ცხოვრება უჭირდა, არაფერიც არ უჭირს, აგერ დას ტურასთვის და სხვა ტურებისთვის უმასპინძლია თურმე და სულზე თითო ქათამი მიურთმევია. ისმის კითხვა — საიდან აქვს ქერა მიას ამდენი ფული? სანამ მთლად არ დავულუპივართ, უნდა ავლაგმოთ მისი პარპაში.

-ნეტავ კი საკუთარმა ძაღლებმა შეჭამონ! — გულით ინატრა შავმა მიამ. — ეგ ძაღლების დედოფალი ეგა!

-იოლი საქმეა! — ჩაიღიმა დიქტა ტურამ. — ძაღლები რომ მოვუწამლოთ და გავუცოფოთ, ერთმანეთსაც დაკბენენ და ქერა მიასაც. თან ჩვენ არაფერ შუაში არ ვიქნებით — უბედური შემთხვევის მსხვერპლი გამოვა.

-ყოჩაღ! კარგად მოიფიქრე! მაგრამ ძაღლებს ვინ მოწამლავს?

-დას ტურა, ამხანაგო შავო მია! ცოფის წამალს ქათმებს წაუსვამს, მერე ამ ქათმებს ქერა მიას და მის ამფსონებს მიართმევს და საქმეც გაიჩარხება.

-ქერა მიამ რამე არ იგუმანოს! — ადამიანი ეშმაკია!

-ქერა მია ისეთი გულუბრყვილოა, ისეთი მიმნდობი, რომ არა მგონია, რამეს მიხვდეს. დას ტურას შინ რომ შეუშვებს, წარმოიდგინეთ, ის არსება რა შტერი უნდა იყოს.

-ოო, დას ტურა მაგრის ერთია! — ბოროტად გაიღიმა შავმა მიამ, - თუ ვინმეს გადაეკიდა, ბოლომდე მოსპობს. დამიძახე, ერთი!

-აქ არის, ამხანაგო შავო მია, ჩემს ოთახში. ახლავე გეახლებათ.

დას ტურამ ცხვირი წინ გაშვირა, კუდი უკან გაბზიკა და შავ მიასთან შეტურტურდა.

-გავიგე, საშიშ დამნაშავე ქერა მიას დაკავშირებიხარ, მართალია? — მკაცრად ჰკითხა შავმა მიამ.

-არა, ამხანაგო მია, მე მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდი. აბა, რა მაქვს საერთო ადამიანთან! ტურები არ მირჩევნია!

-დიქტა ტურამ დაწვრილებით მიამბო ქერა მიას შავი საქმიანობის შესახებ. ჩემის აზრით, იგი ლიკვიდირებულ უნდა იქნას.

-ჩემის აზრითაც! — თვალდაუხამხამებლად მიუგო დას ტურამ.

-და ეს თქვენ უნდა გააკეთოთ.

-ვემსახურები სამშობლოს! — თათი მაღლა შემართა დას

ტურამ. — ხალხის მტერი მართლაც ლიკვიდირებულ უნდა იქნას.

-და ეს ისე უნდა მოახერხო, რომ მკვლელობად არ ჩაგვეთვალოს. რას იტყოდი მოწამვლის შესახებ?

-ეგეც შეიძლება.

-მაშინ მოგცემ ცოფის გამომწვევ წამალს, ქათმებს წაუსვი და ქერა მიას და მის ძაღლებს მიართვი.

-შინ რომ არ შემიშვას?

-შეგიშვებს. რადგან ერთხელ შეგიშვა, კიდევ შეგიშვებს. უნდა მოინდომო. ძღვენზე უარს არ გეტყვის. კუჭი შიმშილით უხმებათ მასაც და მის ძაღლებსაც.

-ჰი! ჰი! ჰი! — ჩაიქირქილა დას ტურამ და თათი პირზე მიიფარა.

-რას იცინი? — გაეცინა შავ მიასაც, - სიმართლე ხომ ვიცი. განა ისეა საქმე, მხოლოდ შენ და დიქტა ტურას დაგიჯეროთ და მე არაფერი ვიცოდე!

-დღეგრძელი ბრძანდებოდეთ! — დალოცა დას ტურამ, - სულ თქვენის ცოდნის წყალობით გვიდგას სული. ამხელა ქალაქს მართვა არ უნდა?

-წადი ახლა და აბა, შენ იცი, მიხედე საქმეს! აჰა ცოფის გამომწვევი წამალი.

დას ტურამ შავ მიას წამალი გამოართვა და პირდაპირ იმ სარდაფისაკენ გაეშურა, სადაც შემწვარი ქათმები ეგულებოდა — მეორე დღისთვის შემწვარი ქათმები შეუკვეთა. დილაადრიან მიუკივლ-მოუკივლა და მაკულა და მინია ტურები შეკრიბა, მაგრამ მათთვის თავისი განზრახვის შესახებ არაფერი უთქვამს.

-ქერა მიასთან უნდა წავიდეთ ბოდიშის მოსახდელად, - აცნობა ტურებს დას ტურამ. — თქვენც გეკუთვნით ბოდიშის მოხდა, გუშინ ბევრი ლანძღეთ.

-მერე ძაღლები? — წაიქშიტინა მაკულა ტურამ, - რომ დაგვერივნენ?

-გველსა ხვრელით ამოიყვანს ტურა ტკბილად მოუბარიო! — ჩაიცინა დას ტურამ.

დას ტურამ, მაკულა ტურამ და მინია ტურამ თათები დაავლეს ქათმებს და სულ ორ-ორ ფეხზე ცუნცულით გაუდგნენ გზას. გზაში შეისვენეს. დას ტურამ ტურები გააფრთხილა:

-თქვენ არ ჭამოთ! ვინც შეჭამს, სიკვდილი ზედა აქვს, ეს მოჯადოებული ქათმებია.

-მაშ, რა ვჭამოთ? — აღშფოთდა მაკულა ტურა.

-იქითობისას ერთად ვჭამოთ კაი პური. ცოტა მოითმინეთ.

დას ტურამ ქერა მიას ჭიშკართან ჩამომსხდარი კატები დაინახა, რომელთაც ქათმის სუნი ეცათ, კნავილი ატეხეს და ტურებს მიუცუცქდნენ.

-ეს თქვენთვის არ არის, თქვე ოხრებო, თქვენა! თქვენ მერე გაჭმევთ. რომელიც ქათამს პირს დააკარებს, სახრჩობელაზე ჩამოკიდება არ ასცდება, - თქვა დას ტურამ და ჭიშკარზე დაარაკუნა. გამოვიდა ქერა მია. გაალო ჭიშკარი.

-ამხანაგო ქერა მია! ჩვენ ბოდიშის მოსახდელად მოვედით! — თავი დაუკრა დას ტურამ. — თქვენი გულმოწყალების იმედი გვაქვს. რაც გუშინ მოხდა, აღარ განმეორდება. მოდი, ჩვენი შერიგება აღვნიშნოთ. აი, მცირედი ძღვენიც მოგართვით.

ქერა მიამ გზა დაუთმო და მთელი კამპანია შინ შეუშვა. დას ტურამ ქათმები მაგიდაზე დაალაგა და ძაღლები მიიპატიჟა.

-მიირთვით, მეგობრებო! ალალი იყოს თქვენზე. ჩვენ უკვე ნასაუზმევი გახლავართ.

-მე არ მშია, - თქვა ქერა მიამ და განზე დაჯდა. ბენჯიმ ქათმები დასუნა და ქერა მიას მიუჯდა ფეხებთან. დანარჩენი ძაღლები ქათმებს მიესივნენ და წამში გაავლეს მუსრი.

-გუშინ გული გატკინეთ! — კუდი გაუქნია ქერა მიას მაკულა ტურამ, - თქვენ ისეთი ლამაზი, ისეთი სათნო ბრძანდებით, ნამდვილად სადედოფლო ადამიანი ხართ.

-არის კიდევაც ძაღლების დედოფალი! — ჩაიფრუტუნა მინია ტურამ.

-აბა! აბა! — შეუტია მინიას მაკულამ, - დღეს ჩვენს ქერა მიას უნდა მოვეფეროთ, დანაშაული გამოვისყიდოთ. ერთიორი ტკბილი სიტყვა ვუთხრათ და დავიშალოთ. განა ახლაც ორგიას გავმართავთ! ჩვენც კაცნი ვართ ბოლოს და ბოლოს.

ძაღლებმა ჭამა დაამთავრეს და ქერა მიას ირგვლივ შემოეწყვნენ. მოულოდნელად კატები ამღერდნენ:

-მიაუ! მიაუ! მშიაუ! მშიაუ! — მღეროდნენ და თან კუდებს ასავსავებდნენ.

-ჩვენი წასვლის დროა, - წამოდგა დას ტურა. — ახლა წავალთ და სულ მალე გესტუმრებით.

-კი ბატონო! — პატიჟი არ დაუწყია ქერა მიას, - მეც სამუშაო მაქვს, ახალი ხალიჩა დავიწყე.

-სხვა დროს მოვალ და ვნახავ ერთი, როგორ ქსოვთ! — ლაქუცით უთხრა მაკულა ტურამ, - თქვენი შრომის პროცესი მაინტერესებს. ვნახავ ერთი, რა ჯადო გაქვთ თითებში.

-მე ჯადო არა მაქვს — მხრები აიჩეჩა ქერა მიამ. — უბრალოდ ვქსოვ. ჯადო შავ მიასა აქვს.

-მაგრამ ის არ ქსოვს, - თქვა მინია ტურამ. — მე კი როგორ მომწონს თქვენი ნამუშევარი „დიქტა ტურა", მართლაც რომ სამართლიანად მოგანიჭეს ჯილდო. ჩვენს მხატვარ ტურებს შეშურდათ და ბევრი იჭორავეს თქვენზე, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია — შური ტურის თვისებაა. თანაც ნამდვილი და დიდი ადამიანების ყველას შურს. თქვენ ნამდვილი და დიდი ადამიანი ბრძანდებით. ბედიც დიდი ადამიანისა გაქვთ. რა არ გადაგხდენიათ თავს.

-"მაკულა და მინია ჩვენ ვართ ორი ცინიკი!" — წაიღიღინა მაკულა ტურამ, - აბა, ჯერჯერობით ჩვენო დედოფალო! თქვენ ხელოვნებაში პირდაპირ დედოფალი ხართ.

დას ტურამ დიდის ამბით ჩამოართვა თათი ქერა მიას და უთხრა:

-ვიცით თქვენი გაჭირვების ამბავი. შემწვარი ქათმები ჩვენზე იყოს, არ მოგაკლებთ! თქვენ ოღონდ იჯექით და იმუშავეთ ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ, შეგვმატეთ ახალ-ახალი შედევრები.

დარჩნენ ქერა მია და ძაღლები მარტო. ქერა მია საქსოვს მიუჯდა და ერთხანს თავაუღებლად ქსოვდა. მერე რაღაც ქშენა შემოესმა, ქსოვას თავი ანება და ძაღლებს დააკვირდა. ენაგადმოგდებულებს თვალები ამღვრეოდათ და ნერწყვი გადმოსდიოდათ დრუნჩებიდან. „წყალი თუ სწყურიათ! — გაიფიქრა ქერა მიამ. — ალბათ, დასცხათ" — ადგა და დიდი ტაშტით წყალი დაუდგა, მაგრამ ძაღლები წყალს არ მიეკარნენ, მხოლოდ ბენჯიმ დალია. მალე ძაღლებმა ღრენა და ოთახში სირბილი დაიწყეს. ქერა მიამ კარი გაალო და ძაღლები ეზოში გარეკა, თან გაოცებული უყურებდა.

შავმა მიამ ვერა და ვერ მოისვენა. „როგორ არ ვნახო ქერა მიას აღსასრული! — გაიფიქრა ავი სიხარულით შეპყრობილმა, - მალე მოეღება ბოლო შენს ნიჭსა და სილამაზეს, ქერა მია!" ამოიღო თავისი ჯადოსნური სარკე და ჩაიხედა.

-სარკევ, სარკევ, არის ვინმე ჩემზე ლამაზი? — ჰკითხა სარკეს ჩვეულებისამებრ.

-შენც ლამაზი, მეც ლამაზი, ქერა მია კი ასლამაზი! — მიუგო სარკემ.

-მე მაგას ვუჩვენებ სილამაზეს! — დაიქადნა შავი მია, სარკე განზე მოისროლა და ტურულად ჩაცმა დაიწყო. გაიკეთა ტურის ნიღაბი, მიიკრა ტურის კუდი, ტანზე ნაცრისფერი მოსასხამი შემოიხვია, ხელში თავისი მათრახი დაიჭირა და მალვა-პარვით გაუდგა გზას ქერა მიას სახლისკენ. დიდი სიფრთხილე არც დასჭირვებია, რადგან გზა სრულიად ცარიელი იყო, რაც ძალიან გაუკვირდა. იარა, იარა და თავის წინ მიმავალი დიქტა ტურა შენიშნა. დაუძახა, დაეწია და გაკვირვებულმა ჰკითხა:

-სად არის ქალაქის მოსახლეობა? გზა რატომ არის ცარიელი?

-ამხანაგო მია! განკარგულება გავეცი, არავინ გამოსულიყო ქალაქში, რადგან ვიცი თქვენი ხასიათი. ვიცოდი, რომ ქერა მიასთან წახვიდოდით. აბა, რა სასიამოვნოა, ვინმემ დაგინახოთ? თქვენ ხომ ჩვენი უჩინარი მბრძანებელი ბრძანდებით!

-საზრიანობას უსათუოდ დაგიფასებ, - ესიამოვნა შავ მიას. — მივიდეთ, ვნახოთ, ქერა ალქაჯი როგორ აღესრულება.

მიადგნენ ქერა მიას ჭიშკარს და იქ ნახეს დას ტურა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე კატბალახათი მთვრალი კატა.

-როგორ არის საქმე? — ჰკითხა დას ტურას შავმა მიამ.

-როგორც თქვენ გაგეხარდებათ! — მიუგო დას ტურამ და ჭიშკარზე დაარაკუნა.

-ვინ არის? — გამოსძახა ქერა მიამ.

-თქვენი მეგობრები, - მიუკივლა დას ტურამ.

-ქერა მიამ ჭიშკარი გააღო და პირკატა ეცა, როცა დიქტა ტურა და შავი მია დაინახა მათრახით ხელში, მაგრამ უკვე გვიან იყო — დაუპატიჟებელი სტუმრები ეზოში შეცვივდნენ. ბენჯი სახლის კართან იწვა, ძაღლები კი ქასქსით ეზოში დაბორიალებდნენ. ბენჯიმ დაიყეფა და სტუმრებისკენ გაქანდა. თითქოს ნიშანი მისცესო, ძაღლებიც სტუმრებს ეცნენ.

-ბენჯი! ბენჯი! — შესძახა ქერა მიამ, მაგრამ ბენჯის აღარაფერი ესმოდა, შავ მიას ეცა და ცდილობდა, ყელში სწვდომოდა. დიქტა ტურამ თავისი ძაღლობა გაიხსენა, აყეფდა, აყმუვლდა და ბენჯის დაეტაკა. მათ გაცოფებული ძაღლები მიესივნენ. ყველა ერთ გორგალად შეიკრა. ირგვლივ სისხლის შხეფები იფრქვეოდა, ისმოდა კივილი, ღრენა-ღმუილი, ყმუილი. ქერა მია ამ გორგალში შევარდა, ბენჯის ეცა და გამოათრია. ძაღლებს დარჩათ შავი მია, დიქტა ტურა და დას ტურა. ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ ძაღლები ვერაფრით ვერ მოიშორეს. ამ დროს ქერა მიამ დაინახა ჯადოსნური მათრახი, რომელიც შავ მიას ხელიდან გავარდნოდა და განზე ეგდო. უმალ ხელი დაავლო, ბენჯის გადაჰკრა და შესძახა:

-ადამიანი იყავ და ადამიანად იქეცი! ადამიანი იყავ და ადამიანად იქეცი!

ბენჯი ნელ-ნელა დადგა ორ ფეხზე, გაიმართა წელში და, ერთიც ვნახოთ, ადამიანად იქცა. ქერა მია გახარებული გადაეხვია, თან მათრახს არ უშვებდა ხელიდან.

-ჩემი მათრახი! — შეჰკივლა შავმა მიამ და ის იყო, ძაღლებიც სწვდნენ ყელში.

მალე ძაღლების გორგალი გაიშალა. იქიდან არავინ გადარჩენილა ცოცხალი.

-დავუბრუნოთ ძაღლებს ადამიანის სახე! — სთხოვა ბენჯიმ მიას. — გადაჰკარი მათრახი.

-ამათთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია! — ამოიოხრა ქერა მიამ და ცრემლი ჩამოუგორდა, - ჩვენს დაცვას შეეწირნენ.

-როგორც იქნა, დაემხო დიქტა ტურა! როგორც იქნა, დამთავრდა არაადამიანთა პარპაში! — შესძახა ბენჯიმ, თავის ამხანაგებს სათითაოდ გადაჰკრა მათრახი და ადამიანის სახე დაუბრუნა, - მაგრამ მსხვერპლიც დიდია — ჩემი საუკეთესო მეგობრები შეეწირნენ თავისუფლებისთვის ბრძოლას. მე მათ სათანადო პატივით და დიდებით დავკრძალავ, ბოროტების მოციქულებს კი კოცონზე დავწვავ. ახლა კი წავიდეთ ქალაქისკენ, ქერა მია! მე — ხელმწიფე, შენ — დედოფალი! ტურებად და კატებადქცეულ ადამიანებს დავუბრუნოთ ადამიანის სახე.

ქერა მიამ და ბენჯიმ ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ქალაქისკენ გაეშურნენ. ქალაქი ნისლში და ყინვაში იყო გახვეული.

-ტურების ქალაქო! ადამიანების ქალაქად იქეცი! ადამიანების ქალაქად იქეცი! — წარმოთქვა ბენჯიმ და ქალაქის მიმართულებით რამდენჯერმე გააშხუილა მათრახი. ქალაქის თავზე მზე აკიაფდა, ქალაქი გათბა და განათდა. ქუჩებში ბავშვების ჟრიამული გაისმა. აჭიკჭიკდნენ ჩიტები, აფუსფუსდნენ ადამიანები. ქერა მია და ბენჯი სასახლეში შევიდნენ და ტახტზე დასხდნენ. მას შემდეგ ბედნიერად ცხოვრობენ და ქალაქის მცხოვრებთა ბედნიერებასაც საზღვარი არა აქვს. რაც შეეხება კატრიარქატს და ტურობას, რომ არა წმინდა მსხვერპლთა საფლავები, ისინი აღარავის ემახსოვრებოდა, თითქოს არც ყოფილიყოს.

იყო და არა იყო რა და ასე იყო ეს ამბავი.



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე მთიბავი



# ნინო ბასილია

## საიმედოობის თეორია

**დაწესებულება. ფიზიკის ინსტიტუტი. ოთახში საწერ მაგიდას სამი მამაკაცი უზის და დომინოს თამაშობს. იქვე უდევთ ძველი, კოჭებიანი საანგარიშო.**

**ნიკა:** დუბეში.

**ვაჟა:** კარგი რა, მერამდენედ. **(საანგარიშოზე ჩამოყრის ქვებს)**

**გუგა:** უკვე მესამედ იწყებს დუბეშით. არა აქვს ახლა ამას ბედი?

**ნიკა:** მე როგორც ვხედავ, ბედი მარტო ამაში მაქვს.

**გუგა:** მე სულ რომ არა მაქვს, რა ვქნა?

**ნიკა:** გაგიცვლი რამეში, გინდა?

**გუგა:** შენ რომ რამე გასაცვლელი ან გასაყიდი გქონდეს, აქ არ იჯდებოდი.

**ნიკა:** აბა, სად ვიჯდებოდი?

**გუგა:** დირექტორის სავარძელში, და ხელფასის დროზე მოტანის ბრძანებას მაინც გასცემდი.

**ნიკა:** ანგარიშზე ფული თუ არ მექნა, გაეცი ეს ბრძანება რამდენიც გინდა და იყავი.

**გუგა:** დირექტორობის ბედი რომ გქონოდა, იმის ბედიც გექნებოდა, ანგარიშზე რამე დაგედო. ახლა ჩარი არ აილო, თორემ წავაგებ.

**ნიკა ქვას იღებს და იცინის.**

**გუგა:** ჩარია, არა?

**ნიკა:** აბა, რა გიყო, ძმაო?!

**გუგა:** გითხარი ბედი გაქვს-მეთქი.

**ვაჟა:** ახლა მთლად ბედს ნუ დააბრალებთ ყველაფერს. ნებისმიერ საქმეში ტვინიც გასანძრევია და ხელიც.

**გუგა:** არ გამოდის ეგრე, ხომ ხედავ. რაც გამოგონებები გვაქვს, ყველაფერი სეიფში გვიდევს. ვისი ბრალია?

**ვაჟა:** მარტო ფიზიკის ფაკულტეტი არ უნდა დაგემთავრებინა. გესწავლა იურიდიულზეც, სამშენებლოზეც, სამედიცინოზეც და ერთ-ერთი გაგიმართლებდა.

**ნიკა:** როდის, სიკვდილის წინ?

**გუგა:** არა, სიკვდილის მერე.

**ნიკა:** ისე, ეგეც შეღავათია.

**ამ დროს გარედან პოლიციის მანქანების სირენის ხმა, ხალხის ხმაური და ალაგ-ალაგ ქალების წამოკივლებაც ისმის. ბიჭები ფანჯარას მივარდებიან.**

**ნიკა:** რა, მოკლეს ვინმე?

**გუგა:** ასე გამოდის. ხედავ, რა ჩოჩქოლია?

**ვაჟა:** გაივლი ქუჩაში, კაცის ჭაჭანებას ვერ ნახავ და, როგორც კი რამე მოხდება, ჯგროებად გაჩნდებიან.

**გუგა:** ასეა ეს. კანონზომიერებაა. ხომ იცი, ერეკლეს რა უთქვამს? საომრად ათასი კაცი ძლივს შევკრიბე და ჩემს დასაფლავებაზე თორმეტი ათასი მოვიდაო.

**ვაჟა:** ეს სიკვდილამდე თქვა თუ მერე?

**გუგა:** მერე, რა თქმა უნდა.

**ვაჟა:** შენ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის თეორიას ხომ არ ამუშავებ?

**გუგა:** ეგ უკვე დამუშვებული მაქვს და ეგერ დევს, სეიფში.

**ვაჟა:** ეგ მერამდენეა?

**გუგა:** მეშვიდე.

**ვაჟა:** მერე, გიჯერებს ვინმე?

**გუგა:** პლანეტა ალფაზე რომ შევხვდებით, დამიჯერებენ.

**ვაჟა:** ეს როდის?

**გუგა:** სიკვდილის მერე. უბრალოდ, მეთვრამეტე განზომილებაა ცოტა ძნელი გადასალახი.

**ნიკა:** (ვაჟას) იმიტომ ეძახიან "სიკვდილას".

**ვაჟა:** კი მაგრამ, სროლის ხმა რომ არ იყო?

**გუგა:** მაყუჩიანით ესროლა, ეტყობა.

**ვაჟა:** ნახე, პოლიციელები აქეთ იყურებიან. სნაიპერს თუ ეძებენ. მოცილდით ფანჯარას, რამე არ დაგაბრალონ.

**გუგა:** დამაბრალონ, რა, ბნელა?

**ვაჟა:** ამათთვის სულ ბნელა, არ იცი?

**ისევ უსხდებიან მაგიდას.**

**ვაჟა:** მე რომ ვერ გადავლახო მეთვრამეტე განზომილება, რა, ვერ მოვხვდები ალფაზე?

**ნიკა:** შენ მოხვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვაჟა:** შენ რა იცი?

**ნიკა:** ჰკითხე, თუ არ გჯერა.

**ვაჟა:** "სიკვდილა," მე მოეხვდები?

**გუგა:** ყველა მოხვდება, ვისაც ინტელექტუალური პოტენციალი გააჩნია.

**ვაჟა:** ვისაც არ გააჩნია?

**გუგა:** ის ატმოსფეროსაც ვერ გასცდება.

**შემოდის დაახლოებით ოცდახუთი წლის დამლაგებელი გოგო წითელ კომბინეზონში, რეზინის ყვითელ ხელთათმანებში, ლურჯი თასით და სხვადასხვა ფერისა და სახის საწმენდი ინვენტარითა და ტილოებით.**

**კუსა:** გამარჯობა.

**ერთხმად:** კუსას გაუმარჯოს.

**ვაჟა:** კუსა, რა არის ეს?

**კუსა მიმოიხედავს და ტანზეც დაიხედავს.**

**კუსა:** რა ეს?

**ვაჟა:** ვინ ჩაგაცვა და აღგჭურვა ასე უცხოპლანეტელივით?

**კუსა:** დირექტორმა.

**ვაჟა:** ნახე შენ, ჩვენთვის მოსაცემი ხელფასი არა აქვს და დამლაგებლის კომბინეზონების და ამ ფერადი ტაშტების ფული ჰქონია.

**კუსა:** ეს, ბიჭებო, არ უყიდიათ, დაგვირიგეს დროებით, სანამ უცხოელების დელეგაცია არ წავა, ასე უნდა იაროთო.

**ვაჟა:** რომ წავლენ, მერე გაგხდიან?

**კუსა:** აჰა.

**გუგა:** კოსმეტიკური რემონტიც მაგათთვის გააკეთეს? თუ, რომ წავლენ, ონკანებს, კარის სახელურებს და ლინოლიუმებს მოხსნიან და ახალი დელეგაციის მოსვლამდე შეინახავენ?

**კუსა:** (თან ალაგებს) ლინოლიუმები და ონკანები არ ვიცი, მაგრამ ჩვენ სულ ხუთი დამლაგებელი ვართ და, ერთ კვირაში ჩემი ძველი ტანსაცმლით რომ ვივლი ისევ, კარგად ვიცი. თქვენ რას უცდით, სახლში არ მიდიხართ?

**ნიკა:** ხელფასს.

**კუსა:** უი, თქვენთვის არავის უთქვამს, რომ ხელფასები ორშაბათამდე არ იქნება?

**ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.**

**ვაჟა:** მერე დღეს ორშაბათია.

**კუსა:** არა, იქითა ორშაბათამდეო.

**ბიჭები გაბრაზებით დაყრიან დომინოს ქვებს.**

**ნიკა:** ამოვიდა ამათი ორშაბათობა ყელში. დავრჩით ისევ უფულოდ.

**გუგა:** რაღაზედ წავიდე სახლში, რა მინდა? გზის ფულიც აღარ მაქვს. მაცივარი ცარიელია, ხვალ ისევ წამოსასვლელი ვიქნები. მივწვები ტახტზე და დავიძინებ. კუსა დილით ყავას მომიდუღებს. ხო, კუსა?

**ვაჟა:** როგორც შენ არ აგიღია ხელფასი, ისე არ აუღია კუსასაც. საიდან მოგიტანოს ყავა?

**გუგა:** მაშინ მასესხოს. კუსა, მასესხე რა, ოცი ლარი ორშაბათამდე?

**ნიკა:** კუსას შენამდე მე ვიცნობდი, არა, კუსა? თან მე ოცი კი არა, თხუთმეტი ლარი მჭირდება.

**გუგა:** ვითომ თხუთმეტი რა არის?

**ნიკა:** რა არის და ის, რომ ჯერ ერთი, თხუთმეტი ოცზე ხუთით ნაკლებია...

**გუგა:** ვა, მართლა ტო?

**ნიკა:** მართლა. და მეორეც, თხუთმეტი ლარი სასესხებლადაც იოლია და გასასტუმრებლადაც.

**ვაჟა:** ახლა ოოო... გეყოფათ... მაგაზე თუ მიდგა საქმე, კუსა რომ აქ მოვიდა სამუშაოდ, დერეფანში პირველად მე შემხვდა და მე ვუთხარი გამარჯობა. არა, კუსა?

**კუსა:** აჰა.

**ვაჟა:** ჰოდა, ათ ლარს კუსა მე არ დამამადლის, მითუმეტეს, ათი ოცზეც და თხუთმეტზეც ნაკლებია, გასასტუმრებლად — კიდევ უფრო იოლი და, ბოლოს და ბოლოს, რომც არ გავისტუმრო, კუსა ათ ლარზე ჯიბეებს არ დამაგლეჯს, არა, კუსა?

**კუსა:** ჯიბეებს არა, თმას კი.

**ნიკა:** (ვაჟას) ეგეც შენ.

**კუსა:** ესე იგი, რამდენი გინდათ? ოცი, თხუთმეტი და ათი არა?

**ვაჟა:** ასე გამოდის.

**კუსა:** კარგი.

**კუსა კომბინეზონის ჯიბეებში იჩხრიკება.**

**გუგა:** მოიცა, მოიცა, ხუმრობ?

**კუსა:** არა, რატომ? დამლაგებელი თუ ვარ, ფული არ შეიძლება მქონდეს?

**ნიკა:** შენ რაღაცა არაორდინარული დამლაგებელი გამოდიხარ.

**ვაჟა:** ისე, მე ყოველთვის მომწონდა არაორდინარული ქალები.

**ნიკა:** შენ გეყოფა ახლა. (კუსას) მოიცა, ყველას გვასესხებ, თუ რომელიმე ერთს?

**კუსა:** ვინც რამდენი მოითხოვა.

**კუსა ჯიბიდან ფულს იღებს და ბიჭებს სათითაოდ აწვდის.**

**ვაჟა:** არა ვარ ახლა მამაძაღლი და საცოდავი მე?

**ნიკა:** (იცინის) რატომ, ვაჟა?

**ვაჟა:** რატომ და, ნატვრა ხომ არ ვიცი და არ ვიცი...

**გუგა:** ხო, აბა, ხუთ ლარს რომ კაცი ინატრებს...

**ვაჟა:** და იმასაც ქალს რომ გამოართმევ.

**კუსა:** მე ამ შემთხვევაში დამლაგებელი ვარ. როდის მერე დაიწყეთ ჩემი ქალად აღქმა?

**გუგა:** რაც ფული გაგიჩნდა...

**კუსა:** თქვენ ამას ეძახით ფულს? რაღაც პატარა ბიზნესი წამოვიწყე და ძლივს ორი კაპიკი გავაკეთე.

**ნიკა:** პატარა ბიზნესი?

**ვაჟა:** აუ, წვრილი მეწარმე კუსა? რა ბიზნესი გააკეთე შენ, რაც გხედავ, სულ ჩვარი გიჭირავს ხელში ან ყვავილებს რწყავ.

**კუსა:** თუ არავისთან არ წამოაყრანტალებთ, გეტყვით.

**გუგა:** ჩვენგან რამე გასულა?

**კუსა:** ერთი-ორი ცალი ამათი დროებით მოცემული ინვენტარი გავყიდე.

**ვაჟა:** რა, ვედროები?

**კუსა:** დაახლოებით. ორი წითელი თასი, ერთი ყვითელი ხელთათმანი, ამ კომბინეზონს ჯიბეებიანი ჟილეტიც მოყვებოდა — ისიც და, რაც მთავარია, ავსტრიული მტვერსასრუტი.

**ბიჭებმა დაუსტვინეს.**

**ნიკა:** მერე რით აპირებ თავის მართლებას?

**კუსა:** არც არაფრით. ეს უცხოელები აქ კიდევ ორი კვირა იქნებიან, მანამდე ამ კომბინეზონსაც მივაყოლებ და სამსახურიდანაც წავალ. აბა, როდემდე უნდა ვიყო ამათი მათხოვარი?

**გუგა:** ა, ძმაო, ქალი. აპროტესტებს. (ვაჟას) შენ იჯექი აქ დუბეშივით ყოველ დღე და ელოდე ორშაბათებს.

**კუსა:** რამდენია თქვენი ხელფასი?

**გუგა:** კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი კაცს, ჩემო კუსა.

**კუსა:** რახან ამას ამბობთ, ესე იგი, ძალიან ცოტა. ჰოდა, ელოდეთ. არაფერი ჩვენს ქვეყანაში გარანტირებული არ არის და ამ ხელფასის მოტანის როგორ გჯერათ მეცნიერ კაცებს?

**ნიკა:** შენ კურიერივით ნუ მელაპარაკები, თუ ძმა ხარ. თეორიულად გვჯერა, თორემ პრაქტიკულად სხვა დღეში ვართ.

**კუსა:** ტელეფონი მუშაობს?

**ვაჟა:** (ყურმილს აიღებს და ზუმერს მოისმენს) მუშაობს, ჯერ არ გადაუჭრიათ.

**კუსა:** სოფელში დამარეკინეთ, რა.

**ვაჟა:** კი ბატონო.

**კუსა ნომერს კრეფს და ელოდება.**

**კუსა:** დედიკო, მე ვარ, როგორა ხარ?.. მე კარგად... არაფერზე არ იდარდო, ჯერჯერობით ვმუშაობ... კი, მომცეს ხელფასი და გამოგიგზავნი. სხვათა შორის, მარტო დამლაგებლებს მოგვცეს ჯერ და ეს პროფესორი ფიზიკოსები უფულოდ დატოვეს... იმიტომ, რომ ჩვენი სამუშაო ჩანს და ამათი

— არა. (კუსა ნიშნისმოგებით გადახედავს ბიჭებს და დაეჭყანება). მოკლედ, შენ რაც მთხოვე, ყველაფერი ათიანზე შევასრულე, ის შენი გამოგზავნილი კაციც ვნახე და მითხრა, ჰონორარზე დაგელაპარაკებიო... აბა, შენ იცი, გკოცნი.

**კუსა ყურმილს დაკიდებს.**

**ვაჟა:** (დასცინის) ჩემი სამუშაო ჩანს, ამათი — არა... შენი სამუშაო გამოჩნდება, აბა, რა იქნება, იმისთანა კომბინეზონით დადიხარ, სულ რომ არ გაანძრიო ხელი, მარტო სიარულში მოგცემენ ფულს, ჩვენ კიდევ თავს ვაკლავთ ფორმულებს და რად გინდა...

**ნიკა:** აგერ "სიკვდილას", საერთოდ, მეთვრამეტე განზომილებაში მისასვლელი ტრასები აქვს აღმოჩენილი, მაგრამ აინტერესებს ვინმეს?

**კუსა:** მართლა? მერე იქიდან სად მოვხვდები?

**ვაჟა:** პლანეტა ალფაზე.

**კუსა:** ვაიმეეე... მთელი ჩემი ცხოვრება ამაზე ვოცნებობდი.

**გუგა:** დაივიწყე. შენ რამე მიწიერი ინატრე და იოლად შესასრულებელი.

**კუსა:** ვითომ რატომ?

**გუგა:** განათლება არ გეყოფა. გზაში დაიკარგები.

**კუსა:** სამაგიეროდ, ნიჭი მაქვს.

**გუგა:** რისი?

**კუსა:** იმისი, რომ განათლების გარეშე ყველგან მოვხვდე და ყველაფერი გავაკეთო.

**გუგა:** ჰოდა, შენნაირები პლანეტა ომეგას ვერ სცდებიან.

**ნიკა:** კუსასთვის ეგეც კარგია; არა, კუსა?

**კუსა:** ვითომ რატომ?

**ნიკა:** ვინმეს ხომ უნდა "ეკონტაქტო?" ჰოდა, შენნაირების ცვენა იქნება. თორემ ამ დედამიწაზე ძალიან არეულია ყველაფერი.

**კუსა:** თორემ, თუ არ ვიცი იმდენი, რამდენიც თქვენ, იმიტომ ვერ "გეკონტაქტებით". წავედი... ბიჭებო, ჩემს ბიზნესზე რაც გითხარით, არსად არ წამოგცდეთ... თუ წამოგცდათ კიდევ, მაგაზეც ვერ ვიდარდებ. მაინც მივდივარ აქედან.

**გუგა:** სად?

**კუსა:** ჯერ არ ვიცი.

**გუგა:** ა, ქალი! ხვდება, რომ აქედან უნდა წავიდეს და ჩვენ ვერ ვხვდებით.

**ნიკა:** მითხარი რამე იდეა და წავალ.

**კუსა:** თქვენნაირი ფიზიკოსები არ მინახავს მე. ატომურ ბომბებს აწყობთ და ერთი იდეა როგორ ვერ მოგივიდათ თავში?

**ვაჟა:** შენა, ფრთხილად იყავი, გარეთ ასე ჩაცმული არ გახვიდე. მგონი, ვილაც მოკლეს ქუჩაში და შარში არ გაეხვიო, ვინმეს სნაიპერი არ ეგონო.

**კუსა:** არ მოუკლვათ, დუნდულაში დაჭრეს.

**კუსა გასასვლელთან გაჩერდება და ხელს ლოყაზე მიიდებს.**

**გუგა:** შენ რა ყველაფერი იცი.

**კუსა:** პროფესია მაქვს ასეთი.

**ნიკა:** რა არის, ისე, ადამიანის სიცოცხლე? ა? ამ დილით იმ კაცს რა გეგმები ექნებოდა ცხოვრებაზე, ახლა კიდევ ასეთი სამარცხვინო ჭრილობით უნდა იწვეს ლოგინში.

**კუსა:** (უცებ დასერიოზულდება) იქნებ, ღირსი იყო?

**ნიკა:** ღირსი?

**კუსა:** ჰო, ღირსი. იქნებ მოუშალა ვალაცას ნერვები, გაამწარა ან, სულაც, მოკლა და ახლა სამაგიეროს უხდიან?

**ნიკა:** რაც უნდა იყოს, ეგ ჩვენი გასარჩევი არაა. მაგას იქ გაარკვევენ. (თითს მაღლა ასწევს).

**კუსა:** გასაგებია, მაგრამ აქ, ეტყობა, ვილაცა ვერ ითმენს. სამართალი რომ ასე იოლი მოსაპოვებელი იყოს, ჩემო ნიკა, ამხელა ფასი არ ექნებოდა.

**კუსა მტვერს გადაწმენდს სეიფს.**

**გუგა (ჩურჩულებს):** ეს ქალი ხან ჭკვიანი მეჩვენება, ხან დებილი. ან ერთიცაა და მეორეც.

**ნიკა:** ხან ბოროტი, ხან კეთილი, კურკა ხარ თუ ვარკეთილი.

**ვაჟა:** ქალებს რას გაუგებ, ჩემო გუგა.

**ამ დროს ოთახში ნაცრისფერი საწვიმარლაბადიანი მამაკაცი შემოდის და ოთახში ხმის ამოუღებლად დგება. ირგვლივ იხედება და ყველაფერს დაკვირვებით უყურებს.**

**ნიკა:** გამარჯობა.

**მამაკაცი არ პასუხობს. უბრალოდ, იღიმება.**

**ნიკა:** რა გნებავთ?

**მამაკაცი:** კარგია თქვენთან.

**ნიკა:** რა გნებავთ, ბატონო?

**მამაკაცი საჩვენებელ თითს გაუწვდის. ნიკა ჩამოართმევს.**

**მამაკაცი:** ალფრედი.

**ნიკა:** ჩვენთან ალფრედი არავინ არის.

**მამაკაცი:** მე ალფრედი მქვია. წყალს დამალევინებთ?

**ნიკა კუსას ანიშნებს წყალი მოუტანოს. კუსა წყალს ჭიქაში ჩამოასხამს**

**და ალფრედს მიაწვდის. ალფრედი წყალში საჩვენებელ თითს ჩაყოფს**

**და გაირინდება. შემდეგ ამოიღებს, თითს ცხვირსახოციით გაიწმენდს და**

**კმაყოფილი იტყვის:**

**ალფრედი:** ძალიან გემრიელი წყალი გაქვთ.

**გუგა:** ჰაერიც, სხვათა შორის.

**ალფრედი:** ჰაერიც. რა თქმა უნდა, მაგრამ წყალი უფრო მომწონს.

**ვაჟა: (ცინიკურად)** ბუნება? ბუნება არ მოგწონთ, ბატონო? ბორჯომის ხეობა გვაქვს ისეთი, რომ...

**ალფრედი:** უკაცრავად, მაგრამ ჯერ დათვალიერება ვერ მოვასწარი. ახალი ჩამოსული ვარ.

**კუსა:** კიდევ ხომ არ გნებავთ წყალი?

**ალფრედი:** არა. საკმარისია.

**ალფრედი დაუმშვიდობებლად გავა.**

**ვაჟა:** (დაანევს) კიდევ შემოგვიარეთ, არ მოგერიდოთ. თუ გნებავთ, წინასწარ ნურც დაგვირეკავთ.

**კუსა გაოგნებული უყურებს ჭიქას.**

**კუსა:** სულ დაულევია.

**გუგა:** მაგას დალევა არ ჰქვია.

**კუსა:** აბა, ჭიქა რომ ცარიელია?

**რეკავს ტელეფონი. ვაჟა ყურმილს იღებს.**

**ვაჟა:** დიახ... ვაჟა ვარ... ჰო, ანზორ, გისმენ... ახლა გჭირდები? მერე? რამდენი დღით მიდიდხარ? კარგი, მოვიფიქრებ რამეს და გამოგივლი.

**ვაჟა: (ყურმილს დებს)** ანზორი იყო.

**გუგა:** რა მინდაო?

**ვაჟა:** სადღაც მიდის საყვარელთან ერთად და სახლიდან გამიყვანეო.

**გუგა:** შენ როგორ უნდა გაიყვანო სახლიდან?

**ვაჟა:** ჭრელად, გავუვლი სახლში რეზინის ჩექმებითა და ანკესებით. მერე უკან მობრუნებულზე ბაზარში ნაყიდ სამ კილო კეფალს დავაჭერინებ ხელში და მეთევზის ამაყი პროფილით შევუშვებ ცოლ-შვილთან.

**გუგა და ნიკა ჯერ ერთმანეთს შეხედავენ გაოგნებულები, მერე ვაჟას.**

**ნიკა:** გაიმეორე, რა თქვი?

**ვაჟა:** რა იყო, რა მოხდა?

**გუგა:** ეს ახლა მოიფიქრე?

**ვაჟა:** არა, ერთი-ორჯერ უკვე მაქვს გაკეთებული.

**ნიკა:** იმუშავა?

**ვაჟა:** მაგრად.

**ნიკა:** მერე ცოლებს რა უთხარი?

**ვაჟა:** ერთმა იცოდა, რომ ქმარი პალიასტომზე იყო იხვებზე სანადიროდ, მეორეს მივლინება გავუფორმე ციმბირში, ახალ ტექნოლოგიებს ამუშავებდა ვითომ. სახლში შესვლამდე კი ერთს ხუთი მოკლული იხვი დავაჭერინე ხელში, მეორეს — კურდღლის "უშანკები".

**ნიკა:** მერე, ამას გვიმალავდი?

**ვაჟა:** მე არაფერს ვმალავდი.

**გუგა:** აი, იდეააააც!

**ამ დროს კარს კუსა შემოაღებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კუსა:** ბიჭებო, მართლა რჩებით აქ რომელიმე დილამდე?

**ნიკა:** შემოდი ერთი, შემოდი.

**კუსა:** რა მოხდა?

**ნიკა:** შენ წერა-კითხვა იცი?

**კუსა:** საკმარისია, მამაკაცებმა ქალს ხელში მტერის ტილო დაუნახონ, მაშინვე შეურაცხყოფაზე გადადიან. რატომ ხდება ასე?

**გუგა:** სამსახური გინდა?

**კუსა:** მინდა, მხოლოდ დამლაგებლად არა.

**ნიკა:** მდივნობაზე რას იტყვი?

**კუსა:** (კივის) ვაიმე, მართლა?

**გუგა:** ცოტა ფანტაზია გაქვს?

**კუსა:** ცოტა კი არა...

**ნიკა:** მაშინ, გაიხადე.

**კუსა:** რააა?

**ნიკა:** გაიხადე ეგ შენი კომბინეზონი, ახლავე ვიწყებთ.

**კუსა:** ვიწყებთ? ვიწყებთ? რას ვიწყებთ? რას?

**კუსა სიხარულით დარბის და გზადაგზა კომბინეზონს იხდის. შიგნით უკვე კაბა აცვია, ფეხსაცმელებიც ვედროდან ამოაქვს, იცვამს, თან ყვირის:**

**კუსა:** აააა.... რას ვაკეთებთ?

**ნიკა:** ფირმააააას.

**ბიჭებიც იწყებენ ავეჯის გადაადგილებას; გამოაქვთ წიგნები, საოფისე ქაღალდები, სავარძლები, გორგოლაჭიანი სკამები, გასაბერი ნავი, ანკესები, დიპლომატები(კეისები), რეზინის ჩექმები. კუსა თავის ადგილს იკავებს. ტელეფონების ზარი არ წყდება, ხან ერთი იღებს დალაგების პროცესში, ხან მეორე. პასუხობენ და დებენ ყურმილს. მერე სიტუაცია წყნარდება და მშვიდდებიან. ოთახში რჩებიან ნიკა და კუსა.**

**კუსა: (პასუხობს ტელეფონს)** ფირმა "ფანტაზია" გისმენთ... დიახ... გვარები გვჭირდება, დაზღვევისთვის. თქვენიც და მეუღლისაც... არა, მესამე პირის ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს... აჰა, გასაგებია.

**პარალელურად მეორე ტელეფონზე ზარებს ნიკა — ფირმის დირექტორი პასუხობს და მსგავს შეკითხვებს სვამს.**

**ნიკა:** ვიწერ... როდისთვის გეგმავთ?.. თქვენი პროფესია? აჰა... კი, დაწვრილებით მომიყევით. საქმოსანი... და კიდევ ერთი შეკითხვა, რამდენის ფარგლებში ვიმოძრაოთ?.. კარგი. ჰო, კიდევ ერთი შეკითხვა, რამდენ დღეზე გავთვალოთ? ხომ იცით, ხარჯიც შესაბამისად მოიმატებს... კარგი, მაშინ ზეგისთვის ყველაფერი მზად იქნება... სცენარს, მობრძანდებით და, ისე წაიკითხავთ თუ ფაქსით გადმოგიგზავნოთ? შევთანხმდით. კი ბატონო. იცოცხლეთ.

**ამ დროს ოთახში გუგა შემოდის და ყუთი შემოაქვს, რომელსაც ცარცით 'ხოხბები" აწერია. თან თანამშრომლებს ხელის აწევით ესალმება. კუსა დგება და ყუთში ჩაიხედავს. ხელს ჩაყოფს და ხოხბებს ეალერსება.**

**კუსა:** ვაიმე, რა სილამაზეა. ამათი ჭამა საცოდაობა არ არის?

**გუგა:** რამ აგატირა, რა იყო, ქათამი არ გიჭამია?

**კუსა:** მერე, ქათამი და ხოხობი ერთი და იგივეა?

**გუგა:** მე რომ მკითხო, ერთი და იგივეა, ოღონდ გაფერადებულია სხვანაირად.

**კუსა:** თქვენთვის, კაცებისთვის, ყველაფერი სულერთია, ოღონდ რამე იჭმებოდეს და კუჭში ჩადიოდეს.

**გუგა:** ჩვენ ყველაფერთან ერთად კუჭიც ესთეტიკური გვაქვს, ამიტომ სილამაზეს ითხოვს.

**ნიკა გუგას მიუბრუნდება.**

**ნიკა:** არ შეგეძლო, ყუთისთვის არ წაგეწერა "ხოხბები"? ყველას უნდა დაანახო, რაც მოგაქვს?

**გუგა:** კარგი წავშლი.

**გუგა ჩვარს აიღებს და წაშლას იწყებს.**

**ნიკა:** ახლა რა აზრი აქვს წაშლას? ხომ მოატარე უკვე მთელი ქალაქი.

**გუგა:** მერე, შენ გგონია, მთელი ქალაქი ამ ყუთს უყურებდა? წინა შეკვეთა რაც აგვერია, მას შემდეგ ვაწერ. აბა, უხერხული არ იყო, იმ კაცს ხოხბების ნაცვლად მელიის კუდები რომ გავატანეთ სახლში?!

**ისევ ტელეფონი დარეკავს.**

**ნიკა:** გამარჯობა. დიახ, გიცანით. ანგარიში გნებავთ? დღესვე გადმოგიგზავნით... მხოლოდ, ხომ იცით, გადახდა წინასწარაა. როგორ არ გენდობით, მაგრამ ჩვენიც გაიგეთ, რისკია დიდი. ანონიმურობაც გარანტირებულია. **(ყურმილს დაკიდებს და გუგას მიუბრუნდება)** გუგა, ზეგისთვის ჯიპი დაგვჭირდება...

**გუგა:** ჯიპი ვაჟას მიჰყავს.

**ნიკა:** კარგი, მაშინ ნივა და ორი სანადირო თოფი.

**კუსა:** ორი არ გამოვა, ერთი ვაჟას მიაქვს ჯიპთან ერთად.

**ნიკა:** რას გადამეკიდა ეს ვაჟა?

**გუგა:** კარგი შეკვეთაა, მაღალ დონეზეა ჩასატარებელი, ჯიპიც იმიტომ წაიყვანა.

**ნიკა:** ესე იგი, ნივა, ერთი სანადირო თოფი. მეორეც რომ მჭირდება, რა ვქნა?

**კუსა:** ანკესი წაიღე, პატივცემულო.

**ნიკა:** გენიოსი ხარ. ანკესი, გასაბერი ნავი, რეზინის ჩექმა, კარავი. კუსა, ჩაიწერე.

**კუსა:** კარავიც ვაჟას მიაქვს და რეზინის ჩექმებიც.

**ნიკა:** ერთი ჩახედე მაგის სცენარს, ჩემგან ხომ არ გადმოუწერია?

**კუსა:** არა, მაგრამ ორი ერთნაირი შეკვეთა დაემთხვა ერთმანეთს.

**ნიკა:** მერე, იმ პლაგიატორმაც სხვა ვერაფერი მოიფიქრა?

**გუგა:** სხვა შენ მოგეფიქრებინა. ნამდვილად ვიცი, რომ ვაჟამ შენზე ადრე დაწერა. თავად ვესწრებოდი წერის პროცესს.

**ნიკა:** ესე იგი, მე გამოვდივარ პლაგიატორი?

**კუსა:** თქვენც ახლა, მსოფლიო ღირებულების ნაწარმოებებს წერთ, ყველანი პლაგიატორები ხართ, ერთმანეთისგან იწერთ სცენარებს და მერე გიკვირთ, რეკვიზიტები რატომ არ გვყოფნისო..

**ნიკა:** რა მჭირს ვაჟასგან გადასაწერი, ინსტიტუტში თემებს ჩემზე კარგად ვერავინ წერდა. მახსოვს, ერთხელ თავისუფალი თემა რომ დავწერე...

**კუსა:** გასაგებია, პატივცემულო. შენ ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი ხარ. რა ვქნათ ახლა?

**ნიკა:** უთხარი, რეზინის ჩექმები მაინც დამიტოვოს.

**გუგა:** თუ გინდა, ცალს მე მოგცემ. საბარგულიდან მაინც ისე გამოჩნდება, ვითომ ორია.

**ნიკა:** მერე შენ?

**გუგა:** ჩემი პატარა შეკვეთაა მაინც, თან სცენარის მიხედვით სადრბაზოსთან ორ წუთზე მეტს არ ვჩერდები. ვინ დაუწყებს რეზინის ჩექმებს თვლას?

**ნიკა:** რეკვიზიტები გვაქვს კიდევ საყიდელი, შეკვეთებმა იმატა. ახლა დავფარეთ ბანკის ვალი და ისევ კრედიტია ასაღები.

**კუსა: (სარკასტულად)** ესეც ჩავწერო, პატივცემულო?

**ნიკა:** ეს არა. გავაგრძელოთ. ჩაწერე, რეზინის ცალი ჩექმა და მოკლული გარეული იხვები, გაუპუტავი.

**კუსა:** იხვები იმ დღესვე გვინდა?

**ნიკა:** არა, ორი დღის შემდეგ. საღამოს ბაზარში შეიარე და იყიდე.

**კუსა:** რომ არ იყოს?

**ნიკა:** დღეს შეიარე და ზეგისთვის დაუკვეთე.

**კუსა:** იხვი რომ არ იყოს?

**ნიკა:** (ნერვებმოშლილი) მაშინ მწყერი ან ხოხობი, ან, რა ვიცი მე, რაც დაფრინავს და იჭმევა. რა იყო, პირველად აკეთებ შეკვეთას თუ რა დაგემართა?

**გუგა:** ხოხობი თუ გინდოდა, ვერ თქვი? კიდევ დავამატებდი.

**ნიკა:** ეს ვისთვის გინდა?

**გუგა:** ბალაკლავასთვის. ვაჟამ ხვალ საღამოს უნდა მისცეს.

**კუსა:** არა უშავს, თეთრ ქათამს ვიყიდი და გადავღებავ ფერებში... რა, არ შეიძლება?

**ნიკა: (დაჟინებული მზერის შემდეგ)** მართლა ქათამი ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ! მერე კლიენტმა სახლში გადადებილი ქათმები აიტანოს და ამტკიცოს, გარეული იხვიაო? ამისთვის იხდის ამხელა ფულს?

**კუსა:** რა ვიცი, სულ იმას არ იძახით, ჩვენს საქმეში ფანტაზიაა საჭიროო? ჰოდა, ვიფანტაზიორე მეც.

**ნიკა:** ჩვენ რომ გვჭირდება, ის სხვა ფანტაზიაა.

**კუსა:** მოკლედ, თქვენს გემოვნებაში ვერაფრით ვერ ჩავჯექი.

**ნიკა:** იმიტომ, რომ სისულელეებს როშავ.

**კუსა:** არა. იმიტომ, რომ არ არის ეს აფერისტობა ჩემი საქმე.

**გუგა:** მოიცა, მოიცა, ჩვენ რა, აფერისტები ვართ?

**კუსა:** არა, ბიჭო!

**გუგა** (ნიკას): გესმის?

**ნიკა:** გაანებე თავი, მეტი განათლება არა აქვს და რა ქნას.

**კუსა:** შეიძლება, არ მქონდეს უმაღლესი განათლება, მაგრამ იმას კი ვხვდები, ასეთი ტყუილით დიდხანს რომ ვერ ვიცხოვრებ. სინდისი შემაწუხებს.

**გუგა:** შენ დაგავიწყდა, რომ ეს ფირმა გატარებულია, როგორც შპს და ოფიციალურად არსებობს?

**კუსა:** ჰოდა, ოფიციალური აფერისტები ხართ თქვენც.

**ნიკა:** წადი მერე, რატომ ხარ ჩვენთან ერთად?

**კუსა:** დაგავიწყდათ, რომ თქვენ ჩამითრიეთ? თან ჯერ უკეთესი ვერაფერი ვიშოვე.

**გუგა:** აგერ, ა, სხვათა შორის, დედა ტერეზას აქ თავისი წარმომადგენლობა ჰქონია გახსნილი და მედდებს ეძებენ. დღევანდელ გაზეთში წავიკითხე.

**გუგა გაზეთს აწვდის. კუსა გამოართმევს, წაიკითხავს და უჯრაში შეინახავს.**

**კუსა: (ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ)** კარგი, ვიშოვი იხვებს.

**გუგა: (კუსას)** დედა ტერეზა არ მოგეწონა, არა? სპეციალურ ტანსაცმელს ჩაგაცმევენ, ოღონდ, წითელ კომბინეზონს კი არა, თეთრზე ლურჯ ზოლებიან ზეწარს მოგახვევენ, ფერად-ფერად სუდნოებს დაგაჭერინებენ ხელში და გატარებენ ქვეშაფსია ავადმყოფებთან. რატომ არ გინდა? ჩვენნაირ აფერისტებთან ყოფნას ხომ ჯობია? სინდისი მაინც გექნება მშვიდად. და სახეც ისეთი გაგიხდება, იმათ რომა აქვთ, (სარკასტულად) სათნო და ფერმკრთალი.

**კუსა: (ნიკას)** რომელ საათზე უნდა იყვნენ კლიენტის სახლთან?

**ნიკა:** დილის ექვსზე.

**გუგა: (კუსას)** რატომ მიგდებ სიტყვას ბანზე? ხომ ხარ, შენი აზრით, წესიერი და მამა აბრამის ბატკანი? იქნებ, პრესაში გაგვაცხადო, როცა მოგბეზრდება ჩვენთან საქმიანობა და ამით მოიწმინდო სინდისი?

**კუსა: (ისევ ნიკას მიუბრუნდება)** ფული რომ არ გადმოურიცხავს ჯერ?

**ნიკა:** ხვალ ქეშს მოიტანს.

**გუგა: (არ ცხრება. ისევ კუსას)** ან სად ხედავ შენ აქ ტყუილსა და აფერისტობას? ამ ხალხს ზოგს ცოლისგან უნდა დასვენება, ზოგს კიდევ საყვარლისგან და ზოგს საერთოდ შენნაირი ინტრიგანებისგან. ამის მოსაწყობად კიდევ ყველას არ ყოფნის ბატონო ფანტაზია. ერთ-ორ იდეას რომ დავუჯღაბნით ბლანკიან ქაღალდზე, ის არის აფერისტობა?

**კუსა: (ისევ ნიკას)** იმან ჯერ მოიტანოს ქეში და მერე გავამზადებ ყველაფერს. არ ჯობია?

**ნიკა: (გაბრაზებით)** შენ ჩაიწერე, რასაც გეუბნები და ფირმის ფინანსურ საქმეებში ნუ ერევი.

**კუსა: (ნიშნისმოგებით)** დიახ, პატივცემულო.

**ნიკა: (შემრიგებლური ტონით)** პატივცემულო არ უნდა მაგას.

**კუსა:** ორი თვის წინ არ იყო, რომ მოგამზადებინეს ბრილიანტის ბეჭედი, ორმოცდაათი ჰოლანდიური ვარდი და თვითმფრინავის ორი ბილეთი წინასწარ? ხომ გადავვარდი სამი ათას დოლარში. ისიც ასე გეუბნებოდა, ხვალ მოვიტანო და დაიკარგა სადღაც.

**გუგა: (კუსას)** შენ, ქალბატონო, სიტყვის ბანზე აგდება ვინ გასწავლა?

**ნიკა: (დაიყვირებს)** კარგი! მორჩით ახლა კინკლაობას!

**კუსა და გუგა ჩუმდებიან, მაგრამ ერთმანეთს მაინც თვალებით ჭამენ.**

**ნიკა:** (საბუთებში იჩიჩქნება) დაერეკა მაინც იმ ოჯახაშენებულს.

**კუსა:** ვის იმას?

**ნიკა:** ვის და თორნიკეს.

**გუგა:** ვერსად ვერ დაიკარგება. მალე დავჭირდებით. ახალი საყვარელი გაიჩინა.

**ნიკა:** შენ დაწერე, არა, მაგის სცენარი?

**გუგა:** ჰო. მე დავწერე. ვერცხლის ქორწილი უნდა აღენიშნა და მეორე დღეს ვითომ სამსახურის საქმეზე სასწრაფოდ გადაფრენილიყო სტამბულში.

**ნიკა:** სად მიდიოდა სინამდვილეში?

**გუგა:** კანარებზე.

**კუსა:** წაკითხული მაქვს ეგ სცენარი.

**ნიკა:** მერე?

**კუსა:** არაფრად არ ვარგოდა და იმიტომაც დაიწუნა იმ კაცმა.

**გუგა:** ამას უსმენ? გველობს, ხომ ხედავ. ჩემი სცენარები თანამედროვე დრამატურგიის შედევრებია. უბრალოდ, იმაზე მწყდება გული, სამი კაცის მეტი რომ არ კითხულობს.

**კუსა:** თორემ რომ წაიკითხა იმ თქვენმა თორნიკემ, იმიტომ გადაიჭრა ვენები.

**შემოდის სატელეფონო ზარი.**

**კუსა:** ფირმა “ფანტაზია“ გისმენთ... ახლავე.

**ყურმილს ნიკას გადასცემს.**

**ნიკა:** გისმენთ. გამარჯობა, ბატონო თორნიკე. არა, რას ბრძანებთ, მივხვდი, რომ რაღაცაში იყო საქმე, თორემ ასეთ შეკვეთას არ გააუქმებდით. რადიკულიტმა ჩაგაწვინათ? ჰო, აბა, რა კუნძულების თავი გექნებოდათ. ვაგრძელებთ, არა? ძალიან კარგი. სცენარი იგივე დავტოვო? კარგი, თქვენ ოღონდ რიცხვი და დრო მითხარით. რას ამბობთ, რა პატიებაზეა ლაპარაკი... კარგად ბრძანდებოდეთ.

ნიკა ყურმილს კიდებს და ნიშნისმოგებით უყურებს ორთავეს.

**ნიკა (გუგას):** შენ რა, ნოსტრადამუსი ხარ?

**გუგა:** არა, გამოთვლით მათემატიკაში ვიყავი ძლიერი.

**კუსა:** მომკლა ამათმა ტრაბახმა.

**გუგა:** თუ რამე სატრაბახო გაქვს, იტრაბახე შენც. აი, მაგალითად, უშგულის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხომ გაქვს დამთავრებული.

**ამ დროს ოთახში დაბნეული მამაკაცი შემოდის.**

**მამაკაცი:** გამარჯობა.

**ნიკა:** გამარჯობა, გისმენთ.

**მამაკაცი ნერვულად სრესს სიგარეტს ხელში.**

**მამაკაცი:** (გუგას) კუსა თქვენ ბრძანდებით?

**გუგა თავის თავზე დაიხედავს და მამაკაცს ეტყვის.**

**გუგა:** როგორ მიხვდით?

**კუსა:** არა, მე გახლავართ, ბატონო, კუსა.

**მამაკაცი:** ცუდად არ გამიგოთ... უბრალოდ, ჩემთვის არ უთქვამთ, ქალბატონიაო. მე თქვენს შესახებ ბევრი მსმენია.

**გუგა:** ვისგან გსმენიათ, ბატონო?

მამაკაცი: თქვენი კლიენტებისგან. ქუჩიდან მოსული არ გეგონოთ. რეკომენდაციით მოვედი. თქვენმა დედიკომ გამომგზავნა.

**მამაკაცი კუსას მაგიდაზე ფურცელს უდებს. კუსა წაიკითხავს და უჯრაში შეინახავს.**

**მამაკაცი:** ერთი შეკითხვა მაქვს.

**ნიკა:** გისმენთ.

**მამაკაცი:** სანტა-კლაუსები თუ გყავთ?

**ფირმის წევრები ერთმანეთს გადახედავენ.**

**კუსა:** ამ წუთას არა, მაგრამ ჩვენთვის შეუძლებელი არაფერია. საახალწლოდ გნებავთ?

**მამაკაცი (მორცხვად):** დიახ.

**ნიკა:** კარგი, პრობლემა არ არის.

**მამაკაცი:** ადრე გქონიათ ასეთი შემთხვევები?

**ნიკა:** მთლად სანტა-კლაუსები არ შეუკვეთავთ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ამ სტილში გვქონია.

**მამაკაცი:** მაინც რა?

**გუგა:** მონადირეები, მეთევზეები, დიპლომატები, გამომგონებლები, მექანიკოსები.

**მამაკაცი:** ხომ არაორდინარული იდეაა სანტა-კლაუსი?

**გუგა:** მეთევზეებთან შედარებით — კი. ისე, როგორ გითხრათ. დღეს, ხომ იცით, ადამიანებს ვერაფრით გააკვირვებთ.

**მამაკაცი:** (ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ) ეგეც მართალია, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, კარს რომ გააღებს და შოკოლადის კანფეტების ნაცვლად ტყვიებს რომ დაახლის.

**ბიჭები ერთმანეთს გაოცებული გადახედავენ. კუსა გაოგნებულია.**

**ნიკა:** უკაცრავად, ვერ გავიგეთ.

**მამაკაცი:** იცით, რაშია საქმე? ძალიან გამიმწარა სიცოცხლე. დამაჩანაკა. რამდენიმე წლის წინ ასე კი არ გამოვიყურებოდი. წელში გამართული დავდიოდი, ბედნიერი, ყველაფერი მიხაროდა. ახლა, ვფიქრობ, მისი სიკვდილის დრო დადგა.

**ნიკა:** თქვენ კაცის მოკვლა გინდათ?

**მამაკაცი:** რა, არ შეიძლება?

**ნიკა:** დღეს ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ეს ჩვენი პროფილი არ არის. ასეთ საქმეებს ხელს არ ვკიდებთ.

**კუსა:** დიახ, პროფილი არ არის. სხვა რამეს შემოგთავაზებთ, თუ გნებავთ.

**მამაკაცი:** მე კიდევ მითხრეს, ყველაფრის მოფიქრება შეუძლიაო.

**გუგა:** ვის?

**მამაკაცი:** კუსას.

**ბიჭები:** კუსას?

**მამაკაცი:** დიახ, კუსას.

**კუსა:** მოფიქრება კი შეგვიძლია. მაგალითად, სხვა საშუალებები მოვძებნოთ, უფრო ჰუმანური.

**მამაკაცი:** ჰუმანური რა არის, თქვენი აზრით?

**კუსა:** დუნდულაში დავჭრათ.

**მამაკაცი:** არა, ჰუმანური არ მაწყობს. მე დიდი ხანია ამ გეგმაზე ვფიქრობ. ის ღირსია, უნდა მოკვდეს და სიკვდილის წინ აუცილებლად უნდა გაიგოს, რომ მკვლელი ჩემი მიგზავნილია.

**ნიკა:** რატომ მაინცადამაინც სანტა-კლაუსი?

**მამაკაცი:** მთელი ცხოვრება, ბავშვობიდან, მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა. მე მინდა, თან ბავშვობის ოცნება ავუსრულო, თანაც ეს ოცნება პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდეს მისთვის.

**კუსა:** ღმერთო ჩემო, რა სასტიკი ბატონი ბრძანებულხართ.

**მამაკაცი გაოგნებულ მეგობრებს თვალს მოავლებს და ეტყვის.**

**მამაკაცი:** მე კიდევ მითხრეს, კუსა უარს არ გეტყვისო.

**კუსა:** არა, არა, აქ რაღაც გაუგებრობაა. ჩვენ მომსახურების ეს ფორმა არ გვაქვს.

**მამაკაცი ჯიბიდან ფულს იღებს და მაგიდაზე დებს.**

**მამაკაცი:** ეს ავანსია. მე რამდენიმე დღეში გამოვივლი და ზუსტ მისამართს გეტყვით.

**კუსა:** არა, რას ამბობთ, რა საჭიროა ავანსი.

**მამაკაცი:** სხვათა შორის, ისიც მითხრეს, ძალიან მოკრძალებულები არიანო... და მართალიც ყოფილა.

**მამაკაცი გავა.**

**გუგა (კუსას)** იცნობ?

**კუსა:** არა. ვერ ნახე, რომ შენში ავერიე?

**ნიკა:** ვისი რეკომენდაციით მოვიდა ეგ კაცი?

**კუსა:** არც ვიცი.

**გუგა:** აბა, დედიკომ გამომგზავნაო.

**კუსა:** გიჟია ცოტა, ვერ ნახე? ეტყობა, მისამართი შეეშალა. ჩვენს წინ რომ შპს "იადონია", რას აკეთებენ იქ, ხომ არ იცით?

**გუგა:** შენ როგორ გგონია, რას უნდა აკეთებდნენ?

**კუსა:** შეიძლება, ქილერები სხედან და შეკვეთებს იღებენ.

**გუგა:** შე მართლა იადონო, შენ. შეიძლება, ასე ოფიციალურად, დღისით, მზისით, გახსნა შპს და კაცის კვლაზე შეკვეთები აიღო?

**კუსა:** ვითომ რატომ არ შეიძლება? ამ კაცს ცოტა რომ დაეძალებინა ან ავანსის ნაცვლად მთელი ფული მოეცა, თქვენც არ იტყოდით უარს.

**ნიკა:** გაგიჟდება, რა, კაცი. რაღაც უწყინარი იდეით დავიწყეთ ეს საქმე და სადამდე შევტოპეთ, ხედავ?

**კუსა:** თქვენი არც ერთი იდეა არაა უწყინარი. ყველგან ზარალდება ხალხი.

**გუგა:** აი, კიდევ, დაიწყო.

**კუსა:** რომელი იყო უწყინარი იდეა? ერთი მაინც დამისახელეთ... ეს რომ ჩემმა ქმარმა გამიკეთოს...

**გუგა:** რა მერე? რომ გაგიკეთოს, გაეყრები?

**კუსა:** არა, ჯერ დავასახიჩრებ.

**ნიკა:** დუნდულაში, არა? (იცინიან) შენ ამას ქმარი, კუსკუს, ვერ გაგიკეთებს.

**კუსა:** რატომ?

**ნიკა:** ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, ეს რომ გაგიკეთოს, ქმარი უნდა გყავდეს, მეორეც, მე და გუგა ისეთ სცენარს დავწერთ, ასი წელი ვერაფერს მიხვდები.

**კუსა:** მაშინ ჯერ თქვენ დაგასახიჩრებთ და მერე გავთხოვდები... მორჩა, მე თქვენ ქორწილში არ გეპატიჟებით და, საერთოდ, ქუჩაში კაცთან ერთად რომ მნახავთ, მეორე მხარეს გადადით. არ გიცნობთ, არ მიცნობთ.

**გუგა:** შენ ჯერ კაცი იშოვე და პირიქით იქნება. (იცინის და ნიკას თვალს უკრავს).

**კუსა:** პირიქით რა?

**ნიკა:** ის, რომ, იქნებ, ჩვენი დახმარებაც კი დაგჭირდეს, იმ უბედურმა ცოლად რომ მოგიყვანოს?

**კუსა:** გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ თქვენს ბრიგადაში რა მინდოდა.

**გუგა:** "სვიატაია მაგდალინა".

**კუსა:** აბა, ოჯახებს რომ ანგრევთ, კარგია?

**ნიკა:** ერთი-ორი ამისთანა მოწმე და დაგვიჭერენ ეგრევე. ჩვენ ვანგრევთ, გოგო, ოჯახებს?

**გუგა:** ჩვენ კი არ ვანგრევთ, ვინარჩუნებთ. თუ იცი, რა მოსიყვარულეები ხდებიან მივლინებიდან დაბრუნებული ქმრები ოჯახში და რა საჩუქრები ჩამოაქვთ თავიანთი ცოლებისთვის?!

**კუსა:** რა საჩუქრები, იხვები და თევზები?

**გუგა:** რატომ თევზები? ვენაში რომ გავაპარეთ, იმ კლიენტმა, არ გახსოვს, რა ტანსაცმელი ჩამოუტანა ცოლს?

**კუსა:** მაგას მასწავლით, რა ჩამოუტანა? მე დავრბოდი ერთი კვირა საყიდლებზე მთელ თბილისში და ორი ღამე კაბებს იარლიყებს ვაკერებდი.

**ნიკა:** იარლიყები რაღად გინდოდა?

**კუსა:** თურქული კაბებისთვის 'მადე ინ ავსტრია" უნდა მიმეკერებინა და რა მექნა?

**ნიკა:** მერე რა, ხომ დარჩა იმისი ცოლი კმაყოფილი შენი გემოვნებით არჩეული ტანსაცმლით? რამდენი დახარჯე მაშინ?

**კუსა:** ორი ათასი დოლარი.

**გუგა:** იმის ცოლს კიდევ ეგონა, ათი ათასის საქონელი იყო.

**ნიკა:** რატო არ ეგონებოდა, რა! კუსას იმისთანა სამუშაოები ჩაუტარებია...

**გუგა:** რაც მთავარია, ბოლო კეთილი აქვს ამ ყველაფერს და ყველა კმაყოფილია.

**კუსა:** სანადიროდ ვისაც უშვებდით, იმათი ცოლებიც?

**ნიკა:** ერთ საიდუმლოს გეტყვი, კუსა. ქალებისთვის, იცი, რა არის მთავარი? დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათი ქმრები ძმაკაცებთან ერთად ტყე-ღრეში დადიან. აბა, ქალს თუ ეჭვი გაუჩნდება, რომ მისი ქმარი სადღაც დაძვრება, მერე იწყება კოშმარები...

**კუსა:** ჰოდა, შენ გგონია, რომ ეჭვებს უქარწყლებ?

**ნიკა:** აბა, შემომხედე ერთი, ძვირფასო, და მითხარი, ჩემნაირი პროფესორის სახის, ჩაცმულობისა და გამიმეტყველების ადამიანი რომ გამოივლის დილის ექვს საათზე ჯიპით, ნავით, რეზინის ჩექმებით და ზურგზე ჩანთაგადაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდებული და შენს ქმარს სახლიდან გამოიყვანს, შეგეპარება რამეში ეჭვი?

**კუსა:** ჯერ არავის ეპარება, მაგრამ ერთ ორ წელიწადში სახეზე დაგეტყობათ ნაძირლობა და იარეთ მერე თქვენი ფიზიკოსის დიპლომით და ამტკიცეთ, რომ ინტელიგენტები ხართ.

**ნიკა:** მე რომ ფიზიკოსი არ ვყოფილიყავი, ასეთ რამეს ვერ მოვიფიქრებდი. შენ გგონია, ჩვენი საქმე ინტელექტუალური ბიზნესი არ არის?

**კუსა:** რანაირად?

**ნიკა:** ჯერ ადამიანი უნდა შევისწავლო. ტყუილად მოვიგონე ანკეტები და კითხვები?

**კუსა:** კითხვებსაც გააჩნია. ის გრაფა რაღა შუაშია: — კვირაში რამდენჯერ გაქვთ მეუღლესთან სექსუალური აქტი? რამდენჯერ შეგიძლიათ ღამეში საყვარელთან და რამდენჯერ ცოლთან?

**ნიკა:** აი, სწორედ მაგის მიხედვით ვადგენ გამგზავრების ვადებს და კლიენტის პოტენციას. პრეზერვატივებითაც კი მე ვამარაგებ, რათა ის დღეები იმ ქალის ნაყოფიერების პერიოდს არ დაემთხვეს და არ დაფეხმძიმდეს, რომ მერე ჩემს კლიენტს პრობლემები არ შეექმნას.

**გუგა:** მასეთ შემთხვევებს ბიზნესში ფორს-მაჟორი ქვია.

**კუსა:** რა ქვია?

**გუგა:** ფორს-მაჟორი. შენ რომელი სკოლა დაამთავრე?

**კუსა:** უშგულის პირველი საშუალო სკოლა.

**გუგა:** მე მეგონა, მეექვსე საშუალო.

**კუსა:** უშგულში ერთი სკოლაა.

**ნიკა:** მართლა? ვერ დავიჯერებ.

**კუსა:** დაანებეთ ჩემს განათლებას თავი. რაც უნდა დამემთავრებინა, მაინც ძალიან კარგად ვიცი, რაც გჭირდებათ.

**ნიკა:** რა გვჭირდება?

**კუსა:** რა და, საიმედოობის თეორია.

**ნიკა და გუგა ერთად:** რააა?

**კუსა:** რა იყო? საიმედოობის თეორია არ გაგიგიათ?

**გუგა:** კი, როგორ არა, ჩვენ გაგვიგია კი არა, მაგის მეტი არაფერი გვისწავლია, მაგრამ შენ რა იცი?

**კუსა:** მე ვიცი, რომ არსებობს ფარდობითობის თეორია, დრეკადობის თეორია და არსებობს საიმედოობის თეორია. რატომ არ შეიძლება ამ საიმედოობის თეორიის ჩვენს საქმეში გამოყენება? ხომ შეიძლება, რომ უფრო მშვიდად ვიმუშაოთ?

**ნიკა:** ვაიმე, გამაგიჟებს ეს ქალი.

**გუგა:** ის სკოლა, შენ რომ დაამთავრე უშგულში, ნამდვილად სკოლა იყო თუ უნივერსიტეტი? ხომ არ გეშლება?

**კუსა:** არა აქვს ამას მნიშვნელობა.

**გუგა:** როგორ თუ არა აქვს? შენ რა იცი საიმედოობის თეორიაზე?

**კუსა:** დააკვირდით თავად სიტყვას: რას ნიშნავს საიმედო? ნიშნავს თავის დაზღვევას უსიამოვნებებისგან ან უბედური შემთხვევებისგან, რამაც ფირმა გაკოტრებისგან უნდა დაიცვას, თქვენ კი ხარისხის გარანტია უნდა აგამაღლებინოთ.

**გუგა (ნიკა):** შენ დანიშნე ეს აინშტაინი მდივნად?

**ნიკა გაოგნებული უქნევს თავს.**

**გუგა:** ჰოდა, ძალიანაც მიგიქარავს. (კუსას) კუსკუს... უჰ, უკაცრავად, ქალბატონო კუსა, დაწინაურებაზე რა აზრისა ხართ?

**კუსა:** მაგას გირჩევნიათ, ხელფასი მომიმატოთ.

**გუგა:** ხელფასი იგივე რომ დაგრჩეს და ნიკას მოადგილე გახდე, არ გინდა?

**კუსა:** თქვენ თქვენნაირები აშაყირეთ.

შემოდის ვაჟა და შუა ოთახში ანკესებსა და რეზინის ჩექმებს ყრის.

**ნიკა:** რა არი, რა გაბრაზებული ხარ?

**ვაჟა:** ბიჭო, იმ გამოტვინებულს არ უთხარი, სათევზაოდ რომ

მივდიოდით?

**ნიკა:** ვის?

**ვაჟა:** ვის და ბალაკლავას.

**ნიკა:** როგორ არა.

**ვაჟა:** აბა, სცენარში ჩაიხედე.

**ნიკა საბუთებს ეძებს.**

**ნიკა:** აი, ბალაკლავა... 6.00. — სათევზაოდ წასვლა. გაუვლის ვაჟა ყველა ატრიბუტით.

**ვაჟა:** მერე, დილის ექვს საათზე რომ ჩამოვიდა შარვალ-კოსტუმით, თეთრი პერანგით და მამლებიანი გალსტუკით და რომ ჩამიჯდა ამ სათევზაოდ გაწყობილ მანქანაში, სახურავზე გაბერილი მწვანე ნავი რომ ედო, რას ფიქრობდა?

**ნიკა:** ეგ მგონი კაიფობს და წამალზე ზის.

**ვაჟა:** ჰოდა, ეკაიფოს ახლა მის ცოლს. იმ ქალმა რომ გადმომხედა, ქვემოდანვე დავინახე, როგორ გაუდიდდა თვალები.

**გუგა:** რაო, მერე მისმა ქმარმა?

**ვაჟა:** რაო და, მე დამიწყო ჩხუბი, ლიმუზინით არ უნდა მოსულიყავიო?

**ნიკა:** ლიმუზინი ხომ წინა თვის სცენარში იყო.

**ვაჟა:** იყო და აერია, ეტყობა. ცოლისთვის უთქვამს, უცხოელ სტუმრებს უნდა დავხვდე აეროპორტში და მერე ბათუმში წავიდეთო.

**ნიკა: (შუბლში იტკიცავს ხელს)** წინა სცენარი გაუმეორებია. ერთი თვის წინ არ გავაკეთებინეთ ეს?

**ვაჟა:** ნახე, თუ ძმა ხარ, ხომ არ გეშლება?

**ნიკა:** ა, შენ თვითონ წაიკითხე სცენარი. ხომ არის აქ დღევანდელი დღე და რიცხვი? აგერ წერია — დილის 6 საათზე სათევზაო აღჭურვილობა. საბაბი — პალიასტომზე კეფალზე ნადირობა.

**ვაჟა:** ნადირობა თუ თევზაობა?

**ნიკა:** ერთია ორივე.

**ვაჟა:** იმან კიდევ უხსნას ახლა თავის ცოლს, რატომ მიჰქონდა პალიასტომზე დიპლომატი და მამლებიანი გალსტუკი...

**გუგა:** დაერეკა მაინც იმ ოჯახაშენებულს წინა დღით.

**კუსა:** აი, ხომ ვთქვი, საიმედოობის თეორია გჭირდებათმეთქი? რატომ არ დაურეკეთ და არ გააფრთხილეთ წინასწარ?

**ნიკა:** რა საჭიროა ყოველდღე რეკვა? ორი დღით ადრე ველაპარაკე და ვიცი, ვიციო.

**გუგა:** ჰოდა, ითევზაოს ახლა ცოლთან ერთად აბაზანაში.

**ნიკა:** რა მოხდა მერე?

**ვაჟა:** წასვლით კი წავიყვანე, მაგრამ რა, ხომ მიბრუნდება სახლში... მეც კაი ტიპი ვარ, რომ ვხედავდი კიბეზე მოდიოდა, გადავედი მანქანიდან მეტი დამაჯერებლობისთვის, მის ცოლს მეთევზის ტანსაცმელში რომ დავენახე, წელამდე შავი რეზინის ჩექმებში და თავაზიანად ვუთხარი: გამარჯობა, ქალბატონო, არ ინერვიულოთ, სამ დღეში თქვენი ქმარი დიდ თევზებს ჩამოგიტანთ-მეთქი.

**ვაჟას გარდა ყველა სიცილით კვდება.**

**ნიკა:** ეს ამბავი რომ გასკდეს, პრესტიჟი შეგველახება.

**ვაჟა:** ჩვენი ბრალი ხომ არ არის.

**ნიკა:** მაგას არა აქვს მნიშნელობა. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით.

**გუგა:** არ მომწონს მე ეგ საქმე.

**ნიკა:** ორი წლის წინ მოგწონდა და აღფრთოვანებული იყავი, ახლა არ მოგწონს?

**გუგა:** მოვდუნდით, ეტყობა, და ლაფსუსები გვეპარება. მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

**კუსა:** სიფრთხილე კი არა, საიმედოობის თეორია უნდა მაგას.

**ნიკა:** შენ, საყვარელო, საიმედოობის თეორია ბატის ფრთა ან ლიქიორიანი შოკოლადი ხომ არ გგონია?

**კუსა:** არა. და ისიც ვიცი, რომ სუპერმარკეტში არ იყიდება.

**გუგა:** კიდევ კარგი.

**კუსა:** მაგას დაწერა და ტვინის განძრევა უნდა.

**გუგა:** დაწერე მერე. ხომ ამბობ, პირველი სკოლა მაქვს დამთავრებულიო.

**კუსა:** დავწერ... ოჰ, ღმერთო, რა იქნება, ერთი ეგ საიმედოობის თეორია მომცე, რომ მერე ამათი ენები ვნახო ჩაგდებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამ დროს ოთახში ქალი შემოდის.**

**ქალი:** გამარჯობა.

**ნიკა:** გამარჯობა.

**ქალი:** დირექტორი მინდა.

**ნიკა:** დაბრძანდით. გისმენთ.

**ნიკა ქალს სკამს შესთავაზებს. ქალი დაჯდება.**

**ქალი:** თქვენთან ეწევიან?

**ნიკა:** რა თქმა უნდა, მოწიეთ.

**ქალი:** ძალიან ვღელავ.

**ქალი ჩანთიდან სიგარეტს ამოიღებს.**

**ნიკა:** დამშვიდდით, ყავა გნებავთ?

**ქალი:** არა, მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. (ოთახში მიმოიხედავს) ესენი ვინ არიან?

**ნიკა:** კოლეგები.

**ქალი:** კოლეგები?

**ნიკა:** თუ ხელს გიშლიან, ვეტყვი და...

**ქალი:** არა, თუკი კოლეგები არიან, მაინც ყველაფერს გაიგებენ. დასამალიც არაფერი მაქვს.

**ნიკა:** გისმენთ ყურადღებით.

**ქალი:** არც კი ვიცი, როგორ დავიწყო...

**ქალი სიგარეტს მოუკიდებს და ნერვულად გააბოლებს.**

**ქალი:** მოკლედ... ეჭვი მაქვს, რომ ქმარი მღალატობს.

**ნიკა ჩაახველებს. კუსა და დანარჩენები ერთმანეთს გადახედავენ.**

**ნიკა:** გასაგებია.

**ქალი:** არა, ჯერ არაფერი არ არის გასაგები... ეჭვი მაქვს, რომ, უკვე დიდი ხანია, მღალატობს.

**ნიკა:** ძალიან ვწუხვარ.

**ქალი:** ერთი წელია, ვაკვირდები და ვუთვალთვალებ, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ბოლო მომენტში სულ ხელიდან მისხლტება.

**კუსა:** ეს კაცების თვისებაა.

**ქალი: (კუსას გახედავს)** ვიცი!.. ამ ბოლო დროს უცნაური მეგობრები გაიჩინა.

**ნიკა:** უცნაურობაში რას გულისხმობთ?

**ქალი:** ყველაფერს.. ჩაცმულობას, ქცევას, შეხედულებას. მათთან ერთად სათევზაოდ დაიწყო სიარული მაშინ, როცა ადრე თევზის სუნსაც კი ვერ იტანდა.

**ვაჟას ხველება აუტყდება, იქვე მიმოფანტულ რეკვიზიტებს სწრაფად გადამალავს და გასასვლელისკენ წავა.**

**ნიკა:** სად მიდიხარ?

**ვაჟა:** უნდა გავიქცე, ხომ იცი, ჩემი ცოლი მშობიარობს დღეს.

**ქალი:** აი, რა ხართ ეს კაცები. ცოლი მშობიარობს, თქვენ კი სადღაც ხართ.

**ვაჟა:** სამსახური 'სადღაცაა", ქალბატონო?

**ვაჟა გარბის. ქალი ზიზღით გააყოლებს თვალს.**

**ქალი:** ჩემი ქმარიც ასეთი საქონელია.

**ნიკა:** ჩვენ რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?

**ქალი:** თქვენი დაქირავება მინდა.

**ნიკა:** რისთვის?

**ქალი:** ჩემს ქმარს რომ უთვალთვალოთ და ფაქტის წინაშე დამაყენოთ.

**ნიკა:** ეს მთლად ჩვენი პროფილი არაა.

**ქალი:** ვინ მუშაობს დღეს პროფილით? მე, მაგალითად, ქიმიური მაქვს დამთავრებული, მაგრამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ორი წელი ჟურნალისტად ვიმუშავე.

**ნიკა:** ქალბატონო...

**ქალი:** იზოლდა... იზა.

**ნიკა:** ქალბატონო იზოლდა, ეს არ არის იოლი საქმე.

**ქალი:** ვიცი. ფული აგერ მაქვს, ავანსი შემიძლია ახლავე დაგიტოვოთ.

**ქალი ჩანთიდან ფულს იღებს და მაგიდაზე დებს.**

**ნიკა:** ესე იგი, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ, რაც თქვენი ქმარი იმ უცნაურ ადამიანებს დაუკავშირდა, სათევზაოდ დაწყო სიარული და საყვარელიც გაიჩინა?

**ქალი:** დიახ. რაღაც საეჭვო ბანდა აკითხავს. ჩემი მეუღლე არამარტო სათევზაოდ დაჰყავთ, სანადიროდაც. რამდენჯერმე უცნაურად გაფორმებული მანქანებით მოაკითხეს. სახურავზე გაბერილი ნავი დევს ხოლმე და საბარგულში თოფები და ანკესები.

**ნიკა:** საინტერესოა. **(თან თანამშრომლებს გახედავს).** სხვა რა დეტალებს გაიხსენებდით?

**ქალი:** მივლინებიდან რომ ჩამოვიდა, ერთი ჩემოდანი ტანსაცმელი ჩამომიტანა, მაგრამ ისეთი იაფფასიანი და უგემოვნო მოდელები, ცხოვრებაში რომ არ ჩამიცვამს. ამანაც დამაეჭვა.

**ნიკა:** ესეც საინტერესოა. **(კუსას გადახედავს)**

**ქალი:** ჰოდა, მეც მაინტერესებს, სად ბრძანდებოდა, რომელ ქვეყანაში. საქონელი თურქული იყო, იარლიყები ავსტრიული, თან ხელით მიკერებული ჩანდა. მოკლედ, ვერაფერი გავიგე.

**ნიკა კუსას გადახედავს, რომელიც უხერხულობისგან ფრჩხილებს იკვნეტს.**

**ნიკა:** თქვენ რას ეჭვობთ, ქალბატონო?

**ქალი:** ჯერ ვიფიქრე, იეღოველების სექტაში ხომ არ გაერთიანდა-მეთქი.

**ნიკა:** რატომ? ეს რამ გაფიქრებინათ?

**ქალი:** ისეთმა არაინტელიგენტური შეხედულების ხალხმა დაიწყო მაგის გაყვანა სახლიდან...

**ახლა კუსა გადახედავს ბიჭებს ნიშნისმოგებით.**

**ნიკა:** კიდევ რა ეჭვები გაგიჩნდათ?

**ქალი:** სათევზაოდ მდინარეზე იყო და სახლში ზღვის თევზები მოიტანა, კეფალი და კამბალა.

**გუგა:** იქნებ მდინარეში ვერაფერი ვერ დაიჭირა და სახლში ხელცარიელი ამოსვლა შერცხვა?

**ქალი:** თქვენ არ იცნობთ ჩემ ქმარს. მას არაფრის არ რცხვენია.

**კუსა:** მაშინ რატომ არ გეუბნებათ, ვინმე სხვა თუ უყვარს?

**ქალი:** ოი, ბოჟე მოი. ჩემი ქმარი, საყვარელო, მე შევქმენი იმად, რაც არის და ახლა მას გაყრა არ აწყობს, რადგან ძალიან ბევრ რამეს დაკარგავს.

**გუგა:** თუკი აღმოჩნდა, რომ სექტაშია გაერთიანებული?

**ქალი:** იყოს. ოღონდ ვიცოდე, სად არის და რას აკეთებს. აი, ეს ჩემი მისამართი და ტელეფონის ნომერია.

**ქალი ოთხად გაკეცილ ფურცელს ამოიღებს, ფულს ზემოდან დაადებს და წამოდგება, მაგრამ ნიკას შეკითხვა გააჩერებს.**

**ნიკა:** ისე, ქალბატონო, რა გირჩევნიათ, საყვარელი ჰყავდეს თქვენს ქმარს თუ სექტის წევრი იყოს?

**ქალი:** ერთსაც და მეორესაც სიკვდილი მირჩევნია.

**კუსა:** რა მგრძნობიარე ყოფილხართ, რა დროს თქვენი სიკვდილია.

**ქალი:** ჩემი არა, იმისი.

**ნიკა:** ყველაფერი გასაგებია.

**კუსა:** უკაცრავად, ქალბატონო იზა, იმ ტანსაცმლის მოდელები, თქვენმა მეუღლემ რომ ავსტრიიდან ჩამოგიტანათ, რატომ არ მოგეწონათ?

**ქალი თავიდან ბოლომდე აათვალიერებს კუსას.**

**ქალი:** იმას მოდელები არ ქვია, გენაცვალე. ის "სეკონდ ჰენდში" კილოობით ნაყიდი ტანსაცმელია, აი, დაახლოებით, თქვენ რომ გაცვიათ, ისეთი. ნახვამდის.

**ქალი გავა. ნიკა კუსას შეხედავს და ეტყვის.**

**ნიკა:** გამოდი ერთი აქეთ და დამანახე, რა გაცვია.

**კუსა გამოვა და ნიკას წინ დადგება. ნიკა კარგა ხანს ათვალიერებს და მერე გაბრაზებით ეტყვის:**

**ნიკა:** რა კაბაა ეს? ან რა ფეხსაცმელები? ან რა საყურე გიკეთია, ან ეს წინდა საიდან მოიტანე, ან თმა როგორა გაქვს დავარცხნილი, ან რა სუნამო გასხია... რა არის, რა უბედურებაა.

**კუსა:** მთელი წელია ამ ტანსაცმლით დავდივარ და ახლა გავხდი უგემოვნო? რა ხელფასსაც მაძლევთ, იმის მიხედვით ვიკვებები და ვიცვამ.

**გუგა:** შენ გემოვნება არ გქონდეს, ხელფასს ნუ დააბრალებ. ხომ გქონდა ორი ათასი დოლარი, ვერ აარჩიე იმ ქალისთვის ნორმალური ტანსაცმელი? სოფლელი ეს.

**ნიკა:** აბა! ხედავ, სად გავიჭედეთ? არ ჯობდა ამას ისევ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი კომბინეზონი ცმოდა? ფირმის სახეს მაინც წარმოაჩენდა რაღაცნაირად.

**გუგა:** სადღა ექნება ის კომბინეზონი, ნამდვილად გაყიდდა უკვე. გაყიდე, ხომ? გამოტყდი.

**კუსა:** არა, მაგრამ წარსულს მახსენებს და ამიტომ არ მინდა.

**გუგა:** აი, ეს უკვე კარგია. წარსული ყოველთვის უნდა გახსოვდეს. არასოდეს, არასოდეს დაივიწყო, ვინ იყავი.

**ნიკა:** და ვინა ხარ ახლა.

**კუსა:** თორემ თქვენ თუ გაქვთ ნორმალური ხელფასები და დაუვიწყარი წარსული, ამიტომაც გეტყობათ რამე? ხომ გაიგეთ, რა თქვა იმ ქალმა თქვენზე: — ჭუჭყიანი და ბინძური ხალხი აკითხავდა ჩემს ქმარსო.

**გუგა:** ასე იყო საჭირო და იმიტომ.

**ნიკა:** კიდევ კარგი ვაჟა ვერ იცნო.

**გუგა:** ვაჟას წვერი უკვე გაპარსული აქვს, მაგრამ მაინც ვერ იცნობდა. ეგ კლიენტის ცოლებს ახლო მანძილზე არ უახლოვდებოდა. ფრთხილია.

**ნიკა:** ახლა რა ვქნათ, რა ვუყოთ იმ ქალის შეკვეთას?

**გუგა ქალის დატოვებულ ფულის შეკვრას ხელში ათამაშებს.**

**გუგა:** არა, ამ საქმის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ამდენ ფულს ვერ დავკარგავთ. ინვენტარის ყიდვა გვინდოდა? გვინდოდა. ბანკიდან კრედიტი უნდა აგველო? აგველო. ამ ფულით კიდევ სესხებას და პროცენტების ჩაბარებას გადავრჩებით.

**ნიკა:** კარგი, მაგრამ, იმ ქალს ხომ უნდა გავუხსნათ საქმე.

**გუგა:** ის ქალი თვითონ მოვა და მოგვთხოვს, საქმის გახსნას თავი დაანებეთო და ამისთვის კიდევ ფულს დაგვიმატებს.

**კუსა:** ეს როგორ?

**გუგა:** როგორ და პითაგორას თეორემას ჩავრთავთ. (თან კუსასკენ გაიხედავს)

**ნიკა:** პითაგორას თეორემის თანახმად, ჩემო კუსა, ამ ქალს საყვარელი უნდა ჰყავდეს.

**კუსა:** მერე, ეს რა თქვენი საქმეა?

**გუგა:** ჰოდა, სწორედ ეს არის საქმე. ამ ქალს საყვარელი უნდა გამოვუქექოთ და გამოაშკარავების საშიშროების წინაშე უნდა დავაყენოთ.

**კუსა:** იქნებ არა ჰყავს საყვარელი? იქნებ იმ ქალს უყვარს თავისი ქმარი და იტანჯება?

**გუგა:** რა უსარგებლო ვინმე ხარ. რამე ფრინველი მაინც იყო, გადაგღებავდი და რეკვიზიტებში გამოგიყენებდი.

**კუსა:** რის ნაცვლად?

**გუგა:** მაგალითად, ბატის.

**კუსა:** ჰო, ასეა, ადამიანს თუ დღეს სიყვარულის სჯერა, ბატია. თუ კეთილია, ბატია, თუ ლამაზად ვერ იცვამს — ბატია, თუ სოფლიდანაა ჩამოსული — ბატია. თუ მიამიტი და მიმნდობია, ბატია.

**გუგა:** აი, ასეთი მიამიტი არ უნდა იყო. ეს მერე სიდებილეში გადადის და ერთ მშვენიერ დღეს მაგის გამო შეიძლება ისე გაგჟიმონ, ვერც მიხვდე, რას გიკეთებენ.

**კუსა:** არც თქვენ დაგაყენებენ კარგ დღეს.

**ნიკა:** ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვენ მიამიტობის და სიდებილის გამო არ მოგვივა.

**ამ დროს ვაჟა შემოდის, ყუთი შემოაქვს, რომელზეც აწერია 'კეფალი" და კუსას მაგიდაზე დგამს.**

**ვაჟა:** წავიდა?

**კუსა:** წავიდა.

**ვაჟა:** მერე?

**კუსა:** რა მერე, შენზე თქვა, საქონელიაო.

**ვაჟა:** გმადლობთ.

**კუსა:** მე ნუ მიხდი მადლობას, იმას მოუხადე. მომაშორე, რა, ეს ყუთი, ყარს.

**ვაჟა:** ამ ყუთით ჭამთ ყველა პურს და სუნი ვერ აგიტანიათ.

**ვაჟა ყუთს შეინახავს.**

**ვაჟა** (ნიკას): შენა, აქ ვილაცები დგანან და ფსიქოთერაპევტს ეძებენ.

**ნიკა:** ვინ ფსიქოთერაპევტს?

**ვაჟა:** არ ვიცი, გაზეთში უნახავთ განცხადება. (ვაჟას გაზეთი ხელში უჭირავს) კი მაგრამ, ჩვენ როდის მერე დავიწყეთ ფსიქოლოგიური სეანსების ჩატარება?

**ნიკა** (კუსას): კუსა, რა განცხადება გაუშვი გაზეთში?

**კუსა:** რაც დამავალე.

**ნიკა:** მიჩვენე.

**ნიკა ვაჟას გაზეთს გამოართმევს და კითხულობს:**

**ნიკა:** თუკი გაწუხებთ პრობლემები ოჯახში, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანებთან ან საკუთარ თავთან, ფირმა ფანტაზია ყველაფერს მოგიგვარებთ. ენდეთ პროფესიონალებს. თქვენ ნამდვილი იურისტები და ფსიქოლოგები დაგეხმარებიან. პრობლემა თქვენი — ფანტაზია ჩვენი. **(კუსას)** ვინ გთხოვა, გადააკეთე ტექსტიო?

**კუსა:** საკუთარმა ინტუიციამ. აბა, თქვენ რა გინდოდათ, რომ ღია ტექსტით დამეწერა: აფერისტების ჯგუფი ეძებს კლიენტებს?

**ნიკა:** სადა გაქვს, გოგო, შენ ინტუიცია. ინტუიციას განათლება სჭირდება.

**კუსა:** აბა, იმ თქვენს "სექს პა ტელეფონუს" განათლება არ უნდოდა?

**ვაჟა:** რა, ინტიმური ტელეფონის ხაზსაც ხსნით?

**ნიკა:** ჰო, ვაპირებ. ბაზარი ითხოვს, ძმაო.

**ვაჟა:** მერე, კუსამ რა იცის, როგორ უნდა ილაპარაკოს?

**ნიკა:** არ ჭირდება ამას დიდი განათლება. მითუმეტეს, ჩვენს ქვეყანაში. ერთი რომ ამოიხვნეშო ტელეფონში, გათავებულია საქმე. ეგეთი განათლება ქალებს თანდაყოლილი აქვთ. შენ რა, კუსკუს, ინსტინქტების დონეზეც არაფერი იცი?

**კუსა:** ინსტინქტების დონეზე, რა, ცხოველებს უნდა მაკონტაქტოთ?

**გუგა:** აბა, ახლა მაგისთვის კიდევ პროფესიონალი რომ ავიყვანოთ, ამდენ ხელფასს ვერ გადავიხდით.

**ვაჟა:** ვავარჯიშოთ ცოტა და მერე ისეთი პროფესიონალი გვეყოლება, რომ.... (ვაჟა კუსას მაგიდაზე წამოუჯდება და ვნებიანად ეტყვის) არა, კუსა?

**ნიკა:** მოიცა, ეგ მერე გაარჩიეთ, ახლა ის თქვით, ფსიქოთერაპევტი სად ვიშოვოთ.

**ვაჟა:** (გუგას) შენ ვერ გაქაჩავ?

**გუგა:** ვერა, ძმაო.

**ნიკა:** (ვაჟას) შენ?

**ვაჟა:** რა ვიცი, ერთი ფილმი მაქვს ნანახი, მხოლოდ იქ ჯგუფური ფსიქოთერაპიის სეანსს ატარებენ.

**ნიკა:** ჩაატარე შენც ჯგუფური. ერთბაშად მოვითავებთ ყველას.

**ვაჟა:** ჯგუფური მე სექსი ვიცი. სეანსი რაღა უბედურებაა. რა უნდა ველაპარაკო?

**ნიკა:** ფილმში რას ლაპარაკობდნენ, გაიხსენე და შენც გაიმეორე.

**ვაჟა (კუსას):** ჯანდაბას, შემოუშვი. ჩვენთან პროფესიონალები მაინც არც ერთ სფეროში არ მუშაობენ და რაღა ჩვენს ფირმაში მოითხოვენ?

**კუსა კარს აღებს.**

**კუსა:** მობრძანდით.

**ოთახში სამი ადამიანი შემოდის. ორი მამაკაცი და ერთი ექსტრავაგანტურად ჩაცმული ქალი.**

**კუსა:** დაბრძანდით, მოეწყვეთ, ფსიქოთერაპევტი ახლავე დაიწყებს.

**კუსა ვაჟას გახედავს. პაციენტები სკამებზე დასხდებიან.**

**კუსა:** ექიმო, პაციენტები გელოდებიან.

**ვაჟა საქმიანად გადახედავს სამკაციან ჯგუფს, მიუახლოვდება, მიესალმება. სამივე ფეხზე წამოდგება, ხელს ჩამოართმევენ და ისევ დასხდებიან. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ვაჟა სკამს დაიდგამს და დაიწყებს.**

**ვაჟა:** გავიცნოთ ერთმანეთი. მე გახლავართ ვაჟა, უბრალოდ ვაჟა...

**ქალი:** რა კარგია უბრალო ადამიანებთან ურთიერთობა. დავიღალე ამდენი ცერემონიებისგან. მეც უბრალოდ გულსუნდა დამიძახეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პირველი მამაკაცი** (ხელს ჩამოართმევს): გოჩა.

**მეორე მამაკაცი:** ილია.

**გულსუნდა:** ჩვენ რა, მხოლოდ სამნი ვიქნებით?

**ვაჟა:** აბა, რამდენი უნდა იყოთ?

**გულსუნდა:** წინა ფსიქოთერაპიის სეანსებზე ექვს-ექვსად დავდიოდით. ექიმი ამბობდა, ნაკლები არ შეიძლება, წრედი არ შეიკვრებაო.

**ვაჟა კუსას, გუგას და ნიკას გადახედავს.**

**ვაჟა:** ამ სამ პაციენტს ვერ ხედავთ? მობრძანდით მეგობრებო, შემოგვიერთდით, უკვე ვიწყებთ.

**გოჩა:** ესენი ხომ თქვენი თანამშრომლები არიან?

**ვაჟა:** მერე, თქვენ გგონიათ ამათ არ უჭირთ? ამათ არა აქვთ პრობლემები? რამდენი ხანია, მთხოვენ, ფსიქოთერაპიის კურსი ჩაგვიტარეო.

**ვაჟა გახედავს ნიკას, გუგას და კუსას.**

**ვაჟა:** მოიტანეთ სკამები და დასხედით.

**ყველანი წრიულად დასხდებიან. ამ დროს შემოდის იზა.**

**იზა:** მაპატიეთ, ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

**ნიკა:** არა, რას ამბობთ, მობრძანდით. რამ შეგაწუხათ?

**იზა: (დაბნეული)** რაღაც დეტალები დამავიწყდა, თქვენთვის მეთქვა... უკაცრავად, რა ხდება აქ?

**ნიკა:** ჩვენი ექიმი ჯგუფური ფსიქოთერაპიის კურსს ატარებს.

**იზა:** ექიმი? (ვაჟას) თქვენმა ცოლმა უკვე იმშობიარა?

**ვაჟა:** ცოტა ხნით გადაიდო, ქალბატონო. ხომ არ შემოგვიერთდებით? მე გატყობთ, რომ თქვენც პრობლემები გაქვთ.

**იზა:** კარგად ვხედავ, ვისაც აქვს პრობლემები.

**კუსა:** ნუ გაბრაზდებით, ძალიან გთხოვთ. დღეს ცხოვრების ისეთი საშინელი რიტმია და იმდენად გაუცხოვდნენ ადამიანები ერთმანეთის მიმართ, რომ ეს სეანსები აუცილებელია. ჩვენ ყველას ერთმანეთის ნდობისა და სიყვარულის მოპოვება გვჭირდება.

**იზა:** ვერ ვიტან პათეტიკას. რა არის ეს, საიდან მოიტანეთ ამდენი ყალბი სიტყვა?

**კუსა:** ჩვენი სარეკლამო ტექსტია-გაზეთისთვის.

**ნიკა ქალს სკამს მიუჩოჩებს.**

**იზა:** მე აქ სულ სხვა საქმისთვის ვარ მოსული.

**კუსა:** (ამოიოხრებს) ეჰ, დილით სახლიდან გამოსულმა ადამიანმა არ იცის, რა მოუვა საღამოს. ზოგიერთი სახლშიც ვერ ბრუნდება.

**ქალი შეთავაზებულ სკამზე დაჯდება. ვაჟა და კუსა დანარჩენ სკამებს წრიულად დააწყობენ და დასხდებიან.**

**ვაჟა:** აბა, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები, ჩავჭიდოთ, ჩავჭიდოთ, შევკრათ წრე და ჩვენი ბიოენერგეტიკული გამავრცელებლების მეშვეობით, რომელიც ხელისგულებიდან ახლა ერთმანეთის სხეულში გადადის, მივესალმოთ ერთმანეთს. გა-მარ-ჯო-ბააა.

**ყველა ხმამაღლა და დამარცვლით ამბობს "გამარჯობას". ნიკა და კუსა უხერხულად იშმუშნებიან. ქალი დამცინავად იღიმის. დანარჩენები სერიოზული სახით სხედან. ცოტაოდენი პაუზის შემდეგ გულსუნდა ხელს ითავისუფლებს.**

**გულსუნდა:** შეიძლება, მე დავიწყო, ექიმო?

**ვაჟა:** რა, გენაცვალე?

**გულსუნდა:** გათავისუფლება.

**ვაჟა:** აბა, ეს რა იყო?

**გულსუნდა:** მოთელვა... თუ თქვენ სხვა მეთოდი გაქვთ?

**ვაჟა:** არა, სხვა რა მეთოდი უნდა მქონდეს, დაიწყეთ, დაიწყეთ, გათავისუფლდით.

**გულსუნდა:** მე ოცდაჩვიდმეტი წლისა ვარ. გასათხოვარი ან, უფრო სწორად, გაუთხოვარი, როგორც მეუბნებიან ხოლმე.

**ვაჟა:** აბა, მეგობრებო წავახალისოთ გულსუნდა. იგი ნამდვილად გასათხოვარია და არა გაუთხოვარი, თან შესანიშნავადაც გამოიყურება.

**ყველა დანარჩენი, ერთხმად:** ნამდვილად, გულსუნდა, გული არ გაიტეხო. შესანიშნავად გამოიყურები.

**გულსუნდა:** გმადლობთ. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდის, ყველა მამაკაცი უარს ამბობს ჩემს ცოლად შერთვაზე.

**ვაჟა:** მიზეზად რა მოჰყავთ, გულსუნდა?

**გულსუნდა:** დედები.

**ვაჟა:** როგორ თუ დედები?

**გულსუნდა:** აი, ასე, ჩვეულებრივად. მეუბნებიან, რომ დედებს თავზე ვერ გადაახტებიან და რომ მათ დედებს მე არ მოვეწონები.

**გოჩა:** როგორ შეიძლება თქვენი არმოწონება, ქალბატონო.

**გულსუნდა:** გმადლობთ.

**ვაჟა:** მერე, არ შეგიძლიათ, ცალკე იცხოვროთ? ბინა იქირავოთ, ბოლოს და ბოლოს?

**გულსუნდა:** რატომ? მე მიყვარს ტრადიციული, ქართული ოჯახები, როცა ერთ სახლში ცხოვრობენ დედამთილი, მულები, მათი ქმრები, მულიშვილები, რძლები, სიძეები. თქვენ წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა, როცა ამდენი ქალი ფუსფუსებს ერთ სამზარეულოში, სადილად ერთად იკრიბებიან და დაბადების დღეებსაც ერთად იხდიან. ყველანი მიუსხდებიან მრგვალ მაგიდას, რომლის ზემოთაც უზარმაზარი აბაჟური ჰკიდია, ერთად იტყვიან "მამაო ჩვენოს" და ერთად შესვამენ ერთმანეთის სადღეგრძელოს.

**იზა:** პირველად მესმის, ამას ქალი ნატრობდეს.

**გულსუნდა:** დიახაც, სწორედ ამიტომ ვარ მე ქალი, შინაგანად, მთელი არსებით ვარ ქალი. სწორედ ისეთი, როგორიც პირველყოფილი ევა იყო. და ეს ესმით ჩემს თაყვანისმცემლებს, მაგრამ, როცა საქმე ქორწინებაზე მიდგება, ყველაფერი იშლება.

**ვაჟა: (მოუბრუნდება დანარჩენებს)** თქვენ რას ფიქრობთ, მეგობრებო? რა რჩევა შეგვიძლია მივცეთ გულსუნდას?

**გოჩა:** მე, მაგალითად, ბედნიერი ვარ, რომ დღეს, დღევანდელ ეპოქაში გავიცანი ქალი, რომელსაც ასე უყვარს ოჯახი. ქალბატონო გულსუნდა, მე რომ ცოლიანი არ ვიყო, სიამოვნებით დავქორწინდებოდი თქვენზე და მე იმ კაცების რა ვთქვი, ამისთანა სათნოებასა და კეთილშობილებას ხელს რომ კრავენ.

**იზა (გულსუნდას დამცინავად):** როგორ მეცოდებით.

**ვაჟა:** ქალბატონო იზა, თუკი ჩვენ აქ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილები არ ვიქენით, შედეგს ვერ მივაღწევთ. რა შეგიძლიათ ურჩიოთ გულსუნდას?

**იზა:** საყვარელო, გათხოვებიდან მეოთხე წელს მაინც კრიზისი დაგეწყებათ. ამიტომ ჯერ ერთს გაყევით, დანარჩენი კავალერები შემდეგი ოთხი წლისთვის შემოინახეთ.

**გულსუნდა:** რატომ? მე არა ვარ ბუნებით მოღალატე.

**იზა:** ხართ თუ არა, ბუნება ამას თქვენ არ გეკითხებათ. ქალის ორგანიზმი ისეა დაპროგრამირებული, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ პარტნიორის გამოცვლა სჭირდება.

**კუსა:** ვიცი, მეც გამიგია ამის შესახებ. ქალებში არსებობისთვის ბრძოლის გენეტიკური კოდია ჩადებულიო.

**ნიკა:** შენ გენეტიკური კოდი ლიქიორიან შოკოლადში ხომ არ გეშლება, კუსკუს?

**კუსა:** შენ წარმოიდგინე, არა.

**გულსუნდა:** ჩემო საყვარელო, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ გემოვნებით არ იცვამთ, ამ შემთხვევაში მართალი ბრძანდებით. ჩვენს საყვარელ და ძვირფას მამაკაცებს კი განვუმარტავდი თუ რას ნიშნავს ბრძოლა.

**ილია:** ბრძოლა, მეგონა, მამაკაცების მოგონილი იყო და თქვენ როგორ უნდა განგვიმარტოთ?

**იზა:** მე არსებობისთვის ბრძოლა მაქვს მხედველობაში. საერთოდ, ცხოვრებაში, იცოდეთ, რომ სხვადასხვა მამისგან გაჩენილ შვილებს ამ ბრძოლაში გადარჩენის მეტი შანსი აქვთ.

**კუსა:** თქვენ მერამდენე ქორწინებაში იმყოფებით?

**იზა:** მესამე.

**კუსა:** მესამე?

**იზა:** რა გაგიკვირდათ გენაცვალე? როგორც გატყობთ თქვენ ჯერ არც გათხოვილხართ. ხომ მართალი ვარ?

**კუსა(იზას):** თქვენ რა იცით, რომ მე გათხოვილი არა ვარ?

**იზა(ცინიკურად):** და კარგა ხანს ვერც გათხოვდებით.

**კუსა:** ვითომ რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იზა:** არასწორად აწოდებთ თქვენს თავს მამაკაცებს.

**კუსა:** სად არიან მამაკაცები, თორემ კი.

**იზა:** აბა, ესენი ვინ არიან?

**კუსა:** ესენი? თანამშრომლები.

**იზა:** საქმეც ამაშია. თქვენ ყველა მამრში მამაკაცს უნდა ხედავდეთ. თანამშრომლები, რა, მამაკაცები არ არიან?

**კუსა დაიჭყანება.**

**იზა:** ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მამაკაცებისგან ჩვენ რა უნდა მოვითხოვოთ? ჭკუა? რომელიც არ გააჩნიათ. ინტელექტი? რაც არასოდეს ექნებათ. თუ სულიერება? რაც დარწმუნებული ვარ, გაგებითაც არ გაუგიათ, რას ნიშნავს.

**ნიკა:** ეს ყველაფერი ჩვენზეა?

**კუსა:** არა, დელფინებზე.

**ნიკა:** აბა, რა უნდა მოგვთხოვოს ქალმა?

**იზა:** სპერმა. მეტი არაფრის წარმოება თქვენ არ შეგიძლიათ. ისიც ხშირ შემთხვევაში წყალწყალაა. ქალს განაყოფიერება სჭირდება, სწორედ ეს აძლევს მას ენერგიას.

**კუსა:** რომ არ მოგვცენ?

**იზა:** საქმეც ამაშია. ზოგიერთი ამასაც არ იძლევა.

**ნიკა:** იძლევა, რა, ძროხები ვართ? როგორ ლაპარაკობთ ჩვენზე?

**იზა:** მამაკაცი ისედაც საქონელია, და თუ უბრალო საქონლიდან სასარგებლო საქონლად არ გადააქციე, ისე მის არსებობას აზრი არა აქვს.

**კუსა ნიშნისმოგებითა და სიხარულით გადახედავს ნიკას, გუგას და ვაჟას.**

**კუსა:** მე კიდევ თქვენზე სულ სხვანაირი წარმოდგენა მქონდა. თქვენ თურმე...

**ნიკა:** რა თურმე?

**კუსა:** ყველაფერთან ერთად ჟმოტებიც ყოფილხართ.

**გოჩა (უკმაყოფილოდ):** ამას ქვია ფსიქოთერაპიის კურსი?

**ვაჟა:** ჯგუფური ეს არის, ბატონო.

**გულსუნდა:** მე ვერ დავეთანხმები ქალბატონ იზას.

**ნიკა:** კიდევ კარგი. ერთი ქალი მაინც არის ჩვენკენ.

**გულსუნდა:** მამაკაცი საქონელი კი არა, ციხესიმაგრეა, რომელშიც თავს ისე დაცულად და ბედნიერად, ისე თბილად და კომფორტულად გრძნობ, რომ იქიდან გამოსვლა არ მოგინდება. მამაკაცი, ეს არის განიერი მხრები, ძლიერი მკლავები, დაკუნთული გავა, თითები, მერე როგორი თითები, ძარღვიანი. მკერდი — ალაგ-ალაგ ბალნიანი, მუხლი — ძლიერი, ტერფი — ბრტყელი, დუნდულები — კუნთოვანი, მუცელი — თეთრი, მთვარესავით სავსე.

**გულსუნდა თან საკუთარ სხეულზე ისვამს ხელებს. ყველა გაოგნებული უყურებს.**

**იზა:** ბოფე მოი.

**გუგა:** ვაჟა, გააჩერე ეს პაციენტი, თორემ ცოტაც და შემიყვარდები.

**ვაჟა:** გულსუნდა, თქვენი პრობლემები ცოტა ღრმად, ბავშვობაში უნდა ვეძიოთ. ამიტომ თქვენს თემას ცალკე მივუბრუნდებით.

**გულსუნდა: (ნერვულად)** რატომ ხდება სულ ასე, რატომ? მაინცდამაინც ბანალური და ორდინარული უნდა ვიყო?

**ილია:** სამაგიეროდ, ჩემი პრობლემაა ცოტა არაორდინარული.

**ვაჟა:** მაგალითად?

**ილია:** მაგალითად, არასოდეს არ მყოფნის ფული.

**ყველა გულიანად გაიცინებს.**

**იზა:** ამის გამო ფსიქოლოგს ვერ შევაწუხებდი.

**ილია:** იმიტომ, რომ თქვენ ეს არ განუხებთ. ჩემი პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, როცა ფული მჭირდება. აი, მაშინ, არავის დანდობა არ შემიძლია.

**ვაჟა:** როგორ გამოიხატება ეს?

**ილია:** მივდივარ ხოლმე იქ, სადაც ფული მეგულება, თავზე ვიცვამ წინდას, ჯიბიდან ვიღებ იარაღს და ვყვირი: ჩქარა, ფული, თორემ გაგათავეთ!

**ამ დროს ილია მართლა იმარჯვებს იარაღს, ფეხზე დგება, ჯიბიდან წინდას იღებს, თავზე იცვამს და ყვირის: ჩქარა ფული, თორემ გაგათავეთ. ჯერ ყველა იბნევა. ზოგს გაეღიმება კიდეც, მაგრამ ილია მეორედ იყვირებს.**

**ილია:** ჩქარა ფული, თორემ გაგათავეთ, მე თქვენი. ყველა დაბლა დაწექით!

**ნიკას და ვაჟას ქეჩოში მოჰკიდებს ხელს და სხვებთან ერთად დაბლა დაყრის.**

**ილია:** გამომივიდნენ აქ ჭკუის დამრიგებლები.

**ვაჟა თავს ასწევს. ნიკა იარაღს მოუღერებს.**

**ილია:** გაგათავებ მეთქი. (ნიკას) აბა, ჩქარა, ფული მოიტა. დანარჩენებმა დაიხსენით თუკი რამე ძვირფასეულობა გაქვთ. ჩქარა-მეთქი. და ამ ყუთში ჩაყარეთ.

**ნიკა მაგიდასთან მივა და უჯრას, სადაც ფული ჩადო, გამოაღებს, დასტას აიღებს და ილიას მიაწოდებს. ილიას კმაყოფილი სახით უჭირავს ხელში ფული. დანარჩენები ბეჭდებს და საათებს იხსნიან და ყუთში ყრიან. ამ დროს გოჩა ჩუმად ჯიბიდან იარაღს იღებს, წამოდგება და ილიას მიუშვერს.**

**გოჩა:** დადე ეგ იარაღიცა და ფულიც ადგილზე.

**ილია არ გაინძრევა, მაგრამ მთლიანად შემოტრიალდება გოჩასკენ.**

**ილია:** შენ ვინ გეკითხება რამეს?

**გოჩა:** იარაღი და ფული დადე-მეთქი. ამათ ბანდას მთელი თვეა, დავდევ და ძლივს შემოვაღწიე.

**ილია:** ვინა ხარ, შე ნაძირალა, როგორ მიბედავ!

**კუსა:** ჩვენ ვართ ბანდა? ჩვენ?

**გოჩა:** ხმა! (ილიას) დააგდე-მეთქი იარაღი.

**ნიკა:** კი, მაგრამ თქვენ ვინა ხართ, არ გამაგებინებთ?

**გოჩა:** გამომძიებელი.

**კუსა:** გამომძიებელი?

**იზა**(ნიკას): თქვენა ხართ ბანდა? და მე თქვენ ჩემი საკუთარი ხელით მოგიტანეთ ფული?

**ნიკა:** აქ რაღაც გაუგებრობაა, ქალბატონო იზა. არ ინერვიულოთ.

**იზა წამოდგომას იწყებს.**

**იზა:** თქვენ არა ხართ კერძო დეტექტივები?

**გოჩა:** კერძო დეტექტივები კი არა, ესენი ჩვეულებრივი აფერისტები არიან, ქალბატონო იზა.

**გულსუნდა:** (დგება) მერე მე აფერისტებს ვუამბე ჩემი პრობლემები?

**ილია:** (ყვირილით) დაწყნარდით ახლა და დაწექით ყველა.

**გოჩა:** შენ ხმა ჩაიგდე, თორემ...

**ილია:** რა თორემ? შენისთანებს გავაფუჭებინებ თავს? დააგდე იარაღი!

**ამ დროს კარზე ბრახუნის ხმაა. ყველა გაირინდება და გასასვლელისკენ გაიხედავს. ჯერ ხმას არავინ იღებს.**

**გოჩა:** კიდევ ვინმეს ელოდებით?

**კუსა:** არა.

**ბრახუნის ხმა მეორდება. შემდეგ კარი იღება და ოთახში შემოდის მამაკაცი (ანგელოზი); ზურგზე უზარმაზარი, იატაკამდე დაშვებული ჭუჭყიანი ფრთები აქვს, რომელსაც მოაფორთხიალებს და გზადაგზა ბუმბულები ცვივა. ერთ ხელში ანთებული სიგარეტი უჭირავს, მეორეში — შავი პატარა ჩემოდანი. არაფერი უკვირს, ისე გაივლის დაბლა დაყრილ ხალხსა და ერთმანეთზე იარაღმიმართულ ორ მამაკაცს შორის.**

**ანგელოზი:** ესაა ფირმა “ფანტაზია”? (ნაფაზს დაარტყამს და სიგარეტს საფერფლეში ჩააქრობს)

**ილია:** ეს ვილაა?

**კუსა: (გაოგნებული და გახარებული)** ვაიმე, მაიკლი.

**ნიკა: (გადაუჩურჩულებს)** შენ რა, ამ ტიპს იცნობ?

**კუსა:** ეს ტიპი კი არა, ანგელოზია.

**ილია:** (ყვირილით) ანგელოზი არ ვიცი მე, დაეგდე დაბლა და ხმა არ გავიგო შენი.

**ანგელოზი:** ახლავე მოგახსენებთ, ბატონებო. მაიკლი ჩემი ძმაა. ის ამერიკაში მოღვაწეობს. მე კი ვახო მქვია და დროებით აქ გამომაგზავნეს, საქართველოში.

**გოჩა:** ვინ გამოგგზავნა?

**ანგელოზი ახალ სიგარეტს პირში ჩაიდებს, ხელს გაინთავისუფლებს და საჩვენებელ თითს ცაში ასწევს. მერე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იატაკზე გართხმულ კუსასთან მივა და ჩაიცუცქება.**

**ანგელოზი:** საიმედოობის თეორია თქვენ გჭირდებოდათ?

**კუსა (დაიკივლებს და დანარჩენებს შეხედავს):** ვაიმე, ხომ გეუბნებოდით.

**ამასობაში ილიასა და გოჩას იარაღები ერთმანეთზე აქვთ მიშვერილი და ერთმანეთს თვალს არ აცილებენ, ისე ლაპარაკობენ.**

**ილია (ანგელოზს):** აი, კიდევ ერთი გიჟი. დაწექი ახლავე იატაკზე.

**გოჩა (ილიას):** შენ აქ ბრძანებებს ნუ იძლევი. დაპატიმრებული ხარ და ხმა ჩაიგდე.

**ამასობაში ანგელოზი ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯს ამოიღებს, დახედავს და იტყვის.**

**ანგელოზი:** რა მისამართია ეს?

**კუსა:** თბილისი, ნიალერის პირველი შესახვევი, პირველი კორპუსი.

**ანგელოზი:** მგონი, ეგ არი.

**ანგელოზი ქაღალდის ნაგლეჯს ისევ ჯიბეში ჩაიდებს.**

**ილია:** გამაგიჟებს ეს ტიპი. შენ დაეგდები თუ არა იატაკზე, ბოლოს და ბოლოს?

**ანგელოზი გაკვირვებული შეხედავს, მერე ცალი ფრთიდან ბუმბულს ამოიძრობს, მოიქნევს და ყველას დააძინებს. მივა მაგიდასთან და გადაღლილი კაცივით ამოისუნთქებს. ნიკას მაგიდის უჯრას გამოაღებს, კონიაკის პატარა ბოთლს იპოვის, ჭიქაში დაისხამს, დალევს, სიგარეტის ღრმა ნაფაზს დაარტყამს. მერე ტელეფონთან მივა და ნომერს აკრეფს.**

**ანგელოზი:** შენა, სწორად გამომიშვი? დარწმუნებული ხარ, რომ აქ უნდა მომეტანა? ვინ ვიკითხო? კუსა? რა ვიცი, გიჟებში მოვხვდი, მგონია. კარგი, წავედი.

**ანგელოზი ადგება, სათითაოდ ჩამოუვლის ყველა მათგანს და სახეში ჩააშტერდება. მერე გულსუნდასთან გაჩერდება, ფრთიდან ამოძრობილ ბუმბულს სახესთან გაუქნევს. გულსუნდა გამოფხიზლდება.**

**გულსუნდა:** ვაიმე, ვახო.

**ანგელოზი:** კუსა თქვენა ხართ?

**გულსუნდა:** ვაიმე, ვახო, რა მამაკაცური მრძანდებით.

**ანგელოზი:** კუსა თქვენა ხართ?

**გულსუნდა:** რა გახდა ეს კუსა? გულსუნდა ვარ, თქვენი თაყვანისმცემელი.

**ანგელოზი ბუმბულის მოქნევით ისევ გათიშავს გულსუნდას და ახლა იზასთან მივა. ბუმბულს დაუქნევს და გამოაფხიზლებს:**

**იზა:** რა გინდა, შე ნადირო, ჩემგან!

**ანგელოზი:** კუსა თქვენა ხართ?

**იზა:** ვგავარ ახლა მე კუსას? შენ თავში ტვინი გაქვს თუ ბუმბულები?

**ანგელოზი ისევ მოუქნევს ბუმბულს, გათიშავს და ახლა გუგასთან მივა, ბუმბულის მოქნევით გაალვიძებს.**

**ანგელოზი:** თქვენა ხართ კუსა?

**გუგა:** რატომ ვარ კუსა, ხალხო, რა დავაშავე ასეთი, მთელი ცხოვრება ფიზიკას შევწირე და მაინც კუსა ვარ?

**ანგელოზი ისევ დააძინებს და ახლა კუსას მოუქნევს ბუმბულს.**

**კუსა:** ღმერთო ჩემო.

**ანგელოზი:** კუსა თქვენა ხართ?

**კუსა:** მე ვარ. თქვენ მაიკლი, არა?

**ანგელოზი:** ხომ გითხარით, მაიკლი ჩემი ძმაა-მეთქი. მე ვახო მქვია.

**კუსა:** როგორ გავხართ ერთმანეთს.

**ანგელოზი:** ყველა ანგელოზი ერთმანეთს გავს.

**კუსა:** რატომ?

**ანგელოზი:** იმიტომ, რომ ერთი მამის შვილები ვართ.

**კუსა ნელ-ნელა წამოდგება.**

**კუსა:** მამა რომ ერთი გყავდათ, ვიცოდი, მაგრამ დედა?

**ანგელოზი:** ჩვენ დედა საერთოდ არა გვყავს. ეს ჩვენი მტკივნეული საკითხია და, თუ შეიძლება, ჭრილობაზე მარილს ნუ მაყრით.

**კუსა:** ღმერთო ჩემო, რა უსამართლობაა. შეიძლება, რომ თქვენ არ გყავდეთ დედა და ამისთანა ნაძირალებს ჰყავდეთ?

**კუსა ხელით მიძინებულ ილიაზე მიუთითებს.**

**კუსა:** აბა, როგორ ჩნდებით?

**ანგელოზი:** ახალი ტექნოლოგიებით.

**კუსა:** კლონირებით?

**ანგელოზი:** მისმინეთ, ეს ჩვენი საიდუმლოა. მე ბევრი დრო არა მაქვს. საიმედოობის თეორია თქვენ გჭირდებოდათ?

**კუსა:** საიმედოობის თეორია? თქვენ რა იცით?

**ანგელოზი:** ჩვენ, აბა, სხვა კი არაფერი ვიცით. ვის რა უჭირს და რა სჭირდება, ამის გაგებაა ჩვენი საქმე.

**კუსა:** ვაიმე, რა ყურადღებიანი ყოფილხართ.

**ანგელოზი ჩემოდანს გახსნის, ქაღალდების დასტას ამოიღებს და კუსას მაგიდაზე დაუწყობს. კუსა ქაღალდებს გადახედავს, სადაც მხოლოდ ციფრები და ფორმულები წერია.**

**კუსა:** ვინ გამოგატანათ ეს?

**ანგელოზი საჩვენებელ თითს მაღლა ასწევს.**

**კუსა:** მერე, თქვენ ყველას სურვილებს ასე ასრულებთ?

**ანგელოზი:** ასე როგორ?

**კუსა:** ასე პირდაპირ.

**ანგელოზი:** ყველას არა. უბრალოდ თქვენი სურვილი იმ დროს დაემთხვა, როცა სამოც წელიწადში ერთხელ წამიერად ცის კაბადონი იხსნება და მამას თქვენი ესმის.

**კუსა:** მამას ესმის? რას ამბობთ?

**ანგელოზი:** მხოლოდ სამოც წელიწადში ერთხელ.

**კუსა:** საოცრებაა... კი მაგრამ, აქ სულ ციფრები და ფორმულები წერია. ეს არის საიმედოობის თეორია?

**ანგელოზი ყურადღებით დახედავს, გადაამოწმებს და ეტყვის.**

**ანგელოზი:** იმას არ შეეშლებოდა.

**კუსა:** ვის იმას?

**ანგელოზი საჩვენებელ თითს მაღლა სწევს.**

**კუსა:** ააა, ჰოოო.

**ანგელოზი:** რა ვერ გაიგეთ აქ?

**კუსა:** იცით, მე არაპირდაპირი მნიშვნელობით ვამბობდი, საიმედოობის თეორია გვჭირდება-მეთქი. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ამ ციფრებით როგორ ვიმოქმედოთ ადამიანებსა და მოვლენებზე?

**ანგელოზი:** თქვენ, გენაცვალე, ნოუ-ჰაუ გნდომებიათ. ამ თეორიაში კიდევ ტექნიკის გადაიარაღება და ინტელექტუალური პოტენციის ამაღლება შედის მხოლოდ.

**კუსა:** და აქ ნოუ-ჰაუ არ არის?

**ანგელოზი:** სხვა დროს, როცა რაიმეს მოითხოვთ, ცოტა დააკონკრეტეთ ხოლმე. ახლა ისევ უნდა დავურეკო და შევაცვლევინო.

**კუსა:** ვაიმე, ამდენს როგორ შეგაწუხებთ.

**ანგელოზი:** რა ვქნა. სადაც ამხელა გზაზე ჩამოვედი, ბარემ...

**კუსა:** რა კეთილი ხართ.

**ანგელოზი ტელეფონთან მივა და ნომრის აკრეფას დაიწყებს.**

**კუსა:** ვის ურეკავთ?

**ანგელოზი საჩვენებელ თითს მაღლა ასწევს.**

**კუსა (გაოგნებული):** იმას?

**ანგელოზი:** ჰო, აბა, მე მაგის გარეშე არაფერი არა ვარ.

**კუსა თავს დაუქნევს. ანგელოზი ნომრის აკრეფას განაგრძობს. კუსა ცალი თვალით უყურებს და ნომრის დამახსოვრებას ცდილობს, მაგრამ ნომერი ძალიან გრძელია. ანგელოზი მიხვდება, რომ უთვალთვალებს და შეეცდება, ფრთებით დამალოს ციფერბლატი.**

**ანგელოზი:** დაკავებაა.

**კუსა:** დაკავება იქაცაა?

**ანგელოზი:** ჰო, რა მოხდა. ჩემნაირი, იცით, რამდენი ჰყავს.

**კუსა:** ბევრი?

**ანგელოზი:** ჰო, ბევრი.

**კუსა:** თქვენ საქართველოდან ხართ წასული?

**ანგელოზი:** როგორ მიხვდით?

**კუსა:** ქართულად ისე გამართულად საუბრობთ.

**ანგელოზი:** ჰო, საქართველოდან.

**კუსა:** მერე, არ გენატრებათ?

**ანგელოზი:** რა?

**კუსა:** მშობლიური ადგილები.

**ანგელოზი ანერვიულდება და კოლოფიდან ახალ სიგარეტს ამოიღებს.**

**ანგელოზი:** იცით, ერთხელ ჩემი სოფლის სურნელი მომენატრა და იქ პატარა ანგელოზებს ბალახი მოვათიბინე, ძნებად შევაკვრევინე და თივის ზვინები დავდგი.

**კუსა:** ვაიმე, როგორი ნოსტალგიური ყოფილხართ. მერე?

**ანგელოზი:** რა, მერე... სუნი არ ჰქონდა.

**კუსა:** ეს როგორ?

**ანგელოზი:** აი, ასე, იქ არაფერს სუნი არა აქვს. ყველაფერი ბუტაფორიაა, გესმით? ყურძენი გავახარე და ღვინო მატრობელა არ გამოდგა, ძროხაა და რაღაც უგემურ, ჟელატინივით თეთრ სითხეს იწველება.

**კუსა:** კი მაგრამ, ჰაერი მაინც ხომ არის სუფთა.

**ანგელოზი:** სუფთა კია, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ არც ჰაერი სჭირდება იქ ვინმეს, არც ძროხა და არც ბალახი.

**კუსა:** ეს როგორ?

**ანგელოზი:** ჩვენ ხომ არ ვჭამთ, არ ვსვამთ და არც ვსუნთქავთ.

**კუსა:** აბა, რად გინდათ ეს ყველაფერი?

**ანგელოზი:** უბრალოდ, თუ ვინმეს რამე მოენატრება, თავის ჭიას გაახარებს, ეგ არის და ეგ. ვირტუალურია ყველაფერი, გესმით?

**კუსა:** აბა, რატომ წვალობთ ამდენს?

**ანგელოზი:** შეგრძნებების გამო. ადამიანად ყოფნის შეგრძნებები რომ გავიხსენოთ. როცა დადიოდი და საკუთარი სხეულის სიმძიმეს გრძნობდი. ან რაღაცაზე გული გიჩქროლდებოდა, გიყვარდა, გიხაროდა...ახლა რა? დადიხარ თუ დაფრინავ ვერ გრძნობ, არც წონა გაქვს, არც სუნი. ამ ორ ფრთას მოგაჩეჩებენ საიქიოს შესასვლელში და იფრინე მერე მაგათ სურვილებზე.

**კუსა:** სიგარეტსაც მაგიტომ ეწევით?

**ანგელოზი:** ჰო. მარტო ამის ხათრით ღირდა აქეთ წამოსვლა. ზოგჯერ იქ თანახმა ვიყავი, ერთი ნამდვილი, ღრმა ნაფაზისთვის ეს ფრთები დამეთმო.

**კუსა:** ახლა ცოტათი მაინც თუ გრძნობთ თავს ადამიანად?

**ანგელოზი:** ცოტათი — კი. ოჰ, კინაღამ დამავიწყდა.

**ანგელოზი ყურმილს იღებს და ისევ რეკავს. კუსა ფრთებთან მივა და ალერსითა და თანაგრძნობით გადაუსვამს ხელს. ციფერბლატისკენ არც იხედება.**

**ანგელოზი (ყურმილში):** მამა, მე ვარ, ვახო. ახლა აქა ვარ, 36-ე გრძედსა და 57-ე განედს შორის. ეკვატორიდან 30 გრადუსით მარჯვნივ. მოკლედ, საქართველოში.... დიახ, დიახ... მამა, პატარა კორექტირების შეტანა თუ შეიძლება ჩვენი კლიენტის სურვილში? შეეშალა, თურმე ნოუ-ჰაუ ნდომებია, ჩვენ კიდევ ტექნოლოგიების გადაიარაღება ჩავუნერეთ თავისი ინტელექტუალური პოტენციალების ზრდის მაჩვენებლებითა და მთელი ამბებით... ჰო, კარგი, როგორც მეტყვი, მამა. აბა, კარგად. კი, კი, მალე დავბრუნდები, აბა რა.

**ანგელოზი ყურმილს დაკიდებს და კუსას შეხედავს.**

**კუსა:** რაო?

**ანგელოზი:** გაგიმართლათ. დღეს განსაკუთრებულად კარგ ხასიათზეა.

**კუსა:** ვაიმე. ესე იგი...

**ანგელოზი ფრთიდან ერთ ღერ ბუმბულს ამოიძრობს და კუსას მიაწოდებს.**

**ანგელოზი:** მამას ნება რომ არ მოეცა, მე უფლება არ მქონდა. თქვენი საიმედოობის თეორია, თავის ნოუ-ჰაუთი და ყველანაირი ტექნიკურ-ინტელექტუალური პოტენციალით, ახლა ამ ბუმბულშია.

**კუსა ბუმბულს დაიჭერს და გრაალის თასივით შესცქერის.**

**კუსა:** მერე, როგორ უნდა გამოვიყენო?

**ვახო:** როცა დაგჭირდებათ საიმედოობის თეორია, მოიქნიეთ.

**კუსა:** ღმერთო ჩემო. ყოველთვის მჯეროდა სასწაულების, მაგრამ ახლა განსაკუთრებულად დავიჯერე.

**ვახო:** კუსა, შეიძლება რაღაც გკითხოთ?

**კუსა:** რაც გნებავთ.

**ვახო:** ჩემს მოსვლამდე ეს ხალხი აქ რას აკეთებდა?

**კუსა:** ააა, ესენი? ჯგუფური ფსიქოთერაპიის კურსს იტარებდნენ.

**ვახო:** ეს რას ნიშნავს?

**კუსა:** ადამიანებს უამრავი პრობლემა აქვთ. მოდიან და ერთმანეთს დარდს უზიარებენ.

**ვახო:** დარდს? მერე თქვენ გჯერათ, რომ ადამიანები ერთმანეთს მართალს ეუბნებიან?

**კუსა:** რა თქმა უნდა.

**ვახო:** რა გულუბრყვილო და მიამიტი ხართ, კუსა. ასე არ შეიძლება, ცხოვრება წაგლეკავთ. ყველას არ უნდა ენდოთ და მითუმეტეს, გული არ უნდა გადაუშალოთ. ახლავე ავალაპარაკებ ამათ, სინამდვილეში რა სჭირთ და რა უნდათ. აი, მობრძანდით.

**ვახო ბუმბულს ამოიცლის ფრთიდან, გულსუნდას მიუახლოვდება და სახესთან აუქნევს.**

**ვახო: (კუსას)** ამას რა ქვია?

**კუსა:** გულსუნდა.

**ვახო:** გულსუნდა, შენ ახლა წამოდგები, მე დავითვლი სამამდე და მოყვები, ვინა ხარ, რა გაგჭირვებია. აბა, ერთი, ორი და სამი.

**გულსუნდა თვალდახუჭული და მოღიმარი დგება.**

**გულსუნდა:** ბავშვობაში ყოველთვის თოჯინებით ვთამაშობდი და მეზობლის გოგონებს კაბებს ვთხოვდი, რათა ჩამეცვა და სარკის წინ მეტრიალა.

**ვახო:** რატომ, გულსუნდა? მშობლები ტანსაცმელს არ ყიდულობდნენ შენთვის?

**გულსუნდა:** როგორ არა, მაგრამ მხოლოდ შარვლებსა და პიჯაკებს.

**ვახო:** გულსუნდა არ არის შენი ნამდვილი სახელი, ხომ მართალი ვარ?

**გულსუნდა:** დიახ.

**ვახო:** მაშინ გვითხარი, რა გქვია?

**გულსუნდა:** ჯემალი.

**კუსა:** (წამოიყვირებს) ვაიმე!

**ვახო:** გამოდის, რომ ქალი არა ხარ.

**გულსუნდა:** არა, მაგრამ ძალიან მინდა, ვიყო.

**ვახო:** ჯემალ, რამ მოგიყვანა აქ?

**გულსუნდა:** გათხოვება მინდა.

**კუსა:** კითხეთ, ბედნიერი არის თუ არა?

**ვახო:** გულსუნდა, შენ ბედნიერი ხარ?

**გულსუნდა:** მე არავის ვჭირდები.

**ვახო:** (კუსას) ხედავ?

**კუსა:** ღმერთო ჩემო, ვახო, დაეხმარეთ.

**ვახო:** კი, მაგრამ მე რომ აქ ამისთვის არ ჩამოვსულვარ.

**კუსა:** ძალიან გთხოვთ.

**ვახო:** ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში შემიძლია, არის ის, რომ გულსუნდას პირველყოფილი სახე დავუბრუნო.

**კუსა:** ეს რას ნიშნავს?

**ვახო:** იმას, რომ ჯემალს შეეძლება, იყოს ჯემალი. ანუ თავისი მამაკაცური სახელი გაამართლოს და დაივიწყოს, რომ გულსუნდაა და გათხოვება უნდა.

**კუსა:** რა კეთილშობილი ხართ, ვახო.

**ვახო ამოისუნთქებს, გულსუნდას წინ დაუდგება და ბუმბულს აუფრიალებს.**

**ვახო: (გულსუნდას)** აბა, ახლა მითხარი, ვინა ხარ?

**გულსუნდა:** შოთაევიჩი.

**კუსა:** ვაიმე!

**ვახო:** როცა გამოიღვიძებ, შენ იქნები ისეთი, როგორიც მამამ შეგქმნა. ახლა დაიძინე.

**გულსუნდა მამაკაცურად გაივლის, სკამზე დაჯდება, ფეხებს გაჩაჩხავს, ხელებს გულზე დაიწყობს და თავჩაქინდრული დაიძინებს.**

**კუსა:** შეიძლება, სახელით მოგმართოთ?

**ანგელოზი:** რა თქმა უნდა.

**კუსა:** ვახო, რა ბედნიერებაა, რომ გაგიცანით. რატომ ადრე არ შევხვდით ერთმანეთს?

**ანგელოზი:** სამწუხაროდ, ჩვენ სხვადასხვა დროს მოგვიწია ცხოვრებამ.

**კუსა:** იცით, ცოტათი ვნანობ კიდეც.

**ანგელოზი:** ნანობთ?

**კუსა:** არა, სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ მაშინ, როდესაც პირადი ცხოვრება მოგვარებული არა გაქვს ადამიანს, იმ საბედისწერო დღეს, როცა ცის კაბადონი გაიხსნა, რაღა მაინცადამაინც ფირმის საქმე ვინატრე. ხომ შეიძლებოდა თქვენისთანა ადამიანთან შეხვედრა მეთხოვა მამისთვის?

**ანგელოზი:** ჰო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, სულაც არაფერი არ გენატრათ? მაშინ ხომ არც მე გამომიშვებდნენ თქვენთან.

**კუსა:** მართალი ბრძანდებით. და ჩვენ ვერც ვერასდროს შევხვდებოდით ერთმანეთს.

**ისინი ერთმანეთს მიუახლოვდებიან და თვალებში შესცქერიან.**

**ანგელოზი:** სამწუხაროდ, ჩემი გაფრენის დროა.

**კუსა:** კი მაგრამ, თქვენი აქ დასარჩენი არანაირი საშუალება არ არსებობს?

**ანგელოზი:** კი, იყო ერთი.

**კუსა**(თითქოს გამოფხიზლდება): მართლა? რა?

**ანგელოზი:** ისევ ადამიანად გადაქცევა.

**კუსა:** ღმერთო ჩემო, მერე ეს შესაძლებელია?

**ანგელოზი:** ადრე იყო შესაძლებელი. სიმაღლიდან უნდა გადმოვმხტარიყავი და დედამიწას მთელი ძალით დავნარცხებოდი.

**კუსა:** მერე?

**ანგელოზი:** მერე, წამომივიდოდა სისხლი, გული ცემას დაიწყებდა, ამუშავდებოდა ტვინი, კიდურები და გადავიქცეოდი ადამიანად.

**კუსა**(აღფრთოვანებული): მერე?

**ანგელოზი:** მერე ის, რომ...

**კუსა:** სიმაღლის გეშინიათ?

**ანგელოზი:** არა. ეს მეთოდი გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ერთმა ანგელოზმა გააბაზრა, ვილაც პროდიუსერს უთხრა, იმან კიდევ ფილმი გადაიღო და მამა გაგვინაწყენდა. მას შემდეგ მეთოდი შეცვალა. ახლა მეც არ ვიცი, როგორ უნდა გადავიქცე ადამიანად. ამას ახლა მხოლოდ მამა წყვეტს.

**კუსა:** რატომ შეცვალა?

**ანგელოზი:** ასე თქვა, ადამიანებმა არ უნდა გაიგონ ყველანაირი საიდუმლოება, თორემ ბოროტად გამოიყენებენო.

**კუსა:** რა ჭკვიანია მამა.

**ანგელოზი:** მაშინ მამა არ იქნებოდა.

**კუსა:** თქვენ კი ისეთი კეთილშობილი ხართ, ვახო.

**ანგელოზი:** თქვენ კი ასეთი ლამაზი, კუსა...

**კუსა:** მართლა?

**ანგელოზი თავს დაუქნევს და ამოიოხრებს.**

**ანგელოზი:** ნეტავი, ჩემი ერთი სურვილის შესრულება მაინც შესძლოს ვინმემ... და მაშინ მე არათუ ადამიანად, მამაკაცადაც ვიგრძნობდი თავს.

**კუსა:** ღმერთო ჩემო, მე ვერ დაგეხმარებით?

**ანგელოზი:** თქვენ ამ საქმისთვის როგორ შეგაწუხოთ.

**კუსა:** არა, ბრძანეთ, ბრძანეთ.

**ანგელოზი:** იცით, გათავისუფლება მჭირდება...

**კუსა:** თქვენც?

**ანგელოზი თავს დუქნევს.**

**კუსა:** ჯგუფური ფსიქოთერაპიის კურსის ჩატარება გნებავთ?

**ანგელოზი:** არა, მთლად სწორად ვერ გამიგეთ. მე სიყვარული მჭირდება, ადამიანური, კაცური, აი, როგორ გითხრათ, ნამდვილ სხეულს რომ შეიგრძნობს ადამიანი, ქალის სხეულს, სუნთქვას, გულის აჩქროლებას... თორემ მომკლა ამ ვირტუალურმა სექსმა.

**კუსა ჯერ გაოცებისგან წარბებს მაღლა ასწევს, მერე ხელს პირთან მიიდებს, ბოლოს კი დაფიქრდება და ღიმილით ეტყვის.**

**კუსა:** ანგელოზთან ჯერ არ ვყოფილვარ ასე ახლოს.

**ანგელოზი:** მე მგონი, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ ღირს.

**კუსა:** **(დანარჩენებს გადახედავს)** ესენი ხომ არ გაიღვიძებენ?

**ანგელოზი:** ჯერ არა.

**კუსა (მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ)** მაშინ თანახმა ვარ.

**ანგელოზი ფრთებს ფრთხილად მოიხსნის, იქვე, კედელზე მიაყუდებს და კუსას მიუახლოვდება. იწყება სექსი. ანგელოზი ბლავილით ათავებს. მერე კუსას შუბლზე კოცნის და ფრთებს ისევ იკეთებს. კოლოფიდან სიგარეტს იღებს, უკიდებს და ხარბად აბოლებს.**

**კუსა:** იგრძენით?

**ანგელოზი:** ყველაფერი ერთად. ადამიანობაც, კაცობაც, თრობაც, სიყვარულიც... ყველაფერი ერთად. მამამ რომ იცოდეს, რა სიამოვნებაა ეს, არ გამოგვკეტავდა ღრუბლებში.

**კუსა:** კიდევ როდის მოხვალთ?

**ანგელოზი:** (ახლოს დაუდგება და თმაზე მოეფერება) არ ვიცი, ჩემო პატარა, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, არ დაგკარგო.

**ანგელოზი კუსასთნ მივა, ბუმბულს სახესთან აუქნევს და დააძინებს. შემდეგ დანარჩენებს გადახედავს, მიუახლოვდება, ყველას გაჩხრეკს, შემდეგ ნიკას მაგიდას მიუახლოვდება, სადაც ფული და ძვირფასეულობა ეწყო, აიღებს, ილიასა და გამომძიებელს პისტოლეტებს ააცლის, დაათვალიერებს და კმაყოფილი ყველაფერს თავის შავ კეისში ჩადებს. შემდეგ ტელეფონთან მივა და ნომერს აკრეფს. კონიაკის ბოთლიდან ისევ ჩამოასხამს და ნელ-ნელა სვამს.**

**ვახო:** ფირუზ, შენა, ამ ფრთებს რა ვუყო? ამით ხომ ვერ გამოვალ გარეთ? თან გაქუცულია სულ... რაღა რატომ, რამდენი წლისაა, დაგავიწყდა? რაც ჩვენ ამ ფრთებით მაყუთი მოვხსენით, კიდევ კარგადაა... ხვალინდელ საქმეზე რამე სხვა სცენარს დავდგამთ. ეს ვარიანტი დაგვიძველდა და სადმე გავიყიდებით... მოკლედ, ამათ დავუტოვებ სამახსოვროდ... მანქანა ხიდთან დამახვედრე. მოვდივარ.

**ვახომ ფრთები მოიხსნა, ცოტა ხანს ოთახი ათვალიერა, სად შეენახა, მერე ყუთი იპოვა, რომელსაც რეკვიზიტი ეწერა და შიგ ჩადო. წასვლის წინ კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას, კუსას თმა გაუსწორა და გარეთ გასვლის წინ წარმოთქვა**

**ვახო:** გონებაში დაითვალეთ ათამდე, გამოიღვიძეთ და დაივიწყეთ ყველაფერი, რაც თავს გადაგხდათ.

**ანგელოზი გადის. ათ წამში ყველა თვალს ახელს. ერთმანეთს გადახედავენ, ყველაფერი ისევ ისეა. სკამებზე სხდებიან და ერთმანეთს ხელებს ჩაჰკიდებენ.**

**ვაჟა:** აბა, შევკრათ წრედი, შევკარათ. რაღაც ძალიან მოდუნდით, რა დაგემართათ? ვუთხრათ ერთმანეთს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**გულსუნდას მამაკაცური თვისებები გაუჩნდება. ხმა დაუბოხდება. ეჭვის თვალით უყურებს ყველას.**

**ვაჟა:** გულსუნდა, რა დაგემართათ, საყვარელო, ხელი ჩაჰკიდეთ გვერდით მჯდომს.

**გულსუნდა უხალისოდ კიდებს ხელს გოჩას და გუგას.**

**გულსუნდა:** აჰა, ძმაო, მეტი რაღა ვქნა.

**ვაჟა:** ყველაფერი კარგად იქნება.

**ყველა ერთხმად:** ყველაფერი კარგად იქნება.

**ამ დროს ოთახში ალფრედი შემოდის. ყველას გადახედავს, გაულიმებს, მათ შორის გაივლის და ოთახის კუთხეში ცარიელ ვედროსთან მივა, საჩვენებელ თითს ვედროს მიმართულებით დაიჭერს. გაისმის წყლის ჩხრიალის ხმა. ყველა გაოგნებული შეხედავს ალფრედს.**

**გულსუნდა-ჯემალი:** (დაბოხებული ხმით) ე, თითიდან ფსამს, ტო.

**ალფრედი კი უწყინარად იღიმება. თითს დაიფერთხავს, ხელს ჯიბეში ჩაიდებს და ისევე გავა, როგორც შემოვიდა. ჯგუფი ცოტა ხნით გაოგნებული დარჩება. შემდეგ ისევ ვაჟა გამოაფხიზლებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვაჟა:** დავემშვიდობოთ ერთმანეთს, მეგობრებო, მომავალ ორშაბათამდე.

**ყველა ერთხმად:** მომავალ ორშაბათამდე.

**სტუმრები წამოიშლებიან. ერთმანეთს ზრდილობიანად გზას უთმობენ**

**ილია (იზას):** ყავა ხომ არ დაგველია? აქვე ისეთი კარგი ყავახანა ვიცი...

**იზა:** ყავა? კი ბატონო, დავლიოთ... მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სულ სხვა რამ უნდა გამეკეთებინა.

**ილია:** თქვენც, არა? მეც ასე მგონია.

**გოჩა (გულსუნდას):** შეიძლება სახლამდე მიგაცილოთ?

**გულსუნდა-ჯემალი:** შენ თავში ფეხი ხომ არა გაქვს?

**ოთახში კუსა, გუგა, ნიკა და ვაჟა რჩებიან. ცოტათი დაბნეულები არიან. თავიანთ მაგიდას მიუსხდებიან. კუსა მოწყენილი დაჯდება, მაგიდას თვალს მოავლებს და ბუმბულს დაინახავს. აიღებს და სახეზე რამდენჯერმე ნაზად მოისვამს.**

**კუსა**(ზანტად): რატომ მეჩვენება ყველაფერი სხვანაირი?

**რეკავს ტელეფონი.**

**კუსა:** გისმენთ. ჰო, დედიკო. ახლავე? კი, როგორ არა, მე ყოველთვის მზად ვარ. მონაცემები მითხარი და დრო. აჰა, კარგი. ესე იგი, რაღაც ათ წუთში? კი, ყველაფერი თან მაქვს.

**კუსა ყურმილს დებს. დგება და კარადიდან ყუთი გამოაქვს. ხსნის და თავის წითელ კომბინეზონს იცვამს. მერე ყუთიდან სნაიპერის თოფის დაშლილ ნაწილებს იღებს და აწყობს. ფანჯარასთან დგება და ვიღაცას მიზანში იღებს. ამას ბიჭები გაოგნებულები უყურებენ.**

**ნიკა:** კუსა.

**კუსა (მშვიდად. მიზანს თვალს არ აცილებს)** რა?

**ნიკა:** რას აკეთებ?

**კუსა:** რასაც აქამდე ვაკეთებდი.

**გუგა:** რას აკეთებდი აქამდე?

**კუსა:** ვერ ხედავ?

**გუგა:** დადე იარაღი, კუსა. რას აკეთებ, გაგიჟდი?

**კუსა:** არა, არ გავგიჟებულვარ.

**კუსა იარაღიანად მობრუნდება და ლულას ბიჭებს მიუშვერს.**

**ყველა:** გასწი იქით, რას შვები...

**კუსა იარაღს ისევ რაფაზე ჩამოდებს.**

**გუგა:** რას აკეთებ, კუსა?

**კუსა:** რასაც აქამდე ვაკეთებდი, იმას ვაკეთებ ახლაც. შეკვეთით ვჭრი ადამიანებს დუნდულაში.

**ვაჟა:** შენ რა, სნაიპერი ხარ?

**კუსა:** არ მეტყობა, არა?

**ნიკა:** კუსა, თქვი, რომ გვეხუმრები და რაღაც უნიჭო სცენარს ათამაშებ.

**კუსა:** თქვენთან ერთად უნიჭო სცენარების თამაშით დავიღალე. ახლა აღარ მინდა აღარაფრის თამაში. მომბეზრდა ამდენი ტყუილი, ეს თევზები და იხვები, ამდენი სიყალბე. აგერ გამოივლის ახლა ერთი კაცი, გავაგორებ და მორჩა. საქმე შესრულებული მექნება.

**გუგა:** დედაშენს არ ელაპარაკე ამ წუთას? რამ გადაგრია?

**კუსა:** სადა მყავს დედა. ბავშვთა სახლში გავიზარდე. დედიკო ჩემი ბოსის კლიჩკაა. აქედან ასე ველაპარაკები ხოლმე. თქვენს გასაგონად. გაიგეთ?

**ვაჟა:** ვერაფერი ვერ გავიგე.

**ნიკა:** ესე იგი, მაშინაც, ერთი წლის წინ დასალაგებლად რომ შემოხვედი წითელ კომბინეზონში და გარეთ ვიღაც დაჭრეს, შენი ნასროლი იყო?

**კუსა:** კი. შეკვეთა მქონდა აღებული.

**გუგა:** დედა, რა იოლად ლაპარაკობს, ხედავთ?

**კუსა:** (დამცინავი სახით) თქვენ არ ლაპარაკობთ იოლად იმაზე, რასაც აკეთებთ? თუ როლებში ხართ შესული და აღარ გიჭირთ? ისე, თავიდან მეც გამიჭირდა, მაგრამ პირველია მთავარი თურმე, მერე უკვე ლიწინ-ლიწინით მიდის.

**ნიკა:** და რამდენი გყავს ასე მილიწინებული?

**კუსა:** ჯოჯოხეთში მოსახვედრად საკმარისია.

**გუგა:** დამარტყით ახლა ვინმემ, თორემ მგონია, სიზმარში ვარ და ვერ ვიღვიძებ.

**გუგას მუშტს ჩასცხებენ.**

**გუგა:** (ვითომც არაფერი) კუსა, საყვარელო, რატომ აკეთებ ამას?

**კუსა:** შენ გგონია, ვისაც ვჭრი, ღირსი არ არის? ყველას ბიოგრაფიას ვსწავლობ დაწვრილებით. ესენი, ჩემო გუგა, დასაჭრელი კი არა, ყველა მოსაკლავია. უბრალოდ, მე და დედიკო ვერ ვიმეტებთ.

**ნიკა:** ვინ გეკითხება შენ ამათ გასამართლებას. ვინ ოხერი ხარ შენ?

**გუგა:** რამდენი წელია, რაც ამას აკეთებ?

**კუსა:** რაც სკოლა დავამთავრე.

**ვაჟა:** უშგულის პირველი საშუალო?

**კუსა:** დიახ.

**გიგა:** სროლა იქ ისწავლე? უშგულში?

**კუსა:** კი.

**ნიკა:** სანტა-კლაუსის გაშვება რომ უნდოდა იმ კაცს ამ დილით ვიღაცის მოსაკლავად, შენთან იყო მოსული, ხომ?

**კუსა:** კი. დედიკომ გამომიგზავნა.

**გუგა:** ისევ ეს დედიკო.

**ვაჟა:** დაგვიჭერენ, ყველას დაგვიჭერენ.

**ნიკა:** (კუსას) შენ გიფიქრია, რამხელა დანაშაულს ჩადიხარ, უბედურო?

**კუსა:** მე ყველაფერზე ნაფიქრი მაქვს. მაგრამ ვინმეს თუ უფიქრია ჩემზე? ვინმეს თუ უკითხავს, მშია თუ მწყურია? ბედნიერი ვარ თუ უბედური? ცოცხალი ვარ თუ მკვდარი? ვინმეს თუ გაინტერესებდათ, რამე თუ მიხაროდა? მანუხებდა? დედა მართლა მყავდა თუ არა? ყველანი მხოლოდ საკუთარი თავით ხართ დაკავებულები. მხოლოდ ის გინდათ, გაიგოთ, რამდენს გადმორიცხავენ, რამდენია ბანკიდან გამოსატანი... უბედურები მე კი არა, თქვენა ხართ. შეხედეთ, რას დაემსგავსეთ. ასეთები იყავით რამდენიმე წლის წინ? ახლა, ოღონდაც აფიორა გამოგივიდეთ, ყველაფერზე წამსვლელები ხართ. სხვა დანარჩენი ფეხზე გკიდიათ. თქვენ გგონიათ, ჩემგან ბევრად განსხვავდებით? თქვენ მაგ გზით შოულობთ პურის ფულს. მე კიდევ ასე...

**ნიკა:** შენ რა გგონია, ჩვენ რომ ამას ვაკეთებთ, დალხინებულები ვცხოვრობთ? შენ რა გგონია, ეს მამაძაღლობა სისხლში გვაქვს ყველას? შენ რატომ ფიქრობ, რომ ჩვენ არ გვჭირდება იგივე ყურადღება ადამიანებისგან, რასაც შენ მოითხოვ? ვინმემ გვკითხა საერთოდ რამე? ვინმე ინტერესდება ჩვენი ჭკუით ან განათლებით? ვერ ხედავ, რომ ყველას წიხლზე ჰკიდია ფიზიკა და ინტელექტი? თუ, შენსავით რომ არ ვწუწუნებთ, გგონია, არ განვიცდით არაფერს?

**კუსა:** ჩუმად. ხმა არ ამოიღოთ, თორემ ავაცილებ... მოვიდა.

**კუსა მიზანში იცქირება და ისვრის.**

**კუსა:** კინაღამ ავაცილე. ხელი მიკანკალებდა.

**გუგა:** (ყვირის) ააცილებ და ააცილე მერე. რომელი თანამზრახველი მე მნახე, რომ მაჩუმებ? რას გვერჩოდი, რას დაგვცოფე დღეს ყველა? თუ სროლა გინდოდა, გესროლა, ბატონო, რატომ გაგვიმხილე ეს შენი საიდუმლო.

**კუსა:** რატომ? იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... თქვენ არაფრით განსხვავდებით ჩემგან, რადგან თქვენც კლავთ... სიყვარულს, ადამიანობას. იმიტომ, რომ მსხვერპლი ვარ ამ ცხოვრებაში. მე თვითონ ვარ მსხვერპლი და სულაც არ მინდა იმის გაკეთება, რასაც ვაკეთებ, მაგრამ სხვა გზა აღარ მაქვს. იმიტომ, რომ აღარავინ დამიტოვა სხვა გზა. თქვენც კი უაზრო მაქინაციებში გამხვიეთ. მათამაშეთ.

**გუგა:** შენ გგონია, ჩვენ არა ვართ მსხვერპლი? შენ გგონია, ჩვენ გვქონდა სხვა გზა? შენ გგონია, ჩვენ შეგვეძლო? ეშმაკსაც წაუღია ეს ფირმაც და ეს უბადრუკი სცენარები. ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი. ეშმაკსაც.

**გუგა ყვირის, ყველაფერს დაბლა ყრის და ამასობაში იმ ყუთს ამოატრიალებს, რომელშიც ანგელოზის ფრთები იყო ჩადებული. ყველა გაოგნებული მიაჩერედება ძირს დავარდნილ ფრთებს.**

**გუგა:** რა არის ეს?

**ნიკა: (ფრთებთან ჩაცუცქული)** ფრთები?

**ვაჟა: (ჩაიცუცქებს და ხელით ეხება)** საიდან ეს ფრთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ?

**ნიკა:** შენ არ გიყიდია?

**ვაჟა:** არა.

**გუგა:** სცენარისთვის გვჭირდებოდა?

**ვაჟა:** არა. ეგეთი სცენარი, ფრთები რომ დაგვჭირვებოდა, ჯერ არ დაგვიწერია.

**ნიკა:** მერე, დავწეროთ. მშვენიერი მასალა გვაქვს. ვაჟა, მოიწიე აქეთ.

**გუგა ფრთებს იღებს და ვაჟას მხრებზე არგებს.**

**გუგა:** მშვენივრად გაქვს.

**ნიკა:** თანაც გიხდება.

**გუგა:** ამით უპრობლემოდ მიხვალ ვინმესთან და თავს ანგელოზად შეასაღებ.

**ვაჟა:** მერე რა, რომ შევასაღებ?

**ნიკა:** რა და, ეტყვი, რომ მამამ გამოგგზავნა ზემოდან.

**ვაჟა:** რისთვის?

**ნიკა:** რისთვის და საქველმოქმედო ფონდს აყალიბებს დედამიწის გადასარჩენად და შესაწირია შემოსატანი.

**გუგა:** ან ჩვენი პლანეტისკენ რომ მეტეორი მოექანება, იმის გასანადგურებლად დედამიწელთა საზოგადოება იქმნება და საწევრო თანხაა საჭირო.

**ვაჟა:** ამის დაჯერებას ფსიქოთერაპიის კურსის ჩატარება დასჭირდება.

**ნიკა:** ჩაატარე შენც. პრაქტიკა ხომ გაიარე.

**ამ დროს ოთახში დაჭრილი ვახო (ანგელოზი) შემორბის და ცალი ხელი სისხლიან დუნდულაზე უჭირავს.**

**ვახო:** ვინ მესროლა? რომელმა მესროლეთ. შენ? შენ? მოგკლავთ, თქვენი...

**ვახო იატაკზე გაგორდება და კვნესის. კუსა თავზე დაადგება. ხელში ვახოს დატოვებული ბუმბული უჭირავს და ლოყაზე ილამუნებს.**

**ვახო კუსას შეხედავს.**

**ვახო:** კუსა?

**კუსა:** მე ვარ ძვირფასო.

**ვახო:** შენ მესროლე?

**კუსა თავს დაუქნევს.**

**ვახო:** რატომ? რისთვის?

**კუსა:** ჩვენთან, უშგულში, წესია ასეთი. როცა მამაკაცი ქალს მიეკარება, იმ კაცმა ის ქალი ცოლად უნდა მოიყვანოს. თუ არადა, უნდა მოკვდეს. ახლა არჩევანი შენზეა.

**ვახო:** შენ ჰიპნოზს არ ემორჩილები?

**კუსა:** არა. აი, სწორედ ეგ ვერ გათვალე, ვახო. ტყუილად კი არ ვამბობ ხოლმე, ყველა საქმეში საიმედოობის თეორიაა საჭირო-მეთქი. შენ ისე კარგად თამაშობდი, რომ ვერ შეგაწყვეტინე.

**ნიკა:** რა ხდება, კუსა? ვინ არის ეს კაცი?

**კუსა:** შენ დამაცადე.

**ვახო:** (კუსას) საიდან მიხვდი?

**კუსას მაგიდის უჯრიდან გაზეთი ამოაქვს და კითხულობს.**

**კუსა:** "გუშინ, ტყე-პარკის ქუჩაზე, 17 ნომერში, ფრთებში გამოწყობილმა უცხო პირმა, რომელმაც სახლის პატრონს ანგელოზად გააცნო თავი, ჰიპნოზის საშუალებით დააძინა იქ მყოფი ყველა ადამიანი და პირწმინდად გაძარცვა. შემდეგ გარეთ გამოვიდა, ტაქსში ჩაჯდა და მიიმალა. ტაქსის მძღოლმა მისი ფრთებიდან დაცვენილი ბუმბულები პოლიციის განყოფილებაში მიიტანა და აღიარა, რომ მგზავრმა დააჰიპნოზა და მთელი დღის შემოსავალი საკუთარი ხელით მისცა მძარცველს ანგელოზთა ფონდის დასაარსებლად...." (ვახოს) შენ, ჩემო ვახო, ცოტა ტექნიკა გაკლია, თორემ ნიჭი და ფანტაზია გაქვს ისეთი, ჩვენს ფიზიკოსებსაც კი შეშურდებათ.

**ნიკა:** რა ხდება აქ, ბოლოს და ბოლოს, მეტყვის ვინმე?

**კუსა:** (ვახოს) ნებით დააბრუნებ, რაც წაიღე თუ...

**ვახო ნაძარცვს ჯიბეებიდან ყრის.**

**ვახო (ვაჟას, რომელსაც ფრთები აქვს მოსხმული)** ა, ძმაო, ჩაიბარე.

**ამასობაში ნაძარცვი ნივთებიდან ვახო საქორწილო ბეჭედს იპოვის და კუსას გაუწვდის. კუსა თითზე გაიკეთებს და ვახოს შუბლზე აკოცებს.**

**ამ დროს ოთახში ისევ ის მამაკაცი შემოდის, სანტა-კლაუსს რომ ითხოვდა.**

**მამაკაცი:** უკაცრავად. ისევ მე განუხებთ სანტა-კლაუსის თაობაზე. იმან ძალიან გამიმწარა სიცოცხლე. ნახეთ, რას დამამსგავსა, დამაჩაჩანაკა. ადრე ასე კი არ გამოვიყურებოდი. წარმოიდგინეთ, კარს რომ გაუღებს და კანფეტების ნაცვლად ტყვიებს რომ შეუყრის... საქმე ისაა, სანტა-კლაუსს თუ იშოვით...

**ნიკა:** ჩვენ ყველაფრის შოვნა შეგვიძლია, ბატონო. აგერ, ხომ ხედავთ, ანგელოზი უკვე გვყავს, სნაიპერიც აგერაა. პირდაპირ ათიანში აჯენს. ფიზიკოსებიც ხომ არ გნებავთ? ეგენი ვედრო მანეთადაა. ხარისხიანებიც და ხარისხის გარეშეც. მეთევზეები, მონადირეები, ფსიქოლოგები — ჯგუფური თუ ინდივიდუალური, დაჭრილები — სამამულო ომის თუ სამოქალაქოსი... რა სახისაც გნებავთ. ახლა, წარმოიდგინეთ, ამისთანა მრავალფეროვან და ნიჭიერ ხალხს სანტა-კლუსი გაგვიჭირდებოდა?

**ვაჟა:** სანტა-კლაუსი ანგელოზით რომ შევცვალოთ, რა აზრის ხართ, ბატონო? ბარემ რეკვიზიტიც აქა გვაქვს.

**მამაკაცი:** ანგელოზით?

**ცოტას დაფიქრდება.**

**მამაკაცი:** მერე რა მიზეზით შეუშვებთ? რომ მიხვდეს?

**ნიკა, გუგა და ვაჟა ბჭობას იწყებენ და ჩქარ-ჩქარა აწყობენ გეგმებს.**

**ნიკა:** რას უნდა მიხვდეს? ამხელა ფრთებით რომ კაცი შეუვა სახლში...

**ვაჟა:** ბუმბული რომ ცვივა?

**გუგა:** ხელში შავი ჩემოდანი ხომ არ დავაჭერინოთ მეტი დამაჯერებლობისთვის?

**ვაჟა:** კარი რომ არ გაალოს?

**ნიკა:** სანტა-კლაუსს ხომ გაუღებდა?

**გუგა:** იმას ადამიანი ელოდება, ვერ გაიგე, რა თქვა დამკვეთმა. ანგელოზს კიდევ არავინ არ ელოდება.

**მამაკაცი:** (ყვირის) გაჩუმდით!

**ყველა ჩუმდება და მამაკაცს შეცქერის.**

**მამაკაცი:** თავი უნდა დავიზღვიოთ. საიმედოობის თეორია გაქვთ?

**კუსა:** (კუსა გახარებული ყვირის) საიმედოობის თეორია? აბა, ეს რა არის?

**კუსა მაგიდიდან ვახოს დატოვებულ ფურცლებს (საიმედოობის თეორიას) იღებს და ჰაერში ისვრის. ყველა გაოცებული დარბის და მოფარფატე ფურცლების შეგროვებას იწყებს. ამ დროს ტელეფონი დარეკავს. კუსა ყურმილს იღებს.**

**კუსა:** გისმენთ.

**ხმა:** ინტიმური ტელეფონია?

**კუსა: (დანარჩენებს გადახედავს და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ უპასუხებს)** დიახ... ინტიმური ტელეფონია... მე კუსა მქვია... ააა, რა თქმა უნდა.... როგორ გინდა, საყვარელო, რაკომ, ხმლით ხელში თუ კისერზე წურბლებით? ჩვენ ყველაფერი ყველანაირად შეგვიძლია. ფული თქვით, თორემ!..

**კუსა ტელეფონის ყურმილს ახეთქებს. ამ დროს ისევ გაღიმებული ალფრედი შემოდის. ისევ ვედროსკენ წავა. ვაჟა მივარდება და იქიდან გამოიყვანს.**

**ვაჟა:** უკაცრავად, ბატონო, ერთი წუთით, აქეთ მობრძანდით.

**ალფრედი გაჩერდება და ისევ მოღიმარი სახით დადგება.**

**ვაჟა:** ვინა ხართ თქვენ?

**ალფრედი:** ხომ გითხარით, ალფრედი ვარ.

**ვაჟა:** მერე, რას დადიხართ აქ, ალფრედ?

**ალფრედი:** მე თქვენს მეტი ამ ქალაქში ნაცნობი არა მყავს.

**გუგა:** ნაცნობი არა გყავთ? კი მაგრამ, საიდან ხართ?

**ალფრედი:** პლანეტა ალფადან.

**გუგა, ვაჟა, კუსა, ნიკა ერთხმად:** საიდან?

**ალფრედი:** მეთვრამეტე განზომილების ერთ-ერთი პლანეტიდან. ალფა ქვია. პატარა პლანეტაა, ორი მზე, ოთხი მთ-

ვარე და სამი ოკეანე აქვს. უბრალოდ, გზა შემეშალა და თქვენთან ამოვჩნდი. ომეგაზე გადავდიოდი. ახლა აღარ ვიცი, როგორ დავბრუნდე.

**გუგა ალფრედთან მივა, ხელს გადახვევს.**

**გუგა:** ალფრედ, ძვირფასო, ძლივს... როგორც იქნა. იცი, რამდენი ხანი გელოდი?

**ალფრედი:** თქვენ რა იცოდით, რომ ჩამოვიდოდი?

**გუგა:** როგორ რა ვიცოდი, ალფრედ, მთელი ცხოვრება მეტი კი არაფერი მიკეთებია. სწორედ მაგას ვითვლიდი. რამდენი შრომა დავწერე. ყველაფერი აგერაა, სეიფში ჩაკეტილი.

**ალფრედი:** რატომ ჩაკეტილი?

**გუგა:** აბა, არავის არაფერში არ სჭირდება.

**გუგა სეიფს აღებს.**

**გუგა:** აგერ, ა, ძვირფასო ალფრედ. აი, ყველა გაანგარიშება აქა მაქვს. აი, ესეც თქვენი პლანეტის კოორდინატები. აქედან გადადიხარ ჯერ მეხუთე, შემდეგ მეათე განზომილებაში, შემდეგ ისევ უკან ბრუნდები, პირველში, რათა ყველაფერი ზედმეტი მოიშორო და პირველყოფილი სახით გადახვიდე მეთვრამეტეში. შემდეგ აკრეფ მაქსიმუმ სიჩქარეს და, როგორც კი მწვანე და იასამნისფერ დამცავ ზოლს გადიხარ, შავი ხვრელით პირდაპირ პლანეტა ალფაზე ჯდები.

**ალფრედი:** ყველაფერი სწორია. თქვენ მომცემთ ამ კოორდინატებს?

**გუგა:** მოგცემ.

**ალფრედი:** და მე შემეძლება, სახლში დავბრუნდე?

**გუგა:** შეგეძლება.

**ალფრედი ხელს გაწევს ფურცლების გამოსართმევად. გუგა არ მისცემს.**

**გუგა:** მხოლოდ ერთი პირობით. მეც თან უნდა წამიყვანო.

**ალფრედი დაფიქრდება და გუგას აათვალიერებს.**

**ალფრედი:** კი, მაგრამ... თქვენ ფრთები დაგჭირდებათ.

**გუგა:** ფრთები? აბა, ეს რა არის?

**და ვაჟას მხრებზე მოგდებულ ფრთებს თვითონ მოისხამს.**

**ალფრედი:** კიდევ — საიმედოობის თეორიაც.

**გუგა:** ა, ბატონო, ესეც აგერა მქვს.

**ალფრედი:** ვერაფერი გავიგე. ფრთები გაქვთ?

**გუგა:** მაქვს.

**ალფრედი:** საიმედოობის თეორია გაქვთ?

**ყველა:** გვაქვს.

**ალფრედი:** მარშრუტი გაქვთ?

**გუგა:** კარგა ხანია უკვე.

**ალფრედი:** მე რაში გჭირდებით?

**ყველა დაიბნევა და გუგას მიაჩერდება.**

**ვაჟა:** მართალია, ხომ იცი. რაში გჭირდება ალფრედა? როცა მოგინდება, შენ თვითონ დაგაზავ.

**ალფრედი:** უბრალოდ, მე ვალდებული ვარ, გაგაფრთხილოთ, რომ იქიდან აქეთ წამოსასვლელი მარშრუტი ჩვენ არა გვაქვს. როგორც ვხედავ, არც თქვენ. ამიტომ უკან ველარ დაბრუნდებით.

**გუგა:** იქ ბორჯომის წყალი თუ გაქვთ?

**ალფრედი:** სამწუხაროდ, არა.

**გუგა:** ჰოოო...

**ალფრედი:** რა ჰოოო?

**გუგა:** აბა, მე ვერ წამოვალ.

**ალფრედი:** ესე იგი, ვერც მე წავალ?

**გუგა:** რატომ? აგერაა მარშრუტი, აიღეთ და წადით.

**ალფრედი:** ამხელა ნაშრომს მაძლევთ? უსასყიდლოდ?

**გუგა თანხმობის ნიშნად ულიმის.**

**ანგელოზი-ვახო:** ეს ლაბადა იქიდანაა?

**ალფრედი:** დიახ.

**ანგელოზი-ვახო:** მაშინ გაიხადე და გაგიცვლი.

**ალფრედი ღიმილით გაიხდის, გუგას ნაშრომს გამოართმევს და ღიმილითვე გავა. ვაჟა ლაბადას ათვალიერებს, შემდეგ მოისხამს.**

**ვაჟა:** ჩვეულებრივი ლაბადაა. ასეთები ოცი წლის წინ უნივერმაღში ოც მანეთად იყიდებოდა.

**ვაჟა ცოტას იტრიალებს და ყველას ჩამოუვლის.**

**ვაჟა:** დამიჯერებს ახლა ვინმე, რომ დედამიწაზე დაკარგული უცხოპლანეტელი ვარ და უკან წასასვლელი გზა არ ვიცი?

**ანგელოზი-ვახო:** მაგას, ძმაო, ვერავის დააჯერებ.

**ვაჟა:** აბა, ჩვენ რატომ დავუჯერეთ?

**ნიკა:** იმიტომ, რომ თითიდან ფსამს.

**ვაჟა:** რა მოხდა მერე? მასე ხომ მეც შემიძლია.

**ვაჟა ვედროსთან მივა, საჩვენებელ თითს მიუშვერს და ვედროში წყლის ჩხრიალის ხმა გაისმის.**

## ფ ა რ დ ა



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე — სალოცავი მცხეთის მთაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალექსანდრს ჩაკსი

## მატარებელი

მატარებელო, შე ძველო,
ნეტავ, რამდენჯერ
გიცდიდი შენ ჩემს ბავშვობაში,
მე
თრთოლით გელოდი შენ
წმინდა მათეს სახელობის სასაფლაოზე
გადაყვითლებულ ბორცვაკებიდან.
გელოდი შენ,
მატარებელო პეტერბურგიდან,
მოსკოვიდან და რეველიდან*,
მატარებელს – პრიმუსივით მოშიშინეს,
ხანაც ბოლომდე მოშვებული წყლის ონკანივით მოჩხრიალეს,
მატარებელს – გამტვრიანებულს,
როგორც ჩემი ტანსაცმელი ფეხბურთის შემდეგ.

მატარებელო, შე ძველო,
იმხანად მე მეჩვენებოდა,
რომ შენ
არა ლიანდაგებით –
ამ ორი უსასრულოდ გრძელი
და მოვერცხლილი ხაზით მოქრი
არა ქალაქ რიგაში,
არამედ ჩემს სულზე გავლით,
დიახ, ჩემს სულსა და სხეულში გავლით
გამჭოლ მიქროდი თავდავიწყებით,
იმ სხეულში,

* რეველი — ქალაქ ტალინის ძველი სახელწოდება (მთარგმნ. შენიშვნა).

რომელიც თრთოდა ფოთოლივით
და უფრო მეტად,
ვინემ ახლა, როდესაც მწუხრში
ძვირფას ქალიშვილს ვეალერსები,
ვეფერები
ჩამოშვებული ფარდების მიღმა.

მატარებელო, შე ძველო,
როცა შენ მიახლოვდებოდი,
მეისრეს წინ გაშვერილ ხელში
ეჭირა საყვირი და მხნედ უბერავდა,
სპილენძის ყვითელი საყვირის ქვეშ თრთოდა ალამი –
მწვანე და პაწაწკინტელა,
წაბლის უმწეო ფოთოლი.

ხმაურიანი,
მოყაყანე გადასასვლელი –
ეგ ვნებიანი ბოზანდარა,
რომელიც ყველას
ყოველგვარი რიდის გარეშე
უწვებოდა ფეხებგაშლილი –
ყველას,
ყველას –
მეეტლეებს, ავტოებს თუ გამვლელ-გამომვლელს
შეერწყმოდა და შმაშურობდა გადარეული,
თავად ეს ძუკნაც,
როცა საყვირის შორეულ ხმას გაიგონებდა,
უმალ ზემოდან გადმოიგდებდა
ამ ოფლიან სიბინძურეს – დაუმცხრალობას,
თავს დააღწევდა ბორბლებისა და ფეხების
რთულ ჩახლართულობას,
თან წამიერად ანთებული,
მხოლოდ შენდამი სიყვარულით გაბრწყინებული
და
შენ გელოდა,
გიცდიდა იგი – მარტოხელა და დედიშობილა,
ცნობამიხდილი –
ჩამოშვებული შლაგბაუმის გრძელი ხელებით, -
შენთვის იდგა, -
შენ,
შენ გიცდიდა,
მატარებელო, შე მართლაც ძველო,
მატარებელო პეტერბურგიდან,
მოსკოვიდან
და რეველიდან –

– – – – – – –

მატარებელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცუდია

ცუდია –
მე, ლატვიელი პოეტი რომ ვარ, -
რის შესახებ უნდა ვიმღერო, ნეტავი?
გული ჩემი
დამჭკნარი და თხელია,
ისე, ვით ტყავი – გაცრეცილი
ძველ სავარძელზე.

მე რომ ზანგი პოეტი ვყოფილიყავი,
ვიმღერებდი ჩახლეჩილი ხმით ზანგთა სიმღერებს
ბაგეებზე,
რომლებიც შავი და მწველია,
როგორც ივლისის ღამეები –
უქარებო და უვარსკვლავებო,
ვიმღერებდი ზანგთა სიმღერებს,
ქალიშვილთა სხეულებზე,
რომლებიც ისე ყავისფერი და მკვრივია, როგორც ეს მიწა.
ვიმღერებდი მწველ სიმღერებს
შორეულ თავისუფლებაზე,
როგორც მიმომქროლ ღრუბელზე –
მე რომ ზანგი პოეტი ვიყო.

მაგრამ, ახლა რა?
ამჟამად ჩვენთან:
თავისუფლება ცუდია,
ქალიშვილები – გამხდარნი,
რომლებიც ტუჩებს იღებავენ, როგორც ქსოვილებს,
ირგვლივ რადიოანძებია
და რეზინის მძიმე ლანჩები,
რომლებითაც დავიარებით,
ჩუმად, როგორც ხვადი კატები,
ვგრძნობთ ჩუმ-ჩუმად,
ვფიქრობთ ჩუმად
და ვკვდებით ჩუმად.

## ავონია

ქვაფენილზე, ბრწყინვალე ბარის წინ დაეცა ხრდალი საბრალო მეეტლისა.
ცხენი იწვა ჭუჭყიან თოვლში, ჩამოშვებულ ხელნებს შორის, როგორც საწოლში, ჩიჩვირზე ჰქონდა ყვითელი ქაფი, თითქოსდა სვამდა ქაფქაფა ლუდს.

მას გააფთრებით სცემდა, ავად ამათრახებდა მეეტლე გრძელი ღვიის შოლტით, რადგან ეწადა მისი მალე წამოყენება, რაც შეიძლება ჩქარა, რათა კოპებშეკრული ბატონკაცი მიეყვანა თავის კლუბამდე.

ბატონკაცი – უუძვირფასეს საყელოთი იყო, თანაც ეტყობოდა, ნამეტნავად ხუშტურიანი ბრძანდებოდა, რადგანაც მკვახედ იმუქრებოდა, რომ გადაიხდის მხოლოდ ნახევარ თანხას.

ხოლო ხრდალი ისევ იწვა – მძიმედ, როგორც დაღლილი ქალი, მოდუნებული – სიამტკბილობის შემდეგ; მხოლოდ ჩხირი გვერდები ებერებოდა ზემოთ და ქვემოთ – ავადმყოფური ამოსუნთქვით და ისე მძაფრად, როგორც უწყლოდ დარჩენილ თევზს ლაყუჩები.

მაშინ მეეტლემ – გამწარებულმა – ხრდალს ჩაავლო კუდში ხელები და მუხლებამდე წამოაყენა, თითქოს ხელებში აიყვანა: საწყალი იყო მთლად მომჩვარული, ატატებული ცხენი.

ქალების ჯგუფი ილანძღებოდა, ყმაწვილები კი ხორხოცებდნენ სიხარულისგან, მაგრამ პირქუში მამაკაცები რჩევებს აძლევდნენ მეეტლეს.

ხრდალმა კი უკვე განუტევა ტანჯული სული და პაწაწინა გუბეები დატოვა თოვლზე თუ ქვაფენილზე – წრეები ნესტოებიდან.

მძიმედ მობრძანდა პოლიციელი და გასცა მკაცრად განკარგულება, რათა ჩქარა წასულიყვნენ, სადმე ჭილოფის მოსატანად, თანაც ოთხთვალაც მოეყვანათ, ზედ რომ დაეგდოთ ცხენის მძორი – გადასატან-გადასაგდებად.

ხოლო შემდეგ დაუყვირა მოქალაქეებს დაიშალეთო და თავის კუთხეს დაუბრუნდა – ზეიმურად თვითკმაყოფილი.

ქვაფენილზე, ბრწყინვალე და მდიდრული ბარის წინ დაეცა ხრდალი საბრალო მეეტლისა.

## დაპატიჟება

ნუ ჩამოჯდები საღამოობით,
ჩემო ლამაზო მეგობარო,
შენს კიბეებზე
და ნუ მიაქცევ ყურადღებას ხვიჩა ვარსკვლავებს:
ისინი ხომ
ჰგვანან პოეტებს,
რომლებიც ქვეყნად ანათებენ მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ.

შეხე,
სარდაფულ ბინა-ბუნაგში
მეეზოვეებმა აანთეს სანთლები
და დასხდნენ საწყალ მაგიდასთან,
რეკავენ როგორც ტრამვაები –
მათი კოვზები აწკარუნდნენ
იაფფასიან ჯამებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტიანი და
ქაღალდივით თხელი ნისლი –
მოგზაურობით დაქანცული
ჩუმად დაჯდება ტროტუარზე.

ანათებს მთვარე, -
ყვითელია, როგორც კარაქი.
დასანანია,
რომ თან არ მაქვს
პური და დანა,
თუმცა
სად უნდა ამეღო ისინი?

სიზმრის ყვითელი ბუტერბროდი
არ იქნებოდა ახლა ურიგო
ჩემთვის და
შენთვის.
ჩვენ – ორთავე
ჩამოვჯდებოდით ჩუმად.

ჩემს თავს დავდებდი
შენს მუხლებზე,
როგორც მორბენალ ღრუბელზე.
და შენი ასე თლილი თითების
მთრთოლვარ შეხებას მხურვალე თავზე
მე ვიგრძნობდი,
როგორც გამაგრილებელი წვიმის წვეთების
უნაზეს შრიალს.

შეხედე –
ნისლი მთვარემდე
თხელია,
როგორც ბუზის ფრთა.

შეშფოთებულან წყვდიადში ხენი
და დაცვარულან ოფლით,
საოცრად ცივით,
როგორც სპილენძის მოციმციმე სახელურები...

ნუ ჩამოჯდები,
ჩემო კეთილო მეგობარო,
შენს კიბეებზე!
ოთახში –
ბუხარში დავანთებ ცეცხლს
შეშის ცამეტი ნაპობით.

ორთავე ბალიშს
ჩამოვიტან საწოლიდან
და დაგიწყობ იატაკზე
იმ ჭრელაჭრულა
საბანთან ერთად,
რომელიც ერთხელ გამომატანეს
მე ყირგიზული ალაჩოყიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუილუბრალოდ
ღამესაც არ სურს,
რომ შემოვიდეს სარკმელში.
წინ გავწევთ ფარდას,
ჩამოვაფარებთ, -
მსუბუქს, თანაც ხშირს,
ვით შენი თმები.

მარჯვედ გაგაძრობ
ლამაზ ფეხებზე
და შევაგდებ საწოლის ქვემოთ
ფეხსაცმლებს შენსას.

დავჯდებით ორთავე
გიზგიზა ცეცხლთან,
თან ისე ახლოს,
რომ ჩვენს ტანსაცმლებს ასდიოდეს ოხშივარი,
როგორც გაქაფულ ცხენს.
და შენს გაბუსხულ-მომლოდინე ბაგეებზე
ჩამოჯდება
სიჩუმის ფრინველი.

ჩემს თვალებში
შენ – ერთადერთი
ჩაჯდები მთლიანად,
როგორც კალთაში, -
საჟრუანტელოდ.

და
მე გიამბობ,
მოგიყვები მთელ ისტორიას ბიჭუნაზე,
რომელიც ხშირად,
ძალიან დიდხანს ეხეტებოდა ეზოებში
და უჩვენებდა ოხუნჯობებს,
მასხარაობდა.

ლატვიურიდან თარგმნა
***რენე კალანდიამ***

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთარგმნელები თავიანთ შრომას უძღვნიან მეტრეველების დიდ და მრავალრიცხოვანი მკითხველით დასახლებულ ოჯახში პავიჩის პირველაღმომჩენის — *კახაბერ მეტრეველის* ნათელ ხსოვნას და მის შვილებს — დამწყებ მკითხველებს: *მარიამ, გია, დიმიტრი მეტრეველებს.*

# მილორად პავიჩი

*სერბი მწერალი მილორად პავიჩი (დაიბადა 1929 წ.) — მე-20-ე საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი დიდი პროზაიკოსი; 1984 წლამდე, მისივე აღიარებით, „არავინ იცნობდა“. „ხაზარული ლექსიკონის“, ამ რომან-ლექსიკონის გამოქვეყნებამ, რომელიც 100 000 სიტყვას მოიცავს, ერთობ დიდი სახელი მოუპოვა ევროპასა და აშშ-ში. „ლექსიკონმა“ რამდენიმე პრესტიჟული პრემია მიიღო, რის შემდეგაც 24 ენაზე ითარგმნა. მომდევნო ნაწარმოებებში პავიჩი დაჟინებით ესწრაფვის პროზის ფორმათა განახლებას. მაგალითად, „ჩაით დახატული პეიზაჟი“ (1988) კროსვორდის ფორმის რომანია. „ქარის შიდა მხარე“ (1991) რომანი-კლეპსიდრაა, რომელიც აერთიანებს ორ წიგნს პრინციპით „ჩემი დასასრული — ჩემი დასაწყისი“. „უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში“ (1991) არის რომანი, დაფუძნებული ტაროს კარტზე, სადაც თავების თანმიმდევრობა და, აქედან გამომდინარე, პერსონაჟთა ბედ-იღბალიც, დამოკიდებულია კარტების განლაგებაზე. ლიტერატურათმცოდნეები მაღალ შეფასებას აძლევენ პავიჩის ტექსტების სიმარტივესა და პარადოქსულ მრავალგანზომილებიანობას, ფორმის ვირტუოზულ ექსცენტრულობას. ისინი პავიჩს მიიჩნევენ თანამედროვე პროზის თვალსაჩინო ფიგურად, XXI საუკუნის მწერლად...*

## უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში

**სახელმძღვანელო მკითხაობისთვის**

Major Arcana (უფროსი არკანები, ანუ დიდი საიდუმლო) - ასე უწოდებენ სამკითხაო დასტას, რომელიც 22 კარტისგან შედგება. თითოეულ მათგანზე გამოსახულია ციფრები 0-დან 21-მდე და ყველანი 56-ქაღალდიან დიდ ნაწილთან ერთად (Minor Arcana - უმცროსი არკანები, ანუ მცირე საიდუმლო) შეადგენს ტაროს /Tarok, Tarocchi/. ტაროს წარმოშობას ქურუმებს (იეროფანტებს) და საბერძნეთში ელევსინის მისტერიებს უკავშირებენ. გავრცელებულია მოსაზრებაც, თითქოს ტარო ჰერმესის კულტის ტრადიციიდან იღებს დასაბამს. ასეთ კარტს სამკითხაოდ ხშირად იყენებენ ბოშები, რომლებმაც, როგორც ფიქრობენ, ეს საიდუმლო „ენა“ ქალდეადან და ეგვიპტიდან ისრაელში და საბერძნეთში გადმოიტანეს, აქედან კი მთელ შუაზღვისპირეთში გავრცელდა. რამდენადაც შეიძლება ვივარაუდოთ, ტაროს, თითქმის უკვე შვიდი საუკუნეა, იცნობენ ცენტრალურ ევროპაში, საფრანგეთსა და იტალიაში, ჩვენს დროში კი ის იქცა ერთ-ერთ პოპულარულ კარტის თამაშად. ყველაზე ძველი ტაროს კარტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 1390 და 1445 წლებს მიეკუთვნება (Minhiati-ს კარტის დასტა ვენეციის კორერის მუზეუმიდან).

Major Arcana, ჩვეულებრივ, შვიდი კარტისგან შემდგარ სამ ჯგუფად იყოფა. მკითხაობისას ცალკეული კარტის ან მათი განლაგების შესაბამის მნიშვნელობას, როგორც წესი, განმარტავს მკითხავი, რომლისთვისაც ცნობილია მათი უკვე გავრცელებული მნიშვნელობები (გასაღებები), ოღონდ მას, შეიძლება, საკუთარი გასაღებების, ანუ მნიშვნელობების წყებაც ჰქონდეს, რომლებსაც საიდუმლოდ ინახავს. ტაროს კარტების მნიშვნელობა იცვლება იმის მიხედვით, ჩვეულებრივად დაეცა იგი თუ თავდაყირა — ამ მეორე შემთხვევაში მისი მნიშვნელობა ძირითადის საპირისპიროა. ჩვენს დროში ტაროს კარტებსა და მათ მნიშვნელობებს დიდ ადგილს უთმობენ კარტების უამრავ სახელმძღვანელოსა და ცნობარში, ამასთან, ხშირად მათს ამოკითხვაში არსებობს დიდი განსხვავებებიც. ტაროს ფესვები სიმბოლური ენის სიღრმეში მიდის, ეს ენა კი საერთოა კაცობრიული შემეცნებისთვის. ტაროს სიმბოლიკა და გასაღებები ძველ საბერძნეთს, კაბალისტიკას, ასტროლოგიას, ნუმეროლოგიას და ა.შ. უკავშირდება. მისტიკურ ძალებს და ეზოთერულ სიბრძნეს ტარო აღწევს თავისი ოცდამეერთე ინიციაციით (საიდუმლოებრივი გარდაქმნა) - *მასხარათი*, კარტით, რომელიც თავისი სიმბოლური სახით ერთდროულად ნულიცაა და ცენტრალური და უკანასკნელი კარტიც ტაროს დიდი საიდუმლოსი.

ერთ-ერთი ენციკლოპედიიდან.

### *დიდი საიდუმლოს გასაღებები როგორც ერთი, ისე მეორე სქესის ქალებისთვის*

***განსაკუთრებული გასაღები***

**მასხარა**



მშობლიურის გარდა იგი ლაპარაკობდა ბერძნულ, ფრანგულ, იტალიურ და თურქულ ენებზეც; ამ ქვეყანას ტრიესტში მოევლინა, მდიდარი სერბი ვაჭრებისა და მეცენატების, ოპუიჩების ოჯახში, რომელიც ადრიატიკაში გემებს, დუნაის ნაპირებზე კი ზვრებსა და ხორბლის ყანებს ფლობდა; ბავშვო-

ბიდან მოყოლებული მამის, საფრანგეთის არმიის კავალერიის ოფიცრის, ხარლამპი ოპუიჩის სამხედრო ნაწილში მსახურობდა, იცოდა, რომ შეტევისასაც და სიყვარულშიც ჩასუნთქვაზე უფრო მნიშვნელოვანია ამოსუნთქვა; კავალერისტის მდიდრული მუნდირი ეცვა; ყველაზე გაუსაძლის სიცივეშიც კი ოთხთვალას ქვეშ თოვლზე იძინებდა, რათა სიმშვიდე არ დაეფრთხო თავისი რუსული მწევრისთვის, ლეკვების მთელი ბუდობით შიგნით რომ მოკალათებულიყო; გაგანია ომში შეეძლო ატირებულიყო, კავალერისტის ყვითელი ჩექმები სულ მთლად ამომგანგვლიაო; ერთხელ თვითნებურად მიატოვა სამსახური ქვეითთა რაზმში, რათა არ დაეთმო თავისი კავალერისტის ალკაზმულობა; თავდავიწყებით უყვარდა კარგი ცხენები, რომლებსაც კუდებს უწნავდა ხოლმე; ვერცხლის ჭურჭელს ვენაში უკვეთავდა, ჭკუას კარგავდა ბალ-მასკარადებზე, ფეიერვერკებზე და, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობდა თავს მუსიკითა და ქალებით სავსე სალონებსა და სასტუმროებში.

მამა იტყოდა ხოლმე, რომ ის უმართავია, როგორც ქარიშხალი, და გამუდმებით უფსკრულის პირას დააბიჯებს. იგი ხანგამოშვებით ჰგავდა ხან დედას, ხან პაპას, ხანაც იმ ვაჟიშვილსა თუ შვილიშვილ გოგონას, რომლებიც ჯერ არ ჰყავდა. ერთობ წარმოსადეგი კაცი იყო, საშუალოზე მაღალი, თეთრი პირისახისა, ნიკაპზე ნაჩვრეტით, ჭიპს რომ მიაგავდა, გრძელი, ხშირი და ნახშირივით შავი თმით; წარბებს ოსტატურად იხვევდა, ისე, როგორც ამას, ჩვეულებრივ, ულვაშებს უკეთებენ ხოლმე, ულვაში კი ორ მათრახად დაეწნა. ომის დაუსრულებელ გზაზე, ბავარიაზე, სელეზიასა და იტალიაზე რომ გადაჭიმულიყო, თავისი ფიგურით, ცხენზე ჯდომის მანერითა და გრძელი, ყოველთვის საგულდაგულოდ დავარცხნილი თმის წყალობით ქალების აღტაცებას იწვევდა, როცა ხანგრძლივი გადაადგილებებითა და საომარი ცხოვრების სიძნელეებით მოქანცული რომელიმე გზისპირა ფუნდუკში ცეცხლის პირას მიმჯდარი იშრობდა თმას. ზოგჯერ თაყვანისმცემელი ქალები გასართობად ქალის ტანისამოსს გადააცმევდნენ, თმაში ვარდს გაურჭობდნენ, ცეკვებზე უკანასკნელ გროშებს დააფერთხინებდნენ, საკუთარ საწოლს უთმობდნენ მას, ავადმყოფსა და გადაღლილს, და თვალცრემლიანები ემშვიდობებოდნენ კავალერისტებს, როცა ისინი ზამთრის სადგომებს ტოვებდნენ. ის კი ამბობდა, მთელი ჩემი მოგონებები ერთ სალაშქრო ზურგჩანთაში ჩაეტევაო.

სახეზე გამოსახული უცხო, ქალური ღიმილით, რომლის მიღმაც წვერი წამოზრდოდა, ახალგაზრდა ოპუიჩმა ჯერ კიდევ ყმაწვილმა მამასთან ერთად, შემდეგ კი დამოუკიდებლად, როგორც საფრანგეთის კავალერიის ოფიცერმა, ცხენით გადაითქარუნა ევროპის მთელი ის ნაწილი, ტრიესტიდან და ვენეციიდან დუნაიმდე და იქიდან ბაგრამსა და ლაიფციგამდე რომაა გადაჭიმული, და ასე დავაჟკაცდა ფრანგულ ბანაკებში. ამასთან, ყოველ ახალ ათწლეულს ახალი ომებით აღნიშნავდა. ქალბატონი პარასკევა ოპუიჩი, დედამისი, სულ ტყუილუბრალოდ უგზავნიდა ნამცხვრებს „ნაღვლიანი ნიგვზით“. ახალგაზრდა სოფრონი თავისი ეშმაკის მამა უფრო ადრე გახდა, ვიდრე საკუთარი შვილისა. ცალი თვალით ბებიას ჰგავდა დედის მხრიდან, რომელიც, უპირველესად, ბერძენი იყო, ცალით — მამას, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, სერბი იყო, ამიტომაც ტრიესტელი ახალგაზრდა ოპუიჩი სამყაროს ელამი თვალებით ჭვრეტდა. ის ბუტბუტებდა ხოლმე:

*- ღმერთი — ეს ისაა, ვინც არის, მე კი ის, ვინც არ არის.*

სულ პატარაობიდან დაატარებდა კარგად დაფარულ დიდ საიდუმლოს, თითქოს გრძნობდა, რომ იგი, როგორც არსება ადამიანის მოდგმისა, მთლად ისეთი ვერ არის, რომ უნდა იყოს. და ბუნებრივი ჩანდა მისი სურვილი, შეცვლილიყო. ნატრობდა ამას იდუმალად და ძლიერ, თან ცოტათი ერცხვინებოდა ამგვარი სურვილის, როგორც რაღაც მიუღებლისა. ყოველივე ეს წააგავდა მსუბუქ შიმშილს, რომელიც, როგორც ტკივილი, გულს ქვემოთ გღრღნის, ან მსუბუქ ტკივილს, რომელიც სულში შიმშილის დარად ილვიძებს. კაცმა რომ თქვას, არც ახსოვდა, ზუსტად როდის შებოჭა გარდასახვის ამ ფარულმა მტანჯველმა ლტოლვამ, სუსტი, უხორცო ძალის სახე რომ მიიღო. თითქოს იწვაო შუა და ცერათითების ბოლოებმიტყუპებული და იმ დროს, როცა სიზმარმა შემოუტია, ხელი საწოლიდან გადმოუცურდა და თითებიც გაეხსნა. და მაშინ ის შეკრთა, თითქოს ხელიდან რაღაც გაეშვაო, სინამდვილეში კი ხელიდან გაუშვა საკუთარი თავი. აქ გაჩნდა სურვილი. საშიში, შეუბრალებელი, იმდენად მძიმე, რომ ამ ტვირთქვეშ მარჯვენა ფეხით კოჭლობა დაიწყო... ან, როგორც ზოგჯერ ეჩვენებოდა, ეს სხვა დროს მოხდა, დიდი ხნის წინათ, როცა თეფშზე, მოშუშული კომბოსტოთი რომ იყო სავსე, ვიღაცის სული აღმოაჩინა და შეჭამა.

რაც იყო,იყო; ეს კია, მასში იშვა ამოუცნობი და ძლიერი მოძრაობა. ძნელი სათქმელია, რა იყო ეს — იქნებ, რაღაც თავბრუდამხვევი ამბიციები, დაკავშირებული საკუთარ და მამის სამხედრო მოწოდებასთან; რაღაც დაუოკებელი ლტოლვა ახალი, ნამდვილი მტრისა და გონიერი მოკავშირეებისკენ; სწრაფვა, ურთიერთობისას ადგილი გაეცვალა მამისთვის, იქნებ, მოსვენებას უკარგავდა ლტოლვა სამხრეთისკენ, სადაც მას, იმპერატორის კავალერისტს, თავისკენ იტყუებდა ოდესღაც აქ პელეპონისამდე გადაჭიმული ან დაღუპული ბალკანური სამეფოები და მასში ამეტყველდა ბებიის, ბერძენის, სისხლი, ვისმა მოდგმამაც საკუთარი უზარმაზარი სიმდიდრე ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობით დააგროვა. ანდა, იქნებ, საქმე სულაც მესამე ბედნიერებასა და სურვილებში იყო, იმ ამღვრეულსა და ძლიერ სურვილებში, რომლებიც აიძულებენ ადამიანის სახეს, მუდმივად იცვლებოდეს. ის ხან ისე გამოიყურება, როგორიც სიბერეში იქნება, ხან კი ისე, როგორიც იმ დღეებში იყო, როდესაც მისი პატრონი ჯერ კიდევ ითვალისწინებდა გარშემომყოფთა აზრს. იმიტომ, რომ ადამიანის სახე სუნთქავს — ის ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს დროს.

აქედან მოყოლებული გამუდმებით და ბევრს მუშაობდა, რათა რაღაც ძირეულად შეეცვალა თავის ცხოვრებაში; რათა ოცნება, ასე რომ აწამებდა, რეალობად ექცია, თუმცა ყველაფრის გაკეთება მეტისმეტად ფარულად უხდებოდა, ამიტომ იყო, რომ მისი საქციელი ირგვლივმყოფთათვის ხშირად გაუგებარი რჩებოდა.

ახლა ახალგაზრდა ოპუიჩი ყველასგან დაფარულად ენის ქვეშ საიდუმლოსავით დაატარებდა ქვას ანდა, უფრო სწორად, საიდუმლოს — ქვასავით, მისმა სხეულმა კი ერთი ცვლილება განიცადა, რისი დაფარვაც ძნელი იყო და რაც თანდათან მოედო ყველას, როგორც ლეგენდა. თავდაპირველად ეს ქალებმა შეამჩნიეს, თუმცა არაფერი უთქვამთ, მერე ამაზე, უკვე ხმამაღლა, ხუმრობა დაიწყეს მისი პოლკის ოფიცრებმა, რის შემდგომაც მასზე საომარი მოქმედებების მთელი თეატრი ალაპარაკდა.

- პირდაპირ ქალივითაა. ყოველთვის შეუძლია! — სიცილით ამბობდნენ მასთან მომსახურე ოფიცრები. აი, იმ გადამწყვეტი დღიდან დააბიჯებდა ახალგაზრდა ოპუიჩი საიდუმლოთი მის შიგნით და მუდამჟამს გამზადებული მამაკაცური შუბით მუცელს ქვემოთ. სწორედ მაშინ გასწორდა მისი მეთერთმეტე თითი და ვარსკვლავების თვლას შეუდგა. და ყოველთვის ასე რჩებოდა. მას ეს არაფერს უშლიდა, ცხენს ძველებურად მხიარულად დააჭენებდა, თავის საიდუმლოზე კი, რაც, შესაძლოა, ყველაფრის მიზეზი გამხდარიყო, არასოდეს არავის უყვებოდა.

— სულელობს რაღაცას, - გაიძახოდნენ მისი თანაპოლკელი ოფიცრები და განაგრძნობდნენ სვლას ჩრდილო-დასავლეთისკენ, შეუცნობლობის მიმართულებით. ტალახიან ჯარისკაცურ გზას მამის სურვილით დაადგა, ოღონდ თვით მას, ხარლამპი ოპუიჩს, თითქმის არასდროს ხვდებოდა. ზოგჯერ იხსენებდა, ტრიესტის სახლში ღამით, უკუნ სიბნელეში, როგორ წამოსწევს მამა თავს ბალიშიდან და უსასრულოდ ხანგრძლივად აყურადებს.

- მაინც რას უსმენს? — გაოცებით ეკითხებოდა ბიჭი საკუთარ თავს. — სახლს? ომს? დროს? ზღვას? ფრანგებს? თავისსავე წარსულს? თუ ყურს უგდებს შიშს, მომავლიდან რომ აღწევს? მომავალი ხომ საჯინიბოა, რომლიდანაც შიში გამოგვეცხადება ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე დედა აიძულებდა მამას, თავი ბალიშზე დაედო, ასეთ მდგომარეობაში რომ არ დასძინებოდა — კისერწამოკინწულსა და ყურდაცქვეტილს. უფროსი ოპუიჩი შიშს ბადებდა როგორც ხელქვეითებში, ისე მათშიც, ვინც მას მეთაურობდა, ვაჟიშვილი კი მას უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე დედას, და მისგან უსაშველო გზებით დაშორებული, რომელთაც საომარი მოქმედებების გადამკიდე გამუდმებით მიუყვებოდა, მაინც ახერხებდა შვილზე ზრუნვას. შვილს, დიდი ხანია, არ ენახა და ისიც კი არ იცოდა, როგორ გამოიყურება მამა და შეძლებს კი მის ცნობას, თუ შეხვდება. ტრიესტში მყოფ დედაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შემთხვევითი სულაც არ იყო, დედამ რომ თქვა:

- ეს ორი სისხლის ნაზავია — სერბულისა და ბერძნულის. სურს, უძილობა ცისარტყელად გადააქციოს, სიზმარი კი ფარდულად, სადაც ვაჭრობენ.

სინამდვილეში პორუჩიკი სოფრონი ოპუიჩი თავის მწევრებს წააგავდა. ის კუთხეს ამოფარებული ხედავდა და ისმენდა. უკვე დიდი ხანია, ჯარისკაცად იქცა, ნახა ულმასთან გამარჯვება, როცა ის-ის იყო თოთხმეტი წელი შეუსრულდა, ოცდაორი წლისამ კი პრუსიაში დამარცხებაც, მაგრამ სულის სიღრმეში ძველებურად რჩებოდა ცხვირმოუხოცავ ღლაპად. ერთი კუთხიდან თუ ჯერ კიდევ მამა ეჩვენებოდა, მეორე კუთხიდან დედის ხმა ესმოდა. და საშინლად უნდოდა მათთან შეხვედრა. მან არ იცოდა, ვინ არის თვითონ.

## *შვიდი პირველი გასაღები*

### *პირველი გასაღები*

### მაგი



- ხომ არ ისურვებდით, ძუძუთი გამომეკვებეთ, mon lieutenant? — შეეკითხა ახალგაზრდა ოპუიჩს გოგონა, რომელიც ულმას შემოგარენში დიდი კარვის წინ იდგა.

პორუჩიკის ყურადღება მიიპყრო ჩიტმა, რომელიც კარვის თავზე ძლიერ ქარში მიფრინავდა და თან ერთ ადგილას რჩებოდა, თითქოს მიბმულიაო. კარვიდან ისმოდა მამაკაცის ხმა, რომელიც „მოგონებები — ეს სულის ოფლია"-ს მღეროდა, და ოპუიჩმა საფასური გადაიხადა და შევიდა.

კარვის შიგნით მაგიდაზე იდგა მაგი, - წელზე გველი შემოხვეოდა, რომელსაც კუდი პირით ეჭირა, - და მღეროდა, მაგს თმაში წითელი ვარდები ჩაემაგრებინა: სიმღერის ბოლოს მან, თითქოს დაუმიზნაო, პირიდან გამოჩრილი ერთ-ერთი ეშვიდან ხმა პირდაპირ იმ ჩიტისკენ მიმართა, კარვის თავზე ჰაერში რომ გაყინულიყო, და ამ ხმის ძალით ისე დასცა ძირს, როგორც ისრით. შემდეგ სტუმრებს შესთავაზა მიმსახურეთო. მას შეეძლო, სულ რაღაც მეოთხედ ნაპოლეონდორად შეეხრამუნებინა იქ მყოფთაგან ნებისმიერის სახელი, ოდნავ მოზრდილი თანხის საფასურად კი ამ სახელს გვარსაც მიაყოლებდა.

- იმას, ვინც დამთანხმდება, აღარასოდეს დაუძახებენ იმ სახელს, რასაც აქ მოსვლამდე ეძახდნენ. თუ გაქვთ სახლის გასაღები, სახლი კი ომმა დაგინგრიათ, მე შემიძლია, აღვადგინო იგი თვით უწვრილმანესი დეტალების ჩათვლით. ამისთვის გასაღებს, უბრალოდ, სპილენძის ქვაბში ჩავაგდებ, რადგან ყველა გასაღები გამოსცემს ხმას, რომელიც ყურში აბსოლუტური სიზუსტით აღწერს იმ შენობის ფორმასა და ზომას, რომელსაც ის კეტავს.

დასასრულს მაგმა იქ მყოფთ შესთავაზა, ჩაეფიქრებინათ თითო სურვილი, ის კი შეეცდებოდა, დახმარებოდა ამ სურვილების განხორციელებაში, ხოლო mademoiselle Marie, მადლიერების ნიშნად, ამ ადგილს რომ ესტუმრნენ, გასვლისას თითოეულ ამ ბატონს სიხარულით გაუმასპინძლდებოდა თავისი ძუძუს რძით. როცა სურვილის ჩათქმის ჯერი ოპუიჩზე მიდგა, მაგი, მიუხედავად იმისა, რომ დამსწრენი სურვილებს ხმამაღლა არ აცხადებდნენ, აშკარად შეშინდა, მაგიდიდან ჩამოძვრა და კარვიდან გავარდა.

„ნებისმიერი დღე შეიცავს რაღაც გონივრულს, ნებისმიერი ყვავილი კი თუნდაც სულ ერთი ციცქნა თაფლს", - გაიფიქრა ოპუიჩმა, მაგს დაენია, საყელოში წვდა, შემდეგ იქვე მდგომ კასრზე ჩამოჯდა და ისიც მუხლზე ჩამოისვა.

- გამოყავი ენა! — უბრძანა, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა. — წვიმს?

მაგმა თავი დაიქნია, თუმცა წვიმის ნასახი არ ყოფილა.

- სტყუი! შენ რა, ფიქრობ, შეგიძლია ისე მეთამაშო, როგორც იმ ჩიტს, შენი კარვის თავზე რომ მიფრინავს და თან ერთ ადგილას რჩება? თუ იცი, ვინა ვარ?

- ვიცი. ამიტომაც მინდოდა გაქცევა. შენ ტრიესტელი კაპიტან ხარლამპი ოპუიჩის ვაჟი ხარ.

- კეთილი. მაშინ საქმეზე გადავიდეთ. მართლა შეგიძლია, სურვილის ასრულებაში დამეხმარო?

- შენს შემთხვევაში არ შემიძლია. მაგრამ ვიცი, სად შეიძლება ამის შესრულება. საიდუმლოდ გაგანდობ: კონსტანტინოპოლის ერთ ტაძარში არის სვეტი, რომელზეც სპილენძის ფარია მიმაგრებული. ფარის შუაგულში ნახვრეტია. იმისი თხოვნა, ვინც საკუთარ სურვილს ისე ჩაიფიქრებს, რომ ცერა თითი ამ ნახვრეტში ექნება ჩაყოფილი, ხელისგულით კი ისე შემოხაზავს წრეს, რომ იგი წამითაც არ მოშორდება ფარის სპილენძის ზედაპირს, ცერა თითი კი ღრმულს, შესმენილი იქნება. მაგრამ იცოდე, ფრთხილად იყავი, ჩემო ბატონო. როცა *ღმერთს* სურს, ვინმე დასაჯოს, ის ერთდროულად იმეტებს მისთვის როგორც სურვილის ახდენას, ისე უბედურებას. იქნებ, ის ასე მხოლოდ თავის რჩეულებს ექცევა, ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ ეს ყველა შემთხვევაში სულ ერთია — ჩვენ პატარა ხალხი ვართ. ამიტომ, ჩემო ბატონო, ფრთხილად იყავი. და ნუ დაივიწყებ სიმღერას „მოგონებები — ეს სულის ოფლია".

- არც ერთი შენი სიტყვის არ მჯერა, - უთხრა პორუჩიკმა. — მაგრამ ერთ შეკითხვას მაინც დაგისვამ. შეგიძლია, მამის მოძებნაში დამეხმარო? მას შემდეგ აღარ მინახავს, რაც ქვა გაილახა, ქარმა კი წონაში მოიმატა. მხოლოდ ეს ვიცი, ლაიფციგისკენ უკან იხევდა, ახლა კი სად არის, წარმოდგენა არა მაქვს.

- ამ საქმეში ვერაფერი მშველელი ვარ; მხოლოდ ეს შემიძლია, გითხრა, რომ ამ კარავში ხუთშაბათობით მოდის გაიძვერებისა და შარლატანების მთელი კომპანია. აქ ისინი გულუბრყვილოთათვის წარმოდგენებს მართავენ. ჰოდა, ერთი ასეთი წარმოდგენა მამაშენის, კაპიტან ხარლამპი ოპუიჩის სიკვდილებზე აქვთ.

- რომელ სიკვდილებზე? ის ხომ ცოცხალია!

- ვიცი, ბატონო პორუჩიკო, რომ ცოცხალია. მაგრამ წარმოდგენას ასე ეწოდება: „კაპიტან ოპუიჩის სამი სიკვდილი".

- არც ერთი შენი სიტყვის არ მჯერა, - გაიმეორა პორუჩკმა და დასაძინებლად გასწია.

მაგრამ ეს კია, ხუთშაბათი გამოკითხვას მოანდომა. აღმოჩნდა, რომ მაგის კარავში მართლაც იმართებოდა წარმოდგენა ხარლამპი ოპუიჩის, მამამისის, სამი სიკვდილის შესახებ. როგორც კი კარავში შევიდა, ახალგაზრდა ოპუიჩმა დაიჭირა სასცენოდ გამოწყობილთაგან პირველივე, ვინც ხელში მოხვდა, და ჰკითხა, როგორ გაბედეს, გაეთამაშებინათ ცოცხალი კაცის სიკვდილი, რაზეც იმან მშვიდად უპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხა:

- იცით, ამ დადგმისთვის პირადად კაპიტანმა ხარლამპი ოპუიჩმა გადაგვიხადა, რომელსაც, ჩემო ბატონო, ძალიან უყვარს არტისტები და მფარველობას და დახმარებას გვიწევს როგორც ჩვენ, ისე თეატრს. ახლა ის სადღაც ელბაზეა.

რაკი იცოდა, რომ ტრიესტელი ოპუიჩები თავიდანვე თეატრის მეცენატები იყვნენ, პორუჩიკ სოფრონი ოპუიჩს ისღა დარჩენოდა, დამჯდარიყო და სპექტაკლი ენახა. მსახიობები, კარავში რომ იმყოფებოდნენ, მის დანახვაზე პირდაპირ გაქვავდნენ. იცნეს. მან თხოვა, ნუ მომერიდებით, დაიწყეთო.

დასაწყისში მაყურებლის წინაშე წარდგა ვიღაც კაცი სხვისი წვერითა და ფრანგული მუნდირით. ის კაპიტან ოპუიჩს თამაშობდა, გარშემო კი ოთხი ქალი და გოგონა ედგნენ. ქალთაგან ერთ-ერთმა მიმართა:

- თავიდანვე რომ ნათელი იყოს, რაშია საქმე, გაითვალისწინე, რომ მე არც დედის მხრივ შენი დიდი პაპის სული ვარ და არც თვითონ ის, ვამპირად გარდასახული. ის მოკვდა და მისგან არაფერი დარჩენილა — არც სული, არც სხეული. მაგრამ იმდენად, რამდენადაც სიკვდილები არ კვდებიან, აქ მე ვდგავარ. მე მისი სიკვდილი ვარ. აქვე კი, ჩემს გვერდით, დგას შენი დიდი ბებიის სიკვდილი. სულ ეს არის, რაც მისგან დარჩა. ახლა კი, თუ ყველაფერი გაიგეთ, წინ წავიდეთ. ასე და ამგვარად, შენს წინაპრებს მხოლოდ თითო სიკვდილი ჰქონდათ. შენთან ასე არ არის. შენ სამი სიკვდილი გექნება; აგერ ისინიც: ეს ბებრუხანა, აქ რომ დგას, მის გვერდით მდგომი ლამაზმანი და გოგონა — აი, შენი სამი სიკვდილი. კარგად შეხედე მაგათ...

- და სულ ეს არის, რაც ჩემგან დარჩება?

- დიახ, სულ ეგ არის, მაგრამ არც ისე ცოტაა. ოღონდ გაითვალისწინე, კაპიტანო, საკუთარ სიკვდილებს ვერ შეამჩნევ — ცხენდაცხენ ისე ჩაიქროლებ მათ ქვეშ, როგორც ტრიუმფალური თაღის ქვეშ, და განაგრძობ შენს გზას, თითქოს არც არაფერი მომხდარაო.

- მერე, რა მოხდება ჩემი მესამე სიკვდილის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მესამედ გავხდები ვამპირი?

- შენც და სხვებსაც ერთხანს მოგეჩვენებათ, რომ ჯერ ისევ ცოცხალი ხარ, თითქოს არაფერი მომხდარაო, და ასე იქნება მანამ, სანამ უკანასკნელი სიყვარული არ მოგაკითხავს; ვიდრე თვალს არ დაგადგამს ის ქალი, ვისგანაც შეძლებდი, შვილები გყოლოდა. მაშინ კი წამში გაქრები მთელი ქვეყნის თვალწინ, რადგან მესამე სულს არ ძალუძს, ბავშვები იყოლიოს, ისევე, როგორც იმას, ვინც მესამედ ხდება ვამპირი, არ შეიძლება, ჰყავდეს შთამომავლობა.

მერე კარავში სრული წყვდიადი ჩამოწვა და დათვის ღრიალი გაისმა. როცა სცენა კვლავ განათდა, აღმოჩნდა, რომ იქ ფრანგულმუნდირიანი კაცი (რომელიც კაპიტან ოპუიჩს განასახიერებდა) სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმია ვეებერთელა დათვს. კაცმა დათვს დანა დაარტყა, იმან კი, წინასასიკვდილო კრუნჩხვებში მყოფმა, მთლად შარდში ამოავლო და მოგუდა. ორივე მიწაზე დაეზღართა... მაყურებელმა ტაში დასცხო. მსახიობებმა მოკლულის სულის საოხად დარბაზში მსხდომებს თითო კოვზი წანდილი ჩამოურიგეს და ვიღაცამ ივარაუდა, რომ ეს არის კაპიტან ხარლამპი ოპუიჩის პირველი სიკვდილი. ახლა მეორის რიგი იყო.

მაყურებელს წარუდგა ლამაზმანი პირველი მოქმედებიდან და თქვა:

- თქვენ, ადამიანებს, არ გეხერხებათ საკუთარი დღეების გაზომვა. ზომავთ მხოლოდ მათ სიგრძეს და ამბობთ, რომ დღე 24 საათს გრძელდება. არადა, თქვენს დღეებს ზოგჯერ სიღრმეც აქვთ, თანაც უფრო დიდი, ვიდრე სიგრძე, და ამ სიღრმეს შეუძლია, გაუტოლდეს დღის სიგრძის თვესა და წელსაც კი. ამის გამოა, რომ არ ძალგიძთ, თვალი გაადევნოთ საკუთარ სიცოცხლეს, სიკვდილზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

ამ სიტყვებზე კარავში შემოვარდა ცხენზე ამხედრებული კაპიტანი ოპუიჩი. ცალ ხელში ჭოგრიტი ეჭირა, მეორეში — მათრახი, რომლითაც შემხვედრ მაყურებელს მოერეკებოდა. კვალდაკვალ ავსტრიულ მუნდირში გამოწყობილი თოფიანი კაცი მოჰყვებოდა. კაპიტანი შემობრუნდა და ჭოგრიტი თვალთან მიიტანა. ავსტრიელმა ოფიცერმა თოფი მოიმარჯვა, გაისროლა და ჭოგრიტში გამავალი ტყვიით განგმირა იგი, - კაპიტანი მიწაზე დაენარცხა, სადავემიშვებული ცხენი კი დაოთხილი გავარდა ღამეში... ეს იყო კაპიტან ოპუიჩის მეორე სიკვდილი. და კვლავ ჩამოარიგეს მისი სულის საოხად წანდილი.

მერე სცენაზე გამოვიდა გოგონა პირველი მოქმედებიდან და თავი მდაბლად დახარა:

- ნუ წახვალ! ჩემს მკვდრებს ამ საღამოს უჭირთ. ყურში თითი შემიყარე, რათა მძინარემაც ვიცოდე, რომ აქ ხარ. უსმინე! სიბნელეში გული კაკუნით აჯამებს ვიღაცის წლებს, რომლებიც ჩვენში სრულდება...

ეს იყო კაპიტნის მესამე, ყველაზე უმცროსი სიკვდილის წინასწარი უწყება. სცენაზე ღამე იყო (ისეთივე, როგორიც კარვის მიღმა). ორი კაცი ფარნებითა და ხმლებით ხელში ერთმანეთის შესახვედრად დაიძრა. აშკარად ჩანდა, რომ ეს დუელია. ერთი ამ კაცთაგან კაპიტან ოპუიჩს წარმოადგენდა (ფრანგული მუნდირით), მეორე კი ავსტრიელ ოფიცერს. ის, ვინც ოპუიჩს განასახიერებდა, უცებ შედგა, ხმალი მიწაში ჩაასო, ზედ ფარანი დაკიდა, თვითონ კი გვერდზე გადგა და, მოწინააღმდეგეს ზურგიდან რომ დასხმოდა თავს, სიბნელეში უჩუმრად დაიწყო მისკენ სვლა, თან აკვირდებოდა, ის, მეორე, როგორ გაუბედავად დგას ფარნით ხელში მისგან რამდენიმე ნაბიჯზე და ვერ გაუგია, რა ჩაიფიქრა მტერმა და რატომ შეჩერდა. სწორედ ამ დროს, სრულიად რომ არ მოელოდა, ხარლამპი ოპუიჩი სიბნელეში პირდაპირ წამოეგო ავსტრიელის ხიშტს მისი ხმლისა და ფარნისგან შორს, რომლებიც ავსტრიელმაც ეშმაკურად დატოვა შუა გზაზე ჩარჭობილი. და ეს იქცა კაპიტან ხარლამპი ოპუიჩის მესამე სიკვდილად.

„ვერაფერი გამიგია", - ფიქრობდა ახალგაზრდა ოპუიჩი, როცა კარვიდან გამოდიოდა.

სწორედ ამ დროს უკნიდან მოესმა:

- მით უკეთესი, თუ ვერ გაგიგია!

პორუჩიკმა უკან მოიხედა და დაინახა მაგი ვარდებით თმაში. და ჰკითხა:

- მაინც სადაა სიმართლე? ცოცხალია თუ არა მამაჩემი?

- ყოველ ადამიანს ერთი კი არა, ორი წარსული აქვს. — უპასუხა მაგმა. — ერთს „შენელება" ეწოდება. ეს წარსული ადამიანთან ერთად იზრდება, მისი დაბადების დღიდან, და მიჰყავს იგი სიკვდილისკენ. მეორე წარსულს ჰქვია „სვლა" და ის ადამიანს თავის დაბადებასთან აბრუნებს. ამათ სხვადასხვა ხანგრძლივობა აქვთ. იმის მიხედვით, რომელია უფრო გრძელი, ადამიანი ავადდება ან არ ავადდება საკუთარი სიკვდილით. მეორე იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავის წარსულს აგებს საფლავის იქითა მხარესაც და წარსული ზრდას განაგრძობს მისი სიკვდილის შემდეგაც. ჭეშმარიტება კი დევს სადღაც პირველ და მეორე წარსულებს შორის... მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ბატონ პორუჩიკს პაპესა ენახა? — უეცრად მოუჭრა მაგმა და გაშორდა.

*მეორე გასაღები*

## პაპესა



პაპესას შეეძლო, ნებისმიერი ადამიანის ცრემლებში ამოეკითხა ყველაფერი, რასაც ის სიზმრად ხედავდა. მთელი თავისი ცხოვრება ულმაში ისე გაატარა, ახალგაზრდობაში მკითხაობას არ გაჰკარებია. ამბობდა:

- რაში მჭირდება სხვისი დროის ნაკუწების ყურება იმისთვის, რომ დავინახო, რისგან არის შეკერილი ეს დრო? სულ არ მაინტერესებს, რა აქვთ ბატონებს თავიანთ საათებში და რომელი საათი უდევთ ქალბატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონებს კორსეტის ქვეშ.

ყვებიან, რომ მან გადაწყვიტა, ერთი ქუჩის კუთხეში პატარა სახლი აეშენებინა. როგორც კი მიწის სამუშაოები მოათავეს, მშენებლებმა მოთხოვეს, კარტი მოეტანა, უბრძანეს, კარგად აერია და ჯვარი გადაესახა. შემდეგ მისი სახლის საძირკვლის 78-ვე ქვის ქვეშ უკუღმა ჩააყოლეს თითო კარტი, თანაც არც ამოუტრიალებიათ, რომ ენახათ, სად რომელი კარტია.

ამ სახლში როგორღაც საღამო ხანს პაპესამ ნახა ერთი ისეთი სიზმარი, ორჯერ უფრო მეტ ხანს რომ გრძელდება, ვიდრე ღამე, რომლის განმავლობაშიც ასეთი ზმანებები გვეწვევა ხოლმე… ის იწვა თავის საწოლზე, რომლის ოთხივე საყრდენი ბურთულებით ბოლოვდებოდა. მასთან მამაკაცი და ლამაზი ახალგაზრდა ქალი მივიდნენ, კისერზე თავისივე თმა შემოახვიეს, ნაწნავები კი საწოლის თავთით, ფეხებს მიაბეს. მერე საწოლი ოდნავ წამოწიეს, ზუსტად იმდენზე, რომ ნაწნავი დაჭიმულიყო. და უთხრეს:

- ახლა შენს სახლს ზეცაში გადავიტანთ. ამისთვის ერთი კარგი ღამეც კმარა. ჩვენ სწრაფად ვმუშაობთ, ჯანიც კარგი გვაქვს. თუ წინააღმდეგობას არ გაგვიწევ და არ იყვირებ, ხელს არ გახლებთ. დაიყვირებ და — იმწუთას დაინახავ შენს სახლს ცაში. საწოლიდან გადმოსვლასაც კი არ გაიძულებთ.

ეს ყვირილს მოჰყვა და იმათაც საწოლის თავი კიდევ უფრო ასწიეს. და განაგრძეს სახლიდან ყველაფრის გატანა და საზიდარზე დაწყობა. ქალი ყვირილს განაგრძობდა და მაშინ იმათ საწოლი სიგრძივ დააყუდეს და პაპესაც ასე დარჩა დილამდე — საკუთარ ნაწნავზე ჩამოკიდებული.

თავის საწოლში კი გამოეღვიძა, მაგრამ ტრამალზე. ღამით, ვიდრე ღრმა ძილით ეძინა, ქურდებმა მართლა მოიპარეს მისი სახლი და გაიტანეს ყველაფერი უკანასკნელი ქვისა და კრამიტის ჩათვლით. შემდგომშიც ველარასოდეს ვერავინ იპოვა ვერც ფანჯრის ჩარჩო და ველარც კარის სახელური. ერთადერთი, რისთვისაც ქურდებს ხელი არ უხლიათ, იყო ბალდახინიანი საწოლი ოთხი საყრდენით, ოღონდ ისიც თითქმის ვერტიკალურად იდგა, თავით მეზობელი სახლის კედელზე მიყუდებული, თან ზედ საკუთარი ნაწნავით ნახევრად მოგუდული მისი პატრონი იწვა. და ფეხთით მიწას ჩასჩერებოდა.

ამის შემდეგ პაპესამ სახლის აშენება აღარ ინდომა და მეზობლად დასახლდა. მერე და მერე მოპარული სახლის საძირკვლის ადგილზე თეთრმა და წითელმა ვარდებმა იხარა, ამოიზარდნენ კვიპაროსები, მზესუმზირები, ხორბლის თავთავები, შროშანები და პალმები; ბაღის შუაგულში აღმართულიყო სიცოცხლის ხე, ხოლო მის გვერდით ხე ცნობადისა. და ყველგან მცენარეების ტოტები და ყვავილები, ერთმანეთს გვირგვინებად გადაწნულნი, თაღებს ქმნიდნენ.

ამის შემდეგ პაპესა ამბობს, რომ მისი სახლი ზეცაშია, თავისი ბალდახინიანი საწოლი ბაღში უდგას და ზედ მორთხმული კარტს ჩხიბავს.

სწორედ აქ მიაგნო მას პორუჩიკმა ოპუიჩმა. ორ ქვას შორის გაიარა — როგორც უთხრეს — შავსა და თეთრ ქვებს შორის და ბაღში შევიდა.

- პაპესა შენა ხარ? — ჰკითხა რაღაც საქმიანობით გართულ მოხუც ქალს.

- მე მთვარის ქალწული ვარ, - უპასუხა მან.

პორუჩიკმა მოსთხოვა, მიმკითხავეო — მეც და მამაჩემსაცო. მოხუცმა უბრძანა, საღამოს მოსულიყო. როცა ოპუიჩი მივიდა, მან კარტი საწოლზე გაშალა და, როგორც კი პირველი ქაღალდი ამოაბრუნა, შემდეგის ამოკითხვა დაიწყო:

- მამაშენი ეკუთვნის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანების ორდენს. მონასტრებში ასეთებს საერთო ჭერქვეშ მცხოვრებთ ეძახიან, - ესენი არიან მონაზვნები, ერთ გუნდად მცხოვრებნი. ისინი ერთად ჭამენ, ერთად დადიან ლოცვებზე, ერთად ცხოვრობენ. აქ კი, ერში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ეს ის ხალხია, ვინც უპირველესად ფლობს ძალაუფლებას, აწარმოებს ომებს. მამაშენი ძალას ფლობს, ხელთ ხმალი უპყრია, ჩექმების ქვეშ კი ერთი მოგებული ომი მოიტოვა. გარდა ამისა, ისიც და ყველა მისი მსგავსიც შესანიშნავი ექიმები, ბალახეულით მკურნალები, მომღერლები, მშენებლები, მევენახენი, მუსიკოსები და მწერლები არიან.

– რაც შეგეხება შენ, - განაგრძნობდა პაპესა, ჯერ კიდევ იმ ერთ კარტს ჩაშტერებული, - შენ არ შეგიძლია, მათ წრეში ჩაეწერო, ისეთი ადამიანების წრეში, როგორიც მამაშენია. გამარჯვებულის შვილობა ყოველთვის ძნელია! სამყარო არასოდეს იქნება მისი! შენს შემთხვევაშიც ასეა. მამაშენი და მისი საძმო სიკვდილამდე ახალშობილის საცოცავებში დაგტოვებენ შენ და თავიანთ სხვა შვილებს. ჰოდა, ასეც დაბერდები აკვანში. შენ გამუდმებით მშობლიური სახლი გესიზმრება, მამაკაცური კი არა, დედაკაცური ხატები გიყვარს და შენი ადგილიც იმ ეულთა საძმოშია, რომლებიც ისე ცხოვრობენ, რომ თითოეული თავის თავზეც თვითონ ზრუნავს, თავის საძმოზეც, კერიაზეც. მარტოობაში შენ კიდეც ჭამ, კიდეც გძინავს.

- მოიცა ერთი, - შეაწყვეტინა სოფრონიმ, - შენ ერთსა და იმავე კარტზე მამაჩემს სულ სხვა რამ ამოუკითხე, მე კი სხვა. ეგ როგორ?

- ძალიან იოლად. ერთი ღვინოს სვამს და შეირგებს კიდეც, მეორეს კი ეს ღვინო წყენს. კიდევ რა გინდა?

- განაგრძე.

მთვარის ქალწულმა ახალი კარტი ამოაბრუნა და ამოიკითხა შემდეგი:

- მამაშენი და მისი ამხანაგობის წევრები ერთმანეთს მხარს უჭერენ, როგორც ერთი დიდი წმინდა ოჯახის ნაწილები. სხვადასხვა სახელმწიფოებშიც კი ისინი ინარჩუნებენ ძმობის საკუთარ წმინდა სულს, რომელსაც ყველაფერი ემორჩილება. მამაშენს საკუთრება არ გააჩნია, რადგან ყველაფერი, რაც მას აქვს — საერთოა. მისი ეკლესია მათი ეკლესიაცაა, რადგან ისინი თვითონ შეადგენენ ეკლესიას. მამაშენს დღე უფრო უყვარს, ვიდრე ღამე, ხოლო ქალურ ხატებს მამაკაცურს არჩევს. მანამდე, ვიდრე სახელმწიფო, რომელსაც შენ ემსახურები, უფრო და უფრო ძლიერდება და მდიდრდება, ყველაფერი მამაშენის საკუთრება იქნება. მისი და მისი ძმობის წევრებისა. შენ კი, ჩემო ლამაზო, შეიყვარებ ვრცელ ველებს და მეომარი ვერასოდეს გახდები. პირიქით, შენ შეისწავლი მამაშენის მტრების ენებს და შეიძენ საუბრით ტკბობის უნარს, ამიტომაც შეისწავლი დუმილსაც. შეიძლება, მთელი წლებიც კი იყო ჩუმად, და აი, კიდევ რა: ზოგჯერ მარჯვენა ჩექმა ხომ არ გიჭერს?

- მიჭერს.

- ასეც ვფიქრობდი. მრავალი წლის განმავლობაში მოგიწევს, დაფარო და გულით ატარო რაღაც სანუკვარი ოცნება, რაღაც საიდუმლო თუ სურვილი, იმდენად დიდი, რომ მისმა სიმძიმემ უკვე დაგაწყებინა მარჯვენა ფეხით კოჭლობა. მოგიწევს, დიდხანს იარო ამ სურვილს, ამ შიმშილს გამოდევნებულმა, ტკივილს რომ გაგონებს: დიდხანს იხეტიალო საკუთარი ტკივილის დასაწევად, რომელსაც შენი შიმშილი მთელ ქვეყნიერებაზე მიერეკება. მთელი წლობით იბრძოლებ მის წინააღმდეგ. ფარულად და მარტოდმარტო. იმიტომ, რომ შენნაირები ერთმანეთს ვერ იტანენ. მეგობრები არ გეყოლება… ამიტომაც არ გეცოდინება, ვინ ხარ შენ.

- მშვენივრად ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ, - კვლავ შეაწყვეტინა პორუჩიკმა. — მე ერთი იმათგანი ვარ, ვისაც ადამიანები ხელებზე აფურთხებენ, როცა ის მუშაობს, და თეფშში უფურთხებენ, როცა ჭამს. მე იმათგანი ვარ, ვინც ხმლებსა და წყვდიადს ყლაპავს, ვინც ცეცხლს ალს სტაცებს, ჩემი მარცხენა ფეხი კი სიკეთეს არ უსურვებს მარჯვენას. ჩემს ერთ ჯიბეში ხორბალი ხარობს, მეორეში — ბალახი. სული ცხვირით დამაქვს და ყველა ცხვირის დაცემინებას მასწავლის. მამაჩემს იშვიათად თუ გადაუფარავს მზეს ღრუბელი, მე კი ხან წვიმა ჩამიდის ჯამში, ხანაც საწოლში თოვლი მიცვივა. მე იმათგანი ვარ, ვინც მოსაფხანად ჩანგალს ხმარობს და დანას მიწაში რგავს, კბილები კი ამომდის, რადგან, ვიდრე ვჭამ, კოვზები არ მეზრდება… შენი კუდმოკლე ნალაყბევი არაფერში მჭირდება.

- მაშ, რა გჭირდება, ჩემო პაწია შევარდენო?

- ის, რასაც შენ მიყვებოდი, მამაკაცური ისტორიაა, მასზე უკვე მსმენია მონასტრებში. ქალურ ისტორიაზე რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტყვი? იქნებ, მითხრა, ქალის ადგილი სადღაა შენს – ან მონასტრის, ან რომელიც გნებავს – ისტორიაშიო? შენ რა, ქალები სულ დაგავიწყდა? თუ ყველა ეს ამბავი მხოლოდ მამაკაცებისთვისაა? მინდა, ვიცოდე, ვინ არის დედაჩემი, ვინ არიან ჩემი დები, ვინ კიდევ — ჩემი მომავალი ქალიშვილები.

- ამას მე შენ არ გეტყვი. ამ კითხვებზე პასუხს ვიღაც სხვა გაგცემს, უფრო ზუსტად კი მესამე ფეხსაცმელი.

- ეგ მესამე ფეხსაცმელი რაღაა?

- ეს არის ქალი ორივე სქესით.

- ეგ როგორ? — გაოცდა პორუჩიკი.

- მამაკაცებს მხოლოდ ერთი სქესი აქვთ, ქალებს — ორი. აი, მესამე ფეხსაცმელს კი უფრთხილდი!

ამ დროს ახალგაზრდა ოპუიჩმა კვლავ იგრძნო მკერდს ქვემოთ ის პატარა შიმშილი, რომელიც სულში ისე გაყუჩებულა, როგორც ტკივილი. მან შეიგრძნო, რომ ბაღში, როგორც ეკლესიაში, ყველგან საკმევლის სუნია და დაიწყო ამოკითხვა და გარკვევა სუნების მნიშვნელობებისა ისე, როგორც სიტყვების მნიშვნელობებს იგებდა. სუნებს კი იგი თავისი გზით მიჰყავდათ — მცენარეების გავლით მიწაში. შროშანი ისე გადაეშალა, როგორც წმინდა ფიქრი, სურვილით შეუბღალავი, როგორც მარადიული ცხოვრება, როგორც ქალის რძე, ძილში რომ ანაყრებს; როგორც სახედრის ასო, როგორც სამოსი, მიუწვდომელი მამაკაცისთვის, მაგრამ როგორც გადასაფარებელი, ხელმისაწვდომი სიჭაბუკისთვის. თეთრმა ვარდმა თრაკიის სუნი გაუშვა, კიდევ — ცოდვით დაცემამდელი ევასი, შემდეგ - მუჰამედისა, ვენერას კაცობრივი სულისა და სისხლისა, რომელიც თავისუფალი იყო თანმდევი ავხორცობისგან, ხოლო, როდესაც ამ სისხლმა იგი წითლად შეღება, ვარდს ვნების სურნელი აუვიდა, ცოდვითდაცემის შემდგომი ევასი, ეშმაკის წყევლისა და უფლის წყალობისა, და ამ დროს ხუთფურცელა ვარდმა იგი აღავსო სიცოცხლის ძალით, რომელიც ომის ღმერთის საკუთრებაა. კვიპაროსი ისე შეირხა, როგორც სიყვარულის ქალღმერთის წმინდა ხე, საგრძნობი გახდა სამოთხისა და წმინდა მთის, ცეცხლის, ზევსის სკიპტრისა და ამურის ისრების, ვერცხლის, ოქროს და ცხიმისფესვებიანი ალის კეთილსურნელების სიახლოვე. ხორბალს ქრისტეს სხეულის სუნი ასდიოდა, დედა-მიწისა, ბრონეულის ნაყოფისა და მინისქვეშეთისა, მისი ექო კი გამოსცემდა მარილისა და ღვინის სუნს — პალმა სიკვდილზე გამარჯვებას და მოძრაობის ძალას ატარებდა, მზესუმზირები მზეს კი არა, მას უმზერდნენ, ხოლო ხე ცნობადისა ბებრუხანას ზურგს უკან ისე სთავაზობდა თავის ხუთივე ნაყოფს, როგორც ხუთ ადამიანურ გრძნობას. სიცოცხლის ხეზე კი, პორუჩიკ ოპუიჩის უკან რომ იდგა, თორმეტი ფოთლის ნაცვლად გაჩნდა ცეცხლის ზუსტად ამდენივე ენა, რომლებიც რაღაც საერთოთი მაშინვე აღმოჩნდნენ დაკავშირებულნი ცის თანავარსკვლავედთან და მის შიგნით ჩაბუდებულ ტკივილთან.

აქ მან დაინახა, რომ პაპესამ კვლავ დაიწყო საწოლზე კარტის გაშლა: პირველი მაგი ამოვიდა, შემდეგ ქურუმი, მერე კიდევ ორი კვერთხი, დენარიების ტუზი, თასების ტუზი და ზომიერება.

- შროშანი ამოვწურეთ, - თქვა ქალმა და კვლავ განაგრძო ახალი კარტების ამოღება — საწოლზე ცვიოდა მასხარა თეთრი ვარდით, მაგი, ქურუმი და დენარიების დედოფალი — წითლისთვის, ხოლო ხუთფურცლიანი ვარდისთვის მან გახსნა სიკვდილი. პალმისთვის თვითონ პაპესას კარტი ამოვიდა, კვიპაროსისა და ხორბლის თავთავებისთვის გაიხსნა იმპერატრიცა, მზესუმზირებს შეხვდა კვერთხის დედოფალი და მზე, სიყვარულის და შემეცნების ხეებს კი კარტები — შეყვარებულები და ეტლი ერგო.

- მაშ, მცენარეები იმ კარტების ენით ალაპარაკდნენ, რომლებიც შენი მოპარული სახლის საძირკველშია ჩატანებული? — ჰკითხა პორუჩიკმა.

- არა, კარტები, უკვე ათასი წელია, ლაპარაკობენ იმ მცენარეების ენით, რომლებშიც კაცობრიობის ბედია ჩაწერილი, მესამე ფეხსაცმელი კი — ეს ის არის, რომელიც მცენარეებს არ თელავს.

ბაღიდან განთიადისას გამოსულმა პორუჩიკმა სოფრონი ოპუიჩმა თავი ისე იგრძნო, თითქოს უფსკრულის პირას იდგა. ხმაჩახლეჩილმა ყვავმა თავზე გადაუფრინა და შავი ფრთებით გავარცხნა ქარი. კაცმა იგრძნო, რომ მისი მარტოობა უცბად გაორმაგდა, შემდეგ მატება დაიწყო, ცოტათი გაიზარდა და წამით შეჩერდა, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდა იმ რაოდენობას, რაც საკმარისია ორისთვის. მის მარტოობაში იმყოფებოდა კიდევ ვიღაც, მისნაირი ეული. და მან გაიფიქრა, რომ მარტოსულისთვის ეს ნამდვილი ბედნიერებაა.

*მესამე გასაღები*

**იმპერატრიცა**



1813 წლის სააღდგომოდ პორუჩიკი სოფრონი ოპუიჩი საიდუმლო სამხედრო დავალებით თავისი არმიის მთავარ შტაბში გაგზავნეს. გზად ტრიესტი უნდა გაევლო და სოფრონიმ ბოლოს და ბოლოს, მრავალი წლის შემდეგ კვლავ იხილა მონითალო მიწა, წითური ძროხები ბრწყინვალე ბურთებით რქებზე, შეისუნთქა ზღვის მწარე ქარი და ღამე მშობლების სახლში გაათენა, თუმცა იმ საღამოს დედის ნახვა ვერ მოასწრო.

ვეებერთელა მძინარა სახლში მას დახვდა ულამაზესი ქალი კბილში ძვირფასი ქვით, ყორნის ფრთისფერი თმით, ვერცხლისფერი მტვრით უხვად რომ გაეჯერებინა, და ხელოვნური ხალით ძუძუებს შორის.

„ეს მუდამ ჩვიდმეტისა იქნება“ — გაიფიქრა სოფრონიმ, ქალმა კი უთხრა, რომ ის პეტრა ალაუპია და მას, ასე, დეიდად მოხვდება და რომ ქალბატონ პარასკევასგან, მისი დედისგან, დავალებული ჰქონდა, ამ ღამით ვაჟის მოსვენებაზე ეზრუნა. ამის შემდეგ ლამაზმანმა ვაჟი იმ ოთახში შეიყვანა, სადაც კედლებზე ხატები, სარკე და ოვალურჩარჩოიანი ნახატი ეკიდა. ოპუიჩმა განცვიფრებით შენიშნა, რომ ნახატზე არაფერია გამოსახული ხავერდის ფარდის გარდა. პეტრამ სარკე კედლისკენ შეაბრუნა, რათა ფარვანები არ მოეზიდა, სიტყვის უთქმელად დაეხმარა ახალგაზრდა ოპუიჩს გახდაში და ლოგინში ისე ჩააწვინა, თითქოს პატარა ბავშვს შველოდა. მისი მეთერთმეტე თითი რომ იმ მდგომარეობაში დაინახა, როგორშიც ის მუდამ იყო, ქალმა შენიშნა:

- ქალბატონი პარასკევა ამბობს, რომ ასეთ მდგომარეობაში შენი ეკლესიაში წასვლა არ შეიძლება.

მერე ლამპის ქვეშ დაჯდა და საქსოვი ჩხირები აიღო.

- მშიერი ხარ? — შეეკითხა, თან ცდილობდა, სიცილი საქსოვში ჩაემალა.

ოპუიჩმაც გაიცინა და უთხრა:

- მე თევზის სახელი მაქვს. კიდევ თევზი მჭირდება და მაძღარი ვიქნები, მაგრამ თევზი ყველას როდი ერგება ხოლმე.

- ერთი ამას დამიხედეთ, - გამოეპასუხა პეტრა. — ახლა მას ყველაფერი უნდა და მზად არის, ყველაფერი გასცეს, ოღონდ მიიღოს ის, რაც უნდა, მაგრამ საკმარისია, მისცე, მაშინვე შენზე ჩამოეძინება და თან პირზე დაგაწუწნავს დორბლს თავისი რომელიმე წყეული სიზმრიდან, რომელშიც იმას აძლევენ, რასაც ცხადში არასოდეს მისცემდნენ. არადა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცბად ვერც გამოაღწევ მის ქვეშიდან. აი, შენ გორგალი, გეჭი-როს, სანამ დაიძინებ, ოღონდ ფრთხილად, ძაფი არ გამიწყ-ვიტო, თუ განყვეტ, იმისი საქმე, ვისთვისაც ვქსოვ, წასულია.

- და რას ქსოვ?

- თმები შევაგროვე და ასოზე წამოსაცმელს ვქსოვ.

- ვისთვის?

- რასაკვირველია, შენთვის არა — შენთვის ზომა არ ამი-ღია.

ამ დროს პეტრამ მუშაობა შეწყვიტა და ლამაზად ჩამოქნილი ხელი მკერდზე მიიდო.

- ო, ო, მიჭირს, - ჩაიჩურჩულა მან.

- რა მოგივიდა?

- სტუმარი მყავს.

- რა სტუმარი?

- ეს რაღაც პატარა ტკივილია გულს ქვემოთ, რომელიც ტირის, როგორც შიმშილი. ან, უკეთ რომ ვთქვათ, სუსტი ში-მშილი, რომელიც ტკივილს ეძებს.

- უფრო იმას თუ იფიქრებ, რომ სტუმარი შენთან ადრე იყო, ტკივილი და შიმშილი კი სულის ფსკერზე სტუმრის შემდეგ, ჩვეულებრივ, თავისთავად ჩნდებიან. დიახ, ასეა, თუ არა, მე არ ვიყო ის, ვინც შავი წვერის ქვეშ თეთრითაა მოსილი. ჩემთვის ცნობილია, რომელ თასში არ ასხამენ ღვინოს.

- ოჰ, როგორ მიჭირს! რომელში?

- სავსეში, თავადაც იცი.

- შენ არაფერი იცი. შენი გონება მხოლოდ ყურების იმედად მუშაობს. იცი, რამდენნი იყვნენ ისინი, ვინც ღამე ამ თმების ქვეშ გაათენა?

- არ ვიცი.

- ჰმ, მეც არ ვიცი. მაგრამ ვიცი, რომ ამ შიმშილით დავი-ბადე.

ეს რომ თქვა, პეტრე ფანჯარასთან მივიდა და საყვავილე ქოთნიდან ზღარბა ბალახის კონა ამოწიწკნა, პირში ჩაიდო, გასკვნა, მერე ნასკვი სოფრონის უჩვენა:

- მორჩა, უკვე აღარ მტკივა... შენ? მე ვფიქრობ, ქალის პური ჯერ არ გაგისინჯავს. რა? არაფრით მესამე თვალი არ აგეხილა? აბა, აბა, არ შეშინდე. გაჩერებული საათიც კი ზოგჯერ დროს სწორად უჩვენებს... მოდი, გასწავლი, ოთხი ხელით როგორ ილოცო, ოღონდ თუ რაღაცებს გამოიცნობ.

- რას?

- გამოიცანი, რას ეძახიან ჩემს მარცხენა ძუძუს.

- არ ვიცი.

- მარჯვენას?

- ვიცი! — და პორუჩიკმა ოპუიჩმა სიბნელეში რაღაც წაუჩურჩულა.

- გამოიცანი! — სიცილით გადაბჟირდა პეტრა, კედლიდან გიტარა ჩამოხსნა და გაუწოდა.

- კი, მაგრამ დაკვრა რომ არ ვიცი?

- არცა გთხოვ. ამაში ვერცხლის მონეტა ჩააგდე და შემოდი.

აქ სოფრონიმ გადაწყვიტა, უკანასკნელი კარტი გაეთა-მაშებინა. მან გულზე ხელი მიიდო და დაიკვნესა.

- რა მოგივიდა? ახლა არ თქვა, რომ შენც სტუმარი გეწ-ვია. პატარა ტკივილი გულს ქვემოთ, რომელიც ტირის, როგორც სუსტი შიმშილი.

- არა, ეგ არა.

- მაშ, რა?

- ვერცხლის მონეტა არ მაქვს.

- ძუნწო! — თქვა პეტრამ, სარკე ოთახისკენ, ხატი კედლისკენ შეაბრუნა და სოფრონის ლოგინში შეუწვა. ორივე ძუძუზე რაღაც ჰქონდა, პატარა მსხლის მაგვარი. — შენ თუ არა გაქვს ვერცხლის მონეტა, დედაშენს ხომ მოეძევება, - ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ქალმა, ბაგე ბაგეზე მიდებულმა.

- ვაი, ვაი, ჩემო ოქროებო, გამოიჩინეთ გონიერება და ყველა ქარს ნუ დაუჯერებთ!

ამ სიტყვებით გაალვიძა ვილაცამ ახალგაზრდა პორუჩიკი ოპუიჩი ოთხშაბათს, წმინდა მარტინ მქადაგებლის დღეს, ტრიესტში, თავის სახლში.

- ვაი, ვაი, ჩემო ოქროებო, - ისმოდა ხმა, ისეთი ღრმა, თითქოს იგი მისი ქალური წიაღიდან მოედინებოდა, - დაე, თქვენი სასანთლე ერთადერთი იყოს ათასიდან! მგელს ხომ ცხვრის დაგლეჯა ფარაშიც შეუძლია. ვაი, ვაი, ჩემო ოქროებო! ნუ გაივლით იმ მხარეს, სადაც ცრემლებს ღვრიან; ნუ წახვ-ალთ შავი ღრანტეებისკენ; ბედნიერების და სიამტკბილობის ნაპირიდან ნუ წახვალთ იმ ნაპირებისკენ, სადაც ტყუა და ქარი, სადაც ყველაფერს, რაცა იწონება და დგას, უთავო ქუდის ფასი ადევს. იცოდეთ, მეორე მხარესაც უფრთხილ-დით! ვაითუ, თქვენთან, ჩემო შვილო, გადმოიპაროს ყაჩაღი, რომლის თვალიდანაც წყდიადი გამოიყურება, კბილებიდან კი კოცნები. ის თქვენ იქაც მოგწვდებათ, სადაც ვერანაირი შავი ჭირიც ვერ აღწევს... ვაი, ვაი, ჩემო ოქროებო.

სანოლთან ვეება დედაკაცი დახრილიყო; მისი თმა ჭალა-რა კულულებს დაემშვენებინა, რომლებიც შავ თმებზე გა-ცილებით მოკლე ჰქონდა, რადგანაც თეთრი თმა უფრო ნელა იზრდება. ვაჟს დასჩერებოდა თვალის გუგები, ამპურათი და-ფარული, ისეთი, თითქოს გველის კვერცხებიაო. ვიდრე ქუთ-უთოებს ასწევდა, სოფრონიმ მუდამ მისი თანამდევი აკაციის სუნი იგრძნო და ამ სუნით იცნო დედა. მასთან ერთად სანოლზე დახრილიყო ოთხი თუ ხუთი ქალი შრიალა ხაბარ-დიანი კაბებით და ერთიც შავულვაშიანი მელოტი ახალგაზ-რდა.

- ადექი, ძილისგუდავ, ეკლესიაში წასვლის დროა! — ტკბილად მიმართავდა დედა და თან ხატს პირით ოთახისკენ აბრუნებდა. — რას კენკავს ქათამი? ხორბალს. საათებს რიღა-თი კვებავენ? წიკწიკით, ჩემო ძვირფასო. უსმინე, ის კენკავს და წიკწიკებს ერთსა და იმავეს: ამ-წუ-თას! ამ-წუ-თას! ამ-წუ-თას!

და ქალბატონმა პარასკევამ შვილს გადასაფარებელი გა-დააძრო, ქალებმა კი წამოიკივლეს, როცა ის შიშველი იხილეს, სრულ მზადყოფნაში.

- მოსაკლავია ეს პეტრა! ასეთ ფორმაში ეკლესიაში როგორ წამოხვალ? — იფეთქა ქალბატონმა პარასკევამ, ხელები ერთმანეთზე გადაიჯვარედნა და ყურებზე წაივლო.

წმინდა სპირიდონის ეკლესია ხალხით იყო გადაჭედილი. თვალში მაშინვე გეცემოდათ, რომ მისი ფუნდამენტი ერთ მხარეს დაწეულია, ამიტომ იმ ხატების დაბოლოებები, რომლებიც სამხრეთის კედელზე ეკიდა, ცოტათი დაცილე-ბია ზედაპირს. ნაკვეთს, რომელზეც ეკლესია ააგეს, მინის-ქვეშა წყლები გაუდიოდა. მსახურების დროს სოფრონის ვი-ღაცამ დეზზე დააბიჯა, ის შემობრუნდა და დაინახა პეტრა, შავებით მოსილი. მან ღიმილი გაუელვა - ფსკერზე ძვირფასი ქვით.

- შეხედე, - უთხრა პეტრამ და მისი ყურადღება ირგვლი-ვმყოფებისკენ მიმართა, - აგერ, წმინდა ალიმპის ხატთან რომ დგას, აი, ის, ნაწნავები კისერთან რომა აქვს დახვეული, შენი და სარაა. მაგას ენის ქვეშ ბეჭედი აქვს, შიმშილი რომ მოატყ-უოს, საღამოობით კი ხელთათმანების ნაცვლად ხელებზე წინდებს წამოიცვამს ხოლმე, რადგან არავინ ჰყავს, რომ გა-ათბოს. ის კი, დედაშენის გვერდით, წელზე წამწამის შემორ-ტყმას რომ შეძლებს, შენი რძალი ანიცაა. შეგიძლია, ძუძუე-ბს შორის მთელი ბოკალი ღვინო ჩაასხა და ისე დალიო, წვეთიც არ დაგექცეს. მის გვერდით კი შენი მეორე რძალია, მარტიცა, და მისგან ისევე იოლია რაღაცის მიღება, როგორც მისი აცრემლებაა ძალიან ადვილი.

ეს ქალი თუ დაგესიზმრება, ბალიში ამოაბრუნე და ისიც სიზმრად გნახავს. აი, ის მელოტი კი ლუკაა — მისი ქმარი და შენი ძმა. ახლა ხელში ქვა უჭირავს, წირვაზე რომ არ ჩაეძინ-ოს. თუ წათვლიმა, ქვა გაუვარდება და გაალვიძებს. დედა-შენი ამბობს, მაგას ქვა ლოგინშიც ხელში უჭირავს, მარტიცას რომ ჩაუგორდება ხოლმეო.

- ახლა ცოტაოდენი მთვრალი პური, - თქვა ქალბატონმა პარასკევა ოპუიჩმა და თორმეტ კაცზე გაშლილ სუფრას მიუჯდა. — მერე კი წვნიანს მივაპყრობთ მზერას. აი, რას ვეუბნები მათ, ერეტიკოსებს, უფალო, ვინც ზღურბლთან ინახავ ჩვენს ბედნიერებას. ვისი ეტლითაც ვმგზავრობ, იმის ცხენს ვაქებ, დაიფარე, ღმერთო, ჩვენი პატრონი და ჩემი მბრძანებელი ხარლამპი, სუფთა ქმენ მისი და ჩვენი ხელები

შენი პურისა და შენი სისხლის წინაშე, რადგან შენი ხელები მარადჟამს სუფთაა და ამ ხელებს ახლოს არ აკარებ სიტყვებს. მე თავს დავიფარავ, ღმერთო, და შენც დამიფარე. მეც და ყოველივე ის, რაც ჩვენს ხარლამპის ეკუთვნის. ამინ!

როცა ყველა მაგიდას მიუჯდა, ქალბატონმა პარასკევამ პურის ნატეხი აიღო და სარტყელში ჩაიჩურთა.

- შეხედე, შვილო, შენს დებს და ძმებს, მათ ცოლებს — შენს რძლებს — ამათთან წელიწადში ექვსი თვე ივნისია, დეკემბერი კი გაჭირვებით თუ შეაღწევს მათ სახლში. და ყოველივე ეს მათ ჩვენმა მამამ, ხარლამპიმ მისცა. აბა, მარტა, ერთი შეხედე: შემწვარი ღვეზელი სურნელოვანი ბალახებით; ნახე, მარკო, შაქარში შებრაწული გოჭი და კომბოსტო, წმინდა ლუკას დღეს დამწნილებული. გადაიღე, სარა, გირცები; შენ კი, ლუკა, ვიცი, ყველაფერს სარდინი გირჩევნია, ღვინოში მოხარშული. გადაიღეთ, ჩემო შვილებო, მტრედებიც — ორფრთიანებიც და სამფრთიანებიც. დატკბით ამ მშვენიერებით და მიირთვით. ყველაფერი ტკბილად დნება პირში, გათბობს, ენას გიშუშხავს, კბილებში კრაჭუნობს, წვენს უშვებს, ყურებში სკდება, ყელს გისიებს. როგორც კი გადაყლაპავ, უკან ბრუნდება და ცხვირში გიხიცინებს: მოგონებები, ტკბილი მოგონებები, რომლებიც ისე გკოცნიან, როგორც ხატს... შენ კი, ანიცა, ყურს უკან ნივრის კბილი მიიწებე უწმინდური ძალისგან დასაფარავად, შენს სიახლოვეს რომ დადის, და ჩემი ცუღლუტი სოფრონისგან დასაცავად, რომელიც თავს სხვისი წყურვილით ირწყულებს და სხვისი შიმშილით ძღება. შენ თუ იცი, სოფრონი, რაა ყველაზე გემრიელი?

- არ ვიცი, დედილო.

- მამისეული სახლი. როგორც წესია, ისე მოეფერები კარების წირთხლებს და სახელურებს, ფანჯრებს და ზღურბლებს და გადმოაფურთხებ მხოლოდ გასაღებს.

- მე, დედი, მამის სახლი არაფერში მჭირდება.

- ამას დამიხედეთ! მთელი ცხოვრება ყველივით ცხიმში კოტრიალობს, ბავშვობიდანვე შეეჩვია, ახლა კი უცბად მისთვის მშობლიური სახლი სახლი არ ყოფილა! იცი, რა, მე უკეთ ვიცი, რა გჭირდება. ცოლი გჭირდება! აქ კი, ამ ქისაში, სამაჯური დევს მისთვის!

და სოფრონის ძმამ, მარკომ, სწრაფად მიაწოდა აბრეშუმის თოფრაკი. ამან შიგ აღმოაჩინა ოქროს სამაჯური წარწერით, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „მე ვარ ავგაროზი..."

- მადლობელი ვარ, დედილო, მაგრამ ცოლის მოყვანას არ ვაპირებ.

- მერედა მე რაღას მიბრძანებ? დავაავადმყოფდე შენი სიჭაბუკით, ვიდრე შენ მისგან განიკურნები? სახლი არ გჭირდება, ცოლი არ გჭირდება. მაგრამ შენი ცოლი მე მჭირდება, სახლი კიდევ შენს დებს. იოვანა უმზითვოდ დარჩება, თუ მზითვში ჩვენი სახლი არ ერგება. მე შენ ტუზივით სახელოს ქვეშ გმალავ და, რადაც უნდა დამიჯდეს, მაინც დაგაქორწინებ! ეკლესიაში პეტრა ხომ ნახე. ეგ არც კაცის, არც ქალის ჯვარს არ ზიდავს, მაგრამ ზვარიც იმდენი აქვს, რამდენიც გემი. მაგას ცეცხლის აწონვაც კი შეუძლია. დაქორწინდი მასზე. ეგ ქალი კერიასაც მარილს შემატებს, ჩანგალსაც მოათვინიერებს. მაშინ ჩვენი სახლის ნახევარს იოვანას მივცემთ მზითევში და ისიც შეძლებს საქმროს შერჩევას. შენ თუ არ დათანხმდები, ამასაც სხვა გზა აღარ დარჩება. — გაჰყვება მოხუცს და მდიდარს. აი, ახლა შენ ამოირჩიე.

- თუ არადა, თითით იმკითხავე, - საუბარში ჩაერთო სოფრონის რძალი, მარტა, რაზეც ანიცას გაეცინა და დაუმატა, თან მაგიდაზე უთითებდა:

- ეს ყვერული მდედრობით შეშაზეა გამომცხვარი თუ მამრობითზე?

- არ მინდა, დედილო, რომ ასე უბრალოდ, ყვერულზე გამათხოვონ.

- არა, შენ თუ იცი, მე როგორ გამათხოვეს? ერთხელ ღამით სიზმარში რაღაცნაირად ენაზე ვიკბინე. მეორე ღამესაც იგივე განმეორდა და ენაზე იარაც კი დამრჩა. ჩემს თავს ვეკითხები: ასეთს მაინც რას ვლაპარაკობ ღამღამობით, საკუთარ ენას რომ ვიკბენ? მეხსიერებაში გადავათვალიერე ყველა სიტყვა, რაც კ ვიცოდი და — ვიპოვე! ვიპოვე ის ერთადერთი სიტყვა, რომელიც ჩემს ენაზე გაჩენილ ნაჭდევზე ისე იდო, როგორც ხმალი ქარქაშში. ტრიესტი! — წამოვიძახე და პირველივე საფოსტო კარეტით მოვფრინდი პირდაპირ აქ, პირდაპირ ხარლამპი ოპუიჩის მკლავებში. ეს ისე კარგად მახსოვს, თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდაო. ჩვენ ერთმანეთი ერთ სახლში ბალზე გაგვაცნეს და მე მასთან ცეკვა მოვინდომე. დავუწყე ძებნა. ქალებმა მითხრეს დაკავებულიაო. „რას ჰქვია, „დაკავებულია?" — ვიკითხე. მათ გაეცინათ, კარში ამოჭრილ პატარა სარკმელთან მიმიყვანეს და მითხრეს უყურეო. მეც გავიხედე და ვხედავ: ხარლამპი ოთახში ცოცხალ დათვთან ჩაუკეტავთ და, როცა ამან სასიკვდილოდ დაჭრა, ტკივილისგან გამწარებულმა დათვმა თავით ფეხამდე შარდში ამოავლო. მე და მან ბევრი ვიცინეთ და ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და იმავე 1789 წელს, ზამთრის ყველაზე სუსხიან სიცივეში გაგაჩინე შენ, სოფრონი. აი, ასე ხდება ეს... ჭამე, ჭამე, ჩემო შევარდენო, ჭამე და ნურაფერს იდარდებ. რაც უკეთ ჭამ, მით უკეთ ისმენ. ხოლო, რის გაკეთებას აპირებ, მე ნუ მეტყვი, შენს დას, იოვანას უთხარი. მე კი უკვე საქორწინო კვერებს ვამზადებ. როცა მათ ზელ, თითებქვეშიდან ისე გეხმაურებიან, როგორც მამაშენის პოლკის ბარაბანი. შიგნით ორ-ორი კვერცხის გული უკრთით, როგორც ორი კერტი, და საკმარისია, მოკბიჩო, სუნთქავენ!.. აბა, გაგიმარჯოთ!

იმ საღამოს სოფრონი თავის ოთახში მარტო შევიდა და შუქიც არ აუნთია, ისე გაიშოტა საწოლზე. კედელზე, ხატისა და სარკის გვერდით, სწორედ ის ოქროსჩარჩოიანი ოვალური ნახატი ეკიდა, რომელზეც ხავერდის ფარდა იყო გამოსახული, მაგრამ მან ამჯერად ქალის მშვენიერი პორტრეტი შენიშნა, ისეთი ოსტატობით შესრულებული, რომ ქალი ცოცხალი გეგონებოდათ. ღია ფერის თმაში ოქროს მტვერი უბრწყინავდა, მკერდი მოშიშვლებული ჰქონდა, როგორც ეს უკანასკნელ მოდას შეეფერებოდა, და მხოლოდ გამჭვირვალე შარფით დაეფარა. იქიდან გამოსჭვიოდა ძუძუს კერტები, იმავე ტუჩსაცხით შეფერილი, რომელიც ბაგეზე ესვა. ყოველივე ეს ისე ცოცხალივით გამოიყურებოდა, რომ სოფრონი ახლოს მივიდა და ოსტატურად გამოსახული მკერდისკენ ხელი უნდობლად გაიწვდინა. და მაშინვე თითებში მიიღო ოთახში გამეფებული სიბნელიდან.

- აბა, ხელი არ მახლო! — თქვა პორტრეტმა. — მე შენი და, იოვანა ვარ, ხოლო ეს სურათი კი არა, ჩემი ოთახის ფანჯარაა. შენ კი, ჩემო ძმავ-ბატონო, მადლობა იმისთვისაც, რაც მომეცი, და იმისთვისაც, რაც არ მოგიცია. მე ჩემს სულში მყავს მიწიერი მსახური — საკუთარი სხეული. და ის მემორჩილება. ნახე, როგორი მორჩილია...

და იოვანა თავისი ფანჯრის ჩარჩოს მიეყრდნო და ატირდა.

- მაშინ კი, ძმავ-ბატონო, როცა გაბრაზდები და წლებს ქვებივით დამიშენ, ზემოდან, ემპირეებიდან, ცის ორპირიდან, სადაც ჩიტები დაჰქრიან, ჩამოვა ქალწული და ჩემთან ერთად ატირდება. ის რძით აავსებს შუშის ორ ჭურჭელს და მას შემდეგ, რაც ქორკანდელებში ცეცხლს აანთებს, სამოსის შიგნით შემალული შავი იით ნელა გაემართება თავისი საქმროს, თავისი ბედისწერის შესახვედრად და ყველაფერი მორჩილად მოემსახურება: მინის ჭურჭელიც, ქორკანდელიც და ყვავილიც; მას მიწიერი მსახურიც ჰყავს — მისი სხეული. აი, ასე შეხვდებიან ერთმანეთს მოწყალება და ჭეშმარიტება, მე კი არ ძალმიძს არც მასთან, არც შენთან თავშეფარება.

აქ იოვანამ ფანჯარაში ქვითინს უმატა. სოფრონი მივიდა და დამშვიდება დაუწყო, ის კი თმაზე შეეხო და უთხრა:

- თმა წამოგ ზრდია. შემოდი ჩემთან, შეგკრეჭ.

და ფარჯარაში გადაძვრომაში დაეხმარა. სოფრონი შუა ოთახში დაჯდა, დამ თიხის ქოთანი მიაწოდა, რომელიც მუხლებზე დაიდო, შემდეგ ქალმა თაროდან დანა აიღო, ჩანგალზე გალესა, ძმასთან მივდა, დანა კბილებით დაიჭირა და მისი თმის ჩანგლით ვარცხნას შეუდგა. ვარცხნას რომ მორჩა, ქოთანი თავზე დაახურა და, როგორც ცხვარს, დაუწყო იმ თმის შეკრეჭა, რაც ქოთანს გარეთ დარჩა. ამ დროს ძმას ხელზე წვეთი დაეცა.

- ეს რა, წვიმაა?

- ჰო, წვიმაა.

- არა, წვიმა არ არის, ეს შენ ტირი. ნუთუ ასე გიყვარს ის, მეორე?

- ვხედავ, ძმაო, სულს სხეულით ვერ შობ. როგორც ჩანს, ჩვენი სულები, ფეხებისგან განსხვავებით, სხვადასხვა მინიერი მშობლებისგან იბადებიან. ჩვენი სულები დასაბამს იღებენ არა ხარლამპისა და პარასკევასგან, მათი წყარო სულ სხვაა და თითოეული მათგანი ცხოვრებაში თავის ტალღას მიჰყვება და ეძებს, ვინ გაიგონებს მის ხმას, რადგან ძმას და დას ერთმანეთის არ ესმით და ჩვენი სულებიც ჩვენი ხელებივით ნათესავები არ არიან. საიდან მოვიდა შენი სული? სიზმარში ყვავილს ქმნიდნენ, მაგრამ ეკალი ამოიზარდა. ის კი, ვისაც მე ველი, ნაკლებს ხმაურობს, მაგრამ ძვირფასია სიმართლით.

- ეჭვი არ არის, თავი როდინს მიუგავს და ჭკუა-გონებაც ერთი ნამცეცა აქვს, - გაჯავრდა სოფრონი და ქოთანი თავიდან მოიძრო. — მაინც ვინ არის?

-ჩემი სულის ძმა და ჩემი სხეულის ქმარი. პანა ტენეცკის ეძახიან, ზემუნელია ჯერ კარგად არც ვიცნობ. ვიცი მხოლოდ, რომ ის არსებობს და ძილი არ მეკარება, მის სილამაზეს რომ ვიხსენებ... ამაღამ აქ მოვა, რომ მომინახულოს. შენ კი ნუ ცმუკავ, დაწყნარდი, თორემ შეიძლება, გაგიჭრა რამე.

და იოვანამ კვლავ დაახურა ძმას თავზე ქოთანი და თმის შეკრეჭა განაგრძო.

- ის შენი ოთახიდან შემოვა. ხომ არ გაგვთქვამ? — ჰკითხა ქალმა.

- არ გაგთქვამთ, - უპასუხა სოფრონიმ და გადაწყვიტა, როგორც კი დაწვებოდა, მაშინვე დაეძინა, მაგრამ მაინც შეეშინდა, როცა დაახლოებით შუაღამისას ოთახი ავსტრიის არმის ოფიცრისმუნდირიანმა მამაკაცმა გადაჭრა და მალე ჩურჩული გაიგონა, რომელიც ოქროსჩარჩოიანი ფანჯრიდან მოისმოდა. ქალის ხმამ, სოფრონის დის ხმამ წაიჩურჩულა:

- შემაშინეთ. ადამიანმა, შეიძლება, მაშინაც დაიძინოს, როცა ტირის.

- რატომ ტიროდი?

- ის, ვინც შემირჩიეს, მოხუცია, მე კი ახალგაზრდა ვარ. ცოლად როგორ გავყვე? მამა რომ აქ იყოს, ის დამიფარავდა დედისგან. იმას ვუყვარვარ. თქვენ? მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

- არა, რჩევას არ მოგცემთ.

- რატომ? — იკითხა სიბნელეში ქალის ვედრებით აღსავსე ხმამ.

- იმიტომ, რომ აქ რჩევა არ არსებობს — ყველამ ჭიაყელასავით ჭამა-ჭამით უნდა გაიკაფოს საკუთარი გზა.

- მაშ, საშველი არ არის?

- მერე საშველზე ვინ ლაპარაკობს? დახმარება, რომელიც მე შემიძლია, გაგიწიო, არსებობს. ის სწრაფად და საიმედოდ მოქმედებს, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ მოგეწონება.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ეს ისეთი დახმარებაა, რომლის შემდეგ ვეღარაფერს შეცვლი.

- რას გულისხმობთ?

- არაფერსაც არ ვგულისხმობ. ჩემი დახმარება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ რაიმე ვიგულისხმო, არამედ იმაში, რომ რაღაც გავაკეთო.

ამ დროს სოფრონიმ გაიგონა, ბალთის წკარუნით როგორ დაეცა იატაკზე ოფიცრის მძიმე ქამარი.

- მაშინ, ვიდრე გვიან არაა, რაიმე გააკეთეთ, ყველა წმინდანის სახელით გევედრებით. მიხსენით! — ქალის ხმა ახლა უკვე ჩურჩულზე გადავიდა.

- ვერ გადამიწყვეტია.

- რატომ?

- იყვირებ.

- ვიყვირებ? რატომ უნდა ვიყვირო? ნეტავ, ეს ბაგეები მუნჯი ყოფილიყო და შენი სიყვარული — ყრუ.

- ხომ იცი, რომ ამბობენ: მიიღე სისხლი ჩემი და ხორცი ჩემი, და მე მსხვერპლად შეგეწირები და გამოგისყიდი. უნდა გჯეროდეს ჩემი. შენ კი არ გჯერა, რომ ეს მტკივნეული იქნება.

- რატომ იქნება მტკივნეული?

- ჩემი დახმარების გამო. ყოველ შემთხვევაში, პირველად... შეიძლება, შენი პერანგის ღილები ენით გავხსნა?

- ენით რატომ უნდა გახსნა?

- იმიტომ, რომ, ვიდრე ისინი შეკრულია, დახმარებას ვერ შევძლებ.

ამ დროს სოფრონი ოპუიჩმა უხმაუროდ დაიწყო ჩაცმა: ჩექმებს რომ იცვამდა, თავისი დის უკანასკნელი სიტყვები გაიგონა — ეს იყო ჩურჩული, რომელიც წამითაც კი არ გადაზრდილა ყვირილში:

- მიშველეთ! მოძალადე! ოჰ, ჩემო ბატონო, ნუ მიკეთებთ ამას, გთხოვთ! მიშველეთ! რა მძიმე ხარ, ჩამოდი, ველარ ვსუნთქავ, პირდაპირ გამჭყლიტე... მჩხვლეტს, მანდ ნუ მეხები, მეღიტინება... რა გაბანჯგვლული ხარ, რას აკეთებ? შენი ნერწყვი გამგუდავს, ტუჩები მომაშორე, მთელი პირი გამევსო... მომაკვნეტ, გამიშვი! მაწვება... მიშველეთ, მკლავენ!.. ესე იგი, ეს არის სისხლი და ხორცი?.. ოჰ, ბატონო ჩემო, ნუ შვრებით ამას. ოჰ, ბატონო ჩემო, გთხოვთ...

პორუჩიკი სოფრონი ოპუიჩი საკუთარ სახლში წყნარად, ქურდივით მიიპარებოდა. დარბაზში, რომელშიც შესასვლელი კარი იყო, სანთელი ენთო, პურის პატარა კოკორაში ჩარჭობილი, ვერცხლის ლანგარზე კი სააღდგომო კვერცხები ეწყო. მან ერთი ცალი მოხატული კვერცხი აიღო, ისეთ დიდი, იფიქრებდით, მამალს დაუდვიაო, სწრაფად შეკაზმა ცხენი და ფრანგი კავალერისტის საპარადო ფორმაში გამოწყობილმა პირდაპირ პეტრას სახლისკენ გააჭენა. ქალი გააღვიძა, კვერცხი მისცა და უთხრა, რომ გამოსამშვიდობებლად შემოირბინა, მერე კი ჰკითხა:

- მითხარი, რა კავშირი გვაქვს ჩვენ, ოპუიჩებს, ზემუნელ ტენეცკებთან.

- ნუთუ არ იცი? ეს ბოლო ომის დროს დაიწყო, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, სწორედ იმ 1797-ში, როცა ვენეციის სახელმწიფო დაეცა. მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს მამაშენი და პახომი ტენეცკი, იმ პანა ტენეცკის მამა, რომელმაც ეს-ესაა თავის ქვეშ მოქცეული შენი და დაჭმუჭნა.

- მაინც რა ურთიერთობები გვაქვს?

პეტრამ გამომშვიდობების ნიშნად აკოცა და იმ დროს, როცა მათი ტუჩები ერთმანეთს შეეხო, უხმოდ უჩურჩულა:

- ისეთი, უარესს რომ ვერ მოიფიქრებ.

სოფრონი ცხენს ჩრდილო-დასავლეთისკენ მიაჭენებდა და გრძნობდა, რომ სტუმარი ეწვია. პატარა შიშშილი კენესოდა მის გულს ქვემოთ, როგორც დაუძლეველი სურვილი, ანდა, იქნებ, ეს სუსტი ტკივილი იყო, რომელიც ისე ყუყუნებდა მასში, როგორც შიმშილი.

*მეოთხე გასაღები*

**იმპერატორი**




პახომი ტენეცკი იმ ტენეცკებს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც ორ თაობაში ორი შესანიშნავი მხატვარი შვეს. ის იმ ტენეცკებიდან იყო, რომლებმაც იცოდნენ, რომ ველასკესსთან, შეიძლება, შავი ფერის 27 სხვადასხვა შეფერილობა მოიძიო. ზემუნში ისინი 1785 წელს დასახლდნენ, მაშინ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გიორგი ტენეცკის კარამატოვების პორტრეტები შეუკვეთეს. პახომი ტენეცკი, ვინც ამ გვარის გვერდითა შტოს მიეკუთვნებოდა, დედით პოლონელი იყო და, უეჭველია, სწორედ დედის სისხლის წყალობა იყო მისი მუსიკალური ნიჭი. მემკვიდრეობით ზარების ჩამოსასხმელი სახელოსნო ერგო, მაგრამ ამ საქმეს არ გაჰყოლია, ბუდიმში გაემგზავრა მუსიკის სასწავლებლად.

ჯერ კიდევ ბავშვმა, ანუ მაშინ, როცა გარდაცვლილთაგან არავინ დასიზმრებოდა, ტენეცკიმ უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო. ის ძალიან კარგად უკრავდა კლარნეტზე და იმ სიხარულმა, რასაც დაკვრისგან განიცდიდა, ერთხელ მასში სიცოცხლის ისეთი წყურვილი გააღვიძა, მისთვისვე მოულოდნელად გადაწყვიტა, ისე დიდხანს ეცოცხლა, რამდენიც კი შესაძლებელია. როგორც ამბობენ — მარადისობა და კიდევ ერთი დღე. რა გზით მიეღწია ამისთვის, მან არ იცოდა და არც არავის ამ საიდუმლოს ახსნა არ შეეძლო. თუმცა პახომი გრძნობდა, რომ სავსეა გამბედაობითა და დაუოკებელი სურვილით, ყველაფერი ამ მიზანს დაუმორჩილოს. გაუთავებლად უსვამდა თავს კითხვას: - რა ეფიტება ადამიანს პირველად — სხეული თუ სული? ამასთან, გაეგონა, რომ იმ ცნობილ გამონათქვამთაგან სწორედ ეს „მარადისობა“ ეხება სულს, ხოლო „კიდევ ერთი დღე“ — სხეულს. გარდა ამისა, როგორც ღვთის მსახურმა უთხრა, იმ რთულ გამოთვლებში, ასე რომ იტაცებდა ტენეცკის, გაცილებით იოლია, დაკარგო „მარადისობა“, ვიდრე „კიდევ ერთი დღე“.

მოგვიანებით, როცა წამოიზარდა, პახომი ტენეცკი ვენაში მუსიკას სწავლობდა. ფეხები ისეთი ცხელი გაუხდა, როგორც ანთებული ლამპარი, ისეთი, რომ მისი ფეხსაცმლიდან წვიმაში ორთქლი ამოდიოდა, ერთი ხელი კი ყოველთვის ისე ჰქონდა გაყინული, რომ იმით — და არა ლუდის ბოკალით — იგრილებდა გავარვარებულ ლოყებს. ყველაზე მეტად Paisiello-ს კომპოზიციები უყვარდა და შეეძლო, ყველა მოგონება ზემუნზე, პეშტასა და მშობლებზე დაეყო ცივებად და ცხელებად. უკვე ცოლიანი იყო, ორი ვაჟიშვილიც ჰყავდა — პანი და მაკარი, - და ქალიშვილი — ერისენა, როდესაც ერთ-ერთი თავისი მეგობრის შემთხვევით წარმოთქმული ფრაზა გაიგონა, რომელმაც მყისიერად შეცვალა მთელი მისი ცხოვრება. ეს ფრაზა ასე ჟღერდა: „ყველაზე დიდხანს ის ცხოვრობს, ვინც ყველაზე მეტი ადამიანი მოკლა“.

პახომი ტენეცკიმ მეორე დღესვე დაიწყო ვარჯიში. მაგრამ ეს უკვე კლარნეტი, Paisiello ან ჰაიდნი კი აღარ იყო — ის თოფიდან სროლაში ვარჯიშობდა. მართალია, ერთხანს ცოტას ორჭოფობდა, ვიდრე მუსიკასა და ომს შორის არჩევანს გააკეთებდა, მაგრამ წლობით კლარნეტზე ნავარჯიშევი თითების სისხარტე სასარგებლო გამოდგა ამ მეორე, ახალ საქმეშიც. სწორედ ეს სისხარტე დიდად წაადგა ტენეცკის, ვენის ერთ-ერთი საუკეთესო მსროლელი გამხდარიყო. და განა მარტო ეს — ტენეცკის ცივი და ცხელი მოგონებები, ერთი ცივი და მეორე ცხელი ხელი თითქოს სწორედ ამ ახალი ხელოვნებისთვის შეექმნათ. ასეთი თვისებები მას შეუდარებელს ხდიდა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თოფის სროლისას, წარმოუდგენლად დიდ ოსტატად. ადამიანებს, ვისთან ერთადაც სროლაზე დადიოდა, თანდათან შიში შეეპარათ, ზოგიერთი კი კიდევაც გაურბოდა.

- ისე ისვრის, თითქოს კლარნეტზე უკრავდეს, - ჩურჩულებდნენ მის ზურგს უკან, - ასეთს ვერავინ გაეჯიბრება.

დიახაც, ასე იყო. როგორც კი ახალი ომი დაიწყო, ის, რომელშიც 1797 წელს ფრანგებმა ვენეციის რესპუბლიკა გაანადგურეს, პახომი ტენეცკიმ თავისი შვიდწლიანი ულვაში შეიმოკლა, თოფი ხავერდგამოკრულ ფუტლიარში ჩადო, თითქოს კლარნეტი ყოფილიყოს, და ავსტრიის არმიაში სამსახურს შეუდგა. მაშინვე საბრძოლველად გაუშვეს და ერთ-ერთ პირველივე შეტაკებაში გამოიჩინა თავი იარაღის ხმარებისას საოცნაულებრივი სისხარტით და, ამასთან, იხსნა, უფრო სწორად, ტყვედ აიყვანა ერთ სარდაფში მჯდომი შავთმიანი გოგონა. ამის შემდეგ ტყვეს სულ თან დაატარებდა. ამ გოგონაზე არაფერი იცოდა; არ იცოდა, ესმის თუ არა მისი ენა, იცის თუ არა წერა, მაგრამ მიაჩნდა, რომ უფრო — არა. იმის ნაცვლად, მისთვის რაიმე ეთქვა, კაცმა პირველივე შეხვედრისას სილა გააწნა იმიტომ, რომ სიტყვის უყურადღებოდ დატოვება შეიძლება, სილისა კი შეუძლებელია. ასე და ამგვარად, მათ პირველივე დღიდან ზედმეტი ლაპარაკის გარეშე გაუგეს ერთმანეთს.

ქალი ჯიუტად დუმდა, ცოტას ჭამდა და სულ უფრო და უფრო ლამაზი ხდებოდა. კაცმა მისი არც სახელი იცოდა, არც ის, რომელ სარწმუნოებას აღიარებს. ისიც არ იცოდა, უბიწო იყო თუ არა, რადგან მასთან სასიყვარულო კავშირი არ ჰქონია, მხოლოდ ყოველ საღამოს, როგორც კი შებინდდებოდა, გოგონას მისთვის უნდა გამოეწუწნა. იგი ყურის ნახვრეტებში წითელ პომადას ისვამდა და აკეთებდა იმას, რასაც კაცი მოითხოვდა, - თითებისა და ტუჩების ნაზი მოძრაობით ეხებოდა და არც ზიზღის, არც სიამოვნების არანაირ ნიშანს არ ამჟღავნებდა. რაც დიდხანს გრძელდებოდა მათი ურთიერთობა, მით უფრო ხანგრძლივი და უჩვეულო ხდებოდა ეს სეანსები. ზოგჯერ ტენეცკის ეჩვენებოდა, რომ ქალის შეხება და ალერსი რაღაც ისეთს აგონებდა, რისი გახსენებაც ვერაფრით მოეხერხებინა. ისე, დროც არ ჰქონდა, ასეთ რამეებზე თავი ემტვრია. უბრალოდ, ხელი ჩაიქნია და გადაწყვიტა, რომ ქალის ბედს ყოველთვის მისი „დიახ“ წყვეტს, მამაკაცისას კი მისი „არა“. საფრანგეთის წინააღმდეგ ომი სულ უფრო სასტიკი ხდებოდა და პახომი ტენეცკიზე უკვე ბევრი ალაპარაკდა. მალე მის ირგვლივ ცარიელი სივრცე გაჩნდა, მისი ტყვიის გასროლის მანძილის ტოლი, სწორედ ისე, როგორც ეს უკვე მოხდა ვენის სასროლეთზე. მისი ეშინოდათ ცეცხლის როგორც იქითა, ისე აქეთა მხარეს, ის კი, რაც სურდა, იმას აკეთებდა. და, თუ ის, რაც ახალგაზრდობაში გაეგონა, სიმართლე იყო, მაშინ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ყოველდღიურად მატულობდა... მაგრამ მოულოდნელად უფროსმა უთხრა:

- აქ საკეთებელი აღარა დაგრჩენია რა. აქ შენი ტოლსწორი არავინაა. არავინაა ისეთი, ვისთანაც ძალებს მოსინჯავდი. ასე სულ დაეშვები და ოსტატობასაც დაკარგავ. აბა, ეს რა პატაკია? თვითონ იფიქრე: „და ვიბრძოდით დილის ექვსიდან ათამდე; ნაწილი, წყალში რომ ჩავდენეთ, იქ დაიხრჩო, სხვები ტყეში ჩავჩეხეთ, მესამენი ხეებზე მივახვრიტეთ, ზოგიერთი კი გარბოდა და ჩვენ ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის ათი დროშა და საყვირები“. განა ამგვარი საქმიანობა შეგფერის? ამისთვის სხვებიც გამოდგებიან. შენ კი საგზაოდ მოემზადე. სხვა ადგილას, აქედან ჩრდილოეთით, არის ერთი, შენი ფარდი, შეიძლება, შენზე უკეთესიც კი. ოღონდ გაითვალისწინე, ის ჩვენკენ კი არა, ფრანგების მხარეს იბრძვის. გაემგზავრე იქ და გაუსწორდი.

პახომი ტენეცკიმ აიღო ფუტლიარი თავისი თოფით, ჭოგრიტი, წაიყვანა გოგონა და გზას გაუდგა. მაგრამ იქ, სადაც გააგზავნეს, იმ მეორის შესახებ არაფერი სმენოდათ. არავინ ჩანდა ისეთი, ტენეცკისთან გაჯიბრებას რომ შეძლებდა. პახომი ომშიც განაგრძნობდა იმის კეთებას, რაც სურდა, საღამოებს კი კვლავ გოგონასთან ატარებდა. ერთხელ ნაშუადღევს უცნაური ამბავი შეემთხვა — შეუიარაღებელი კაცი, როგორც შემდეგ გაირკვა — ვაჭარი, სახელად ერემია კალოპეროვიჩი, თავს დაესხა და მისი დახრჩობა სცადა. ტენეცკიმ არ მოკლა, მხოლოდ მკლავში დაჭრა. ჭრილობის მიუხედავად, ის, თითქოს ჭკუაზე გადაცდაო, კვლავ წინა ხაზზე დახეტიალობდა, შორიდან უთვალთვალებდა ტენეცკის, თან გამუდმებით დაათრევდა სპილოს ძვლით გაწყობილ რაღაც შავ ყუთს, ტიროდა და ჯარისკაცების მოსყიდვას ცდილობდა, რათა მათ ეს ყუთი ქალბატონ რასტინასთვის გადაეცათ.

- ეს რასტინა ვინღაა? — შეეკითხა გაკვირვებული ტენეცკი თავის ჯარისკაცებს.

- როგორ თუ რასტინა ვინაა? ეს ის ქალია, ვისთანაც ბატონმა კაპიტანმა ინება ცხოვრება. იგი სწორედ ამ კარლოველი ვაჭრის, კალოპეროვიჩის საცოლეა.

ტენეცკიმ გადაიხარხარა და რასტინასთან კიდევ ერთი საღამოს გასატარებლად გასწია. ამასთან, მან აღმოაჩინა, რომ ქალს აბსოლუტური embouchure აქვს — ასე უწოდებდნენ ვენაში, სადაც ის მუსიკას სწავლობდა, დაკვრისას სასულე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუმენტზე ტუჩების შემოვლებას. იგი შეეცადა, ეს აღმოჩენა უფრო ღრმად გაეაზრებინა. რასტინა ძველებურად დუმდა, მაგრამ პატარა ბინძურმა ომმა კიდევ ერთხელ შეწყვიტა კაცის ფიქრთა მდინარება — ის კვლავ იმ პოლკში გამოიძახეს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დატოვა. იქ, ფრანგების მხარეს, გამოჩნდა ის, ვინაც ტენეცკის სჭირდებოდა. აშკარა იყო, ისიც ტენეცკის ეძებდა. ტენეცკი თავის ძველ პოლკს დაუბრუნდა და რასტინაც ბოლოს და ბოლოს ალაპარაკდა:

- რა ეშმაკი არ გვაყენებს ერთ ადგილზე? — იკითხა მან.

- ერთი ნახეთ, მტრედი აღუღუნდა! — გაოცდა ტენეცკი. — და თან ყველაზე შესაფერის მომენტში აღუღუნდა. შენ რა, ის, მეორე გაინტერესებს? აი, ის, ჩემზე რომ ნადირობს? მაშინ ყურადღებით მისმინე:

იმას, ვისაც მე ვეძებ, ხარლამპი ოპუიჩს ეძახიან. ოპუიჩების მოდგმა ჩდიდარია — ისინი ტრიესტელი ვაჭრები არიან, სერბები. ეს კაპიტანია და ყველაზე კარგი ცხენი ჰყავს ფრანგული არმიის ამ ფლანგზე. სადაც მიდის, ყველგან ტყავგადაკრული ზანდუკით უკან მიადევნებენ ვერცხლის ჭურჭელს, ქამარში კი, ყოველი შემთხვევისთვის, მუდამ ყუთში ჩაწყობილი დანა-ჩანგალი აქვს გაჩრილი. მსახიობთა საკუთარ დასს ინახავს. ისინი მუდამ თან დაჰყვებიან და ყველგან უჩვენებენ წარმოდგენებს მისი ცხოვრებიდან, მაგრამ, რაც ყველაზე საოცარია, ისინი უჩვენებენ მის სიკვდილსაც, მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალია. ცნობილია, რომ ქალებს იგი უყვართ. მასაც უყვარს ქალის ლბილი წიაღი, თითებზე მუდამ ქალის სურნელი ასდის და ძალიან გაუმაძღარია. დედას ის უფრო მეტად უყვარს, ვიდრე საკუთარი ქმარი; ცოლს — უფრო მეტად, ვიდრე თავისი ვაჟიშვილი, ქალიშვილს კი უფრო მეტად, ვიდრე ძმები და უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა მამაკაცი. შთამბეჭდავი ფიგურა აქვს და სხარტი მოძრაობები. დათვივით ერთი ნახტომით შეუძლია მდინარიდან თევზის ამოტაცება. პირჯვარს ისე გამალებით იწერს, თითქოს გაფრენილი ბუზის დაჭერას ცდილობსო, ძალ-ღონეს და ჯანმრთელობას კი ქალის რძით იკაჟებს. მისთვის, როგორც ძუძუს ბავშვისთვის, ძიძებს ქირაობენ, რომლებიც საღამოობით უნანავებენ და თავიანთი რძისგან ხაჭოს უმზადებენ, ერთ-ერთი მათგანი კი ყოველ დილას რძეს აწველებს ჯაგრისზე, რომლითაც ეს კბილებს იხეხავს. სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ ფეხზე არ წამოდგება, ვიდრე ყალიონს ბოლომდე არ ჩაათავებს. ლაშქრობებში ხარჭები თან არ დაჰყავს, მაგრამ ერთი მათგანი ყოველთვის ელოდება სადმე დუნაის ნაპირზე. ახლა ხარლამპი ოპუიჩი, ის კაცი, ვისაც ჩვენ მივდევთ, წევს უკუნით მოცული კოშკში, ჩვენი ბანაკის პირდაპირ რომ მოჩანს, და ხელზე თავჩამოყრდნობილი ფიქრს მისცემია. მისი ამ ფიქრებისგან შორს, იქ, ღამის წყვდიადში, ვიღაცას ძარღვებში სისხლი ეყინება და მძინარეს გული უჩერდება. ოღონდ არა მე! მე შიში არ ვიცი. მე იმასაც კი ვხედავ, როგორ ჭაღარავდება ფრენისას ყვავი.

მაგრამ კაპიტანი ოპუიჩიც კაჟია. რაინიდან ნევამდე, ბაგრამიდან დუნაიმდე მან ბლომად იხილა ქალის თმებისგან მოწნული ფრინველთა ბუდეები და გულიც იჯერა ბრძოლით ჯერ ავსტრიის, შემდეგ კი საფრანგეთის არმიებში.

რაც შეეხება მის სიკვდილებს, მე ვნახე ისინი როგორც თეატრალურ სცენებზე, ისე ბაზრობათა ბალაგანებში და მათზე ყველაფერი ვიცი. ძნელია, როგორმე მიუდგე კაპიტან ოპუიჩს. ის, მაგალითად, სვამს რახს, რომელი ოცდაოთხ ბალახზეა დაყენებული, მაგრამ არასოდეს არ არის მთვრალი. იმ შემთხვევაში, თუ სასმელი გააბრუებს, მუჭში ხახვის თავს მოიქცევს, გაწურავს ისე, რომ წვენი გამოადინოს და იმას ყნოსავს. ეს სწრაფად უხსნის ბახუსს და გონებას უწმენდს. მან იცის, რომ არ არსებობს ხალხებს შორის სიყვარული, მაგრამ არსებობს სიძულვილი. უყვარს თქმა, რმო გამარჯვებას ბევრი მამა ჰყავს, დამარცხება კი მუდამ ობოლია. გარდა ამისა, ფიქრობს, თუმცა ამას ხმამაღლა არასოდეს ამბობს, რომ გამარჯვებას და დამარცხებას ერთი დედა ჰყავთ. მან ისე, როგორც ჩვენ, ყველამ, იცის, რომ ადამიანებს ყველაზე მეტად ის სძულთ, რისი წყალობითაც ცხოვრობენ. ამასთან ერთად, ომისას მუდამ უჩვეულო იღბალი თანსდევს. დღემდე ბრძოლებში ფეხქვეშ ცხრა ცხენი გამოეცალა. თოფიდან გასროლით კობრის მოკვლა შეუძლია მაშინ, როცა ის, თამაშისას, წყლის ზედაპირზე ამოხტება ხოლმე. მისი ეშინია შინაურსაც და უცხოსაც. გამიგონია, რომ ერთხელ ვიღაც ფრანგმა მაიორმა, - არ ვიცი, რაღაც ვერ გაიყვეს თუ – რაღაც უკბილოდ იხუმრა. ოპუიჩი გაყუჩდა, წყენა გადაყლაპა, მეტიც, საღამოს მაიორი სახლამდე მიაცილა, რომელიც მას ქალაქ ულმაში, დუნაიზე ჰქონდა ნაქირავები. ფრანგი არხეინად დაწვა დასაძინებლად, მაგრამ დილით აღმოჩნდა, რომ ამ ადგილას აღარც სახლია, აღარც კარ-მიდამო — ღამით ოპუიჩის ხალხმა მოიპარა სახლი, რომელშიც მაიორს ეძინა. აგურიც კი არ დაუტოვებიათ. მაიორის ბალდახინიანი საწოლი ტრიალი მინდვრის შუაგულში იდგა, საწოლში დედაბერი იწვა, მის ქვეშ კი კარტის გროვა ეყარა. თვითონ მაიორი უგზო-უკვლოდ გაქრა.

კიდევ ამბობენ, თითქოს კაპიტან ოპუიჩს სმენა უქვეითდება. თანაც რაღაც უცნაურად. იმასაც ყვებიან, რომ, რაც უკეთ ესმის მის ვაჟს, სოფრონი ოპუიჩს ყველაფერი, რაც მიწისქვეშეთში ხდება, მით უფრო უარესდება მისი მამის შესაძლებლობები, გაიგონოს ჩვენი მიწიერი სამყაროს ხმები. რაც შეეხება შვილს, ცნობილია, რომ ის იზრდება და სულ უკეთ და უკეთ ესმის. ამიტომ კაპიტან ოპუიჩს უყვარს თქმა: „გინდა, შენი გაიგონ? მაშინ ნათქვამი გაიმეორე".

აი, როგორია ის ბატონი, რომელიც ჩვენს მოპირდაპირედ კოშკში წევს და წყვდიადსა და ვარსკვლავებს შორის ისევე მიმიზნებს იარაღს, როგორც მე მას.

*მეხუთე გასაღები*

**ქურუმი**



კაპიტაპი ტენეცკი და რასტინა მარტონი იწვნენ კოშკში, რომელიც პოზიციების შორიახლოს მდებარეობდა. ტენეცკი ომში ყოველთვის მარტო იყო. ოთახის კედელზე ეკიდა ნახატი, რომელზეც გამოსახული იყო გემი ქარიშხალში, და რასტინა, ვიდრე დაიძინებდა, შეჰყურებდა ზღვას, მთვარის შუქით განათებულს, და ეშინოდა, როგორც ბავშვობაში, რომ ამ დახატული წყლის შემყურე ჩაიფსამდა. მეორე კედელზე ეკიდა ნახატი, რომელზეც უკან თავგადაგდებული კენტავრი ზურგზე მოკიდებულ ქალს მიაქროლებდა და გზადაგზა ძუძუს სწოვდა. ნახატის წარწერა იტყობინებოდა, რომ ეს ელევსინელი იეროფანტია, მის ზურგზე მოქცეული ქალი კი მთელი სამყაროს სიმბოლოა. კენტავრი-ქურუმი ქალის ერთი ძუძუდან გულმოწყალებას წოვდა, მეორედან — სისასტიკეს; ერთიდან — კანონს, მეორედან კი ნების თავისუფლებას — დაიცვას თუ არა ეს კანონი. რასტინას ეჩვენებოდა, რომ ეს ომის საკრალური მისტერიების ოსტატი, ეს იმპერატორი, ქურუმად გარდაქმნილი, ეს კენტავრი დგას წყვდიადში კოშკის კედლის გარეთ და შესაფერის დროს უცდის, რათა ტენეცკის თავისი წმინდა ცეცხლოვანი ასო უჩვენოს, მას კი, რასტინას, რძე გამოწოვოს.

ასე იყო თუ ისე, ორი სწორუპოვარი მსროლელი, როგორც იქნა, ერთმანეთს შეხვდა. ორივემ დაიკავა პოზიციები კოშკ-

ებში, რომლებიც ერთიმეორისგან ტყვიის გასროლის ერთი მერვედით იყო დაშორებული. ორივეს მიაჩნდა, რომ იწყება გამთანგავი დუელი, რომელიც, შესაძლოა, რამდენიმე კვირასაც გაგრძელდეს, მაგრამ ამ საქმეს ერთ დღესაც ვერ გასტანა.

ბინდბუნდი წვებოდა. ტენეცკი სხვენზე მოეწყო და მიაჩერდა სახურავს, რომელიც ხომალდის ტრიუმის შიდა მხარის მსგავსი იყო, თან ხარბად ისუნთქავდა სხვადასხვა სურნელს, სულ უფრო და უფრო მკვეთრად რომ იკვეთებოდა, ამ დროს დაბლა დარჩენილ კოშკსაც აკონტროლებდა. მერე დაბლა დაეშვა. იგი გრძნობდა რასტინას და მის თითებსა და ბაგეებს საკუთარ სხეულზე. და ფიქრობდა იმაზე, რომ ეს შეხებები, თავისი მრავალფეროვნებით ამოუწურავნი, უკვე უსასრულოდ, თითქმის მთელი მარადისობა გრძელდება. მერე უცბად შეწყვიტა შეხების შეგრძნება და მათი მოსმენა დაიწყო. იგი პირველად უსმენდა რასტინას თითებს და ტუჩებს შიგნიდან, საკუთარი სხეულიდან. აი, აქ კი ბოლოს და ბოლოს მიხვდა: ყველა ბრძოლისას, ვენეციის დაცემისას, ბრძოლის ერთი ველიდან მეორეზე გადასვლისას და უკან დაბრუნების ჟამს რასტინა კლარნეტზე კი არა, მასზე, ავსტრიის კაპიტან პახომი ტენეცკიზე ასრულებდა ფრანც იოზეფ ჰაიდნს. ამჯერად ის უკრავდა „Allegro con spirito”-ს ჰაიდნის დივერტისმენტიდან “Carale di Sant’Antonio“ ფლეიტის, ჰობოის, კლარნეტის, ფაგოტისა და ვალტორნისთვის და, ამასთან, ეს კომპოზიცია სრულყოფილებამდე გაცნობიერებული ჰქონდა მის ტუჩებს და თითებს. პახომი ტენეცკი მიხვდა, რასტინა კლარნეტზე დაკვრის ისეთ ვირტუოზულ ტექნიკას ფლობს, მასთან შედარებით თვით ტენეცკის დაკრული თავისი Paisiello-თი, უბრალოდ, ბავშვური გართობა იყო. მან გაოცებით შეხედა მასზე დამხობილ გოგონას და ზუსტად იმ მომენტში გაათავა, როცა რასტინა “Minuetto”-ზე გადავიდა. მაგრამ აქ საქმეში კვლავ ჩაერთო პატარა, ბინძური ომი. ტენეცკიმ კვამლის სუნი იგრძნო, შეიგინა და გაიფიქრა: „არასოდეს გრჩება დრო მარადისობისთვის“ და ამ ფიქრით ფანჯარასთან მიირბინა. ღამის სიბნელეში აშკარად ჩანდა, რომ მოპირდაპირე კოშკიდან, რომელსაც კაპიტანი ოპუიჩი აფარებდა თავს, ბოლი ამოდის. ტენეცკი თვალს არ უჯერებდა — ოპუიჩის კოშკი იწვოდა. ფიქრის დრო აღარ რჩებოდა — თუკი კოშკში ნამდვილად ხანძარია, ის, მეორე, ან შიგ გამოიწვებოდა, ან ერთადერთი კარიდან პირდაპირ ტენეცკის სამიზნეზე უნდა გამოვარდნილიყო.

მალე ცეცხლი კოშკის მეორე სართულზეც გაჩნდა. პირდაპრ დაუჯერებელი იყო. ტენეცკიმ ჭოგრიტს დაავლო ხელი და ფანჯრიდან გადახრილმა ყურადღებით დაიწყო კოშკის გასასვლელის თვალიერება. აქ კი კაპიტანმა ოპუიჩმა ერთი გასროლით ამოაგდო მინა ჭოგრიტიდან და თვალი ტენეცკის თავიდან, წამის შემდეგ კი ისკუპა ხანძრიდან, რომელიც თვითონვე გააჩინა.

ამ ამბიდან სულ მალე კოშკში, რომელშიც თავგახვრეტილი ტენეცკი იწვა, ისეთი ძლიერი აღნაგობის კაცი შევიდა, რომ იფიქრებდით, ეს ეკლესიის ზარის წაღებასაც კი შეძლებსო. ფრანგული კავალერიის ოფიცრის მდიდრული მუნდირი ემოსა, ხელთ კი თოფი ეპყრა. იატაკზე განრთხმულ ტენეცკისთან რომ მიირბინა, ფეხით გვერდზე გადაისროლა მისი იარაღი და დაუძლეველი სურვილი მოეძალა, დამარცხებული მტრისთვის დაეფსა. მაგრამ, როცა კოშკის კუთხეში მიკუნტული დამფრთხალი ქალიშვილი დაინახა, თავი შეიკავა; მივიდა, ხელი მოხვია და წყნარი ხმით დამშვიდება დაუწყო. ისე ჩურჩულებდა, თითქოს ლოცულობსო:

- ღმერთო, ეს რა ხდება? განა ცეცხლს რახით აქრობენ, უფალო, ღმერთო ჩემო? მაინც როგორ დაუშვი, ღმერთო, რომ ჩვენს წინ კი არ გაყენებთ, არამედ ზურგს უკან გმალავთ? აი, ამან კი მომატყუა, მაგრამ ეშმაკობით ვერ მაჯობა. მერედა, როგორ ვცხოვრობთ; თითქოს ზღვაში მარილს ვყრით, არადა, მხოლოდ ვხარჯავთ მას და წყალსაც ვბილწავთ, ღმერთო ჩემო! სადამდე მიგვიყვანს ეს?

მერე რასტინას მიუბრუნდა, თან ხელს ისევ თავზე უსვამდა:

- წავიდეთ, პატარავ, ნუ გეშინია. იქ, დაბლა, შენი ძმა და საქმრო გელოდებიან. შენს ძებნაში ორივე გაჭაღარავდა.

როდესაც კოშკიდან გამოვიდნენ, დაბლა, ბნელში, მათ მართლაც ელოდა ორი კაცი — რასტინას ძმა და საქმრო მისი — ერემია კალოპეროვიჩი. ძმა თოფით იყო, ერემიას კი ხელში სპილოს ძვლით გაწყობილი შავი ყუთი ეჭირა, რომელშიც რასტინას კლარნეტი იდო. მაგრამ ქალს მათთვის არც კი შეუხედავს. სიტყვაც არ უთქვამს, ისე გამოართვა საქმროს შავი ყუთი და ღამის წყვდიადში კაპიტან ოპუიჩის კვალს გაჰყვა. მან, გაოცებულმა, მოხედა და უთხრა:

- საით, პატარავ? მე ულვაშიც კი შენზე უფროსი მექნება. დაფიქრდი.

- მინდა, შენგან ბავშვი მყავდეს. სიცოცხლე სიცოცხლის წილ, - და უარი განაცხადა მის მიტოვებაზე.

პირველივე ღამეს, როცა ვახშმობდნენ დუქანში „მინის ჭიპი“, კაპიტანი მარხულობდა, მარტო ოსპს ჭამდა და რახს აყოლებდა. და ვერ შეძლო, მოდუნებულიყო. დუქანში შემოვიდა მათხოვარი ქალი მამაკაცის შლაპით ხელში და დაიძახა:

- დაე, ეს შლაპა იმ ქალებმა დაასაჩუქრონ, ვისაც თავის სიცოცხლეში ქმარი არ მოუტყუებია. მხოლოდ მათ! სხვები ნუ ჩაგვეკვეხებიან...

ამ სიტყვებზე რასტინამ პერანგზე ვერცხლის ღილი აიწყვიტა და ქალს შლაპაში ჩაუგდო. კაპიტანს გაეღიმა და ქალი დასაძინებლად გაიყოლა, თან გზადაგზა ბუტბუტებდა:

- იცი, ტენეცკიმ არასწორად გათვალა. ის ფიქრობდა და, მეტიც, სწამდა, რაც მეტ ხალხს დახოცავს, მით მეტხანს იცოცხლებს. წმინდა წყლის სისულელეა. არსი კი სულ სხვა რამეშია: არასოდესაა ცნობილი, სინამდვილეში ვინ ვინ მოკლა — გამარჯვებულმა დამარცხებული თუ დამარცხებულმა გამარჯვებული. ახლა ტენეცკი წევს იქ, იმ კოშკში, ჩიტები უკვე ზედ ასხდებიან, როგორც ტოტზე, და მან არ იცის, რომ შეიძლება მე უფრო ვარ მოკლული, ვიდრე თვითონ...

როცა ნახა, რომ კაპიტანი იმაზე ნაკლებად არ ღელავს, ვიდრე მისი ორი წლის ფაშატი, რასტინამ კაცს კოცნა დაუწყო და უნდოდა, ყურში რაღაც ჩაეჩურჩულებინა, მაგრამ იმან პირზე ხელისგული ააფარა:

- არ ინაღვლო, სულო ჩემო. ვიცი, შენ ისინი ბევრი გყავდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. იმიტომ, რომ სწორედ მე გაქცევ ქალად.

და თავისი მამაკაცური კვერთხით ისე მიაწვა მის კლიტორს, რომ ბაგეები თავისით გაიხსნა. ქალი ატირდა და ყურში ჩაუჩურჩულა:

- გამეორება მოგიწევს.

როცა კაპიტანი ოპუიჩი ხელმეორედ დააწვა, გაოცებით აღმოაჩინა, რომ რასტინა ქალწული იყო.

*მეექვსე გასალები*

**შეყვარებულები**



როცა 1797 წელს ომის ველებმოვლილი რასტინა Brunswick სრემსკი-კარლოვცებში დაბრუნდა — იმიტომ, რომ კაპიტან ოპუიჩს არ შეეძლო, იგი ბრძოლიდან ბრძოლაში მიმავალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ეტარებინა — პირველ რიგში ერემია კალოპეროვიჩი მოძებნა, თავისი ყოფილი საქმრო. კაცს ხელზე აწ გარდაცვლილი პახომი ტენეცკის ტყვიის ნაკვალევი, თმაში კი ჭაღარის ვარსკვლავები მოუჩანდა.

- თუ გჭირდება ცოლი, რომელმაც სამჯერ დაკარგა უბიწოება, რომელსაც სძულხარ და რომელიც სხვის ბავშვს გაგიჩენს, იქორწინე ჩემზე, - უთხრა ერემიას. იმან გაიფიქრა: „ტკივილი — ეს სხვისი ტკივილის ექოა" და ქალი ცოლად შეირთო.

აი, ასე, რასტინა Brunswick კარლოვცებში გათხოვდა და დასახლდა კალოპეროვიჩის ვეებერთელა ბინაში შეკერ-სოკაკზე. ჯერ ვაჟი, არსენი, შეეძინა, მერე ქალიშვილი დუნია.

რასტინას ქმარი არასოდეს ამჟღავნებდა მოუთმენლობის ნიშანწყალს და მისი ერთადერთი უცნაურობა ის იყო, რომ ხანდახან, ლაპარაკისას, მისი სიტყვები არაბუნებრივად გადახტებოდნენ ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეზე, რადგანაც ყოველთვის ენადა, ერთდროულად ორი რამ ეთქვა. იგი ბავშვებს უამბობდა, რომ ზღვაში არის ისეთი თევზები, რომლებსაც შეუძლიათ, აიტანონ მარილის მკაცრად განსაზღვრული რაოდენობა, ხოლო, თუ წყალი უფრო მარილიანი აღმოჩნდება, ვიდრე ისინი უძლებენ, მაშინ თევზებს გონების დაბნელება ეწყებათ. ჩვენი საქმეც ასეა. იმიტომ, რომ ადამიანური ბედნიერება მარილივითაა — როცა ის ძალიან ბევრია, გონებას კარგავ.

ბატონმა კალოპეროვიჩმა რასტინას და დუნიას თევზის კანის შლაპები უყიდა, გამოუწერა „საიმპერატორო ქალაქვენის სერბული გაზეთი". დუნია სუსტი, გაუმაძღარი გოგონა დადგა. იგი შიგნით, სხეულის ყველა ნახვრეტში იტენიდა ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდა — ღილებს, კუტკალიებს, მომღერალ ბზრიალებს, ცოცხალ თევზს, თმის სარჭებს, ლობიოს მარცვლებს, ლოკოკინებს, ბურთებს, სტაფილოს, კვერცხებს, ბარდის პარკებს, ოდეკოლონის შუშებს, კიტრებს, მინის ბურთულებს, ვენეციურ ალმანახებს, ფანქრებს, კარის სახელურებს, მუსიკალურ საათებს. ერთხელ თევზის ბუშტიც კი ჩაიტენა, რომელიც მის შიგნით გასკდა.

ბატონმა კალოპეროვიჩმა ბიჭი სასწავლებლად მიაბარა.

- დაე, ციცერონივით იყოს.

და ყმაწვილი არსენი კალოპეროვიჩი კარლოვიცის სერბიულ-ლათინურ სკოლაში გაამწესეს, საიდანაც პირველსავე დღეს შინ მოიყოლა საოცარი ბავშვი, კატის კნუტივით ალერსიანი, მაგრამ უკვე დატენილი ლათინური ციტატებით და, ამასთან, ისეთი ლამაზი, როგორც დედოფალა. ამ დედოფალას, უფრო ზუსტად, თოჯინას, ავქსენტი პაპილა ერქვა და არსენის მერხის მეზობელი და ერთი გადამდგარი გენერლის შორეული ნათესავი იყო. ობოლი, ყოველგვარ სახსარს მოკლებული პაპილა თავისი სკოლის ამხანაგების გამონაცვლებაში გაცილებით კოხტად გამოიყურებოდა, ვიდრე ისინი ახალ, ძვირფას სამოსელში. საფეთქელზე დაბადებიდან დაჰყვა პატარა ნაიარევი და ეს მის იერს იდუმალებას სძენდა.

- ზუსტად ეგ, თავგადაპარსული, - ხუმრობით ამბობდნენ მასზე ამხანაგები, თუმცა, ამასთან, უყვარდათ კიდეც. მას ეთაყვანებოდა ყველა კატა, ყველა ფოფოდია და კარლოვიცის ყველა მოსწავლე. ამტომაც ან, იქნებ, რაღაც სხვა მიზეზით, ყველგან, სადაც უნდა გამოჩენილიყო, პაპილაზე დაუჯერებელ, ხშირად პირდაპირ საშინელ ისტორიებს ჰყვებოდნენ. ყველაზე კარგი კი ის იყო, თვითონ ეს ისტორიები არასოდეს გაეგონა და გაოცებული რჩებოდა, როცა შემთხვევით ყურს მოჰკრავდა რაიმეს იქიდან, რასაც მასზე ლაპარაკობდნენ. ზოგჯერ გრძნობდა, მის წინ ცხოვრების გზა ისე მიიკლაკნება, როგორც ჭიაყელა.

ბიჭები უკვე რიტორიკის კლასში გადავიდნენ და ახლა პაპილა მთელ დროს კალოპეროვიჩის დიდ სახლში ატარებდა ისე, რომ თავის ლატაკ საცხოვრისში თითქმის აღარც შედიოდა. ერთ საღამოს როგორღაც თავისთვის და არსენისთვის ხელნაწერი სახელმძღვანელოს გადაწერა დაიწყო, ერთ-ერთ მოსწავლეს რამდენიმე დღით რომ ეთხოვა. წერდა თავისი ლამაზი კალიგრაფიით, თან კალამს ხან სამელნეში ტუცავდა, ხან პირში და ხმამაღლა წარმოთქვამდა გადაწერილ ფრაზებს:

- Praecepta artis oratoriae in tres partes digesta et guventuti Illyrico – Rasciane tradita ac explicata in Collegio Slavono – Latino Carloviciensi Anno Domini…

აქ უეცრად ცხვირწინ პატარა სარკე შენიშნა. იქვე ქალბატონი რასტინა იცინოდა, თან მისი მელნით დათხიპნილი სახისკენ უთითებდა, მერე ტუჩები თავისი სუნამონაპკურები სახელოთი მოწმინდა:

- ხომ ვერ შესძლებდი, ჩემთვის და დუნიასთვის ლათინური გესწავლებინა? თორემ ისეთი მოწყენილები ვართ…

- შეიძლება, - უპასუხა პაპილამ, - ოღონდ თუ ტიმიშოარის თეატრში წამიყვანთ და თუ ბატონი ერემია დათანხმდება, ერთი წიგნი მიყიდოს.

- მაინც რა წიგნი გინდა?

- ელადიაზე; იმაზე, სული რომ ეშმაკს მიჰყიდა. ვიკენტი რაკიჩმა დაწერა და კიდევ ერთი, გერმანული, დოქტორ ფაუსტზე. ორვე 1808-შია დაბეჭდილი.

ამ დღიდან ბატონ კალოპეროვიჩის სახლში, ასე კარგად რომ მოჩანდა დუნაიზე მოსრიალე გემებიდან, ლათინურის გაკვეთილები დაიწყო. ავქსენტი პაპილა ჯერ დუნიასთან მუშაობდა ვერანდაზე, მერე სასტუმროში შედიოდა არსენისთან ერთად, რომელსაც დედა დანერწყვილი თითებით დროდადრო ლამაზ თმას უსწორებდა. და იწყებოდა ლათინურის გაკვეთილი ქალბატონ რასტინასთვის. სუფრაზე შემოჰქონდათ გირცები ლოკოკინებით და ნამცხვრები სურნელოვანი ბალახებით. გირცები ეწყო ფაიფურის ჯამზე, რომლის ძირზე გამავალი პატარა ღარაკი გულის ფორმის ღრმულს უერთდებოდა. ამ ღრმულში ცხიმი გროვდებოდა, რათა გირცებს შიგ არ ეტივტივათ. ნამცხვართან ერთად მოართმევდნენ ხოლმე ჭინჭრის ჩაის თაფლით, საყვარელ სასმელს, ახალგაზრდა ვაჟბატონ პაპილასი, რომელიც, მას შემდეგ, რაც გაუმასპინძლდებოდნენ, ქალბატონ რასტინას რიტორიკის ხერხებს ასწავლიდა ანდა ისეთი ხმით უკითხავდა ნაწყვეტებს „ილიადადან", კატის კრუტუნს რომ წააგავდა:

***არის ზღვებს იქით, ტროის მახლობლად, მწარე წყარო და მისი წყლის დალევა არ შეიძლება. იქ სარწყულებელთან იკრიბებიან მხეცები, მაგრამ წყალს არ სვამენ, ვიდრე არ გამოჩნდება მარტორქა. მას ჯადოსნური რქა აქვს და, როცა თავს წყაროსკენ დახრის და რქით წყალს შეეხება, წყალი გემრიელი ხდება. მაშინ მასთან ერთად სხვა მხეცებიც იწყებენ წყლის სმას. ხოლო, როცა ის, წყურვილმოკლული, წყლიდან რქას იღებს, ის ისეთივე მწარე ხდება, როგორიც ადრე იყო. მაგრამ თუ მარტორქა რქით ამღვრევს წყალს, მისი მზერისგან წყალი გამჭვირვალე ხდება და მის სიღრმეში, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს სამყაროს მთელი მომავალი…***

ერთხელ, საღამოთი, როცა არსენი სასტუმროში არ გამოჩენილა, პაპილამ კი, ის-ის იყო, თავის მოსწავლესა და კეთილისმყოფელს, ქალბატონ რასტინას "Di tropis dictinis" მორიგი, ახალი თავის ახსნა დაუწყო, უცებ ქალმა უთხრა:

- ჩემო ძვირფასო, მინდა, რაღაც გიამბო. ქალბატონმა ავაკუმოვიჩმა ერთი საიდუმლო გამანდო, რომელიც ერთობ საყურადღებოა. ასე, რომ მისმინე. ამ თექვსმეტიოდე წლის წინათ ისე მოხდა, რომ ერთი ღირსეული ოჯახის დედა მიხვდა, ბავშვი ეყოლებოდა. ქალი ოცნებობდა, რომ ბიჭი შესძენოდა, მამა კი ოცნებობდა, გოგონა ჰყოლოდათ. ოღონდ არც ერთი მათგანი არ ოცნებობდა, რომ ბავშვი სხვა მამისა ყოფილიყო. ამგვარად, ეს ახლად ჩასახული ბავშვი მაშინვე არასასურველი შეიქმნა. დედას ის ჯერ კიდევ მანამ უნდა მოეცილებინა, სანამ ქმარი რაიმეს იეჭვებდა. ბებია ქალმა, რომელიც მოიწვია, უთხრა, ყველაზე იოლი ის იქნება, თუ ჩანასახს ვინმე სხვა ადამიანის საშვილოსნოში ან, სულაც, რაიმე ნივთის შიგნით გადავიტანთო. როგორ განახორციელეს ეს, არავინ იცის, მაგრამ ჩანასახი კი ნამდვილად აღმოჩნდა რბილი, ხავერდგადაკრული სავარძლის შიგნით. იქ განაგრძობდა ზრდას და ერთხელაც, როცა ქმარი სავარძელში იჯდა, გაიგონა, როგორ აკაკუნებს შიგნიდან ვიღაცა…

აქ ახალგაზრდა პაპილამ უცბად შეაწყვეტინა თხრობა ქალბატონ რასტინას. ბიჭი აშკარად შეცბუნებული ჩანდა,

გაკვეთილის გაგრძელებაც კი სცადა, თითქოს ქალს არც არაფერი ეთქვას:

- ტროპებს მიეკუთვნება: მეტაფორა, სინეკდოქე, მეტონიმია, ანტონომაზია, ონომატოპეა, კატაქრეზა და მეტალოგია. Allegoria nihili alius est quam continua Metaphora…

მაგრამ აქ ქალბატონმა რასტინამ პაპილას ტუჩებზე მარაოააფარა, მოვერცხლილი მზერით მიუალერსა და მშვიდად განაგრძო:

— მეტაფორულად თუ ალეგორიულად, მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ქალმა, რომელზეც გიყვები, ერთხელ საშინელებით შეძრწუნებულმა ქმარს დაუძახა სავარძელს მიუგდე ყურიო — მის ზურგში სავსებით აშკარად ძგერდა ვიღაცის გული…

- Dis quipus interr is ete evis mihi magnus Apollo…

ორიოდე თვის შემდეგ სავარძლის შალითის ქვეშ უკვე გამოკვეთილად მოჩანდა მოკუნტული სხეულის მოხაზულობა, ხოლო, თუ სავარძელზე ვინმე დაჯდებოდა და საზურგეს მიეყრდნობოდა, ბავშვი სითბოსი და სხვისი გულისცემის პოვნის იმედით ზურგზე ეკვროდა. მალე ხავერდის გადასაფარებლის ქვეშ იმისი გარკვევაც კი შეიძლებოდა, რომ ეს ბიჭია…

- Crudelis Mater magis, an puer imquepus ille Impropus ille puer, crudelis tu quaque Mater…

გონსგადასულმა ავქსენტიმ, რომლის სულშიც შიშმა დაისადგურა, ამ სიტყვებით დააპირა თავისი წარუმატებელი ცდის გაგრძელება — როგორმე მაინც ჩაეტარებინა გაკვეთილი, მაგრამ ქალბატონმა რასტინამ მტკიცე ხმით, ერთი ფრაზით დაასრულა ამბავი:

- ბოლოს სავარძლის სარჩული გახიეს და საზურგეში გიპოვეს შენ, ავქსენტი პაპილა!

ამ სიტყვებზე ავქსენტი აკანკალდა, წამოიყვირა და ქალბატონ რასტინას გაშლილ მკლავებს მიაშურა, რომელმაც, ბიჭი რომ დაემშვიდებინა და საშინელი აზრებისგან დაეცვა, მკერდზე მიიკრა იგი და მონათხრობში აღწერილი სავარძლიდან პირდაპირ თავის საწოლში გადაიყვანა.

1813 წლის იმ დღეებში კარლოვიცებში მთვარის შუქს სიმწვანე შეერია, ქროდა ქარი, შლაპების ნაცვლად სახელებს რომ მიაფრიალებდა, და მოდიოდა მსუქანი, თავსხმა წვიმები.

- არა, ერთი ამათ შეხედეთ, - ღუღუნებდა ქალბატონი რასტინა, თან თავისი ოთახის ფანჯრიდან, ქუჩის თავზე მოფარფატე მინისკედლებიან ტახტრევანს რომ მოგაგონებდათ, უთითებდა გამვლელებზე, რომლებიც ქარით აფორიაქებულ ქუჩაზე მიმოდიოდნენ. — შეხედეთ, ყველამ ძუძუებს შორის დამალა საკუთარი სახელი. პირველივეს კი, ვინც იქ ხელს ჩააცურებს, შეუძლია მისი წაღება. ყველაზე უფრო ლამაზებს უფრთხილდით, - ეუბნებოდა შვილს და საყვარელს ქალბატონი კალოპეროვჩი, ბედნიერებით აღვსილი იმის გამო, რომ მოულოდნელად ახალგაზრდობა დაუბრუნდა, - უფრთხილდით იმათ, ვისაც ზედა ტუჩი მწვანედ, ქვედა კი იისფერი საცხითა აქვს შეღებილი. იმათ ვის საყურეებზეც ჩიტები სხდებიან. ასეთები ხელიდან დაგარწყულებენ წყლით, რომელშიც ღამე სალბის ყვავილმა გაათია, წყლით, რომლის დამლევიც საკუთარ დედას დაივიწყებს.

ის ლაპარაკობდა, ვაჟიშვილი კი, არსენი, მისჩერებოდა და ვერ ცნობდა, ხოლო ქალი ისე შეჰყურებდა პაპილას, თითქოს მის წინ ანგელოზი იდგა.

ქალბატონი რასტინა ახლა სულ სხვა გემოს ატანდა სოკოს წვენს, რომელიც ძალიან უყვარდა, და დარიჩინის სუნს ყავის სუნისგან ველარ არჩევდა. ქალბატონი კალოპეროვიჩი, რომელსაც თავისი ღამის ნაპირიდან უკვე ესმოდა ცხენის ფლოქვების გახევებული კაკუნი და ხედავდა, როგორ ეშვება წყვდიადი მისი სახლის ნაპირზე, სავსებით გარდაიქმნა.

- არ შეგიძლია, როგორმე ისეთ დროს მოხვიდე, როცა მძინავს? — ეუბნებოდა საყვარელს, - ვერაფრით ვახერხებ, შენით სიზმარშიც დავტკბე, ჩემი ვაჟი არსენი კი უკვე აღარ მესიზმრება.

როგორღაც ერთ დილას პაპილას უთხრა:

- წუხელ სიზმარში სასტიკად შემაშინე. ფანრით ჩუმად მომეპარე; ჩემს სიზმრებში იმისთვის გეძახდი, რომ მომფერებოდი, შენ კი ჩემი მოკვლა გინდოდა. ჰუსარის ხმლით.

რომ დაემშვიდებინა, ჭაბუკმა პაპილამ ქალი იმ ღიმილით დააჯილდოვა, რომელზეც კარლოვცელი დედაკაცები იტყოდნენ ხოლმე საჯდომ ცხენზე ძვირად ფასობსო, და ცისფერი ბალიშით, რომელსაც ოთხივე კუთხეში ეჟვნები ება, რათა ქალს მაშინაც ხსომებოდა, როცა ეძინა. ბალიშზე ოქროს ძაფებით ლათინურად ამოექარგათ:

*„როცა ქალბატონი რასტინა წვება, ეჟვნები ჟღარუნობენ და მათგან სიზმრები ცვივა. როცა ქალბატონი რასტინა დგება, სიზმრები უკან, ეჟვნებში ბრუნდებიან, საწოლში კი ქალბატონ რასტინას კატა მოიკალათებს ხოლმე. კატა კრუტუნებს და ეჟვნებს თათს ურტყამს და, საკმარისია, ჟღარუნადან ქალბატონ რასტინას ერთ სიზმარიც კი გადმოვარდეს, კატა სასწრაფოდ პირს სტაცებს და ყლაპავს. მაგრამ ეს ძალიან უხეში საკვებია და კატას წყენს, ამიტომ, იმით შეშინებული, რაც გადაყლაპა, რამდენიმე დღით კრუტუნს წყვეტს და ეძებს უსუპს, ბალახს, რომლითაც გველის ნაკბენს მკურნალობენ. ამ ბალახის დახმარებით კატა ქალბატონ რასტინას სიზმრებისგანაც განიკურნება ხოლმე“.*

ბალიშის მეორე მხარეს ეწერა: *„კატას ავქსენტი პაპილა ჰქვია“.*

ქალბატონმა რასტინამ ამაყად მიიტანა ბალიში თავის საყვარელ ფანჯარასთან, თან ვერცხლისფერი თვალების შეყვარებულ მზერას არ აცილებდა პაპილას. მისი გულისთვის ყოველდღიურად მთელი საათი თხემზე შედგმული ანთებულსანთლიანი შანდლით დადიოდა და მრავალი წლის შესვენების შემდეგ ხავერდგადაკრული და სპილოს ძვლით გაწყობილი შავი ყუთიდან კვლავ ამოიღო თავისი კლარნეტი. ერთხელ შვილისა და საყვარლისთვის ლოყაშეფაკლული უკრავდა “Divertismento-Corale di Sant’Antonio – penflauto, oboe, clarinetto, fagotto e corno”-ს და სწორედ იმ დროს, როცა “Minuetto”-მდე მივიდა, ოთახში შემოვიდა მისი ქალიშვილი დუნია, ზედა ტუჩზე მწვანე, ქვედაზე ყვითელპომადანასმული.

ქალბატონ რასტინას ნერწყვი გადასცდა, ფლეიტა გვერდზე გადადო და იმავე საღამოს ქალიშვილს უჩუმრად გაუწყო საწოლი თხის ბეწვის თხელი გადასაფარებლით. მეორე დღეს თავისი საყვარლის ზურგს რომ შეხედა, ქალმა შეამჩნია, რომ ავქსენტის მთელი კანი წითლად დაკაწვროდა უხეში თხის ბეწვისგან. ამ საშინელებით გადარეული საღამოთი ჩუმად უთვალთვალებდა, როგორ ბანაობს მისი ქალიშვილი. ნახევრად გამჭვირვალე ფარდიდან რომ უჭვრეტდა, ქალბატონმა რასტინამ უცებ გაიფიქრა, რომ მამაკაცი ვერასოდეს მიხვდება, რას გრძნობს ქალი ბანაობისას, ისე, როგორც ქალს არ შეუძლია, წარმოიდგინოს მამაკაცის ის შეგრძნება, მოშარდვის შემდგომ დაფერთხვისას რომ ეუფლება… აქ ქალმა შეამჩნია, როგორ გაწითლებოდა მუხლები დუნიას თხის ბეწვისგან. ამგვარად, მან იმაზე მეტი გაიგო, ვიდრე სურდა.

უძლურ გააფთრებადაუფლებულს მთელი ღამე არ უძინია და ოთახში ბოლთის ცემით იმდენი გაიარა, რამდენიც მეზობელ ქალაქ სლანკამენამდე ფეხით ჩასასვლელად ეყოფოდა. დილით ვაჟიშვილს დაუძახა, მოეხვია და ყველაფერი უამბო. ჩახუტებულებმა იტირეს, მერე ბიჭი ადგა, იმ ოთახში შევიდა, სადაც პაპილა მის დას ლათინურის გაკვეთლს უტარებდა და ჩახმახებშემართული ორი პისტოლეტის მუქარით ორივე სახლიდან გააძევა.

### *მეშვიდე გასაღები*

### ეტლი

ერთხანს დუნიასა და პაპილაზე არაფერი ისმოდა, თუ არ ჩავთვლით, რომ უფროსი კალოპეროვიჩი ცოლისგან მალულად საჭმლის ფულს უგზავნიდა ხოლმე. მაგრამ მალე ქალ-



ბატონ რასტინას ყურამდე მოაღწია ერთ-ერთმა იმ საშინელი ისტორიებიდან, რომლებიც ავქსენტი პაპილას სახელს უკავშირდებოდა.

მას შემდეგ, რაც საყვარლები კალოპეროვიჩის სახლიდან გააძევეს, პაპილა ერთხანს კიდევ ეხმარებოდა კარლოვცების ზედა ქალაქის ერთ-ერთ ეკლესიას დაბადებისა და გარდაცვალების წიგნის წარმოებაში. მაგრამ ერთხელაც იმ დროს წაუსწრეს, როცა ამქვეყნად სულ ახლად მოვლინებული ბავშვების სახელების გასწვრივ არა მარტო მათი დაბადების მონაცემებს წერდა, არამედ მათი მომავალი გარდაცვალების რიცხვს, თვესა და წელსაც აღნუსხავდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერები მაშინვე ამოფხიკეს, როგორც კი პაპილას უმსგავსობა შეიტყვეს, შეძრწუნებულმა მშობლებმა ვერაფრით შეძლეს, დაევიწყებინათ ავქსენტის ხელით ჩაწერილი თარიღები, სადაც ათას რვაასიდან ძალიან დაშორებული წლები იყო აღნიშნული.

მაგრამ საქმე აქ არ დამთავრებულა. მას შემდეგ, რაც ერთი ბავშვი ყვავილმა იმსხვერპლა და მისი გარდაცვალების თარიღი ერთ-ერთ საეკლესიო წიგნში სულ ახლახან წაშლილ, მაგრამ ხელახლა აღდგენილ პაპილას ჩანაწერს შეუდარეს, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი დაემთხვა: დღე, თვე, წელი. ზოგი მშობელი ცდილობდა, რომ თუნდაც ძალის გამოყენებით მიეღწია და ენახა ეს ნახევრად წაშლილი ჩანაწერები, რათა წინასწარ შეეტყო შვილების ბედ-იღბალი. ბოლოს ადგილზე ექსპერტიზა ჩაატარეს. სასამართლოს აღმასრულებელმა მოიყვანა პაპილა, რომელსაც იმ დროისთვის სკოლაში უკვე აღარ უშვებდნენ, და მოთხოვეს, ეჩვენებინა, როგორ აკეთებდა ჩანაწერებს დაბადება-გარდაცვალების სარეგისტრაციო წიგნში. როცა მის წინ დაწყობილი წიგნები გადაშალეს, პაპილამ თვალის დახამხამებაში მოძებნა საკუთარი დაბადების აღმნიშვნელი ჩანაწერი, გვერდით მჯდომ დიაკვანს ხელიდან კალამი წაგლიჯა, ნერწყვით დაასველა და წიგნში თავისი გარდაცვალების თარიღი ჩაწერა.

დუნია და პაპილა აიძულეს, დაეტოვებინათ კარლოვცები და ბედნიერების საძებნელად მთელს ქვეყანაზე ეხეტიალათ. პაპილა ავსტრიის არმიაში ჩაეწერა და დუნიამაც ფრანგების წინააღმდეგ საბრძოლველად გააცილა. ამასთან, იგი შიშით ფიქრობდა იმ დღეზე, რომელიც პაპილამ საეკლესიო წიგნში თავისი სახელის გასწვრივ ჩაწერა; იმ დღეზე, რომელიც მაშინვე ამოშალეს და რომელსაც პაპილა არავის უმხელდა. როცა გოგო ჩაეძია, პაპილამ უთხრა:

- მოკლავ თევზს ქვით, როგორც გაფრენილ ჩიტს თოვლის გუნდათი ან გორროხით, მოხარშავ წვნიანს და ძირში თევზის სახელს აღმოაჩენ. ამ სახელის არც ჭამა შეიძლება, არც მის შესახებ რაიმეს მოყოლა.

თვითონ კი, რასაკვირველია, იცოდა ეს დღე. პაპილას გარდაცვალების დღე ასწლეულის მეორე ნახევარს განეკუთვნებოდა და მას დიდი ხნის სიცოცხლეს ჰპირდებოდა.

პაპილას ომშიც თანსდევდა საოცარი ამბები. ერთ-ერთ ასეთი ამბავი იმას ეხებოდა, თუ როგორ ახლდა ავქსენტი მოხეტიალე თეატრის წარმოდგენაზე ოფიცერს, ვისი ხელმძღვანელობითაც მსახურობდა, - პანა ტენეცკის, სახელგანთქმული პახომი ტენეცკის ვაჟს. სპექტაკლს „კაპიტან ოპუიჩის სამი სიკვდილი" ერქვა. როცა წარმოდგენა დამთავრდა, ავქსენტიმ გაიფიქრა:

„მაშ, ეს კაპიტანი ოპუიჩი სწორედ ისაა, ვისაც, თავის ნაწილთან ერთად მიმავალს, უკან მივყვებით. სწორედ ის, ვინც ჩემს კაპიტან პანა ტენეცკის წინა ომში მამა მოუკლა. კაპიტანი პანა კი დუმს, თითქოს პირში წყალი ჩაიგუბაო. იქნებ, ამგვარად ჩემი გამოცდა სურს?"

და მაშინვე დაასკვნა — მესამე და უკანასკნელი სიკვდილი კაპიტან ოპუიჩისა ჯერ არ ყოფილა! ეს კი ნიშნავდა, რომ კაპიტნის მოკვლა შეიძლება. მას სულ სამი სიცოცხლე აქვს და, თუ მესამე სიცოცხლეს წაართმევ, ისეთივე მნიშვნელოვანს, როგორიც კატისთვის მეცხრე სიცოცხლეა, მაშინ ბრძოლის ველზე მისი მეტოქეობაც მორჩება. ავქსენტიმ ფანარი იშოვა და მტკიცედ გადაწყვიტა, პირველსავე ბრძოლაში მოეძებნა კაპიტანი ოპუიჩი.

- ხელთ ვიგდებ მის დეზებს! — თქვა პაპილამ, რომელსაც უკვე მოესწრო და დაემტკიცებინა, რისი გაკეთება ძალუძს ომშიც. მან „კურდღლის" როლი იკისრა — შეტევაზე ყოველთვის უყოყმანოდ, პირველი გადიოდა და სხვებსაც მიიყოლებდა, მერე კი უკანა რიგებში გადაინაცვლებდა ხოლმე. და ელოდა ახალ შემთხვევას. ახლაც შესაფერის დროს უცდიდა. და ისიც მალე დადგა: ავსტრიის არმიის რაზმი პოდპორუჩიკ პაპილას მეთაურობით ერთი ქალაქის პატარა, ქვით მოკირწყლულ მოედანზე გაჩერდა, რომელიც ისეთი მყუდრო იყო, თითქოს საკუთარი სახლის ოთახიაო. ცენტრში უნივერსიტეტის შენობა იდგა. პაპილამ გაოცებით შენიშნა, რომ კედლები კაცის სიმაღლის ნახევარზე მთლიანად ადამიანის შარდითაა დასველებული. კვალი მოწმობდა, რომ ამ საქმეში ბევრ ადამიანს მიეღო მონაწილეობა. აშკარა იყო, უნივერსიტეტს ასე სტუდენტები მოქცევიან. ერთ კედელზე ნახშირით დიდი ასოებით ეწერა:

ICH HATTE SCHLECHTE LEHRER,
PAS WAR EINE GUTE SCHULE
(„ცუდი მასწავლებლები მყავდნენ,
ეს კარგი სკოლა იყო").

ამ წარწერიანი კედლის მიღმა, უნივერსიტეტის შენობაში, იდგა ფრანგების ზუსტად ის რაზმი, რომელსაც ესენი მისდევდნენ.

კაპიტანი ოპუიჩი, პოსტების შემოვლით გართული, და პოდპორუჩიკი პაპილა, რომელიც შლეგის უშიშრობით ესწრაფოდა მასთან შეხვედრას, იმავე ღამეს გადაეყარნენ ერთმანეთს მოედნიდან გამავალ ერთ-ერთ გვერდითა ქუჩაზე. დადგა წუთი, როცა ერთმანეთს შეეტაკნენ არავის კუთვნილ მიწაზე, ორივე ფანრებით და ხელში ხმლებით. პაპილა ტაქტიკურ გათვლებს არ მოჰყოლია. გადაწყვიტა, უბრალოდ, იმ წარმოდგენით ეხელმძღვანელა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ თეატრში ნახა და რომელშიც ზუსტად ისე იწყებოდა ის მოვლენები, რომლებიც ოპუიჩის მესამე სიკვდილს უძღოდა წინ. პაპილამ ხმალი მიწაში ჩაარჭო, ზედ ფანარი დაკიდა და ხიშტმომარჯვებულმა სიბნელეში უკან დაიხია. კაპიტანმა, - პაპილაც ასე ვარაუდობდა, - ქუჩის მეორე ბოლოში იგივე გააკეთა, ესე იგი, ხმალი მანაც მიწაში ჩაარჭო და ფანარიც ზედ დაკიდა. ჭაბუკი იმედოვნებდა, რომ ყოველივე ამის შემდეგ ოპუიჩი სიბნელეში მისკენ წამოვიდოდა და წამოეგებოდა ხიშტზე, რომელიც გამზადებული ჩაებღუჯა ხელში. ისეთი წამიც კი იყო, როცა პაპილა ელვის სისწრაფით უკან შებრუნდა, რადგან ზურგიდან რაღაც შრიალი მოესმა, და ხიშტი მოიქნია, მაგრამ ახლომახლო არავინ აღმოჩნდა. მხოლოდ ღამურა, რგოლზე დაკიდულ ორ გასაღებს რომ წააგავდა, გაფრენისას ლოყაზე შეეხო. მოკლედ, სიბნელეში ვერავინ აღმოაჩინა. პაპილა კაპიტან ოპუიჩის ძებნას განაგრძობდა, ის კი არსად ჩანდა. პოდპორუჩიკმა უკვე გადაწყვიტა, რომ, უბრალოდ, დასცინიან. ტალახსა და უკუნში უშედეგო ძებნის შემდეგ, გაბოროტებული და სულ მთლად გალუმპული, ის პირდაპირ მტრის ხმლისა და ფანრისკენ გაემართა, ალაფი მაინც რომ გაეყოლებინა. და, როცა ამ ალაფამდე ერთი ხელის გაწვდენაღა რჩებოდა, კაპიტანმა, რომელიც ერთი ნაბიჯითაც არ მოშორებია თავის ხმალსა და ფარს, ალს ძლიერად შეუბერა და სიბნელეში ისეთი ძალით დაუსვა ხმალი, რომ პაპილას ენა ყურს უკან გადაეკიდა. ოპუიჩმა პოსტების შემოვლა განაგრძო, ავქსენტი პაპილა კი ტალახში გართხმული დარჩა. ის უკვე აღარ იყო ახალგაზრდა, რადგან არ არსებობენ ახალგაზრდა მიცვალებულები.

ავქსენტის გარდაცვალების ცნობა კარლოვიცაში [...]ყლით მოვიდა. პირველად ეს ამბავი ბატონმა ერემია კალოპეროვ[...]მა მოისმინა: მის ფარდულში ცნობილი კარლოვცელი მასხარა შევიდა, ერთი იმათგანი, ვისაც მხოლოდ ის შეუძლია, რომ

ქვეშაგადაც საკუთარი ჩრდილი დაიფინოს და ზემოდანაც ეს ჩრდილი წაიფაროს. და აი, რას მოჰყვა:

- დღეს ნავმისადგომთან ერთი გასართობი ამბავი მოვისმინე. ორმა გლეხმა ხარები გაყიდა, არც ისე ცოტა ფული აიღო და შინ გამოსწია. ამ დროს ფრანგები პრუსიის გავლით უკან იხევდნენ. მათთან ერთად იყვნენ ის სერბებიც, რომლებიც ბონაპარტთან მსახურობენ. უსაქმურად დარჩენილი ამ ორი გლეხიდან ერთ-ერთმა ნაძლევი დადო, რომ კარგი საზღაურის ფასად ბაყაყს შეჭამდა. აქეთ კიდევ ჩვენი სერბები, რომლებიც ავსტრიის არმიაში მსახურობენ და ფრანგებს მთელ გერმანიაში ებრძვიან, მათთან ჩვენი პაპილაც — ავქსენტი პაპილა ზემო ქალაქის ეკლესიიდან. იმან, ვინც ნაძლევი დადო, შეჭამა ბაყაყი და ფული ჩაიჯიბა. ჰოდა, პაპილამ დუელში გაიწვია ვიღაც ფრანგი კაპიტანი ოპუიჩი, იმ ოპუიჩთაგანი, ტრიესტში რომ ცხოვრობენ. იმან კი, ბაყაყის გამო ნაძლევი რომ წააგო, გაიფიქრა: „მთელი სოფელი მასხრად ამიგდებს, თუ გაიგებენ, ფული რომ გადავუხადე“. თქვენი დუნია კი, ის უკვე აღარაა ჩვენებთან, ავსტრიელებთან — კაპიტანმა ოპუიჩმა თავისი დაჭრილი შვილის, ფრანგული არმიის პორუჩიკ სოფრონის სამკურნალოდ გაგზავნა. ამიტომაც მეორემაც ნაძლევი დადო, მეც შევჭამ ბაყაყსო, რადგან ძალიან უნდოდა, თავისი ფული უკან დაებრუნებინა. და შეჭამა. მაშინ კაპიტანმა ოპუიჩმა ხმლით განგმირა პაპილა ისე, რომ მისი სახელიც არ უკითხავს, იმას კი, მეორე ბაყაყი რომ შეჭამა, მას შემდეგ, რაც მისივე ფული უკან დაუბრუნა, პირველი ეკითხება:

- მისმინე. ჩვენ, სერბები, ამ ბაყაყებს რისთვის ვყლაპავდით?

ბატონმა კალოპეროვიჩმა ყბედი ფარდულიდან მიაბრძანა და მთელი დღე იმის შიშში იყო, ამ საზარელი ახალი ამბით ცოლს როგორ სჩვენებოდა. ცრემლებს ძლივს იკავებდა, მაგრამ ახალი ამბავი ძალიან სწრაფად გავრცელდა და ქალბატონმა რასტინამ, ცრემლით დასველებულ ეჟვნებიან ბალიშს ხელიდან რომ არ უშვებდა, ქმრის შემდეგ მალევე გაიგო პაპილას დაღუპვის ამბავი, ქმარზე ადრე კი მან კიდევ ერთი საზარელი რამ შეიტყო იმ ამბებიდან, პაპილაზე რომ ვრცელდებოდა მას შემდეგაც კი, რაც ის უკვე მოკლული იყო.

შუადღისას აივანზე, რომელიც პირდაპირ დუნაის გადაჰყურებდა, ისხდნენ ქალბატონი რასტინა და მისი მეგობარი, ქალბატონი ავაკუმოვიჩი, რომელიც სწორედაც იმისთვის მივიდა, რომ რაც შეიძლება მალე ეამბო მისთვის ის, რაც შემთხვევით გაიგო.

- ავქსენტი პაპილა რომ მოკლეს, - ყვებოდა ქალბატონი ავაკუმოვიჩი, - თქვენმა დუნიამ აიღო დანა, თევზის ფორმისა, და ალალბედზე გასწია საყვარლის მკვლელობისთვის შურის საძიებლად. იმას ეძებდა, ვინც პაპილა მოკლა. ის ვინ მოკლა, უკვე ცნობილი იყო — უფროსმა ოპუიჩმა, კაპიტანმა. ოპუიჩს ფრანგების ერთ ბანაკში მიაგნო — ჯარისკაცებმა მიიყვანეს მასთან.

- დიდი ხანია, გეძებ, შენი ხელი მჭირდება. გამიგია, რომ ხელი, როცა ხმალი უპყრია, მსუბუქი და სწრაფი გაქვს. ამიტომაც გეძებდი, სათხოვარი მაქვს შენთან.

- რა სათხოვარია? — ჰკითხა კაპიტანმა ოპუიჩმა.

- ერთი ვინმე იმ ქვეყნად უნდა გაამგზავრო.

- ეგ ფული ღირს.

- რასაკვირველია, ღირს, - უთხრა დუნიამ და კაცს ოქროთი სავსე ქისა დაანახვა.

- კეთილი, - უპასუხა მან, - ვინ უნდა მოვკლა?

- მე.

- შენ? თვითონ იხდი იმისთვის, რომ მოგკლან?

- სწორია. და დროც არ მრჩება ამდენი ლაპარაკისთვის. ვჩქარობ. მაგრამ ერთი, ერთადერთი პირობა მაქვს: ჩემს თმას ხომ ხედავ, ოდნავ ჭაღარაშერეულს? შენს საქმეს რომ მორჩები, თმა ისეთივე უნდა დამრჩეს, როგორიც ახლაა. არ უნდა დამიზიანო არც ერთი ვარსკვლავი, ჭაღარის არც ერთი გაბრწყინება.

პასუხად კაცმა მოულოდნელად აღვირი ესროლა და კბილებში ლაგამი ამოსდო. ჯარისკაცები გაოცებისგან გაშეშდნენ, მაგრამ აღვირი ისე მოერგო ქალს თავზე, იფიქრებდით, ზომა აუღიათ და ისე შეუკერავთო, ლაგამიც ისე მოხერხებულად ჩაჯდა თავის ადგილას, კბილებს შორის ნასვრეტებში, თითქოს სწორედ დუნიასთვის გაეკეთებინათ.

- ახლა გასაგებია, რაშია საქმე, მსუქან კატას რწყილი არ შეაცოცდება, - შენიშნა კაპიტანმა და ქარქაში ამოაბრუნა, იქიდან კი ხმალი ჩამოცურდა. ოპუიჩმა ქარქაში დუნიას მიაწოდა და ქალმა ის ოქროს მონეტებით აავსო. ამის შემდეგ კაპიტანმა ლაგამ-აღვირი წამოყარა და ბრძანა, მაგიდაზე დაედოთ კვერები, რომლებიც მთელი დღე ცხვება, რადგან ყოველ მათგანს ცეცხლიდან იმწუთას იღებენ, როგორც კი მეორეს დაახვევენ და ცხიმს წაუსვამენ, მერე კი სხვებთან ერთად ისევ ცეცხლზე შემოდგამენ. ვახშმის შემდეგ ოპუიჩმა დუნია თავისი საწოლისკენ წაიყვანა ამ სიტყვებით:

- ალბათ, სულაც არ გეშინია, დაწვე კაცთან, ვისგანაც იმგვარი სამსახური მოითხოვე, როგორიც ჩემგან?

- მე უკვე აღარაფრის მეშინია, - უპასუხა დუნიამ. — მაგრამ მითხარი, რას მიპირებ? ამბობენ, რომ შენგან ყველაზე უცნაური საქციელია მოსალოდნელი... - და ცას ახედა, თითქოს უნდოდა, გაეგო, რა დრო გავიდა.

- შენი სიკვდილი ისეთი იქნება, ქალისთვის უკეთესს რომ ვერავინ მოიფიქრებს. ჩემში ერთმანეთშია შერეული სიკვდილის თესლი და სიცოცხლის თესლი. შენ ჩემგან დაორსულდები და გააჩენ იმას, ვინც გინდა. მე შერეული თესლით გაგანაყოფიერებ და თვითონ აირჩევ, რომელს ისურვებ... სიცოცხლის თესლს ან სიკვდილს თესლს.

- დიდხანს მომიწევს ლოდინი? მე კი უცბად ვარჩევდი.

- არა, ეს ამაღამვე მოხდება.

მაშინ დუნია თავის ჯალათს მოეხვია და იგრძნო, როგორ გაორდა მასში ღამე და ადგილი დაუტოვა რაღაც ტკბილ სინათლეს. მერე ყველაფერი მიყუჩდა. და ქალს გადამალული, თევზის ფორმის მქონე დანით აღარ უსარგებლია.

- ახლა შეგიძლია, ჩემთან დარჩე, - უთხრა კაცმა დილით, ბეჭებზე რომ კოცნიდა.

დუნია მიხვდა, რომ იცოცხლებდა და, როგორც ჩანს, გაუხარდა.

- შენმა თესლმა არ მომკლა, - თქვა მან.

- არ მოგკლა, მაგრამ არც გაგანაყოფიერა. უნაყოფო ხარ, - და ორივეს გაეღიმა“.

ასეთი საშინელი ამბავი მოისმინა ქალბატონმა რასტინამ მეგობრისგან. იმ საღამოს იგი ისევ გააფთრებული დადიოდა ოთახში წინ და უკან და, თითქოს ბოდავსო, იმეორებდა:

- ის, უბრალოდ, ქალი არ არის! ქალი არ არის! დაკარგო პაპილა! ასეთი კაცი! და არ იხმარო დანა!

ვახშმობისას ქმარმა უთხრა, რომ მათი შვილი, არსენი, სამხედრო სამსახურში ჩაეწერა, მეგობრის, პაპილას გამო შური რომ ეძია, ოპუიჩი მოეკლა და თავისი და შინ დაებრუნებინა. აქ ქალბატონმა რასტინამ შიშისგან სულ დაკარგა თავი, შვილს დაუძახა და აცრემლებულმა უთხრა:

- ახლა მეც და შენც კისერზე თითო ქვა გვკიდია. მაგრამ ყულფი ჯერ არ დაჭიმულა და, თუ ვისურვებთ, შეიძლება, ისინი მოვიხსნათ და ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს არაფერი მომხდარა. შენ თუ დამთანხმდები ამაზე?

- რა თქმა უნდა, არა, - უპასუხა ახალგაზრდა კალოპეროვიჩმა, რომელიც უკვე გამოწყობილიყო ჰუსარის მუნდირში.

- მაშინ შემომფიცე, რომ დაწვები ყველასთან, ვინც კი პაპილას საყვარელი იყო.

ამ სიტყვებზე მისი ვაჟის თვალებმა უცნაურად გაკვესა და ქალბატონ რასტინას, მოგეჩვენებოდათ რომ, გაუხარდა. მან მართლაც მიაღწია იმას, რომ შვილმა შეჰფიცა, დაწვებოდა ყველა იმ ქალთან, ვისთანაც ახლოს იყო მისი განსვენებული მეგობარი ავქსენტი პაპილა. ქალს ეჩვენებოდა, რომ ამ გზით, ანუ იმ ქალების მეშვეობით, ვისაც პაპილა უყვარდა, შეძლებდა მის ჩაბეჭდვას მეხსიერებაში და, გარკვეული თვალსაზრისით, ამ ცხოვრებაშიც. თვითონ კი თავს პირობა მისცა, თავისი მეტოქე-ქალიშვილისთვის წაერთმია და საკუთრად გაეხადა ყველა, ვისთანაც გოგო ახლოს იყო ან უნდოდა, ახლოს ყოფილიყო — იმისთვის, რომ მან დედა ავქსენტის დააშორა.

- და კიდევ ერთიც, - ყურში ჩასჩურჩულა მან შვილს, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრანგებზე სალაშქროდ აცილებდა და ის, უკვე ამხედრებული, დაიხარა, რათა დედისთვის ეკოცნა. — იცი, ვერ ვბედავდი, შენთვის მეთქვა. ახლა კი მომიწევს ამის თქმა. კაპიტანი ოპუიჩი შენი მამაა.

ამის გაგონებაზე ახალგაზრდა კალოპეროვიჩი შეკრთა და იგრძნო, როგორ ამოეზარდა ენიდან ბალახი. და შურისძიების სურათის ნაცვლად მის თვალწინ წამიერად გაიელვა მეგობრის სწრაფი და მოკლე რომანების მწკრივმა, ამჯერად თვითონ რომ უნდა გაემეორებინა.

იმ მომენტში, როცა გადაწყვიტა, თავისი თესლი მკვდარი პაპილას თესლში აერია, არსენის ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, რას ნიშნავს ეს. ერთადერთი, რამაც იმწამსვე გაუელვა ამ ახალ სამყაროში, იყო ის, რომ დუნია მისი მხოლოდ ნახევარდაა, დედის მხრიდან.

და მან მხიარულად შემოჰკრა ცხენს დეზები.

### *შვიდი მეორე გასაღები*

### *მერვე გასაღები*

### ძალა



ერისენა ტენეცკაიას არ შეეძლო, ხსომებოდა მამა, რომელიც 1797 წელს რომელიღაც ციხე-კოშკში დაიღუპა დუნაის სანაპიროსთან, მაგრამ მასზე ფიქრისას ფრენა ისწავლა. თავიდან სიზმრად დაფრინავდა. მერე ნელ-ნელა ფრენა დაიწყო თავის ოთახშიც ზემუნში. ერისენა ტენეცკაია ფანჯრიდან გადაჰყურებდა დუნაის წყალს, ღამით გრძნობდა, როგორ იცვლის წყალი სუნს, დღისით კი ხედავდა, როგორ გამორიყავდნენ ხოლმე ტალღები ჩრდილებს ნაპირისკენ. სადღაც ამ წყალში ემარხა მამამისი და ისიც, მშობელი განსაკუთრებით ომში განცდილი დამარცხების გამო რომ უყვარდა, ზოგჯერ მდინარეს ეჩურჩულებოდა:

- წყეულო, წყეულო, ითამაშე და დამიბრუნე.

მაგრამ მამა არ ბრუნდებოდა. იმ დილით ერისენამ სირბილით დატოვა თავისი ოთახი, სადაც კარადებიდან სიცივე მოდიოდა და სადაც მას წვიმიანი სიზმრები ესიზმრებოდა. საკუთარი მკერდი უცხოდ ეჩვენებოდა. მდინარისკენ მიმავალი კიბის საფეხურებს რომ ჩაირბენდა, მათი დანახვა აოცებდა და აყურადებდა საკუთარ ახალ, შეუჩვეველ სხეულს, რომელიც ისე უნდა ეტარებინა, როგორც სხვადასხვა ფერის სითხეებით გალიცლიცებული ჭურჭელი. და კიდევ, გრძნობდა, რომ ვალდებულია, ეს სხეული დაასახლოს. რომ ის ცარიელია. რომ ეს სიცარიელე ტკივილს აყენებს. რომ ახალგაზრდობა — ეს ცოდვაა და სასჯელი. აქ, ამ კიბეზე, მას სძულდა თავისი ლამაზი, ლომის ფაფარივით მოურჯულებელთმიანი უფროსი ძმა, ავსტრიის არმიის კაპიტანი პანა ტენეცკი, რომელიც, ის-ის იყო, ტრიესტიდან დაბრუნდა. გოგონას ისეთივე ძალით სძულდა ძმა, როგორითაც მისი ეშინოდა ყველა გარშემომყოფს. ქვემოთ, ნავმისადგომთან ჩასულს კი, მას სძულდა უმცროსი ძმაც, მაკარი ტენეცკი, რომელიც დაოჯახებამდე ზარების ჩამომსხმელ საოჯახო სახელოსნოს განაგებდა, სადაც ბოქლომებს და ურდულებს ამზადებდნენ, ისე ზუსტებს, თითქოს საათიაო, ცოლის შერთვის შემდეგ კი იმავე სახელოსნოში ავსტრიული არმიის შეკვეთით ასეთივე სრულყოფილი და ზუსტი ზარბაზნებისა და პისტოლეტებისა და თოფების ჩახმახების კეთება დაიწყო. წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინ გოგომ სიძულვილი იგრძნო თავისი ვიწრო და გრძელი ტერფებისადმი, რომლებიც ულამაზო ეჩვენებოდა, გზის ბოლოს კი, შადრევნის მახლობლად, მაკარის ცოლი სძულდა, რომელმაც მასზე, ერისენა ტენეცკაიაზე როგორღაც თქვა: „არც უფლის სანთელია, არც ეშმაკის საჩხრეკი“. კარგა ხანს მასში სიძულვილი საწინააღმდეგო გრძნობებს ებრძოდა, მერე კი ატირდა და ეს დაეხმარა, მიეღო გადაწყვეტილება.

„ვიცი, რისი დაპირისპირება შეიძლება სიძულვილისთვის, ჩემში რომ ბობოქრობს,“ — გაიფიქრა მან, როცა გავიდა სანაპიროზე, რომელიც ისეთი დაგვილი და სუფთა იყო, როგორც ოთახი, ფარდულში შევიდა და რამდენიმე ნივთი აირჩია:

- მომეცით, აი, ის თავსაფარი, ერთი ჩიბუხი, ეს სკამი, წყვილი ხელთათმანი და ბეჭედი.

- ნივთებს ასე არ არჩევენ, ქალბატონო ტენეცკაია, - გამყიდველმა გადაწყვიტა; რჩევა მიეცა, - უნდა მითხრათ, რომელი ჩიბუხი გინდათ. ჩიბუხი არის კაცის და ქალის. არის ხვირთქლის და არის ისეთიც, რომელიც არ ქრება. ზოგჯერ ჩიბუხს აკეთებენ იმ ხელის მიხედვით, რომელმაც ის უნდა დაიჭიროს. ასეთ შემთხვევაში ზომას წინასწარ იღებენ.

- ზომა ჯერ არ ამიღია, - უპასუხა ერისენამ და დაასკვნა, რომ ცრემლებმა გასცეს. ეჩვენებოდა, რომ მის სახეზე შეიძლება ამოიკითხო ყველანაირი ფიქრი, ცრემლებით კი მარტო აზრები კი არა, სიზმრებიც.

„ცრემლები მაშინაც კი გყიდის, როცა უკვე შემშრალია, - გაიფიქრა ერისენამ. — როცა ისინი უკვე აღარ განსხვავდებიან გუშინდელი ოფლისგან და ღაწვებზე ისე შეგხმობია, როგორც თევზის ქერცლი“.

და მაინც, ქალმა აირჩია ქლიავის ხის მაგარი ჩიბუხი რქის მუნდშტუკით, თითქოს ჩიბუხი კი არა, სალამური სჭირდებოდა.

- ხელთათმანი კი მამაკაცისა მომეცით. ისეთი, ზემოდან რომ ბეჭდის გაკეთება შეიძლებოდეს. ხოლო ბეჭედი ისეთი, ხელთათმანს რომ მოუხდეს.

გამყიდველმა წაიბუზღუნა, უკეთესი იქნებოდა, ხელთათმანი იმისი ხელის ზომაზე შეგეკვეთათ, ვინც უნდა გაიკეთოს და ბეჭდის ზომაც ზუსტად გცოდნოდათო, მაგრამ ერისენამ უპასუხა, რომ ისედაც იცის იმისი ზომები, ვისთვისაც ამ ნივთებს ყიდულობს. სინამდვილეში ასე არ გახლდათ. იმას, ვისთვისაც ეს ყოველივე იყო განკუთვნილი, ქალი არ იცნობდა. მან არ იცოდა, როგორ გამოიყურება ის, რა ჰქვია. არასოდეს ენახა იგი. ერისენა ტენეცკაია ნივთებს არჩევდა ჯერ კიდევ უცნობი დანიშნულისთვის, მომავალი ქმრისთვის, რომელსაც ადრე თუ გვიან უნდა ამოეყვანთა მომავლის გაშლილი ზღვიდან. მომავლის ზღვიდან, რომლისკენაც დუნაი, მის და მთელი ქალაქის ფეხთით გაწოლილი, გამუდმებით მიერეკება თავის ტალღებს. მან ყოველივე ეს ერთბაშად იყიდა, როგორც ყიდულობენ ხოლმე საქორწინოდ აუცილებელ ნივთებს. და იმ დროს, როცა ბეჭდის საფასურს იხდიდა, მისმა სხეულმა უცებ ატმის სურნელი გამოსცა.

შემდეგ საფეხურებზე ჩამწკრივებულ ქუჩის მოვაჭრეთაგან ერთ-ერთთან კაუჭიდან ჩამოხსნა ვერცხლისა და აბრეშუმისგან შეკერილი წყვილი პაწია ფეხსაცმელი. ისინი ერთმანეთზე დაგრეხილი ოქროს ძაფის ზონარით გადაებათ.

- ამ ფეხსაცმლიდან ერთ ცალს არ მომყიდი? — ჰკითხა გამყიდველს.

- ერთს? — გაოცდა გამყიდველი და იგრძნო, რომ მისმა წვერმა ისე სწაფად დაიწყო ზრდა, როგორც მიცვალებულისამ, - ვინ ყიდულობს, ქალბატონო, თითო-თითო ფეხსაცმელს?

ერისენა ტენეცკაიამ ხელი ჩაიქნია, წყვილი ფეხსაცმლის ფული გადაიხადა და ერთი იქვე, არხში მოისროლა, მეორე კი მედალიონივით კისერზე ჩამოიკიდა. აი, ასე, ფეხსაცმლით, რომელიც მკერდზე ისე უბრჭყვიალებდა, როგორც რაღაც ძვირფასეულობა, შინ დაბრუნდა. საღამოს, როცა იმ დღისით

ფარდულში ნაყიდი საქონელი მიუტანეს, ქალმა ისინი ოთახში გაფინა და თითოეულს სახელი დაარქვა. ბეჭედს მწევარი უწოდა და მხოლოდ მერეღა შენიშნა წარწერა მასზე:

„გახსოვდე! ბეჭედი — ეს უბიწობაა, რომელიც ალდგება. ჩემი დაკარგვით რაღაც უფრო მეტს დაკარგავ. ველი შენს თითს, როგორც საქმროს".

ქალმა ბეჭედი თავის მესამე ფეხსაცმელში ჩადო და ნათვლიმა. როცა წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, მისი სახლის სიახლოვეს რომ იდგა, საათმა 12 ჩამორეკა, გოგომ ძილში იგრძნო, რომ მისმა ტანმა კვლავ ატმის სურნელი გამოსცა. და ამ სუნმა შეაშინა.

ერისენა ტენეცკაიას ძილი არ უყვარდა. მას სიზმარში ჩანთქმისა ეშინოდა.

### *მეცხრე გასალები*

### განდეგილი




პორუჩიკი საფრანგეთის არმიისა სოფრონი ოპუიჩი ცხენს ფეხშიშველი მიაჭენებდა იმ ადამიანივით, პურის ნაჭერში ოქროს მონეტა რომ ჩატენა და დინებას გაატანა. გორაკის შორიახლოს თავის ჯარისკაცებს დასვენების უფლება მისცა, თავად კი მწვერვალისკენ გასწია, სადაც ქოხი იდგა, რომლის მახლობლადაც მისი ბინადარი მოუხერხებლად აპობდა შეშას. ოპუიჩმა ჯარისკაცებს უბრძანა, განდეგილს დახმარებოდნენ. მოგვიანებით, ღამე, როცა ისინი საბრძოლო დავალებიდან ბრუნდებოდნენ, ისეთი უკუნი ჩამოწვა, რომ გაჩერებამ მოუწიათ. და აი, აქ გორაკის მწვერვალზე ლამპარი აინთო. განდეგილი გზას უჩვენებდა, სინათლით უხდიდა მადლობას ცეცხლისთვის. პორუჩიკმა დაძვრის ბრძანება გასცა, მაგრამ სიტყვის თქმაც ძლივს მოასწრო, რომ ლამპარი ჩაქრა. როგორც კი გაჩუმდა, სინათლე კვლავ გამოჩნდა. პორუჩიკმა ბრძანა ყველანი გაჩუმდითო, მაგრამ ამ დროს ცხენმა დაიჭიხვინა და სინათლე კვლავ ნისლსა და უკუნში ჩაინთქა.

„ვინ გვაღირსებს კეთილისმყოფელს, ვისი ქველი საქმეებიც მასთან ერთად არ კვდება. აკი ვარსკვლავებიც ისე ცვივა ძირს მბრწყინავი სიმაღლეებიდან, როგორც ფოთლები ხეებიდან?" — გაიფიქრა სოფრონიმ და ბრძანა, ცხენებისთვის პირი აეკრათ. ასე მიაღწიეს გორამდე.

ოპუიჩმა განკარგულება გასცა, ღამის გასათევად შეჩერებულიყვნენ. თვითონ კი ქოხის კარს მიუკაკუნა, განდეგილმა შიგნით შეიყვანა და კუთხეში დაწოლა შესთავაზა. უკუნ სიბნელეში იწვნენ და სოფრონი ისე დუმდა, თითქოს პირში წყალი ჩაუგუბებიაო. განდეგილი იმათ შორის იყო, ვინც გარეული თხის ნახტომით ხვდება, როგორია დღევანდელი დღე, წყლის ხმაზე კი — როგორი ამინდი იქნება ხვალ.

პორუჩიკმა იგრძნო, როგორ ილვიძებს მასში შიმშილი, სწორედ ის პატარა შიმშილი მკერდს ქვემოთ, და შიმშლისა და ტკვილის მიღმა უსმენდა, როგორ ღრიალებენ დედამიწის სიღრმეში მიწისქვეშა მდინარეები, როგორ უხვევენ, როგორ ეშვებიან უფსკრულებში ან გადაუვლიან მეტალის კენჭებს და ვერცხლის ქვიშას. მას ესმოდა, როგორ მოაქანებს ეს მდინარეები მიწისქვეშა თევზებს ჩრდილოეთისკენ და როგორ ეხმაურება მისი სულის ფსკერზე გაჩენილი სურვილი ამ მოძრაობას და ხმაურს, ამ მუსიკას, ამ მდინარის თრთოლას, და იცოდა, რომ ყოველივე, რაც მიწის წიაღში ხდებოდა, ეს მხოლოდ ვარსკვლავების ციმციმის ანარეკლია, მხოლოდ მიწისქვეშა ოქროს საუბარია ამქვეყნიურ ოქროსთან და ცხოველებთან, მცენარეებთან და ადამიანებში ჩარჩენილ ნინაპრებთან. ძალიან უნდოდა, ყველაფერი, რასაც კი მასთან კავშირი ჰქონდა, რაც შეიძლება, მეტად შეცვლილიყო. არავითარი მიზეზი არ გააჩნდა, საკუთარი წარსული ჰყვარებოდა, მაგრამ მომავლის იმედი კი ჰქონდა და უყვარდა კიდეც, თუმცა ხვდებოდა, მას იგი სიკვდილისკენ მიჰყავდა. წინ ყველაფერი იყო, უკან — არაფერი. მას იპყრობდა და წინ მიჰყავდა წყურვილს და იმედს, რომ, შეიძლება, სასწაული მოხდეს და მის თავს ზემოთ პლანეტების განლაგება შეიცვალოს; რომ დრო, რომელიც მეორე გულივით ფეთქავს მის ჯიბეში, შეწყვეტს მის საზიანოდ საათების ათვლას; რომ მერწყული და ღრიანკალი სხვა საქმეს გამოძებნიან და მაშინ განდეგილი ვერ შეძლებს, გარეული თხის ნახტომით განსაზღვროს, რა დროს უჩვენებს პორუჩიკ სოფრონი ოპუიჩის საათი. ამ უსხეულო ნატვრის წყალობით მასში რაღაც სინათლე კიაფობდა, მაგრამ არა ჩვეულებრივი, არამედ საოცარი, ისეთი, რომ ის, როგორც წყალი, შეგეძლო პირში ჩაგეგუბებინა. ეს იყო სინათლე არაამქვეყნიური; მას შეეძლო, გაენათებინა მიწისქვეშეთი, მაგრამ არ ძალუძდა, გაეფანტა ღამის წყვდიადი, მას კი სჭირდებოდა ცოტაოდენი ამქვეყნიური სინათლეც.

- ვიცი, რატომ არ გძინავს, - განდეგილი უცბად ალაპარაკდა, - მალე ბრძოლის ველზე გახვალთ. იმიტომ მოხვედი, რომ ჩემგან გაიგო, რა მოხდება ამ ბრძოლაში...

პორუჩიკი ოპუიჩი დუმდა და უსმენდა, რადგან უკვე იცოდა, მხოლოდ დუმილში მიიღებდა საჩუქრად სინათლეს.

- აი, როგორაა, შვილო ჩემო, შენი საქმე. წარმოიდგინე ორი რიცხვი — ერთი მამრობითი, ერთიც მდედრობითი. კიდევ უკეთესი, უფრო რომ გაგიიოლდეს, წარმოიდგინე ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი ორი არმია. ერთი იმარჯვებს, როგორც საფრანგეთის არმია წინა ომში, რომელშიც მამაშენი მსახურობდა, მეორე მარცხდება ისე, როგორც მაშინ ავსტრიისა დამარცხდა. ოღონდ დაიმახსოვრე, გამარჯვებას შვილები არა ჰყავს, მას მხოლოდ მამა ჰყავს. დამარცხებას კი ასი შვილი მაინც ჰყავს. ახლა იფიქრე, მათგან რომელი უფრო ძლიერია? და რა ემართებათ გამარჯვებულებს გამარჯვების შემდეგ? საშიში, წვერიანი და შენთვის უცნობი ადამიანი, კბილებამდე შეიარაღებული, ჭუჭყში ჩაფლული, მოულოდნელად შემოვარდება სახლში, ლამის სული გააფრთხო, ისე გაშინებს თავისი უცხო სუნით და ბეჭებზე წამოაქცევს დედაშენს ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოასწრებდე ოთახიდან გამოვარდნას და იმის გაგებას, რომ ეს კაცი მამაშენია. და ზუსტად იგივე ხდება ყველა გამარჯვებულის სახლში. მაშინ მათ მაგრად ჩაბღუჯეს და აქამდე არ გაუშვიათ ხელიდან თავიანთი ცოლები, თავიანთი ცხენები, თავიანთი ძალა. თავიანთი შვილები კი, შენ და შენი თაობა, მათ მუდამ ჩრდილში და მიჯაჭვულები ეყოლებით მანამ, სანამ თავზე თეთრი თმების დათვლას არ დაიწყებთ.

ახლა კი მეორე მხარეს, მტრის მუნდირებისკენ, მეზობელი სახელმწიფოსკენ გაიხედე, იმისკენ, ვინც მამაშენისა და საფრანგეთის არმიისგან მარცხი იწვნია. იქ მამები ნაცემი ძაღლებივით დაბრუნდნენ შინ — პირწმინდად განადგურებულები. დამარცხებული მამების არმიამ სილატაკეში დააზრჩო მთელი ქვეყანა. მთელი ავსტრია და პრუსია. და ამის შემდეგ რაღა მოხდა? მათს შვილებს, შენს თანატოლებს, მათ, ვინც მაშინ იარაღს არ ატარებდა, მხრებზე არ დასწოლიათ წაგებული ომის სიმძიმე. მათ სულს არ ამძიმებდა არანაირი ცოდვა. მათ წინაშე არ აღმართულა არანაირი ზღუდე და კისერზე არ ასხდნენ მამები, რომლებიც წინ ცხენებივით გაირეკავდნენ. სამაგიეროდ, ახლა მათ აქვთ იმის უფლება, რისი უფლებაც თქვენ არასოდეს გქონიათ. მათ აქვთ ყოველივე იმის ნება, რისიც მამათქვენებს ჰქონდათ. მტკიცებულებები გჭირდება? ერთი მათგანი შენს მხრებზეა. გასულ ომში მამაშენმა, ხარლამპი ოპუიჩმა, მოკლა ცნობილი ავსტრიელი სნაიპერი პახომი ტენეცკი. და ახლა, ამდენი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, შენც, გამარჯვებული მამის შვილი, და დამარცხებული პახომი ტენეცკის ვაჟიც არმიაში მსახურობთ. მაგრამ ნახე: შენ — ნაპოლეონისაში და მას — ავსტრიისაში სხვადასხვა ჩინი გაქვთ — შენ პორუჩიკი ხარ, ის კი უკვე კაპიტანია, თუმცა თანატოლები ხართ. ეს ნიშნავს, რომ მეზობელი ქვეყნის არმიის ძლიერთა თაობა, რომელმაც ომი წააგო თქვენს მამებთან, ერთი თაობით უმცროსია თქვენი არმიის ძლიერთა თაობაზე, სადაც დღემდე ყველაფერი ხელთ უპყრიათ მამათქვენებს. ოღონდ ახლა იმათთან, ვინც ძლიერია სამიზნის საპირისპირო მხარეს, შეტაკება მოგიხდათ თქვენ, სუსტებს, აქამომდე ყველა უფლება ჩამორთმეული რომ გაქვთ, თუმცა ახლა სწორედ თქვენ მოგიწევთ მთელი პასუხისმგებლობა და, ამასთან, ახალ დაპირისპირებაში რისკის გაწევა. ამ ომში ყოფილი გამარჯვებულების ვაჟიშვილების სუსტი თაობა ებრძვის ძლიერ თაობას იმათი ვაჟიშვილებისა, ვინც დამარცხდა. ამიტომ გაფრთხილდი და გახსოვდეს, რომ უმძიმესი გამოცდის ჟამი დაგიდგება...

ოღონდ მეც მინდოდა, რაღაც მეკითხა იმაზე, რაც ვერ გამიგია, როცა სიტყვა შენზე და მამაშენზე ჩამოვარდება ხოლმე. და არამარტო თქვენზე, თქვენს მტერ კაპიტან ტენეცკიზეც. რატომ იბრძვით უცხო არმიებში და არა საკუთარში? იბრძვით და იღუპებით, ესენიც და ისინიც, ორი უცხო იმპერიისთვის, საფრანგეთისა და ავსტრიისთვის, მაშინ, როცა თქვენი თანატოლები სერბიასა და ბელგრადში თურქებს საკუთარი მიწისთვის ებრძვიან?

ვიდრე განდეგილი ლაპარაკობდა, ოფიცერი — წყვდიადში ჩაფლული — ყურს უგდებდა ქოხის ქვეშ უკუნში, ვეებერთელა, თავდბრუდამხვევ სიღრმეში როგორ ფარფატებენ სხვადასხვა ფერის ნისლები — წითლები, ყვითლები, მწვანეები და ცისფრები. ისეთივენი, როგორიც ქარები, მათ თავზე რომ დაქრიან. ის უკვე აღარ ფიქრობდა ბრძოლაზე, რომელიც წინ ედო. ღამის სწორედ ის საათი იყო, როცა ულვაში ჩვეულებრივზე გაცილებით სწრაფად იზრდება, და გრძნობდა, როგორ ეკვროდა ტუჩებზე რაღაც აბლაბუდას მსგავსი.

- რომელი გზაა სწორი, მამაო? — ჰკითხა ბოლოს, - როგორ გამოვიცნო ის სხვა გზებში?

- თუ იმ მიმართულებით წახვალ, საითაც შენი შიში უფრო მძაფრდება, მაშინ სწორ გზას ადგახარ. და გწყალობდეს უფალი.

### *მეათე გასაღები*

### ბედის ბორბალი



ერთ საღამოს სახლში, სადაც პორუჩიკი ოპუიჩი ღამის გასათევად დადგა, ქალი მოიყვანეს. მას გიშერივით შავ თმაზე ვარსკვლავებისა და ნახევარმთვარის ფორმის ჭაღარა მოსძალებოდა, პატარა თეთრ ყვავილებს რომ მოგაგონებდათ.

„იქნებ, ეს ვერცხლის ფხვნილია?“ — გაიფიქრა ახალგაზრდა ოპუიჩმა, გოგონამ კი თქვა:

- მამაშენმა, კაპიტანმა ოპუიჩმა გამომგზავნა, სალამი და ბეჭედი რომ გადმოგცე.

- რა ბეჭედი? — ჰკითხა ახალგაზრდა ოპუიჩმა.

გოგონა დუმდა.

- შენ რა, პირში ღამეს მალავ? — ჰკითხა მან და ქალმაც მორცხვად ამოთქვა:

- მამაშენამდე ხმა მოვიდა, რომ მხარში ხარ დაჭრილი.

- მერედა, შენ რა შუაში ხარ?

- ექიმბაში ვარ. მამაშენმა იმისთვის გამომიშვა, რომ შენი იარა ვლოკო. მითხრა, ეს იმაზე უკეთესია, ვიდრე ძაღლმა აულოკოსო. ბეჭედი კი იმისთვის გამოგიგზავნა, რომ ჩემი შრომისთვის დამასაჩუქრო, - და ქალმა გაუწოდა ტვიფარიანი ბეჭედი, რომელზეც პორუჩიკმა მამამისის ინიციალები ამოიცნო.

- რა გქვია? — ჰკითხა ქალს.

- დუნია კალოპეროვიჩი ვარ, კარლოვცებიდან, დუნაიდან, - უპასუხა გოგომ.

ოფიცერი წამოწვა, დუნიამ კი რახის ყლუპი მოსვა და ჭრილობაზე ჯვარი გადასახა, ოღონდ, ვიდრე საქმეს შეუდგებოდა, გააფრთხილა:

- ჩემს თმას შეხედე. როცა გიმკურნალებ და ჭრილობა შეგიხორცდება, მაშინ, უეჭველია, ნაიარევი არ დაგრჩება, მაგრამ სანაცვლოდ ისეთივე შავი თმის ბღუჯა ამოგეზრდება, როგორიც ჩემია. შეიძლება, ეს ბეწვები ისე გაიკრიჭო, როგორც ულვაში ან წვერი, მაგრამ, დაიმახსოვრე, ისევ გაგეზრდება ხოლმე. გაიგე?

ახალგაზრდა ოპუიჩმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია. ვიდრე ქალი მის ჭრილობას ლოკავდა, ის გულაღმა მშვიდად ინვა და გამჭვირვალე საღამოში ყურს უგდებდა, როგორ ღრიალით მიექანება მდინარე მიწის ქვეშ; იქ, სამყაროს ყველაზე შორეულ სიღრმეში როგორ მძვინვარებენ ქარიშხლები. იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც მისთვის გაურკვეველმა ვნებამ შეიპყრო, პორუჩიკ ოპუიჩს მიწის საიდუმლოებათა აღქმის უნარი გაეხსნა და მას გაცილებით უკეთ ესმოდა, რა ხდება მიწის წიაღში, ვიდრე სხვებს ესმითი ის, რაც მის ზედაპირზე ხდება. მისი შინაგანი მზერის წინაშე უკან იხევდა ღამის წყვდიადი, ესმოდა დამარხული წყლის ტირილი, ტბების ჩურჩული, რომლებიც სადღაც სიღრმეშივე აქრობენ გაუღვიძებელ ვულკანებს და წყალს ასხამენ მათში აბობოქრებულ ცეცხლს. უსმენდა, მიწის წიაღში მთვარის სუნთქვას როგორ ეპასუხება მდინარეების სუნთქვა, მათი მოქცევა და მიქცევა, და მიწისქვეშა პულსის ცემას როგორ ეპასუხებიან მისი ჭრილობა, მისი შიშილი და ტკივილი, რომლებიც იმავე რიტმში ფეთქავენ.

მკურნალობას რომ მორჩა, დუნიამ პირჯვარი გადაიწერა და უთხრა, თან როგორღაც უხალისოდ მისჩერებოდა მის მეთერთმეტე თითს:

- ერთხანს დამჯდარს მოგიწევს მოშარდვა...

და სახელოში ჩაიხითხითა, მთვარის შუქით რომ იყო სავსე. მაშინ ოპუიჩ-უმცროსმა მამის ამბავი ჰკითხა და ქალმა უპასუხა, რომ კაპიტანთან ყველაფერი რიგზეა და ისევ სახელოში ჩაიცინა.

- რას იცინი? — ჰკითხა პორუჩიკმა და დუნიამ უამბო, რომ ქალაქის მახლობლად, მინდორში, მკითხავები, გულთმისნები და ოინბაზები ნახა. ისინი დიდ კარავში უჩვენებენ დადგმებს პორუჩიკის მამის, ხარლამპი ოპუიჩის ცხოვრებაზე.

- უფრო ზუსტად, მის სიყვარულებზე. ერთ სპექტაკლს, ძალიან ნაღვლიანს, „უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში“ ეწოდება, - დასძინა დაბალ ხმაზე. — ჯერ კიდევ ადრე ვნახე, სეგედინაში. და ვიტირე. მამაშენი იქ სიცოცხლეს ეთხოვება თავისი უკანასკნელი სიყვარულის გამო, როცა ერთ ქალს კონსტანტინოპოლში შეუყვარდა და მისგან შვილის გაჩენა მოინდომა...

დუნია თავის ოთახში გავიდა, ახალგაზრდა ოპუიჩმა კი ღვინო მოსვა და ისე, რომ საწოლიდან არ წამომდგარა, პირიდან გამოშვებული ნაკადით გასაოცარი სიზუსტით ჩააქრო ფანჯარაზე შემოდგმული სანთელი.

როცა იარამ პირის შეკვრა დაიწყო, პორუჩიკმა დუნიას მამის ბეჭედი მისცა — ეს ნიშნავდა, რომ დადგა მათი განშორების დრო. მაგრამ ქალმა სახელოში ჩაცინებით უთხრა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა, ჭრილობის შემდეგ, რაღაც სხვას სჭირდება მკურნალობა.

- კიდევ რის განკურნებას ისურვებდი? — ჰკითხა კაცმა და ლოყაზე წაჩქმიტა.

- ცუდია, რომ შენი მამაკაცობის ნიშანი სულ გაჭიმული დგას. საინტერესოა, მაინც რამდენი წლისაა? მას შემდეგაც არ გივარდება, როცა ქალს გასინჯავს?

- არა.

- ბატონო ჩემო, რაღაცაში უნდა გამოგიტყდე. მამაშენს აქ იმისთვის სულაც არ გამოვუგზავნივარ, რომ შენთვის მემკურნალა. არც კი იცის, დაჭრილი რომ ხარ. მე კიდევ ექიმბაშობის არა გამეგება რა. საერთოდ, ექიმბაში სულაც არა ვარ.

- მაშ, რისთვის გამოგგზავნა?

- მითხრა, რომ კარგი მკერდი მაქვს. აი, ამიტომ გამომიშვა. და მიბრძანა, გადმოგცე, რომ კიდევ გამოგიგზავნის რომელიმე სხვა გოგონას, ვინც თვითონ განსაკუთრებულად მოსწონს.

- მერედა, მხოლოდ ახლაღა მითხარი ამის შესახებ?

- შენ ხომ დაჭრილი იწექი.

- მაინც რამდენი გოგო ჰყავს?

- მისთვის ყველა გოგო გიჟდება.

- ასეთს რას გიშვრებათ?

- ის ჩვენთვის მშობელ მამასავითაა. მასთან ერთად არაფრის გეშინია. ეგეც არ იყოს, ყოველთვის გვართობს და გვაოცებს, ჩემი გაოცება კი ძნელია.

- მერედა, რით მოახერხა შენი გაოცება?

- მაგას მოვეშვათ. კარგა ხანია, მინდა, გავიგო, შენ რით გამაოცებ.

ამ სიტყვებზე პორუჩიკს გაეღიმა და ჰკითხა:

- რა ჰქვია იმ უცხო სიხარულს, ფეხებს შორის რომ გაქვს?

- ევდოკია.

- ჰოდა, მოდი, გავუმასპინძლდეთ ევდოკიას. მითხარი, ევდოკია ვახშმად რას ისურვებდა?

დუნიამ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა და სოფრონიმაც განკარგულება გასცა, სამი პერსონისთვის მდიდრული ვახშამი მოემზადებინათ. უბრძანა, პირდაპირ საწოლზე გადაეფინათ სელის დამასკური სუფრა, შემოეტანათ ვერცხლის ჭურჭელი, ყოველგვარი შესაძლო სანოვაგისა და სასმელებისგან შემდგარი ვახშამი კი ბროლის ჭურჭლით მიერთმიათ. ის და დუნია საწოლზე გაიშოტნენ და კაცი ევდოკიას თავდაპირველად ერთი კოვზი ყვავილოვანი კომბოსტოს წვნიანით გაუმასპინძლდა, მერე არაყანში გამომცხვარი ცოტაოდენი სოკო გაასინჯა, შესთავაზა ფლავი, თალგამი, ქათმის ფეხი, რომელიც მან ბოლომდე დატკვირა და ძვალი გადააგდეს, დასასრულს კი ჩაროზად ყურძენი მიართვა. როცა დარწმუნდა, ევდოკია მაძღარიაო, კაცი დუნიას მოეხვია და უთხრა:

- მოდი, ვახშამი დავასველოთ!

სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ ქალი ლოგინში დარჩა, სოფრონიმ კი მხრებზე შინელი მოიგდო, მაგიდაზე ქაღალდები და საწერი მოწყობილობა გაშალა და შინაურებისთვის ბარათის წერას შეუდგა:

*„და მომწერეთ, როგორ მიდის თქვენი საქმეები წელს — როგორი პირი უჩანს თივასა და ხორბალს, საკმარისი რაოდენობა თუ მოვა და გვექნება თუ არა კარგი მოსავალი ყურძნისა და ყველაფერი დანარჩენისა, რაც ჩვენთან დაიბადება? არაფერს არ მწერთ, ჩემო ძმებო — მარკო და ლუკიან, - იმაზე, ვაჭრობთ თუ არა და საქონელიც, თქვენ რომ გყავდათ, არის თუ არა ჯანსაღი და მრთელი?.. ჩვენ აქ მოვლენების განვითარებას ყოველწუთს ველოდებით და გამჩენს შევთხოვთ, ღირსგვყოს უფალმა ღმერთმა ამქვეყნად თქვენთან კვლავ შეხვედრისა!*

*სალამი გადაეცით ჩემს ძვირფას და საყვარელ დებს იოვანას და სარას და ჩემს ძვირფას და კეთილ რძლებს, მარტას და ანიცას. ჩემზე ნუ იდარდებენ, მაგრამ, დაე, მათ შორის სუფევდეს ურთიერთპატივისცემა და თანხმობა, დაუჯერონ და პატივი სცენ დედაჩემ პარასკევას, რათა უფალმა ღმერთმა უწყალობოს მათ ყველა სიკეთე, რასაც ის თავის ერთგულ მსახურებს ჩუქნის...*

*წმინდა აპოსტოლ იერემიას დღეს, ჩვენი მაისის ბოლო დღეს და მათი ივნისის თვეში თქვენი ვაჟი და ძმა თქვენს სიზმრებში სოფრონი".*

*მეთერთმეტე გასაღები*

## სამართლიანობა



ავსტრიის არმიის კაპიტანი პანა ტენეცკი თავისი ასეულის სამი ოფიცრის თანხლებით შევიდა საპარიკმახეროში „მამაკაცთან" და უბრძანა, გაეპარსათ და ყველით ნაკვები შემწვარი ბატები მოერთმიათ. საპარიკმახეროს შუაში ადამიანის ხის ფიგურა იდგა, რომლიდანაც წყლის ნაკადი მოედინებოდა. დალაქები ოფიცრების გარშემო აფუსფუსდნენ: ნაწილი კრეჭდა, სხვები რახსა და ყვავილების — იისა და ვარდის ფორმის შაქარლამებს სთავაზობდნენ. მერე იქვე, სადალაქოში, სუფრა გაშალეს და ოფიცრებმა ისადილეს. პარიკის, წვერის გაკრეჭის ოსტატებისა და მათი თანაშემწეების გასაკვირად, ნასადილევს კაპიტანი ტენეცკი, ნიკაპქვემოდან ჯერ გულსაფარიც რომ არ გამოეძრო, ისევ სადალაქო სავარძელში მოკალათდა და მოითხოვა, თვითონაც და ისინიც, ვინც თან ახლდა, მთლიანად გადაეხოტრათ. და წარბებიც გაეპარსათ.

- რატომ სჩადით ამას, ბატონო კაპიტანო? — ძლივს გაბედა შეკითხვა საპარიკმახეროს პატრონმა, - თმა ხომ იგივეა, რაც სამოსი.

- სწორედაც, - უთხრა სავარძელში გაშოტილმა ტენეცკიმ, - რაც უფრო საშინელი ხარ, მით უკეთ იბრძვი.

ვიდრე პარსავდნენ, თავის ორდინარეცს, შემოსასვლელთან რომ ელოდა, უბრძანა, აელესა ხმალი მარცხენა ხელისთვის და ქარქაში.

- ბატონი კაპიტანი, ალბათ, გულისხმობდა, რომ ხმალი აელესო და არა ქარქაში?

- ხმალი ყოველთვის ბასრი მაქვს, შენ კი — ერთი ფეხი აქ, მეორე — იქ, და — შესრულე! — იყვირა ოფიცერმა და ორდინარეციც გავარდა, რათა გაელესა ქარქაში და ხმალი მარცხენა ხელისთვის, რაც ერთობ უცნაური იყო, თუ მხედველობაში მიიღებდით, რომ კაპიტანი ცაცია სულაც არ გახლდათ.

-ახალი გამარჯვებებისთვის ემზადებით, mein Herr? — ჰკითხა დალაქმა, იმ დღეს უკვე მეორედ რომ დასტრიალებდა კაპიტნის თავს.

- ვერ გამოიცანი, ჩემო შევარდენო, ვემზადები, იქვე დავრჩე, სადაც ვარ.

- ეგ როგორ გავიგოთ, mein Herr?

- ოდესმე თუ გინახავს ფრესკა, რომელზეც ქრისტე ზიარებას გასცემს?

- ქრისტე? მინახავს. ისინი იქ ორნი არიან — ერთი ხალხს პურს უნაწილებს, მეორე — ღვინოს. ერთი მუდამ ერთ მხარეს იყურება, მეორე — სხვა მხარეს.

- სწორია. აი, ხედავ, რა მალე მიხვდი. რადგანაც შეუძლებელია, ერთდროულად პურიც გასცე და ღვინოც, გამოდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ის, ქრისტე, პურით რომაა, უფროსია იმაზე, რომელიც ღვინოს გასცემს, და პირიქით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე დროს პური — ეს წარსულია, ღვინო კი მომავალი. ასევეა ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეებიც. ასე და ამგვარად, მოციქულების ზიარების ფრესკა სინამდვილეში დროს გამოხატავს.

- მერედა, თქვენ აქ სადა ხართ, ბატონო კაპიტანო?

- მე ყოველთვის შუაში ვარ. ორ იესოს შორის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, პურსა და ღვინოს შორის და, გნებავს, წარსულსა და მომავალს შორის. იქ, სად ყოფნაც ვერ ისწავლა განსვენებულმა მამაჩემმა. ის, არსებითად, ჯარისკაცი არც კი იყო. იგი მუსიკოსი იყო და მხოლოდ პაუზების დროს ფიქრობდა. და არ იცოდა, რომ ცხოვრება დამოკიდებულია არა მეგობრებზე, არამედ მტრებზე.

- ჰო, მართალია, თქვენ, სერბები, მტრებზე უფრო მეტს ფიქრობთ, ვიდრე მეგობრებზე. საქებარია, ბატონო კაპიტანო. ამბობენ, მოწინააღმდეგის მხარეს, ფრანგებთან, იბრძვის პორუჩიკი სოფრონი ოპუიჩი, ერთ-ერთი იმ ცნობილ, ტრიესტელ ოპუიჩთაგან. უფრთხილდით მას, მოერიდეთ. იგი, როგორც მსმენია, მამის ალიკვალია. მიზანსწრაფული, როგორც ელვა. ყოველ შემთხვევისთვის ახლომახლო იყოლიეთ სნაიპერი, რომელიც მოგაშორებდათ მას.

- არაფერი ცნობილი ოპუიჩი ის არ არის. ის ჯერ კიდევ თავისი მამის ჩრდილში ფსამს, - ჩაურთო ოფიცერთაგან ერთ-ერთმა.

- ასეა თუ ისე, ეს არაჩვეულებრივი კაცია. რამდენიმე დღის წინ აქ, ჩვენთან შემოიარა.

- რას ამბობ! შეუძლებელია! — გაიკვირვა მეორე ოფიცერმა.

- აი, ჯვარზე ვიფიცებ! შემოიარა და თან ერთობ უცნაურ საქმეზე. თქვენ კი, ბატონო კაპიტანო ტენეცკი, საუბრისას სახელით გიხსენიებდათ. ამბობდა, რომ მამამისი მამათქვენს იცნობდა.

- აი კომპანია! — შეაწყვეტინა კაპიტანმა ტენეცკიმ. — ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელაა მნიშვნელოვანი მამის ყოლა. როდის — თქვენც კარგად იცით. მერე ის აღარაფერში გჭირდება. რაც შეეხება პორუჩიკ ოპუიჩს, მე კარგად ვიცნობდი მის დას, იოვანას, მაგრამ ახლა უკვე აღარ ვართ ნაცნობები.

- რას იზამ, mein Herr, ამას ვერსად გაექცევი, ადამიანები ხედავენ ეშმაკს, ეშმაკი კი ღმერთს.

- ოპუიჩს რა საქმე ჰქონდა თქვენთან? — დაინტერესდა მესამე ოფიცერი, გვერდით სავარძელში რომ იჯდა.

- გვთხოვა, სიკვდილის შემდეგ გამპარსეთ და გამკრიჭეთო, თუ, ღმერთმა არ ქნას, თავს ყველაზე დიდი საშინელება დაატყდება. ამბობენ, რომ ის ყოველი ბრძოლის წინ ზრუნავს ამაზე. და ფულსაც წინასწარ იხდის. ოპუიჩებს უნდათ, მკვდრებიც კი ლამაზები დარჩნენ.

- ეგრეც იქნება, - ლაპარაკი შეაწყვეტინა კაპიტანმა ტენეცკიმ, ზეწარი იატაკზე მოისროლა, ქუჩაში გავიდა და მისმა მოხოტრილმა თავმა მზეზე ლაპლაპი დაიწყო.

- რას ნიშნავს ეს ყოველივე? — ჰკითხა საპარიკმახეროს მსახურმა ბიჭუნამ მეორე მისნაირ მორბედს, როცა ოფიცრები გავიდნენ.

- შენ რა, ვერ მიხვდი?

- ვერა.

- კაპიტანი პანა ტენეცკი სამართალს ეძებს. მას უნდა, ახლა, 1813-ის ომში, შური იძიოს პორუჩიკ სოფრონი ოპუიჩზე, იმ კაპიტან ხარლამპი ოპუიჩის ვაჟზე, ვინც წარსულ ომში, 1797 წელს, მოკლა ამისი მამა, პახომი ტენეცკი.

სამი დღის შემდეგ სოფრონი და პანა მართლაც შეხვდნენ ბრძოლის ველზე. პანა ტენეცკი და მისი ოფიცრები, თავგადახოტრილები და უწარბოები, აჩრდილებს ჰგავდნენ. ამასთან, კაპიტან ტენეცკის მარცხენა ხელში ეჭირა ხმალი, მარჯვენაში კი ქარქაში. როდესაც ერთმანეთის შესახვედრად მიჰქროდნენ, პორუჩიკმა სოფრონი ოპუიჩმა, მარცხენაში რომ ხმალი დაუნახა, იფიქრა, ცაციააო და მარჯვენას ყურადღება აღარ მიაქცია... ტენეცკიმ ალესილი ქარქაში გაურჭო და ახალგაზრდა ოპუიჩი მოცელილივით დავარდა ძირს. უკანასკნელი, რაც მან დაინახა, ვიდრე მიწაზე მიჭედებული გრძნობას დაკარგავდა, იყო კაპიტანი პანა ტენეცკი, რომელმაც ბრძოლის დამთავრების და გამარჯვების ნიშნად თავისი ხმალი ჩააგო ქარქაშში, ოპუიჩის მკერდიდან რომ ამოჩრილიყო. ხმალი ადვილად ჩასრიალდა ქარქაშში და ოპუიჩის სხეულში ისე, რომ მისთვის არანაირი ტკივილი არ მიუყენებია.

*მეთორმეტე გასალები*

## ჩამოხრჩობილი



ვიდრე გამარჯვების ველს დატოვებდა, კაპიტანმა პანა ტენეცკიმ ბრძანა, პორუჩიკი სოფრონი ოპუიჩი ცალი ფეხით ხეზე ჩამოეკიდათ. ჰოდა, ასე დარჩა ჩამოკიდებული, ზურგზე ხელებგაკრული, თავდაღმა. მისი გრძელი, ლამაზი თმა ლამის მიწამდე უწევდა და ახლა, პირველად მრავალი წლის განმავლობაში, აღარ ესმოდა ხმები არც მიწის სიღრმიდან, აღარც მისი ზედაპირიდან.

ამასთან, იმავე ღამეს იგი ხეზე ჩამოკონწიალებული იპოვა კისერზე ფეხსაცმელშებმულმა გოგონამ, რომელიც ბრძოლის ველზე გამოჩნდა. მან ყურადღებით შეათვალიერა პორუჩიკი, შენიშნა, რომ მისი ასო ამდგარია და ამით დაასკვნა, რომ ცოცხალია. გოგონამ მაშინვე უბრძანა მსახურებს, პორუჩიკი ხიდან ჩამოეხსნათ, ხელები გაენთავისუფლებინათ და მახლობელ პატარა ქალაქში ჩაეყვანათ. კაპიტან ტენეცკის ასეულის ავსტრიელი ჯარისკაცები არათუ არ შეეწინააღმდეგებიან გოგონას, მეტიც, როგორც ჩანდა, ცოტა არ იყოს, კიდეც ეშინოდათ მისი.

სახლში სოფრონი გააშიშვლეს და საწოლში ჩააწვინეს. ამ დროს გოგონამ აღმოაჩინა, რომ კაცს მხარზე შავი თმის ბღუჯა ეზრდება, შიგ პაწაწუნა ვარსკვლავებისა და ნახევარმთვარეების მსგავსი ჭაღარა მოუჩანს, წელზე კი ქისა ოქროს ძეწკვით. როგორც ყველა ახალგაზრდა ქალიშვილი, ისიც დარწმუნებული იყო, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ჩაწერილია სარკეში, მაგრამ ძალიან აინტერესებდა, ისიც გაეგო, რას იუწყებოდა სამაჯურის წარწერა. მერე სამაჯური ხელზე გაიკეთა და კმაყოფილი დარჩა. ამის შემდეგ გოგონამ პორუჩიკს ჭრილობა მოუბანა. საოცარია, მაგრამ მას, როგორც მის თეთრ სამეფო მწევრებს, არაფრის სუნი არ ჰქონდა, თითქოს არც ის, არც მისი მწევრები არასოდეს გაჭუჭყიანებულან. და მათი სხეულები თავისთავად ინარჩუნებდა სისუფთავეს. მაგრამ ამ წუთში ამისგან დიდი ვერაფერი სარგებელი იყო. სოფრონი ოპუიჩი უიმედო მდგომარეობაში გახლდათ და გოგონა მიხვდა, რომ ძალიან სწრაფად უნდა ემოქმედა.

მტკიცედ შეუდგა საქმეს. დაჭრილის სუნთქვას გულისყურით რომ აყურადებდა, ისეთი მომენტი დაიჭირა, როდესაც მან, ის-ის იყო, ჰაერის ამოსუნთქვა დაიწყო და ქალმა მთელი ძალით შეისუნთქა მისი ტკივილი, თან ცდილობდა, შეეთვისებინა მთელი ენერგია ბოროტებისა, კაცის სხეული რომ გამოსცემდა. მერე, სოფრონიმ რომ ჩასუნთქვა დაიწყო, ამან ჰაერი ამოისუნთქა, რათა ავადმყოფისთვის თავისი ჯანმრთელი ენერგია ეწილადებინა. ასე სუნთქავდა მასთან ერთ-

ად და ყველაფერი მავნებელი, რაც კაცში იყო და რისი შესუნთქვისაც გოგონას არ ეშინოდა, ქარში იფანტებოდა. ამგვარმა მკურნალობამ მალე დაქანცა; დაიღალა, როგორც ქალს ეჩვენებოდა, პორუჩიკიც. ეს ყოველივე ძალიან წააგავდა მშობიარობას — მომქანცველს დედისთვისაც და ბავშვისთვისაც. ქალმა შეისვენა და შენიშნა, რომ პორუჩიკმა საკუთარი თავის შიგნით რაღაცის ყურისგდება დაიწყო.

თავდაპირველად კაცმა გაიგონა, როგორ წკარუნებს იმ დიდი ოთახის კარადების მინები, რომელშიც წევს. მერე მიწაში, ათი არშინის სიღრმეში, იმ ადგილის ქვეშ, სადაც მისი საწოლი იდგა, ყური მოჰკრა ქვის კაკუნს ნაპრალის ფსკერზე და მიხვდა, რომ ადამიანის სულს აქვს თავისი აღმოსავლეთი, თავისი დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. და მისთვის საიდანღაც ცნობილი იყო, რომ ამჟამად თავისი სულის ჩრდილოეთში იმყოფება. ციოდა და ის ცდილობდა, სამხრეთის ქარი დაეჭირა და, როცა მან მართლაც დაქროლა, პორუჩიკი ნელა შემობრუნდა და ღამის სიბნელეში სამხრეთისკენ დაიძრა. თავისი სულის სამხრეთისკენ. და ვიდრე მოგზაურობა გრძელდებოდა, ის კი ბევრ დღეს და ბევრ კვირას გრძელდებოდა, პორუჩიკის წინაშე გადაიშალა და ნათელი შეიქმნა ერთი საოცარი რამ.

ადამიანი, - ცხადი ხდებოდა ოპუიჩისთვის, რომელიც ქანაობდა ხის საწოლზე, ნავს რომ წააგავდა — აფრების ნაცვლად ბალდახინით, - ადამიანი მრავალი ათასწლეულის განმავლობაში ისე ცხოვრობდა, ვერ ამჩნევდა, რომ მის ირგვლივ, ბუნებაში არსებობს რიცხვები. მილიარდობით რიცხვი. ერთ დილას, შემთხვევით, მან, როგორც ყვავილი ბალახში, ისე იპოვა თავისი პირველი რიცხვი. როგორც პირველი ღიმილი. ადამიანმა ისეთივე წვალებით აღმოაჩინა თავისი პირველი რიცხვი, როგორითაც თავისი მომავალი. მაგრამ იმისთვის, მეორე რიცხვამდე რომ მიეღწია, რამდენიმე ათასწლეული დასჭირდა, ანუ უფრო მეტი, ვიდრე იმისთვისაა საჭირო, რომ აღმოაჩინო „ზეგ“. ბოლოს და ბოლოს, მან დაიწყო ირგვლივ მიმობნეული რიცხვების მოშინაურება და მოთვინიერება, მათი განაყოფიერება და ისინიც მისი შეხებითა თუ გამოხედვით მრავლდებოდნენ. მაგრამ — ეს მხოლოდ მისთვის. სამყაროში რიცხვები სხვა არავისთვის არსებობდნენ — არც მიწაზე, არც მიწაში, არც მიწის ზემოთ. არც ცხოველებისთვის, არც მცენარეებისთვის. თავდაპირველად ფიქრობდა, რომ მიცვალებულებს ციფრები ავიწყდებათ, მაგრამ ერთხელ, წყალში ანარეკლს რომ უყურებდა, მიხვდა, რომ რიცხვები ცაშიცაა, თანაც უთვალავი რაოდენობით. და ისევე, როგორც მისმა წინაპარმა ადამმა სახელები უწოდა ცხოველებს, ადამიანმა დაიწყო ყველა უსასრულო რიცხვისთვის სახელის შერქმევა. ეს კია, რიცხვი ისე ბევრი იყო, რომ სოფრონის სულმა მათ წინაშე უკან დაიხია. მის სულში ენერგიის ნატამალიც აღარ დარჩა სწორედ მაშინ, როცა ციური რიცხვების მოთვინიერება უნდა დაწყებულიყო.

იგი მოულოდნელად ოთახის ჩრდილო-დასავლეთ ზედა კუთხეში აღმოჩნდა და თავისი თავი შიშველი დაინახა, საწოლში მწოლიარე, სასთუმალზე გაშლილი თმით. თმაში ჭაღარა კულულები მოუჩანდა, რომლებიც უცბად ვერ იცნო და რომლებიც, აშკარაა, უფრო ნელა იზრდებოდა, ვიდრე შავი თმა, გიშრისფერი, ამიტომაც ისინი მოკლე იყო. მკერდის გარშემო ჩიტის გალია შემოვლებოდა, არც ძირი და არც თავი რომ არ ჰქონდა. ამ გალიაში იგი ისე ჩაკეტეს, მოძრაობა აღარ შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ თავისი კუთხიდან პორუჩიკი ოპუიჩი ყველაფერს ხედავდა, ის სრულიადაც არ გაორებულა — გაორდა მისი პერანგი, გაორდა მისი ჩექმები და მისი შუაში ჩაღუნული შლაპა. აქ მან კვდომა დაიწყო და პირველი, რაც დაკარგა, იყო სქესი. მერე იგრძნო, რომ გვერდებსა და მკერდზე საკუთარი პერანგი დაუვიწროვდა, ჩექმები, პირიქით, ძალიან თავისუფლად ჰქონდა, შლაპა კი დაპატარავდა. თავისი ჩრდილო-დასავლეთის კუთხიდან მან დაინახა, რომ თვალები ისე უჭრელდებოდა, როგორც გველის ორი კვერცხი. მომაკვდავი პორუჩიკი დედამისად, ქალბატონ პარასკევად გადაქცევას იწყებდა.

და მაშინ ქალბატონმა პარასკევამ თავისი ვაჟის მისთვის ვიწრო პერანგში, როგორც საკუთარი ტკივილი, ისე შეიგრძნო გულს ქვემოთ ჩასახლებული სოფრონის შიმშილი და შემდეგ ის გულქვეშა ტკივილი ისე აღიქვა, როგორც სოფრონის შიმშილი. ასე გაიხსენა სოფრონიმ საკუთარი სურვილი და გამოჯანმრთელდა.

„ჰო, ნახევარი სიცოცხლე — საკუთარი თავისთვის, ნახევარი კი ღვთიური ჭეშმარიტებისთვის. ასეც უნდა იყოს“, - გაიფიქრა ახალგაზრდა ოპუიჩმა, გაიღიმა და ხელი შეივლო ულვაშზე, რომელიც ისე დაეწნათ, როგორც მათრახი. ვიდრე ავად იყო, ვიღაცა უვარცხნიდა.

და მაშინ ის ზემუნში გადაიყვანეს.

*მეცამეტე გასაღები*

**სიკვდილი**



ელბის გადალახვის შემდეგ, ტალახის, თქეშისა და მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ, კაპიტანმა ხარლამპი ოპუიჩმა ქალაქ ტორგაუს მახლობლად პატარა, მობინადრეთაგან მიტოვებულ ციხესიმაგრემდე მიაღწია და დასასვენებლად მოეწყო. რვა გოთიკური ფანჯრის სინათლე რვა ნაწილად ყოფდა არა მარტო ოვალურ დარბაზს, არამედ თითოეულ გასროლასაც, რომელიც ბრძოლის ველიდან აღწევდა. ციხესიმაგრის დანარჩენი ნაწილი თავისუფალი იყო და ყველგან ბინდბუნდი გამეფებულიყო. წიგნებით სავსე თაროებით დაფარულ კედლებს ირგვლივ გალერეა მიუყვებოდა, დარბაზის ცენტრში კი, ქვის იატაკზე, ვეებერთელა, ყვავილის ფორმის სპილენძის აბაზანა იდგა. კაპიტანი ხარლამპი ოპუიჩი დათვივით ჩაგორებულიყო ცხელ, მარილით გაჯერებულ წყალში, სხეულიდან იცილებდა სისხლსა და ჭუჭყს და ისე კრუტუნებდა, როგორც კატა, თან პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა ჭინჭრის თაფლიან, ყინულივით ცივ ნაყენს. რამდენიმე ხნის შემდეგ მისმა ორდინარეცმა აბაზანის კიდეზე ფიცარი დადო, ზედ — პატარა ხის ჩაქუჩი. შეჩვეული მოძრაობით ჩაუწნა კაპიტანს წვერი, დაფაზე დადო და, როგორც წესი და რიგია, ისე დაბეგვა ჩაქუჩით, რათა წყალი გამოეწურა და წვერისთვის სილამაზე შეემატებინა. მერე იმავე ფიცარზე თეთრი გადასაფარებელი გაფინა და კაპიტანს მსუბუქი ვახშამი მიართვა: ცოტაოდენი ყველი - ქალისა და თხის რძისგან ამოყვანილი, და მცენარეულ ცხიმშერეული, მამაკაცური, წაგრძელებული პამიდორი და ხახვი, უმად შებოლილი ხორცი და ტოკაის ღვინო ხარლამპის მეგობარ ვიტკოვიჩის მარნიდან. ეს ღვინო კაპიტანს სულ თან დაჰქონდა მთელი ომის განმავლობაში ეგრიდან რუსეთამდე და უკან — ელბამდე.

ვახშმობისას კაპიტანმა ოპუიჩმა, როგორც ზარბაზნიდან, ისე გამოისროლა:

- De figuris sententiarum! რას ეძახიან მაგათ?

და თვლა დაიწყო, თან მარცხენა ხელის თითებს ხრიდა:

- Interogatio, subjectio, anteoccupatio, correctio, dubitatio. … მერე როგორაა? ბედნიერებაა, რომ თავზე ჯერ კიდევ თმა ამოგვდის და არა ბალახი, - მიუბრუნდა ორდინარეცს, - შესვი ამის სადღეგრძელო, mon cher, ერთი ბოკალი ტოკაიური და „ილიადა“ წამიკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- არის, - უპასუხა ორდინარეცმა და სათაური წაიკითხა: „ილიადა".

*არის ზღვებს იქით, ტროის მახლობლად, მწარე წყარო და მისი წყლის დალევა არ შეიძლება. იქ სარწყულებელთან იკრიბებიან მხეცები, მაგრამ წყალს არ სვამენ, ვიდრე არ გამოჩნდება მარტორქა. მას ჯადოსნური რქა აქვს და, როცა თავს წყაროსკენ დახრის და რქით წყალს შეეხება, წყალი გემრიელი ხდება. მაშინ მასთან ერთად სხვა მხეცებიც იწყებენ წყლის სმას. ხოლო, როცა ის, წყურვილმოკლული, წყლიდან რქას იღებს, ის ისეთივე მწარე ხდება, როგორიც ადრე იყო. მაგრამ თუ მარტორქა რქით ამღვრევს წყალს, მისი მზერისგან წყალი გამჭვირვალე ხდება და მის სიღრმეში, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს სამყაროს მთელი მომავალი. ხშირად მიდიოდა ამ წყალთან და სხვა მხეცებთან ერთად მარტორქას ელოდა ჩემი ძმაც, ელენ პრიამუჟევიჩი...*

- შენ რა, ძმა გყავს? — აბაზანაში მჯდარმა კაპიტანმა ოპუიჩმა ორდინარეცს კითხვა შეაწყვეტინა.

- ეს მე კი არა მყავს ძმა, mon seigneur, ეს მისი ძმაა, წიგნიდან.

- მაშინ მიდი, წაიკითხე.

*ხშირად მიდიოდა ამ წყალთან და სხვა მხეცებთან ერთად მარტორქას ელოდა ჩემი ძმაც, ელენ პრიამუჟევიჩი. ერთხელ, როცა ყველა დანარჩენი წყურვილს იკლავდა, მან წყალში ის ადგილი იპოვა, მარტორქის შეხედვისგან გამჭვირვალება რომ შეიძინა. და მაშინ მისთვის, ხელმოცარულისა და მხდალისთვის, უცბად გაიხსნა წარმოუდგენელი და ურიცხვი სიმრავლე უაზრობებისა, რომელთაც ისე აშკარად ხედავდა, რომ პირთამდე აღავსეს იგი. ის უფრო და უფრო შორს იყურებოდა, იმ დღეების მიღმა, ერთმანეთზე ტალღებივით რომ იკეცებოდნენ, ენის გაუჩერებლად გვიამბობდა ყველაფერს, რასაც ხედავდა. დანახვით კი ხედავდა შაბათის წვერს, დროზე ადრე, კვირას რომ ამოეზარდა ისე, რომ არ შეეძლო, ხელში მოებღუჯა და დაევარცხნა. მის წინაშე გადაიშალა მთელი ხმელი და მომავალი მცენარეები აუხმაურდა ყურებში, და ქვის გემო აუდუღდა პირში. მზის წლებს რომ ითვლიდა, დაინახა, როგორ გადმოსახლდა ადამისა და ევას ცეცხლოვანი ვაშლი ჩვენს ქალაქ ტროაში. და მხედავდა მე, თავის ძმას, პარის პასტირევიჩ ალექსანდრს; ხედავდა, გაცილებით უფროსი რომ გავხდი, ვიდრე ახლა ვარ, როგორ ვხვრეტ მწყემსის ჯოხით მიწაზე დაგდებულ შლაპას და, მას შემდეგ, რაც წინდებს ვიცვლი, მივდივარ სპარტაში, რათა ღვინოში დასველებული თითით მაგიდაზე სასიყვარულო აღსარება დავუწერო ლამაზ და უცხო ქალს, სახელად ელენე. და მერე ხედავდა, როგორ ვიტაცებ მე ამ ქალს, ცხვარივით, და მიმყავს ჩვენს ქალაქ ტროაში, და ამის შემდეგ ტროა მიიღებს ცეცხლოვან ვაშლს და სულმთლად ინვება...*

- მაინც როდის აქეთ გახდი პარის პასტირევიჩი? ის ლამაზი იყო და ელენეც იმიტომ გაჰყვა, შენ კი, ერთი, შენს თავს შეხედე: ყურები რომ არ გიშლიდეს, პირი კეფამდე გაგეხეოდა.

- მაგრამ ეს ჩემი სახელი არ გახლავთ, mon seigneur, ეს მისი სახელია, წიგნიდან.

- კი მაგრამ, ახლა არ თქვი, რომ შენია? განაგრძე და სახელები აღარ აურიო.

*ხედავდა კიდევ უფრო შორს, უფრო ღრმად ჩემი ძმა ელენ პრიამუჟევიჩი დროის მიღმა ყოველგვარ უცნაურობასა და სისულელეს და ძალა არ შესწევდა, გაჩერებულიყო, გამჭვირვალე წყალში თვალებით იძირებოდა და ეფლობოდა დროში, როცა აღარ იქნება არც ეს თვალები, აღარც ეს წყალი. პალმისგან შეიტყო, რომ ყველაზე მტკივნეული რამაა დგომა, მაგრამ მაინც იდგა და იდგა თავისი სიკვდილის ფანჯარასთან საკუთარ ყურებს შორის და ხედავდა ჯვაროსნებს კონსტანტინოპოლში 1204 წელს; ხედავდა, როგორ აჰყავთ ვენეციურ გალერებზე ოთხი დიდი ცხენი; ხედავდა დაფეთებულ პალეოლოგებს და კოჭებამდე ტალახში ამოსვრილ სლავებს, შუბებს რომ ურჭობდნენ კონსტანტინოპოლის მთავარ კარიბჭეს; ხედავდა, როგორ ინგრევა იმპერია. ის იმასაც ხედავდა, როგორ გადასახლდება რომი კონსტანტინოპოლში, და ხედავდა რომს მოსკოვში, და კოზმა ინდიკოპლოვის ხომალდს, და კოლუმბის ხომალდს ახალი სამყაროს ჭიშკართან; ხედავდა თურქებს ვენის მისადგომებთან და ფრანგებს ვენეციაში, სადაც ისინი წმინდა მარკუსის ტაძრიდან ხსნიდნენ ოთხ კონსტანტინოპოლურ ცხენს, და კვლავ ინგრეოდა იმპერია...*

- სტუი! Empire de Napoleon არ ინგრევა!

- მაგრამ ჩვენებმა ხომ ჩამოხსნეს იქიდან ეს ცხენები?

- იკითხე, ვნახოთ, მერე რა ხდება.

*და ხედავდა გალებს ბელორუსიაში, ცხენის ხორცს რომ ღეჭდნენ, და ბრძოლას ლაიფციგთან, და ნაპოლეონს ორ კუნძულზე...*

- ნაღდი სისულელეა! რა საქმე აქვს ჩვენს იმპერატორს კუნძულებზე? და ეს ლაიფციგთან ბრძოლა რაღაა? ეს ხომ აქვეა, ჩვენს გვერდით! ერთ გადაფურთხებაზე! მომავლისა არაფერი გამეგება. ამ საქმეში ძლიერი არასოდეს ვყოფილვარ. ჩემი საქმე მომავალი არ არის. ჩემი საქმე სიკვდილია. ნაღდია.

*და ხედავდა ჩემი მოსულელო ძმა ელენ პრიამუჟევიჩი ტროის კედლებიდან შლიმანს და ოქტომბრის წითელ თოვლს მოსკოვში, და ხედავდა ებრაელებზე ნადირობას, და* **Blitzkrieg**-*ს, და ოთხეულს იალტაში, და სტალინს 1948 წელს. და შეშინებული, მჭვრეტელი თავისი ცოდვების წყვდიადისა, ხედავდა იერუსალიმს, ხედავდა გოდების კედელს, და არაბებს, და ნავთობს, ძველებურად რომ მოედინებოდა აღმოსავლეთიდან, და ანგლოსაქსებს მთვარეზე, სამყაროში, სადაც საბჭოთა რუსებია, და სერბებს მთელი სამყაროს პირისპირ, და, ვინ იცის, კიდევ რას და რა სიღრმით ხედავდა, ვიდრე ჭიდან ხაპავდა თავის წინასწარმეტყველურ თვალებს...*

*მე კი ყელში ამომივიდა მთელი ეს მონაჩმახი და სისულელე და მართლა გავუყარე მწყემსის ჯოხი მიწაზე დაგდებულ საკუთარ შლაპას, გამოვიცვალე წინდები და გავემართე სპარტაში, რათა იმ თითით, ღვინოში რომ მქონდა დასველებული, მაგიდაზე დამეწერა სასიყვარულო ბარათი იმ მშვენიერი ქალისთვის, ელენა ვასილევსისთვის. დაე, ბოლოს და ბოლოს დაიწყოს ის, რაც დავინახე!*

ამ დროს კაპიტანმა იგრძნო, რომ წყალი გაცივდა.

- Klarinetto! — დაიძახა მან და აბაზანაში წამოიმართა, მთელი თავისი ვეება სხეულით ისე უცბად წამოდგა, რომ წყლის ნახევარი იატაკზე გადმოიღვარა. შიშველ სხეულზე სარტყელ-კომორანი შემოიჭირა, წითელი შალის ზონრებით რომ იყო დაწნული, და საწოლში ჩაწვა. მაშინ მას კლარნეტი და უკვე გაღვივებული მწვანე ყალიონი მოართვეს. საწოლში წამომჯდარმა, მუხლებზე მუსიკალურ ინსტრუმენტგადადებულმა ერთი-ორი ნაფაზი დაარტყა და აქ მის წინაშე წარდგა ჯარისკაცი ზუსტად ასეთივე ინსტრუმენტით ხელში.

- მართალს ამბობენ, - ჰკითხა კაპიტანმა ჯარისკაცს, - თითქოს ისეთი მოქნილი თითები გაქვს, რომ შეგიძლია, გაქცეულ კაცს ფეხსაცმელი მოჰპარო?

- ტყუიან. ცალი ფეხსაცმელი რისთვის მინდა? მაგრამ თქვენ, ბატონო კაპიტანო, შემიძლია, ერთიც გასწავლოთ და მეორეც. დაკვრაც და ქურდობაც. რაც უფრო მოგწონთ.

ამ სიტყვებზე კაპიტანი ოპუიჩი ისე აროხროხდა, რომ ჩიბუხიდან ფერფლი გამოცვივდა და ჩაქრა. კაპიტანმა კლარნეტი აიღო და მან და ჯარისკაცმა ორ ინსტრუმენტზე შეასრულეს Paisiello-ს ერთ-ერთი ნაწარმოები.

ფრანგული კავალერიის კაპიტანი ხარლამპი ოპუიჩი სამხედრო ლაშქრობების დროს კლარნეტზე დაკვრას სწავლობდა. სწავლობდა ლათინურ რიტორიკასაც. მას, ფრანგული არმიისგან განსხვავებით, მუდამ თანსდევდა წარმატებები. იქნებ, სწორედ ამიტომაც კაპიტან ოპუიჩის ამგვარი გარდაქმნა არავის გაჰკვირვებია. ელბაზე ერთობ მრავლად იყო სიკვდილები საიმისოდ, რომ ამ ამბისთვის ვინმეს ყურადღება მიექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მეთოთხმეტე გასალები*

**ზომიერება**



პორუჩიკი ოპუიჩი სადღაც გაზაფხულის დამდეგს გამოჯანმრთელდა. ყოველთვის ჯერ კიდევ ვერ არჩევდა ერთმანეთისგან ცხადსა და სიზმარს, მაგრამ უკვე იცოდა, რა ჰქვია. თავის ფიქრებს ისე იჭერდა, როგორც ბუზებს, - თითქმის ყოველთვის წარუმატებლად. ხშირად ისინი ხელიდან უსხლტებოდა. და თუ მაინც ახერხებდა რომელიმეს დაჭერას, მაშინ ხელისგულზე ან მკვდარი ფიქრი შერჩებოდა, ან იგი, დასახიჩრებული, გაფრენას ცდილობდა. პორუჩიკმა შენიშნა, რომ მკერდზე, სადაც დაჭრილი იყო, ნაიარევი დარჩენოდა, ზედ კი პატარა, კუდის მსგავსი წითური თმის ბღუჯა ამოზრდოდა.

აქვე მან აღმოაჩინა მოსამსახურე, რომელიც მამამისს გამოეგზავნა, და ძველი ქისა, რატომღაც ცარიელი. იქიდან გამქრალიყო ერთადერთი ძვირფასი ნივთი, რომელიც სოფრონის მუდამ თან დაჰქონდა — სამაჯური, რომელიც დედამ „მომავალი დანიშნულისთვის“ მისცა. მსახურს ამგვარ ნივთზე არაფერი სმენოდა, თუმცაღა იხსენებდა ვიღაც გოგოს, რომელიც ავადმყოფ პორუჩიკს უვლიდა.

- შესაძლოა, ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც მამათქვენი გიგზავნით, რათა იარა განგიკურნონ, ისე გაგილოკონ, თითქოს ძაღლები იყვნენ, ბოდიშს გიხდით ამ გამოთქმისთვის.

ოპუიჩმა ჰკითხა, ის გოგონა სად დაიკარგაო, მაგრამ მსახურმა უპასუხა, რომ ამის თაობაზე არაფერი იცის, რადგან იმ დღიდან, რაც თვითონ აქ ჩამოვიდა, გოგონა აღარ გამოჩენილა. პორუჩიკმა ხელი ჩაიქნია და შინიდან გავიდა. მოსამსახურეს წინასწარ გამოკითხა, რა ჰქვია ქალაქს, რომელშიც იმყოფებიან.

- ზემუნი, - უპასუხა იმან გაკვირვებით.

ქუჩაში ოპუიჩმა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში პირველად ხელთათმანები გაიკეთა და ხელში რაღაც მაგარი მოხვდა. ეს იყო ბეჭედი, რომელიც თვალით არასოდეს ენახა. მამაკაცის ბეჭედი ტვიფარით — დაასკვნა ახალგაზრდა ოპუიჩმა. მან ბეჭედი ხელთათმანის ზემოდან წამოიცვა და ქუჩას თვალი მოავლო — ქალის წითურთმიან თავს ეძებდა. იმ დღეს არ გაუმართლა, მაგრამ უკვე მეორე დილას თავის სახლთან ახლოს შენიშნა ქალიშვილი, რომლის წითური ნაწნავები მხრებზე ისე ბრწყინავდა, თითქოს სპილენძის მავთულისგან დაეწნათ. თითებზე სამკაულების ნაცვლად ოქროსა და ვერცხლის ძალიან ძვირფასი სათითეები ეკეთა, კისერზე კი მძივის ნაცვლად პაწაწუნა, ვერცხლით ამოქარგული ფეხსაცმელი ეკიდა.

„შეუძლებელია!“ — წამოიყვირა გუნებაში სოფრონიმ და ქალიშვილს ფეხდაფეხ აედევნა.

გოგონა დუნაისთან მივიდა, ცალ ფეხზე გაიხადა და, როცა სინჯავდა, წყალი ცივია თუ არაო, ერთი წამით აღმოჩნდა ერთდროულად წყალში და ხმელეთზე მდგომი, მერე უკან მიბრუნდა, საფეხურები აირბინა და გაუჩინარდა კარს მიღმა, რომელიც ოთხი ნალით იყო შემკული. ნალები დრუნჩებით ისე მიემართათ ერთმანეთისკენ, თითქოს ორი ცხენის ფეხების ნაკვალევი იყო, ერთმანეთის პირდაპირ რომ მდგარან. მეორე დღეს გოგონა კვლავ დაინახა. იგი იმ შენობის აივანზე იჯდა, რომლის პირდაპირაც სოფრონი ცხოვრობდა, და მისკენ და გამვლელებისკენ ზურგშექცეული იწნავდა, იშლიდა და ისევ იწნავდა თავის წითურ თმას. პორუჩიკი გაოცდა, როცა მის ხელზე საკუთარი სამაჯური შენიშნა. ახლაღა დააკვირდა გოგონას ყურადღებით. მოეწონა მისი ტერფები, ვიწრო, გრძელი თითებით, და გაიფიქრა: „ამას... მაგარი... უნდა ჰქონდეს“. და აივნის ქვეშ გაიარ-გამოიარა, მაგრამ მაშინვე შინ დაბრუნდა, თან გოგონაზე ფიქრს განაგრძობდა. ქალი კვლავ თავის ადგილზე რჩებოდა და ახლა, მოწყენილი, ღვინოს ოქროს თასიდან ვერცხლისაში და ისევ უკან ასხამდა. ერთ თასზე თვალგაშტერებული, ისე, რომ მეორეს ვერ ამჩნევდა, იგი ჩაფიქრებული იჯდა აივნის მოაჯირში ფეხგაკვეხებული.

„მისი ხელი მიჩვენებს, რომ ორი შვილი ეყოლება, - გაიფიქრა ოპუიჩმა. — იმის მიხედვით, როგორ იხდენს კაბას, ცხადია, ეს ქალი ქმარს გაეყრება; იმით კი, როგორ იკეთებს თმას, შეიძლება მიხვდე, რომ 48 წლისა მოკვდება. როგორც მუსიკოსები ფიქრობენ ყურებით, ისე ეს ძუძუებით ფიქრობს,“ - დაასკვნა ახალგაზრდა ოპუიჩმა და გოგონას მიმართა:

- ჩემი სამაჯური მოგიპარავს. აი, ხელზე გიკეთია!

მან მზერა მიაპყრო და კაცმა იგრძნო, გოგონას მთელ სხეულს როგორ აუვიდა ატმის სუნი, ნაწნავი კი, თითქოს გველიაო, ამ გამოხედვის გავლენით ნელ-ნელა ზემოთ აეპრიხა.

- მაგის თქმა ყველას შეუძლია. დამიმტკიცე.

- მე ვიცი, რა აწერია სამაჯურს. ზედ ამოტვიფრულია: ***„მე ვარ ავგაროზი. თუ ჩემს ძალას ამოწურავ, შენს სამსახურს ვეღარ შევძლებ. თუ მოახერხებ, ისევ შემავსო, კვლავ სასარგებლო გავხდები. მაგრამ გაითვალისწინე, ავგაროზი შენ თუ ვერ გეხმარება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის სხვებსაც ვერ დაეხმარება...“*** აი, რა აწერია ჩემს სამაჯურს. ახლა შენი აღარ მშურს! მისი დაბრუნება მოგინევს, ოღონდ სამაჯური წაგაკვნეტს იმ ხელს, რომელზეც გიკეთია! თუ მოიხსნი, უხელოდ დარჩები.

პასუხად გოგონამ აივნიდან გადაიკისკისა:

- მაშინ არ მოვიხსნი. მე და შენ, უბრალოდ, ნივთებს გავცვლით.

- რაში გამიცვლი?

- შენ ამტკიცებ, რომ სამაჯური მოგპარე, მე კი შემიძლია, გითხრა, რომ შენ ჩემი ბეჭედი მოიპარე. აი, თითზე გიკეთია. ბეჭედი ანაბეჭდით, რომლითაც ჩიბუხს ტენიან. მაგაზეც რაღაც წერია, შიგნით, წრეზე.

პორუჩიკმა ბეჭედს დახედა და ჩუმად ამოიკითხა წარწერა: ***„გახსოვდე! ბეჭედი — ეს უბიწობაა, რომელიც აღდგება. თუ დამკარგავ...“*** და აქ გაიგონა, ხმამაღლა როგორ ალაპარაკდა გოგონა აივნიდან:

***- გახსოვდე! ბეჭედი — ეს უბიწობაა, რომელიც აღდგება. თუ დამკარგავ, დაკარგავ რაღაც უფრო მეტს. ველი შენს თითს, როგორც საქმროს.***

კაცი შეკრთა. მან იგრძნო გულის ქვეშ პატარა შიმშილი, რომელიც ისე გოდებდა, როგორც პატარა ტკივილი, და მკვდრები მიწის სიღრმეში, ქუჩის ქვაფენილის ქვეშ, რომლებიც ქვებს შორის ამოსული ბალახის ფესვებს იწნიდნენ. თმა ყალყზე დაუდგა და ქალს ჰკითხა:

- ვინ ხარ შენ?

- მე მესამე ფეხსაცმელი ვარ, - უპასუხა მან და სადარბაზოს ოთხი ნალით მორთული კარით ბინაში გაუჩინარდა.

ორი საღამო ეწამებოდა ახალგაზრდა ოპუიჩი ბეჭდის გამო, მესამე დღეს კი იმ ოთხნალიანი კარისკენ გაემართა და ზედ მამაკაცური ჯვარი გამოსახა. დილით გოგონამ მსახური გამოგზავნა, რათა გაეგო, რას ნიშნავს ეს ჯვარი.

- ეს რა — მუქარაა?

- არა, მუქარა არ არის. პირიქით, ეს ნიშნავს, რომ მე ამ კარს აქეთ აღარ მეცხოვრება.

მომდევნო დილით გოგომ ცარცი აიღო და კარის შიგნითა მხარეს ქალის ჯვარი დახატა, საღამოჟამს კი კარი ისე შეაღო, რომ სოფრონის ამ ნიშნის დანახვა შეძლებოდა. და მან ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახა. სახლის სიღრმიდან კი შემოესმა გოგონას წყნარი, თითქოს მთვარის სინათლის სხივიდან მომავალი ხმა, რომელიც მღეროდა „მოგონებები — ეს სულის ოფლია". და შევიდა. ქალმა დაშაქრული ყვავილები მიართვა — ვარდები და იები.

- ვინ ხარ შენ? — კვლავ ჰკითხა კაცმა.

- ვინ ვარ? ერისენა მქვია, ტენეცკაია. მაგრამ ჩემთვის სულ გაუგებარია, ვინა ვარ. თანდათან სულ უფრო მიკვირს ჩემი თავისაც, იმისიც, რასაც ვაკეთებ და რადაც გარდავიქმნები. სულ უფრო და უფრო ნაკლებად ვუგებ ჩემს თავს, არადა, პირიქით კი უნდა ყოფილიყო. საკუთარ ცხოვრებაში თავს უცხოელად ვგრძნობ. და ეს მახარებს... შენ თვითონ ვინ ხარ?

- როცა მდინარეზე ბინდი ეშვება, ხდება ხოლმე, რომ ერთსა და იმავე მწერს თევზიც ეტანება და ჩიტიც. მეც ასეთი მწერი ვარ და ჩემს ცხოვრებაში ახლა სწორედ ისეთი მომენტი დგას, როგორც შებინდებისას მდინარეზე. მაგრამ არ იფიქრო, თითქოს ჩემთვის სულერთია, ვინ ჩამყლაპავს, შენ თუ ვინმე სხვა.

ეს რომ თქვა, სოფრონიმ მისი ტანიდან ატმის სურნელება შეიგრძნო და აკოცა ქალს.

- ენის ქვეშ რა გაქვს? — ჰკითხა ერისენამ. — ქვა?

- ხო, აქ საიდუმლოს ვინახავ.

- მომეცი, მე მომეცი შენი საიდუმლო! — ჩაილაპარაკა ქალმა და შემდეგი კოცნისას ქვამ ადგილი შეიცვალა — გოგონას ენის ქვეშ აღმოჩნდა. ქვით პირში ერისენამ თქვა: - ყოველ საღამოს სიცოცხლიდან და სხეულიდან ანგელოზი ისე მაძრობს სულს, როგორც ნადავლით სავსე ვეებერთელა ბადეს. გუშინ საღამოს ამ ბადეს რაღაც ახალი მოჰყვა. ჩემი სულით მან შენი სული დაიჭირა.

შემდეგ კაცმა გაიგო, რომ გოგონა ერთი და იმავე პომადით იღებავს ტუჩებსაც და ძუძუსთავებსაც და, როდესაც კოშკის საათმა შუაღამის ნიშნად ჩამორეკა, მის სხეულში თორმეტჯერ შეუშვა თავისი თესლი, საათის თითოეული ჩამორეკვის კვალდაკვალ.

ეს იყო დასაწყისი დიადი სიყვარულისა. ამ დიადი სიყვარულისგან კი მალე ბერდებიან. დიადი სიყვარულისგან უფრო მალე ბერდებიან, ვიდრე ხანგრძლივი, უბედური და მძიმე ცხოვრებისგან. ერისენა მიაჭენებდა თავის მხედარს შორს, შორს, მისთვის უცხო მხარეებში და ხანგრძლივი მოგზაურობიდან ბრუნდებოდა დაღლილი, ბედნიერი და სუნთქვაშეგუბებული, მისი საშო კი აქედან მოყოლებული ექოდ ეხმიანებოდა კოშკის საათის რეკვას. სიყვარული დროს აღარ უტოვებდა, რამე ეჭამა. ზოგჯერ საღამოთი საუზმეულს საყვარელს მკერდზე დააწყობდა, ჭამდა და ერთდროულად უმასპინძლდებოდა სიყვარულით და მოხარშული ბოსტნეულით. ისინი ბედნიერები იყვნენ საყოველთაო უბედურების ჟამს; საყოველთაო მარცხისას მათ თანსდევდათ წარმატება და ამას ამაოდ არ ჩაუვლია.

### შვიდი მესამე გასაღები

#### მეთხუთმეტე გასაღები

#### ეშმაკი



მაენე დაიბადა მდინარე კარაშის ხიდზე, ბანატში, როცა მისმა ბატონმა მოწყენილობისგან ჯვარი გადასახა საკუთარ ჩრდილს. მას არქმევდნენ უსაზღვრო რაოდენობის სახელებს, აი, ასეთებს: „ღამით უხსნებელი," „სწორედ ის", „კბილებში ქვა," „ღვთის ძმა", „უწმინდური". ისიც იმად თვლიდა თავს, რადაც მოიხსენიებდნენ და ეშინოდა, ვინმეს ცეცხლში არ ჩაეგდო ქაღალდი, რომელზეც მისი სახელი ეწერა. უყვარდა კუდით მოშარდვა, არასოდეს იცოდა, რას თესდა, მის დანახვაზე კი ყველა მხარუკუღმა იფურთხებოდა.

ბუკუმირის ტბასთან, ჩერნოგორიაში გაიზარდა, ქვებს შორის. წერა იცოდა, მაგრამ არ იცოდა კითხვა, რადგან, თავისი სახელი რომ წაეკითხა, მაშინვე მოკვდებოდა. მისგან გამოღრღნილი ძვალიღა დარჩებოდა. არ უყვარდა ვარდები და არ უყვარდა თავისი შავი კბილების გამოჩენა, ამიტომ არასოდეს იცინოდა. უცნაური ჩექმები ეცვა — წინ ქუსლებით და ჭვინტებით უკან. და მასზე ამბობდნენ, რომ არავის ჰგავს და, მიუხედავად იმისა, რომ კოჭლია, ყველგან ანგელოზზე ადრე ასწრებს მისვლას. არაერთხელ უნახავთ მტვრიან გზაზე ბავშვებთან მოთამაშე — კუდით რკალს რომ დააკოტრიალებდა. პატარა როცა იყო, ქუხილის ეშინოდა და ელჭექისას ხშირად მამაკაცებს შარვალში, ქალებს კი ქვედატანებში უძვრებოდა, რადგან სწამდა, რომ ქუხილი სწორედ მას ეძებდა. უყვარდა საკუთარი გამოსახულების ნაჯახის პირზე თვალიერება, ამიტომ, როცა ქუხდა, ნაჯახები სახლიდან გაჰქონდათ ხოლმე, მეხი რომ არ დასცემოდა.

ამბობენ, მისი განსაკუთრებული მოვალეობა იყო, ეფიქრა, თუ ვის უწევდა ვამპირად მესამედ გადაქცევის რიგი. ასეთი მესამედ გამოჩეკილი ვამპირი მას სხვადასხვა ადამიანების სიზმრებში შეჰყავდა, მერე კი ამ ხალხს ენაბლუობას მართებდა. უყვარდა, როცა უფროსებს მიაჭენებდა, სხვის ძროხებს წველიდა, ქალის კაბას გადაიცვამდა, კუდს წელზე შემოირტყამდა, თავს რომელიმე ქალაქელი ბიჭის საცოლედ ასაღებდა. საკუთარი დალაქი ჰყავდა და ბევრი ძმა მთელს ქვეყანაზე. თითოეული მათგანი საკუთარ ენაზე ლაპარაკობდა.

ეს კი კვრინჩხს რგავდა, ნებისმიერ დაცინვას ყლაპავდა, ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა და მუდამ ყველაზე მოკლე გზით დადიოდა. ბავშვი, რომელიც მას სიზმრად ხედავდა, ლოგინში იფსამდა. მან იცოდა ცხოველების ენა, უყვარდა მუსიკა, ქალებს დასანახად ეჯავრებოდათ და ბოთლში დებიდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მას ქალის ტანი აქვს და მამაკაცის თავი, მაგრამ სულსაც კი მიჰყიდდნენ ხოლმე, რადგან მან იცოდა, რომ ევა სამოთხიდან ადამზე გაცილებით გვიან გამოაძევეს; ეგეც არ იყოს, მან კუდის კარგად მოქნევაც იცოდა ან სხვა რაიმესი, რასაც თავისი ფართო შარვლიდან ამოაძვრენდა ხოლმე. კარგი მხედარი იყო, შეეძლო, მდინარის ფსკერიც კი მოეხნა. ეშინოდა შავი ძაღლების, მამლის ყივილის და უყვარდა წყლის წისქვილში სასწორზე ჯდომა. არასოდეს კომპანია არ უძებნია, კომპანია ყოველთვის თვითონ პოულობდა მას, თუმცა, ამასთან, მისი ეშინოდა. მასზე იტყოდნენ: „კალთაზე თუ გტაცებს ხელს, ის კალთა მოიჭერი".

მას კი ეშინოდა შავქარქაშიანი დანისა და ვერხვის პალოსი. თავიდან იცილებდა ცხენისკონტურებიან ჩრდილს; ყველგან ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში, მაგრამ ბავშვები დასცინოდნენ, ყვირილ-ყვირილით დასდევდნენ ხოლმე უკან:

- აცხა! აცხა! წადი, თეთრი ჭაკები მწყემსე!

ერთხელ, ახალგაზრდობაში, ჯოხისა და ცხვრის ტყავიდან მგელი გააკეთა, მაგრამ იმან ვერაფრით სიარული ვერ ისწავლა. მაშინ სიზმარში ღმერთს შეევედრა, რომლისაც მხოლოდ მაშინ სწამდა, როცა ეძინა, და ღმერთმა უთხრა:

- უთხარი შენს მგელს: მამას შეახტი! მაშინ კი გაცოცხლდება.

ასეც მოიქცა და მხოლოდ სასწაულის ძალით გადაურჩა მგლისგან დაგლეჯას.

მეთევზეები ასე აზიარებდნენ ხოლმე: ზიარებას პირში ჩაიდებდნენ, მაგრამ არ ყლაპავდნენ, მდინარეში გადააფურთხებდნენ სიტყვებით: „მე შენ ზიარებას, შენ მე თევზს მომეცემ!"

ხალხი ამბობდა, რომ ის ცილისმწამებელია, მას კი ეშინოდა ბრანწის, ჭრელი ლეკვებისა და შავი სარტყლის. სილას თუ გააწნავდნენ, მაშინვე მეორე ლოყას მიუშვერდა ხოლმე, რათა ახლა იმ ლოყაში მიეღო, მაგრამ მამაკაცებმა იცოდნენ, რომ ამის გაკეთება არ ღირს, რადგან მაშინვე გაჩნდება ორი

ისეთივე, როგორიც ეს არის. ამის უფლება ქალებს რჩებოდათ და ისინიც ისე ურახუნებდნენ, რომ კუდი სასწაულის წყალობით რჩებოდა თავის ადგილას, თუმცა ერთხელ მაინც მოძვრა, მან კი კუდისგან ლამაზმანი შექმნა, რომლის მშვენებას ტოლი არ დაეძებნებოდა. ქალს პეტრა ალაუპს ეძახდნენ და ტრიესტში ცხოვრობდა. ეს კი ყველა გზაჯვარედინზე ტრაბახობდა:

- ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა და ნახეთ, რა ნაგავი გამოვიდა, მე კი საკუთარი კუდიდან და გავიკეთე და ერთი შეხედეთ, რა ლამაზია.

ერთხელ ღამით, საშინელი უამინდობის დროს, მან იგი ცოლად გაიხადა. ამის შემდეგ ქალს სამი თვის განმავლობაში იღლიის ქვეშ ჰქონდა ამოდებული მამლის კვერცხი და აღარ ბანაობდა. აი, ამ კვერცხიდან გამოიჩეკა ძროხისყურებიანი ბავშვი, რომელიც ისე ჰგავდა მამას, როგორც წყლის ორი წვეთი ჰგავს ერთმანეთს. ამ ბავშვის გარდა მავნეს სხვაც ჰყავდა. ეს იყო მამა სიცრუისა. იგი არასოდეს უკეთებდა ბოროტებას იმას, ვისაც სძულდა, მაგრამ, როგორც წესი, მუდამ რაღაცას უშავებდა თავის ახლობლებს და ნათესავებს. მისი ცხოვრების აღწერა შეადგინეს ნიშაში (პავლე სოფრიჩი, „სერბი ეშმაკის ისტორია", „ნიშის ეპარქიის ხმა").

იდგა 1813 წელი. მას მჭედლის ხელობაც კი მოწყინდა და ცოლს, პეტრა ალაუპს ჰკითხა რა ვაკეთოო, ქალმა კი რაღაც უჩურჩულა ტუჩიდან ტუჩზე. მაშინ მან ყვითელი თურქული ფეხსაცმელი ჩაიცვა, თეთრ ჭაკს მოახტა და ნაპოლეონის კავალერიაში ჩაეწერა. იგი გაამწესეს კაპიტან ოპუიჩის ასეულში, რომელიც სწორედ იმ დროს ლაიფციგთან მარცხს განიცდიდა.

*მეთექვსმეტე გასაღები*

**კოშკი**



ერთ დღეს ზემუნის ბინის ოთახებმა წინა ღამეს ჩამობარდნილი თოვლის სიქათქათით განათებულებმა გაიღვიძეს, კედლის სარკემ კი სითეთრითა და ბრწყინვალებით დროზე ადრე გამოაფხიზლა სოფრონი და ერისენა.

იმ თოვლიან საუზმეზე კაცმა იკითხა:

- რატომ არასოდეს გვსტუმრობს შენი უფროსი ძმა?

- იმიტომ, რომ ის სწორედ ის ავსტრიელი ოფიცერია, ვინც ხმლის ქარქაში გაგირტყ და ხეზე დაგკიდა. ის შორსაა. ფრანგებს ერეკება.

- მერე ამაზე ახლაღა მიყვები? მაშ, შენ რაღად გადამარჩინე?

ქალი ხედავდა, სოფრონი ერთ ლუკმას ისე ღეჭავდა, როგორც პაპამისი დედის მხრიდან, მეორეს — როგორც ბებია მამის მხრიდან, და უპასუხა:

- ქალის ორი ტიპი არსებობს. ამ თვალსაზრისით ქალებს თითქოს ორი სქესი აქვთ, ისე, როგორც ორი ფეხსაცმელი ფეხებზე.

პირველ ტიპს, შეიძლება, გამარჯვებულის ცოლი ვუწოდოთ. მას მამა არ ჰყავს, მთლიანად ქმარსაა მინდობილი და სიგიჟემდე უყვარს იგი, როგორც დიდი ძალის პატრონი, როგორც ადამი და მისი მოდგმის მამა. და გამარჯვებული, მბრძანებელი ცხოველთა სამყაროსი, რომელთაც მან სახელები შეარქვა, და ბუნებისა, რომელსაც ის ენინააღმდეგება. ასეთ ქალს ახსოვს, სად არის დედამიწის ჭიპი. ქმრის წყალობით მას ძალაც აქვს და ფულიც. „მისი დღეები უფრო დიდხანს გრძელდება, ცხოვრებაში კი გაცილებით მეტი ღამე აქვს, ვიდრე მე", - ასე ფიქრობს თავის მამაკაცზე და სძულს ვაჟიშვილები, რომელთაც, როგორც კაენსა და აბელს, დონდლოებად და მარტოსულებად მიიჩნევს, უილაჯო და უგავლენო მარტოკაცებად. „დაე, საკუთარი ჩრდილი მოხნან და ოფლით მორწყან იგი, რათა იქ რაიმემ იხაროს," - ფიქრობს თავის ვაჟებზე. ასეთი ქალი ვერც თავისი შვილების თანატოლებს იტანს, მთელ თაობას, რომელიც ყურებს წვერით იცობს. როცა ის ირჩევს, ირჩევს არა იმას, ვინც უყვარს, არამედ იმას, ვინც სძულს მამამისს ან მის ვაჟიშვილს. მისი სიყვარული კლიტორთანაა დაკავშირებული და ნიშნავს სიამოვნებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩასახვასთან.

მეორე ტიპი — ეს გამარჯვებულის ქალიშვილია. ის შეყვარებულია მამაზე, რომელსაც შეუძლია, თავის თავზე თქვას: „ჩემი სიბრძნე ჩემზე ადრე დაიბადა". მამაში ხედავს შემოქმედს, გამარჯვებულს, მბრძანებელს, რომელიც თავის და თავისი ქალიშვილის გარშემო ერთიანი ძმობის მტკიცე კავშირით კრავს მეგობრებს. ამგვარ ქალს სძულს საკუთარი ქმარი. შეიძლება, მისი ქმარი შესანიშნავი ადამიანი და საკუთარი საქმის ოსტატი იყოს, მაგრამ ქალი ასე ამბობს: „მისგან ყველა თოკებს ართავს, სხვის დაკრულზე ცეკვავს, ყურებზე კი ხავსი ედება". იგი ქმარს არ პატიობს მარტოობისკენ მიდრეკილებას. „რისთვის მჭირდება კაცი — ულონო და გავლენის არმქონე, ვისაც იმაზე მეტი ძალაუფლება არა აქვს, ვიდრე თოვლის პაპას?" ამავე მიზეზით მას სძულს ძმები და მათი თანატოლები. „მათ შანსი ჰქონდათ და ხელიდან გაუშვეს," — ამბობს ის. ამიტომ ჭკუას კარგავს ვაჟიშვილზე და მის მეგობრებზე, აკი იმათი დრო მოდის. ქალი მათში ხედავს ახალ დიად საქმოს, შეკავშირებულს იმავე სულისკვეთებით, როგორიც მამამისის საქმოა; მათში იგი მომავალ გამარჯვებულებს ხედავს. „მათ ოფლის ოთხი შრე ჩამოიფხიკეს, ოთხ ქარში გამომშრალი, ახლა კი თავისუფლები არიან," — ასე ფიქრობს, რადგან ძალას და სიმდიდრეს იღებს მამის ან ვაჟიშვილისგან. ის, როგორც წესი, საწოლში თავისი შვილის ერთერთ მეგობართან აღმოჩნდება ხოლმე; ამორჩევით იმას კი არ ირჩევს, ვინც უყვარს, არამედ იმას, ვისაც მისი ქმარი ან მისი ძმა ვერ იტანენ... მისი სიყვარული უკავშირდება საშვილოსნოს და, მაშასადამე, ჩასახვას, ტკბობასთან საერთო რომ არა აქვს.

- შენ? ამ ორიდან შენ რომელ ტიპს მიეკუთვნები? რომელი სქესისა ხარ? — შიშით ჰკითხა სოფრონიმ.

- არც ერთის. მე, ასე ვთქვათ, სქესი არა მაქვს. და, - ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით, - გამონაკლისს წარმოვადგენ. მე მესამე ფეხსაცმელი ვარ. ამორჩევით კი იმას ვირჩევ, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს.

- ესე იგი, მესამე ფეხსაცმელი ნამდვილად არსებობს!

- კი. მე ვცდილობ, ისე არ მოვიქცე, როგორც სხვა ქალები. არ ვემორჩილები გამარჯვებული და დამარცხებული თაობების ცვლის კანონებს იმიტომ, რომ ქცევის ეს ნორმები მამაკაცებისთვისაა დამახასიათებელი. ვიცი, რომ მამაკაცები თავისი თავის რეალიზებას სხვების მეშვეობით აღწევენ. ქალები კი საკუთარი თავის ხარჯზე და, როცა საღამოს მცენარეთა ჩრდილები ცისკენ მიფრინავენ, მე ვიცი, რომ დამარცხებულის ქალიშვილი ვარ. და ყველას ჯინაზე ვეთაყვანები მამაჩემს.

- მერე არ იცი, რომ მამაშენი მამაჩემმა მოკლა ჯერ კიდევ გასულ ომში, გასულ საუკუნეში?

- ეს შენი დანაშაული არ არის. ეს უფრო ჩემი ძმის, პანა ტენეცკის, ავსტრიის არმიის კაპიტნის ბრალია, რომელიც ისეთივე სისხლისმსმელია, როგორც მამაშენი, ფრანგული კავალერიის კაპიტანი ხარლამპი ოპუიჩი. ასეთ დროს კი დანაშაული, შეიძლება, რიკოშეტით დაბრუნდეს უკან, წარსულში. ამიტომ ვერ ვიტან ჩემი ძმების და მათი მეგობრების კომპანიას — გამარჯვებულთ და მოძალადეთ, რომლებიც თავიანთ ცოლებთან ერთად იგივეთი მპასუხობენ. და შიშით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობ ჩემსა და მათ შვილებზე, რომელთაც საკუთარ თავზე მოუწევთ გამარჯვებულთა ძალადობის გამოცდა, თუ ესენი იმ ომში გაიმარჯვებენ, რომელსაც ახლა შენ და ყველა შენიანი აგებთ. ვისურვებდი — თუ, რა თქმა უნდა, იმ დრომდე ვიცოცხლებ — აღმოვჩენილიყავი ჩემი მომავალი ვაჟიშვილის რომელიმე უმწეო თანატოლის საწოლში და, ამასთან, უფრო დედის, ვიდრე საყვარლის როლში; ისევე, როგორც შენთან მოხდა — მე ხომ შენ აგირჩიე, როგორც სუსტი შვილი მძლეთამძლე მამა-გამარჯვებულისა. აგირჩიე იმიტომ, რომ შენ არ უყვარდი არც დედას, არც დებს, არც საყვარლებს. არ ეყვარები არც ქალიშვილს, თუკი ის გაგვიჩნდება. ჩემთვის ყველაზე საშინელი დამარცხება და სასჯელი იქნებოდა იმის აუცილებლობა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში დავბრუნებულიყავი ჩემი ძმები-გამარჯვებულების ყოვლისშემძლე გუნდში, რომელსაც მიეკუთვნება არა მხოლოდ ყველა ჩემი თანატოლი, არამედ მამაშენიც. თუ მომიწევს, გადავაგდო მესამე ფეხსაცმელი, ეს ჩემი გზის დასასრული იქნება.

თუმცა, მოდი, ჩემზე ლაპარაკს შევეშვათ. ახლა ვნახოთ, შენს თავს რა ხდება. უფრო სწორად, - ჩვენს თავს. შენ გინდა, დაბრუნდე შენს ნაწილში, რომელიც განაგრძობს უკანდახევას და ჩრდილო-დასავლეთისკენ მიიწევს. ყველაფერი უეჭველად დასრულდება სადღაც საფრანგეთში. არ ვიცი, ხარ თუ არა საფრანგეთის სახელმწიფოს მოქალაქე, მაგრამ ვიცი, რომ საფრანგეთის არმიაში მსახურობ. ისიც ვიცი, რომ სახელმწიფო — ეს გარდაუვალი ბოროტებაა. რასაც შეიძლება სახელმწიფოსგან მოელოდე, არის, დიდი-დიდი, ის, რომ როგორმე თეფშში არ გიფურთხებდეს. ახლა ეს ომები? შენ ამბობ — ხალხი, ამბობ, რომ იბრძვი საკუთარი ერის დიდებისთვის. რა არის ხალხი? აბა, შემომხედე, ჩვიდმეტი წლისა ვარ. კაცობრიობის ტოლი ვარ, რადგან კაცობრიობა სულ ჩვიდმეტი წლისაა. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ხალხი მუდამ ბავშვად რჩება. ის გამუდმებით იზრდება და გამუდმებით ევიწროება თავისი ენა, თავისი სული, თავისი მეხსიერება და თავისი მომავალიც კი — ამიტომაც ყოველმა ხალხმა დროდადრო უნდა გამოიცვალოს კოსტიუმი, რომელიც ისევ უმოკლდება, მოძრაობას უზრკოლებს და ნაკერები ერღვევა იმის გამო, რომ თვითონ ის იზრდება. ეს ერთდროულად ძნელიცაა და სასიხარულოც. შენ ამბობ — ენა. სიზმარში ჩვენ ყველა ენა გვესმის. სიზმარი — ეს ჩვენი სამშობლოა ბაბილონის გოდოლის დროისა. სიზმრად ყველანი ერთ, მთლიან და დიად წინაპარ-ენაზე ვლაპარაკობთ, რომელიც საერთოა ყველა ჩვენგანისთვის, ცოცხლებისთვის და მკვდრებისთვის... მაშინ რისთვისაა ეს ომები? რა საჭიროა ისტორიაში უკან მიბრუნება? ყოველი მკვლელობა — ეს ნაწილობრივ თვითმკვლელობაც არის.

- თუ სწორად გაგიგე, იმაზე გინდა ჩემი დაყოლიება, რომ უარი ვთქვა მეომრის მოწოდებაზე.

- ჰო, მინდა, რომ ეგ საქმე მიატოვო. მამაშენისთვის ეს მოწოდებაა, შენთვის კი არა. მოდი, თავი დავაღწიოთ კოშკს, ალმოდებულ დამარცხებას, კატასტროფას — ეს ყველაფერი ჩვენ არც ფულს მოგვიტანს, არც უსაფრთხოებას — რისი იმედიც შენ გაქვს. ავდგეთ და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

- სულო ჩემო, ომში რაღაცები ვისწავლე. ჩემი ის თანატოლები, ვისთან ერთადაც ვიბრძოდი და ვინც სხვებზე ადრე უნდა დაღუპულიყო, უფრო ჭკვიანები იყვნენ და სამყაროს, ჩვენ რომ გარს გვაკრავს, უფრო უკეთ იცნობდნენ, ვიდრე ყველა სხვა. სწორედ ამ ნიშნით ვცნობდით მათ და ვგრძნობდით მათს მოახლოებულ სიკვდილს. მათ იცოდნენ, რომ ყოველი მკვლელობა წინასწარგანზრახულად ხდება და ეს განზრახვა ათასობით წლისაც კია... სხვები, ისინი, ვისაც სიკვდილი მოგვიანებით ელოდა, უფრო სულელები იყვნენ. მაგრამ, როგორც იმათთან, ისე ამათთან ყოველივე ეს არაფრით უკავშირდებოდა თანდაყოლილ ჭკუას ან გონებაშეზღუდულობას. ამგვარად, ორი კატეგორია არსებობს. ჩვენ მეორეს მივეკუთვნებით.

- ეგ როგორ?

- მე და შენ ბედნიერი შეყვარებულები ვართ. ხომ ასეა? ბედნიერებისგან კი სულელდები. ბედნიერება და სიბრძნე ერთად არ დადიან ისევე, როგორც სხეული და აზრი. ტკივილი — ეს სხეულის აზრია. ამიტომ ბედნიერი ადამიანები ყოველთვის სულელები არიან. მხოლოდ ბედნიერებით დაღლილ შეყვარებულებს შეუძლიათ კვლავ დაბრძენება, თუკი საერთოდ ხელეწიფებათ, ასეთები იყვნენ. ამიტომ, მოდი, ახლა ნუ მივიღებთ გადაწვეტილებას იმაზე, რომ ხმალი გვერდზე გადავდო... ჩვენ მხოლოდ და მოლოდ მსახურნი ვართ ჩვენივე ქცევების, ისინია ჩვენი ბატონ-პატრონები.

ასე მსჯელობდა ზამთრის იმ დილას ზემუნში ახალგაზრდა და სულელი ტრიესტელი პორუჩიკი ოპუიჩი და ვერც ამჩნევდა, რომ ხმალი უკვე გვერდზე ჰქონდა გადადებული.

*მეჩვიდმეტე გასაღები*

**ვარსკვლავი**




ხმალი რომ ქარქაში ჩააგო და სამხედრო კარიერაზე უარი თქვა, პორუჩიკი ოპუიჩი ერისენა ტენეცკაიასთან ერთად მიწის პატარა ნაკვეთზე დასახლდა და მის დამუშავებას შეუდგნენ. იმ საღამოს ისინი მიირთმევდნენ სულ ერთი თვის წინ საკუთარი სკიდან ამოღებულ ახალ თაფლს, ოდნავ მწარე გემო რომ დაჰკრავდა, და ველური ნაბლითა და ფორთოხლის ცედრათი დამზადებულ ნამცხვარს. საწოლში ჩაწოლილები სიბნელეში სულელ და ბრძენ ვარსკვლავებზე საუბრობდნენ. ფანჯარა ღია იყო. ფარდა, ბუშტივით გაბერილი, ოთახში ღრმად შემოფრიალდა. ის ხან აიწეოდა, ხან ისე დაეშვებოდა, როგორც ორსული ქალის მუცელი, რომელშიც უმოძრაო ქარი იწვა. სოფრონი იგონებდა, ბავშვობაში ტრიესტში როგორ დაქანაობდა ხოლმე ჭიშკრის ვეებერთელა ფრთის სახელურებზე ხელჩაჭიდებული. მერე ისინი, როგორც წესი, ათას ერთ ღამეში გადაეშვნენ. ცდილობდნენ, გამოეთვალათ, რომელ ღამეს ჩაესახა შეჰრაზადის გარუნისგან ბავშვი და რა ზღაპარს ყვებოდნენ იმ ღამით. მაგრამ ანგარიში ერეოდათ, რადგან ამათ არასოდეს ჰყოფნიდათ ღამეები და არასოდეს ჰყოფნიდათ ძილი. უკანმოუხედავად ცხოვრობდნენ: ყოველდღე — წელიწადის ოთხივე დროს, როგორც ერისენა იტყოდა.

იმ ღამეს საუბრის კიდევ ერთი თემა ჰქონდათ. კაპიტანმა ხარლამპი ოპუიჩმა წერილით შეატყობინა, რომ კითხულობს ჰორაციუსს, უკრავს კლარნეტზე და, სხვა ათას სისულელესთან ერთად წერდა, რომ მათი მონახულება უნდოდა, რათა ენახა თავისი მომავალი რძალი პირველად, ხოლო ვაჟიშვილი — მრავალი წლის განშორების შემდეგ, და გაეგო, როგორ გამოიყურება ახლა მისი შვილი, რათა მერე, შემთხვევით თუ გადაეყრებოდა, არ შემცდარიყო. მამა მეთაურობდა საგანგებო რაზმს, რომელიც კონსტანტინოპოლში დიპლომატიური მისიით მიმავალ დესპანს აცილებდა და გზა სწორედ იმ მხარეში უნდა გაევლო, სადაც ახლა ერისენა და სოფრონი ცხოვრობდნენ... მაგრამ, ერისენას გასაკვირად, სოფრონი წერილზე პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. ის ყოყმანობდა. ზოგჯერ ქალს ისიც კი ეჩვენებოდა, რომ სოფრონი რაღაცას უმალავს.

და, მართლაც, უმალავდა. უმალავდა იმას, რასაც უმალავდა სხვა ადამიანებს, რასაც მთელ სამყაროს უმალავდა, -

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის პატარა შიმშილს გულს ქვემოთ, რომელიც სულის ფსკერზე პატარა ტკივილად გარდაიქმნებოდა. ზოგჯერ ოთახში განმარტოებით ჩაიკეტებოდა ხოლმე, რაღაცას აკეთებდა, რაღაც წერილებს ელოდა, დროდადრო ერთი-ორი დღით მიემგზავრებოდა. ღამღამობით კი ყურს მიუგდებდა და უსმენდა მაგნიტური ქარიშხლების მუსიკას, ეს ქარიშხლები კი თავიანთი დარტყმებითა და ექოთი მის წინაშე აღებდნენ მიწისქვეშა დერეფნებს, ლაბირინთებს, მთელ ქალაქებს, მიწის პირიდან დიდი ხნის წინათ აღგვილთ და დანგრეულთ, რომელთა ქვებით ჩახერგილ ქუჩებშიც მას მიუძღოდა მიწისქვეშეთის ცივი ან ცხელი სუნების ხარხარი. ან ესმოდა წკრიალი ქვებისა და სილის იქით მეტალის სხვადასხვა ჯგუფებისა, რაც სხვა არაფერია, თუ არა იმ კონტინენტების ექო, დიდი ხნის წინათ რომ ჩაიძირნენ პანონის ზღვაში, ზღვაში, რომელიც აღარ არსებობს, მაგრამ რომელიღაც ჭიპის მეშვეობით კვლავ ინარჩუნებს კავშირს ორივე ატლანტიდასთან…

ერისენა ჩაჰყურებდა ძროხებისა და თხების, გველებისა და ძაღლების თვალებს და რაღაც მოუსვენრობას გრძნობდა. მათი სახლის ამა თუ იმ ოთახში, სადაც ბოქლომები და რაზები ისე ისროდნენ, როგორც ფუჭი ტყვიებით დატენილი პისტოლეტები, სოფრონის თავი სულ სხვადასხვანაირად ეჭირა და სხვადასხვანაირად ლაპარაკობდა. თითოეულ კარს მიღმა სხვად იქცეოდა ხოლმე. სამზარეულოში მხოლოდ თურქულად ლაპარაკობდა, სასტუმროში — ერისენას დედის ენაზე, რომელიც საყვარლისგან ისწავლა, ბიბლიოთეკაში სულ დუმდა. საღამოს საწოლში შიშველი და ისეთი მხურვალე წვებოდა, როგორც ლამპის პატრუქი, ძილში კი თანდათან ნელდებოდა, როგორც დიდი ღუმილი, და განთიადისას, როცა ბერძნულად ლუღლუღებდა რაღაცას, ქალი, როგორც ბავშვს, ისე უსწორებდა გადასაფარებელს.

ერთხელ დღისით ქალმა აკოცა, ის კი ამ კოცნამ შეაკრთო.

- პირში რა გაქვს? — ჰკითხა.

- პატარა ქვა შენი საიდუმლოთი. დაგავიწყდა, რომ შენი საიდუმლო ახლა ჩემთან ცხოვრობს? მთელი ეს დრო თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი. ახლა გამიმხილე — ძალიან დიდხანს ენამება ის შენში, როგორც წერილი ბოთლში. და, საერთოდ, ასე რატომ ზრუნავ მასზე? ნებისმიერ საიდუმლოს თავისივე სიმორცხვე ინახავს. მაგანაც, დაე, თვითონ იზრუნოს თავის თავზე.

- კარგი, - უპასუხა კაცმა. — ზეგ, როცა მე და მოჯამაგირეებს მინდორში ახალგამომცხვარ პურს მოგვიტან, მოვიფიქრებ, როგორ გავაკეთო ეს. იმიტომ, რომ ეს არც ისე უწყინარი რამაა…

ასეც მოხდა. კაცი მინდორში წავიდა, თან მუშებისთვის რახი წაიღო, რომელიც შვიდ სხვადასხვა ბალახზე დაეყენებინათ. დილით მუშებს დროზე ადრე მოშივდათ, მანამ, სანამ ერისენა პურს მოუტანდა. როცა სოფრონის თხოვეს, რამე მიეცა, რათა შიმშილი მოეკლათ, კაცს გაუხარდა. ამ დროს ისინი ლეღვის ხის ძირას ისხდნენ და უთხრა:

- ლეღვის ხეო, მოგვეცი შენი ნაყოფი, რათა მუშებმა ჭამონ.

ეს იყო სიტყვები ზღაპრიდან, რომელიც ბავშვობაში მოესმინა.

და ლეღვის ხემ მართლაც გაიღო რამდენიმე ცალი ნაყოფი ვადამდე ორი თვით ადრე. ერისენა კი, პურითა და სხვა საჭმელით დატვირთული ოთხთვალათი ამ დილიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოჩნდა…

ქალს ოთხთვალადან აღებული ორი ბოთლი მოჰქონდა და ერთ ფეხს წყალზე აბიჯებდა, მეორეს კი იმ პატარა ტბის ნაპირზე, ყანის მახლობლად რომ იყო. მას არც შეუმჩნევია, რომ ამდენი ხანი გავიდა. და იყო უფრო ლამაზი, ვიდრე ოდესმე.

- მოიფიქრე? — ჰკითხა კაცს და გულში გაივლო: რამდენი სიმწარეა მის ბაგეებზე, თითქოს მთელი სული ზედ აისახაო.

- კი, მოვიფიქრე, - უპასუხა მან, - შენ კი მას პირით გაიგონებ და არა ყურებით.

- ეგ როგორ?

- ასეა საჭირო. მე შენ ჩემს ენაზე ერთ სიმღერას გადმოგცემ, შენ კი შენს მშობლიურზე მოუსმინე.

- კი, მაგრამ ეს ხომ სხვადასხვა ენებია? — უპასუხა ქალმა.

- საქმეც ეგ არის. თუ მოსასმენად მზად ხარ, სიმართლე მათ შორის მოქცეულ სიჩუმეში გაგიცხადდება. იმიტომ, რომ ენებს შუა სიჩუმის ოკეანეებია გაწოლილი. იმგვარად გამოვთვალე, რომ ის სიტყვები, რომლებსაც ჩემს ენაზე მოისმენ, ისე იჟღერებენ, როგორც დედაშენის ენაზე, ოღონდ ისინი სულ სხვა რამეს აღნიშნავენ. ისინი გაგიმხელენ ჩემს საიდუმლოს. მათ აზრს ჩემს ენაზე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

და მან დაიწყო:

*გევედრები, ღვთისმშობელო, მბრძანებელო,*
*ნუ მიაპყრობ მზერას მას, ჩემს სიყვარულს.*
*და ნუ შეისმენ მის ლოცვებს,*
*და ნუ მოიხსენებ მას შენს ლოცვებში!*
*შეუმჩნევლად გადაუფრინე შენი სულით*
*ყველაფერს, რასაც ის შექმნის,*
*რადგან ის, რასაც ჩემი სიყვარული შექმნის,*
*საშიშია იმდენად, რომ ვერ ვბედავ, გადავწყვიტო —*
*დავფიქრდე და გავიგო, მაინც რა არის ეს.*
*ხოლო, თუ იზრუნებ მასზე, ჩემს სიყვარულზე,*
*შენ გაიგებ მასზე ყველაფერს, რის გაგებაც მე ვერ გამიბედავს.*
*თუ ილოცებ მისთვის და მისი ცოდვებისთვის,*
*მაშინ მეცოდინება ისინი მეც, ვინც შენზე ლოცულობს.*
*გევედრები, ღვთისმშობელო, მბრძანებელო,*
*ნუ მიაპყრობ მზერას მას, ჩემს სიყვარულს.*

ერისენა ყურადღებით უსმენდა და ნელ-ნელა სახე უნათდებოდა, რადგან ხვდებოდა, რომ დიდ სურვილში, რომელიც კაცს სტანჯავდა, არ იყო ქალი, უფრო ზუსტად, მის სურვილში იყო ყველა ქალი მთელ სამყაროსთან ერთად და მომავალში მას იტაცებდა რაღაც სხვა, რაღაც ჭეშმარიტად ჯადოსნური და გადაულახავი. როგორც კი შინ დაბრუნდნენ, ქალმა კარადიდან გამოაწყო სოფრონის ყვითელი კავალერისტის ჩექმები და საგზაო სკივრები ჩაალაგა:

- წავედით მამაშენთან ერთად კონსტანტინოპოლში, იმ სვეტთან, რომელზეც სპილენძის ფარი ჰკიდია.

*მეთვრამეტე გასაღები*

## მთვარე




წელიწადის სწორედ ის დრო იდგა, რომელზეც ამბობენ: „ორ პურობას შორის“, როცა ერისენა ტენეცკაია და მისი შეყვარებული აღმოსავლეთისკენ დაიძრნენ, საზღვრისკენ. აქ ერთ-ერთ ფუნდუკში უნდა დალოდებოდათ ხარლამპი ოპუიჩი იმ მისიასთან ერთად, რომელსაც აცილებდა. ერისენას ბარგიბარხანით დატვირთულ ოთხთვალაში ეძინა, ახალგაზრდა ოპუიჩი კი ცხენდაცხენ მიჰყვებოდა გვერდით. ის გრძნობდა, მისი ცხენის ფლოქვებქვეშ მუდმივად როგორ გადასძახოდა ერთმანეთს ორი გზა — ზემოთა, კონსტანტინოპოლის, მის ქვეშ კი, თითქოს მოწკრიალე ჩრდილიაო, ალმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსავლეთისკენ მიმავალი ის გზა, რომელზეც რომაელმა ლეგიონერებმა ჩაიარეს.

მათი გზა იმ ადგილებზე გადიოდა, რომელზეც ხალხში ამბობენ, რომ ზამთარში აქ სავალს „მგელსა და ძაღლს შორის“ თუ გაიკვლევ. შორს, გზის ორივე მხარეს, ორი კოშკი მოჩანდა. უეცრად თოფების სროლის ხმა შემოესმათ. ოპუიჩმა ცხენს დეზი ჰკრა. მოსახვევიდან მდინარე გამოჩნდა. მდინარიდან ქვირითის სუნი მოდიოდა. დინებას მიჰქონდა უამრავი კაკალი, რომელიც იმ წელს იმდენი მოვიდა, რომ ხეებს სიმძიმისგან ტოტები ემტვრეოდა და ფოთლები და ნაყოფიც ტალღებში ცვიოდა. ნაპირზე მათ წინაშე წამოიმართა ვეებერთელა, ნახევრად დანგრეული, ობობას მსგავსი ფუნდუკი, რომელიც წითელი აგურის საკვამურიდან ამოსული ბოლის სვეტზე ეკიდა. მის წინ თავმოყრილი ადამიანები თოფებიდან გამუდმებული ბათქაბუთქით ესროდნენ რაღაცას, რაც წყალში იყო.

- არ გაუშვა, არ გაუშვა, იქით არ გა-უშვა! — ყვიროდა ერთი, თან ენას უკიდებდა.

- ეჰ, მაგისი... უკვე მიადგა გაღმა ნაპირს! — ჯაჯღანებდა მეორე და თან თოფს ტენიდა.

სოფრონი ოპუიჩმა დაასკვნა, ერთობიანო და ფუნდუკში შევიდა, რათა გაეგო, თავისუფალი ოთახები თუ ჰქონდათ.

- ერთიღა დარჩა, - უთხრა დიასახლისმა და სოფრონის და ერისენას წაუძღვა მეორე სართულისკენ, რომელსაც ირგვლივ ქვით ნაგები აივანი ერტყმოდა. ქვებს შორის ბალახი ამოსულიყო; კედლები, ემჩნეოდა, ოდესღაც მწვანედ ყოფილა შეღებილი. ოთახში ღუმელი იდგა, ისეთი, ჩალითა და ნაკელის ბრიკეტებით რომ ახურებენ. ქურაზე წყალი ცხელდებოდა.

- ეს ჩვენი საუკეთესო ოთახია, - უთხრა მსახურმა, რომელიც თან ახლდათ, თან რატომღაც განზე იყურებოდა, თითქოს გადაფურთხება უნდოდა.

- როგორც ვხედავ, თქვენ აქ სროლაში ვარჯიშობთ, - უთხრა ვახშმობისას სოფრონიმ იმ კაცს, დღისით მდინარის ნაპირზე ყველაზე მეტს რომ გაჰყვიროდა.

- შენ, ბატონო, ვერაფერი გ-გა-გაგიგია, - წაიბლუკუნა მან, - ხვალ, ცოტა რომ გაერკვევი იმაში, რაც აქ ხდება, თვითონაც დაიწყებ სროლას. ერთი ეს მ-მ-მითხარი, რომელ ოთახში შ-შეგასახლეს?

- შემთხვევით — მწვანეში ხომ არა? — საუბარში ჩაერია მეორე მდგმური, - თუ მწვანეში, ფრთხილად იყავით, როცა ღამე სიზმრებში ჩაიძირებით.

- ეგ რატომ, ბოდიში მომითხოვია? — სიცილით გაეპასუხა ოპუიჩი.

- ჩვენ ყველამ, ვინც აქ საზღვარზე გადასვლის ნებართვას ველოდებით, ეგ ოთახი გამოვიარეთ. და ყველანი პირველივე ღამის შემდეგ ვითხოვდით, სხვაში დავებინავებინეთ. ყველას, ვინც ამ ოთახში ათევდა ღამეს, ერთი და იგივე ზმანება ჰქონდა.

- მაინც როგორი, თუ საიდუმლო არ არის? — მხიარულებას განაგრძობდა სოფრონი.

- ეგეთი რა ადამიანი ხარ! — თავი ველარ შეიკავა და ჩაერთო მესამეც, მათ მაგიდასთან რომ იჯდა. — ყველა ჩვენგანს, ძმაო, ზუსტად ერთი და იგივე კაცი ესიზმრებოდა, რომლისგანაც კაკლის სუნი გვცემდა. გრძელი თმა ჰქონდა, კეფაზე სადაფის პეპლის მსგავსი სამაგრით აკრეფილი. მუნდირი ეცვა და ყველას მოკვლა უნდოდა, ვინც ის ამ ოთახში სიზმრად იხილა. მე ხმლით დაჩეხვა მომინდომა, მაგრამ დროზე გამეღვიძა. მაგრამ ამის გაკეთება ყველამ ვერ მოახერხა.

- მერე ახლა იმათ რა სჭირთ?

- ენაბ-ბ-ბლუობა დასჩემდათ, - უპასუხა იმან, სოფრონიმ ნაპირზე რომ დაინახა. — ს-სწორედ ამიტომ ვისვრით.

- მერედა ვის ესვრით? — შეეკითხა ერისენა, მასაც ეცინებოდა.

- კაკლის ნაჭუჭებს, მათი მეშვეობით თურქეთიდან აქეთ მოემართება უწმინდური ძალა იმიტომ, რომ პირდაპირ წყლით არ შეუძლია. ჰოდა, ეძებს კაკლის ნაჭუჭებს, მათით რომ ისარგებლოს. გუშინ აქ, მწვანე ოთახში, ერთს ეძინა, მანაც ის ნახა სიზმარში, ვინც ყველას ესიზმრება. და იცნო იგი. ამბობს, რომ ეს ზემუნის ზარების სახელოსნოს პატრონია.

- სისულელეა. კაკლის ნაჭუჭებით წყალში მხოლოდ ალქაჯები ცურავენ, თქვენ კი ჯადოქრის შეჩერება გინდათ. ამაოდ ცდილობთ! ისინი მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე კვერცხის ნაჭუჭებით გადადიან, - დაცინვით უთხრა ერისენამ, მაგრამ დილით მაინც ფერწასულმა გაიღვიძა.

იმ ღამით ის და ახალგაზრდა ოპუიჩი დასაძინებლად ადრე წავიდნენ. მთვარის მომწვანო შუქზე ქალი გულაღმა იწვა და გრძნობდა, ერთმანეთის მიყოლებით როგორ ეფინებოდა მდინარის სუნები, უფრო მსუბუქები მძიმეებს ზემოთ რომ ექცეოდნენ: ქვემოთ კუპრის, წყლისა და შლამის სუნები, მათ ზემოთ კვამლის სუნი და, ბოლოს, ზედაპირზე ღრუბლის ფთილებად დაცურავდა ცაცხვის არომატი. თვითონ მთვარის შუქსაც რამდენიმე სუნი ჰქონდა და იმ საღამოს მათ ერწყმოდა მთვარის ყველა ფაზა. ფანჯრიდან ოთახში აღწევდა მდინარის სიცინცხალე და სადღაც აქვე, ფუნდუკში, ვიღაცამ კლარნეტზე დაკვრა დაიწყო. უკრავდნენ ძალიან ჩუმად მათ სიმღერას „მოგონებები — ეს სულის ოფლია“. და სოფრონი ოპუიჩმა ერისენას თმის კულული პირში ჩაიდო. იგი მუცელზე იწვა, უკვირდა, ასეთ ადგილას მუსიკა რომ ისმოდა. გრძნობდა, როგორ ბერდება თვითონაც და მუდმივად მტანჯველი მისი აუტანელი სურვილიც. ღამე ყოველთვის სადღაც, წარსულში აბრუნებდა ხოლმე, დღეები კი საწინააღმდეგო მიმართულებით მიიყოლებდნენ და ახლა მომავალი მოეჩვენა წყვდიადად, რომელიც ყოველ ნაბიჯზე უკან იხევს. ის ყოველგვარი ხელშესახები მიზეზის გარეშე ღელავდა ერისენას გამო, შეიგრძნობდა მტვრის გემოს, საწოლქვეშ რომ დაგროვილიყო, და ფუნდუკის დანესტილი კედლების სუნს. ესმოდა, მთვარის შუქზე როგორ მოძვრებიან მდინარის ნაპირისკენ კიბორჩხალები და მისი ყნოსვა სულ უფრო ღრმად აღწევდა, იქ კი, მიწის ქვეშ, სველი ვერცხლისა და გამომწვარი ქვის სუნებს აწყდებოდა. გრძნობდა, როგორ მიერეკებიან მიწისქვეშა აირები ნავთობის მდინარეებს მიწის ნაპრალებში; როგორ ერწყმის იქ, სიღრმეში, დაფერფლილი მცენარეების, გოგირდისა და ცხელი რკინის წყლის სუნები ერთმანეთს. დილით კი მის გვერდით მწოლი ერისენას ყვირილმა გამოაფხიზლა:

- აქ ყველაფერი ღვთის ნებაზე არ არის! ის კაცი მეც დამესიზმრა, - თქვა ქალმა.

- როგორ მიხვდი, რომ ის იყო?

- თმაზე ისეთივე სადაფის პეპელა ეკეთა... სარტყელში კი რაღაც წიგნი გაეჩარა, როგორც მეჩვენებოდა, ლექსები...

- მერე, თავს არ დაგესხა?

- არა. პირიქით, რომ დამინახა, ძალიან შეშინდა.

ამ დროს გარედან კვლავ თოფის გასროლის ხმა მოესმათ. ოპუიჩი ადგა, აივანზე გავიდა და გაქვავდა. მდგმურები, რომლებთანაც გუშინ ვახშმობდა, პირდაპირ მამამისს უმიზნებდნენ. ერისენამ იყვირა:

- ეს ისაა! ვიცანი! აგერ, სადაფის პეპელაც თმაში!

სოფრონიმ შეაწყვეტინა:

- გაჩუმდი! ეს მამაჩემია, ამ გარეწრებს კი მისი მოკვლა უნდათ.

და თოფს ხელი დაავლო.

მაგრამ კაპიტან ხარლამპი ოპუიჩს სხვისი დახმარება არ სჭირდებოდა. მისმა კავალერისტებმა თვალის დახამხამებაში განაიარაღეს თავდამსხმელები; იმ ენაბლუს, კაპიტანს რომ ესროდა, ისეთი სილა უთავაზეს, რომ მეტყველება გამოუსწორდა, და ფუნდუკს მიუახლოვდა ფრანგი დესპანის მდიდრული ეტლი. იგი თითის სისქეზე დაეფარა მოოქრულ ფენას და ორი თითის სისქეზე — ტალახს. როცა ეტლის კარი გააღეს და საფეხური ჩამოუშვეს, ჯერ იისფერი ჩექმა გამოჩნდა და მერეღა გადმოხტა იქიდან ცისფერმუნდირიანი, აბრეშუმის შარფშემოხვეული ახალგაზრდა კაცი. ჩურჩულ-ჩურჩულით შეატყობინეს ერთმანეთს, რომ ეს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, ნაპოლეონის დესპანია და რომ იგი დანიშნულების ადგილზე, კონსტანტინოპოლში მიემგზავრება.

*მეცხრამეტე გასაღები*

**მზე**



- ძალიან ლამაზი და ბედნიერი ხართ და გისურვებთ ყველაფერს, რაც უკვე შეგემთხვათ, - უთხრა კაპიტანმა ხარლამპი ოპუიჩმა ერისენას, როცა ვაჟიშვილმა გააცნო.

ოპუიჩ-უფროსი ფუნდუკის დუქანში იჯდა სისხლში ამოსვრილი დეზებით, რომლებმაც დილით სიცოცხლე შეუნარჩუნეს, კინაღამ რომ შენწყვიტა მოულოდნელმა გასროლამ, და მწვანე ყალიონს აბოლებდა. ჯერ კიდევ მაგრად იყო, როგორც შორენკეცის ღუმელი, თუმცა ნახტომებით ბერდებოდა — ხან მთელი ათი წლის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, მერე კი ერთ ღამეში მთელი ათი წლით ბერდებოდა. შეეძლო, მხრებზე მოგდებული სახედარი მდინარის გაღმა გაეყვანა, როგორც თვითონვე ხუმრობდა ხოლმე. მდგმურები, რომლებიც საზღვარზე გადასვლის უფლებას ელოდნენ, შიშით შეჰყურებდნენ სადაფის პეპელას, მის კუდივით გამონასკვულ გრძელ თმას რომ ამშვენებდა, ისუნთქავდნენ კაკლის სუნს, მის ირგვლივ რომ იფრქვეოდა, ხოლო ერისენა ლამის ცუდად გახდა, როცა კაპიტნის ქამარში გაჩრილი ჰორაციუსის ლექსების კრებული შენიშნა. კაპიტანი კი ამასობაში მხიარულად უკვეთავდა ვახშამს ყველასთვის, ვინც ფუნდუკში იყო, მათ შორის, დესპანისთვისაც, რომელიც თავის ოთახში აპირებდა ვახშმობას.

საფრანგეთის დესპანმა თავის ამალაში, რომელიც კონსტანტინოპოლისკენ მიმავალს აცილებდა, ჩართო მდივანი, კაპიტანმა კი ხუთი წითელჩექმებიანი კავალერისტი, თითქოს ქორწილში მიდიოდნენ, და ერთიც — ყვითელ თურქულფეხსაცმლიანი. მათ შეეძლოთ, ვისაც გინდათ, დასწეოდნენ და გაქცეოდნენ კიდეც, ამასთან, ჩაბმულიყვნენ ყველაზე საშინელ ბრძოლაში. კაპიტან ოპუიჩთან ერთად მგზავრობდა აგრეთვე, გოგონა, რომელსაც გიშრისფერ თმაში უჩვეულო ჭაღარა გამორეოდა და იმხელა მკერდი ჰქონდა, საკუთარ ძუძუზე კბენას მოახერხებდა. მას დუნია ერქვა. ერისენას და ახალგაზრდა ოპუიჩს რომ შეხედა, ქალს გაეცინა მესამე ფეხსაცმლის დანახვაზე, ერისენას კისერზე რომ კონწიალობდა, სოფრონის კი ჰკითხა, ჭრილობა როგორ გაქვსო. ასე შეიტყო ერისენამ, რომ კაპიტნის ამალიდან — ეს ერთ-ერთი იმ ექიმბაშთაგანია, რომელთაც მამა შვილს დაცვის სამი ხაზის იქიდან უგზავნიდა, ამასთან, დუნიას თმაში ის კულული ამოიცნო, რომელიც მის სოფრონის მხარზე ამოსდიოდა. ისიც ასეთივე ვარსკვლავებით იყო მოფენილი.

- გახსოვს, ევდოკიასთან ერთად რომ ვივახშმეთ? — ჰკითხა დუნიამ სოფრონის და თავისი ოქროსფერი თვალები, მაგრად მოხარშული კვერცხის ნახევრებს რომ მიუგავდა, ერისენას მიაპყრო.

- ვნახოთ, ვნახოთ, - ვახშმის მოლოდინში გამხიარულებული კაპიტანი ხელებს იწმენდდა, უბეჭდოდაც ძალიან მძიმე რომ ჰქონდა (ბეჭდებს არ იკეთებდა, რადგან ისინი ხმლის დაჭერას უშლიდნენ), - ვნახოთ… დასაწყისისთვის — ყველას თითო ულუფა ჭაღარა ბალახი ენით, ჩალხის წვნიაწში… და მოგვიტანე, თუ გაქვს, თიხანარევი ხრამუნა პურები. ხოლო რაც შეეხება სამშობლოს სიყვარულს, აქ, ჩემო ძვირფასო, საკითხი ასე დგას: ყველაფერი ხალხისთვის, არაფერი ხალხთან ერთად! მე კი, ჭაბუკო, მომიტანე ორი მათლაფა ღვთის ცრემლები, ერთ მზერა ორცხობილაში; იცი, რომელიც, მწარე რომაა, ისეთი, წამში რომ ბერდებიან, ლიმონით. და ლობიო, სავის წყალში მოხარშული. სავის წყალი არ გაქვთ? სამწუხაროა, მაშინ — ცერცვი ორცხობილაში. ქალბატონ ტენეცკაიას — მოშუშული მიდიები, ჩემს დუნიას კი ის, რასაც ევდოკია ისურვებს. და ბოლოს, - ცოტაოდენი ჭინჭრის ნაყენი თაფლით.

„ნუთუ ეს მამაჩემია?" — თავის თავს ეკითხებოდა სოფრონი და იხსენებდა ბავშვობას და მამას, რომელიც მათს ტრიესტის უზარმაზარი სახლის საწოლ ოთახში იწვა უკუნ სიბნელეში ცოლთან, პარასკევა ოპუიჩთან ერთად და თავწამოწეული აყურადებდა. ახლა, ბოლოს და ბოლოს, სოფრონიმ გაიგო, რას უგდებდა ყურს მამამისი ამდენი წლის წინათ და რატომ აღებინებდა ხოლმე დედა ღამით სიბნელეში თავს ბალიშზე. ოპუიჩ-უფროსი ელოდა, იქნებ, საიდანმე, კიბის ქვედა საფეხურებიდან ქალის კაბის შარიშური გაეგონა.

- რაც შეეხება იმათ, სერბეთში რომ არიან, - განაგრძობდა კაპიტანი, - იმათ იმ ფულს ვუგზავნი, რომელსაც ფრანგული დენთის ხარჯვით ვშოულობ, რათა იმათაც შეძლონ და თავიანთთვის დენთი იყიდონ. შენ კი, ყმაწვილო, დანები ისე აგვილესე, რომ ანთებული სანთლის პატრუქის ნაჭრა შეეძლოთ. და შავი კოვზები შეგვირჩიე. ყველაზე მეტად შავი ფერის კოვზები მიყვარს, ძალიან ლამაზებია, ხომ მართალია, ქალბატონო ტენეცკაია? ჰე, მიდი, გაინძერი, მეგობარო! ყოველ ჩვენგანს ხვალ განთიადიდან მძიმე გზასავალი ელის…

კაპიტანს შეკვეთის მიცემა არც კი დაემთავრებინა, რომ დუქანში შემოიჭრა რამდენიმე ქალი, რომლებმაც თან დათვი მოიყოლეს. მათვე ახლდათ ფრანგი ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი მამაკაცი. სტუმრებს მოხეტიალე მსახიობებად წარუდგნენ.

- გაითვალისწინეთ, ამ წარმოდგენისთვის ფული ჩვენმა კეთილისმყოფელმა და მფარველმა, კაპიტანმა ხარლამპი ოპუიჩმა გადაგვიხადა, - თქვა მუნდირიანმა კაცმა, - თეატრის დიდი მოყვარული ახლა სადღაც სილეზიაშია, ჩვენ კი გიჩვენებთ საშინელ წარმოდგენას სახელწოდებით „კაპიტან ოპუიჩის სამი სიკვდილი".

ამ სიტყვებზე კაპიტანმა ოპუიჩმა ხმამაღლა გადაიხარხარა და მსახიობებს მიმართა:

- ითამაშეთ, ყმაწვილებო, დაე, თქვენმა ქაღალდის სიტყვებმა ცოტა დაისვენონ ჩვენს წარმოსახვაში, ჩვენი სისხლით გათბნენ და ცოტაოდნად მაინც განიცადონ და დაიტანჯონ ჩვენი ცხოვრებით.

მერე ქალებიდან ერთმა თქვა, თან ცრუ კაპიტან ოპუიჩს მიმართავდა, იმას, ფრანგულ მუნდირში რომ გამოწყობილიყო.

***- შენს ყველა წინაპარს, კაპიტანო, თითო-თითო სიკვდილი ჰქონდა. შენ კი არა. შენ სამი სიკვდილი გექნება და აი, ისინიც:*** - აქ მან დასის სხვა წევრი ქალებისკენ ანიშნა. — ***აგერ დგანან: ეს ბებრუხანა, ლამაზმანი მის გვერდით და გოგონა, - შენი სამი სიკვდილი. კარგად შეხედე მათ…***

- და სულ ესაა, რაც ჩემგან დარჩება? — წარმოდგენაში ჩაერთო ნამდვილი კაპიტანი ოპუიჩი.

- დიახ. სულ ესაა.

- არც ისე ცოტაა! — კვლავ ჩაურთო კაპიტანმა ოპუიჩმა.

***- მაგრამ იცოდე. კაპიტანო, საკუთარ სიკვდილებს ვერ შეამჩნევ. ცხენდაცხენ ისე ჩაიქროლებ მათ ქვეშ, როგორც ტრიუმფალური თაღის ქვეშ, და განაგრძობ საკუთარ გზას, თითქოს არაფერი მომხდარაო.***

- მერედა რაღა იქნება, ჩემი მესამე სიკვდილის შემდეგ, როცა მესამედ ვიქცევი ვამპირად? — კიდევ ერთხელ მიაწვდინა ადგილიდან ხმა კაპიტანმა, თან მსახიობების გაოგნებითა და დუქანში მსხდომი მაყურებლის გაოცებით ტკბებოდა.

***- შენ, კაპიტანო, და სხვებსაც ერთხანს მოგეჩვენებათ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, რომ არაფერი მომხდარა და ასე იქნება მანამ, ვიდრე შენთან არ მოვა უკანა-***

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სკნელი სიყვარული, ვიდრე არ შეგიყვარებს ქალი, ვისთანაც შეძლებდი, შვილები გყოლოდა. მაშინ კი წამში ალიგვები მიწის პირიდან, რადგან მესამე სულს არ შეიძლება, შვილები ჰყავდეს, როგორც იმას, ვინც მესამედ იქცევა ვამპირად, არ შეიძლება, ჰყავდეს შთამომავლობა...*

ამ დროს სადღაც ზემოდან, ფუნდუკიდან, კლარნეტის ხმა მოისმა. ამჯერად ჰაიდნს, „წმინდა ანტონის ქორალს" უკრავდნენ. მუსიკა რომ მოესმა, კაპიტანი დამდუღრულივით წამოხტა, სპექტაკლი შეაჩერა, მსახიობებს უბრძანა აქედან დაიკარგეთო და ქვით ამოყვანილი აივნისკენ გაეშურა.

მოგვიანებით უკან, დუქანში დაბრუნდა, ხელჩაკიდებული მოჰყავდა ქალი ცისფერი ბალიშით, რომელსაც იგი გულში იხუტებდა. ღრმა დეკოლტედან სუნამონაპკურები ხელოვნური ხალები მოუჩანდა, ხოლო ყურის ნასვრეტები სისხლივით წითელი პომადით შეეღება. კაპიტან ოპუიჩს მეორე ხელი დატალღულთმიანი, ავსტრიელი ჰუსარის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცისთვის ჩაეკიდა.

კაპიტნის გვერდით ეს ორი ადამიანი რომ დაინახა, დუნიამ წამოიკივლა: პირზე სახელო აიფარა, ამ ახალი ქალის ცისფერი ბალიშის ეჟვნებმა კი, იმ ქალისა, კაპიტანთან ერთად რომ გამოჩნდა, რეკა ატეხა. აქ ყველამ გაიგონა კაპიტან ოპუიჩის ხმა, რომელიც ისე მღეროდა, როგორც ეკლესიაში, მისთვის უცხო ხმით:

*მოწყალეო დედავ, სად არ ვიარე,*
*გლოვამ დამლალა,*
*ვერსად ვერ ვპოვე ნავსაყუდელი,*
*თავშესაფარი ვერ მოვიძიე,*
*ხოლო ამჟამად სერბ ძმათა შორის*
*ვარ მარტოხელა და მარტოსული.*

*მე შენ მგალობელი, თვლიანი ბეჭედი მოგიტანე,*
*ხოლო შენ შენი მზერაც კი არ მომანათე.*
*არ განუცდია შენს მეხოტბეს სიამენი გაჩენის დღიდან,*
*მათ ვერ შეიგრძნობს დღის მიწურულსაც.*
*კოშმარულ სიზმრებიდან შენ სხვებში გამიხმე.*
*ო, ეს საშინელი ზმანება.*
*მე ვნახე გული, იარებიდან ორთქლი ბოლქვად რომ ასდიოდა*
*და, ვით ვარსკვლავი, დასავლეთისკენ ჩაესვენა*
*ბარბაროსთა სიმღერის ხმებში.*

ის-ის იყო, ეს სიტყვები გაისმა, კაპიტანმა ახალმოსულები წარადგინა: ქალბატონი რასტინა კალოპეროვიჩი სერმსკიკარლოვცებიდან და მისი შვილი არსენი, ავსტრიის არმიის პოდპორუჩიკი, რომლებიც ბედნიერ გარემოებათა წყალობით ხანგრძლივი განშორების შემდეგ აქ მყოფ თავიანთ ქალიშვილსა და დას, დუნია კალოპეროვიჩს შეხვდნენ. დუნია მოსულთა შესაგებებლად წამოდგა, დედას ეჟვნებიან ცისფერ ბალიშზე აკოცა, ძმას — ტუჩებში და ყველანი ისევ დასხდნენ.

- ველარ მიცვნიხარ. თითქოს პირველად გხედავ. როგორ დამშვენებულხარ მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ჩემი საშოსმიერი და ხარ, - უთხრა არსენიმ დუნიას. — რაღაც მოგიტანე. შენი საყურეები. გაიკეთებ?

- არ მინდა, ეს აქ გავაკეთო. საყურის ყოველ გაკეთებაზე ყური უბიწობას კარგავს — ყოველთვის ცოტაოდენი სისხლი, - თქვა დუნიამ და გაიღიმა.

ეს ღიმილი პოდპორუჩიკ არსენის მოეჩვენა უცნობ და ძვირფას ინსტრუმენტად, რომელზეც ქალი წარმოუდგენელი ოსტატობით უკრავს. დუნიამ კი თვალებში შეხედა საშოსმიერ ძმას და, ისე აკოცა თავის თეფშზე დადებულ შავ კოვზს, თითქოს არსენის კოცნიდა.

„უკვე შეამჩნია ჩემი ქუსლები, - ბრაზით გაიფიქრა ერისენა ტენეცკაიამ, რომელიც მაგიდის მეორე ბოლოში მიდიებს ჭამდა, და შეშინებულმა შეხედა კაპიტან ოპუიჩს, - ნუთუ ეს ის კაცია, რომელმაც მამაჩემი მოკლა?"

ამ დროს, თითქოს კითხვა გაიგონაო, უფროსმა ოპუიჩმა ბოკალი აიღო და სადღეგრძელოს სათქმელად წამოდგა:

- Mesdames, ალბათ, თავს ეკითხებით, ნუთუ მართლა არც ერთი ნათელი წერტილი არ დარჩენილა იმ ადამიანის სულში, თქვენს წინაშე რომ დგას. Permettez moi l' opportunite de vous expliquer mon cas... ეკლესიაში ერთი ადამიანის სიცოცხლეში სამღერი ვიმღერე და მერე მღერა შევწყვიტე; ორი სიცოცხლის სამყოფი ღვინო დავლიე და ჩემი ორივე ვენახი ავჩეხე. დაკვრითაც საკმაოდ დავუკარი და მერე ინსტრუმენტი დავამტვრიე. ახლა ყველაფრის თქმა შემიძლია... ხომ იცით, რომ თქვენი მშვენიერი სქესი ხშირად ცდილობს, სახსოვრად მიიღოს ამ ომის რომელიმე გამოჩენილი მხედართმთავრის თმის კულული. მართალია, ჩვენს შორის სხვა ბედ-იღბლის ადამიანებიც არიან, ადამიანები, რომლებიც თავიანთ დაჩეხილ სხეულზე ქალის კულულს ატარებენ — ნიშნად იმისა, რომ ქალი-ექიმბაშები გვმკურნალობდნენ. სწორედ კაცის და ქალის ამ კულულებშია ჩამალული განსხვავება ჩვენს შორის, ჯარისკაცებსა და იმათ შორის, ვინც ჩვენ გვმართავს. იმიტომ, რომ ადამიანები იყოფიან იმად, ვინც კლავს, და იმად, ვისაც სძულს. ჩვენ, ჯარისკაცები, ჩვენ, უბრალოდ, ის ბედშავი ჯიში ვართ, რომელსაც მხოლოდ მოკვლა შეუძლია; ჩვენ ჩვეულებრივი მაწანწალები ვართ იმ ნიჭმომადლებულ მბრძანებლებთან, რომლებმაც სიძულვილი იციან. შეიძლება, ადამიანს ხმლის ხმარება უფრო მალე ასწავლო, ვიდრე ჩანგლისა. სიძულვილი კი — ეს ის არის, რასაც თაობების განმავლობაში სწავლობენ. ეს ნიჭია. როგორც ლამაზი ხმა. ნიჭი, გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ნებისმიერი ხმალი. მე რომ მას ვფლობდე, მაშინ ჯარისკაცი კი არა, ზარების ჩამოსხმის ოსტატი ვიქნებოდი. სამოთხის მდინარე დუნაის გაღმა ნაპირზე, ჩვენს ზემუნში, mademoiselle ტენეცკაია, დავლევდი ღვინოს ყველაზე ლამაზი ზარიდან, ერთი ყურიდან ბზა ამომეზრდებოდა, მეორედან — ვაზი და მაშინ თქვენი ჩამომსხმელი სახელოსნოს მაღალი სახურავიდან, რკინის მამალი რომ ამშვენებს, ყველას და ყველაფერს ჩამოვაფურთხებდი ხოლმე. ვიჯდებოდი და ვიჯდებოდი ჩემს ნავში, დავიჭერდი ბრძენ თევზებს და, ვინმე ისე მეძულებოდა, რომ მას ყურები გაუხმებოდა, თუნდაც პარიზშიც ყოფილიყო, მაგრამ მე სიძულვილის ნიჭი არ დამყვა, ამიტომ ჩემი მოწინააღმდეგეები უნდა ვხოცო. ოღონდ ეს ისეთი ნაღვლიანი თემაა, ჩვენ კი სიხარულის დღე გვიდგას. მე კვლავ, მრავალი წლის შემდეგ, ჩემი ოჯახის გარემოცვაში აღმოვჩნდი და გთავაზობთ, შევსვათ სწორედ ამის სადღეგრძელო და ყველა ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანის ჯანმრთელობისა იყოს. Vivat!

კაპიტანმა ოპუიჩმა ბოლომდე გამოცლილი ბოკალი ფანჯარაში ისროლა, პირდაპირ მდინარეში. და ის ჩავარდა წყალში, კაკლის ნაჭუჭებს შორის, რომლებიც წყვდიადში დინებას მიუყვებოდნენ.

დილისპირს მდინარის გაღმა ნაპირმა, მზის სხივებში მობანავემ, ნისლიდან ამოყვინთა. ნაპირი მაღალი იყო, ქვემოთ წყლისგან გამორეცხილი, ზემოთ მთლიანად დაფარული ბალახით, რომელიც, თითქოს მწვანექაფმოგდებული უძრავი ტალღააო, მუდმივად ეკიდა მდინარის თავზე. როცა ქარავანი დაიძრა, ახალგაზრდა ოპუიჩი თითქმის შიშველი მოახტა თავის ჭაკს, ზუსტად ისე, როგორც ხშირად იჯდა ხოლმე უნაგირზე ამ ბოლო ხანებში, ხმალთან გაყრის შემდეგ, მამას დაეწია და ჰკითხა, ვახშმის საფასური თუ გადაიხადეო, რაზეც პასუხად მიიღო:

- ყველა ჩვენგანისგან აიღეს აპრილის თითო სამშაბათი და ხურდაში თითო საათიც დაგვიბრუნეს... მეგონა, შემეკითხებოდი, ჩვენ, ბერძნები და სერბები როდის დავიხსნით თავს უბედურებებისგან, შენ კი ვახშამზე მელაპარაკები.

- კარგი და, როდის გადავრჩებით ამ უბედურებებს?

- მაშინ, როცა ყველა სერბული კუბო შეძლებს, ნავივით იცუროს წყალში და როცა შესაძლებელი იქნება მათი ცალცალკე მიბმა სერბული ქლიავის ხეებზე.

ქარავანი აღმოსავლეთისკენ საბერძნეთის გავლით მიემართებოდა. მან მარჯვნივ მოიტოვა ათონის მთა და მასზე შემორტყმული ზღვა. შრიალით გადაირბინა ჭორმა, რომ საფრანგეთის დესპანი ავადაა, რომ მის ოჯახში ყოველი მომდევნო თაობის მამაკაცები ერთი წლით ადრე კვდებიან,

ვიდრე წინა თაობისა, და რომ ახლა, აქედან გამომდინარე, მათი სიცოცხლის წლები უკვე ოცდაცხრამდე დავიდა.

- ეცადე, მზეს შეხედო. დაინახავ, რომ ის სპილენძის ფარს წაგავს, შუაგულში ნახვრეტით, - უთხრა კაპიტანმა ოპუიჩმა შვილს, რომელიც ცხენდაცხენ გვერდით მიჰყვებოდა, თან მის ჩექმას ჩექმის ჭვინტი წაჰკრა. ახალგაზრდა ოპუიჩმა შიშით შეხედა, მაგრამ მამამ მშვიდად ასწია ხელი და სადღაც შორს მიუთითა: - აი, კონსტანტინოპოლიც! იქ, ფანარის კარიბჭესთან, თქვენ გელით მამა ქრიზოსტომი ჩემი ოქროთი მანტიაში — მას და მის ტაძარს შესაწირავი შევწირე და ის ქალბატონ ტენეცკაიაზე ჯვარს დაგწერს. და ბედნიერები გამყოფოთ!

*მეოცე გასაღები*

**სასამართლო**



გაიხსენე კონსტანტინოპოლი ათენში — ეს იქნება ერთი კონსტანტინოპოლი; გაიხსენე ის რომში და ეს იქნება სულ სხვა კონსტანტინოპოლი.

ვეებერთელა ქალაქში, რომელიც აშენებულია სამ ზღვაზე და ოთხ ქარზე, ორ კონტინენტსა და ბოსფორის მწვანე მიწაზე, ისინი შემოდგომის დამდეგს ჩავიდნენ. ღამეები, როგორც წინდები, უკუღმა პირით ტრიალდებოდნენ მათ წყალზე გადამდგარ სახლში, სახლში, საიდანაც შეგეძლო დაგეთვალა ზღვაში გასული გემები და ქარები და საიდანაც ისინი ხშირად გამოდიოდნენ სანაპიროზე არომატული ზეთის საყიდლად. ერისენას ეს ძალიან მოსწონდა და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში შეივლიდა ხოლმე მისირ-ბაზრის შუაგულში მდებარე, ფასადით ოქროს რქისკენ მიმართულ პატრა ფარდულში, რათა დაელია ჰაშიშიანი თეთრი ჩაი და ეყურებინა, როგორ იჭერენ ბავშვები თევზს უსატყუარო ნემსკავით. იმ ადგილას იმდენი თევზი იყო, მარტო ამოყვანა უნდა მოგესწრო. ამ ფარდულში შეხვდნენ ისინი შესანიშნავ კაცუნას, პერანგზე საყელოს ნაცვლად თოკით, რომელზეც შეიტყვეს, რომ სისხლი სერბული აქვს, მაგრამ სარწმუნოება — თურქული.

ეს კაცი თვეში ერთხელ კაპალი-ჩარშიის გავლით ოქროს რქისკენ ჩაივლიდა და ჯიხურში სურნელოვანი ზეთის საყიდლად შედიოდა. გამყიდველს სულ ერთსა და იმავე საუბარს გაუბამდა ხოლმე, თითქოს ერთსა და იმავე ლექციას კითხულობდა.

- ეგ ოდესღაც კალატოზი იყო, - უამბო გამყიდველმა, - ახლა უცნაური ავადმყოფობა დაემართა: მის სიზმრებში დრო გაცილებით სწრაფად გადის, ვიდრე ცხადში, ისე რომ, ყოველღამე არანაკლებ ათ წელიწადს ცხოვრობს, ამიტომაც არავინ კონსტანტინოპოლში — თვით ყველაზე მოხუცებმაც — არ იცის, რამდენი წლისაა ეს კაცი. შესაძლოა, ეს თავადაც კი არ იცის.

იმ დღეს, როცა ესენი ფარდულში შეხვდნენ, კაცი ისე შევიდა შიგნით, თითქოს სიზმარში იყო და მოითხოვა, მიეყიდათ, სულ ერთია, რა.

- სანდალი? — ჰკითხა ჯიხურის პატრონმა, მერე მოიტანა მქრქალი მინის პატარა ბოთლი, რომელიც მეორე, დახრილი ფლაკონის ქვემოთ იყო მოთავსებული, და დაელოდა. ფარდულის ბინდბუნდში ელოდნენ ესენიც, მაგრამ არაფერი ხდებოდა. და მაშინ, როცა მყიდველს უკვე უნდოდა, ჩანაფიქრზე უარი ეთქვა და წასულიყო, გამყიდველმა თქვა:

- იმდენ ხანს უნდა ელოდო, რამდენიც ყურანის ერთი სურის წაკითხვას სჭირდება.

მუშტარი გაუნათლებელი იყო და არ იცოდა, რა დროა საჭირო იმისთვის, რომ ყურანის ერთი სურა წაიკითხო, მაგრამ ამ დროს დახრილი ფლაკონის ყელზე გამოჩნდა წვეთი, მბრწყინავი, როგორც კომეტა. იგი ნელ-ნელა დაეშვა კუდზე და პატარა ბოთლში ჩასრიალდა.

- გინდა, სუნი ნახო? — შეეკითხა გამყიდველი და, მას შემდეგ, რაც მოხერხებულად გაწმინდა თითით ყელის გვერდი, ხელი მყიდველს გაუწოდა. იმან, თავისი თითით რომ შეეხო მისას და ცოტაოდენი ზეთი მოიცხო, მოინდომა, ტანსაცმელზე გაესვა. — ოღონდ ეგ არა! — გააფრთხილა გამყიდველმა. — ნათითური ამოიწვება. ხელისგულზე, ჯერ ხელისგულზე. — და, როცა მყიდველი ასეც მოიქცა და უნდოდა, ეყნოსა, გამყიდველმა კვლავ შეაჩერა: - დღეს არა, ბატონო ჩემო, დღეს არა! სამი დღის შემდეგ! მხოლოდ მაშინ შეიგრძნობთ ნამდვილ სუნს. და ის იმდენ ხანს გაგყვებათ, რამდენსაც ოფლის სუნი. მაგრამ იქნება ოფლზე გაცილებით ძლიერი, რადგან მასში ცრემლების ძალაა...

ასეთი საუბარი მოისმინეს იმ დღეს სოფრონიმ და ერისენამ ოქროს რქის სანაპიროზე, გამყიდველმა კი მიიპატიჟა, კიდევ შემოიარეთ ჩაიზეო, რადგან სურდა, მათთვის რაღაც განსაკუთრებული შეეთავაზებინა.

- დღე სიყვარულისთვის შეიქმნა, ღამე კი სიმღერისთვის, - უთხრა მამა ქრიზოსტომმა, რომელსაც ფანარში, მის პატარა ეკლესიაში ესტუმრნენ, - იმიტომ, რომ სიყვარული ხედავს, ღამე კი ისმენს.

ისინი ყურს უგდებდნენ მის სიტყვებს, ფრესკაზე კი, მათ ზურგს უკან, ნახევრად სიბნელეში ზღვიდან ჩნდებოდნენ თევზები და ზღვის ურჩხულები, ურჩხულების ხახიდან კი გამოდიოდნენ მამაკაცები, ბავშვები, ქალები ხელში მუსიკალური ინსტრუმენტებით, მუსიკითა და ჰიმნებით ეპასუხებოდნენ ანგელოზის საყვირის ხმას, რომელიც საშინელ სამსჯავროზე იუწყებოდა.

ჯვარი კვირას დაიწერეს. სულთმოფენობის დღესასწაულზე, და ამ დროს ერთმანეთი უფრო მეტად უყვარდათ, ვიდრე ოდესმე.

ერისენა ოპუიჩს ხშირად მიჰყავდა ხოლმე ქმარი სიბრძნის ტაძართან, რომელიც თურქების ხელში, მართალია, მეჩეთად არ ქცეულა, მაგრამ აღარც ეკლესია იყო. ისინი შედიოდნენ ტაძრის ვეება, მძიმე ჩრდილში, რომელიც ისე შეეფარდებოდა თვითონ ტაძარს, როგორც სიკვდილი შეეფარდება ძილს. იქ, ტაძარში, მათ ნახეს მაღალი სვეტი ზედ მიჭედებული ბრინჯაოს ფარით. ფარს ჰქონდა ნახვრეტი, რომელშიც შეგეძლო, ცერა თითი ჩაგეყო და ნახვრეტიდან თითის ამოუღებლად ხელისგულით წრე შემოგეხაზა. და, თუ ამ დროს სურვილს ჩაუთქვამ, მაშინ ღმერთი დააჯილდოებს იმათ, ვინც უყვარს, ერთდროულად დიდი ბედნიერებით და დიდი უბედურებით, სწორედ ამიტომ ვერ ბედავდა სოფრონი ტაძარში შესვლას. ოღონდ, როცა ამ უზარმაზარი ნაგებობის ჩრდილქვეშ იჯდა, გრძნობდა, რომ მას კიდევ ერთი ჩრდილი აქვს. ძირს, საძირკველს ქვეშ, მიწის წიაღს შეფარებოდნენ გუმბათი, კლიროსი, კიბეები, ქვის დახრილი ზედაპირები, ქვემოთ, სიღრმეში რომ მიემართებოდნენ, ბოსფორის მიწისქვეშა წყლებისკენ, და ხმელეთის მტკნარი წყალი, რომელიც აირეკლავდა მათზე წამომართულ ტაძარს ისევე, როგორც ექო მეტყველებას. ეს მიწისქვეშა კონტური შედგებოდა ხმებისგან, მაგრამ არამარტო მათგან, კიდევ რაღაც მყარი მასალისგან, ისეთივესგან, როგორიც ის იყო, მათ თავზემოთ რომ მოქცეულიყო. არა მარტო წყალში აირეკლებოდა წმინდა სიბრძნე, არამედ მიწაშიც.

მაგრამ მიწაში გამოისახებოდა მის თავზე მოქცეული ცაც. აქ, მის ჩრდილში, სოფრონიმ უცებ დაიწყო მიწისქვეშა მეტალის თანავარსკვლავედების მოძრაობის გარჩევა, რომლებიც ისევე უშეცდომოდ იყვნენ დაკავშირებულნი

ციურ თანავარსკვლავედებთან, როგორც ექო ხმასთან. იგი შეუმცდარად ამოიცნობდა მიწის ქერქქვეშ, კიბოს, სასწორის, ლომის თუ ქალწულის მოძრაობებს. ის ხდებოდა ზოდიაქოს მიწისქვეშა სარტყელის ასტროლოგი. ოღონდ გრძნობდა, რომ მისი სურვილი თუ შიმშილი, რომლებიც აიძულებდნენ, ყოველივე ეს ეკეთებინა, იყო უბრალოდ მოწაფეობა და სამზადისი რაღაც სრული სიმაძღრის და სურვილის სამარადჟამოდ მოკვლისა. და ის ვერ ბედავდა ტაძარში შესვლას.

„აზრი სანთელია, რომელზეც შეიძლება, სხვისი სანთელი აანთო, მაგრამ ამისთვის ცეცხლი უნდა გქონდეს," - ფიქრობდა სოფრონი. თვით მისი ცეცხლი კი მიწის ქვეშ იყო მოქცეული.

და ასე გრძელდებოდა იმ დღემდე, სანამ ისინი გამყიდველმა კვლავ ჩაიზე არ მიიწვია. უკვე ეშოვა ის ნივთი, რომელიც, დიდი ხანია, უნდოდა, მათთვის ეჩვენებინა. ფარდულში ჩასულებს კისერზე ბაწარშებმული კაციც დახვდათ. მისგან აბანოზის ხის სუნი მოდიოდა და გამყიდველმა უჩურჩულა, ეს ამ კაცის ოფლის სუნიაო.

- მაგას ყურები უოფლიანდება. მარტო მაგისი ოფლი, სულ ცოტა, ას ორმოცდაათი წლისაა, - დაუმატა გამყიდველმა, გაიღიმა, ჩალმიდან მონეტა ამოიღო და ხელისგულზე დადებული დაანახვა. — ეს ფული ჯოჯოხეთშია გამოჭედილი, - თქვა ჩურჩულით და მონეტაც, თითქოს მისი სიტყვების პასუხად, აბრჭყვიალდა.

მერე მან თაროს ქვემოდან წყლიანი ვედრო გამოიღო, წინ დაუდგა და ერისენას თხოვა, მონეტა შიგ ჩაეგდო. მონეტა წყალში არ იძირებოდა. ერისენა გაოცდა, სოფრონიმ კი, თავის თავში წმინდა სიბრძნის აჩრდილს რომ დაატარებდა, იგრძნო, რომ მონეტა, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ხედავდა, დამზადებულია სპილენძის, ვერცხლის და მინის ნარევისგან. და, მართლაც, პირში რომ ჩაიდო, გაიგონა თვითნაბადი ვერცხლის წკარუნი და მიწისქვეშა ცეცხლში ჩამოსხმული მინის წკრიალა ხმა. და კიდევ უფრო ნათლად, ვიდრე ეს წკარუნი, ესმოდა რაღაც სპილენძის საყვირის ხმის მსგავსი.

- ასეთი კიდევ ორი მონეტაა, - გაისმა კალატოზის ხმა, რომელიც აქამდე უხმოდ ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც ხდებოდა. — ამის ფასად, შეიძლება, იყიდო ხვალინდელი დღე, ორი დანარჩენისა კი — დღევანდელი და გუშინდელი, – თქვა მან, სოფრონის მიმართავდა და ერისენას მოეჩვენა, რომ კალატოზი და სოფრონი პირველად არ ხვდებოდნენ ერთმანეთს, რომ ისინი დიდი ხნის ნაცნობები არიან და მათ შორის არსებობს რაღაც შეთანხმების მაგვარი, რომ აქ, მისირბაზარში შეხვდნენ ხოლმე ერთიმეორეს.

თითქოს ამ ფიქრების დასტურად, ახალგაზრდა ოპუიჩმა ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამს, მონეტის საფასური გადაიხადა. და მეორე დღეს პირდაპირ წმინდა სოფიისკენ გასწია.

ტაძარში შესულმა თავი ისე იგრძნო, როგორც კაცმა, რომელიც დაიკარგა გუმბათქვეშ გაშლილ უზარმაზარ მოედანზე, როგორადაც ეს ეკლესია მოეჩვენა. ირგვლივ ყველაფერს წყვდიადი ფარავდა და მხოლოდ ვეება გასაღებების ჭუჭრუტანებიდან აღწევდა მზის სინათლე. მან თვალი შეავლო ეკლესიის ყველა შიდა სვეტს, მაგრამ სპილენძის ფარი ვერსად დაინახა. მხოლოდ ერთ-ერთ სვეტზე ადამიანის სიმაღლეზე მზის სხივი ბრწყინავდა. სოფრონი მიუახლოვდა და ამ სხივს ქვემოთ ფარი და მასზე გამავალი ნახვრეტი შეამჩნია. სოფრონიმ, როგორც ვეებერთელა სპილენძის მილის ყელში, ისე ჩაყო შიგ ცერა თითი და წრე შემოხაზა, ამასთან, თავის სანატრელ სურვილს ჩურჩულებდა. და არაფერი არ მოხდა.

მართალია, სოფრონი ოპუიჩი არც ელოდა, რომ ყოველივე, რაც ახლა მის თავს ხდება, უცბად, მოულოდნელად შეიცვლება იმდენად, რომ შესაძლებელი იქნება მისი შემჩნევა, მაგრამ მაინც ეუცნაურია, რომ სრულებით ვერაფერი იგრძნო. შინ დაბრუნებულმა ერისენას უთხრა, რომ საქმე მორჩენილია, მოეხვია მას, მერე ფანჯარასთან მივიდა და ბოსფორში გადააფურთხა ქვა, რომელიც მის საიდუმლოს ინახავდა.

- მორჩა საიდუმლოები და დაფარული ამბები! ახლა ყველაფერი აგვიხდება. ეს რაღაც გამოფხიზლების მსგავსი იყო?

ქალი ისე იქცეოდა, თითქოს დღესასწაული დაუდგაო. მაგიდაზე დაშაქრული ყვავილები შემოდგა, ვარდები და ჟასმინები ტკბილ ზეთში. მერე ვეებერთელა ფანჯრის რაფაზე ჩამოსხდნენ, რომელიც ოდესღაც ზარბაზნის სათოფური იყო, და „ათას ერთი ღამის" ზღაპრების და თავიანთი გამოთვლების გახსენება დაიწყეს.

- შეიძლება, ბავშვები იმიტომ არ გვყავს, რომ ვერ შევძელით, გამოგვეთვალა, რომელ ღამეს დაფეხმძიმდა შაჰრაზადი და რა ზღაპარს ჰყვებოდა მაშინ, - თქვა ერისენამ და სოფრონიმ, მას რომ შეხედა, იგრძნო, რომ სიყვარულისგან დაბერდა. — არის ჭეშმარიტებები, რომელთაც ადამიანი სიკვდილში ეხმარება, - უთხრა ქალმა, - თვითონ ადამიანიც ასეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც კვდება. კაცობრიობა მუდამ ჩვიდმეტი წლისაა, მაგრამ ეს მე უკვე აღარ მეხება!

იმ ღამეს ქალს ესმოდა, როგორ ებრძოდა სოფრონი ძაღლის ბეწვის უშველებელ გადასაფარებელს, რომელშიც თავით ფეხამდე გამოხვეულიყო. კიდევ ესმოდა, როგორ ფხაჭნის სასთუმალს კაცის წამოზრდილი წვერი. და ამ წვერის შიგნით ხედავდა ნიკაპის ღრმულს, რომელიც ჭიპს წააგავდა. და ამან გააოცა. დილით მან კაცს უთხრა:

- ყოველი დიდი სიყვარული ერთგვარი სასჯელია.

- იცი, ჩვენ, ყველას, ღმერთთან შეთანხმება გვაქვს. იმის ნახევარს, რაც გაგვაჩნია, ვაკეთებთ; დროის, ძალ-ღონის, სილამაზის ნახევარი, ნახევარი ჩვენი საქმეებისა და მოგზაურობისა ჩვენს განკარგულებაში რჩება, მეორე ნახევარი კი ღმერთის წილია. ასეა სიყვარულშიც. ჩვენი სიყვარულის ნახევარი ჩვენვე გვეკუთვნის, მეორე ნახევარი ღმერთთან მიდის და იქ რჩება, უკეთეს ადგილას, და გრძელდება უკვე სამარადისოდ, იმის მიუხედავად, თუ რა მოუვა ჩვენი სიყვარულის ნახევარს აქ, ადამიანებს შორის. იფიქრე ამაზე, როგორც რაღაც ლამაზსა და სასიხარულოზე!

მაგრამ სიტყვები ამაო იყო! კაცის მიახლოებისას ან შეხებისას ქალის სხეულს უკვე აღარ ასდიოდა ატმის სუნი. ერისენა აღარ ილებავდა ძუძუთა კერტებს იმავე წითელი პომადით, რომლითაც ტუჩებს. იგი უყურებდა ქმარს და ვერ გაეგო, რას ელაპარაკებოდა. კაცი კი, ოდესღაც არნახული სისწრაფით რომ უახლოვდებოდა ხოლმე ერისენას, ახლა ასეთივე სისწრაფით, რომელიღაც ციური კომეტის მსგავსად, შორდებოდა. და ისევე, როგორც მაშინ არ შეეძლო, გამკლავებოდა მიზიდულობის ძალას, ახლა აღარ შეეძლო, რაიმე გაეკეთებინა, რათა შეეჩერებინა ეს თავბრუდამხვევი და უკანმოუხედავი დაშორება.

მაშინ ერისენამ უთხრა:

- შენ მართალი გამოდექი! დიდი სიყვარულისგან შტერდებიან! ჩვენც გამოვსულელდით. ყოველ შემთხვევაში — მე. და მე უკვე აღარ შემიძლია ფრენა. არამარტო ოთახში, სიზმარშიც კი. შეიძლება, სიყვარული კლავს კიდეც.

და გაიფიქრა: „იქნებ, სხვა მამაკაცისგან ბავშვიც კი მყოლოდა".

### *ოცდამეერთე გასაღები*

### სამყარო




1813 წელს, კონსტანტინოპოლში ჩასვლისთანავე, საფრანგეთის დესპანმა გადაწყვიტა, თავისი რეზიდენციის ბალში მიღება მოეწყო. სტუმრები წინასწარმეტყველებს და მოცეკვავეებს

უნდა გაერთოთ და, როცა ახალგაზრდა დესპანის უზარმაზარ სახლში პირველი სტუმრები შედიოდნენ, მუსიკა უკვე ჟღერდა. კაპიტანმა დუნია მოიყვანა. ქალის გამომეტყველებით, შეიძლებოდა, მიმხვდარიყავით, რომ მას მთელი ღამე ტირილში გაეტარებინა. ქალბატონი რასტინა კალოპეროვიჩი ვაჟიშვილთან ერთად მოვიდა, თმა ვერცხლისფერი პუდრისგან უბრჭყვიალებდა. ახალგაზრდა კალოპეროვიჩი მზერით სულ ვილაცას დაეძებდა და გაოცდა, როცა დიდი სადარბაზოს კედელზე მეზობელ ოთახში გამავალი ოვალური ფანჯარა შენიშნა. ჩარჩო მოოქრული ბაგეტისა ჰქონდა, ამიტომ ფანჯარა ნახატს წააგავდა. მან სოფრონის თავისი მშობლების ტრიესტის სახლის ასეთივე ფანჯარა მოაგონა. ამ დროს ბალში ცეკვა დაიწყეს მაიორის კავალერისტებმა და წინა წრე ისეთი სწრაფი და პატარა ნაბიჯებით წაცუნცულდა, რომ ძნელად გაარკვევდით, სად ქუსლებია და სად თითის წვერები. ამაზე ერისენამ წაუჩურჩულა:

- ეს ცეკვა ნამდილი ლაბირინთია.

სტუმრები თანდათან ემატებოდნენ. მასპინძელს მოცისფრომომტრედისფრო მუნდირი ეცვა ყოველგვარი განმასხვავებელი ნიშნის გარეშე, აბრეშუმივით თმასაც ცისფერი დაჰკრავდა, ვიწრო წელზე კი იმ დროის ჩვეულებისამებრ აბრეშუმის შარფი შემოერტყა. მისი მდივანი სულ შავებში გამოწყობილიყო, კამზოლზე ვერცხლის შესაკრავებით და ასეთივე ბალთით ქამარზე. მისი სახის შეწუხებული გამომეტყველება იმდენადვე გეცემოდათ თვალში, რამდენადაც შეუმჩნეველი იყო ის მის გვერდით მყოფი ცისფერტანსაცმლიანი ჭაბუკის სახეზე, რომლის მოუსვენრობას მხლოდ მისი ჩექმები გასცემდნენ, გამუდმებით რომ ეძებდნენ ადგილს. მოულოდნელად დარბაზი ჩაბნელდა და ფანჯარა-ჩარჩოში, თითქოს ცოცხალი სურათიაო, გამოჩნდა შიშველი მოცეკვავე ფიგურა თეძოებზე შემოხვეული გადასაფარებლით. ძნელი გასარკვევი იყო, რა სქესისაა იგი, თუმცა მკერდი მოშიშვლებული ჰქონდა. ეს მკერდი ქალებს მამაკაცისად ეჩვენებოდათ, მამაკაცებს კი მიაჩნდათ, რომ ეს გოგონას მკერდია. ცეკვა რომ დამთავრდა, ფიგურა ისე გაიყინა ჩარჩოში, როგორც დახატული. იდგა, ცალი ფეხი მუხლში მოეხარა და ახალგაზრდა ოპუიჩს ამან უცბად ის მდგომარეობა მოაგონა, როგორშიც ის კაპიტან ტენეცკის ბრძანებით ხეზე ჩამოკიდეს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ფიგურა კი არ ეკიდა, არამედ იდგა.

უცბად დარბაზშიც და ბალშიც კაბების კალთებზე დამაგრებული ზანზალაკების ხმაურით შემოიჭრა მთელი დუჟინი ბოშა ქალებისა. ისინი პირდაპირ სტუმრებთან მიცვივდნენ მათი კარტების სანახავად. კაპიტანმა წამოიძახა:

- Tarocchi! Tarocchi! — ვაჟიშვილს ხელში ხელი ჩაავლო და ბალში ერთ-ერთ მკითხავთან დასვა.

- კარტი, ჩემო ბატონო, იგივეა, რაც ენა. მხოლოდ ეს მითხარი, დიდი საიდუმლო გინდა თუ პატარა? და ვის ვუმკითხავო?

- ჩვენ ორივეს, ერთი და იგივე კარტით, - უთხრა კაპიტანმა.

- დიდი საიდუმლო, - თქვა სოფრონიმ.

- კარგი, ბატონო ჩემო. ოღონდ, ვიდრე ვმკითხაობ, არ გაიცინოთ, ამან, შეიძლება, გავნოთ. ახლა თქვენთვის, ისე, მე რომ ვერ გავიგონო, ორივემ თითო კითხვა დასვით.

ბოშა ქალმა წინ თავსაფარი გაიფინა, შეახსენა, რომ „ისინი ქვებზე არ ყრია," ტყავის ტოპრაკიდან 22 კარტი ამოაძვრინა და ოპუიჩებს გადასცა, რათა ქაღალდი „გაეხურებინათ". როცა კარტები აურიეს, სოფრონიმ დასტა გაჭრა, ხარლამპიმ კი ჯვარი გადაწერა. ბოშა ქალმა კარტი თავსაფარზე მარცხენა ხელით ჯვრისებურად განალაგა, ცენტრში მოქცეულ კარტს ზემოდან ჯვარედინად დაადო მეორე კარტი. როცა გახსნა, ქალმა ახალგაზრდა ოპუიჩს უთხრა:

- მამაშენი მოკლეს, შენ კი შენს შიგნით ინახავ დიდ საიდუმლოს.

- მამაჩემი არავის მოუკლავს, - გაიცინა ახალგაზრდა ოპუიჩმა, - აგერ არის, ჩვენს წინაშე.

ამ სიტყვებზე მკითხავმა ძრწოლით შეხედა კაპიტან ოპუიჩს, კარტი წამოხვეტა და თავქუდმოგლეჯით გავარდა. სწორედ ამ დროს სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს.

ნავახშმევს საფრანგეთის დესპანის ქანცგამოლეული სტუმრები კვლავ მუსიკას უსმენდნენ. პოდპორუჩიკი კალოპეროვიჩი მოჯადოებულივით თვალს ვერ აცილებდა თავის საშოსმიერ დას, დუნიას, და დედამისმა, ეს მზერა რომ შენიშნა, წყნარად უთხრა:

- იმედია, ჩვენი ფიცი გახსოვს? დანაპირების შენი წილი შეასრულე? ისიც მიაწვინე?

- დუნია? კი. ჯერ კიდევ ფუნდუკში.

ქალბატონმა რასტინამ მწარედ ჩაიცინა.

- ჩემი ანგარიშით, - ჩურჩულით დაუმატა მან, - სულ ცოტაც და ჩვენი შეთანხმება აღსრულდება. იქამდე მე ორი ნაბიჯილა დამრჩა, შენ კი ერთი.

- ერთი? — ჩაეკითხა ახალგაზრდა კალოპეროვიჩი, მთლად კანკალებდა, დედა კი თავისი ვერცხლისფერი თვალებით მიეფერა.

- ეს ბოლო ნაბიჯი, - დაუდევრად შენიშნა მან, - ჩვენთვის საერთო იქნება.

ამ დროს ვილაცამ წყნარად წამოიწყო სიმღერა „მოგონებები — ეს სულის ოფლია". ბერძნულად მღეროდნენ, მაგრამ სიმღერა ისეთივე იყო, როგორიც ის, სოფრონის და ერისენას რომ უყვარდათ და თავისად მიიჩნევდნენ.

და აი, სოფრონიმ ცხოვრებაში ყველაზე გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა. სიმღერით გულშეძრულმა მოინდომა, ცოლის გამოხედვა დაეჭირა, რომელიც მის გვერდით იჯდა. მაგრამ ეს ვერ მოახერხა. ერისენა სიმღერას უსმენდა, პირდაპირ იცქირებოდა და აღელვებით სუნთქავდა. მერე თვალები ასწია. და, ვიდრე ჩაფიქრებული ერთი ხელის თითებით მეორისას კეცავდა, მზერა მიმართული ჰქონდა მეზობელი შენობის ღია, ჩაბნელებული ფანჯრისკენ, რომლის იქით იყო კედელი, წყვდიადით დაფარული, კედლის მიღმა კი მეფობდა თვალშეუღწეველი ღამე, სავსე წყლითა და ბალახით. მისი მზერა ჯერ ფანჯარაში გაძვრა, მერე კედლამდე მიაღწია, სიბნელეში რომ იყო შემალული, და დაიძრა უფრო შორს, თუმცა ერისენა უკვე ანგარიშს ველარ უწევდა იმას, თუ რა ხვდებოდა ამ მზერას გზად. იგი მიემართებოდა პირდაპირ აღმოსავლეთისკენ, ტყეების გავლით, გაისრიალა შავ ზღვაზე, გაიარა ოდესა, სტეპები, გაუარა ვილაც მეთევზეებს, კასპიის ზღვაში ღამით თევზს რომ იჭერდნენ, გასცდა კავკასიის მთებს, მერე პამირს და შეჩერდა, ჩაქრა ჩინეთის დიდი კედლის წინ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ დაიღალა, არც იმიტომ, რომ ეს კედელი გადაულახავი წინაღობა აღმოჩნდა მის გზაზე — უბრალოდ, ერისენამ ვერ დაინახა ის, რისი დანახავაც სულითა და გულით უნდოდა, და უკვე აღარ იყურებოდა ამ მიმართულებით. და მაშინ იგი ათრთოლდა სიმღერისგან, რომელსაც უსმენდა. მისმა თვალებმა ბოლოს და ბოლოს მეზობელი მაგიდის ბოლოში აღმოაჩინეს კაპიტანპი ხარლამპი ოპუიჩი, მისი ქმრის მამა, და ქალის მთელ სხეულს ატმის სურნელი აუვიდა.

აი, ასე: სოფრონი შიშით მისჩერებოდა ერისენას, ერისენა კი აღფრთოვანებით — მამამისს. ეს რამდენიმე წამს გრძელდებოდა, მაგრამ სოფრონიმ მოასწრო, შეენიშნა, რომ ერისენას ძუძუს კერტები და ბაგეები კვლავ ერთი და იგივე პომადითაა შეღებილი, მის კისერზე კი უკვე აღარ ჩანს ფარჩის ფეხსაცმელი. ერისენამ მესამე ფეხსაცმელი მოიშორა.

„მამაჩემი მას გაუკეთებს შვილს, რომლის გაკეთებაც მე ვერ შევძელი," — გაუელვა თავში.

და იმავ წამს შიმშილი, პატარა ტკივილის მსგავსი, რომელიც წლების განმავლობაში გულს ქვემოთ ეზრდებოდა, უზარმაზარ ტკივილად გადაიქცა. ყველაფერმა, რაც კი ოდესმე ტკენია, თავი შეახსენა, გაიღვიძა ყველა ძველმა იარამ მისი სულისა და სხეულისა. ბავშვობის ყველა ნაკაწრი და ჭრილობა შეიგრძნო, როგორც სრულიად ახალი, მისი სხეულიდან კი თმის შავი კულული და წითური კულული მოწყდა. ჩვიდმეტი წლის შემდეგ ასო დაუვარდა, მარჯვენა ჩექმა აღარ უჭერდა, სმენა მოულოდნელად დაუქვეითდა და სოფრონიმ შეწყვიტა მიწისქვეშეთის ამბების მოსმენა. და მთელი სამყარო ბოლომდე გაიხსნა მის წინაშე. შიშით შეპყრობილს უნდოდა, განზე გამდგარიყო, მოეჭრა ცერა თითი, მაგრამ გვიანლა იყო. მისი სანუკვარი ოცნება ხორციელდებოდა სადღაც შორს, მისთვის ყველაზე სრულყოფილი ფორმით, მაგრამ მისი გვერდის ავლით, იქნებ, მის საწინააღმდეგოდაც, და ხორციელდებოდა ის საშინელ საფასურად. ვილაც ყოვლისშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლე ხორცს ასხამდა მის სურვილს, მაგრამ ართმევდა ერისენას სიყვარულს. სადღაც, ვინ იცის, სად (და ეს აშინებდა სოფრონისპ, უკვე ქარიშხლებივით ერთმანეთში ირეოდა მის მიმართ გამოჩენილი წყალობის ნიშნები და მან იგრძნო, როგორ მოეშვა გულს, როცა მასშიც და მის ირგვლივაც რაღაც ადგილიდან დაიძრა; როცა მიხვდა, რომ გადაწყვეტილება, არსებითად, უკვე მიღებულია და ამ წუთიდან მომავალში ყველა დანარჩენი გადაწყვეტილება უწვალებლად მოვა. მან გაიგონა, როგორ ილებენ თანავარსკვლავედები მის სასარგებლოდ ახალ სახელებს, თვითონ კი სასწორის ნიშნიდან მორიელის ნიშნის მმართველობაში გადადის, რის შედეგადაც სოკოიანი ირმის ხორცის გემო მის პირში საგრძნობლად შეიცვალა. ყელაფერი, რაც მისთვის არსებობდა, ყველაფერი, რაც მის ირგვლივ იყო და კარგად ნაცნობიც გახლდათ, თვალის დახამხამებაში გახდა უცნობი და უცხო და ყველაფერი, რაც არ იყო, არ არსებობდა, გადაიქცა გასაგებად და ახლობლად. თითქოს მისი ბედის ყველა კარტი, მთელი მისი Major Arcana უკუღმა მოექცა, ამოატრიალა მთელი მისი ცხოვრება და შეცვალა ყველა მისი შეგრძნება, გადააგზავნა რა ისინი მიწისქვეშა სამყაროდან კოსმოსისკენ.

„ღმერთი თავის რჩეულებს აჯილდოებს ერთდროულად ყველაზე დიდი ბედნიერებითა და ყველაზე დიდი უბედურებითაც," — გაიფიქრა მან და კინაღამ ატირდა, მაგრამ აქ მამამისის ლაქლაქი შემოესმა:

- ღიმილებიც ისევე უნდა ვთარგმნოთ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, როგორც სიტყვას თარგმნიან! მაგალითად, ძნელია, ბერძნულად თარგმნო ფრანგული ღიმილი. ებრაული ღიმილი საერთოდ არ ითარგმნება, ხოლო გერმანელი არაფრის დიდებით არ გაიღიმებს, ვიდრე არ დაინახავს, რა ფასია მიკრული ხუმრობაზე...

ვიდრე კაპიტანი ენას იფხანდა და სოფრონი ოპუიჩი ცოლს მისჩერებოდა, ქალი კი მის მამას, ვილაცა მზერას არ აცილებდა სოფრონის. ქალბატონი რასტინა კალოპეროვიჩი, გულში რომ იხუტებდა ეუჯენებიან ბალიშს, კაცს პირდაპირ თვალებით ჭამდა. სოფრონი იყო რასტინას ქალიშვილის, დუნიას ბოლოსწინა საყვარელი, რომელთან დაწოლაც რასტინამ ჯერ ვერ მოახერხა. ის იყო ბოლოსწინა ნაბიჯი იმ აღთქმის განხორციელების გზაზე, რომელიც მისი ვაჟის, არსენის უკანასკნელ ნაბიჯთან ერთად უნდა დაგვირგვინებულიყო. მიუკიბმოუკიბავად თუ ვიტყვით, სოფრონი ოპუიჩი რჩებოდა უკანასკნელ წინაღობად, რომელიც აღმართულიყო ქალბატონ რასტინას და მისი ვაჟის, არსენი კალოპეროვიჩის სარეცელს შუა.

ქალბატონ კალოპეროვიჩის სოფრონისკენ მიმართული მზერა შეწყვიტა კაპიტანმა ოპუიჩმა, რომელიც, მას შემდეგ, რაც ბოკალზე დანა მიაკაკუნა, ადგა, რათა საფრანგეთის იმპერატორის სადღეგრძელო შეესვა. აი, აქ მოხდა რაღაც წარმოუდგენელი.

კონსტანტინოპოლის საფრანგეთის საელჩოს ბალში ამ დროს შეკრებილთა თვალწინ კაპიტანი ხარლამპი ოპუიჩი თავის ბოკალთან ერთად, რომელიც ხელში ეჭირა, უკვალოდ გაქრა. დილით მსახურებმა იმ სკამის ქვეშ, რომლებზეც კაპიტანი იჯდა, ერთი წყვილი სისხლიანი დეზი იპოვეს.

**როგორ წავიკითხოთ ტაროს კარტები**

*მაგიური ჯვარი*

ტაროთი მკითხაობის ყველაზე მარტივი ხერხი მოცემული გაშლის წესით და კარტების ახსნა-განმარტებით.



დიდი ტრიადა

*გაშლის მოცემული წესით და კარტების ახსნა-განმარტებით*

პირველი სამი კარტი ასახავს წარსულს, მეორე სამი — აწმყოს, მესამე სამი — იმ კაცის მომავალს, ვისაც კარტს უშლიან.



*კელტური ჯვარი*

*გაშლის მოცემული წესით და კარტების ახსნა-განმარტებით*

მეხუთე კარტი აღნიშნავს იმის ბედს, ვისაც კარტს უშლიან. მეხუთეს წინა კარტები — წარსულს, ისინი კი, რომლებიც მერე მოდის — მომავალს. მეათე კარტი — ეს რჩევაა, რომელსაც მკითხავი იძლევა.



***მნიშვნელობები***

დიდი საიდუმლოს გასაღებები
როგორც ერთი, ისე მეორე სქესის ქალებისთვის

*განსაკუთრებული გასაღები. მასხარა* ...................... 87

კარტი სწორად დავარდა: არათანმიმდევრულობა, რომელსაც, ყველაფრის მიუხედავად, მივყავართ სასურველი დაბოლოებისკენ. აუცილებელია, გააკეთოთ არჩევანი. გზა, ახალი ცხოვრებისეული გამოცდილება.

ამოყირავებული კარტი: ცილისწამებები. თავის დარტყმას ერიდე. ირგვლივმყოფნი სიძულვილს გამოამჟღავნებენ.

შვიდი პირველი გასაღები

*პირველი გასაღები. მაგი* ........................................... 89

სწორად: მხსნელი ცოდნა, შემოქმედი ძალა. ორიგინალურობა. ახალი საქმის დაწყებისთვის სასურველი დრო. იმისი პიროვნება, ვისაც მკითხაობენ.

ამოყირავებული კარტი: დაცემა, შარლატანობა, ცუდი დასაწყისი.

*მეორე გასაღები. პაპესა (ქურუმი ქალი)* ............. 92

სწორად: სრული ბედნიერება, იდუმალი გავლენა. კარტი აღნიშნავს თანხმობას, ცოდნის დედას, რომელიც გვასწა-

ვლის ურთიერთგაგებას. იმისი პიროვნება, ვისაც მკითხობენ.

ამოყირავებული კარტი: არათანმიმდევრულობა, ცოლქმრული ღალატი, მცდარი წარმოდგენები.

*მესამე გასაღები. იმპერატრიცა* ................................ 92

სწორად: ნაყოფიერება, ქალურობა, მატერიალური კეთილდღეობა, უძრავი ქონების მემკვიდრეობით მიღება.

ამოყირავებული კარტი: დროზე ადრე მოქმედება, ცუდი დროა მუშაობისთვის. ილუზიების გაქრობა, გადაღლა.

*მეოთხე გასაღები. იმპერატორი* ................................ 95

სწორად: დაცვა, წინამძღოლობა, დახმარება ან ჭკვიანური რჩევა კრიზისის გადასალახავად. ენერგია, მიმართული კეთილი მიზნებისკენ.

ამოყირავებული კარტი: სასტიკი და უბირი მბრძანებელი. ფინანსური კრიზისი, ხელმოცარვა დაწყებულ საქმეში, ცუდი რჩევა. არანაირ ცდას სასურველ შედეგამდე არ მივყავართ.

*მეხუთე გასაღები. ქურუმი* ................................ 64

სწორად: მბრძანებლობა, დაფუძნებული დადებულ ხელშეკრულებაზე. თავგანწირვა სასიყვარულო ურთიერთობაში. ჭკვიანური გადაწყვეტილება. შეგუების უნარი. სიბრძნე, ფართო ჰორიზონტი.

ამოყირავებული კარტი: მოთუმენლობა. მოტყუება. განუხორციელებელი ჩანაფიქრები. გელით დიდი სიძნელეები. მუშაობაში არასწორი პროგნოზები, მოკლე სასიყვარულო ურთიერთობები.

*მეექვსე გასაღები. შეყვარებულები* ................................ 98

სწორად: ლოდინი, ყოყმანი სიყვარულში, ჯანმრთელობა.

ამოყირავებული კარტი: ცალმხრივი სიყვარული. შმაგი სასიყვარულო ძალისხმევა. სასიყვარულო ურთიერთობების შეწყვეტა, ანგარიშიანი ურთიერთობა.

*მეშვიდე გასაღები. ეტლი* ................................ 100

სწორად: წარმატება, გონების გამარჯვება პირობითობაზე.

ამოყირავებული კარტი: მოულოდნელი მარცხი. უნებისყოფობა და ავადმყოფობა.

## შვიდი მეორე გასაღები

*მერვე გასაღები. ძალ-ღონე* ................................ 102

სწორად: სიყვარულის გამარჯვება სიძულვილზე. გულწრფელობა. თვითრწმენის შეგრძნება, ფიზიკური და სულიერი ენერგია.

ამოყირავებული კარტი: მრისხანება. ირგვლიმყოფნი გიქმნიან დაბრკოლებებს, შეჯახებებს, დიდ სიძნელეებს.

*მეცხრე გასაღები. განდეგილი* ................................ 103

სწორად: სიბრძნე თქვენს განკარგულებაში. გონიერი განსჯა. კარგი გადაწყვეტილებები. გამოცდილება. ექიმბაში.

ამოყირავებული კარტი: მარტოობა, სევდა, გამოუსადეგარი რჩევა.

*მეათე გასაღები. ფორტუნის ბორბალი* ................................ 104

ცვლილებები, აღმასვლა და დაცემა, წარმატება, მოგება.

ამოყირავებული კარტი: უდროო გეგმები, გაუბედაობა.

*მეთერთმეტე გასაღები. სამართლიანობა* ................................ 105

სწორად: გაწონასწორებულობა, კარმა, კანონის დაცვა. მოსამართლე.

ამოყირავებული კარტი: სასამართლო პროცესი, მოულოდნელი უსამართლობა.

*მეთორმეტე გასაღები. ჩამოხრჩობილი* ................................ 106

სწორად: გამოსყიდვა, მსხვერპლი. უმაღლესი გონიერებით თვითდამკვიდრება. გზა მიწიერ და სულიერ ინტერესებს შორის.

ამოყირავებული კარტი: დაბნეულობა, განშორება, ძალღონის ამაოდ ფლანგვა. საკუთარი ნამოქმედარის გადაფასება.

*მეცამეტე გასაღები. სიკვდილი* ................................ 107

სწორად: გარდასახვა, გარდაქმნა, აღორძინება, მოგება.

ამოყირავებული კარტი: ბრძოლა, ავადმყოფობა, მელანქოლია. მოულოდნელი სიღარიბე ან უარესობისკენ შეცვლა. გლოვა.

*მეთოთხმეტე გასაღები. ზომიერება* ................................ 108

სწორად: მოთმინება, თანხმობა, სულიერი სიმშვიდე, იმავდროულად — გაფრთხილება.

ამოყირავებული კარტი: უთანხმოება სიყვარულში. სიზარმაცე. საქციელი, რომელსაც სინანული მოჰყვება. ცოტა ხნის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებებს მწარე ნაყოფი მოაქვს.

## შვიდი მესამე გასაღები

*მეთხუთმეტე გასაღები. ეშმაკი* ................................ 110

სწორად: ფატალურობა, სამი დემონი, მატერიალურ ფასეულობებზე მიბორკვა. მაგნეტიზმი, ზებუნებრივი შესაძლებლობები. ცუდი კომპანია.

ამოყირავებული კარტი: სქესობრივი დაავადებები, ხიფათი, არასასურველი ორსულობა.

*მეთექვსმეტე გასაღები. კოშკი* ................................ 110

სწორად: კატასტროფა, ნგრევა, ეგოისტური ამბიციები და ცხოვრების პირვანდელ წესზე უარის თქმა.

ამოყირავებული კარტი: გაუთვალისწინებელი ვითარება, მტრები, ქაოსი, ავადმყოფობები.

*მეჩვიდმეტე გასაღები. ვარსკვლავი* ................................ 112

სწორად: იმედი, ჯანმრთელობა, აღმაფრენა, სურვილების ახდენა, შემოქმედებითი უნარი.

ამოყირავებული კარტი: არაკეთილსასურველი მდგომარეობა, სულიერი დაცემა, უახლოეს ადამიანებზე ხელის ჩაქნევა.

*მეთვრამეტე გასაღები. მთვარე* ................................ 113

სწორად: დაბნეულობა, გაუთვალისწინებელი საშიშროებები. გარშემომყოფთა ორპირობა და შური, ღალატი. ორსულობა. ინტუიციის, სიზმრების, ფანტაზიის ზეგავლენა.

ამოყირავებული კარტი: ცდუნებები, ფარული საშიშროებები, სულიერი დაავადება, მიუწვდენელი ოცნებები.

*მეცხრამეტე გასაღები. მზე* ................................ 114

სწორად: ბედნიერება, განთავისუფლება, ქორწინება. ჯანმრთელობა.

ამოყირავებული კარტი: მოუსვენრობა, სისულელე, უილაჯობა.

*მეოცე გასაღები. სასამართლო* ................................ 116

სწორად: სულიერად გამოფხიზლება, საკუთარი ადგილის ძებნა. მიწიერის დაძლევა. უსაფრთხოება. იმ საკითხის გადაჭრა, რომელიც გადაუჭრელად გეჩვენებოდა.

ამოყირავებული კარტი: არაკეთილსინდისიერება, დაუფიქრებელი გადაწყვეტილება. ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობის დასასრული.

*ოცდამეერთე გასაღები. სამყარო* ................................ 118

სწორად: სიხარული, ყველა წამოწყებაში წარმატება, ზარალის ანაზღაურება, სურვილების შესრულება. ხანგრძლივი ბედნიერების დასაწყისი.

ამოყირავებული კარტი: იგივეა. ეს ჰერმესის კარტია, („როგორც ზემოთ, ისე ქვემოთ"). ის თვითონ თავიდანვე არის ამოყირავებული მეთორმეტე კარტი — ჩამოხრჩობილი.

***თარგმნეს ელზა და გიორგი მეტრეველებმა***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიხო მოსულიშვილი

# უფლის აგარაკი

*(ესე ქართველთა მასობრივ სიმბოლოზე)*

დიპლომატიური აკადემიის თვრამეტი წლის სტუდენტს, დიდ ბრიტანეთში რამდენჯერმე რომ არის ნამყოფი და იქაური და აქაური ცხოვრების შეპირისპირების საშუალება მისცემია, ვთხოვე, ქართველების ეროვნული სიმბოლო დაესახელებინა, ისეთი კი არა, როგორიც თავად ქართველებს აურჩევიათ – ალბათ, გველეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგი – არამედ ისეთი სიმბოლო, რომელიც უხილავად არსებობს ჩვენს ფიქრებში, ოცნებებსა თუ საქმეებში, სულ თან გვდევს თუ ჩვენ დავდევთ და თანაც ყველას მიესადაგება.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ იმ სტუდენტმა მითხრა, რომ ამგვარი სიმბოლო ვერ მოუფიქრებია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ ჩვენი დუხჭირი და დაჩაჩანაკებული ცხოვრების სურათებს თუ დავუკვირდებით, ეს სიმბოლო ვერაფრით იქნება რაღაც ღირსეული...

ესე იგი, ჩვენი მასობრივი სიმბოლო, თუკი გაგვაჩნია, ღირსეულად უნდა გვეჩვენებოდეს, მაგრამ სინამდვილეში არ უნდა იყოს ღისეული, რაკი ასეთი ბედკრული გაუხდია ჩვენი ცხოვრება.

მაინც რა უნდა იყოს ეს მასობრივი სიმბოლო?

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო ხელშესახები და ჭკუის მისადევნებელი „უფლის აგარაკის" სიმბოლო მეჩვენება.

ქართველი რომ ამ ქვეყანას მოევლინება და ენას ამოიდგამს, ოჯახის წამოზრდილი წევრები სწორედ ამ ქარიზმატული მითით გაუმასპინძლდებიან ხოლმე.

თურმე, არიგებს ღმერთი მიწებს, სხვადასხვა ერები მიდიან უფალთან, საცხოვრებელს ღებულობენ და სახლდებიან დედამიწაზე.

ამასობაში ამ ჩვენს ქართველებს გაუშლიათ სუფრა, თამადაც აურჩევიათ და ქეიფობენ, სულ ალავერდებს გადადიან ერთიმეორესთან, ლხინობენ და ლაღობენ, მხიარულობენ და, მიწებს რომ არიგებს ღმერთი, აღარ ახსენდებათ.

ჰოდა, უფალი კიდევ არიგებს და არიგებს მიწებს და ეს მესუფრე ქართველები უმიწოდ რჩებიან, - აბა, კაი სუფრაზე რომ ზიხარ, იქ მიწა რა მოსატანია.

და, ბავშვი რომ წუხს, ქართველები უმიწოდ არ დარჩნენო, მთხრობელი განაგრძობს – ჩამოარიგა უფალმა მთელი დედამიწის ალაგები და, რომ იფიქრა, მოვათავე საქმეო, სწორედ მაშინ გამოეცხადნენ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ქართველები – მიწა მაინც ხომ გვინდა საცხოვრებლად და რამე გვიბოძე, შენი კვნესა ჩვენო.

და განრისხდა თურმე უფალი, რომ - აბა-და, სად იყავით აქამდეო? სადაო? უკვე მთელი მიწები ჩამოვარიგე. ვინც მოვიდა და მთხოვა, ყველას მივუბოძე და აღარაფერი დამრჩა, რაღა მოგცეთო.

იქნება, სადმე რამე მაინც იყოსო, რა.

არაო, არაფერი აღარ არისო, დარიგებულია სულო. - და აქ უფრორე განრისხებულა უფალი – რომ ვარიგებდი, მაშინ სად-რას იყავით, რატომ დროზე არ მოხვედით, რატომაო.

სუფრაზე ვისხედით, შენი ჭირი ჩვენ, და შენს სადღეგრძელოს ვსვამდითო.

ჩემსასაო?

ჰო, შენი ოხვრა ჩვენ, სულ დიდი ყანწებითა ვსვამდით. ვეებერთელა, უშველებელი ყანწებითაო.

და ჩაფიქრებულა ღმერთი, თანაც ამ ჩვენს მოქეიფე ქართველებს შეუტყვიათ, რომ ჭკვაში მოსვლია ეს ბოლო ნათქვამი, სულ ყანწებით რომ უსვამთ იმისი სადღეგრძელო და, მართლა ჩემს სადღეგრძელოს სვამდითო? - კიდევ დაუზუსტებია.

მართლა, მართლაო.

და კარგი მაშინო, ერთი სამოთხე ალაგი ჩემთვის მქონდა აგარაკად შემონახული, მაგრამ, რახან ჩემი სადღეგრძელო უზამაზარი ყანწებით გისვამთ, თავი არ დაგიზოგავთ, წადით და იმ ჩემს სამოთხეში დასახლდით ორ ზღვას შუაო.

ჰოდა, წავიდნენ ეს ჩვენი ქართველები და იმ სამოთხე ალაგას დასახლდნენ ორ ზღვას შუაო, - ამგვარად დაასრულებს თავმომწონე მთხრობელი ჩვენში მასობრივად გავრცელებულ ამ ზეპირგადმოცემას თუ თქმულებას და გახარებული ბავშვიც შვებით ამოისუნთქავს, - მაინც შეხვედრიათ მიწა ქეიფის მოყვარულ მის წინაპრებს. მიწა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, უფლის აგარაკი.

„უფლის აგარაკი" - აი, ეს მითი თუ ლეგენდა გამოჰყვება დაბადებიდან ქართველს და ასაკის მომატების კვალობაზე თავისი მომლხენი წინაპრებივით იწყებს ცხოვრებას. ცხოვრებას კი არა, სუფრაზე ყოფნას. რადგან ცხოვრება მისთვის გაშლილი სუფრაა, თავისი სუფრის წევრებით, თამადით და ალავერდებით.

ჰოდა, უფრო ხშირად ჩვენებურს სუფრაზე ჰგონია თავი, რასაც უნდა აკეთებდეს, იქაც სუფრა გამოელანდება და ისეთ ქართველს რა ვუთხარი, თამადობაზე რომ არ ოცნებობდეს ძილში თუ ცხადში. სუფრა, გაშლილი სუფრა მისთვის თავისებური ხსოვნაა იმ მითის სუფრისა, რომელიც ზემოთ გიამბეთ. იმ მითის სუფრა კი ერთგვარი მოდიფიკაციაა სახარებისეული დაპირებისა, ასე ვთქვათ, ქართული სამოთხე.

აბა, დავაკვირდეთ:

რა სწყინს ქართველს ყველაზე მეტად?

სუფრაზე მისი სადღეგრძელო თუ გამორჩა თამადას.

რა ენატრება ქართველს ყველაზე მეტად?

კარგ სუფრაზე მოხვედრა და, თუკი თამადადაც დანიშნავენ, ამას რაღა აჯობებს.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ის სამოთხის სუფრა დაუფლებია ქართველის წარმოსახვას, სიზმარსა თუ ცხადს. იცის, რომ თამადა ბევრ სიცრუეს ამბობს მისი დღეგრძელობისას, მაგრამ ის ტყუილებიც მოსწონს – აი, თურმე, რა კარგი ყოფილა. აკი, რაც კარგები ვართ, სულ ქართველები ვართ.

გასულ წელს საქართველოს ფეხბურთელთა გუნდმა რუსეთის ნაკრები რომ დაამარცხა, ერთბაშად გაკვირვებულ და თან გაცხარებულ რუს კომენტატორს სიმართლე წამოცდა:

ქართველებს ყოველთვის ჰყავდათ კარგი ფეხბურთელები, მაგრამ გუნდი არ ჰყოლიათ და საკვირველია პირდაპირ, რომ სწორედ დღეს რამდენჯერმე ქათველების გუნდი ვიხილეთო.

ჩვენ ფეხბურთი მთლად ფეხბურთი კი არა, ცოტა სუფრაც გვგონია. ბურთის მიმღები ფეხბურთელი ხომ იმავწამს თამადად იქცევა, მერე რა, რომ თამაშის და არა სუფრის, მაინც თამადაა, და სანამ სადღეგრძელოს არ იტყვის, ანუ რამდენიმე ფეხბურთელს არ მოატყუებს, ალავერდს, უკაცრავად, პასს არ გადავა არავისთან.

ცნობილი მეცენატი და მრეწველი დავით სარაჯიშვილი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ამბობდა:

„ჩვენ მერმისი არა გვაქვს. შენ ამბობ (მიმართავს ნოე ჟორდანიას, რომელიც თავის დროზე იტალიას მიავლინა იქაური კოოპერაციის შესასწავლად და აქ გადმოსანერგად; ისე, კი აჯობებდა, მართლა ესწავლა ეს კოოპერაცია! - ავტორი), წვრილი ბურჟუაზია მსხვილს წარმოშობსო, მე კი ამას ვერ ვხედავ; ამისთვის საჭიროა სამოქალაქო კულტურა, ჩვენ კი სოფლელები ვართ; ჩვენებური წვრილი ვაჭრების მიზანია ორიოდე გროში იშოვოს, ჩერქეზულად ჩაიცვას, ლეკური და ხანჯალი დაიკიდოს, „კნიაზი" გახდეს და თავისი მეზობლები ფულის ხარჯვით გააკვირვოს. სომხის მიზანი სულ სხვაა. ის ფულს ფულზე აწებებს, რომ ერთ დროს „კუპეცი" შეიქმნას, კლუბში ჩაეწეროს, ხმოსნად გავიდეს – ერთი სიტყვით, მოქალაქედ გადაიქცეს".

აჰა, ბიზნესშიც კნიაზობა გვსურდა მაშინაც და ახლაც.

კნიაზობა კიდევ ამ ცხოვრების თამადობა არ არის?

დავაკვირდეთ ჩვენს ეგრეთწოდებულ პოლიტიკოსებს. გნებავთ მერუსეთეებს; თუ გსურთ, ადგილობრივ ფუნდამენტალისტებს ანდა სულაც მედასავლეთე-გლობალისტებს. სამივე კატეგორიის „პოლიტიკოსიდან" რომელიც გინდა ავიღოთ, პარლამენტის ტრიბუნასთან ან, უარეს შემთხვევაში, მიკროფონთან რომ მოხვდება, — პარლამენტის მიკროფონი იქნება თუ სკანდალური სატელევიზიო გადაცემისა, — მაშინვე სადღეგრძელოს თქმას იწყებს, უყაწნო და ულვინისჭიქო სადღეგრძელოსი; თანაც დარწმუნებულია, რომ მისი „სუფრის" ფასეულობები გაცილებით სჯობს მოპირდაპირეთა „სუფრებზე" დაწყობილ „ხორაგეულს". მოკლედ, ქართველისთვის, როგორ თანამედროვე პოლიტიკოსადაც უნდა მოჰქონდეს თავი, პოლიტიკა მთლად პოლიტიკა არ არის, ცოტათი სუფრაცაა. შეიძლება, ცოტათი კი არა, გაცილებით მეტად.

თუ წარმოგიდგენიათ საკუთარი სამუშაოს პატივისცემით და უდიდესი პასუხისმგებლობით გამსჭვალული ისეთი ქართველი მწერალი, რომელიც თომას მანივით კოსტუმში და ჰალსტუხში გამოწყობილი მიუჯდება საწერ მაგიდას ყოველ დილით, საუზმის შემდეგ და, როგორც წესი, სადილობამდე ანდა სულაც ვახშმობამდე იმუშავებს? თანაც ხანდახან კი არა, ლამის ყოველდღიურად?

ისე, კოსტუმის და ჰალსტუხის რა მოგახსენოთ, მაგრამ თანამედროვე ამერიკელ მწერალ სტივენ კინგსაც რომ წელიწადში მხოლოდ სამი დღე – საშობაოდ, ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს და დაბადების დღეს - აქვს დასვენება, ამასწინათ წავიკითხე ინტერნეტში...

რატომ უნდა მაშინებდეს ხოლმე ჩემი შვილის ჯგუფში რამდენიმე ისეთი ლექტორის შესვლა, რომელთა ლექციებიც სხვა არაფერია, თუ არა თამადობა და დაუმთავრებელი ავტოსადღეგრძელოები?

ამ რამდენიმე მაგალითის მოხმობით იმის ნათელყოფა მაქვს განზრახული, რომ წარსულის თუ თანამედროვე, უფრო სწორად, მარადიული ქართველი რეალურ მიწიერ ყოფას – დაბადებას, ბავშვობას, სწავლას, დაკაცებას, შრომას, სიყვარულს, ოჯახს, ნათესაობას, მტრობას, სიბერეს, სიკვდილს და ყველაფერს, რისი ჩამოთვლაც გამომრჩა, უყურებს, როგორც სუფრას, როგორც ხსოვნას იმ მითური სუფრისა და ქეიფისა, როცა ღმერთი მიწებს არიგებდა. უფრო სწორად, ახლაც არიგებს, რადგან ახლაც იმ დროში ვცხოვრობთ.

ქართველს შინაგანად სწამს, რომ თავად იქეიფებს, მოილხენს, სულ ალავერდებს გადავა, სიცრუის კორიანტელში გახვევს თანამესუფრეს, ისეთ სადღეგრძელოებს იტყვის (იქნებ თამადობამაც მოუწიოს, თამადა თუ დაათრო!), სულ ქუდს ჭერსა ჰკრავს, ისე მოილხენს.

დიდი ამბავი, თუკი ამასობაში ღმერთი მიწებს არიგებს. არიგებს და დაარიგოს, მიწა სუფრასთან რა მოსატანია.

ნამდვილ თუ წარმოსახვით სუფრასთან მყოფი, შეჭიკჭიკებული და თავქარიანი მარადიული ქართველი დარწმუნებულია, რომ, სანამ უფალი მიწებს დაარიგებდეს, თავად კარგადაც იქეიფებს და თანაც მთლად ისე როგორ იქნება, რომ ღმერთმა ერთი სამოთხე-ალაგი არ დაიტოვოს თავისთვის აგარაკად.

დაიტოვებს, აუცილებლად დაიტოვებს, ყოველმიზეზგარეშე შემოინახავს კარგ მიწას და მთვრალი ქართველები რომ გამოეცხადებიან...

თუმცა ისიც თავისუფლად დასაშვებია, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ქართველებმა უფალთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისვლა დაიზარონ და კაცი აახლონ, ჩვენს სუფრაზე მობრძანდი, - შენი კვნესა ჩვენ - და გვითამადეო!

შეიძლება, ისიც ვიფიქროთ, რომ „უფლის აგარაკის“ თქმულებაში ჩადებულ უპასუხისმგებლობას – უფალი მიწებს არიგებს და ქართველებს ამ დროს სუფრიდან ვერ გამოუხსნიათ თავი, ვერაფრით სცილდებიან! – ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ქრისტიანობის ჩვენეულმა გაგებამ.

აი, ვნახოთ, როგორ კარგად შეადარებს მეოცე საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილი ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილი აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანობის ცნებებს:

„დასავლური ქრისტიანობა გულისხმობს, რომ ადამიანის მოვალეობა, როცა კონკრეტულ ფორმას აძლევს რამეს, მდგომარეობს იმაში, რომ ამ საგნიდან უნდა გააკეთოს უსასრულობის არასრულყოფილი და დაბოლოებადი მატარებელი. ეს არის ვარაუდი, რომელიც ამბობს, რომ იდეალურობა არასრულყოფილი კონკრეტულობის მხოლოდ გარეთ კი არ არის მთლიანად, არამედ მის შიგნითაცაა; და მაღლაც ისეა, როგორც დაბლა. ამგვარად, ევროპული კულტურა დაფუძნებულია განხორციელების იდეაზე, რომ ყველაფერს მიეცეს ფორმა, პოლიტიკურ ცხოვრებას, სულიერ ცხოვრებას; მთავარია ფორმის მიცემა. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე არტიკულაცია, რადგანაც ვინც ლაპარაკობს არტიკულაციაზე, ლაპარაკობს ფორმის არტიკულაციაზე. ორთოდოქსალური კულტურა იდეალურობით არის შეპყრობილი. საგანი თუ კონკრეტული ფორმა არასოდეს არ არის იდეალი. ხოლო თუ ეს იდეალი არ არის, არაფერიც არ არის. სურვილია, გქონდეს ყველაფერი ან არაფერი; და რადგან ყველაფერი არ არის, ნათელია, რომ აქვთ - არაფერი“.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მდგომარეობა გაცილებით სავალალოა, რადგან არც ყველაფერი გვაქვს და არც არაფერი, უფრო სწორად, ჩვენთვის ყველაფერიც სუფრაა და არაფერიც სუფრაა. და, შესაძლოა, სწორედ მარადიულ ქართულ სუფრასთან ჩამომსხდარმა მარადიულმა ქართველებმა ათრიეს წვერით ევროპამოვლილი და კათოლიკობამილებული სულხან-საბა ორბელიანი. (სხვათა შორის, ჩვენს მიერ მიჩუმათებული ეს კონფლიქტიც ისევე, როგორც სხვა უამრავი, ფხიზელ და მართალ შემფასებელს უცდის რა ხანია).

როგორ გგონიათ, სად უნდა ყოფილიყვნენ ბრძოლაში არგამოცხადებული ქართველები, როცა მეფე ერეკლე მარცხდებოდა კრწანისის ომში? ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების მიერ გაშლილ სუფრასთან ისხდნენ და მოზრდილ დუმებს ითლიდნენ თავიანთ ჯამებში, სულ არ ედარდებოდათ, მეფე ერეკლე დასუსტდებოდა თუ არა. პირიქით, უხაროდათ კიდეც და ამაში ხელსაც უწყობდნენ – სწორედ ამნაირი ქართველების ხელი და რუსული ოქრო არ ერია მანამდე ლევან ბატონიშვილის ვერაგულ და კარგად დაგეგმილ მკვლელობაში?

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ითქვას, რომ იმ საყოველთაო „ქეიფში“, რასაც ქართული ყოფიერება, თუ გნებავთ, ცნობიერება მოუცავს, სუფრიდან განდგომილი, ფხიზელი გამონაკლისებიც გვხვდებიან, ღვინისგან აცაბაცად გაქცეული თვალებით მრუდედ რომ არ ხედავენ ცხოვრებისეულ რეალობას, ფხიზლად იყურებიან და მოქმედებენ კიდევაც. ისინი ერთეულები არიან, რომლებიც, ჩემი აზრით, „უფლის აგარაკის“ საყოველთაო სიმბოლურობას უფრო ადასტურებენ.

ერთი იმათგანი დავით აღმაშენებელი მგონია, რომლის უმთავრესი დამსახურება მარტოოდენ მოგებული ომები და ეკლესია-ტაძართა მშენებლობა კი არ იყო, რაც ასე ძალიან გვეამაყება ჩვენ, ქართული სამოთხის სუფრაზე მსხდომებს; არამედ ის იყო გონიერი მეფე, რომელმაც ოლივერ კრომველზე გაცილებით ადრე მონიშნა და ცხოვრებაშიც მოუნდომა გატარება ახალი პოლიტიკური ცხოვრების ისეთ რეალიებს, რომლებმაც შემდგომში ევროპული ცივილიზაციის აღორძინება გამოიწვიეს. აქ, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიგულისხმოთ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელსაც მიზნად მარტოოდენ ქვაბ-ავაზაკთა განსხმა კი არ ჰქონდა ეკლესიის წიაღიდან, არამედ ეს იყო ცდა, კუთვნილი ადგილი მისჩენოდა რელიგიას პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი ყოვლისმომცველობის პრეტენზია აღარ არსებულიყო. ვეზირთა უპირველესის, ჭყონდიდელის თანამდებობის შემოღება სწორედ ამის ნიშანი გახლდათ.

მეორე მათგანიც მეფე იყო, თუმცა გვირგვინი არა სდგმია. ამ კაცმა გაუგონარი სულიერი ძალისხმევით შეძლო ისეთ უზუსტეს სარკეში ჩაეხედებინა მარტო მაშინდელი კი არა, არამედ სამოთხის სუფრასთან ჩამომჯდარი მარადიული ქართველი, რომ ამ უკანასკნელისგან ტყვია მიიღო ნათელ და, ეტყობა, უფლისგან კურთხეულ შუბლში. რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს და მის „ლუარსაბ თათქარიძეს“ ვგულისხმობ. ნაწარმოებს, რომელიც სათანადოდ ჯერ არ შეფასებულა და მომავლის ქართველს უცდის, ჩვენზე უფრო ფხიზელს და იმასაც ბავშვობიდანვე მიხვედრილს, რომ „სამოთხის აგარაკის“ მითი ვითომ დარდიმანდობის, ვითომ კაიკაცობის, ვითომ ნამდვილქართველობის, სინამდვილეში კი ჩვენი უპასუხისმგებლობისა და ულირსებობის აპოლოგიაა და მეტი არაფერი...

მესამე სვეტი, როგორც პოეტი იტყვის, ჯერ არ ჩანს...

ჰოდა, უფალი არიგებს და არიგებს მიწებს და ეს მესუფრე ქართველები კიდევ უმიწოდ რჩებიან, - აბა, კაი სუფრაზე რომ ზიხარ, იქ მიწა რა მოსატანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ედმონდ-გაბრიელ კალანდაძე

## გასრესილი ძვირფასი ქვები

*(საუბარი ფერწერაზე)*

საიდან იწყება ჩემი მხატვრობა? რა არის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც მაიძულებს, რომ ვხატო? მე შევეცდები, ამ კითხვებს პასუხი გავცე, გავაკეთო ერთგვარი აღსარება თუ ანალიზი.

რამდენიმე მაგალითი: ბავშვობაში, იმ ასაკიდან, საიდანაც თავი სრულიად გარკვეულად მახსოვს, იმ დროიდან, როცა მთვარიან ღამეს ჩვეულებად მქონდა საათობით ღრუბლების ცქერა ან მდინარის პირას დგომა და წყალში ქვების მრავალფერადობის უსასრულოდ, თავბრუსხვევამდე თვალის დევნება (მე მაშინ მეგონა, რომ იგივე სურვილი ყველა ადამიანს ჰქონდა), მოვიგონებ რამდენიმე ეპიზოდს.

დაახლოებით ათი წლისა ვიყავი, როცა გურიაში, ხიდისთავში, მეზობლის ქალები შეიკრიბებოდნენ და ღამით მდინარე გუბაზოულზე საბანაოდ მიდიოდნენ, თან მეც წამიყოლიებდნენ ხოლმე. მახსოვს, ხუმრობდნენ; ერთი კაცი მაინც გვახლდესო. მე, რა თქმა უნდა, სრულიად არ მერიდებოდნენ, გაიხდიდნენ ტანზე და ტკარცალით შეუშვერდნენ ღამის შუქზე მოკიაფე შიშველ სხეულებს გუბაზოულის გამაგრილებელ ჩქერებს. მე გაოგნებული ვუცქერდი ამ მშვენიერ თავაშვებულ "ორგიებს". მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე რამდენიმეჯერ მინახავს ისეთი დიდებული სანახაობა და ახლაც, აგერ ოთხმოც წელს გადაცილებული კაცი დავხუჭავ თვალებს და ვიხსენებ დიდი ხნის წინათ ნანახს ამ მშვენიერებას. რამდენჯერმე ვცადე ფერწერაში იქ განცდილის და ნანახის გაკეთება და კიდევ ვცდი აუცილებლად.

მეორე ეპიზოდი: დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინათ მე და მამაჩემი, ლავროსი კალანდაძე სანადიროდ ვიყავით საინგილოში. დილით გარიჟრაჟზე იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ ვადექით, გამოჩნდა სამი ნაბდიანი ცხენოსანი, რომლებიც დაღესტნის გადმოსავალიდან ჩორთით მოაგელვებდნენ ცხენებს, თითქოს რაღაც საიდუმლო მისიის შესასრულებლად მოდიოდნენ... ჰაჯი მურატი თავის ნუკერებით ან კიდევ, ვინ იცის, რა?!..

ამ ამბის ნახვიდან ათი წლის შემდეგ ფერწერაში გავაკეთე იქ განცდილი, გავიდა ოცი წელი და გავაკეთე ხელმეორედ, სულ ახლახან, უკვე ორმოცდაათი წლის შემდეგ, დავხატე მესამე სურათი, რომელიც, მგონი, ყველაზე უკეთესია.

ჩემს თავს ვეკითხები, რა მინდა, რა მაწუხებს, რატომ არ ვისვენებ?.. მართალი, რომ ვთქვა არ ვიცი!

კიდევ ერთი ეპიზოდი: ამას წინათ ალგეთის ხეობაში მივდიოდი მანქანით, ასურეთს იქით სოფელს მივადექი, მგონი, ჯორჯიაშვილი ჰქვია. ერთმა ფიცრულმა სახლმა მიიპყრო ჩემი ყურადღება; სიყვარულით გაკეთებული მომეჩვენა, პატარა, მოკრძალებული. რომ გავუსწორდი, მესერზე გაკრული განცხადება დავინახე – "იყიდება". გადამიტრიალდა გული! რატომ? რატომ იყიდება ეს პაწია, შიშველ ხეებში გუგულივით მიმალული ფიცრული? ათასი ფიქრი ამეშალა გონებაში, დავბრუნდი თბილისში და ფერწერაში გავაკეთე — ჯერ პატარა, შემდეგ უფრო მოზრდილი სურათი.

ერთმა ნაცნობმა გამომიარა, დაინახა მოლბერტზე ეს ტილო და წამოიძახა: ბატონო ჩემო, რა სევდიანია!..

როგორც ჩანს, შევძელი რაღაცის მიგნება! გამეხარდა, თუ სხვამაც დაინახა, ესე იგი, მიზანი მიღწეულია.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შემიძლია, როდის რა დავხატე ან დავწერე, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ აღწერაა იმისა, რაც ვნახე და რისი გაკეთებაც მოვისურვე. ეს ამბავია, რომლის გამო პოეტმა შეიძლება ლექსი დაწეროს ან კომპოზიტორმა თხზულება შექმნას და ა.შ. ეს საკუთრივ ფერწერა არ არის, ეს მხოლოდ ქარგაა, რომლის გამო სურათი დაიწერება, მაგრამ აუცილებელი ქარგა. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ მსგავსი განცდის გარეშე არ არსებობს მხატვრული შემოქმედება.

ფერწერა კი ამბების, განცდების სიბრტყეზე ფერებად, ხაზებად და ლაქებად გადაქცევაა, მაგრამ, როგორ ფერებად, მთელი საქმე ისაა!

ნამდვილი ფერწერა, როგორც ვიღაცამ მოხდენილად თქვა, ტილოზე გასრესილ ძვირფას ქვებს ჰგავს. ზუსტი ნათქვამია: სიბრტყეზე გასრესილ ძვირფას ქვებს!!!

ფერწერაში ყოველი ნასმი უნდა იყოს ჟღერადი და თავისთავადი და იმავდროულად დამორჩილებული საერთო ჰარმონიას. ეს კი უაღრესად ძნელი საქმე გახლავთ. ხელოვნების ისტორიის არსებობის მთელ მანძილზე მე სულ თითზე ჩამოსათვლელად ვიცი ასეთი ნამუშევრები, ხოლო მსოფლიო მუზეუმების კედლებზე უხვად არის ჩამოკიდე-



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე — შვილიშვილ მარეხ ხმალაძის პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე ჯვაროსნები

ბული ოთხკუთხედები, რომელთაც ფერწერული სურათები ჰქვიათ, მხოლოდ ტრადიციაა, და უმეტეს შემთხვევაში, სხვა ღირებულება მათ არა აქვთ. ჩემს ამ ნათქვამს ბევრი შეეწინააღმდეგება.

ახლა მე ვერ დავიწყებ ამ დებულებების მტკიცებას; ეს, გარდა იმისა, რომ ძნელია, აგრეთვე, ბევრ სივრცეს და მსჯელობას მოითხოვს და ამიტომ აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ ერთს: მაგალითად, რუსული ხელოვნების მთელ ისტორიაში ძნელია მოძებნო მხატვარი, ვინც ნამდვილი ფერწერის პირობებს აკმაყოფილებდეს. დიდი გაჭირვებით შეიძლება დავასახელო ანდრეი რუბლიოვი და მისი "წმინდა სამება", შემდეგ პალენოვი და არხიპოვი, ძლივძლივობით, სეროვი ("ქალიშვილი ატმით"). მთელი რეპინები, სურიკოვები და ვერეშჩაგინები კი ჩემი აზრით, წმინდა წყლის ლიტერატურული ფოტოგრაფიაა. რად ღირს თუნდაც, რეპინის "ზაპოროჟიელები წერენ წერილს ოსმალეთის სულთანს"! რა ამაზრზენი ნაციონალისტური ტკბობაა! მკითხველმა, ალბათ, იცის, რა ტექსტზეა საუბარი: ეს არის რუსული გინებისა და უხამსობის საკვირველი კრებული და ამით ტკბება "ჰუმანისტი" რეპინი. უკეთეს შემთხვევაში, ეს სურათი შესაძლოა, როგორც კინო კადრი (როგორც ნაციონალისტური კადრი), კიდევაც იყოს საინტერესო. თუმცა ეს უწმაწურობანი რა გასაკვირია, როცა თავად რუსეთის პრეზიდენტი ამბობს: "Замочить в сортире".

რატომ დავიწყე რუსულ მხატვრობაზე საუბარი? იმიტომ, რომ საქართველოს სამხატვრო აკადემიაში, რომელიც მე დიდი ვაივაგლახით დავამთავრე (აკადემიაში შესვლიდან მის დამთავრებამდე 14 წელი დავყავი იქ: ზოგ კურსზე სამსამი წელი ჩამტოვეს, ვითომდა ფორმალისტობის გამო, ერთხელ ვან გოგისა და ფიროსმანის სიყვარულისთვის და ა.შ.), მთელი პროგრამა რუსულ "პერედვიჟნიკულ" ხელოვნებაზე იყო დაყრდნობილი. ხატვა ისწავლებოდა ჩისტიაკოვის მეთოდით (დედამიწის ზურგზე არ მეგულება უფრო მანკიერი მეთოდი). სახვითი ხელოვნება ვიზუალური ხელოვნებაა, ადამიანები კი თავიანთი ინფორმაციის ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტს სწორედ ვიზუალური შეგრძნებით იღებენ; მიუხედავად ამისა, საკვირველია, რომ სწორედ სახვით ხელოვნებაში სუფევს აბსოლუტური გაუგებრობა. ჟურნალ "ცისკრის" თანამშრომელმა მკითხა თუ რა აზრისა ვარ თანამედროვე მხატვრობაში ექსპერიმენტებზე (მოდერნიზმზე, პოპარტზე, სოცარტზე, კონცეპტუალიზმზე და ა.შ.). რა აზრის ვარ და მიმაჩნია, რომ ეს ხალხი, ვინც ამ გზაზე დგას, უკეთეს შემთხვევაში, ძიებაშია. ეს არის ბრძოლა არსებობისთვის, აგონია, სასოწარკვეთილება, აფერიზმი, ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა და სხვადასხვა მიზეზი ერთად არეული. ხსენებული მოვლენები თუ მიმართულებები თანამედროვე მოვლენაა, მაგრამ მხოლოდ ამიტომ ხომ არ არის ის ჭეშმარიტი და პროგრესული?

ხელოვნების ისტორიაში იყო ისეთი ასწლეულებიც, როცა აკრძალული იყო ადამიანის გამოსახულების გაკეთება ანდა მიღწეული აღიარებული მშვენიერებების უარყოფა. რაღა შორს მივდივართ, ჩვენს დედაქალაქში იდგა შესანიშნავი ვანქის ტაძარი, რომელიც ბერიას დროს დაანგრიეს. იდგა არაჩვეულებრივი ულამაზესი მეჩეთი, — კანდიდ ჩარკვიანის დროს დაანგრიეს. სხვათა შორის, ჩემმა სიმამრმა, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ მეჩეთის დანგრევის განზრახვა რომ შეიტყო, ვინ არ შეაწუხა, ვის არ მიმართა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – მეჩეთი მაინც დაანგრიეს. თუმცა მან მშვენიერი „ნორაშენი", სინაგოგასთან რომ დგას ყელმოღერებული გადაარჩინა. ვერ წარმოიდგენთ, რა ლამაზი იყო თბილისი მაშინ და რამდენ ვალუტას შემოიტანდნენ ტურისტები ხაზინაში, ძველებური ქალაქი ხელუხლებლად რომ დარჩენილიყო. კომუნისტებს საერთოდ სჩვეოდათ საკუთარი ისტორიის უარყოფა და ძველის ნგრევა, მოიგონეთ, საინგილო ანდა „ინტერნაციონალი".

რატომ აქვს შესანიშნავი ბერძნული ქანდაკებების უმეტესობას მომტვრეული კიდურები, რატომ აქვთ მათ დამტვრეული ცხვირ-პირი? – ეს ყველაფერი ადამიანების ნამოქმედარია. სულ რამდენიმე წლის წინათ ავლანეთში თალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე          შიშველი ფიგურა

იბებმა 5 ათასი წლის წინათ კლდეში გამოკვეთილი მონუმენტი გაანადგურეს. ცხოვრება არ ვითარდება სწორხაზოვნად; დახეთ, რა ხდება დღევანდელ საქართველოშიც; წაბრძანდით გლდანის დასახლების ბოლოში და ნახეთ სულით დაავადებულთა საავადმყოფო – "ოსვენციმი" მოგაგონდებათ! მერე წაბრძანდით თბილისის მეორე მხარეს და იხილეთ გაპრიალებული კაზინოები "მერსედესის" ავტომობილებით გარშემორტყმული. შებრძანდით შიგ და თქვენი თვალით იხილეთ თვრამეტი წლის მეძავები და გამეცით პასუხი: ეს დღევანდელობაა და ამიტომ არის კარგი?!

ხელოვნება ნაზი სიმღერაა, იგი უკვდავია და ვერავინ აკრძალავს. იგი აუცილებელი პირობაა თავად სიცოცხლის. მაგრამ როგორ შეეჯიბრება ის კაცობრიობის ისტორიაში მომხდარ კატაკლიზმებს? ტყუილად ხომ არ დაწერა ერთმა რუსმა პოეტმა: "Цельтесь в поэтов и вы попадете в историю". დიახ, ასეთია ხელოვანთა ბედი!

ამას წინათ ერთმა ცნობილმა კაცმა რუსთაველიც კი გაგვილანძღა, რა პიროვნებებია ტარიელი და ავთანდილიო და ა.შ. როგორც ჩანს, ამ კაცს ძლიერი სოციალური ზურგი აქვს, თორემ როგორ გაბედავდა იგი ერის საგანძურში ხელის ფათურს. აკი რუსთაველმაც თქვა, *"რა ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია"*. მთავარი ის არის, რომ "ვეფხისტყაოსანი" ქართული ენის უბადლო ტაძარია! რა იქნებოდა საქართველო, რომ "ვეფხისტყაოსანი" არ გვქონოდა?! ჩვიდმეტიათასი ქართული სიტყვაა მწყობრ მარგალიტებად ჩაწყობილი.

ახლა ზოგი რამ ისევ ჩემზე: როგორ ვპასუხობ მე, როგორც შემოქმედი, საქართველოში მომხდარ ამბებს – მის ბედს თუ უბედობას.

დიდი ხნის წინათ გავაკეთე სურათი "ქერჩი", ვინაიდან იქ ტყუილ-უბრალოდ დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე სამასი ათასი ქართველის დიდი ნაწილი. მეც იმ ომის მონაწილე ვარ და შემთხვევით ვარ გადარჩენილი ჩემი თანაკლასელი 18 ბიჭიდან სულ ხუთნი დავბრუნდით...

გავაკეთე სურათი "ლტოლვილები", რომელიც ტრეტიაკოვის გალერეამ შეიძინა; მისი მეორე ვარიანტი მე მაქვს.

გავაკეთე სურათი "დანი ჩემი დაუვიწყარნი", ებრაელებს როგორ მიერეკებიან მხრჩოლავი აირის კამერებისკენ. ეს ნაწარმოები მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხების ხელოვნების მუზეუმის კუთვნილებაა.

გავაკეთე "დახვრეტა დიდუბეში" – სხვათა შორის, ისინი, ვინც იმ დახვრეტაში მონაწილეობდნენ, დღესაც ამაყად დაბრძანდებიან თბილისის ქუჩებში...

გავაკეთე სურათი "ჯალათი" – რადგან ვერაფრით ვაპატიებ ოთხი ათასი თბილისელის მოწამვლას იმათ, ვინც ეს ჩაიდინა. შარშან თბილისში ჩატარდა მათემატიკოსების საერთაშორისო კონფერენცია და სახელოსნოში ამ კონფერენციის მონაწილე თხუთმეტიოდე ადამიანი მესტუმრა. მათ ხსენებული "ჯალათი" ვაჩვენე. სურათზე რუსი "სალდატია" გამოსახული სისხლიანი ნაჯახით ხელში. როცა დელეგაცია ჩემს სახელოსნოს დიდი მადლობებით სტოვებდა, ერთი ცნობილი მეცნიერი გამოეყო მათ და მკითხა: "А почему вы не нарисовали того, кто сидел 9 апреля на Тбилисском аэродроме?" ნეტავ, ვის გულისხმობდა?!..

ასე რომ, საქართველოს ბედი თუ უბედობა შიგ გულში მხვდება და შეძლებისდაგვარად ვპასუხობ მას – *"ერის წყლული მაჩნდეს წყლულად"*...

და ბოლოს, კიდევ ერთხელ, რა არის ფერწერა?

ეს არის ფიქრი სალებავებით. ეს არის სურვილი, ებრძოლო წარმავალობას, სიკვდილს, გაქრობას. ეს არის კადნიერი ოცნება, იყო შემოქმედი და შექმნა შენი სამყარო, სადაც შენ და მხოლოდ შენ იქნები ყოვლივეს მსაჯული და გამგებელი; ისაზრდოვო შენი ფანტაზიით,ააგო სამართლიანობის და ლმობიერების კოშკები, შენს თავზე აიღო დასჯისა და პატიების უფლება. და, იმავ დროს, გქონდეს სრული შეგრძნება იმისა, რომ ეს თამაშია (და, როგორც XX საუკუნის ერთი ბრძენი კაცი, თომას მანი იტყოდა), თამაშია, მაგრამ სერიოზული თამაში, განკუთვნილი იმისთვის, რომ ადამიანების წინაშე იჯამბაზო, რათა სიამოვნების ღიმილი გამოსტაცო მათ.

და ამიტომ შენი ჯამბაზობა უნდა ემორჩილებოდეს სილამაზის კანონებს და ამიტომ უნდა ჰგავდეს ფერწერა გასრესილ ძვირფას ქვებს.

მე კი ერთი უბრალო კაცი ვარ, ვინც ამ ქვეყანაზე საქმედ ფერწერა ავირჩიე, მთელი ცხოვრება ვემსახურები მას და არც მას უღალატია ჩემთვის და არც მე მისთვის არასოდეს!!!



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე          დავით ჩუბინიშვილის პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დათა გულუა

დათა გულუა მხოლოდ 18 წლისა იყო... სავსე ფიქრით, ტკივილითა და სიხარულით... საოცრად ზრდილი და განათლებული, კარგი მეგობარი, ჭირის და ლხინის გულთან მიმტანი და გამზიარებელი, მეგობრებში გამორჩეული თამადა... მაგრამ, სამწუხაროდ, არც მეგობრებმა, არც მშობლებმა არ იცოდნენ, რომ დათა ბრწყინვალე მონაცემებისა და დიდი მომავლის პოეტი იყო, რომელმაც, მხოლოდ ორ წელიწადში (ორი წლის წინ დაუწყია ლექსების წერა!) მოასწრო რამდენიმე შესანიშნავი ლექსის შექმნა...

ამ ლექსებში კარგად იკითხება მისი, როგორც პოეტის ნიჭი და ერუდიცია, ის ლამაზი სამყარო, რომელშიც ცხოვრობდა, ჩანს, ის ვნებაც, მის სულში რომ ტრიალებდა...

დათას ლექსებში იგრძნობა ტერენტი გრანელის და შაქრო სამადაშვილის სევდა, მაგრამ ეს სევდა არ არის დამთრგუნველი და შიშის მომგვრელი, პირიქით, მის სევდას უცხო სხივი და ამაღლებული ელფერი დაჰკრავს; იგრძნობა გალაკტიონის არტისტიზმიც, რომელიც ერთგვარად ხორკლიანი, მაგრამ მისეულია, მის პოეტურ ქურაშია გამოტარებული, მისი ფიქრის და ხედვის ნაწილია...

დათა გულუამ ზებუნებრივი ხილვებით განჭვრიტა თავისი ტრაგიკული სიკვდილი, ამიტომაც ძალიან ჩქარობდა, რათა ბევრი მოესწრო, რათა სათქმელი ეთქვა; განჭვრიტა საკუთარი დასაფლავების დღე და ადგილიც კი, და დაგვიტოვა მარადიულ ტკივილთან წილნაყარი მშვენიერი ლექსები. „გონების ღრმულებში აღმოცენებული ჩემი პოეზია თქვენს სულებამდე მიღწევას ცდილობს“, - წერს დათა გულუა ერთ წერილში; მისმა პოეზიამ ჩვენს სულებამდე უკვე მოაღწია და ჩვენთან დარჩება სამუდამოდ, როგორც მისი სულის ანარეკლი, როგორც მისი ტკივილი და სიხარული...

*ბაღათერ არაბული*

## ადამი

I

ფეხზე ადექით, ცოდვილნო, ფეხზე...
პროცესზე ბატონი ჟამი შემოდის.
ყური მიიდეთ ანაზდად მკერდზე
სულის ბორკილი იგრძნეთ გემოთი!

ადამ, ადექი, შერყვნილო სისხლო
მოხსენი ხორცი ჩრდილების წყლულებს,
წაჰგლიჯე აპკი, რაც შენში ბირთვობს,
და ჩაუცურე თვალები ლულებს.

- შეშინდი? ღიმილს მგვრის ეგ სუდარა,
რომ დააფარო მომავლის ნაყოფს,
რად გვინდა შენი ბილწი მუდარა,
ჭეშმარიტებას ვერცხლით რომ ადნობს?!

გველთა ტოკვაა შენს თეთრ სტომაქში,
შხამის ბუყბუყი სველ ბაგეებზე
და გახრწნა არის შენი ქომაგი,
ყრუ მოძრაობა ლურჯ სარკეებზე.

როგორ დაგილპა ნაყოფის ფერი,
რა უძრავია გალაქტიკები,
რა უყავ შენი ქერა აბელი,
რად დაგვიშენე ანტარქტიდები?!

II

ფერადი წამის ნაცადი როკვა,
ჟამის ქუსლები, ტომი, ბელადნი,
ათასი ვერცხლი, ნაგვემი, ცოდვა,
გოდოლნი შოლტად ნაჭედნი ცამდე.

იმპერიები, ოქროს ტახტები
და სისხლიანი სარეცელები,
ოკეანეთა ცხელი იახტები,
სიკვდილის თლილი სარი, ცელები,

არტურის მრგვალი მაგიდის რაინდნი,
ღირსება – თეთრი კილიმანჯარო,
ხან ბეთჰოვენი, ხანაც ჰაიდნი,
მეფისტოფელი – პლანეტის ჯაყო...

ყელზე მიმხმარი რამდენი სიტყვა
და ანარეკლნი დანალეწები,
მძივად ჩაყრილი გულ-მკერდზე ტყვია,
ამოხეთქილი ქვაზე ლერწმები.

რამდენი ბრალი გვასხია ლაქად,
თავის მართლება გვიგუდავს ერთ ქალს,
სარკესთან პასუხს ვის გასცემ ადამ?
თუ ისევ წახვალ, მიახრჩობ ევას?!

არ გაიხადო, არ გინდა, თორემ
უთვლელი ვირთხა ამაზრზენობის
დაგივლის ტანში, დაგიმტვრევს მორებს,
არ დაგიტოვებს ძაფებს ზნეობის.

თუმცა ზნეობა? რომელი ძაფი,
ქრისტეს ჯვარცმისას რომ გაწყდა მიწად?!
თუ ამღვრეული იმ ვაშლის ქაფი,
რომ მიირთმევდა ედემში ფიცხად,

თუ სასთუმალზე ევასთან კვნესა
და დედამიწის ჩამსხვრევა ორად,
აბელის შავი დაკრძალვის მესა
და სისპეტაკე ქცეული ჭორად...

გააპო ქველი დარდის რითმები
ამაოებამ, ამაოებამ
და დღეს დილაა განაფითრები
სად სათნოება? ხარ სათნოება?

მე ჩემს ფიქრებში კვლავ ჩავიშლები
და ეს წამებიც გარდავლენ მალე,
დარჩება დედის გლოვის ხავილი:
რას ჩადი, აბელ?!
რას ჩადი, აბელ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

III
ჩაქუჩმა სწრაფად დაჰკრა ვერდიქტი,
მზე ღრიალებდა – დამნაშავეა!
იმედს ვფურცლავდი, როგორც პოეტი,
და თან ვყვიროდი: მზეც ხომ შავია?!

და მე ვიდექი ასე შიშველი,
ყრუ, უბინაო, ნაღალატარი,
მოტყუებული ნომერ პირველი
და დღეს დამცვივდა ლომის ფაფარი.

მე მირჩევნია სიკვდილის ჩაცმა,
მშიერმა ვსდიო მიზანს მიუვალს,
დღეს ვუღალატე მე ქრისტეს ჯვარცმას
და მივეფარე ვერცხლის იუდას...

უფალო ერთო, ძლიერო, მთელო,
უზენაესო ზღვათა და ცათა,
შემინდე ჩემი ცოდვანი, ღმერთო,
და დამაბრუნე შენს მზისფერ ფრთასთან.

შეუნდე სისხლი, ვაება ცოდვილთ,
შევეწირები ცოდვებს ზვარაკად,
თუ გინდ, მას შემდეგ შთამომავლობას,
ეს ჩემი ძვლები დარჩეს არაკად.

„ყოველმან ჩემმან სანთელთ მპოველმან"
შეხედეთ ფრთიან გამოქვაბულებს,
შეხედეთ, ჩემი აფრები თრთიან,
რომ აღმაფრენით შეეხოს გულებს.

როდემდე ვიდგეთ ცოდვის ქვიშებში,
პირამიდები ყვირიან: სანამ?
პასუხი მედგრად მოსჩანს სილებში
თვისი უკვდავი სახელით – ადამ...

***15.06.2003***
*თბილისი*

## ევა

I
მე დღეს ვარ მგელი მოკვდავთა შორის,
და თქვენს სულს გავხდი შავ ანაფორას,
პოეზიაში ვითარცა ქორი,
თავს დავტრიალებ ლექსის სალოცავს.

ჩვენში ორმაგად ცხოვრობს ცხოველი,
თითქოს მრცხვენია, კანი რომ მმოსავს,
ვითარცა ვნების უცხო მწოველნი
პლანეტას ვაყრით სიმდაბლის ჩოქვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმინეთ, ყოველ კავკასიელნო,
სპარსნო, ოსმალნო, თუნდაც კელტებო,
იმერ-ამიერ გადამთიელნო,
შავი თუ თეთრი საყდრის ბერებო,

დღეს ჩვენს გულებზე ფეთქავს ორღანი
და მოისმინეთ ჩემი ლეგენდა,
ამონგრეულა სულის ყურღანი
და თითქოს ლექსი ხმლებით მეკვეთა.

II

მას თითქოს მზიანი ემოსა კუბო,
ვით სარკოფაგში დაჟანგულ რამზესს,
და ის დღეს ვნებას ნებდება უფრო,
ვით უსპეტაკეს ცას, უზენაესს,

მისგან სიცოცხლის გამოდის სხივი,
ედემის ვაშლის დამპალი ყუნწი,
მშვენიერების მოლურჯო ტივი,
ზღვისფერი გულის სარქველი ლუწი.

მასში ცხოვრება რჩეულთ ხვედრია,
ყველაზე დიდი მიწის ორდენი.
და თითქოს სული მისი ნედლია
ვით ცეცხლოვანი მიწის ქორდები.

მისთვის ხტუნავენ ნიამორები,
ჩვენ მისთვის ვუკრავთ სხეულის თარებს
და მამრთა ძვლები, როგორც მორები,
კვლავ მიჰყვებიან გარდასვლის ქარებს.

მისთვის ჟანგდება ცურვით თვალები,
ვით ხომალდები ოკეანის ფსკერს
ქუჩის საწვიმურთ მოვჭრით მთვრალები,
დედას დავაყრით ცრემლების მეწყერს.

მას ჰქვია ევა, ჟამთა მშვენება,
ათას მუზაში ჩამძვრალი გენი,
ის ჩვენს წინ იხდის, ვით მოჩვენება,
სიზმრის დროს გაკვრით ნანახი გედი.

მის მკერდქვეშ ბოდავს ყოველი ჩვილი,
მის მკერდქვეშ ბრუნავს პლანეტის ღერძი,
უფლის მადლია მისი შემქმნელი
და მისი ტანის უბადლო თერძი.

ის არის ლუვრის ქველი ჯოკონდა,
ის იყო გალა და გალათეა,
მისი გვირგვინი მხრებით მოგვქონდა,
რა სინათლეა, რა სინათლეა!

მოტყუებული მარად და კარად,
აფარებული სიძვათა ჭრაქებს.
ვარდით მოსილი მომრგვალო ქალთა
გაუგლეჯია ვნებიან ზათქებს,

ბრძოლაში მარად დამარცხებული,
ვით ბონაპარტი ვატერლოოზე,
სიკვდილის დროშით გამარჯვებული
აბელი იდგა ლურჯ სამრეკლოზე.

ზარები თრთოდნენ
ლინ ...
ლონ ...
ლენ ...
უკვართო შიშველნი, განრისხებულნი
მამრნი სამარედ
მირ ..
ბოდ ..
ნენ ..

III

აჰა ტალღები, შვილნო, დედანო,
თქვენ საფლავებზე სწუხან ვაჟები,
ყოველი ღამის ღვინის სევდანო,
ვარდნი გაწყვიათ, როგორც კაჟები.

თქვენ შეგისრუტეს ყოფის ტალღებმა,
“Santa Maria“, შენც ხომ ქალი ხარ,
თოფის ლულების უცხო ბალღებმა
გადაგვაქციეს ვნების ბახლებად...

ნეკნის მოდგმანნო, ტკბილო ცოდვანო,
კაცობრიობის შხამი თქვენია,
თვით აკლდამების კართა ბოდვანნო,
ამ სხეულიდან ამიფრენია,

ამიფრენია თეთრი გედივით,
ამიფრენია ამ კალმის ფრთებით
და მეოცნებე გლახი ყბედივით
დამინგრევია ნეპალის მთები.

IV

ევა, შენ შობე კაენი,
იქვე აბელიც მეცხვარე,
ჩვენს მოდგმაშია ჰაერი,
ორის ნიღაბი, მზე ცხარე...

და, როცა ვიშვი ამქვეყნად,
ტირილი ისე მწყუროდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, იმ ვაშლის სიცხარე
თვით ჩემს ძარღვებში ყმუოდა.

თამარი იყავ და ქეთევანი
იყავ მარაბდა და ბასიანი,
მაგრამ ჩამოტყდა გულ-მკერდს მტევანი,
და არ დაეცა ჟამს ასიანი.

შენ გადაგიჭრეს ამბორით თითი
და გაიყიდე ფულით სხეული,
შენ არ გახსოვდა, რომ ნეფერტიტი,
იყო თვით რაეს, ოქროს მზის წული.

მე ვარ აბელი და ვარ კაენი,
დანტეს ერთგული თანამესაყდრე
ვარ ორაგული, წყალი, ბადენი
თუ საჭიროა, ვარ მექალთანეც.

ღმერთო, შემინდე, დამინდე, ევა!
მე გაზაფხულის მინდა ამინდი,
შენ ხომ ჩემიც ხარ, ჩემი ხარ დედა,
ზღვაო, აცურდი, მზესთან აფრინდი.

***9.04.2003.***
***თბილისი***

## წერილი მეგობრებს

მე გავკადნიერდი და დიდი ხნის შემდეგ კვლავ დავუბრუნდი პროზას, ავიღე კალამი ხელში და თითქოს კვლავ ჩავვარდი აზრთა მორევში. მე არ მეხერხება გაურითმავი ფრაზების წერა იმიტომ, რომ რითმაში მხურვალება იგრძნობა, თუმცა გაურითმავი ფრაზებიც შეიძლება ახალდანთებული კოცონივით ააგიზგიზო. სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ შევეცდები იოლად მოვიტანო თქვენს გულამდე.

მაშინ, როდესაც დილა თენდება და მე თვალებს ვახელ, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ მზე ჩემთვის არ ამომძვრალა დედამიწის ჰორიზონტიდან. მზე არც იმისთვის ამოსულა, რომ უხარია ამოსვლა. ეს მისი ვალდებულებაა, რადგანაც იგი უფალის მოციქულია ჩვენს გალაქტიკაში და დროის ეტლები სწორედ მას არიან მიბმულნი ლაგამით. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ეტლი გვაქვს ამ ცხოვრებაში და მისი ერთადერთი მესაჭეები ჩვენ ვართ, ხოლო მეგობრები, მშობლები, ნათესავები მაინც დროებითი მეგზურები არიან ამ ბედის ეტლისა. მზის ამოსვლა მე უფრო ღრმად მესმის, იმაზე ღრმად, ვიდრე სხვებს ჰგონიათ. შეიძლება, ბევრ თქვენგანს ხშირად არ უნახავს სისხლით თვალაცრემლებული მზე, მაგრამ ყველაზე ხშირად ასეთი ხროტინებს ხოლმე ჩემს სარკმელთან ყოველ დილას. ძალიან მძიმეა ამ ხროტინის მოსმენა, ყველანაირ ხორციელ ტკივილზე ძნელი. ყველაზე დიდი სისასტიკე ის არის, რომ მთელი თავისი სიძლიერით გესმის, აღიქვამ მის ამაზრზენ ხმას და გგონია, რომ ახლა არა და ახლა გაგისკდება სასმენელი. მიუხედავად ამისა, მაინც ვცხოვრობ იმიტომ, რომ ცხოვრება ბრძოლაა. სულ ორი ადამიანი მეგულება დედამიწის ქერქზე (ყოველ შემთხვევაში, მე ორს ვიცნობ), ვინც იცის ტკივილის, ცრემლის, უკიდეგანო თეთრი ღამეების ფასი, და მეამაყება, რომ მე ამ ყოფის წისქვილზე მათთან ერთად ვდგავარ. მთავარია სული და რა გაქანებას მისცემ მას, რომელ გზას დაადგები. მე ეკლიანი ავირჩიე, სავსე ბარიერებით, გვამებით და ლეშებით. გზა, რომელიც ტაიგაზე გადის, სადაც ბულბულის გალობას მგლების ყმუილი სჭარბობს. რატომ? ლოგიკური კითხვაა, მაგრამ პასუხი ერთია - ეს არის პირდაპირი ბილიკი სულის სრულყოფისაკენ. ჩემო თანატოლებო, თქვენ, შეიძლება, ჯერ ბოლომდე არ გესმით მზის ამოსვლის მიზეზი და ძარღვებში სისხლის ბრუნვას არ უგდებთ ყურს, ხოლო მე, შეიძლება, ბოლომდე ვერა, მაგრამ ერთხელ მაინც განმიცდია ის ტკივილი, რაც ალიონს მოაქვს და ღრუბლების ფერდობებზე ანაწილებს. გახსოვდეთ! ღიმილით, სიცილით აღსავსე გარემო ყოველთვის როდი კრავს დადებითად დამუხტულ რკალს. მიუხედავად იმისა, რომ ყველანი სულიერი არსებები ხართ — ადამიანები — ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას, მაინც ადვილად სწირავთ ერთმანეთს

ტკივილებისთვის. განზრახ? სულაც არა, უბრალოდ, ბოლომდე ვერ გრძნობთ ტკივილის ფესვებს. ამის ცოდნას გამოცდილება სჭირდება. მე მოსამართლედ არ გამოვდგები, არც ბრალმდებლად, უბრალოდ, თქვენი მეგობარი ვარ და ვალდებული ვარ, ჩირაღდანი აგინთოთ იმ გარემოში, სადაც უსუსურები ხართ.

სიყვარული? პირადად ჩემთვის პეპელას ჰგავს, ორი დღე რომ ცოცხლობს და შემდეგ მისი ფრთები ზედმეტი სითბოსგან რომ იფერფლება. მე ბევრს გავცემ, რითაც ვანგრევ ჩემს გრძნობას და იმ კოშკებს, რომელიც არასწორ ნიადაგზე ავაგე თურმე. რაც შეეხება თავთავისფერ თმებს და ჭაობისფერ თვალებს, მე ამას უფრო ღრმა დატვირთვას ვაძლევ, ვიდრე ლინზებსა და მელირებას. ყველაფერს გრძნობის თვალით ვუყურებ და არ ვეძებ მატერიალურ, მიწიერ დეტალებს. შეიძლება, ეს დამღუპველია, მაგრამ საოცრად ლამაზი და საინტერესო. ცხოვრება ყვავილივითაა, საიდანაც სასარგებლო, საამო ნექტარი თავისით კი არ ჟონავს, შენ თვითონ უნდა ამოწოვო და შთანთქო. სწორედ ამ პროცესში ყალიბდები სულიერ არსებად — ადამიანად. გონების ღრმულებში აღმოცენებული პოეზია ჩემი თქვენს სულებამდე მიღწევას ცდილობს და არა მასების მიერ ნაჩუქარი აპლოდისმენტების მიღებას.

გიყვარდეთ ერთმანეთის სულები და გაუფრთხილდით მათ ისე, როგორც უფრთხილდებით თქვენს სხეულს. სულს თავისი სისხლი გააჩნია, რომლისგანაც თუ დაიცალა ადამიანი, უმალვე ლეშად გადაიქცევა, ხოლო ლეში ყარს. გახსოვდეთ, თქვენი თაფლნარევი შხამი, შეიძლება, თქვენს გვერდით მყოფს სულის სისხლს უწამლავს. დაფიქრდით ამაზე, ნუ გაიმეტებთ ადამიანებს ასე, დაინდეთ. ხვალ? ხვალ კვლავ მოიხსნის მთვარე ღამის პერანგს და მზედ გადაიქცევა. ახალი ბრძოლის ველი გაიშლება ჩვენს წინაშე, ოღონდ იგივე ჯარისკაცებით დაკომპლექტებული. გვეშინია, მაგრამ გენერლები გვერდში გვიდგანან და ხვალ ისინი ჩვენ უნდა შევცვალოთ. დავუნთოთ ერთმანეთს სულებში სანთლები, რადგანაც ხვალ მათი ერთობლიობა მომავლის გალაქტიკის მზეს კიდევ ერთ სხივს შეუზრდის.

*P.S.*

*ბოდიშს ვიხდი გრამატიკული შეცდომებისთვის. მაპატიეთ ზედმეტი კრიტიკა, ალბათ, ჭარბი გრძნობები მალაპარაკებს.*



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე

ელისო კაპანაძის პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი კანკავა

## ილიას „ეროვნული პროგრამა“ და ჩვენ

ადამიანი მიზნების დამსახველი და შესატყვისი, ანუ რაციონალური „საშუალებებით“ მათი მარეალიზებელი არსებაა. ფაქტია, რომ „ჩვენი“, როგორც სწორედ ქართველების, „მიმდინარე“ უმაღლესი ღირებულება უახლეს დროში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-დაფუძნებაა; ისიც ცხადია, რომ ეს პროცესი მძიმედ, „ჩავარდნის“ პირზე ყალიბდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერ „მივაგენით“, ვერ „მოვიფიქრეთ“ ის რაციონალური საშუალებები, რომლებიც ამ ძირითადი მიზნის ადეკვატურია. „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“, უთქვამს წინაპარს ჩვენივე ერთად ცხოვრების „ოქროს ხანაში“. ეს კონტრასტული ისტორიული ფონი შემთხვევით არ „შემოვიტანეთ“ სტატიაში, რომლის მიზანია, მეტი სინათლის შეტანას შევეცადოთ სადღეისო „სიტუაციაში“, იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც ილია ჭავჭავაძის „დანატოვარზე“ (სპეციალურად — პროზაზე) მუშაობისას დაგვიგროვდა ბოლო ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში. თვით ეს ხანა სიმბოლურია ილიას „დანატოვართან“ მიმართებაში: მოხევე და მგზავრი „გულისტკივილით“ სწორედ იმაზე „ოცნებობენ“, რისი რეალიზებაც სადღეისოდ ასე მძიმედ და ჭრიალით მიმდინარეობს.

„ზედაპირულადაც“ თვალსაჩინოა ილიას მიერ დასმული პრობლემატიკის „საჭირბოროტობა“ სადღეისო ძირითად პოლიტიკურ პროცესთან მიმართებაში: მაქსიმალური ლაკონიზმით მისი აღწერა შესაძლებელია „მგზავრის წერილების“ და „კაცია-ადამიანის“ ტერმინებში — ჩვენში გრძელდება და არ წყდება „კაცია-ადამიანის“ „ეპოქა“, და გასარკვევია, რატომ მიმდინარეობს მგზავრის და მოხევეს „ოცნების“ განხორციელება „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟების დაკვეთით. ამ კითხვაზე, ნაწილობრივ მაინც, პასუხის გაცემა ილიას „პროგრამის“ იმ მხარეებს წარმოაჩენს, რომელიც აუთვისებელი აქტუალური პოლიტიკური რესურსია აღნიშნული პოლიტიკური პროცესისთვის და მისი „სუბიექტებისთვისაც“, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობისთვის ილიას ისტორიული ფიგურის „რეკლამირება“ საჭირო არ არის.

დასაწყისში, პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ ანალიზის იმ „ცალმხრივობაზე“, რომელიც ილიასმცოდნეობას მკაფიოდ ამჩნევია და რამაც უკვალოდ არ ჩაიარა თვით თანამედროვე საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოვლენებისა და ურთიერთობებისთვის. „მგზავრის წერილებს“ პ. ინგოროყვა სამართლიანად აღიარებს XIX ს. II ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების „დოკუმენტად“. მაგრამ, „სათავეებიდან“ მოყოლებული (კ. აბაშიძე, არჩ. ჯორჯაძე, პ. ინგოროყვა...) ანალიზის ცენტში მოქცეული იყო მოხევე, უფრო ზუსტად, მისი ცნობილი ფრაზა, და მხოლოდ გაკვრით, „პერიფერიულად“ (არჩ. ჯორჯაძე) მგზავრის სახე. ამან განაპირობა ზემოთ ხსენებული „ცალმხრივობა“ და მოთხრობის ძირითადი სათქმელი დაყვანილი იქნა მოხევეს ფრაზაზე, ანუ მოწოდებაზე — გვინდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გვინდა ეროვნული დაცემული ვინაობის აღდგენა! ტექსტის ანალიზი აჩვენებს, რომ მგზავრის მხატვრული ფუნქცია ასევე მონაწილეობს ძირითადი სათქმელის ფორმირებაში — იგი გვისახავს ზოგად სტრატეგიულ გეზს იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს მოხევეს მოწოდების განხორციელება, ხოლო მოთხრობის ისტორიული მნიშვნელობის ძირითადი სათქმელი ასეთია: ჩვენი „გულისტკივილის მორჩენისთვის“ აუცილებელია საკუთარი ისტორიული მეხსიერების, გამოცდილების (მოხევეს „ხაზი“) გამდიდრება ახალი დროის, ანუ ევროპის „დიდი ნაციების“ („ევროპიელი“ „ფრანსიელი“) ახალი სოციალური გამოცდილებით, მიღწევებით (მგზავრი ამისთვის პეტერბურგში წასულა „ოთხი წელიწადით“ და იქაურ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა სამშობლოში მოაქვს; მას იქ ეს ახალი ცოდნა, „გულის და ტვინის ამოძრავება“ აინტერესებს და არა „რუსის აფიცერის“ მოწონებული „იზლერის ბაღები“. იხ. ჩვენი „მგზავრის წერილების“ მხატვრულ სახეთა სისტემა. იდეოლოგია. დათარიღება, „ლიტერატურული ძიებანი“, 2000 წ.)

აღნიშნული ცალმხრივობა ჩვენი მეცნიერებისა ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძლია XX ს. მიწურულის ეროვნულმა მოძრაობამ, რა მიზეზითაც მისეული „ილიას გზაზე“ დგომა „კეთილი სურვილების“ დეკლარირებად იქცა, რასაც პოლიტიკური პროცესი ვერ იტანს. „გვინდა ეროვნული“, „გვინდა ეროვნულ- სახელმწიფოებრივი“ — შესატყვისი „საშუალებების“ მოძიების გარეშე, რომელსაც „სოციალურს“ უწოდებენ, ამ მოწოდებებს ჰაერში გამოკიდულად ტოვებს, რაც აისახა ამ „მოძრაობის“ და მისი სახელმწიფოს ბედზე. აქ მწვავედ დგება ახალი დროის მეცნიერების ათვისების პრობლემა არა ცალკეული წარმატებული მეცნიერების და სამეცნიერო სკოლების ქონის, არამედ საზოგადოებასთან მეცნიერების მიღწევების ინტეგრირებულობის აზრით. მეცნიერების ათვისების აუცილებლობას ფართოდ და პრინციპულად სწორედ ილია აყალიბებს.

„დრო გამოიცვალა“, ნუხს და ჩივის „ძველი ქართველი“ ლუარსაბ თათქარიძე. ისტორიული დროის გამოცვლა „ძველმა ქართველებმა“ მართლაც გააცნობიერეს: „აწ გამოიცვალა დრო“, ამბობს 26 წლის გრ. ორბელიანთან საუბარში „კნიაზი“ აბხაზი, (მას „დღიურის“ ავტორი „ჭეშმარიტ ძედ მამულისასა“ გვიხასიათებს, „კნიაზი“ კი რუსეთის არმიის გენერლის ჩინით გამოძახებულია აჯანყებულ პოლონეთში). მაგრამ ამ „ცვლილების“ პრინციპული ხასიათი და მისი მნიშვნელობა ჩვენი მიზნებისთვის გააზრებული არ არის — „ძველების“ აზროვნება ძველის და ახალის მექანიკური, ეკლექტური ნაზავია, რამაც განაპირობა, რომ ისინი „დაკარგულ დიდებაზე“ რომანტიკულად ცრემლების ღვრასა და უკანმოუხედავ კონფორმიზმის შორის „მოძრაობას“ ვერ გასცდნენ (იხ. ჩვენი „კაცია-ადამიანის“ „რევოლუციები“, 2. „მამები და შვილები“, „ცისკარი“, 2003, 7-8). „კაცია-ადამიანში“ ლუარსაბისეული „მიზეზები“ ახალი დროის ათვალისწუნებისა სავსებით კონკრეტულია: ახალი დროის მეცნიერება „ეშმაკისეულია“, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი „ეშმაკისაა“ თუ „ქაჯისაა“, ბატონყმობის გაუქმება, ანუ „ადამიანის და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“, როგორც სახელმწიფოს არსებობის საკონსტიტუციო ნორმა, სხვა ახალი პოლიტიკური მიღწევები, „ეშმაკის მანქანებია“, „მეორედ მოსვლაა“, ხოლო „ჭკვიანი კაცები“, ვისაც დაუწერიათ, ბატონყმობის გაუქმება „კარგი იქნებაო ქვეყნისთვის“ — „იუდას კერძებია“. ყველა ეს ახალი დროის ძირითადი ნიშანია.

მოთხრობაში „მხილებულია“ ძველი ქართველის ქრისტიანული შუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი აზროვნების ტიპი (უწინდელი მეცნიერება — სქოლასტიკა), რომელიც ადამიანის „სააქაო“ ინტერესებს, არსებობის ყველა სფეროს მოიაზრებდა საეკლესიო-რელიგიურ ტერმინებში; მეორე მხრივ, დაკონკრეტებულია ის ღირებული ახალი გამოცდილება, რაც აუცილებელია ჩვენი უმთავრესი მიზნის მიღწევისთვის, ხოლო მთლიანად — თათქარიძეობა, ან უკრიტიკო ძველი გზის მოყვარეობაზე გადაბმული პოლიტიკური კონფორმიზმი, შეფასებულია უმომავლობად — მათ „ნანატრი“ ვაჟი, გვარის გამგრძელებელი არ ეყოლებათ. თათქარიძეების „ბედნიერება“ აუცილებლად „დაირღვევა“! მსგავსი თათქარიძეობა ბუდობს სადღეისოდაც და ჩვენი „ბედნიერება“ პერმანენტულად დარღვეულია. „კაცია-ადამიანის“ წინასწარმეტყველება აუხდა არა მარტო „მაღალ წოდებას“, არამდე დღესაც გრძელდება. იგივე შეცდომების დაშვებას იგივე შედეგები მოჰყვება. ისტორია თათქარიძეებისთვის „მეორდება“ და არა საზოგადოდ, როგორც ეს თათქარიძეებს ჰგონიათ.

გაკვირვებას იწვევს, რომ „მგზავრის წერილების“ „სტრატეგიული გეზი“ ათიოდე წლის შემდეგ ილიას პირდაპირ აქვს გამოთქმული თავის საპროგრამო 1881 წლის აპრილის „შინაურ მიმოხილვაში“ („მიმართულება უარმყოფელის...“), რისთვისაც სთანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. ილია აქ ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენის პრობლემას აყენებს და ზოგადად მიუთითებს მისი განხორციელებისთვის აუცილებელ საშუალებაზე: ამისთვის აუცილებელი „თოფ-იარაღი“, „ფარ-ხმალი“, „ყმაწვილკაცების“ „მთელი ევროპის გამოცდილების და მეცნიერებით“ „შეჭურვილობა“ ყოფილა (განმეორებულია ორჯერ!) და უამისოდ „ერთ ბიჯსაც“ ხეირიანად ვერ წავდგამთ „ამ მოედანზედ“ და მას „ვერაფერს დავამჩნევთ“. ვერ „წავიკითხეთ“, და ვერც „დავამჩნიეთ“.

ამ საპროგრამო სტატიაში „დასავლური“, ფართო აზრით, სოციალური გამოცდილება წარმოდგენილია ჩვენი (ეროვნული) მიზნის „აღდგენის“ „ფარ-ხმალად“, „თოფ-იარაღად“, ანუ „საშუალებად“: ეროვნული მიზანია, ხოლო „დასავლური“ — „საშუალებაა“. თუ ეს აქ პირდაპირ არ არის გამოთქმული, იმიტომ, რომ ილიას აზროვნება აქ „მეტაფორულია“ („თოფ-იარაღი“, „ფარ-ხმალი“), ანუ მხოლოდ მაგულისხმებელია „ეროვნულის“ და „დასავლურის“ (სოციალურის) ცნებების ნამდვილი მიმართებისა. ამ პროგრამას აკლია ზუსტი, ლოგიკური გამიჯნულობა მისი ძირითადი, ცენტრალური ცნებებისა — აი, ეს „მიზანია“, ეს კი — „საშუალება“. პროგრამას ეს „ბოლო“, არსებითი ნაბიჯიც რომ გადაედგა უეჭველია, პროგრამის მომხრეთა რაოდენობა მრავალწილად გაიზრდებოდა, ვგულისხმობთ საზოგადოების განათლებულ, ზოგადად საღ ნაწილს, რადგან ცალკეული ინდივიდისგან განსხვავებით საზოგადოებას არ შეუძლია იყოს საკუთარი არსებობის მოწინააღმდეგე და სავარაუდოა, რომ ჩვენი ისტორია განსხვავებულად წარიმართებოდა თუნდაც სადღეისო პროცესის სახით. მართლაც, თუ მიზანი ეროვნულია, ხოლო არსებითი „საშუალებანი“ „დასავლური“, როგორ შეიძლება „მიზანი“ დავუპირისპიროთ „საშუალებას“? არადა, ფაქტია, „ეროვნულებად“ და „მედასავლეთეებად“ დაყოფა ამჩნევია არა უბრალოდ ცალკეულ „მოღვაწეებს“, არამედ, და რაც უმთავრესია, საზოგადოებასაც, მოსახლეობასაც და ხშირად სამწუხარო, მავნე პრეცედენტების მოწმენიც ვხდებით ამ მიმართულებით. ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ ნიშნით „დაყოფილმა“ ქართველებმა უახლეს ისტორიაში ორი ქართული სახელმწიფო გაისტუმრეს „საიქიოს“ – XX საუკუნის დასაწყისსა და მიწურულს.

ის, რომ სწორედ ამ ნიშნებით იყოფა ქართული საზოგადოება, ისტორიულად აიხსნება. ეს არის „დაჯგუფება“ „დღის“ მთავარი ღირებულებების გარშემო. ერთის მხრივ, ისტორიულად, „დასავლური“ მიღწევები ახალი საკაცობრიო გამოცდილებაა. მაგალითად, ბატონყმობის იძულებითი გაუქმება „ზევიდან“ რუსეთის იმპერიაში, აქედან კი ჩვენშიც, ბატონყმური რუსეთის იმპერიის ყირიმის ომში მარცხის შედეგია, რომლის უკან ახალი დროის „კლასიკურ“ ავტორად ცნობილი ინგლისის ნაცია იდგა. იმპერიის საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და იქ, საზოგადოდ, გაძლებისთვის“, კარი გაულეს სხვა ლიბერალურ რეფორმებსაც, კერძოდ, „საცენზურო რეფორმას“ — ე.წ. „გლასტპოსტის“ (!), რომელიც სხვა არაფერი იყო თუ არა სიტყვის და აზრის „თავისუფლება“; სწორედ ამ უფლების „დამსახურებაა“, რომ „კაცია-ადამიანი“ არა მარტო დაიწერა, დაიბეჭდა კიდეც 1863 წელს. ილია ამას ზედმიწევნით აცნბიერებს; მოთხრობის ისტორიზმის „ლოგიკა“ პერსონაჟთა ბედის ყირიმის ომზე, ხოლო ირიბად, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მიბმულობაში მდგომარეობს (იხ. იქვე). ეს უკანასკნელი, ევროპის კონტინენტზე იმ რეფორმების (ფეოდალური ურთიერთობების, აბსოლუტიზმის გადაყენება და „მოქალაქის და ადამიანის უფლებების დეკლარაცია“) შემოსვლას გვაუწყებს, რომლებიც რუსეთში ყირიმის ომის შემდეგ ზევიდან „შემოუშვეს“.

მეორე მხრივ, ჩვენ ვერ ვიტყვით უარს ეროვნულ-ისტორიულ-კულტურულ სახეზე, ანუ ისტორიის გამონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვევებზე გაცემული პასუხებით შემუშავებულ საკუთარსავე ადამიანურ განსაზღვრულობაზე (ეს შეუძლია ცალკეულ პირს, მაგრამ არა საზოგადოებას, რომლის „ადამიანური“ იდენტობა, საზრისი ჩვენი საერთო ბიოგრაფიის „შიგნითაა“ — სიმბოლიზებულია მის მიერვე შექმნილი კულტურის ფორმით. (იხ. ნ. ნათაძე, „ერი და ეროვნული კულტურა“, თბილისი, 1974 წელი).

ილიას ახასიათებდა სამშობლოს, რომლის „საჭირბოროტობასაც“ პირად უბედურებად აღიქვამდა, ისტორიულ-კულტურული ინდივიდუალური სახისა და საერთო საკაცობრიო პროცესის ერთდროულად მძაფრი განცდა. ამ „სიმძაფრესთან“ ერთად, პეტერბურგში მიღებულმა საბუნებისმეტყველო და საისტორიო (არჩ. ჯორჯაძე შენიშნავს, რომ „საქართველოს მოამბეზედ“ წარმოადგენს პოზიტივისტური „ისტორიის ფილოსოფიის“ შემოტანის „პირველ ცდას“ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზის საჭიროებისათვის. იხ. არჩ. ჯორჯაძე, წერილები, გვ. 170). განათლებამ, რუსეთის იმპერიის (რომლის ორ გუბერნიას შეადგენდა მისი ქვეყანა) „ცხოვრების“ ლიბერალურმა ამოძრავებამ, რომლის თვითმხილველი თავად იყო, განაპირობა აღნიშნული სტრატეგიული გეზის აღმოჩენა. პეტერბურგი, თავისი უნივერსიტეტის სახით, 60-იანების დასაწყისის ლიბერალურად ამოძრავებით, ჩვენთვისაც ევროპაში, ანუ ახალ დროში გაჭრილი ფანჯარა აღმოჩნდა, ვიდრე საკუთარი უნივერსიტეტი არ დავაარსეთ.

ამრიგად, ისტორიული ლოგიკის ფარგლებშია ამ ორი ღირებულებათა ჯგუფის არსებობა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში („კოკაში“), მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ისინი დაპირისპირებულნი უნდა იყვნენ. კორექტული პოლიტიკური აზროვნება ილიას პროგრამის სულისკვეთების კონტექსტში მათ „სინთეზს“ მოითხოვს ზემოთ აღნიშნული აზრით.

ამავე დროს, ისტორიულად, პროგრამის მაგულისხმებელმა, მეტაფორულმა „სტილმა“, შესაძლებელი გახადა მისი „ინტერპრეტირება“ მისივე სულისკვეთების საწინააღმდეგოდ; ორივე ცდას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა „გამოცვლილი დროის“ პირობებში ამგვარი ინტერპრეტაციის კვალი ამჩნევია. ჩენთვის მისაღები სქემატიზმით, XX საუკუნის დასაწყისში I რესპუბლიკის „შენება“ მიმდინარეობდა „საშუალების“ სახელით „მიზნის“ უგულებელყოფით, ხოლო XX საუკუნის მიწურულს, პირიქით, II რესპუბლიკის მშენებელნი „მიზნის“ სახელით „საშუალებას“ ან უგულებელყოფდნენ, ან მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ და ამას „ჩვენს განსაკუთრებულ გზად“ გვისახავდნენ. რაც მოვიწიეთ ამ გზებზე, არა უბრალოდ ვნახეთ, „ტყავით“ ვიწვნიეთ. ამგვარად, უახლესი ისტორიის გამოცდილება ლაკონურად განიმარტება ილიას „ეროვნული პროგრამის“ ტერმინებში, ანუ იგი თვით ისტორიითა შემოწმებული. რაც შეეხება III რესპუბლიკას, მას იმედგაცრუება ამჩნევია I და II რესპუბლიკების „იდეალების“ (შესაბამისად, „სოციალური“ და „ეროვნული“ იდეალები) მიმართ, მაგრამ სპეციფიკურ ადამიანურ ფუნქციებზე (ღირებულებებზე) ხელის აღებამ, შეიძლება, ეჭვი შეგვატანინოს ამ რესპუბლიკის არა უბრალოდ მომავალზე, არამედ მის აწმყოობაზეც, „რეალურობაზე“.

ჩვენი სიტუაციის სპეციფიკურობისთვის მეტი სინათლის მოსაფენად მივუბრუნდეთ ჩვენსავე საამაყო „ოქროს ხანას“ და შევნიშნოთ, ახალი დროის „დასავლეთის“ საცივილიზაციო დომინანტობის ერთ საფუძველს შეადგენდა მის მიერ „გამოგონილი“ კორექტული პოლიტიკური სისტემა, რომელიც (თვითონ, თავისთავად) ამინიმალურებს ოლიგარქიულ ვიწრო ეგოისტურ დესტრუქციულ ტენდენციებს ხელისუფლების შტოების დაყოფით, ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთჩაურევლობის პრინციპით, რაც გამოტანილი იყო საკუთარი ისტორიული ძნელბედობის გამოცდილებიდან, მისი განზოგადოებით. პირდაპირ ვიტყვი, რომ მსგავსი საკაცობრიო მასშტაბის კორექტული პოლიტიკური აზროვნების ქართული „მაგალითი“ დავით IV აღმაშენებლის სააზროვნო მასშტაბია, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა პატარა ქართული სახელმწიფოს ქცევა მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ მეტად სპეციფიკურ, „ცივილიზაციათა შეხვედრის“ ადგილზე. ამანვე შესაძლებელი გახადა ჩვენი „ოქროს ხანა“, რომელიც ახლაც გვახსოვს, არ გვასვენებს და მოქმედებისკენ გვიბიძგებს. დავითის რეფორმების პრინციპები ამომწურავადა აქვს გაანალიზებული ივ. ჯავახიშვილს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ტომი II, 1980 წ.), სიმოკლისთვის და სოზოგადოებრივი ურთიერთობების ზოგი ასპექტის გამწვავებულობის გაითვალისწინებით, გამოვყოფ დავითის სახელმწიფოს „ეროვნულ-სარწმუნოებრივი განსხვავებისდა მიუხედავად, ქვეშევრდომთა სრული თანასწორობის პრინციპს“. ივ. ჯავახიშვილი აანალიზებს XII საუკუნის ერთ ფაქტს ქართული სამართლებრივი აზროვნებისა, რომლის წინაშე „განცვიფრებას“ თავად ვერ მალავს: „აღნიშნული პრინციპი მტკიცდება საუცხოვოდ იმ საგანგებო სასამართლოს შემადგენლობითაც, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მწიგნობართ-უხუცესისა და ვაზირთა ყოველთა უპირველესის განკარგულებით სომეხთა ორ ეკლესიასა და სავანეს შორის ძვირფასი ოქროს ჯვარის გამო ატეხილი დავის გასარჩევად იყო მოწვეული: ამ არაჩვეულებრივი სასამართლოს წევრებად მოწვეულნი და დანიშნულნი იყვნენ როგორც სომეხთა ეკლესიის მღვდელმთავარნი, ისევე ქართული ეკლესიის მესვეურნი. ესეც უკვე თავისთავად გაუგონარი ამბავი იყო, რამდენადაც საკითხი სომეხთა ეკლესიას ეხებოდა მხოლოდ, მაგრამ ამაზე განმაცვიფრებელი და საყურადღებო ის არის, რომ ამავე სასამართლოს სრულუფლებიან მსაჯულ წევრებად მოწვეული იყვნენ თბილისისა და განძის განთქმული ყადიები და მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერნიც, რაც მაშინდელ მახლობელს აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაშიც სრულებით წარმოუდგენელი რამე იყო. ადვილი მისახვედრია, თუ რა უკმაყოფილება უნდა გამოეწვია ქრისტიანეთა ეკლესიების მღვდელმსახურთა წრეში სასამართლოს შემადგენლობის ამნაირს შერჩევას, მაგრამ, რაკი საქართველოს მთავრობა ამ საკითხს იურიდიულ საკითხად სთვლიდა, მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ ის სარწმუნოებრივი თვალსაზრისით კი არა, არამედ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყოფილიყო განხილულ-გადაწყვეტილი“ (გვ. 386). ამრიგად, გამოიკვეთა თვით ქრისტიანულ შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ემანსიპაცია ქრისტიანული მიკერძოებულობისგან. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს იმ შესაძლო გამოცდილებაზე („მეფის ფართო განსწავლულობასთან“ ერთად), რომელიც მან ამ პოლიტიკურ „პრინციპად“ განაზოგადა, კერძოდ, ქართველთა და სომეხთა ეკლესიების წარმომადგენელთა საეკლესიო კრებისა, „რომ ქრისტიანებიც კი ორი სხვადასხვა მიმართულებისა ვერ მორიგდნენ ერთმანეთში და რომ ამნაირი დისპუტებიდან სხვა არაფერი რჩება, გარდა ურთიერთკინკლაობისა და ერთმანეთის შეურაცხყოფისა. ასეთ პირობებში განა შეიძლება მეტს მოელოდე სხვა რჯულის კაცთაგან?“ (გვ. 414). სწორედ თვით ამგვარი ინტერპრეტირება არსებული გამოცდილებისა არის „ეპოქალური“ მომენტი ჩვენი ისტორიისა — მოხდა ღირებულებების ცნობიერად „გადაფასება“: ადამიანის „სააქაო“, ანუ საერო, ეროვნულ-სახელმწიფოებრივის მოთხოვნილებას რელიგიურისგან ავტონომიური ღირებულება მიანიჭეს და მისივე „კარნახით“ ქრისტიანული, მათ შორის, საკუთარივე ეკლესიის მიმართაც, მიკერძოება დასძლიეს, რაც, ცხადია, არა ევროსაბჭოს თუ ევროკავშირის „დავალებით“ მოხდა, არამედ იმ ცხადი მიზეზით, როგორც ამას ივ. ჯავახიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი განმარტავს, რომ მხოლოდ ასე იყო შესაძლებელი ქრისტიანობისვე სხვადასხვა კონფესიების და, უპირველესად, ქრისტიანობის და ისლამის „შეხვედრის“ ადგილზე ძლიერი ქართული სახელმწიფოს დაფუძნება და „ფართო სახელმწიფოებრივი გეგმების განხორციელება“. თუ „შეხვედრა“ „შეხლად“ გადაიქცეოდა, თანამედროვე ჰანტინგტონისეულ „წინასწარმეტყველებათა“ სტილში, სახელმწიფო ვერ დაფუძნდებოდა და ვერანაირი ფართო „ალმაშენებლობა“ ვერ განხორციელდებოდა. ამრიგად, დავითისეული კორექტული პოლიტიკური აზროვნება, მისი „ტოლერანტობა, ანუ რჯულშემწყნარებლობა“ (გვ. 414), „თავისუფალი აზროვნება“ (გვ. 414, 415) წარმოადგენდა ერთ ძირითად პრინციპს ქართული სამართლებრივი აზროვნებისა, რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ „პატარა ქართული სამეფო“ XIII ს. დასაწყისში ყმადნაფიცი ტერიტორიებით სამ ზღვაზე გავიდა. ამისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ორი ფაქტორი: 1) ქრისტიანული „კოსმოპოლიტიზმის“ დაძლევა, კერძოდ, „სულის ცხონებასთან“ შედარებით ყოველგვარი „სააქაო“ — ადამიანური, საერო ინტერესის დაბალღირებულად მიმჩნევი „საწუთროს“ მოტივისა; მაგალითად, „შუშანიკის წამებაში“ ავტორს აზრადაც არ მოსდის, შეაფასოს ვარსქენის ქმედებები ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღალატად, ეს მაშინ, როცა ვახტანგ გორგასლის სახით სახელმწიფო სპარსეთთან იბრძვის; უმაღლესი სათნოება აქ სულის ცხონებისთვის ხორცის გვემაა, და 2) ეკლესიური მიკერძოებისა, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირების, დაძაბულობის მიზეზი ხდება (იხ. ნ. ნათაძე, „დროთა მიჯნაზე“, 1974 წ.).

რა ძნელი იყო ამგვარი „გადაფასება“ და „თავისუფალი აზროვნება“ ქრისტიანულ შუასაუკუნეებში, ჩანს დავითის მიერ „გალობანი სინანულისანის“ დაწერით, სადაც მეფე იმ ქმედებებს ინანიებს, რომლებითაც მან „ოქროს ხანა“ შექმნა (იხ. იქვე), ხოლო ამის გარეშე დიდად საალბათოა, რომ არც ეს სტატია იქნებოდა და არც მისი ქართულ ენაზე წამკითხველი.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ „ოქროს ხანაში“ ჩნდება ქართული საერო ლიტერატურა: „ვეფხისტყაოსნისთვის“ დამახასიათებელია, რომ იგი თავისი „მსოფლმხედველობით“ და „ადამიანის ხატვის წესით“ გაცილებით ახლოს დგას დასავლეთ ევროპის რენესანსთან (XIV-XVI სს.), ვიდრე წინარენესანსული კურტუაზიული პოეზია და ამ ნიშნებითვე განსხვავდება უმდიდრესი სპარსული ეპიკისა და არაბული პოეზიისგან (იხ. იქვე).

ეპოქის „დიალექტიკა“ კარგად ჩანს იმ ფაქტებში, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „იდეალური ადამიანები“ საკუთარი ადამიანური უნარებით, ღმერთის უშუალო დახმარების გარეშე იღებენ ქაჯეთის ციხეს, ხოლო დავითისვე ისტორიკოსი დიდგორზე მუსლიმანთა გაერთიანებულ ლაშქარზე გამარჯვებას წმ. გიორგის უშუალო ჩარევას მიაწერს. ამ „დიალექტიკაშივე“ უნდა ვეძიოთ ქართული სახელმწიფოს როგორც დაფუძნების, ისე მარცხის მიზეზებიც. შ. მესხიას გაანალიზებული აქვს XIII ს. ქართულ სახელმწიფო სისტემაში მომხდარი იძულებითი „ცვლილება“, რომლითაც ვიწრო ეგოისტურმა გვაროვნულმა ინტერესებმა სახელმწიფოებრივზე „გაიმარჯვეს“, მაგრამ „ოქროს ხანის“ სახელმწიფოსთან ერთად ოლიგარქი მხარგრძელების გვარიც გაქრა. ასეთი ბედი ეწევა ყოველგვარ ოლიგარქიას, რომელიც იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის, და რომელიც მარტო მას არ ეკუთვნის, რადგან მას არ შეუქმნია.

ამ „დიალექტიკის“ ნაწილია, რომ დავითისეული აზროვნების მასშტაბის „მომზადებაში“ ქართულმა სასულიერო წოდებამ, ეკლესიამ და, უპირველესად, ბერმონაზვნობის დაუღალავმა საგანმანათლებლო მუშაობამ შეიტანა ერთი გადამწყვეტი წვლილი. მათ მიერ იმდროინდელი ბიზანტიური საღვთისმეტყველო (ფილოსოფიური) განათლებულობის სრულფასოვანმა ათვისებამ შესაძლებელი გახადა ამგვარი „თავისუფალი აზროვნების“ თვით პრეცედენტურობა ჩვენში, მათ შორის, პოლიტიკურ სფეროშიც (იხ. ივ. ჯავახიშვილის II ტ.).

„ქართულ ოქროს“ ხანას მკაფიოდ ამჩნევია სეკულარიზაციის ძირითადი ტენდენცია, რომელიც ჯერ დასავლეთ ევროპის, შემდეგ, საზოგადოდ, „დასავლეთის“ ისტორიით, ახალი დროის ახალი საკაცობრიო გამოცდილების, მიღწევების „მომტანი“ აღმოჩნდა. ამ აზრით, ქართული „ოქროს ხანის“ ერთადერთი „ნათესაური“ კულტურა, გამოცდილება „დასავლურია“, რასაც, ცხადია, ობიექტური ისტორიული მიზეზები აქვს.

ჰოიზინგას შემდეგ მართლაც ძნელია, არ დაინახო, რომ სეკულარიზაციას თვით შუა საუკუნეებში აქვს ადგილი და „ქართული ოქროს“ ხანა ასევე არისტოკრატიის წოდებრივ და ეროვნულ „ექსპანსიას“ ეფუძნება. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ არსებობს მკაფიო რეალისტური პლანი „მაღალ წოდებასთან“ მიმართებაშიც, მაგრამ იდეალური გმირები აქ ყველანი ამ წოდებისა არიან; მიუხედავად ამისა, ისიც ფაქტია, რომ სეკულარიზაცია, არა ჰუმანისტური ოპოზიციის, არამედ თვით სახელმწიფოებრივი აზროვნების სახით, დასავლეთ ევროპის „შემოდგომის“ (XIV-XV სს.) ხანაში არ წასულა ისე „შორს“ და არ ყოფილა ისეთი მკაფიო, როგორც ეს მოხდა XII-XIII სს. დასაწყისის ქართულ „ოქროს ხანაში“. საფრანგეთის სამეფოში თვით XVI საუკუნეში სახელმწიფოს მიერ იყო ორგანიზებული წმ. ბართლომეს ღამე, რაც წარმოუდგენელია XII-XIII სს. ქართულ სახელმწიფოში, ხოლო რჯულშემწყნარებლობა სამართლებრივ ნორმად დგინდება 1598 წელს, „ნანტის ედიქტის“ სახით, რაც „ხსნის“ სამოქალაქო დაპირისპირების საფუძველს პროტესტანტებსა და კათოლიკეთა შორის. ამავე ნორმას თავისი რეალური პოლიტიკის ნაწილად ინგლისის „ოქროს ხანის“ „ავტორი“ დედოფალი ელისაბედი ამკვიდრებს.

ამრიგად, ახალი დროის ახალი საკაცობრიო გამოცდილების — მეცნიერება, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი, რაციონალური პოლიტიკური და ეკონომიური სისტემა, წოდებრივი და რელიგიური მიკერძოებულობისგან „გათავისუფლებული“ ადამიანი — „შემქმნელ“ ძირითად ნიშანზე დამოუკიდებლად, კულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების ისტორიულ პროცესში ღირებულებების გადაფასების, ახალი (პოლიტიკური) ცოდნის შექმნის გზით „მუშაობს“ ოქროს ხანის ქართული ცივილიზაცია და გარკვეულ, მკაფიო წარმატებებსაც აღწევს ამ „გზაზე“ თვით თავისი შემდგარობის და „გაფართოების“ ფაქტით.

ზემოთ თქმულიდან, უკვე სადღეისო ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1) ქართული „ოქროს ხანა“ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ახალი დროის „დამწყები“ ტენდენციების არიალის და ისტორიულ-სოციალური შესაძლო პირობების შესახებ;

2) მისი გამოცდილების შესწავლა აქტუალურია სადღეისო გლობალურ საკვანძო და „ცხელ“ პრობლემატიკასთან მიმართებაში, რომელიც მსგავს, ცივილიზაციათა „შეხვედრის“ ადგილს უკავშირდება (იხ. შემდგომ).

3) „ოქროს ხანის“ ანალიზი აჩვენებს, რა არის ჩვენს (ეროვნულ) ისტორიულ-კულტურულ ფორმებში „საამაყო“, ანუ მიღწევა საკაცობრიო განვითარების, პროგრესის გლობალური ტენდენციების პირისპირ: ირკვევა, რომ ჩვენ ერთ-ერთი პიონერები ვართ „მოძრაობისა“, რომელიც „დასავლეთის“ ისტორიის ინტერპრეტირებაში ახალი საკაცობრიო გამოცდილება აღმოჩნდა;

4) მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული „ანალიზი“, ქართული მეცნიერების უკეთესი მიღწევების სახით, ჩატარებულია არც დღეს და არც გუშინ, საზოგადოება და მოს-

ახლობა არ ამჟღავნებს მის ცოდნას; ფაქტობრივად, ჩვენ არ ვიცით „საამაყო" ოქროს ხანის ნამდვილი მნიშვნელობა თუნდაც სადღეისო ინტერესებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს, რომ მოწყვეტილი ვართ საკუთარი წარსულისგან, მისი შეფასებისგან და ვცხოვრობთ ისე, თითქოს ეს სხვისი წარსული იყოს. ეს მიანიშნებს საზოგადოების, მოსახლეობის არაინტეგრირებულობაზე მეცნიერებასთან, საკუთარსავე ჰუმანიტარული მეცნიერების რეალურ მიღწევებთან. ეს, უბრალოდ, ბოლშევიკურ-საბჭოური „გადმონაშთი" როდია, არამედ თათქარიძეობის რეციდივია — „დასავლური" მეცნიერება „ეშმაკისეულია!"

5) ამავე „თემის" „გაგრძელება": სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი „ეშმაკისაა" თუ „ქაჯისაა", „ადამიანის უფლებები" (ბატონყმობის გაუქმება) „ეშმაკის მანქანებია" და ა.შ. ეს ჩვენეული „არჩევანი" აშკარაა და აკი არც წყდება ბატონყმობა ჩვენში, რაზეც ძალიან „ჩივიან" და არ იციან, რომ ეს ჩვენსავე „არჩევანშია" ჩადებული.

მოსახლეობისათვის, და არა მხოლოდ „ფართო" მოსახლეობისთვის, ამ სიტუაციის აღწერილი „ტრაგიკომიკურობა" დრამატული შედეგებით ტრიალდება. ამაზე ნათლად „საყოფითო" სტატისტიკა მეტყველებს: თბილისში, არასრული მონაცემით, ბავშვთა სიკვდილიანობა 38% ტოლია, შედარებისთვის, ჩვენხელავე ფინეთში 5-ის (იხ. „საქართველოს პედიატრი", 2001, 1-4), ისევ ოფიციალურ სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, ჩვენში ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა (70 წელზე მეტი) ათი წლით ჩამოუვარდება ჩრდილოევროპულს; კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ წლიურად „თათქარიძეობას" „ვწირავთ" (4,5 მილიონ მოსახლეობაზე დათვლით) 60 000 თანამოქალაქის სიცოცხლეს, ხოლო ყოველ ათასს ბავშვზე 33-ს, რაც, ამავდროულად, ჩვენი ოჯახების უბედურებაზე გადის და ხდება ჩივილის საბაბი, რომ „ქართლის ბედის მუხთალია". მაგრამ ისტორია გვაჩვენებს, რომ ყოველთვის ასე როდი იყო, არამედ, ასეთია ახალი სოციალური მიღწევების, „დასავლური" „სტანდარტების" „უარყოფის" ჩვენეული თათქარიძეობის ფასი უახლეს ისტორიაში!

ამ გაუკუღმართებული, საკუთარ უცოდინრობაზე დაფუძნებული სიტუაციის გამართვისთვის არაფერთან შესადარებელი ეფექტი ექნება, თუ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია თავის თავზე აიღებს მოსახლეობისთვის ახალი დროის ახალი გამოცდილების ათვისების აუცილებლობის შეგონების ფუნქციას და თავის რეიტინგულად დადასტურებულ ავტორიტეტს მიმართავს საკუთარი საუკუნოვანი ტრადიციის — ეროვნული სახელმწიფოებრიობის საჭიროებისთვის შეწევნისკენ. ამ „პასუხით" დღის უმთავრესი საჭიროებისთვის იგი გახდება საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ძალა, რასაც ეფექტით ვერ გაუტოლდება ვერანაირი საკონსტიტუციო შეთანხმება სახელმწიფოსთან და მრევლის თვისობრივად ახალი „ტალღის" შევსებით აღინიშნება.

6) ჩვენივე ისტორია „ოქროს ხანის" მიღწევების სახით გვკარნახობს, რომელია ჩვენი ნათესაური „კულტურა" — „დასავლური" ფართო აზრით, სოციალური გამოცდილება, პოლიტიკური პარტნიორები ამ კონტექსტში უნდა ვეძიოთ, კერძოდ, ორიენტირება გვმართებს ყველაზე, ვინც ამ ღირებულების მიმართ ერთგულებას ამჟღავნებს, ვინც უნდა იყოს ის. კონიუნქტურაზე მხოლოდ ამ არჩევანის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ. ქართული „ოქროს ხანა" ასეთი არჩევანის დასაბუთებაა. ამასთან, უნდა გავარჩიოთ ეს ღირებულებები საცივილიზაციო სუროგატებისგან, როგორც ილია არჩევდა მათ „იზლერის ბაღებისგან".

კორექტული პოლიტიკური აზროვნების ფარგლებში დაისმის არსებითი საკითხი, რომელიც პირველად ილიას 1879 წლის იანვარის „შინაურ მიმოხილვაშია" („აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ") აქტუალიზებული. ამ სტატიის ანალიზი, რომელიც კონკრეტულ საერთაშორისო ცვლილებებს ეხმიანება, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა კავკასიაში სადღეისო გლობალურ ძალთა „კონკურენციის" თვალსაზრისით და გაკეთებულია არჩევანი, რომელიც უპირველესად ღირებულებითია — ინგლისის „საცივილიზაციო ღონისძიებანი" და რუსეთის „ხმალი", ისეთივე, როგორც „მგზავრის წერილებში" — „ევროპიელი „ფრანსიელი" — შოლტმომარჯვებული" „იამჩიკი" და „რუსის აფიცერი", ასევე, ნაგულისხმევია, სადღეისოდ „დიდი აბრეშუმის გზად" წოდებული პროექტი. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მომხდარი ცვლილებების ფონზე იგი არკვევს, „ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა" და ასე პასუხობს: „ჩვენ აქ გვინდოდა შეგვენიშნა, რომ აზია საერთოდ და ჩვენ თვითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერებაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მინის ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარი ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც".

აქ მინიშნულია პოლიტიკური პროცესის არსი, როგორც „საჭირო" კეთილსაგანთა გაცვლა, თვით გაცვლის ფორმის მიუხედავად. საკაცობრიო პროცესი გვცნობს პარტნიორად, თუ უნარს გამოვიჩენთ მისი საჭიროებისთვის შეწევნისა. სწორედ ასეთ გაცვლაში შეიძლება მოვიპოვოთ რეალური და არა ნასესხები დამოუკიდებლობა. აქ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სხვადასხვა დროს, რეგიონის სუპერ-ძალების სამხედრო და ასიმილატორული აგრესია ჩვენში ორ საუკუნეზე ნაკლებ ხანს არ გაგრძელებულა და დომინანტი ცივილიზაციის რღვევა თვით ჩვენს არსებობას დააყენებს კითხვის ქვეშ.

გლობალურმა ისტორიულმა ცვლილებებმა გაამკვეთრა სტატიის კავკასიური პროგნოზი და ზემოთ მოყვანილ მისეულ რეალიებთან მიმართებაში მოხდა „ოთარაანთ ქვრივის" „ჩატეხილი ხიდის" სიმბოლოს „გლობალიზაცია". ამ ცვლილებებმა დედამიწა ობიექტურად დააპატარავა და ამის ერთ, მაგრამ უარსებითეს შედეგად მივიღეთ „ევროპის" (დასავლეთის) და „აზიის" შეხვედრა ისე ახლოს, როგორც არასდროს აქამდე. „წინა" შეხვედრამ, „სინთეზის" (იხ. ს. ავერინცევი, კრებულში „შუა საუკუნეების და აღორძინების კულტურის ისტორიიდან", მოსკოვი, 1976 წ.) სახით ქრისტიანობა გამოიღო შედეგად, რაც შემდგომი განვითარებისთვის „მდიდარი აღმოჩნდა შედეგებით", ხოლო „წონასწორობა" შენარჩუნდა. „ახალი" შეხვედრა უკიდურესად დაპატარავებულ დედამიწაზე უსაზღვროდ გაზრდილი დამანგრეველი საშუალებებით ახალ, მანამდე არ ნახულ პასუხისმგებლობის ტვირთს ადებს გლობალურ-პოლიტიკური პროცესის ამგებ სუბიექტებს. წინ გვიდევს, ისევ სქემატურად, კატასტროფების, ადამიანის გვარის დეგრადირების ან ახალი სინთეზის, „ახალი ადამიანის" გაჩენის თავბრუდამხვევი პერსპექტივა. „შეხვედრა" არ უნდა იქცეს „შეხლად", არამედ ახალ სინთეზად, რისი საფუძველია უნივერსალური ერთიანი ადამიანური ბუნება, რომელიც ერთნაირია „აღმოსავლეთშიც" და „დასავლეთშიც" თუმცა, ისტორიულად, განსხვავებულად „აქცენტირებულია".

„ოთარაანთ ქვრივის" „ჩატეხილი ხიდის" სიმბოლოთი ავტორი ამხელს 80-იანი წლების ქართული ცხოვრების საჭირბოროტოობის მიზეზს — „მგზავრის წერილების" „სიტყვა" — მოხევეს და მგზავრის აუცილებელი ურთიერთინტეგრირება — „საქმედ" არ შედგა და, ვიდრე ხიდი ჩატეხილია, განთიადი არ დაიწყება — ასეც წარიმართა ჩვენი შემდგომი ისტორია (იხ. გ. ნათაძე, გ. კანკავა, „თვითსპობის სინდრომი", 2002 წ.). სადღეისო ინტერესებიდან გამომდინარე მივაქციოთ ყურადღება სიმბოლოს შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალიებს: ჩატეხილი ხიდის ერთ მხარეს ვხედავთ მედასავლეთე (თერგდალეულ) არჩილს, ორიენტირებულს მეცნიერებაზე, ცნებაზე, ფაქტობრივ-ემპირიულზე, მეორე მხარეს ოთარაანთ ქვრივს, ორიენტირებულს ეროვნულზე, ზნეობრივზე, ანუ ნორმატიულზე. ისევ ზოგადი, მაგრამ ჩვენთვის საკმარისი სქემატიზმით, სწორედ ამ ნიშნებით არის შესაძლებელი „დასავლეთის" და „აღმოსავლეთის" ისტორიულად აქცენტირებული სააზროვნო ტიპის, მსოფლშეგრძნების დახასიათება — პირველი ორიენტირებულია ფაქტობრივ-ემპირიულზე, ცნებაზე, ემპირიულ-რაციონალურ მოაზრებაზე, მეორე ნორმატიულზე, მითზე, „ამბავზე".

ევროპული, საზოგადოდ, დასვალურ ფილოსოფიურ, ეთიკურ, სოციოლოგიურ, პოლიტოლოგიურ დისკუსიაში ეს მიმართება ემპირიულ-რაციონალურის ნორმატიულთან, ზნეობრივთან ოდითგანვე ყურადღების ცენტრშია. აქ ჩვენთვის საინტერესოა პოზიტივისტური ისტორიზმისთვის საეტაპო ჰ. ბოკლის თხზულება გამოვყოთ, რადგან, ჩვენი წარმოდგენით, სწორედ მის მიხედვით სწავლობდა „სტუდენტი" ილია ახალ ისტორიზმს (იხ. ილიას „მგზავრის წერილები" და ჰ. ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში", „სჯანი", 2003 წ.). მნიშვნელოვანია, რომ, თუ ჭეშმარიტების მიმართ ხაზგასმულად უანგარო დამოკიდებულების მქონე ბოკლი სავსებით ნათლად აცნობიერებს და სვამს ამ პრობლემას, თურმე, ზნეობრივსა და გონიერს შორის აუცილებელია „ჰარმონია", პირველი სახავს მიზნებს, მეორე კი მათი ასრულების საშუალებებია; მაგრამ, ამ ნათლად გამოთქმული თეზის შემდეგივე აბზაციდან მიზანდასახულად „ამტკიცებს" მეორის „მთავრობას" პირველთან შედარებით და ვერანაიარ ლოგიკურ „წინააღმდეგობას" ამაში ვერ ხედავს! ბოკლის ეს „უკრიტიკობა" მისივე უნივერსალურ-ადამიანური ნორმატიული ბუნების „კარნახით" ხდება; იგი გამოვლენაა ბუნებრივი „მიკერძოებულობისა" საკუთარი ადამიანისეული ისტორიულ-კულტურული განსაზღვრულობისადმი, საკუთარი ისტორიულად უკვე თვითშემდგარი ინდივიდუალური სახისადმი, რომლის სიმბოლოებს (ნიშნებს) წარმოადგენს „ცნება", „რაციონალურ-ემპირიული მოაზრება" და ამ „იარაღებით" „მოფიქრებული" ყველა ის სხვა „იარაღი", „საშუალება" — მეცნიერება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რაციონალური ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა — რომლითაც „დასავლელმა" ადამიანმა ღირებულებითი ერთობის, ნაციის ფარგლებში, ისტორიის გამოწვევების პირისპირ, არა უბრალოდ თავი დაიმკვიდრა, არამედ ახალი ადამიანის „სახეც" მოიპოვა, ახალი ღირებულებები შექმნა — „დაიბადა", - nait (nait ნაციის ფუძესიტყვა, იხ. დ. კოლა, „პოლიტიკური სოციოლოგია", 2000 წ.). ეს ისტორიაში თვითდამამკვიდრებელი, კონკრეტული „ჩემს" მიერ მოფიქრებული საშუალებები, ამავე დროს, ჩემი ადამიანური იდენტობის უნივერსალური მოთხოვნილების „დამაკმაყოფილებელი" კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის, „მატერიის" მქონე სიმბოლოებია. შესაბამისად, ეს ადამიანური საზრისის შემქმნელი სიმბოლოებიცაა. ბოკლის მიერ გამოვლენილი სამეცნიერო უკრიტიკობა, მის მიერ ნაციონალური სიმბოლოებისადმი გამოვლენილი „ბუნებრივი" მიკეროძებულობაა, რადგან ამ სიმბოლოების „გარეთ" ადამიანი უბრალოდ არ არსებობს, როგორც სწორედ ადამიანი, ამ იდენტობის გარეშე კი იგი ფიზიკურადაც ვერ იარსებებს. აქ იმაზე კი არა რის მსჯელობა, რომ „თათქარიძეები" მართლები იყვნენ, ეს აბსურდია, არამდე იმაზე, რომ ისტორიული ცვლილებები არ გველოდებიან, არ გვიცდიან, თუნდაც ჩვენივე აქტივობის გაუთვალისწინებელი, ირიბი შედეგების სახითაც, ახალი პრობლემები ახალ „ლაბირინთს", ახალ კონტექსტს ქმნის, როლის გახსნისთვის უწინ დაკავებული „სამყაროს ჭვრეტის" წერტილი და თვითმოაზრების „ადგილი" (ნაციონალური სიმბოლოები) არსებობისთვის საკმარისი აღარ არის და, პირველ რიგში, იმ გლობალური პასუხისმგებლობის აღებისთვის რომლისთვისაც, თვით საკუთარი ჰუმანისტური გამოცდილებიდან და პათოსიდან გამომდინარე, სწორედ დასავლური ცივილიზაციაა მოწოდებული ბუნებრივად.

ვფიქრობთ, რომ სოციოლოგიური დისკურსის ცენტრში, გამოვლენილად ან გამოუვლენელად (როცა მას „უარყოფენ"), დგას პოზიტივისტური ისტორიზმის „პროგრესის კანონის" ლინეარული „ფორმულა", რაც ნაციონალური, უკვე არასაკმარისი, სიმბოლოებისადმი მიკერძოებულობის გამოვლენაა და შეიცავს რეალურ ხიფათებს თვით ცივილიზაციისთვის, წინ ეღობება თვით კაცობრიობის ინტერესებისთვის მის უსაშველოდ გაზრდილ ფუნქციას და პასუხისმგებლობის რეალიზებას. აუცილებელია „სამყაროს ჭვრეტის" ადრე მიწლეული „წერტილის" და საკულტურო თვითმოაზრების „ადგილის" (სიმბოლოების) მოდერნიზება ჰუმანისტურივე ტრადიციის ფარგლებში (მისი „განვითარება"), რაც პოლიტიკურად იქნება „აღმოსავლეთთან" დაახლოების, წინააღმდეგობების მინიმიზაციის, ხოლო ადამიანურყოფიერებითში კი, საკუთარივე ადამიანური უნივერსალური ბუნების კონკრეტულად ათვისებისკენ გადადგმული „ახალი სინთეზი". მხოლოდ ამ გზაზე შეიძლება ცივილიზაციისთვის მომხრეების შეძენა და არა მტრების მომრავლება. ასეთი „ცვლილება", თავად არის მძიმე, სხვადასხვა მსოფლშეგრძნებითი „კრიზისებით" და „ნიჰილიზმებით" სავსე. ჭეშმარიტი ემპირიზმი „სამყაროსთვის" ყურისგდების უნარია — და არა რაციონალისტურ დოგმატიზმში ჩაძირვა, რაც ახალ დროში „კლასიკურად" გამოამჟღავნა ინგლისის „ნაციამ", როცა არა საგანმანათლო რევოლუციურ დოგმატიზმს გაჰყვა, არამედ ნაციონალურ ღირებულებებს და სახელმწიფოებრივ ინტერესებს და რევოლუციიდან ახალი ცივილიზაცია შვა. ახალი გამოწვევების პირისპირ კაცობრიობის პროგრესი საარსებოდ აუცილებელი რეალობაა, მაგრამ არა ლინეარული პროგრესის ტერმინებში. ამ ზოგადი სქემის ფარგლებში მოვიყვანთ მაგალითს.

პალესტინა-ისრაელის კონფლიქტში არაბული ულტრარადიკალური ქმედებების დასავლური შეფასება ემყარება წარმოდგენას ემპირიულ-ფაქტობრივ ადამიანზე. როგორი სწორიც უნდა იყოს შეფასებების ის ნაწილი, რომ ეს შუასაუკუნეების რეციდივია, რადგან ისტორიულად არ გაუვლიათ ჰუმანიზმის „სკოლა", აქედან გამომდინარე შედეგებით, ეს არასაკმარისია. ზემოთ მოყვანილი სქემით, პალესტინელები მიჰყვებიან თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ნორმატიული ბუნების „კარნახს", რომელიც რელიგიური გადმოცემის გარდა ხალიფატის „მეხსიერებასაც" ეფუძნება, ხოლო „შახიდური" ტერორიზმი მათი შეგნებული პასუხია უახლესი დროის ტექნოლოგიურ „გამოწვევებზე". ეს მართლაც, თავის „მატერიაში", შუა საუკუნეების დაპირისპირებაა უახლეს დროსთან; ისიც ფაქტია, რომ „შუა საუკუნეები" არაფრის დათმობას არ აპირებს. მიმდინარეობს არა კონფლიქტის დარეგულირება, ორივე მხარის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდით, არამედ მისი „გლობალიზაცია", ცივილიზაციის მტრების გამრავლება, რისი პირდაპირი, დრამატულად გაჟღერებული „სიმპტომია" 11 სექტემბერი. თუ ამ „ხმებს" სათანადოდ ვერ შეაფასებენ, კონფლიქტი გადაიქცევა (და უკვე გადაიქცა) შახიდური ტერორიზმის უწყვეტ სკოლად, მოხდება მისი ინტერნაციონალიზაცია. იმედის მომცემია პრეზიდენტ ბუშის ახალი ინიციატივები, რაც ერთადერთი ალტერნატივაა კონფლიქტის მოგვარებისა და ცივილიზაციის მტრების მომრავლების შეწყვეტისა ყველგან.

გლობალიზაციას, როგორც მართვად პროცესს, შეიძლება ჰქონდეს ერთადერთი ზოგადი განმარტება, მოვლენათა და პრობლემათა გლობალურობის რთულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დრამატულ ფონზე კაცობრიობის წინაშე კორექტული პასუხისმგებლობის აღებისა და არა „გამდიდრებისა“. გლობალიზაციის პროექტი, რომელსაც კაცობრიობა „ესმის“, უპირველესად, როგორც უნიფიცირებული ტრანსნაციონალური კომპანიების სამომხმარებლო ერთიანი ბაზარი, „დანარჩენი“ კი მხოლოდ ამის შემდეგ აინტერესებს („გლობალიზმი“ უ. ბეკის განმარტებით), ამ კომპანიებისთვისვე სახიფათო ილუზიაა, შემდეგ კი ცივილიზაციისთვის, რომელთანაც აიდენტიფიცირებს მესამე სამყარო ამ კომპანიებს. საბაზრო ეკონომიკა, როგორც სისტემა, ეკონომიკური ურთიერთობების რაციონალურად მოაზრების ნაყოფია, სადაც თავისუფალი ადამიანები რაციონალური არჩევანის ფარგლებში ურთიერთშეთანხმებით ცვლიან „ხელოვნურ“ კეთილსაგნებს და არა ისტორიულ-კულტურულ (ეროვნულ) ადამიანურ ბუნებით საზრისებს! მსგავსი რამ წარმოსადგენია მხოლოდ აზიურ დესპოტიაში ან მონათმფლობელობაში, სადაც ადამიანი საგანია. შესაბამისად, საბოლოო შედეგი იქნება საპირისპირო დაგეგმილის, როოგორც არაკორექტული აზროვნების „ნაყოფი“. მოხდება ანტიგლობალისტური მოძრაობის გაფართოება, რადიკალიზაცია, გადაჯვარედინება ყველა ფუნდამენტალისტურ (ანტიცივილიზაციურ) და ულტრანაციონალისტურ ძალებთან და, რაც მთავარია, ბაზარი არათუ გლობალური გახდება, გაჩნდება მისი შეკვეცის ტენდენცია სამომხმარებლო ნაციონალური „ბოიკოტების“ სხვადასხვა სახით. ეს ცივილიზაციის მტრების მომრავლების ყველაზე „იაფი“ საშუალებაა. ობიექტურად, ასეთი „ეკონომიკა“ ეფუძნება ემპირიულ-ფაქტობრივის და ნორმატიულის ცნებების, „პლანების“ აღრევას აქედან მომდინარე სავალალო შედეგებით. მხოლოდ კორექტული პასუხისმგებლობით არის შესაძლებელი მომხრეების მომრავლება საკაცობრიო არენაზე, რაც უეჭველად იქონიებს ეკონომიკურ ეფექტსაც.

მაგალითად, როცა ვყიდულობთ გერმანული წარმოების პროდუქტს, „დამატებით“ ვეზიარებით „გერმანული რაციონალურობას და კეთილსინდისიერებას“, რომელიც მოგვწონს, როცა ვყიდულობთ იაპონურ პროდუქციას „ვყიდულობთ“ ასევე მისეული „ტექნოლოგიური ვირტუოზულობას“, ხოლო ამერიკის ნაციონალური იმიჯი, რომელიც მის პროდუქტის „დამატებით ღირებულებას“ ქმნის, ძალის და თავისუფლების განუმეორებელი ნაზავია, რომელიც მრავალს „მოსწონს“; ჩამოვაშოროთ მას მეორე და ეს პირდაპირ აისახება ამერიკული პროდუქციის საერთაშორისო გაყიდვის მასშტაბებზე და პოლიტიკურად გულშემატკივართა რიცხვზეც, გავაცნობიერებთ ამას „მესამესამყაროელი“ ამის ჩამდენნი თუ არა. ყოველი ოლიგარქია, თავისი ვიწრო ეგოისტური ინტერესების მდევნი, ქართულ „ოქროს ხანაში“, ლუი XV დროინდელ საფრანგეთში თუ სადღეისო ამერიკაში, ერთნაირია — იგი იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის და რომელიც ობიექტურად მარტო მას არ ეკუთვნის (იხ. დ. უეინ ფილდზი, ღირსების საქმე“, ქართულ ენაზე (CaucasUs კონტექსტი, 2003, N 2).

დავუბრუნდეთ „ოთარაანთი ქვრივის“ „ჩატეხილ ხიდს“; ეს სიმბოლო სხვა არაფერია თუ არა ბოკლისეულივე ცენტრალური თეზის მეტაფორა — მეცნიერება, ცოდნა უნდა იყოს ინტეგრირებული საზოგადოებასთან, რათა დაიწყოს „განთიადი“ (ესეც ბოკლისეული სახეა), მაგრამ ილია, თავის „მასწავლებლისგან“ განსხვავებულად — თანაბრად სვამს აქცენტებს — ხიდი უნდა გამთლიანდეს განთიადი რომ დაიწყოს, ანუ ორივე „მთავარია“. ეს არის ქართული ისტორიის ინტუიცია და მსგავსი გამოცდილება ჩაგრული, მცირე ერებისა მოიპოვება ყველგან, სადაც აღნიშნულ შეხვედრას „დასავლეთისა“ „აღმოსავლეთთან“ ჰქონდა ადგილი მეტ-ნაკლები დრამატიზმით. მთლიანობაში, მცირე ერების ეროვნული ინტენცია აბსოლუტურად ზნეობრივია — მათ სურთ არსებობა, გადარჩენა, ამიტომაც ისინი „ღია“ არიან და „ესმით“ ნორმატიული უნივერსალური ადამიანური „ენა“, ერთადერთი რამ, რაც განაპირობებს, რომ ისინი არსებობენ თვით მათი მძიმე სოციალურად ჩამორჩენილობის ფონზე (ჩვენი თათქარიძეობა). ქართული ისტორიის ემპირიულ-ფაქტობრივი კანონებით „ინტერპრეტირებით“ ქართველი ერი უბრალოდ არ უნდა არსებობდეს უწყვეტი გარე ასიმილატორული აგრესიის, შიდა დაპირისპირებულობის, სოციალურად ჩამორჩენილობის ფონზე — მაგრამ იგი არის! თუ არის, იმიტომ, რომ თავისი ეროვნული — სპეციფიკურ-ადამიანური თვითმოაზრების, საზრისის კარნახით ცხოვრობს, რომელასაც არ (ვერ) დათმობს, ხოლო ეს თვითმოაზრება მიმდინარეობს ისტორიულად თვითშექმნილი სიმბოლოების ენით და ეს „ენა“ — უნივერსალურია თავისი ფორმით დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. მეორე საკითხია, რა ფასი აქვს ჩვენთვისვე საკუთარ თათქარიძეობას, „კარჩაკეტილობას“ (იხ. ზემოთ).

სადღეისოდ, უეჭველია, რომ გვაქვს, საკუთარი ისტორიული გამოცდილების რესურსი, რომელიც არ გამოიხატება მარტო ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობით და რომლითაც კაცობრიობას ობიექტურად „ვჭირდებით“. ეს რეალური დამოუკიდებლობის შანსია, რომელსაც გამოყენება სჭირდება, მაგრამ ამისთვის აუცილებელია სამეცნიერო, ანუ კრიტიკული ცოდნა საკუთარი ნამდვილი „ვინაობისა“, ისტორიისა და საკაცობრიო პროცესისა, რის პრეცენდენტს ახალ დროში ილია გვაძლევს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისთვის შემოგთავაზებთ რამდენიმე დებულებას, რომელიც „ილიას პროგრამის“ ფარგლებში არკვევს მიმართებას ამ იდეოლოგიისთვის საკვანძო ცნებებისა. „ეროვნული“ არის ამ სახელმწიფოებრიობის „მიზანი“, ხოლო „დასავლური“ მოიაზრება ამ მიზნის მარეალიზებელ სოციალურ „საშუალებად“. დღის მთავარი, პოლიტიკური პროცესის ამგები ლოზუნგი ასე შეიძლება გამოითქვას სადღეისო რეალიების გათვალისწინებით: „ეროვნულებო“, „მედასავლეთეებო“ ჩვენი ქვეყნისა (ვინც უანგარონი ხართ) გაერთიანდით! პოლიტიკური ორიენტაცია ამ სახელმწიფოსი უნდა იყოს ჰუმანისტურ ღირებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებზე, რისი „დასაბუთებაა“ ჩვენივე ოქროს ხანა. ქართულმა სახელმწიფომ უნდა იტვირთოს დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული ცივილიზაციის მესაზღვრის ფუნქცია, რასაც აკეთებდა იგი თავის დროზე საქრისტიანოსთვის ზოგადად. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „შუამავლობა“ პოლიტიკური ინიციატივებით ამ ფუნქციას სპეციფიკურ-ეროვნულ სახეს შესძენს და ამავდროულად განაპირობებს მის საცივილიზაციო აქტუალობას. ქართული (ეროვნული) პათოსი, გამოხატული ინტელექტუალების, პოლიტიკოსების, სასულიერო წოდების წარმომადგენლების კონკრეტული ქმედებებით და ინიციატივებით უნდა მდგომარეობდეს კაცობრიობის, ცივილიზაციის სამომავლო ბედისთვის (რომელსაც ჩვენც გავიზიარებთ მასთან ერთად) შეწევნის უმთავრეს ზნეობრივ ამოცანაში, რაც უნდა წარიმართოს ჩვენივე უმომავლო თათქარიძეობის დაძლევით. ამ კონტექსტშივე მოაზრება როგორც წინაპრების, ისე მომავალი თაობის წინაშე ჩვენი ზნეობრივი პასუხისმგებლობა.

*2003 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნათია ნოზაძე

## სამყარო ახალი რაკურსით

მწერლობა, საერთოდ, ორგვარი ბაძვის დონეს გამოკვეთს — გარე, საუწყებო ურთიერთობის მიმეზისი და ეიდოსური მიმეზისი. XX ს-ის 20-იან წლებში ქართულმა ლიტერატურულმა აზროვნებამ მითოსური სახეები ააღორძინა. მითის აღდგენას გარკვეული მოთხოვნა ბადებს: 20-იანი წლების ახალ ლიტერატურულ პროცესს წინ ხალხოსნური ტიპის მწერლობა უძღოდა, რომელიც ადამიანური არსის მეტისმეტად მარტივ, ერთგანზომილებიან მოდელს აყალიბებდა. ცნობილია, XX საუკუნის დასაწყისისთვის ნიშნეულია სულიერი დეკადანსი როგორც ყოფაში, ასევე შემოქმედებაში. საზოგადოებაში კი სულიერი კრიზისი ან აპათია იწყება მაშინ, როცა ხელოვნებაში დგება არა ფორმის, არამედ შინაარსის კრიზისი; რადგან შინაარსი არის ის, თუ რა კონტექსტში აღიქვამს ადამიანი საკუთარ თავს, საკუთარ ყოფას. ხოლო, როცა კონტექსტი მარტივია, მარტოოდენ საუწყებო დონის — საკუთარი არსობის ასეთი ერთმნიშვნელოვნების აღიარება ვერ ასცდება კოლაფსს.

ცნობილია, ყოფიერება მწერლობის მაპროვოცირებელია, ხოლო თავის მხრივ მხატვრულად გადამუშავებული სამყარო ხდება ყოფიერებაში სიახლის მაპროვოცირებელი. ხალხოსნობა, იმ პრინციპით, რომ „ცხოვრებიდან იღებდა მასალას“, ფაქტობრივად, მხატვრულად დაუმუშავებელს უბრუნებდა „მომხმარებელს“. ვფიქრობ, ლიტერატურიდან ინსპირირებულობის მოთხოვნილება მით უფრო მეტია, როცა ყოფაა მეტისმეტად ერთსახოვანი. რეცეფციული ესთეტიკის „მოძღვრებათა“ თანახმად, აღმქმელისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებელია იდენტიფიკაცია მხატვრულ სამყაროსთან; ხოლო, როცა შემოქმედებითი სამყარო რეალობისვე მსგავს ერთგანზომილებიან მოდელს სახავს, იგი აფერხებს მიმღების ბუნებრივ მოთხოვნას შემოქმედებისგან — მისივე საკუთარ პერცეფციას (შინა-შემოქმედებას). შედეგად — ღატაკდება შემოქმედებითი ურთიერთობა მკითხველსა და ლიტერატურას შორის.

შემოქმედება, რომელიც თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას ასრულებს, ყოველთვის წარმოაჩენს იმის დეფიციტს, რაც აკლია რეალობას; რადგან მხატვრული ასახვა მხოლოდ გარეგნულ ბაძვას კი არ გულისხმობს, არამედ დანიშნულებითი სახის, იგივე „კოდური ფუნქციის“ ბაძვას და წარმოჩენას. ამ თვალსაზრისით „ხალხოსნობის“ სიმარტივე მასტიმულირებელ ფაქტორად იქცა თვისობრივად ახალი სახის შემოქმედებისთვის, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია დემნა შენგელაია. მიზნად არ დაგვისახავს მისი შემოქმედების გამოწვლილვითი ანალიზი; მხოლოდ მსგავსის (ამ შემთხვევაში — ეპოქის) მსგავსით შეცნობის სურვილი გვამოძრავებს, რადგან სულიერი მდგომარეობა დროში განმეორებადია. მხატვრული ფენომენი ამ სულიერცნობიერებისეულ ინსტიტუციას გარკვეულ სახე-მოდელად აყალიბებს, რომელიც უფრო მეტად იძლევა საშუალებას ღრმა ანალიზისა და, ამდენად, თვითგაცნობიერებისთვის და რომელიც ხელახლა ამოქმედდება ხოლმე მონათესავე დროში. დღეის და XX ს-ის დასაწყისის თანხვდომილობა აშკარაა: ერთი მხრივ, ძველი ყოფის შინაარსის უარყოფის სურვილით და, მეორე მხრივ, აუცილებლობად ქცეული ახალი კონტექსტის (ყოფის კონტექსტის) მიმართ დაბნეულობით. აპოკალიფსური შიში ერთნაირად, თან სდევს ერთი „დღის“ (სიმბოლურად) დაძველებას და „ახალი დღის“ მოახლოებასაც. შიშის მიზეზს შეცნობა სჭირდება, მითუმეტეს, რომ დრო არაა სუბორდინაციული, იგი კოორდინაციული ფენომენია. სწორედ ამ „კოორდინირებული სამყაროსეული ცვლილების“ კოდური ფუნქციის ძიებითაა საინტერესო დემნა შენგელაიას ნამოღვაწარიც. მისი შემოქმედება მეტნაკლებად უხვია, მაგრამ მწერლის ნაღვაწში ყოველთვის მისი კონცეპტუალური ნაწარმოებები იქცევს ხოლმე ყურადღებას, ამიტომ ჩვენც მის „სანავარდოსა“ და „ბათა ქექიას“ შევეხებით, რადგან ამ ორ ნაწარმოებში გამოვლინდა დემნა შენგელაიას სამყაროს აღქმის ორი მთავარი მოდელი.

აზროვნება განვითარებადი და ცვალებადია, ამიტომ ქრონოლოგიასაც მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა მხრივ ხდება ხედვის ცვლილება. მწერლის პირველი სერიოზული განაცხადი „სანავარდოა“; და, რადგან თარიღი დროის კონტექსტს წარმოაჩენს, დავაკონკრეტებთ, რომ იგი ეპოქის სულიერი რყევის და ჯერ კიდევ გაუფორმებელი ახლის მიჯნაზეა დაწერილი. „სანავარდოთი“ ავტორი წარმოგვიდგება, როგორც ერთ-ერთი პირველი ნოვაციისა და გრ.რობაქიძის, კ.გამსახურდიას, ლ.ქიაჩელისეული მითოლოგიზებული შემოქმედების მნიშვნელოვანი კომპანიონი. მაგრამ შემოქმედთა მეთოდის (ამ შემთხვავაში — მითოსურ ნიშანთა სისტემის) მიმოხილვისას მთავარი ამ საშუალებათა მიზნობრიობის ძიებაა. მიგვაჩნია, რომ სამყაროს აღქმის მითოლოგიზაცია სამყაროს შინაგანი საკრალურობის აღიარებას გულისხმობს. აღნიშნულ პლეადეართა შემოქმედებაში კი მხოლოდ ერთი მიზნით ცოცხლდება მითოსური სახეები: მისი საშუალებით ყოფის დესაკრალიზების სურათი გაშიშვლდეს. მკვლევარი ინგა მილორავა ამ პერიოდის მიმოხილვისას გამოყოფს ერთ-ერთ მახასიათებელს: აღქმის ორმაგ პლანს — რეალურსა და ირეალურს. ცნობიერების ორმაგი დონე „სანავარდოსთვისაც“ ნიშანდობლივია. კიდევ ერთხელ იმ პრინციპის ხაზგა-

სმით, რომ მწერლობა გარკვეულწილად ყოფიერებიდან არის ინსპირირებული, მიგვაჩნია სწორედ ყოფის ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი, გაუფორმებელი სასიცოცხლო სახე ამ ორმაგ პლანში პოულობს ასახვას. ამიტომ ემიჯნება ერთმანეთს „სანავარდოში“ მატერიალური და სპირიტუალური ერთმანეთს. ეს ნიშანია ყოფის და ცნობიერების შეუთავსებლობისა, რაც ყოველთვის დიდ სულიერ ტრაგედიასთან არის დაკავშირებული. ნაწარმოებს ერთი მთავარი მოტივი გასდევს: რაც შეიძლება, ცხადად წარმოჩნდეს ძველი სამყაროს კვდომისა და ახლის შობის აუცილებლობა. ცნება თუნდაც აუცილებლობისა არ არის ერთმნიშვნელოვნად მიღებადი. ყოველი მოვლენა აღმქმელის ხედვის შესაფერისად წარმოჩინდება; ხოლო, ლოგიკის კანონთა თანახმად, სწორედ ხედვა განსაზღვრავს აღმქმელის (ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში — ენის) სულიერ წყობას. და შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „სანავარდო“ თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია პანიკური მდგომარეობით. სათქმელს თუ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ, დემნა შენგელაიას ამ ნაწარმოებში სამყაროს ხედვის (და არა თავად სამყაროს) პანი-ური მოდელი აქვს წარმოდგენილი, ანუ ცნობიერებისეული პანი, რომელიც თესავს პანიკას. შიში უძლურებაა, ან საკუვთარი თავის უნდობლობა; შიში „სიცოცხლის წესს“ ეწინააღმდეგება, ხოლო შიშით დათრგუნვილი ხალხი კვდომისა და უსიცოცხლობის ტყვეა. აღნიშნულ ნაწარმოებში თვითგამიზნულად ხორციელდება სიმბოლური ხატებითა თუ მეტაფორებით (საგვარეულო სენი, დედამიწის გამშრალი ძუძუ, დღის სიძულვილი, ღამეული ლანდები, ჭაობი, ყაპუზუნა, სიმახინჯის პერსონიფიკაცია — ლიზიკო...) სამყაროსა და მისი შვილების კვდომის პროცესი. სიმბოლო თავისთავადი არ არის, მას ხედვის ფსიქოლოგიზაციის შესაბამისად ენიჭება მნიშვნელობა. „სანავარდო“ სწორედ დროის აღქმის ეროვნული მოდელით არის საინტერესო. ეს ორი ფენომენი კი ვერ თანხვდება ერთმანეთს, ამიტომაა, რომ „სანავარდოს“ მითოლოგიზმი — ეს დაშლის მითოლოგიზმია, რაც მის პლეადეართა ასევე საერთო მახასიათებელია. ამიტომ ასეთი მითოლოგიზმი შესაძლოა დემითოლოგიზაციად ვაღიაროთ, რადგან მითი თავისი არსით არაა დამშლელი ფუნქციისა. მითი — აღმადგენელი, სამყაროსა და შინაგანი, სულიერი მდგომარეობის საკრალურობის მაღიარებელი ფუნქციისაა. ამ ფუნციას არქეტიპები აღასრულებენ. სწორედ არქეტიპულია დ. შენგელაიას მეორე კონცეპტუალური ნაწარმოების გმირის — ბათა ქექიას სახე, რომელშიც ძალიან გამჭვირვალე ეიდოსი აგუნა-ბახუსი ფიგურირებს. „სანავარდოს“ საპირისპიროდ, დემნა შენგელაია სამყაროს აღქმის აბსოლუტურად განსხვავებულ — დიონისურ მოდელს ქმნის; აღქმის ლაღ მოდელს, რომელიც ტრაგედიას აუქმებს. ისტორიზმის თვალსაზრისით აღსანიშნავია მისი დაწერის დრო — 30-იანი წლები, ანუ, როცა სამყარო იღებს რაღაც გარკვეულ სახეს, ჩამოყალიბებულ ცხოვრების ნირს, ამის პარალელურად მწერლობაში და კონკრეტულად, „ბათა ქექიაში“ წესრიგდება ცნობიერების დონე, აღქმა აღარ იხლიჩება რეალურსა და ირეალურს შორის. შინაგანი საკრალიტეტი თავად ყოფიერებაში, ანუ ეიდოსურ პერსონაში „ჯდება“. ამ ნაწარმოებში საგანგებოდ შემოყვანილი პერსონაჟი მღვდელი საბა დიონისური ღმერთის მსახურია და არა ტანჯვისა და თვითგვემის მქადაგებელი ეკლესიისა. ამით დემნა შენგელაია, ვფიქრობ ქრისტესთან კი არ აპირისპირებს დიონისურს, არამედ ქრისტიანობის დიონისურად გადააზრებას ახდენს, მით უმეტეს, რომ ამ ორ კულტს ერთი მნიშვნელოვანი საერთო — ღვინის ფენომენი აერთიანებს. სიცოცხლის იმ ზეიმმა, რაც ამ ნაწარმოებიდან იღვრება, შესაძლოა, ერთი შეხედვით, ჰედონური შთაბეჭდილება დატოვოს, მაგრამ მთავარი გმირის მიერ საკუთარი პერსონის თითქმის სუბსტანციურობად მოაზრება და მისით ტკბობა სულაც არ გამორიცხავს პიროვნულ ფუნქციებსა და მოვალეობებს. ცნობილია ანაკრეონტული თავდავიწყება ყოფის მიმართ ნიჰილისტური განწყობის გამო. ჩვენს შემთხვევაში კი საინტერესოა, რომ მწერალი საგანგებოდ იღებს დრამატულ ამბავთა ტრადიციულ სქემას, მოდელს, რომლის გარდამქმნელის და გამაუქმებლის ფუნქცია მიანიჭა თავის გმირს, ბათას: ადრეული ბავშვობიდანვე დაობლება, სიყვარულში განბილება, მეგობრის ღალატი, არასასურველი ცოლქმრობა, შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ყველა ის საბაბი თუ მიზეზია, რაც შედეგად აპირობებს ყოფითსა თუ ცნობიერების „კლასიკურ“ დრამატიზმს, ე.წ. „მუხთალი წუთისოფლის“ მოტივს, რაც ინდივიდის მიერ საკუთარი პერსონის მუდმივ სამოქმედო ობიექტად აღიარებას გულისხმობს. ბათას სხვა „ფილოსოფია“ აქვს: მას არასოდეს ავიწყდება საკუთარი სუბსტანციურობა ყოფის პირისპირ, რადგან, მისივე აღიარებით, იგია „მიზეზი და მიზანი“. და, წუთისოფლის დრამატულ ინსპირაციათა მიუხედავად, ბათა აბსოლუტურად, მიზანმიმართულად აღასრულებს შვილის, მშობლის და საზოგადოებრივ ფუნქციებს სწორედ საკუთარი, ანუ ზოგადადამიანური არსის „მიზეზ-მიზნობრივი“ უპირატესობის გამო. ბათა ის ფუნქციური სახეა, რომელიც აზროვნებაში ჩამოყალიბებულ ნიშნურ სისტემათა კოდური დანიშნულების განმაახლებელს მოიაზრებს. განახლება კი მხოლოდ ცნობიერებისეულ ველში ხორციელდება.

არსებობის აუცილებლობა აწმყოს გაგებას და, რაც მთავარია, დროსთან ფსიქიკურად შეთანხმებას მოითხოვს. გ.ქიქოძე ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული ხასიათის თვისებად აწმყოსთან მოურგებლობას. ქართველების მზერა - ეს გამუდმებით წარსულისკენ მიმართული მზრაა რადგან მხოლოდ „იქ“ ეგულება ნამდვილი იდენტიფიცირება ეროვნული „მე“-ს ფენომენთან, აწმყო კი ამ კოდურ თანხვედრას ვერასოდეს ახორციელებს. ხოლო, როცა მტკივნეულად დგება არსებობის ფორმის განახლების მოთხოვნა, იგი, უპირველესად, მსოფლმხედველობის გადასინჯვას გულისხმობს. სავარაუდოდ, დემნა შენგელაიამ ბათას სახეს სწორედ ეროვნული ცნობიერების და, შესაბამისად, ეროვნული სხეულის განმაახლებლის ფუნქცია მიანიჭა; მით უფრო, რომ იგი არ წარმოადგენს უნიადაგო სიახლეს: აკაკი ბაქრაძემ ამ გმირში „ჩვენი“ ნაცარქექიას კოდი ამოიკითხა. მიუხედავად ამგვარი ძირებისა, ქართული კულტურა დრამატული ტიპის კულტურაა. მოდერნის ხელოვანთა აზრი დაჟინებით უტრიალებდა ქართული ყოფის ისტორიაში ეკლის გვირგვინის ფენომენს, რომელიც უხვად იწირავდა ერის სასიცოცხლო ძალებს. სწორედ ამიტომ XX საუკუნის დასაწყისში დროსთან გაურკვევლობაში აღმოჩენილ ქართულ ცნობიერებას მასტიმულირებელ ფაქტორად მწერლობამ შესთავაზა განახლებული მოდელი, რომელიც დიონისურს და ქრისტიანულს ერთ პლანში მოიაზრებდა. საინტერესოა, რომ არისტოტელე სიცილს იმ ფენომენად მიიჩნევდა, რომელსაც ტრაგიკულის დაძლევის უნარი შესწევს; და სწორედ ხაზგასმულად ლაღი, მოთამაშე დამოკიდებულება ცხოვრებისეული დრამისადმი, რაც მთავარ მოტივად გასდევს „ბათა ქექიას“, დემნა შენგელაიამ სულიერი დაძაბუნების, დეკადანსის დაძლევის გზად მიიჩნია.

პრობლემა დროთა განმავლობაში ხელახლა აქტუალურდება ხოლმე. დღეს საკუთარი, მაგრამ განახლებული ეროვნული სახის ძიების პროცესია, რაც თავად ყოფის შინაარსის, კონტექსტის განახლების მოთხოვნას გულისხმობს. XX საუკუნის დასაწყისი და „ახლა“ დრო ამ თვითმოძიების და თვითაღორძინების სურვილით თანხვდება. გზების ძიება კი ყოველთვის კულტურის საშუალებით ხორციელდება, რადგან მხოლოდ ხელოვნებას ძალუძს ერის ცნობიერებაში სახეფუნქციათა ამოქმედება. სამყარო მუდმივი ფენომენია, მხოლოდ მის მიმართ ხედვის გადასინჯვაა შესაძლებელი და, ალბათ, აუცილებელიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვანო იმერლიშვილი

## ქართველი ქალები

1877 წლის უნგრულ გაზეთ „ვოშარნოპი უიშაგ"-ში („კვირის სიახლე"-ში), N 34, გვ. 534, აღმოვაჩინეთ სტატია სახელწოდებით „ქართველი ქალები".

სტატიას ხელს არავინ აწერს. გავეცნოთ უნგრული ტექსტის შინაარსს ქართულად: „ჰარემებისთვის განკუთვნილი გასაყიდი მონა-ქალების ბაზრებზე ძირითადად ყველაზე დიდ საფასურს ქართველი ქალებისთვის იხდიან. ქართველი ქალები მართლაც რომ ღმერთის მიერ შექმნილი საოცრებანი არიან და არც კი გვაქვს იმის მიზეზი, გავიკვირვოთ, აღმოსავლელი პოეტები ასე აღმაფრენით რომ ასხამენ ხოტბას ამ თითქმის ზებუნებრივ მშვენიერ არსებებს. ეროვნული ტანსაცმელი ძალიან ლამაზია, მშვენიერი და ამგზნები, რომელიც ტანწერწეტა დიდებული სილამაზის არსებებზეა მორგებული, ხოლო თანაზომიერი, ყოველმხრივ უზადო, სრულქმნილი ტანები კი ყოველ უპირატესობას პომპეზურად გვიჩვენებენ. თუმცა ქართველი ქალების ერთ დროს (ყოფილმა) ეროვნულმა ტანსაცმელმა ახლა, უკვე ორი ათეული წლის მანძილზე, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ქუთაისის და თბილისის ბულვარებში ლამაზი ქართველი ქალები დღეს უკვე მთლიანად პარიზული მოდის მიხედვით ჩაცმულნი გამოდიან, განსაკუთრებით კი, უფრო დიდგვაროვანი, ოჯახებიდან გამოსულნი, რომლებზეც რუსულმა და ევროპულმა ზნე-ჩვეულებებმა დიდი გავლენა მოახდინა. საქართველოში ქალებმა, უპირველეს ყოვლისა, ქუჩაში რომ ატარებდნენ ხოლმე, მაღალქუსლიანი და ნაქარგი ტყავის ფეხსაცმელები გადააგდეს და მათ ნაცვლად ძვირფასი თეთრი ქალის წინდების და ევროპული ყაიდის ფეხსაცმელების ტარება დაიწყეს. ევროპული მოდა ამ მხრივ დღეს უკვე თითქმის ჩვეულებრივი გახდა ქართველი ქალებისთვის. მხოლოდ შესანიშნავი ქართული მორთულობა, საოცრად ლამაზი, თვალწარმტაცი ნაწნავები და თეთრი გრძელი ჩადრა შეიძლება ჯერ კიდევ ვნახოთ როგორც მაღალი, ისე დაბალი წრიდან გამოსულ ქართველ ქალებზე. ქართველ ქალებში შეიმჩნევა მთელი ერისთვის დამახასიათებელი თვისება: ისინი არიან ამაყნი და, თუ მათ ქმრებს ან ძმებს ბრძოლაში დაამარცხებენ, ზიზღის გრძნობით იმსჭვალებიან მათდამი, ხოლო თუკი გაიმარჯვებენ, - პირიქით. ისინი ზრუნავენ და სუფთად ინახავენ მამაკაცების იარაღს. თავისუფლება მათაც უყვართ და მათ შორის მიმდინარე ადამიანით ვაჭრობის პროცესს ვერ ეგუებიან".

უნგრული სტატიის უცნობი ავტორი კარგად ხედავს ქართველი ქალის მთელ რიგ დადებით თვისებებს. თუმცა, როგორც ჩანს, ავტორი მათ „ჩადრიან" ქალებში ურევს. როგორც ცნობილია, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა იძლეოდა ამ გაუგებრობის საფუძველს, თორემ ქართველი ქალები ჩადრით ვის უნახავს? აი, ამ შემთხვევაში კი შეუძლებელია, დაეთანხმო უცნობ უნგრელ ავტორს.

ქართველ ქალთა შესახებ ბევრი რამ დაუწერიათ უცხოელ მწერლებსა და მოგზაურებს და ეს არც არის გასაკვირი — ქართველი ქალები ხომ საყოველთაო აღტაცებას იწვევდნენ მთელ მსოფლიოში თავიანთი სილამაზითა და მომხიბვლელობით.

აი, რას წერს გამოჩენილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643-1713) ქართველ ქალებზე: „არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა... ქართველი ქალები არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში გასაოცრად წვრილნი, ბუნებით მეტად ნიჭიერნი; მახვილი გონებისანი, ზრდილნი, თავაზიანები, თავმომწონენი; ამასთანავე, ამაყნი და ამპარტავანნი. მათ დიდად მოსიყვარულე გული აქვთ (ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, 1975, გვ. 107).

საყურადღებოა, რომ უნგრეთში იდგმებოდა ფრანგი კომპოზიტორისა და თეატრის რეჟისორის ჟაკ ოფენბახის (1819-1880) ოპერეტა „ქართველი ქალები".

უნდა აღინიშნოს, რომ „მშვენიერი ქართველი ქალები" იდგმებოდა თბილისის ვ.აბაშიძის სახ. მუსკომედიის თეატრში მე-19 საუკუნეში. ფაქტობრივად, ეს იყო მეიჰლაკი ჰანრის (1831-1897) და ჰალევი ლიუდოვიკის (1834-1908) მიერ დაწერილი ლიბრეტო „მშვენიერი ელენე", რომელიც რუსულიდან ქართულ ენაზე მწერალმა დავით ერისთავმა (1847-1890) თარგმნა. წიგნად გამოიცა 1879 წელს, თბილისში. ფრანგულიდან რუსულ ენაზე კი ლიბრეტო თარგმნა რუსმა დრამატურგმა ვიქტორ ალექსანდრეს ძე კრილოვმა (1838-1906) 1870 წელს.

„მშვენიერი ელენე" — „La Bella Helene" თბილისში „მშვენიერი ქართველი ქალების" სახელწოდებით იდგმებოდა.

„მშვენიერი ელენე" ეფუძნება მითს ტროას დედოფალზე, რომელიც ფრანგ დრამატურგებს გამოუყენებიათ საფრანგეთის მაღალი ფენების სატირულ ფერებში წარმოსადგენად.

გამოჩენილი ფრანგი ლიბრეტისტები, მწერლები, დრამატურგები, საფრანგეთის აკადემიის წევრები ჰალევი და მეიჰლაკი წერდნენ ლიბრეტოებს ჟაკ ოფენბახის ისეთი ცნობილი ოპერეტებისთვის, როგორებიცაა: „მშვენიერი ელენე" (1864), „პარიზული ცხოვრება" (1866), „ლურჯი წვერი" (1866), „პერიკოლა" (1868) და სხვა.

ჟაკ ოფენბახმა 1855 წელს მიიღო ლიცენზია, რომ გაეხსნა საკუთარი თეატრი „ბუფ-პარიზენ" პარიზში, სადაც დგამდა პანტომიმებს, მუსიკალურ-სცენიურ მინიატურებს და განსაკუთრებით კი ოპერეტებს თავისი მუდმივი ლიბრეტისტების ჰალევისა და მეიჰლაკის ლიბრეტოებზე.

ჰალევი ლუი და მეიჰლაკი ანრი ლიბრეტოებში გადმოსცემდნენ ანტიკურ მითებს ან შემთხვევებს არისტოკრატული საზოგადოების ცხოვრებიდან, ოდნავ დასცინოდნენ რა მათ ბურჟუაზიული საზოგადოების „სალი აზრის" პოზიციებიდან.

მათი ლიბრეტოები გამოირჩევა გონებამახვილობით, ისინი იყენებენ შარჟს, პაროდიას.

უნგრეთში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს სიჩენის სახ. ბიბლიოთეკაში წავაწყდი რამდენიმე საინტერესო ცნობას.

1864 წლის გაზეთ „კოსორუში" („გვირგვინი") რუბრიკით („ნარევი") ვკითხულობთ: „ბუდას სახალხო თეატრი ამჟამად დაკეტილია ოპერეტა „ქართველი ქალების" მომზადების გამო".

„ქართველი ქალები". სამმოქმედებიანი ოპერეტა. დაწერა მოინეუქსმა, თარგმნა ტორნაიმ. მუსიკა შეთხზა ოფენბახმა, არანჟირება გააკეთა ბიოჰმა".

ჟიულ მოინეუქსი (1815-1895), ფრანგი დრამატურგი, წერდა ლიბრეტოებს ოპერეტებისთვის.

ამრიგად, ოპერეტა „ქართველი ქალებისთვის" ოფენბახმა შექმნა მუსიკა, ხოლო მოინეუქსმა კი ლიბრეტო დაწერა.

ჩვენი აზრით, მოინეუქსმა ჰალევის და მეიჰლაკის მიერ დაწერილ ოპერეტა „მშვენიერი ელენეს" მიხედვით დაწერა ლიბრეტო ოპერეტა „ქართველი ქალებისთვის", რომელიც უნგრეთში იდგმებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოპერეტას „მშვენიერი ქართველი ქალები", რომელიც თბილისის ვ.აბაშიძის სახ. მუსკომედიის თეატრში იდგმებოდა მე-19 საუკუნეში, ოფენბახს აკუთვნებენ, რადგანაც მან ამ ოპერეტისთვის მუსიკა დაწერა, ხოლო ლიბრეტო კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰალევის და მეიჰლაკს ეკუთვნის. ფაქტობრივად, ეს იყო ამ ფრანგი ლიბრეტისტების მიერ დაწერილი ოპერეტა „მშვენიერი ელენე", რომელიც თბილისში „მშვენიერი ქართველი ქალების" სახელწოდებით იდგმებოდა.

ამ ოპერეტისთვის, როგორც უკვე ვთქვით, მუსიკა შექმნა ოფენბახმა და თბილისში ფრანგული ოპერეტის უდიდესი კლასიკოსის ჟაკ ოფენბახის მიერ შექმნილი მუსიკითვე იდგმებოდა; ამიტომაც უწოდებდნენ ამ ოპერეტას და უწოდებენ ახლაც ოფენბახის ოპერეტას.

გავეცნოთ კიდევ ერთ ცნობას, რომელიც უნგრულ გაზეთ „დედაქალაქის ფურცლებში" მოვიძიეთ: (1864, N 140, 21 ივნისი, გვ. 593., სამშაბათი.)

„ქართველი ქალების" დადგმისთვის უკვე ემზადება ბუდას თეატრის კოლექტივი, რის გამოც სახალხო თეატრი თითქმის კარგა ხანი დაკეტილი იქნება".

რუბრიკით „სახალხო თეატრის ცნობები" გაზ. „დედაქალაქის ფურცლებში" ვკითხულობთ: „კატალინ ლანერს, თეატრის დასის ცნობილ მოცეკვავეს მომავალი კვირის განმავლობაში სახალხო თეატრში ექნება გამოსვლები; ერთ სრულიად ახალ ბალეტში მოუწევს ცეკვა, რომელიც უნგრულ თემაზეა შექმნილი. ოფენბახის „ქართველ ქალებს" ეროვნული თეატრის წევრმა ბიოჰმა გაუკეთა არანჟირება და წარმოდგენასაც ის გაუძღვება. ეს მშვენიერი ოპერეტა უკვე ამ თვეში დაიდგმება სცენაზე" (გვ. 641., N 152,, 1864 წ.).

საერთოდ, ოპერეტა, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, მე-19 საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა პარიზში და ნათლად გამოხატული სატირული მიმართულება და სიმწვავე მიიღო.

ამ ჟანრის დამაარსებლები იყვნენ ფრანგი კომპოზიტორი და დრამატურგი ფლორიმონ რონჟე ერვე (1825-1892) და კომპოზიტორი ჟაკ ოფენბახი - ფრანგული ოპერეტის უდიდესი კლასიკოსი.



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე
ჩალვადრები წითელტალახაზე (გურია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოია ცხადაია

## თაობის ბედისწერა

*- ბიჭებს, რომლებიც ველარ დაკაცდნენ,*
*ქალებს, რომლებიც სხვაგან გათხოვდნენ...*

***ლია სტურუა***

სამასი ათასზე მეტი ქართველი შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა, მათ შორის, 30-იანი წლების ქართული მწერლობის ახალი, ნიჭიერი თაობა: მირზა გელოვანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ალექსანდრე უბილავა, სანდრო ჟღენტი, დიმიტრი პატარიშვილი და სხვ. მიუხედავად რეალური მიზეზისა, იქნებ, ამ ჭაბუკების ბედისწერას გამოხატავდა ის ფაქტი, რომ სწორად ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შეწყდა გამოცემა ჟურნალმა „ჩვენი თაობა", რომელთანაც თანამშრომლობდნენ ისინი. ომმა და სიკვდილმა წერტილი დაუსვა მათ წინსვლას და მომავალს. ლადო ასათიანი „ულმერთო სენმა" შეიწირა, ამავე თაობის ერთ-ერთი კოლორიტი, ნიჭიერი პოეტი, ალექსანდრე (კოკი) საჯაია, სვანეთში დაიღუპა, პოეტ რევაზ მარგიანთან სტუმრად მყოფი, მოულოდნელად ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მათი სახით განახლების ნიჭით აღბეჭდილი თაობა კვდებოდა.

რაც შეეხება ომის თემატიკას, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ომში წასულთა ლირიკული ტექსტები. ზურგში მოღვაწე პოეტებისა და უშუალოდ ფრონტის მონაწილეთა ლექსებს შორის განსხვავებული განწყობილებებია; ფრონტის მიღმა თუ ზურგში მყოფნი ცეცხლის ხაზზე მყოფებს და პოტენციურ მებრძოლთ მოუწოდებდნენ ოპტიმიზმით სავსე სიტყვებით, რათა მან რწმენა და თმენა, გამძლეობა შეენარჩუნებინათ; ომში მებრძოლნი კი სიკვდილს თვალებში უყურებდნენ და მათ ნათქვამში ამიტომაც მეტია რეალური, მართალი სიტყვა და განცდა. ამ თაობამ დაგვენახა ომის ჭეშმარიტი ტრაგიზმი.

მამულის დარაჯად მზადყოფნას, საბრძოლო განწყობილებას გამოხატავს ვლადიმერ უბილავას ლექსი „გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა". ამ ნიჭიერი პოეტისი ლირიკული ხმა ბრძოლის, მოწოდების, ფიცის პათოსმა შეცვალა:

რა ვარ, ბრძოლაში თუ დავვარდები,
მტერს შემოსეულს თუ არ დავხვდები,
ვერ გამითელონ ბაღში ვარდები,
ვერ დამიჩრდილონ მთების კალთები!
ვინ მოინდომა აკლება მისი!
ვინ მოგვისია ურდო მკვლელების!
ჩვენივე სისხლით, ჩვენივე სისხლით
ვიხსნათ ეს მთები და ეს ველები.
(1941წ.)

ერთი წლის შემდეგ ვლადიმერ უბილავა დაიღუპა...

შინდაბრუნების ქვეცნობიერი შიში და სევდა, როგორც ომის თანმხლები ატრიბუტი, გამოარჩევს გიორგი ნაფეტვარიძის ომის დროინდელ ლექსებს. 23 წლის ჭაბუკი სიკვდილ-სიცოცხლის შუაგულში იდგა, სადაც ყოფნა-არყოფნას ერთი ბრმა ტყვია წყვეტდა. 1941 წელს დაწერილი მისი ლექსი „ნახვამდის" არც მოწოდებაა და არც უკანდახევა „უნდო და მკაცრი გზიდან", უბრალოდ — ადამიანური ტკივილია, სრულიად ბუნებრივი და გასაგები:

ვინ იცის, გნახავთ თუ აღარა,
წინ გზაა შორი და მკაცრი,
ალვის ხემ თავი ძირს დახარა,
ცრემლებს ღვრის მოხუცი ნაძვი.
მშობლების ძვირფასი ჭაღარა
ღამეს მინათებენ თვალწინ!..
ვინ იცის, მოვალ თუ აღარა, -
წინ გზაა უნდო და მკაცრი.

„ხშირ-ხშირად მომწერეთ ბარათი, ნუ ტირით, პატარა დებო," — წერს იგი თავის საყვარელ ახლობლებს. ლექსს ამთავრებს სიტყვა „მშვიდობით", რომელსაც თითქოს გამოცდილი აქვს ნახვის („ნახვამდის") პერსპექტივა:

გზის პრად პატარა ნაკადი
ნაკადთან პატარა ჩერო,
იქ გითხარ პირველად „ნახვამდის“,
ახლა კი... მშვიდობით, ჩემო...

ასეთივე სულიერი მდგომარეობის გამომხატველია პოეტის „უსათაურო ლექსი ფრონტიდან: „ჩავიდა მზე და ქართლის მიდამოს დაადგა მხრებზე მთის იდილია, ქარი მეძახდა: - რა მოგიტანო, სატრფოს წერილი თუ სიკვდილიო"... გიორგი ნაფეტვარიძეც 1942 წელს დაიღუპა.

სევერიან ისიანის ლექსები „ჩემს ლურჯას“ (1939), „გაანადგურე“ (1942), „ნახვამდის“ და სხვები პოეტის ჭაბუკურ მხნეობას გამოხატავს, მაგრამ არც განშორების სევდაა უცხო:

მე განშორებას ბევრს მოვესწარი, -
ასე წავიდა ჩემი ცხოვრება,
მაგრამ ისეთი ძნელი და მწარე
მაინც არ მახსოვს მე განშორება.

პოეტი, ამ ტკივილების მიუხედავად, ცდილობს, სიკვდილი, „თამაშად“ თუ არა, დიდ უბედურებად არ წარმოსახოს, თავს იიმედებს:

თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად.
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ არ დაბრუნდება.
(1942 წ.).

მომდევნო — 1943 წელს, სევერიან ისიანიც დაიღუპა.

1944 წლის 17 აგვისტოს დაიღუპა მირზა გელოვანი. სიკვდილის ზღვარზე, რამდენიმე დღით ადრე აქვს ნათქვამი: „ო, შენ რომ არა, შენის ხელის მკვლელი შეხება, მე ეს გრიგალი ვერ წამაქცევდა“.

მრავალთა შორის მირზა გელოვანი ის სახელია, რომელიც ამ ომის მსხვერპლთა ცოცხალ სახე-სიმბოლოდ გაიაზრება თანამემამულეთა მიერ, მით უმეტეს, ლიტერატურულ სამყაროში, მათთვის, ვისთვისაც პოეზიას ჯერაც არ დაუკარგავს ხიბლი.

მირზა გელოვანმა და მისმა თაობამ ახალი სიცოცხლე მიანიჭეს იდეოლოგიით დათრგუნვილ ლექსს. „პატენტიანი“ კრიტიკოსები საგანგებოდ აქებდნენ კლასიკოსებს, რათა დაებალანსებინათ თავიანთი პოლიტიკური როლი მიმდინარე და თანამედროვე პროცესებში, რითაც ალიბით იქმნიდნენ.

ომის დროინდელ ქართულ პოეზიაში მირზა გელოვანის ლირიკა აშკარად გამორჩეულია. ომის თემატიკის გარდა, ბევრ რამეს იტევს იგი: სიცოცხლით ტკბობის აღტაცებას თუ სატრფოსთან „გაბაასებას, გახარებას წამით“, მშვენიერების შეცნობის ხელწიფებას და მის გალმერთებას თუ ცხოვრების „ყოველდღიური მასკარადების“ გაძლების ნიჭს, შავლეგოს სადიდებელს თუ ჭიამაიას ათრთოლებული სულის განცდას, განშორების ნაღველს თუ შინ დაბრუნების რწმენას...

ლექსში, რომლისთვისაც პოეტს თარიღთან ერთად მიუწერია „გზაში“, დაუფარავად იკვეთება სიკვდილის წინათგრძნობა, სიკვდილისა, რომელსაც სულაც არ ეშურებოდა 22 წლის ჭაბუკი, მიმავალი ამ ომში. სიცოცხლისთვის მომართული სული აქ, შინ, ცოცხალთა შორის ტრიალებდა, თავად კი პოტენციურად გარდასულთა შორის ლანდავდა უკვე თავს, რამეთუ კარგად უწყოდა სიძნელე იმ გზისა, რომელსაც შეუდგა: „აქ მისვამს წყარო მთების სურიდან, სიკვდილის მერეც აქვე ვიქნები, აქ გაცოცხლდება ჩემი სული და დაუბეჭდავი ჩემი ლექსები“. წინ კი — „სისხლის ღამე და სისხლის ლოგინი“, მაგრამ მანამდე კიდევ იყო დრო, დრო „მინდიასებრ სიბრძნის“ და თმენის, სიმხნევის, იმედიის, რომ „აცხადდება სიზმარი შორი“, რომ დაბრუნდება და ტკივილს წაშლის... „ოღონდ მოსვლამდის ოღონდ ბოლომდის, როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, შენი ლამაზი სუნთქვა მელოდის“, - ამ თხოვნას არაერთხელ მიანიჭებს იგი ახალ-ახალ პოეტურ შინაარსს, ახალ ლექსებში, რომელთა სათაურებშივე მოიაზრება სიმბოლურად პოეტის უმთავრესი სათქმელი. დიდი დანაკარგის, დიდი განწირულების რაღაც ძალიან ტრაგიკული განცდაა თითოეულში. სიტყვებში „მელოდე“, „ლოდინი“, „ნახვამდის“ — ეტიმოლოგიურად დევს დაბრუნების პერსპექტივა, იმედი არ ტოვებს ჭაბუკს, რწმენა ჯერ კიდევ ცოცხალია.

ო, არა... მაგრამ სიკვდილს გვერდით,
სისხლიან ჩრდილში მწვავე ბრძოლების,
თქვენ მაგონდებით, როგორც იმედი
წარსულთა დღეთა განმეორების.

მაგრამ იმედი და უიმედობა, როგორც მკაცრი რეალობის განჩინება, მონაცვლეობენ ერთმანეთში, „ბედი უცნობი გზით“ მიაქანებს:

მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი გზები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,
ჩემს დაპირებას ანადგურებენ.

1942 წელს დაწერილ ლექსში „სურათი“ პოეტი მთხრობელია, მხატვარია. ამ თხრობაში საგრძნობია სწორედ ის, რაც თავად აწუხებდა, რაზედაც ოცნებობდა და რისი იმედიც ხანდახან მაინც გამოკრთებოდა. ყურადღებას იქცევს ლექსის სასაუბრო სტილი, ეს ვერლიბრის ნიმუშია მირზა გელოვანის ლირიკაში.

ბავშვი ეკითხებოდა მამას: - როდის წავალთ
სახლში?
ღრუბლები არ ჰგვანდნენ ღამურებს, -
ღრუბლებს შეეჭამათ ცა.
და მტირალი ბავშვი, როგორც მოლაღური
ეკითხებოდა ხმას საკუთარს:
- როდის წავალთ სახლში?
იმ ღამეს მზის გარდა არაფერს ეძინა.
- გვიშველეთ, გვიშველეთ, - ჰკიოდა გრიგალი.
- გვიშველეთ: ხეებმა შეიბეს ფეხები,
რომ როგორც ჭინკებმა
იქროლონ ცაში!
- არ გესმით? როგორც ბალახის
ჩურჩული, კითხულობს ხმა:
- როდის წავალთ სახლში?!

ამ უსაშველო განწირულობის განცდას ისევ და ისევ შთაგონების გაუნელებელი ცეცხლისკიდება, მხატვრული ფანტაზიის იმპულსი თუ უმსუბუქებდა პოეტს. ჯოჯოხეთური ყოფის ფონზე მისი მიკროსამყარო გაზაფხულის პალიტრით ივსებოდა, თბილისური გაზაფხულის პალიტრით, მთაწმინდის ცით და აყვავებული ნუშის ხეებით, მტკვარით, მეტეხით... საქართველოს გაზაფხულით, როცა „ვილაცა დადის მინდვრებში ღამით და დილისათვის ამწვანებს ნახნავს“. ომი, როგორც განსაკუთრებული რეალობა, მეტად ცხადს ხდის სიზმარეულ ხილვებს. ისევ მონაცვლეობენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენა — სიცოცხლის, გამარჯვების; შიში — სიკვდილის, არდაბრუნების.

კვლავ ცოცხალი ვარ, ცეცხლში ბრძოლებს
ბედი მწყალობს და სიკვდილს ახელებს,
არდაბრუნება არ მეძნელება,
უფრო ძნელია თქვენზე წუხილი.

პოეტი ქმნის გაძლების ღირსეულ და, ამასთან, რომანტიკულ საშუალებებს. სხვა ხსნა არ არს, რადგან ომი ომია, ყოველთა შემმუსვრელი. „იმ ცხრა ათას ხუთას შვიდი ღამიდან“, რომელიც გაუვლია 26 წლის ჭაბუკს (ამ ლექსის დაწერსი დროს მირზა უკვე 26 წლისაა), ერთ ღამეს გამოყოფს, როგორც განსხვავებულს, სიმბოლურს, განშორების ნიშნით აღბეჭდილს: „ადგება ეს ღამე ადამიანივით და შუაღამისას გზაში მიეფება“.

ასეთივე ღამის სევდით არის შექმნილი ლექსი „დედას“ (1943). დედის კვნესა, „როგორც კვნესა საკუთარ ძვლების“, ცივ სანგარში ეხმიანება. ლოცვა მოჰქონდა ამ მკვნესარე ხმას, სასტიკ გრიგალთან შეხლას უადვილებდა, თანაც იმ ღამის თენებას გაახსენებდა, როცა მთაწმინდისი თავზე „ინგრეოდა ნისლი ნინევი; ინგრევდა წუხილს, განშორებას, დარჩენის ნადილს“... მაგრამ ეს უკვე სამუდამო წარსული იყო, უმომავლოდ წერტილდასმული. ბედისწერის მკაცრ განაჩენს ინტუიცია კარნახობდა:

თქვენ მაპატიეთ, თუ დავკარგე ბავშვის
სიცილი,
თუ ჩემს თვალებში საშინელი სხივი
კიაფობს.
ეკითხეთ ქარს, ეგებ მან გიამბოთ ჩემი
სიკვდილი
და უცნაური დაბადება ჩემი გიამბოთ.

მირზა გელოვანის პოეზია, განსაკუთრებით ომის დროინდელი, ზომიერად დინამიკურია. ეს არის შინაგანი დინამიკა, რომელიც ექსპრესულს ხდის მის სულიერ მდგომარეობას — ამავე დროს, ის არ ხმაურობს, არ არის ხელოვნურად „ხმამაღალი“ პოეტი, როგორც ეს სახასიათო იყო იმ დროის ქართულ პოეზიისთვის (მთელ საბჭოთა სივრცის პოეზიისთვის). მირზა გელოვანის ლექსი ხან „ლომის სიმძლჯვრეს“ იფერებდა და ხანაც „გულწითელას მართვესავით გულნაკლულიც“ იყო. გმირის საფერი სულისკვეთებითაც გამოირჩა და სიცოცხლედაუთმობელი ლირიკოსის გულისწვითაც. საერთო სასაფლაოზე ზვარაკად განწირულს ამაოთა ამაოებაზე არ უწუწუნია. დედა, სატრფო, „თიანეთი და სწორები“, მთაწმინდა, ორთაჭალა, ნუშის ყვავილობა... უხილავი ძაფებით აკავშირებდა მათთან საკუთარი სულიერი მდგომარეობა, რომლის უნივერსალური გამოვლენაც იყო მისი პოეტური სიტყვა.

მირზა გელოვანი არ გაქცეულა კონკრეტულ მძიმე დროს, ფაქტებს, რომელიც მკაცრ ნაკვალევს ტოვებდა:

მაგრამ მითხარი, განა გიშველის,
რომ შედრკე ახლა სიკვდილის გამო!
რამდენი ნახე შენ ფეხშიშველი,
ბავშვი უსახლო და უდედმამო!..

მირზა გელოვანი ფრონტიდან აგზავნიდა ლექსებს, მაგრამ, როგორც მისი წერილებიდან ირკვევა, არ უბეჭდავდნენ, მაშინ, როცა გაზეთები მიჰქონდა წყალ-წყალა, ნაძალადევ ლექსებს. „დაო რუსუდან, - წერს მირზა გელოვანი თავის დას, - მერიდება ამ ლექსისა ახლა რომ გიგზავნი. ჩემი ლექსები ვერ მაკმაყოფილებენ და ალბათ მივატოვებ წერას, ვდრე არ ვიპოვი ისეთ გასაღებს, რომელიც გახსნის ჩემს მგრძნობიარე გულს და უჩვენებს მომავალ თაობებს, როგორ გარბოდნენ გულზე დღეები, ღამეები და სტოვებდნენ მილიონებისათვის ნაცნობ კვალს...“

მირზა გელოვანის „დანაქადი“, ლექსების წერას ........ მივატოვებო, სიკვდილმა აღასრულა, ოღონდ — არა დროებით“, სამუდამოდ.



ედმონდ-გაბრიელ კაკანდაძე შვილო გოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნიკოლაი ფილიპოვსკი

## ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ...

მესამე წიგნი

რჩეული ანეკდოტები ზოგიერთებისთვის

*ამ წიგნის ყველა პერსონაჟი რეალურია, რეალური არ არის ყველა ამბავი.*

ნახატები ***ალექსეი მერინოვისა***

სიტყვები ***ხალხური***
შემდგენელი ***ნიკოლაი ფილიპოვსკი***
პროექტის კურატორი ***პაველ ფილიპოვსკი***

*გარეკანი, ნაკრები და კინძვა* ***ტატიანა კონსტანტინოვასი***

მეორე, ოდნავ გაუმჯობესებული გამოცემა

●

ამ წიგნაკის ერთ-ერთი ავტორის მოკლე მონაცემები

ნიკოლაი ფილიპოვსკი



1. ***დავიბადე. თავის დროზე***
2. ***ვცხოვრობ. ერთხელ***
3. ***დავქორწინდი. ერთხელ და მეტ-ნაკლები წარმატებით***
4. ***გამოვეცი წიგნი. და არაერთი***
5. ***ალვზარდე ვაჟი. და ქალიშვილი***
6. ***ხესთან და სახლთან დაკავშირებითაც ყველაფერი რიგზეა***
7. ***თავმდაბლობისგან არ მოვკვდები***

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ამ წიგნაკის ავტორები — ***ნიკოლაი ფილიპოვსკი*** და ***ალექსეი მერინოვი***, ვიღაც-ვიღაცებისთვის კარგად ცნობილნი პირველი წიგნაკის წყალობით.

- მეორე წიგნი, როგორც წესი, პირველზე უარესია ხოლმე; მოდი, ნუ გავაკეთებთ, - თქვეს ამ წიგნაკის ავტორებმა. — გავაკეთოთ პირდაპირ მესამე.

თქვეს და ასეც მოიქცნენ.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ რუს-ფრანგი გამომცემელი ***მარია ვასილიევნა როზანოვა***, ცნობილი, როგორც ცნობილი სამართალდამცველის, სამოციანელ-დისიდენტის ანდრეი სინიავსკის ცოლი, და თვით ***ანდრეი სინიავსკი***, ცნობილი, როგორც მწერალი აბრამ ტერცი.

- ნება მომეცით, ანდრეი დონატონოვიჩ, თქვენი ჯანმრთელობისა შევსვათ, - შამპანურის ორი ბოკალით ხელში მიუახლოვდა სინიავსკის კიდევ უფრო ცნობილი მწერალი ანდრეი გეორგიევიჩ ბიტოვი.

- ჯანმრთელობა არ აძლევს მაგის უფლებას, - მტკიცედ მიმართა მარია ვასილიევნამ და ორივე ბოკალი გამოცალა.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ***ალექსანდრ ტკაჩენკო***, ცნობილი ფეხბურთელი, პენ-ცენტრის ცენტრალური თავდამსხმელი, არცთუ იშვიათად ნახევარმცველის ფუნქციის შემსრულებელი, რატომღაც უფრო მეტად ცნობილი, როგორც პოეტი, და ***ვიქტორ პელევინი***, რატომღაც ძალიან ცნობილი პროზაიკოსი.

- თქვენი ახალი წიგნი შესანიშნავია ყოველგვარი შეღავათის გარეშე, - მიზანმიმართულად მიუახლოვდა ტკაჩენკო.

- დიდი კეთილშობილებაა თქვენის მხრივ, - პატივისცემით მოუსმინა პელევინმა და ჭიქაში ჩარჩენილი სითხე თავზე გადაასხა.

- რას ჩადიხართ, - თავს დაესხა ცენტრალური თავდამსხმელი. — ეს ხომ ვისკია!

- მე მეგონა, სოდიანი იყო, - შეცბუნდა პროზაიკოსი.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ხელოვნებათმცოდნეობის სტუდენტი ***პაველ ფილიპოვსკი*** და წიგნის მხატვარი ***ალექსეი მერინოვი***, ცნობილი, როგორც რეპორტიორ მარინა ოვსოვას ქმარი.

- კონიაკი? შამპანური? — არცთუ დაჟინებით შესთავაზა სტუდენტმა.

- გმადლობთ, პაშა, მაგრამ საჭესთან ცოლი ზის, - თავშეკავებული უარი განაცხადა მხატვარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ რუს-ამერიკელი მწერალი ***ვიქტორია როვნერი***, უფრო ცნობილი, როგორც რუს-ამერიკელი მწერლის, არკადი როვნერის ცოლი და ამერიკელი კომპოზიტორის, ანტონ როვნერის დედა, და ცნობილი მოსკოველი გალერისტი ***სერგეი ტარაბაროვი***.

- მაინც სად პოულობთ ამ თქვენს მხატვრებს? — გულწრფელად დაინტერესდა ვიქტორია. — ამისთვის განსაკუთრებულ ნიჭს უნდა ფლობდე.

- რას ბრძანებთ, მადამ, - დაიმორცხვა ცნობილმა გალერისტმა, - საშუალო ნიჭიც საკმარისია.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი სამოცდაათიანელები, ამჟამად დიდი სტაჟის მქონე პარიზელები ***კირა საპგირი*** და ***აიდა სიჩევა***.

- რა ახალგაზრდები და ლამაზები ვიყავით მაშინ, - გულწრფელი ოხვრა აღმოხდა აიდას.

- ახლა მხოლოდ ლამაზები ვართ, - ღირსეული გამოსავალი მოძებნა კირამ.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ***ედუარდ ლიმონოვი***, ცნობილი, როგორც საჯარო პოლიტიკოსი, მანამდე ცნობილი, როგორც მწერალი, და ხელოვნებათმცოდნეობის სტუდენტი ***პაველ ფილიპოვსკი***.

-პირდაპირ მშურს მამაშენის, - დაუფიქრებლად წარმოთქვა ცნობილმა მწერალმა, - შვილები მოამრავლა, ისინი კი ნახატებსაც უკიდებენ, ლუდზეც ეგზავნებიან...

- საინტერესოა, თქვენ ვინღა გიშლიდათ? — თავაზიანად ჩაეძია სტუდენტი.

- ქალები, პაშა, ქალები, - შეცბუნდა ედიკა.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ მისი უცვლელი დირექტორი ***ნიკოლაი ფილიპოვსკი*** და კულტურის მინისტრის მოადგილე, ერთ დროს ცნობილი, როგორც რუსული კულტურის მინისტრი ***ნატალია ლეონიდოვნა დემენტიევა***.

- მაინც რა მწერლები გითხზავენ ამ გულისშემძვრელ ტექსტებს? და როგორ გავიგოთ ეს „სიტყვები ხალხური“, - მიუახლოვდა ქალბატონი მინისტრის მოადგილე.

- ვინ რას გაღირსებს, - გულწრფელი ოხრვა აღმოხდა უცვლელ დირექტორს, - თვითონვე მიწევს ყველაფრის კეთება. სიტყვები კი ნამდვილად ხალხურია.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ შესანიშნავი მხატვარი ***ევგენი ბაჩურინი***, უფრო ცნობილი, როგორც საკუთარი შესანიშნავი სიმღერების შემსრულებელი, და ამ წიგნაკის ერთ-ერთი ავტორი ***ნიკოლაი ფილიპოვსკი***.

- სულ არ მიფიქრია, ნიკოლაი ნიკოლაიჩ, რომ ასეთი სიტყვამოსწრებული იქნებოდი, - სანახევროდ გადაეხვია საკუთარი სიმღერების შემსრულებელი ერთ-ერთ ავტორს.

- მთავარია, ჟენია, არ იფიქრო, - დიდხანს არ უფიქრია, ისე უპასუხა ამან, - მე თვითონ არ მიფიქრია.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ თეატრის პოპულარული მსახიობი ***ლიუბოვ პოლიშჩუკი***, ცნობილი, როგორც ცოლი მხატვარ სერგეი ციგალისა, ვინც ცნობილია, როგორც რესტორნის კრიტიკოსი და სკულპტორ ალექსანდრ ციგალის ძმა, და ფერმწერი ***ლევ პრიგუნოვი***, ცნობილი, როგორც კინოს მსახიობი.

- კარგი და, ფრაკი რატომ არ გაცვია? — თავისებურად მიუახლოვდა ქალბატონს ფერმწერმა.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდა, მაგრამ მხატვრული ფოტოპეიზაჟის უკვე ცნობილი ოსტატი ***სერგეი კარპუხინი*** და ***ვიქტორია დუხინა***, წარსულში ცნობილი, როგორც კინოს მსახიობი, მხატვარ მიხაილ რომადინის ცოლი და ამჟამად თავადაც მხატვარი.

- პეიზაჟებით, სერიოჟა, შორს ვერ წახვალ, - მხნედ მიუახლოვდა ყოფილი მსახიობი. — ჯობდა, ცნობილი არტისტი ქალები გადაგეღო.

- რას ბრძანებთ, მადამ, - შეცბუნდა ახალგაზრდა ფოტომხატვარი, - მე ცოლიანი ვარ.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ***ვლადიმირ ვოინოვიჩი***, დიდი ხნიდან ცნობილი, როგორც მწერალი, ბოლო დროს კი — როგორც მხატვარიც, და ***ვლადიმირ ლიუბაროვი***, დიდი ხანია, ცნობილი, როგორც მხატვარი.

-ახლა უკვე ვხვდები, ვალოდია, რატომ აწყობენ მხატვრები გამოფენებს — ეს საბაბია, რათა მეგობრებს ჭიქა სასმელი დაუდგა, - ჩაფიქრებით თქვა მწერალმა და ნახატის კიდეზე ჩამოდგა თავისი ჭიქა.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ მრავალი წლის უნახავი ძველი მეგობრები — ბრძენი ფილოსოფოსი და შესანიშნავი პოეტი ***ფელიქს კრივინი*** და ამ წიგნაკის ერთ-ერთი ავტორი ***ნიკოლაი ფილიპოვსკი***.

- ფელიქს, ძვირფასო, რას გვიშვრება წლები, - მხარზე ხელი ჩამოადო ფილოსოფოსს ერთ-ერთმა ავტორმა.

- ხო, კოლია. ეს მხოლოდ სიტყვაზეა ნათქვამი, რომ წლებს თავისი მიაქვს. სინამდვილეში მათ თავისი კი არა, სხვისი მიაქვთ, - სევდიანად უპასუხა შესანიშნავმა პოეტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ძველი ახლობლები, ცნობილი სამოცდაათიანელები — მხატვარი *ვაგრიჩ ბახჩანიანი*, დღეს უფრო მეტად ცნობილი ამერიკაში, და პოეტი *სლავა ლიონი*, დღეს უკვე აღარსად ცნობილი.

და ერთმანეთი ვერ იცნეს.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ყოფილი პიტერელი დისიდენტი, ამჟამად პარიზში რუსი მხატვრების ასოციაციის პრეზიდენტი *ვადიმ ნეჩაევი* და თავისი ნახატებით ჯერ კიდევ სამოცდაათიანებში ცნობილი *ლარისა პიატნიცკაია*.

- ბონ სუარ,[1] ვადიმ. შესანიშნავად გამოიყურები, მშვენივრად მოგკიდებია მზე, - მტკიცედ მიუახლოვდა ლორიკი.

- ობლეზ ობლიჟ,[2] - იდუმალი ტონით ჩაილაპარაკა ნასიამოვნებმა ნეჩაევმა.

- გარეგნობისა[3] რა გითხრა, ცხვირი კი, დიახაც, გაგქუცვია[3], - რუსულში იპოვა გამოსავალი პიატნიცკაიამ.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთსშეხვდნენ მისი უცვლელი დირექტორი *ნიკოლაი ფილიპოვსკი* და მისი ყოფილი მუდმივი პარტნიორი, ახალი რუსი ფინან სისტი *ანდრეი დონსკიხი*.

რუსეთში არაფერია ისე დროებითი, როგორც მუდმივი პარტნიორობა, დანანებით გაიფიქრა უცვლელმა დირექტორმა.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, პრესსამსახურების ცნობილი რუს-ამერიკელი თანამშრომელი *პიტერ ხლებნიკოვი* და ცნობილი ლიაზონოვის მხატვართა კატაკომბური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი *ევგენი ლეონიდოვიჩ კროპივნიცკი*.

- თქვენ თვითონაც ებრაელი ხომ არ ხართ? — რატომღაც ჰკითხა ხლებნიკოვმა.

- მე სისხლით ნახევრად შვედი ვარ, ნახევრად — პოლონელი, ნახევრად — ლიტველი, ნახევრად — უკრაინელი, ნახევრად — გერმანელი, - ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად უპასუხა კროპივნიცკიმ, - ისე კი, რუსი ვარ.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი რუს-ამერიკელი მხატვარი *გრიგორი მაიოფისი* და ცნობილი მოსკოველი მხატვარი *ლუსია პოპენკო*.

- გრიშა, კარგად იყიდები. ბევრი გაყიდე?

- უკაცრავად, - თავაზიანად დააზუსტა მაიოფისმა, - თქვენ ფედერალური საგადასახადო პოლიციიდან ხართ თუ მოსკოვის საქალაქო რეკეტიდან?

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ მისი დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი *ნიკოლაი ფილიპოვსკი* და საკმაოდ ცნობილი პოეტი *ტატიანა შჩერბინა*.

- როგორაა საქმე? ხომ არაფერი უშავს? — გალერისტმა დაეჭვებით მოათვალიერა დარბაზი.

- თქვა, რომ „არაფერი უშავს“, ნიშნავს არაფერი თქვა, - პირდაპირ მიახალა ცნობილმა პოეტმა. — თქვენი გალერეა პირველ ათეულში მოხვდა.

- გმადლობთ, ტანიუშა, ყოველთვის სასიამოვნოა ათიანში მოხვედრა, დაე, თუნდაც პატარაში, - მადლობა გაუჯანჯლდა დირექტორს.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდა, მაგრამ წარმატებული მხატვარი *ალექსანდრ ეგოროვი* და ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი ტელეწამყვანი *პაველ პანკოვი*.

- კარგად იყიდებით, საშა, ოღონდ გადასახადების საქმე როგორაა? — ცისფერ თვალთა ციმციმით მიუახლოვდა პანკოვი.

- ჰუსარები არ იხდიან, - წინდაუხედავად იხუმრა ეგოროვმა.

- გმადლობთ ინტერვიუსთვის. ეთერში ცხრამეტსა და ოცდაათ წუთზე ვართ, - მადლობა გადაუხადა ტელეწამყვანმა.

ოხ, ჩემი, ეს რა ვქენი, თავისთვის გაიფიქრა მხატვარმა.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის გამომსახველობითი კულტურის დამსახურებულად ცნობილი მოღვაწენი — *ოლეგ შანდიბინი* და *მიხაილ ჩერეპაშენეცი*.

დაიწყეს შემოქმედებითი დისკუსია, დალიეს, როგორც წესი და რიგია, და მოილაპარაკეს, ხვალ განაგრძონ.

●

ერთხელ გალერეა „შვიდ ლურსმანში“ ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი აქტუალური მხატვარი *ბორის იოსიფოვიჩ ჟუტოვსკი* და *გენადი ალექსეევიჩ იაგოდინი*, წარსულში ცნობილი, როგორც საბჭოთა განათლების მინისტრი.

- გამარჯობა, ბორის ბორისოვიჩ, - თავმდაბლად მიეახლა იაგოდინი ჟუტოვსკის.

- გამარჯობა, ამხანაგო ტიგოდინ,[4] - იგივეთი გაეპასუხა ჟუტოვსკი.

თარგმნა ელზა მეტრეველმა

გაგრძელება იქნება

---

1 საღამო მშვიდობისა (ფრანგ.)
2 მდგომარეობა გაიძულებს (დამახინჯ. ფრანგ.)
3 оближ – облез (სიტვების თამაშია ფრანგულისა და რუსულის შეფარდებით. მთარგმ.)
4 სიტყვების თამაშია — Я-годин — Ты – годин (მთარგმ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი



ნომერში გამოქვეყნებულია ედმონდ-გაბრიელ კალანდაძის ნამუშევართა რეპროდუქციები



საუბარი



ზამთარი, მშრალი ხევი



მარადიულობა



სახლი პანტიანში



პეიზაჟი



პეიზაჟი ცხენით